საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

23

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები
XII

კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ

გერმანულიდან თარგმნა, შესავალი
და კომენტარები დაურთო
ლონდა მამაცაშვილმა

„მეცნიერება"
თბილისი
1981

63.3(2 P)
9(47.922+47.9)
ს 322

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს გააცნოს ქართველ მკითხველს ევროპელი მოგზაურების კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები მე-19 საუკუნის 1 ნახევრის საქართველოსა და ამიერკავკასიის შესახებ.

ევროპელ მოგზაურთა ეს თხზულებები საინტერესო წყაროს წარმოადგენს იმდროინდელი საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესასწავლად.

კ. კოხისა და სპენსერის თხზულებებში გადმოცემული ამბები და ფაქტები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმის გამო, რომ ავტორები მათი თვითმხილველები და უშუალო მოწმეები არიან. წიგნი განკუთვნილია საქართველოს ისტორიის წყაროებით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

Предлагаемая книга ставит перед собой целью ознакомить грузинского читателя со сведениями европейских путешественников К. Коха и О. Спенсера о Грузии и Закавказье I половины XIX столетия.

«Путешествия» названных авторов являются интересным источником для изучения политического, экономического и социального положения Грузии и Закавказья этого периода.

События и факты переданные в сочинениях европейских путешественников приобретают особое значение в силу того, что авторы являлись очевидцами и непосредственными свидетелями описанных ими в «Путешествии» событий.

Книга рассчитана для читателей, интересующихся источниками по истории Грузии.

К $\frac{10604}{М\ 607(03)-81}$ 148—81 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე, (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, (მთ. რედაქტორის მოადგილე)

სერიის რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორები: ზ. ანჩაბაძე, გ. გელაშვილი

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария

Редактор серии С. Г. КАУХЧИШВИЛИ
Редакторы тома З. В. АНЧАБАДЗЕ
Г. И. ГЕЛАШВИЛИ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.
2. აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.
5. გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.
6. ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.
7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.
9. „სამყაროს საკვირველებათა" ცნობები საქართველოს შესახებ,

სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник, Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе, Тб., 1978.

12. Памятник эриставов. Русский перевод, вступительная статья и комментарии С. С. Какабадзе, Тб., 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.

14. მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ, თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად შეამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. არსენი საფარელი, განყოფისათვს ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, I), აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V — X სს; შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაპიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX — XIII სს; შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოჲსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.
22. Законы Вахтанга VI, перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980.
23. წინამდებარე წიგნი.

შინაარსი

შესავალი 10

ო. სპენსერი, მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ 106

კ. კოხი, მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზუნტამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა) 165

კ. კოხი, ბრძოლის ველზე გასვლა 210

კომენტარები 259

Сведения К. Коха и О. Спенсера о Грузии и Кавказе (Резюме) . . . 293

საძიებლები 298

შესავალი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიის შესწავლის დროს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უცხო მოგზაურთა მიერ დატოვებულ ცნობებსა თუ ჩანაწერებს.

საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი ღირებულების მქონეა ის ცნობები, რომლებსაც ჩვენ ვხვდებით შარდენის, ლამბერტის, გიულდენშტედტის, გამბას და სხვათა „მოგზაურობებში“.

ამ რიგის უცხოურ წყაროებს განეკუთვნება კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ. ორივე ავტორის „მოგზაურობის“ ტექსტი შესულია ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის კარლ კოხის მიერ გამოცემულ კრებულში — „კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“, რომელიც გერმანულ ენაზე გამოიცა ქალაქ ლაიფციგში 1855 წელს[1].

აღნიშნულ კრებულში, გარდა ჩვენ მიერ დასახელებული ავტორების „მოგზაურობებისა“, კ. კოხმა შეიტანა ინგლისელი და გერმანელი მოგზაურებისა და სამხედრო პირების მოგზაურობა-ჩანაწერები. ინგლისელ მოგზაურთა ჩანაწერები თარგმნილია კოხის მიერ გერმანულად. კრებულში შესული მასალა საინტერესო წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

კ. კოხის მიერ შედგენილ, თარგმნილ და გამოცემულ კრებულში შემავალ 5 თავში გაერთიანებულია 5 ავტორის თხზულება:

1. „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“ (ო. სპენსერი).

---

[1] შემდეგში კ. კოხის II და VI თავებს მივუთითებთ კოხი, 1 და კოხი, 2.

2. II და VI თავები ეკუთვნის კრებულის შემდგენელს კ. კოხს[2] „მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზონამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა)“ და „ბრძოლის ველზე გასვლა“.
3. „მოგზაურობა ტრაპიზონიდან ერზერუმამდე“ (ა. კურზონი).
4. „მოგზაურობა ერზერუმიდან ვანის ტბასა და თავრიზამდე“ (რ. ვილბრაჰამი).
5. „ერზერუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთის გავლით საქართველოში გამგზავრება“ (ა. მაკინტოში).

კრებული იხსნება სპენსერის „მოგზაურობიდან“ ამოკრებილი ცნობებით, რომლებიც მოგზაურთა მიერ მრავალგზის აღწერილ ჩერქეზეთის სანაპიროს შეეხება. მას მოსდევს თვით კ. კოხის საკუთარი ჩანაწერები რედუტ-კალესა, ფოთსა და ბათუმზე — ტრაპიზონამდე. კრებულს აგრძელებს კურზონის მოგზაურობა, რომელიც გვაცნობს ერზერუმისაკენ მიმავალ სავაჭრო გზას. კ. კოხმა ამ კრებულში შეიტანა აგრეთვე თურქეთისა და სპარსეთის საზღვარზე მცხოვრებ ქურთთა აღწერა; ვილბრაჰამის მოგზაურობიდან ამოიღო მან აღწერილობა ერზერუმისა და ვანის ტბის გაყოლებით თავრიზამდე, მაკინტოშს დაესესხა ყარსის, ბაიაზეთისა და ურმიის ტბის აღწერილობასაც (რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნების გასწვრივ არაქსის ჩრდილოეთით და ეჩმიაწინის გავლით ადრიანოპოლამდე). კრებულის ბოლოს კ. კოხი მკითხველს აცნობს თავის ჩანაწერებს შამილისა და კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესახებ.

ამგვარად, კ. კოხმა შეძლო ერთ წიგნში თავი მოეყარა სხვადასხვა ავტორთა საინტერესო ისტორიული მასალისათვის, დაეხარისხებინა, სისტემაში მოეყვანა იგი და გამოეცა სათანადო კომენტარებით.

კ. კოხს კარგად ესმოდა თავისი ამოცანა; ის სიძნელეებიც კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომელიც თან ახლავს ხოლმე ამ ტიპის მასალის სწორად და ობიექტურად შერჩევას პუბლიკაციის დროს. შესავალში, რომელიც მან ამ კრებულს წაუმძღვარა, იგი წერს: „ადვილი ამოცანა არ არის დაწვრილებითი აღწერა იმ ქვეყნებისა, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე უცნობი რჩებოდა ევროპელი მკვლევრებისათვის. კავკასიაში დღესაც არის დარჩენილი ისეთი ადგილები, სადაც განათლებულ ევროპელს

---

[2] Kaukasische Sänder und Armenien, Herausgegeben von Karl Koch, leipzig, 1855.

ჯერაც არ დაუდგამს ფეხი. ამოცანა მით უფრო ძნელდება, რომ ჩვენ ამჟამად არა გვაქვს წყაროები, რომლებიც შეიცავდნენ ნამდვილად სრულყოფილ და მნიშვნელოვან ცნობებს მათ შესახებ, ხოლო, რაც მოგვეპოვება, ისიც ტენდენციურობის კვალს ატარებს. ახალ დროში კი, როდესაც ამ ქვეყნებში ბევრი რამ იცვლება, ადამიანს, რომელსაც ხანრძლივი ურთიერთობა აქვს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ადვილად შეუძლია ბევრ რამეს მიაკვლიოს იქ. სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მე, გამომცემლის სურვილის თანახმად. ჩემ ხელთ არსებული სამოგზაურო ლიტერატურიდან შევარჩიე ის მასალა, რომლის პუბლიკაციაც მიზანშეწონილად ჩავთვალე. ჩემი შეხედულებისამებრ ვთარგმნე და გავაერთიანე ეს მასალა და ამით მთლიანი სახე მივეცი ამ კრებულს. სადაც კი მიმაკლდებოდა მასალა, მე თვით ვავსებდი ამ ხარვეზს. ასე აღმოცენდა ეს წიგნი, რომელიც საკმაოდ სრულ სურათს იძლევა აზიის საომარ თეატრზე"(კ. კოხი, გვ. VIII).

როგორც თვით შემდგენელი აღნიშნავს, მასალის გერმანულად თარგმნის, კომენტარების შედგენისა და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანისას იგი ცდილა ობიექტური ყოფილიყო. ამის უფლებას, მისიკე თქმით, ის გარემოება აძლევდა, რომ მან თვითონ მოიარა ის ქვეყნები, რომლებზედაც არის საუბარი კრებულში და იყო თვითმხილველი იმ ამბებისა, რაც იმ ქვეყნებში ხდებოდა.

კრებულის შედგენისას კ. კოხი შეეცადა ცალკე მოგზაურთა ჩანაწერები ისე დაეკავშირებინა ერთმანეთთან, რომ თხრობა არსად გაწყვეტილიყო და მკითხველზე ერთიანი, გაბმული მოგზაურობის შთაბეჭდილება მოეხდინა.

კრებულის დიდი მოცულობისა და მასალის მრავალფეროვნების გამო, ჩვენ ვისარგებლეთ მხოლოდ იმ ცნობებით, რომლებიც უშუალოდ ეხება საქართველოსა და კავკასიას. ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით უხვი და მრავალმხრივ საყურადღებო მასალა აღმოვაჩინეთ კ. კოხისა და ო. სპენსერის „მოგზაურობათა" წიგნებში. ამას ისიც ერთვოდა, რომ ორივე ავტორი, როგორც კ. კოხი, ისე ო. სპენსერი, ერთდროულად მოგზაურობდნენ კავკასიასა და საქართველოში. ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს, როგორ გამოიყურება ორი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლის თვალით ერთდროულად დანახული კავკასია და საქართველო და აგრეთვე ისიც, თუ როგორ გადატყდა სხვადასხვა ინტერესების მქონე და განსხვავებულ პოზიციებზე მდგომ მოგზა-

ურთა ცნობიერებაში აქ შექმნილი პოლიტიკური ვითარება. ამან განაპირობა, არსებითად, ჩვენი დაინტერესება ინგლისელი მოგზაურის ო. სპენსერის და კრებულის შემდგენელის კ. კოხის ჩანაწერებით, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ვსარგებლობდით კრებულში წარმოდგენილ სხვა ავტორთა საინტერესო და საგულისხმო ცნობებითაც (მაგ., ვილბრაჰამის, მაკინტოშის და სხვ.).

ორივე ავტორი აღწერს იმ პერიოდს, როდესაც საქართველოს ფაქტიურად დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის მარწუხებში იყო მომწყვდეული.

XIX საუკუნის პირველი ნახევარი პოლიტიკურად რთული და საინტერესო ხანაა კავკასიის ქვეყნების ისტორიაში. საქართველო და ამიერკავკასია ირან-თურქეთსა და რუსეთს შორის ბრძოლის ასპარეზად იყო ქცეული. 1799 წელს გიორგი XII-ს თხოვნის საფუძველზე საქართველოში შევიდა რუსეთის ჯარი, ხოლო გიორგის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველო შეუერთდა რუსეთის იმპერიას (1803 წელს რუსეთს უერთდება ჭარ-ბელაქნის ოლქი და სამეგრელო, ცოტა მოგვიანებით — გურია, იმერეთი და აფხაზეთი). რუსეთ-ირანისა (1804—1813 წწ.) და რუსეთ-თურქეთის (1806—1812 წწ.) ომებმა განაპირობა ძირითადად დასავლეთ საქართველოს გარკვეული ნაწილისა და კავკასიის სხვა პროვინციების შეერთება რუსეთთან. მაგრამ რუსეთის ცარიზმის მიერ შემოერთებული ტერიტორიები —ჩრდილო კავკასიის დამოუკიდებელი პროვინციები — გათიშული აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შიდა რაიონებისაგან. ისინი ჯერ არ იმყოფებოდნენ რუსეთის იმპერიის სრული კონტროლის ქვეშ. ამის გამო რუსეთის წინაშე დადგა ამოცანა ჩრდილო კავკასიის ქვეყნების — ჩერქეზეთის, ყაბარდოსა და დაღესტნის შემოერთებისა. კავკასიის შემოსაერთებლად მეფის რუსეთს უნდა მიემართა (და მიმართავდა კიდეც) ფეოდალური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი ექსპანსიური პოლიტიკისათვის[3].

ასეთი პოლიტიკური ვითარება დახვდა ჩვენ მოგზაურებს კავკასიაში ჩამოსვლის დროს. ეს ვითარება, თუმცა საყოველთაოდ ცნობილი და კარგად შესწავლილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაინც ყოველი ახალი წყარო, რომელიც ამ პერიოდს ეხე-

---

[3] А. В. Фадеев, Россия и восточный кризис 20-х годов XIX в., М. 1958, с. 111.

ბა, დიდი ინტერესის აღმძვრელია და გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიის შესწავლის დროს.

ორივე ავტორი, განსაკუთრებით კი სპენსერი, უკმაყოფილებას გამოთქვამს ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკის გამო ამიერკავკასიაში. ჩვენ, ცხადია, ამ ავტორთა ჩანაწერების გაცნობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ უცხოელი მოგზაურები ევროპულ ორიენტაციას გამოხატავენ და, ბუნებრივია, მათ როგორც თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველთ, ხელს არ აძლევდათ რუსეთის გაძლიერება სამხრეთში (განსაკუთრებით ეს ეხება ინგლისელ მოგზაურს ო. სპენსერს).

*

* *

კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოსულ პირებს, ჩვეულებრივ, ან კომერციული მიზნები ამოძრავებთ, ან პოლიტიკური, ანდა მეცნიერული.

ვ. გარდანოვი უცხო მოგზაურთა ორ ძირითად ჯგუფს გამოჰყოფს. მოგზაურთა პირველ ჯგუფში მას შეჰყავს ის ევროპელი ავტორები, რომელთა „ვიზიტი“ კავკასიასა და საქართველოში ნაკარნახევი იყო მხოლოდ მეცნიერული ან, უბრალოდ, ქვეყნის გაცნობის მიზნებით: «для того,-чтобы ознакомиться с этой страной и ее обитателями, то есть с познавательными целями»[4], ასეთ მოგზაურთა რიცხვში ასახელებს ვ. გარდანოვი გიულდენშტედტს, პალასს, პოტოლეის, ბესს, დიუბუა დე მონპერეს, ვაგნერს და კარლ კოხს[5].

მეორე ჯგუფში შედიან ის მოგზაურები, რომელნიც ჩრდილო კავკასიასა და საქართველოში ჩამოდიოდნენ სავაჭრო, დიპლომატიური და პოლიტიკური მიზნებით «в качестве купцов, дипломатов, миссионеров, разведчиков, журналистов. Конечно, и эти авторы, посещавшие страну с заданием отнюдь не научного характера, тоже интересовались жизнью и бытом местных народов и сообщали в своих описаниях немало сведений, представляющих для нас в настоящее время большую научную ценность. Таков, например, миссионер Дортоли д'Асколи, политичес-

---

[4] В. К. Гарданов, Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII—XIX вв., Нальчик, 1974, с. 10.

[5] იქვე.

кий и дипломатический агент Рейнегс, разведчик Белл и его спутник журналист Лонгворт»[6].

ო. სპენსერთან ორივე მიზანი ერთადაა შერწყმული და საკმაოდ გამოკვეთილადაც. თუმცაღა, ო. სპენსერის უპირველესი მიზანია, როგორც დ. ურქარტის თანამშრომლისა და რეზიდენტისა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არა მეცნიერული იყო, ამიტომ იგი უფრო მეორე ჯგუფის მოგზაურთ უნდა მივაკუთვნოთ.

კ. კოხი თვითონ აცხადებს, რომ მისი ამოცანა იყო კავკასიის ფლორის შესწავლა. მაგრამ ზოგიერთ მის ნაშრომში კავკასიის ფლორა ვერ პოულობს ჯეროვან ასახვას. მოგზაურის ასეთი დამოკიდებულება ძირითადი ამოცანისადმი ცოტა უცნაურად გამოიყურება. მეორე მხრივ, ჩვენ არა გვაქვს საფუძველი უნდობლობა გამოვუცხადოთ კ. კოხს და არ ვერწმუნოთ მას. საკითხის გასარკვევად მივმართოთ თვით ამ მოგზაურთა ჩანაწერებს და იმ მონაცემებს მათ შესახებ, რომლებიც ხელთა გვაქვს დღესდღეობით.

*

* *

კარლ ჰაინრიჰ ემილ კოხი იენის უნივერსიტეტის პროფესორი, თავისი დროისათვის საკმაოდ ცნობილი ბოტანიკოსი — დენდროლოგი, დაიბადა ქ. ვაიმარში 1809 წელს. 1834 წელს იგი იენის უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის პრივატ-დოცენტია. 1836 წელს მოგზაურობს აღმოსავლეთში. ამ მოგზაურობიდან იგი 1838 წელს პეტერბურგის გავლით მდიდარი კოლექციით ბრუნდება სამშობლოში. თავისი მოგზაურობის შედეგები კ. კოხმა გამოაქვეყნა წიგნში „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში"[7] ორ ტომად ქ. შტუტგარტში.

1843-1844 წლებში ფრიდრიჰ ვილჰელმ IV-ისა და ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის დახმარებით კ. კოხი მეორეჯერ მიემგზავრება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამჯერად მან მოიარა პონტოს ზეგანი, არდაგანის მიდამოები, ერზერუმი და ევფრატის მომიჯნავე ოლქის აღმოსავლეთი ნაწილი. ამ მოგზაურობის შედეგად კ. კოხმა გამოაქვეყნა წიგნი სათაურით: „მოგზაურობა აღმოსავ-

---

[6] ე. გ ა რ დ ა ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

[7] Reise durch Russland nach dem Kaukas. Isthmus, 1842-43

ლეთში"[8], რომელიც გამოიცა ქ. ვაიმარში 1846-1847 წლებში სამ ტომად.

1847 წ. კ. კოხი გადასახლდა ქ. ბერლინში და ბერლინის უნივერსიტეტში დენდროლოგიის ექსტრაორდინალურ პროფესორად დაინიშნა. 1878 წელს იგი ქ. ბერლინის ბოტანიკური ბაღის დირექტორია.

როგორც მეცნიერ-ბუნებისმეტყველს, მას ეკუთვნის ბოტანიკური ხასიათის რამდენიმე ნაშრომი. მაგრამ გარდა მეცნიერული ნაშრომებისა, კ. კოხმა დაგვიტოვა აგრეთვე მცირე აზიასა და კავკასიაში მოგზაურობის საინტერესო აღწერილობანი და შთაბეჭდილებები, რომლებშიც გადმოცემულია მისი დაკვირვების შედეგები ამ ქვეყნის ბუნებასა და მოსახლეობაზე, ყოფასა და კულტურაზე.

კ. კოხის ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება მისი სამტომიანი „დენდროლოგია", რომელიც ქ. ერლანგენში გამოიცა 1869-1872 წლებში. ამას გარდა, მას გამოქვეყნებული აქვს შემდეგი ნაშრომები: „მცენარეული სამყაროს ბუნებრივი სისტემა იენის ფლორის მონაცემების მიხედვით" (1839), „აღმოსავლეთის ფლორის საკითხისათვის" (ბერლინი, 1843-51), „ბოტანიკური ბაღები" (ბერლინი, 1860), „გერმანული ხეხილის ბაღები" (შტუტგარტი, 1876). 1857 წლიდან 1872 წლამდე კ. კოხი ხელმძღვანელობდა მებაღეობისა და მემცენარეობის ყოველკვირეულ ჟურნალს.

კ. კოხის შრომები კავკასიის შესახებ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ევროპაში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მისმა პირველმა წიგნმა კავკასიის შესახებ, რომელშიც მოგზაურმა გამოაქვეყნა თავისი 1836-38 წლების მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

კ. კოხი გარდაიცვალა 1879 წელს.

საქართველოს შესახებ კ. კოხის ნაშრომებს კარგად იცნობდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, გ. ვაიდენბაუმი და სხვ.

საყურადღებოა ე. თაყაიშვილის შემდეგი ცნობა კ. კოხის შესახებ: „რაც შეეხება ტაოს იმ ნაწილს, რომელიც პირველ მსოფლიო ომამდის ყარსის ოლქის ოლთისის მხარეს შეადგენდა, ჩემს 1902 და 1907 წლის ექსპედიციებამდის მოიპოვებოდა მხოლოდ ცნობები გერმანელი ბოტანიკოსის კ. კოხის ოლთისის, ციხის აღების შესახებ და უმთავრესად ნეფსი-პენიაკის ანუ, ჩვენებურად,

[8] Wanderungen durch dem Orient, 1846-1847.

ბანას და აგრეთვე კოლას დადაშენის თაობაზე"[9]. ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ პირველი ცნობები ოლთისის მხარის შესახებ სწორედ კ. კოხს ეკუთვნის.

გ. ვაიდენბაუმი კი წინასიტყვაობაში, რომელიც მან წაუმძღვარა 1919 წელს გაზეთ «Тифлисский листок»-ში გამოქვეყნებულ კ. კოხის სტატიას «Император Николай I на Кавказе» წერს: «К. Кох (род. 1809 г., ум. 1879 г.) известный ботаник, был впервые на Кавказе 1837-1838 гг. Кроме трудов специально ботанических, он оставил описание двух своих путешествий по Малой Азии и Кавказу, в которых изложил результаты своих наблюдений над природою и обитателями последних стран. Как человек обширного образования, он посвятил много труда изучению истории нашего края, в то время еще мало известной»[10].

კ. კოხი დაკვირვებული მოგზაური და სოლიდური ცოდნით შეიარაღებული მკვლევარია. იგი კარგად იცნობს თავისი წინამორბედი ცნობილი ევროპელი მოგზაურების თხზულებებს, როგორიცაა შარდენი, რაინეგსი, დიუბუა დე მონპერე და სხვ. კ. კოხი ხშირად ასახელებს მათ თავის „მოგზაურობებში" და ასევე ხშირად სარგებლობს ამ მოგზაურთა ცნობებით. მის მიერ მოპოვებულ მასალებში უხვადაა წარმოდგენილი საკუთარი დაკვირვებები საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობის შესახებ. იგი საჭირო შემთხვევაში შარჯვედ იყენებს ფოლკლორულ მასალასაც, ხალხის მიერ შემონახულ ძველ თქმულებებსა და გადმოცემებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარლ კოხმა პირველად 1836 წელს იმოგზაურა აღმოსავლეთში. ამ მოგზაურობის დროს მან მოინახულა კავკასია (სამეგრელოდან ბათუმამდე), სომხეთის ჩრდილოეთი ნაწილი, სპარსეთის ზეგანი და არარატი. აღმოსავლეთის ქვეყნებში თავისი მოგზაურობის შედეგები მან რამდენჯერმე გამოაქვეყნა გერმანიაში.

---

[9] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბილისი, 1960, გვ. 6.

[10] К. К о х, Император Николай I на Кавказе, газ. «Тифлисский листок», № 19, 1900, с. 2.

*
* *

კ. კოხის კავკასიაში მოგზაურობის მარშრუტი იწყება კავკავიდან (ორჯონიკიძე — ლ. მ.) და სამხრეთისაკენ, მდ. თერგის სათავეებამდე მიდის. გზადაგზა იგი აღწერს კავკასიის ფლორას. დარიალიდან იგი მიდის სოფელ კობამდე, ხოლო კობიდან თბილისში ჩამოდის, საიდანაც სამხრეთ ოსეთში მიემგზავრება. ოსეთიდან. ონში, შემდეგ ქუთაისში და აქედან გადადის სამეგრელოში; სამეგრელოდან იგი გურიაში მიდის. დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის შემდეგ კოხი ისევ თბილისში ბრუნდება და ამის შემდეგ მიჰყვება შულავერის გზას სომხეთისაკენ.

ამ მოგზაურობის დროს კ. კოხმა მოინახულა მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ადგილები, მათ შორის ქ. ფოთი, ნავსადგურები — სინოპი, ბათუმი, რედუტ-კალე და რუსეთის სხვა პუნქტები. ავტორი დაწვრილებით აღწერს თითოეული მათგანის ადგილმდებარეობას, მანძილს ერთი პუნქტიდან მეორემდე, გვაცნობს ამ ადგილების ისტორიას და მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობას. ამასთანავე მოგზაური არ ივიწყებს თავის ძირითად მიზანს — კავკასიის ფლორის აღწერას.

კ. კოხის 1836 წელს გამოქვეყნებული ორტომიანი ნაშრომის I ტომში ბოტანიკური ნაწილი მხოლოდ ყაბარდოს ფლორითაა წარმოდგენილი. ამ ტომში კ. კოხი არსებითად ეხება ჩრდილო კავკასიის მოსახლეობის ეთნოგრაფიას; განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იგი ჩერქეზებისა და კაზაკების ზნე-ჩვეულებებსა და კავკასიის რუსეთთან შეერთების ისტორიულ მომენტებს. „წიგნის II ტომში დაწვრილებით არის გაშუქებული საქართველოს სამხედრო გზის, ქართლის, ოსეთის, გურიის, რაჭის, იმერეთის, სამეგრელოსა და ბორჩალოს ფლორა. გარდა ფლორისტული აღწერილობისა, იგი იძლეოდა კლიმატისა და ნიადაგის თავისებურებათა დახასიათებასაც“[11].

კავკასიაში მეორე მოგზაურობის დროს (1843-44 წწ.) კ. კოხის მიზანი იყო ბალკანეთის ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთ კავკასიამდე მდებარე ქვეყნების ფლორისტული შესწავლა, მაგრამ ამაში მოგზაურს ხელი შეუშალა შამილის ომებმა. როგორც უკვე

---

[11] თ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი - ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, მასალები საქართველოში ცნობილი გერმანელი ბოტანიკოსის კარლ კოხის მოგზაურობის შესახებ, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII—XXIII, თბილისი, 1969, გვ. 159.

აღნიშნეთ, მოგზაურობის შედეგები მან გამოაქვეყნა 1846—1847 წლებში გამოცემულ „Wanderungen"...-ში I და II ტომი საერთოდ არ ეხება ბოტანიკურ დაკვირვებებს; აქ განხილულია მოგზაურობა პონტოს მთებსა და თურქეთის სომხეთში. მხოლოდ III ტომშია მოცემული თბილისის მიდამოების ფლორის აღწერილობა[12].

თავის მოგზაურობათა შედეგად კავკასიაში კ. კოხს საკმაოდ მდიდარი მასალა შეუგროვებია. ლენინგრადის მეცნიერებათა აკადემიის არქივში ინახება დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ კ. კოხს აკადემიის ბატონიკური მუზეუმისათვის, საჩუქრად გაუგზავნია კავკასიაში შეგროვილი 50 გვარის მცენარე[13].

მეცნიერებაში ცნობილია, რომ კ. კოხმა პირველმა სცადა კავკასიის ფლორისტული დარაიონება რუკის დართვით. ფიქრობდნენ, რომ ეს რუკა ინახებოდა ლენინგრადში, კომაროვის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ იგი ინახება ლენინგრადის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკაში. მიუხედავად თავისი პრიმიტიულობისა, სწორედ ამ რუკამ ჩაუყარა საფუძველი კავკასიის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ რეგიონებად დაყოფას[14]. დღეისათვის რუკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს შერჩენილი და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. კავკასიის ფლორის ცნობილმა მკვლევარმა დ. სოსნოვსკიმ კ. კოხის რუკას უძღვნა სპეციალური ნაშრომი «Забытая страничка из истории геоботанического изучения Кавказа». აქედან სპეციალისტები ასკვნიან, რომ კ. კოხის რუკა უფრო კავკასიის გეობოტანიკური დაყოფის ცდა იყო, ვიდრე კავკასიის ფლორისტული რუკა[15].

ეს ვრცელი ექსკურსი იმისთვის დაგვეჭირდა, რომ შეძლებისდაგვარად გამოგვეკვეთა მოგზაურის ჭეშმარიტი სახე და ის რეალური იმპულსი, რამაც უბიძგა მეცნიერს წვეოდა კავკასიის ქვეყნებს.

*

* *

თუ კ. კოხის პიროვნებისა და მისი საქმიანობის შესახებ ცოტად თუ ბევრად ცნობები მაინც მოგვეპოვება, ო. სპენსერის ვი-

---

[12] თ. მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი-ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი., გვ. 160.

[13] იქვე.

[14] იქვე, გვ. 164.

[15] იქვე.

ნაობისა და მისი მოღვაწეობის ხასიათის გასათვალისწინებლად იმ მწირი ცნობებით უნდა დავკმაყოფილდეთ, რომლებიც მოკლე შესავლების სახით უძღვის წინ მისსავე წიგნებს. ო. სპენსერის შესახებ ვიცით მხოლოდ ის, რომ მან იმოგზაურა კავკასიაში 1836 წელს და 1837 წელს ლონდონში გამოსცა წიგნი „მოგზაურობა ჩერქეზეთში“[16], რომელშიც დაწვრილებით აღწერა ეს მხარე[17].

ნიშანდობლივია, რომ კავკასიაში სპენსერი გამოჩნდა ინგლისური დაზვერვის განსაკუთრებული აქტივიზაციის დროს. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან ოფიციალური ცნობების მიხედვით ო. სპენსერი ინგლისის რეზიდენტი იყო ჩერქეზეთში. 1838 წელს გამოდის ო. სპენსერის წიგნის „მოგზაურობა დასავლეთ კავკასიაში“ ახალი გამოცემა[18] (იმერეთი, სამეგრელო, თურქეთი, ძოლდავეთი, სილეზია და მორავია) ორ ტომად. წიგნში შევიდა 1836 წლის მოგზაურობის შთაბეჭდილებები. 1839 წელს კვლავ იბეჭდება ამ წიგნის მე-3 გამოცემა. 1854 წელს კი გამოდის ო. სპენსერის მორიგი წიგნი: „თურქეთი, რუსეთი, შავიზღვისპირეთი და ჩერქეზეთი“[19]. 1866 წელს ო. სპენსერი ლონდონში აქვეყნებს ახალ წიგნს სათაურით: „მოგზაურობა საფრანგეთსა და გერმანიაში 1865 და 1866 წლებში კაპიტან სპენსერისა, „ჩერქეზეთში მოგზაურობის ავტორისა“[20]. ამ სათაურიდან ნათელი ხდება, რომ კ. კოხის მიერ დასახელებული ო. სპენსერი, ავტორი „ჩერქეზეთის მოგზაურობისა“, და ედმუნდ სპენსერი ერთი და იგივე პიროვნებაა. ამგვარად, ჩვენ ვიცით, რომ ო. სპენსერი არის იგივე ე. სპენსერი, ავტორი ჩერქეზეთში მოგზაურობისა, რომ იგი არის ჩინით კაპიტანი, ჟურნალისტი და ინგლისის რეზიდენტი ჩერქეზეთში. სხვა ცნობები მისი ბიოგრაფიისა და მოღვაწეობის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. მისი ვინაობა ერთგვარად შუქს ჰფენს

---

[16] The Travels in Cirkassia, London, 1837.

[17] საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ წიგნის ავტორის, სპენსერის სახელზე. სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია მხოლოდ ერთადერთი მოგზაური სპენსერის გვარით, რომლის სახელია ედმუნდი. კ. კოხის კრებულში შემავალი ავტორი „ჩერქეზეთის მოგზაურობისა“ კი ო. სპენსერადაა წოდებული. საფიქრებელია, რომ აქ საქმე გვაქვს უბრალო კორექტურულ შეცდომასთან. ო. სპენსერი და ე. სპენსერი რომ ერთიდაიგივე პიროვნებაა, ამას აქვე დავინახავთ.

[18] Travels in the western Caukasus, London, 1838-1839.

[19] Turkey, Russia, the Black sea and Cirkassia, London, 1854.

[20] Travels in France and Germany in 1865 and 1866 by Captain Spenser author of «Travels in Cirkassia», London, 1866.

მისი მოგზაურობის ხასიათსა და მიზანდასახულობას. ე. სპენსერი უფრთხის სუბიექტურობის ყოველგვარ გამოვლინებას, უკიდურეს ტენდენციურობას და ცდილობს შენიღბოს ისინი ზოგადკაცობრიული ჰუმანურობისა და სამართლიანობის ლოზუნგებით. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ინგლისის კომერციული პოლიტიკის ინტერესების დამცველია კავკასიაში და მისი თანაგრძნობა ჩერქეზებისადმი რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მხოლოდ და მხოლოდ ამ მოტივებითაა ნაკარნახევი.

ე. სპენსერის წიგნს „თურქეთი, რუსეთი, შავიზღვისპირეთი და ჩერქეზეთი" წინ უძღვის შესავალი, რომელშიც იგი მოკლედ ახასიათებს თავისი მოგზაურობის მიზნებსა და შთაბეჭდილებებს. ე. სპენსერი გვაუწყებს, რომ თითქმის 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „აღვწერე ჩემი პირველი მოგზაურობა აღნიშნულ ქვეყნებში (აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში), რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ჩვენ დროში". მისი აზრით, „მსოფლიოს ბედი დღეს არის საფრანგეთის, ინგლისისა და რუსეთის ხელში", მაგრამ მას არ უნდა აქცენტი გადაიტანოს მხოლოდ პოლიტიკოსებზე და აცხადებს, რომ „პოლიტიკური ინტერესებისაგან დამოუკიდებლად ეს წარმტაცი ქვეყნები ძალზე საინტერესო სურათს შლიან მოგზაურთა წინაშე და ერნთაირად საინტერესოა არა მარტო პოლიტიკოსებისათვის, არამედ ყველასათვის, ვისაც გულთან ახლოს მიიკვლევს ნაციონალური პროგრესის პრობლემები"[21]. ე. სპენსერი აღნიშნავს, რომ მასში, როგორც მოგზაურში და განსაკუთრებით კი წიგნის ავტორში, „კომერციულმა და პოლიტიკურმა ინტერესებმა გამოიწვია იმედიც და იმედგაცრუებაც. იმედი იმიტომ, რომ ჩემი შრომის ნაყოფი ხალხის ყურადღებას მიიპყრობს, ეს კი მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ხალხი ან სულ არ იცნობს, ან ძალზე ცუდად იცნობს ამ ქვეყნებს; იმედგაცრუება კი იმიტომ, რომ ავტორს თან სდევს გამუდმებული შიში, რომ გამჭრიახი თვალი შენიშნავს იმ უზუსტობებს, რომლებიც ასეთი ძლიერი ინტერესი რომ არა, შესაძლოა შეუმჩნეველიც კი დარჩენილიყო"[22].

ჩერქეზთა უპერსპექტივო და უთანასწორო ბრძოლა მეფის რუსეთის წინააღმდეგ, მათი უიმედო გაბრძოლება ქვეყნის დამოუ-

---

[21] Ed. Spenser, Turkey, Russia, the Black sea, and Cirkassia, London, 1851, გვ. VII.

[22] იქვე, გვ. V.

კიდებლობის შესანარჩუნებლად დიდ თანაგრძნობას იწვევს უცხო მოგზაურში. ე. სპენსერი გვაუწყებს, რომ იგი ხშირად ჩავარდნილა უხერხულ და, როგორც ის ამბობს, ხანდახან გამოუვალ შდგომარეობაშიც იმის გამო, რომ სურდა სიმართლე დაეწერა. „ერთი მხრივ, — წერს იგი, — მე მსხვერპლი უნდა გამეღო სიმართლისათვის: ან უნდა მეღიარებინა ჭეშმარიტება, არ მეღალატა მისთვის, ანდა ანგარიში გამეწია ჩემდამი კეთილად განწყობილი რუსი მეგობრებისათვის და არ დამეწერა ყველაფერი, რაც საკუთარი თვალით ვნახე. ბოლოს, ჰუმანურობის მოთხოვნები აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული. ჩემში გაიმარჯვა კრიტიკულად მოაზროვნე მწერალმა და მე ვაუწყე საზოგადოებას სიმართლე; ამ ქვეყნის მდგომარეობა აღვწერე ისე, რომ არ მიღალატია წესიერებისათვის. მოგზაურობის დროს ყველაფერზე მქონდა რუსეთის მთავრობის სანქცია; განსაკუთრებით უნდა მოვიხსენო ეროი კონსტანტინეპოლელი თურქი ინტელიგენტი, რომელიც ჩემს ჩანაწერებსა და შენიშვნებს, ჩაწერილს ჩერქეზეთში რუსეთის ნავსადგურებში, შეუნელებლად ადევნებდა თვალყურს და იყო ჩემი ე. წ. ცენზორი“[23].

ე. სპენსერის აზრით, დასავლეთ კავკასია ანუ ჩერქეზეთი არის და ყოველთვის იყო დამოუკიდებელი. „ეს, — აღნიშნავს იგი თავის შესავალში, — აღიარა თურქეთმა და ირანმა და თვით რუსეთმაც ადრიანოპოლის ზავის თანახმად“[24]. ახლა, როდესაც ჩერქეზეთი ეწევა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ცარიზმის წინააღმდეგ, იგი მოუწოდებს ინგლისის მთავრობას ე. წ. „თავისუფალი სულის სამართლიანი პოლიტიკური ხაზით“ დაეხმაროს ჩერქეზეთს მის სამართლიან ბრძოლაში. ე. სპენსერის აზრით, „დამოუკიდებლად იმ კომერციული და პოლიტიკური ინტერესებისაგან, რასაც მიიღებენ შედეგად კავკასიის პროვინციები, მათ სურთ თავიანთ ქვეყანაში ვითარდებოდეს საკუთარი ნაციონალური შეგნება ნაციონალური თავისუფლების ნიადაგზე, სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ნიშნით და არა რუსეთის ცივილიზაციის მიერ შეთავაზებული ძალმომრეობის ნიშნით, რომლის წინაშე კავკასია უთუოდ უძლური აღმოჩნდება“[25].

ე. სპენსერი გაკვირვებულია იმით, როგორ ახერხებს მეფის რუსეთის მთავრობა „თავისი მოჩვენებითი ბატონობით უძლურ

---

[23] Ed. Spenser. დასახ. ნაშრომი, გვ. IX—X.

[24] იქვე, გვ. XV—XVII.

[25] იქვე, გვ. XVI.

შეზობელზე [გულისხმობს ჩერქეზეთს — ლ. შ.] გააოცოს ყველა". მას აკვირვებს ევროპის ქვეყნების და, პირველ რიგში, ინგლისის ინერტულობა რუსეთის პოლიტიკის მიმართ. იგი ახსენებს იმ ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლისსა და მეფის რუსეთს შორის. „პირველი მოხდა, — წერს იგი, — 1835 წელს, როდესაც ევქსინის პორტში მიმავალ სავაჭრო გემს „ლორდ ჩარლზ სპენსერს" ჩერქეზეთის სანაპიროზე გამოეღევნა რუსული კრეისერი. კრეისერმა ხელში ჩაიგდო სავაჭრო გემი და ისეთივე სამარცხვინო აქტი ჩაატარა, როგორც ახლა „ვიქსენთან" დაკავშირებით. მე ომის მომხრე არა ვარ, მაგრამ პრეცედენტი ცუდია და მტროობის ასეთმა უაზრო გამოვლენამ, როგორიცაა სავაჭრო გემის შეპყრობა ზღვაში, ასე უმტკივნეულოდ და დაუსჯელად არ უნდა ჩაიაროს. ვინც ბრიტანეთის შესაძლებლობებს არ იცნობს, ამ თავშეკავებას ჩვენი სისუსტით ახსნის. ხოლო ვინც კარგად იცნობს ამ ორი ქვეყნის ძალებს, მიხვდება, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი, დავიცვათ ჩვენი ნაციონალური ღირსება. ჩემი კრიტიკა რუსეთის პოლიტიკის მისამართით ნაკარნახევი იყო უფრო სიკეთით სავსე გულისტკივილით, ვიდრე რისხვით. რუსეთის მთავრობამ Vixen-ის შეპყრობით დაარღვია საერთაშორისო სამართალი. ჩვენი ნაციონალური ღირსება მოითხოვს დაცვას, კომერცია — უშიშროების უზრუნველყოფას, ვაჭრობის დასაცავად მეტი ზომების მიღებას"[26].

ამ ამონაწერებიდან, ვფიქრობთ, უკვე ძნელი არაა იმის გარკვევა, რა მიზნები და ინტერესები ამოძრავებდა ე. სპენსერს ჩერქეზეთში მოგზაურობის დროს. მისი „მოგზაურობის" მთელი ტექსტიც ამასვე გვაუწყებს, თუმცა იქ ავტორი არსად ამხელს თავის მიზნებს, მხოლოდ აქა-იქ ავლენს იგი თავის დამოკიდებულებას დაჩაგრული ხალხებისადმი.

მოგზაურობის გეგმა და შარშრუტი ე. სპენსერს მოხერხებულად შეუდგენია. მან შემოიარა ჩერქეზეთის მთელი სანაპირო: ანაპა, სუჯუკ-კალე, გელენჯიკი, ფშადი, აგრეთვე ბიჭვინტა, სოხუმ-კალე. ერთი სიტყვით, შავი ზღვის კავკასიის სანაპირო, ყველა ნავსადგური რედუტ-კალემდე (ჩათვლით). იგი დაწვრილებით და დიდი ინტერესით ეცნობოდა კავკასიის შავიზღვისპირა სანაპიროზე ყველა გამაგრებულ პუნქტს, განსაკუთრებული ყურადღებით სწავლობდა დიდ ნავსადგურებს, მათ ადგილმდებარეობას და

---

[26] Ed. Spenser, დასახ. ნაშრომი, გვ. XIII—XIV.

სტრატეგიულ მნიშვნელობას. ე. სპენსერს განსაკუთრებით იზიდავდა სამხედრო პუნქტები და სანაპირო ციხესიმაგრეები, რომელთა დეტალური აღწერა-დახასიათება მოცემულია მის „ჩერქეზეთში მოგზაურობა“-ში. ამას გარდა, ე. სპენსერი თვლის, რომ ჩერქეზეთი უცხოელთათვის საინტერესოა აგრეთვე გეოგრაფიული, გეოლოგიური, ბოტანიკური, მინერალოგიური თუ ბუნებრივი სიმდიდრის თვალსაზრისით.

რატომ აირჩია მაინცდამაინც ეს მარშრუტი, ე. სპენსერი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ თუ კარგად გავითვალისწინებთ იმ მიზეზებს, რამაც ჩამოიყვანა იგი საზოგადოდ კავკასიაში, ნათელი გახდება რატომ დაინტერესდა იგი ყველა მეტ-ნაკლებად დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული და სამხედრო პუნქტით და რისთვის აღწერა ისინი ასე დაწვრილებით. საქმის შესანიშნავი ცოდნით არის გადმოცემული ე. სპენსერის „მოგზაურობაში“ გენერლების: ბიბიკოვის, გუდოვიჩის, გოვოროვის, მენშიკოვის და სხვათა ბრძოლები ანაპის ასაღებად. ასევე კარგად აქვს აღწერილი მას გენერალ ველიამინოვის ლაშქრობა კავკასიაში 1836 წელს. მისი მიზნები და მარცხი. სწორედ ეს მარშრუტი ესადაგებოდა იმ მიზნებს, რომლებმაც ჩამოიყვანეს მოგზაური იმ დროს ჩერქეზეთში. მაგრამ ამ კერძო ინტერესის გარდა ე. სპენსერს ამოძრავებს ზოგადი ინტერესი კავკასიისა და საქართველოსადმი.

ევროპის ქვეყნების დაინტერესება კავკასიით ბევრი მიზეზით იყო გამოწვეული, რომელთა შორის, გარდა პოლიტიკურისა, ქვეყნის საერთო გაცნობაც იგულისხმება. კავკასიაში რუსეთის დამკვიდრების შემდეგ ევროპაში მკვეთრად გაიზარდა ინტერესი კავკასიის მიმართ და, ბუნებრივია, რომ ყოველი ახალი მოგზაურობა ახლებურად წარმოაჩენდა ამ მხარეს.

თითქმის ყველა უცხო მოგზაური, რომელიც აპირებდა აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობას, ჩვეულებრივ, გარკვეული წინასწარი ცოდნით იყო შეიარაღებული. ასე მოიქცა ე. სპენსერიც.

მას საგანგებოდ შეუსწავლია საქართველოს შესახებ არსებული ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსების ცნობები, რომლებსაც გარკვეული დახმარება გაუწევია მოგზაურისათვის საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების წარსულის გაცნობაში. ასე რომ, როგორც რეზიდენტს, საქართველოში ჩამოსულ ე. სპენსერს ერთგვარი წარმოდგენა ამ ქვეყნის შესახებ უკვე ჰქონდა.

საქართველოსა და საერთოდ კავკასიაში შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო ე. სპენსერი უკვე ვარკვეული იყო იმ სიტუაციაში, რომელიც არსებობდა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კავკასიასთან დაკავშირებით.

ე. სპენსერს, ჩანს, კარგად ჰქონია წარმოდგენილი ის ხიფათი და დაბრკოლებები, რომლებიც შეიძლებოდა მას შეხვედროდა ამ მხარეში, რაკი იმოგზაურა ეს ადგილი. ეს ადგილი, ეს ადგილი, ეს ადგილი,

ე. სპენსერი ამის გამო შეეიწროებულად გრძნობდა თავს, რადგან ხშირად თავისუფლად ვერ ასახელებდა თავის ჩანაწერებში იმ პირებს, რომელთაგანაც დავალებული ყოფილა ანდა გარკვეული ინფორმაცია მიუღია. ე. სპენსერი უფრთხილდებოდა მათ რეპუტაციას და, საერთოდ, ამ ხალხთან მეგობრობას.

მსგავსად ე. სპენსერისა, 30—40-იან წლებში კავკასიაში ჩამოსული თითქმის ყველა უცხო მოგზაური თავის უპირველეს მოვალეობად თვლის მეფის რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკის ნეგატიურ დახასიათებას. მთის კავკასიური ხალხების ბრძოლას რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ ისინი გვიხატავენ როგორც ბრძოლას აბსოლუტიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური თავისუფლების მოსაპოვებლად. მიუხედავად იმისა, რომ კ. კოხიც უკმაყოფილოა მეფის რუსეთის პოლიტიკით კავკასიაში, იგი შედარებით უფრო ობიექტური და ლმობიერია ცარიზმის ამა თუ იმ გამოვლენის შეფასების დროს. ასე მაგალითად, კ. კოხი არ ეთანხმება ინგლისელ და ფრანგ მოგზაურთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თითქოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ამიერკავკასია უწინდელთან შედარებით ცხოვრების უფრო მძიმე პირობებში აღმოჩნდა. კ. კოხი პირიქით ფიქრობს; მიუხედავად რუსეთის პოლიტიკის მანკიერი მხარეებისა, მას მაინც პროგრესულ მოვლენად მიაჩნია ეს ფაქტი კავკასიისათვის.

ე. სპენსერი უკომპრომისოა და ხშირად ტენდენციურიც კი. ამიტომ კ. კოხს, როგორც მთარგმნელსა და კრებულის შემდგენელს, ხშირად უხდება რემარკების გაკეთება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით ე. სპენსერის ზოგიერთ აზრსა და გამონათქვამზე.

*

* *

ე. სპენსერი თავისი „მოგზაურობის“ შესახებ გვაუწყებს, რომ იგი დაწერილია „ინტელექტის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, ერთბაშად მიღებული შთაბეჭდილებით“. როგორც ჩანს, ავტორი მოგზაურობის დროს ქმნიდა ჩანაწერებს, ხოლო წინამდებარე სახით წარმოდგენილი მისი წიგნი შემდეგი ანალიზისა და დამუშავების შედეგია. ამას, გარდა თვით ავტორის მიერ ზემოთ მოტანილი სიტყვებისა, გვაფიქრებინებს საკუთრივ „მოგზაურობის“ სტილი, მისი თხრობის მანერა და ამბების ლოგიკური თან-

მიმდევრობა, რაც ძნელი მისაღწევი იქნებოდა ერთბაშად მიღებული შთაბეჭდილების გადმოცემის დროს.

მეორე მოგზაური კ. კოხი არაფერს გვამცნობს იმის შესახებ, თუ როგორ იქმნებოდა მისი „მოგზაურობა". ვიცით მხოლოდ ის, როგორ შეიქმნა მისი კრებული.

„მოგზაურობებში" დაცული ცნობები დიდ მასალას შეიცავს საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

როგორც ე. სპენსერის, ასევე კ. კოხის თხზულებებში მოთხრობილი ამბები და ფაქტები დიდ მნიშვნელობას იძენენ იმის გამო, რომ ავტორები მათი თვითმხილველნი არიან. ზოგჯერ, აშა თუ იმ მოვლენისა და ფაქტის კვალიფიკაციის დროს, ისინი თავს ვერ აღწევენ უცხოელი მოგზაურისათვის დამახასიათებელ ტენდენციურობას ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების მიმართ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ ამცირებს მათ მიერ მოწოდებულ ცნობათა მეცნიერულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

ავტორთა სუბიექტური შეფასების გათვალისწინებით და მათი ცნობების სხვა ისტორიულ მასალასა და წყაროებთან შეჯერებით შესაძლებელი ხდება იმ უტყუარი რეალური სურათის აღდგენა, რომელიც ამ ავტორებს დახვდათ საქართველოსა და კავკასიაში.

ე. სპენსერისა და კ. კოხის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მრავალმხრივ არის საინტერესო და ყურადსაღები. ავტორები ამ მხარის პოლიტიკურ-ეკონომიკური ცხოვრების აღწერასთან ერთად საგულისხმო ცნობებს გვაწვდიან ქვეყნის ეთნოგრაფიის, კულტურული ცხოვრებისა თუ ყოფის შესახებ. ყველაზე ვრცლად და დეტალურად ისინი მოგვითხრობენ კავკასიის მდებარეობის, გეოგრაფიული გარემოს, მისი პროვინციების, ბუნებისა და მოსახლეობის შესახებ; განსაკუთრებული გულისყურით შეისწავლიან კავკასიის ფლორას (მაგ., კ. კოხი) და სხვ.

მართალია, XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის რუსეთ-საქართველოს და კავკასიის ურთიერთობის და, საზოგადოდ, კავკასიის ისტორიისა და პოლიტიკური ვითარების შესახებ ბევრი უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო წყარო და ისტორიული მასალა მოგვეპოვება, მაგრამ, შესაძლოა, უცხო მოგზაურთა ამ ჩანაწერებშიც იპოვოს ისტორიკოსმა დამატებით ახალი და მისთვის საინტერესო ცნობები და ამ თვალსაზრისით მათ პირველწყაროს მნიშვნელობაც კი მიენიჭოს.

*
* *

მოგზაურები შედარებით კარგად იცნობენ საქართველოს ისტორიას და მის წარსულს. საქართველოს ისინი უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ქვეყნად მიიჩნევენ. კ. კოხის თქმით, ეს ის ქვეყანაა, რომელიც „კავკასიის და მისი დიდებული მთების ყველა ხალხის არა მხოლოდ ნომინალური, არამედ ფაქტიური მმართველი იყო". საქართველომ აიძულა მოუდრეკელი ჩერქეზები და ლეკები ხარკი ეხადათ მისთვის. მოგზაურის თქმით, საქართველომ შეძლო ის, რასაც საუკუნეთა მანძილზე ამაოდ ცდილობდნენ ჩინგიზ-ხანი, თემურლენგი, ნადირშაჰი და პეტრე დიდი.

კ. კოხი დაწვრილებით გვაცნობს საქართველოს სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონთა დინასტიის გენეალოგიას და მის ისტორიას. მისი თქმით, ეს დინასტია ათას წელზე მეტ ხანს განაგებდა საქართველოს. გულისტკივილით აღნიშნავს მოგზაური, რომ საუკუნის დასაწყისში ბაგრატიონთა სახელოვან საგვარეულოს მოუხდა ისტორიის სარბიელის დატოვება და იძულებული გახდა თავისი მემკვიდრეობა რუსეთისათვის ჩაებარებინა.

კ. კოხის თქმით, რუს ხელმწიფეთა შორის პეტრე დიდი იყო პირველი, რომელმაც ჯეროვნად შეაფასა კავკასიის მნიშვნელობა რუსეთის იმპერიისათვის. მან ისიც გაითვალისწინა, რა უპირატესობა ექნებოდა რუსეთს თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს, თუ რუსეთი მოახერხებდა ამიერკავკასიის ხალხებთან სათანადო კავშირის დამყარებას. პეტრემ, როგორც კ. კოხი გადმოგვცემს, დევიზად გაიხადა ძველ რომაელთა პრინციპი: „დაყავი და იბატონე". ავტორი მეტს არაფერს გვაუწყებს პეტრეს დროინდელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

კ. კოხის თქმით, 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შედეგად რუსეთმა პრეტენზია გამოაცხადა ყაბარდოზე. რაკი იგი დამოუკიდებლად ცხადდებოდა, რუსეთმა მოისურვა შეეყვანა იგი თავისი პროტექტორატის ქვეშ და ამით განემტკიცებინა პოზიციები კავკასიაში.

რა პოლიტიკური ვითარება იყო ამ დროს საქართველოში, ამას მოგზაური ძალზე ძუნწად, მაგრამ გასაგებად გადმოგვცემს. აღა-მაჰმად ხანის მუქარამ ერეკლე II აიძულა 1797 წელს მოეთხოვა რეალური დახმარება საქართველოს საზღვრების დასაცავად. ამის სანაცვლოდ ერეკლე საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვაზეც მიდიოდა და მზად იყო გამოეცხადებინა რუსეთისათვის ვა-

სალური დამოკიდებულება. გიორგი XII შეშინებული ირანის შაჰის ულტიმატუმით, ახალ ნაბიჯს დგამს და უარს ამბობს სამეფო უფლებებსა და პრივილეგიებზე. იგი ახალი წინადადებით მიმართავს რუსეთის მთავრობას შეუერთოს საქართველო რუსეთის იმპერიას. ეს, ცხადია, ნიშნავდა იმას, რომ ამიერიდან საქართველო კარგავდა დამოუკიდებლობას და რუსეთის ჩვეულებრივი პროვინცია ხდებოდა, რაც 1801 წელს მოხდა.

კ. კოხს მოაქვს ეს ისტორიული თარიღი, როდესაც გიორგი XII დიდი სულიერი ბრძოლის შემდეგ ხელს აწერს იმ მანიფესტს, რომლის მიხედვით საქართველოს სამეფო უქმდება[28]. თავის ძოგზაურობაში იგი მხოლოდ მიგვანიშნებს იმ დინასტიურ განხეთქილებაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. კ. კოხი მოკლედ გადმოგვცემს, რომ რუსეთთან შეერთების მომხრეთა აზრით, მხოლოდ გარეგან ძალას შეეძლო შინაური დავის დაშოშმინება საქართველოში და ქვეყნისათვის მშვიდობის მიცემა. მეორე ნაწილი კი მოითხოვდა შინაურ საქმეებში ჩაურევლობას, სამეფოს აღდგენას და ქვეყნის დამოუკიდებლობას და აუმხედრდა მეფეს თვითნებური გადაწყვეტილების გამოტანის გამო. კ. კოხი აქვე დაწვრილებით მოგვითხრობს მეფის ქვრივს — მარიამსა და თავად ლაზარევს შორის გათამაშებული ტრაგედიის შესახებ (თუმცა მოგზაური ტექსტში არ ასახელებს ლაზარევს). „ასე ჩამოვიდა (ალბათ სამუდამოდ), — წერს კ. კოხი, — უძველესი სამეფო ოჯახი საისტორიო სარბიელიდან ამ ცივილიზაციის საუკუნეში, რომ შემდგომში, ალბათ, ვეღარ აღედგინა თავისი დამოუკიდებლობა“.

როგორი იყო საქართველოს შიდაპოლიტიკური ვითარება, ამაზე მეორე მოგზაურის ე. სპენსერის ჩანაწერებშიც საკმაოდ ძუნწ ცნობებს ვხვდებით.

ე. სპენსერის გადმოცემით, ცარიზმმა საქართველოში დაიწყო მისთვის ჩვეული პოლიტიკის გატარება. მოგზაურის თქმით, რუსეთის მთავრობა საოცრად ოსტატურად ახერხებდა ინტრიგების გაბმას, რათა საქართველოს მთავრები გამოეყვანა მოთმინებიდან და ამით უფრო ადვილად დაემორჩილებინა ქვეყანა. ე. სპენსერის აზრით, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრებს შორის

---

[28] კ. კოხი ცდება. მანიფესტის არსებობის შესახებ გიორგი XII-მ არაფერი იცოდა, იგი საიდუმლოდ იყო შედგენილი სახელმწიფო საბჭოში და მას ხელს აწერდა პავლე I და არა გიორგი XII. ამ მანიფესტის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფოს, მართლაც, ბოლო ეღებოდა.

ატყდა ქიშპი და უთანხმოება. ერეკლე პრეტენზიას აცხადებდა იმერეთის მეფის სოლომონის ტერიტორიაზე. სოლომონი უძლური იყო წინააღმდეგობა გაეწია ერეკლესათვის და ამიტომ კავშირი შეკრა სამეგრელოს მთავარ დადიანთან. ძმათა შორის გაჩაღდა საშინაო ბრძოლა. მოგზაურის ცნობით, ამ საშინაო ბრძოლამ ბევრი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. სპენსერის თქმით, მფარველი იძულებული შეიქნა ჩარეულიყო საქმეში და მიაღწია იმას, რომ ქართლის მეფემ ოავისი სახელმწიფო რუსეთს უანდერძა, ხოლო იმერეთის მეფე გააძევეს[29].

კ. კოხის აზრით, რუსეთი დროებით მაინც მფლობელის ფორმალური უფლებით სარგებლობდა და თავს ვერ თვლიდა ქვეყნის სრულუფლებიან ბატონ-პატრონად.

ე. სპენსერის თქმით, ამიერკავკასიაში ასეთი წარმატების შემდეგ რუსეთს თავისი ბედი უნდა ეცადა კავკასიის მთის ხალხებთანაც. მაგრამ რუსეთი აქ ასე იოლად ვერ აღწევდა წარმატებას.

მეფის რუსეთი ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ჰეგემონიისათვის ბრძოლის დროს რომ მარტო საქართველოში დამკვიდრებისათვის არ იღწვოდა. არამედ მთელი ამიერკავკასიის ხელში ჩაგდებაზე ზრუნავდა, ეს კარგად ჩანს ჩვენი მოგზაურების ჩანაწერების მიხედვითაც.

*

* *

ე. სპენსერი და კ. კოხი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ საქართველოსა და კავკასიაში იმ დროისათვის შექმნილი პოლიტიკური ვითარების მიმართ. ისინი ზოგჯერ აქ გათამაშებული პოლიტიკური მოვლენების უშუალო მონაწილენიც კი გახდარან. ბუნებრივია, რომ ეს მათ დაკვირვების უდიდეს შესაძლებლობებს უქმნიდა. ამიტომაცაა, რომ ისინი ზოგჯერ დეტალურად აგვიწერენ საომარ ველზე წარმოებულ ბრძოლებს, შეძლებისდაგვარად აანალიზებენ პოლიტიკურ სიტუაციებს და ამასთანავე ცდილობენ როგორღაც, მიგვანიშნონ ომში ჩაბმული ქვეყნების (რუსეთის, თურქეთის, ირანის და ევროპის ქვეყნების) მიზნებსა და ინტერესებზე კავკასიაში.

ე. სპენსერი საზოგადოდ კარგად იცნობს რუსეთის ცარიზმის.

---

[29] ასეთია უცხო მოგზაურის შთაბეჭდილება, რეალური ვითარება კი ასახული გვაქვს სათანადო კომენტარში (№ 110).

კოლონიალურ პოლიტიკას და კარგად არის გათვითცნობიერებული კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში, ერკვევა რუსეთის სურვილებსა და მისწრაფებებში; მოგზაურის ყურადღების ცენტრშია აგრეთვე რუსეთ-თურქეთის ინტერესების შეჯახება შავიზღვისპირეთში.

კავკასიის ხელში ჩასაგდებად მეფის რუსეთმა, ე. სპენსერის აზრით, მოხერხებულად ისარგებლა ქრისტიანი ხალხების თურქეთის აგრესიისაგან დაცვის ნიღბით. მაგრამ, მისი თქმით, არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა მეფის რუსეთის ჭეშმარიტი მიზნები. იგი პირდაპირ წერს: „იმედია, მას შემდეგ, რაც ევროპას თვალი აეხილა და რუსეთის პატივმოყვარე მიზნებს ჩასწვდა, ბრძოლაში უბრალო მოწმის როლში აღარ დარჩება“ (გვ. 135).

ინგლისი და საფრანგეთი, მართლაც, არ დარჩენილან უბრალო მოწმეების როლში. ისინი სასწრაფოდ ამოუდგნენ მხარში თურქეთს, რადგან რუსეთის პრეტენზიები მათ თურქეთის „დაჩაგვრად“ მიიჩნიეს. ცხადია, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო ინგლისელ კოლონიზატორთა გამოსარჩლების ჭეშმარიტი მიზეზი. ამის იქით იმალებოდა ინგლისის აგრესიული ზრახვები შაჰისა და სულთნის ინგლისის სატელიტებად გადასაქცევად, ხოლო მათი სამფლობელოებისა — ბრიტანეთის. ინპერიის კოლონიებად. რაც შეეხება რუსეთს, ინგლისი ყოველმხრივ ცდილობდა გამოეკეტა იგი შავ ზღვაში, გასაქანი არ მიეცა მისთვის, და საერთოდ განედევნა რუსეთი კავკასიის ფარგლებიდან[30].

ინგლისის ნამდვილ პოლიტიკურ ზრახვებზე ე. სპენსერი სდუმს. მას სურს თავისი სამშობლო კეთილშობილურ როლში წარმოადგინოს და გვარწმუნებს, რომ ინგლისი უანგაროდ ეხმარებოდა კავკასიის მთის ხალხებს მათ მიერ დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ამ ბრძოლაში ირანისა და თურქეთის ზურგს უკან მუდამ იდგა ინგლისი, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა არ დაეშვა რუსეთის გაძლიერება კავკასიაში[31].

რუსეთის ბრძოლა ჩრდილო-კავკასიისა და შავი ზღვის სანაპიროებისათვის ფაქტიურად იწყება შავი ზღვის მთავარი ნავსადგურების ხელში ჩაგდებით. ამიტომაც უთმობს ე. სპენსერი ასე დიდ ადგილს თავის „მოგზაურობაში“ შავი ზღვის სანაპიროს ძირითადი ნავსადგურების (ანაპიდან მოყოლებული, ვიდრე რედუტ-კა-

---

[30] А. В. Фадеев, Россия и Кавказ первой трети XIX в., с. 365.
[31] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

ლემდე) დასაპყრობად რუსეთსა და თურქეთს შორის გაჩაღებული ხანგრძლივი ბრძოლების აღწერას.

ე. სპენსერი საგანგებოდ ჩერდება ქ. ანაპის ადგილმდებარეობის აღწერასა და მისი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის, დახასიათებაზე. ნავსადგური, მართლაც, დიდი პოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობის პუნქტს წარმოადგენდა როგორც თურქეთისათვის (თურქეთი ამ ნავსადგურის საშუალებით უკავშირდებოდა, სპენსერის თქმით, ყუბანის გაღმა მოსახლეობას), ისე რუსეთისათვის. საქმის კარგი ცოდნით მოგვითხრობს ე. სპენსერი ქ. ანაპისათვის წარმოებული ბრძოლების ისტორიას. მისი ცნობით, ანაპის ხელში ჩასაგდებად პირველად გენერალმა ბიბიკოვმა გაილაშქრა 1790 წელს, მაგრამ იგი ქალაქის კარიბჭეს მიადგა მხოლოდ. შემდეგ წელს გენერალმა გუდოვიჩმა ექვსკვირიანი ალყის შედეგად იერიშით აიღო ნავსადგური, მაგრამ ბოლოს მაინც მოუხდა მისი დატოვება. მოგვიანებით ქ. ანაპა რამდენჯერმე დალაშქრა გოვოროვმა. გოვოროვის ჯარებმა აიღეს ნავსადგური, დაანგრიეს მისი ციხესიმაგრეები და კვლავ უკან დაიხიეს. 1811 წელს რუსეთის ჯარმა ისევ აიღო ანაპა. ამის შემდეგ ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა: ხან რუსებს ეკავათ იგი და ხან თურქებს, ვიდრე საბოლოოდ 1828 წელს ანაპა არ აიღო გენერალ მენშიკოვის ჯარმა.

ე. სპენსერი სამართლიანად შენიშნავს, რომ ანაპის ხელში ჩაგდებით რუსეთმა ფეხი მოიკიდა ჩერქეზეთში და შესანიშნავი პლაცდარმი მოიწყო შემდგომი სამარი ოპერაციების საწარმოებლად კავკასიაში. მისი აზრით, რუსეთს ახლა უკვე ხელსაყრელი პირობები ექმნებოდა იმისათვის, რომ თანდათანობით დაემორჩილებინა მთის დასავლეთის ტომები და მომავალში კიდევ უფრო განევრცო დაპყრობილი ტერიტორიები. მოგზაური იმასაც დასძენს, რომ მიუხედავად რუსეთის ძლევამოსილებისა და დიდი მცდელობისა, რუსეთის მთავრობამ დიდხანს მაინც ვერ მოახერხა საფუძვლიანად გამაგრება ჩერქეზეთის სანაპიროზე.

ანაპიდან დაახლოებით 30 მილის დაშორებით, ე. სპენსერის ცნობით, მდებარეობს მეორე მნიშვნელოვანი პორტი — სუჯუკ-კალე. 1809 წელს გენერალ გუდოვიჩს უცდია ამ ნავსადგურის აღება, მაგრამ უშედეგოდ. 1811 წელს რუსებს ბედმა გაუღიმა, და ქალაქი რუსმა გენერალმა ჰერცოგმა რიშელიემ იგდო ხელთ. ბუქარესტის ზავის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, როგორც ე. სპენსერი გვაუწყებს, ნავსადგური ისევ თურქებმა დაიბრუნეს. „ჩერ-

ქეზები მიხვდნენ, რომ ცუდი სტრატეგები არიან, რომ „თურქებს მათთვის უბედურება მოაქვთ“ და გადაწყვიტეს მათი განდევნა სუჯუკ-კალედან. დაანგრიეს სიმაგრე და 1836 წლამდე თვითონ ფლობდნენ ნავსადგურს.

ე. სპენსერი ეხება აგრეთვე გენერალ ველიამინოვის 1836 წლის წარუმატებელ ლაშქრობას კავკასიაში და მის ბრძოლას სუჯუკ-კალეს ასაღებად. ჩერქეზებმა მუსრი გაავლეს ველიამინოვის 15-ათასიან რაზმს; მიუხედავად მარცხისა, სპენსერის აზრით ამ ხანმოკლე ლაშქრობამ მაინც მისცა რუსეთს გარკვეული უპირატესობა: ველიამინოვმა შეძლო ზღვის სრუტეების დასაცავად ორი ფორტი აეგო სანაპიროზე — ანაპასა და გელენჯიკში. ე. სპენსერი თვლის, რომ ამით ველიამინოვი ამზადებდა პლაცდარმს მთის მოსახლეობის დასაპყრობად, თუმცა იმასაც შენიშნავს, რომ მან ეს ისევე ვერ განახორციელა, როგორც მისმა წინამორბედებმა.

კ. კოხს კორექტივი შეაქვს ინგლისელი მოგზაურის ამ ცნობაში. მისი აზრით, სხვაგვარი ვითარება იყო სუჯუკ-კალეში. მეფის რუსეთმა ივარაუდა, რომ მასაც გარკვეული უფლებები აქვს სუჯუკ-კალეზე, დაანგრია ნავსადგურში არსებული სავაჭრო პუნქტი ცემესი და მის სამხრეთ ნაწილში ააგო ახალი ციხესიმაგრე კაბარდინსკი; უარი თქვა სუჯუკ-კალეზე და ცემესის შესართავთან ააგო მეორე რუსული ციხე-სიმაგრე, რათა აქედან უფრო მოხერხებულად ედევნებინა თვალი ჩერქეზთა საომარი ოპერაციებისათვის. ასე გაჩნდა, კ. კოხის აზრით, ნოვოროსიისკი. მეფის რუსეთი ცდილობდა აგრეთვე ანაპასთან კავშირის დამყარებას; ამისთვის კი საჭირო იყო ნიკოლაევისა და რაევსკის დაკავება. ასეთი იყო, კოხის თქმით, საქმის ნამდვილი ვითარება.

არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მეფის რუსეთისათვის სამხედროპოლიტიკური თვალსაზრისით გელენჯიკის დაპყრობასაც. ნავსადგურს ძალზე მოსახერხებელი მდებარეობა ეკავა. ერთი მხრით იგი უკავშირდებოდა სუჯუკ-კალეს, ხოლო მეორე მხრით — ფშადს.

ე. სპენსერის თქმით, მეფის რუსეთის მთავრობამ შესანიშნავად გამოიყენა ადრიანოპოლის ზავის ერთი ბუნდოვანი ფრაზა და დიდი ჯარი გაგზავნა გელენჯიკის დასაკავებლად. ადრიანოპოლის ზავის მე-4 მუხლში ნათქვამი იყო: „საქართველო, იმერეთი, სამეგრელო, გურია და ამიერკავკასიის სხვა პროვინციები სამუდამოდ უერთდებიან რუსეთის იმპერიას“ (ხა-

ზი ჩვენია — ლ. მ.). ამ მუხლით სულთან მაჰმუდ II უარს ამბობდა იმ ტერიტორიების ფლობის პრეტენზიებზე, რომლებიც სასაზღვრო ხაზის ჩრდილოეთით მდებარეობდა და რუსეთს ცნობდა მათ მუდმივ პატრონად. მაგრამ ამ ტერიტორიებში მოხვდა ის მიწებიც, რომლებიც არასოდეს ყოფილა სულთნის საკუთრება, ისინი მხოლოდ მისი პოლიტიკური გავლენის სფეროში შედიოდნენ. ჩერქეზები არასოდეს არ ყოფილან თურქეთის სულთნის ვასალები.

კ. მარქსი ამის შესახებ შენიშნავს: «Турция не могла уступить России то, чем она не владела сама... Черкесия всегда была настолько независима от Турции, что в то время как в Анапе еще имел местопребывание турецкий паша, Россия заключила соглашение с черкеским вождем о прибрежней торговле[32]» (ხაზი ჩვენია—ლ. მ.).

ეს აზრი აქვს გამოთქმული ე. სპენსერს ადრიანოპოლის ზავის ამ მუხლის კვალიფიკაციის დროს. იგი შენიშნავს: „განსვენებული სულთნის „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ ქვეყანა ვერასდროს იტყოდა უარს იმაზე, რაც მას არ ეკუთვნოდა (ეს კი სულთანმა კარგად იცოდა). ყველასათვის ცხადია, რომ სულთანი არასოდეს არ გახდიდა ქრისტიანი მფლობელის მონად ისეთ ქვეყანას, რომელშიც მილიონამდე მაჰმადიანი ცხოვრობდა“ (გვ. 12).

ე. სპენსერი საყვედურობს დასავლეთის დიპლომატებს იმას, რომ მათ არ ეყოთ საკმარისი ჭკუა იმისათვის, რათა ჩაწვდომოდნენ იმ აზრს, რას გულისხმობდა ზავის ამ სიტყვებში“ „და ამიერკავკასიის სხვა პროვინციები“ „სანკტ-პეტერბურგის ცბიერი სამეფო კარი“.

ცხადია, არც თვით კავკასიელ ხალხს შეეძლო ზავის ამ მუხლის მიღება. ისინი ხომ, საერთოდ, არც იღებდნენ მონაწილეობას ამ ხელშეკრულების დადებაში. მათ არც რუსეთის მთავრობის ძალაუფლების აღიარება სურდათ და არც თურქეთის ბატონობა აწყობდათ. მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობამ მაინც თავისი სურვილის მიხედვით წაიკითხა ადრიანოპოლის ზავის აღნიშნული მუხლი და ამით იურიდიული საფუძველი შექმნა მთიელთა დაპყრობის გასამართლებლად. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ყუბანსა და შავ ზღვას შუა დასახლებული ტერიტორიების შემოერ-

---

[32] К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. IX, с. 541.

თება დაპყრობის გარეშე ვერც წარმოედგინა რუსეთის მოავრობას[33].

გელენჯიკიდან 15 მილის დაშორებით მდებარეობდა შავიზღვისპირა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნავსადგური— ფშადი. რუსეთის ცდა აეღო იგი, ე. სპენსერის თქმით, მარცხით დამთავრდა. კ. კოხის ცნობით, რუსებმა ფშადი აიღეს 1840 — 41 წლებში, ციხესიმაგრედ აქციეს და უწოდეს ნოვოტროიცკი.

შავი ზღვის მნიშვნელოვან ნავსადგურთა რიცხვს მიაკუთვნებს ე. სპენსერი ვარდანსაც. ვარდანის პორტი, ე. სპენსერის რუკის მიხედვით, ადლერსა და ახლანდელ ტუაპსეს (მამაი?) შორის მდებარეობს, გაგრის უფსკრულთან. სწორედ აქ წარმოებდა, მისი გადმოცემით, გააფთრებული ბრძოლები პარტიზანებსა და რუსის ჯარს შორის.

კ. კოხს აქაც თავისი კორექტივი შეაქვს ე. სპენსერის ცნობაში ვარდანის ადგილმდებარეობის შესახებ. მას ისეთი შთაბეჭდილება დარჩენია რატომღაც, რომ ე. სპენსერი გაგრასა და ვარდანს ურევს ერთმანეთში. ვარდანი, კ. კოხის ცნობით, მდებარეობს მამაისგან ჩრდილო-დასავლეთით, ხოლო გაგრა — აფხაზეთის სამთავროს რუსული სამფლობელოა. ე. სპენსერის „მოგზაურობიდანაც“ და მისი რუკიდანაც აშკარად ჩანს, რომ მისთვისაც ეს ორი სხვადასხვა ნავსადგურია.

დიდი მნიშვნელობის ნავსადგურების გვერდით ე. სპენსერი ჩამოთვლის აგრეთვე პატარა უმნიშვნელო პორტებსაც (მამაი, ადლერი და სხვ.), რომლებიც, მართალია, აღნიშნულია შავიზღვისპირეთის რუკებზე, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოდგება დიდი გემების ნავსაყუდლად.

აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო სოხუმ-კალე. ე. სპენსერის ცნობით, იგი ადრიანოპოლის ზავამდე ანაპის მსგავსად ხელიდან ხელში გადადიოდა (ხან რუსეთი ფლობდა მას და ხან თურქეთი)., საბოლოოდ ქალაქი რუსებს დარჩათ.

ადრიანოპოლის ზავმა თურქეთს წაართვა დასავლეთ საქართველო და სხვა რაიონები. ტერიტორია ახალციხიდან წმინდა ნიკოლოზის ნავსადგურამდე გადავიდა მეფის რუსეთის ხელში. ამით ფაქტიურად დამთავრდა რუსეთთან კავკასიის ძირითადი ტერიტორიების შეერთების პროცესიც. ახალციხის პლაცდარმისა და ანა-

---

[33] А. В. Фадеев, Россия и Кавказ, с. 340.

პისა და ფოთის აღებით მეფის რუსეთმა გაიმყარა პოზიციები კავკასიაში. ადრიანოპოლისა და თურქმანჩაის ხელშეკრულებების მიხედვით, თურქეთმა და ირანმა საბოლოოდ დაკარგეს კავკასია, მაგრამ მეფის რუსეთმა მაინც ვერ მოახერხა გაბატონებული მდგომარეობა მოეპოვებინა კავკასიაში და გამხდარიყო მისი სრული ბატონპატრონი. ვიდრე დაღესტანი, ჩერქეზეთი და მთის ზოგიერთი ხალხის წინააღმდეგობა გაუტეხელი რჩებოდა, იგი ფეხს ვერ მოიკიდებდა მტკიცედ კავკასიაში.

თავისი პოზიციების გასამაგრებლად მეფის რუსეთი მრავალრიცხოვან სიმაგრეებსა და ფორტებს აგებდა შავი ზღვის სანაპიროზე. ცნობილია, რომ შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის შექმნას იმიტომ ესწრაფოდა ცარიზმი, რომ ამ გზით დაეჩქარებინა ჩრდილო-კავკასიის შემოერთება რუსეთთან. მკვლევარი ს. ბუშუევი ასკვნის, რომ «Цель учреждения Черноморской береговой линии состояла в том, чтобы ускорить присоединение северо-западного Кавказа к России, блокировать побережье и пресечь военные связи мюридов с иностранными государствами, главным образом с Турцией и Англией[34].

რუსული ციხესიმაგრეების მშენებლობის შესახებ ე. სპენსერთან შედარებით კ. კოხი უფრო მეტ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის. მისი თქმით, 1838 წლიდან ნოვოროსიისკიდან გაგრამდე 7 რუსული ციხესიმაგრე გაშენდა შავი ზღვისპირა სანაპირო ხაზზე. 1836 წელს, როდესაც კ. კოხი ჩამოვიდა საქართველოში, შავიზღვისპირა სიმაგრეების მშენებლობა სწრაფი და ინტენსიური ტემპით მიმდინარეობდა. მოგზაურმა თვითონ მოიხილა ეს სიმაგრეები. მისი მისი აზრითაც მეფის რუსეთის მთავრობა ამ სიმაგრეების აშენებით ჩერქეზებს უსპობდა მიწოსვლის საშუალებას. რუსები მაგრდებოდნენ თავის აშენებულ ციხესიმაგრეებსა და ფორტებში, ხოლო სანაპიროზე არსებულ ჩერქეზულ სიმაგრეებს ტოვებდნენ. ამ დროიდან მათი ფლოტი ბატონობდა შავ ზღვაზე. 1839 წლისათვის შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის გამაგრება ძირითადად დამთავრებული იყო. ამ მშენებლობის დადებით შედეგებზე მოგვითხრობს ნ. რაევსკი: «Устройство по северо-восточному берегу Черного моря линий укреплений принесло большую пользу. Контрабандная торговля турок с черкесами... пришла в совершенный упадок. Государство более обезопасилось от внесенной чумной

[34] С. К. Бушуев, Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России, М., 1955, с. 39.

заразы, поселившиеся в новых укреплениях, вольнопромышленники завели торговлю с горцами, а политические и торговые сношения повели к сближению их с нами»[35].

შავი ზღვის სანაპიროზე საბოლოო ბატონობის მოსაპოვებლად, ე. სპენსერის ცნობების მიხედვით, მეფის რუსეთმა გადაწყვიტა გზა გაეყვანა ანაპიდან თურქეთის საზღვარზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის ციხესიმაგრემდე (სანაპიროს გასწვრივ), რათა ფორტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა კავშირი დაემყარებინათ ერთმანეთთან. პალელურად დაიწყო მეორე გზის გაყვანაც ვლადიკავკაზიდან თბილისამდე. ამ გზის ყველა გამაგრებული პუნქტი დაცული იქნებოდა რუსული სიმაგრეებითა და გარნიზონებით. ეს გზა, სპენსერის თქმით, მთავრობას გაჰყავდა იმ მიზნით, რომ დასავლეთ საქართველოს მსგავსად ჩრდილო კავკასიის სხვა პროვინციებიც შემოერთებოდა რუსეთის იმპერიას.

ე. სპენსერის აზრით, ეს იყო მეტად დიდი და საშიში წამოწყება. მოგზაური აგვიწერს იმ აუტანლად მძიმე პირობებს, რომლებშიაც უხდებოდა მუშაობა ჯარს გზის გაყვანის დროს. ე. სპენსერი გადმოგვცემს, რომ იგი თავად ვორონცოვთან ერთად გაემგზავრა ამ გზის მშენებლობის დასათვალიერებლად. ვორონცოვის ექსპედიციას მთიელ პარტიზანთა შიშით თან გაჰყვა გელენჯიკის გარნიზონის ჯარისკაცთა ნახევარზე მეტი. ამ ექსპედიციისა და მასში ე. სპენსერის მონაწილეობის შესახებ საფრანგეთის კონსული ოდესაში შალე წერდა, რომ «Господину Спенсеру с большим искусством удалось попасть в число лиц, сопровождавших графа Воронцова во время его путешествия по берегу Черкесии[36]» (ხაზი ჩვენია—ლ. მ.). რასაც არ უნდა გულისხმობდეს ფრანგი კონსული შალე, ერთი აშკარაა, რომ ე. სპენსერი შავიზღვისპირეთში მოგზაურობის მონაწილეა და საკუთარი თვალით აქვს ნანახი ის მძიმე სურათი, რომელსაც აგვიწერს თავის ჩანაწერებში. ე. სპენსერის თქმით, გზის მშენებლობის დროს ათასობით რუსი ჯარისკაცი იღუპებოდა. მოგზაური გააოცა იმ სანახაობამ, რომელიც მან იხილა ადგილზე. „ჯარისკაცთა ნაწილი პატრუქებით დგას ქვემეხების გვერდით (ქვემეხი, მისი თქმით, ცხენის უნაგირზეა მიმაგრებული) და მუდმივ მზადყოფნაშია, ვინაიდან ყოველ წუთს იმის მოლოდინშია, რომ გაისმის პარტიზანთა საზარელი ყიჟინა და

---

[35] Архив Раевских, т. III.

[36] Красный архив, 1940, № 5, с. 211.

სროლის ხმა. ჯარისკაცთა მეორე ნაწილი ამ დროს წერაქვებითა და ბარებით შეიარაღებული გამეტებით მუშაობს მცხუნვარე მზის სხივების ქვეშ". ამ უმძიმესი პირობების მიუხედავად, მოგზაურის თქმით, „უკაზი" მაინც სრულდება. ხშირად ჯარისკაცებს ერთსა და იმავე სამუშაოს რამდენჯერმე გაკეთება უხდებათ, რადგან მთიელები ანგრევენ მათ ნაკეთებ გზას. გარდა აუტანელი სამუშაო პირობებისა, ჯარს ცელავს ციება. ჯარისკაცთა ხშირი სიკვდილიანობის გამო გარნიზონს ყოველთვიურად ჭირდება ახალ-ახალი ძალებით შევსება. გაკვირვებული შენიშნავს მოგზაური, რომ არც ეს გარემოება აფერხებს რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას. ჯარისკაცები უმაგალითოდ უმკლავდებიან ამ სიძნელეებს. ამის შესახებ ე. სპენსერი წერს: „არ გეგონოთ, რომ რუსეთის მთავრობის ეს ენერგია და უნარი მხოლოდ შავი ზღვის ჩერქეზეთის სანაპიროსა და ყირიმის მიმართ მჟღავნდება. ან უნარს, გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ლ ს რ კ ი ნ ი ს ე - ბ უ რ ე ნ ე რ გ ი ა ღ, ჩვენ ვხედებით ყველგან: ციმბირში და კამჩატკაზე, ნევაზე და აღმოსავლეთ სანაპიროზე. ერთი სიტყვით, შორეული საზღვრების ყველა პუნქტში" (გვ. 143).

ორივე მოგზაური, ე. სპენსერიც და კ. კოხიც, ერთხმად აღნიშნავს, რომ რუსი ჯარისკაცი საოცრად ამტანი და დისციპლინირებულია. ის ყოველთვის მზადაა სამსახურისათვის; რუსი ჯარისკაცი ბრძანების უსიტყვო შემსრულებელია. მოგზაურთა შეთანხმებული აზრით, რუსი ჯარისკაცი შესანიშნავი მეომარია, ამიტომაა, რომ მათ სრულიად უსამართლოდ მიაჩნიათ ლაპარაკი რუსი ჯარისკაცის ლაჩრობასა და სიმხდალეზე. ისინი არ იზიარებენ ინგლისელი, ფრანგი და გერმანელი მიმომხილველების საყვედურს რუსი ჯარისკაცის მიმართ, თითქოს მისი სიმხდალით ყოფილიყოს გამოწვეული რუსების წარუმატებლობა კავკასიისათვის ბრძოლებში.

რუსეთის ჯარის თავისუფალ მოქმედებას კავკასიაში, ე. სპენსერის თქმით, ბევრი რამ ეღობებოდა წინ. ამ მიზეზთა შორის, მისი აზრით, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ჩერქეზი პარტიზანების, ე. წ. გვერილიასების გამუდმებული თავდასხმები.

ე. სპენსერი აღტაცებული პარტიზანთა მამაცური შემართებით, ვაჟკაცური ბრძოლითა და სამშობლოს უანგარო სიყვარულით.

ე. სპენსერი მათ ახასიათებს როგორც საოცრად გამბედავ და უშიშარ მებრძოლებს, რომელთაც ბადალი არა ჰყავთ მთელ მსოფლიოში. თავდასხმების დროს პარტიზანები საკვირველ საზრიანო-

ბას და მოხერხებულობას იჩენენ. ისინი, მოგზაურის თქმით, კარგად ირჩევენ მომგებიან და თავდასხმისათვის ხელსაყრელ პოზიციებს ზუსტად და შეუცდომლად მოქმედებენ. პარტიზანები მოულოდნელად ესხმიან თავს ჯარისკაცებს და ისევე სწრაფად უჩინარდებიან, როგორც გამოჩნდებიან ხოლმე. ისინი უმთავრესად ოფიცრებს ემტერებიან, რადგან უმეთაუროდ დარჩენილ ჯარისკაცებს თავგზა ებნევათ და მოქმედების უნარი ეკარგებათ. ე. სპენსერის აზრით, ეს იყო პარტიზანთა სამხედრო ტაქტიკა, რომელიც ყოველთვის მათი წარმატებით გვირგვინდებოდა. ჯარისკაცები ისე იყვნენ მათგან დაშინებული, რომ გარნიზონიდან ცხვირს ვერ ჰყოფდნენ გარეთ. იყო შემთხვევები ადამიანის გატაცებისა. კ. კოზის თქმით, ასე მოიტაცეს ჩერქეზმა პარტიზანებმა პოეტი ბესტუჟევ-მარლინსკი, რომელიც შემდეგ აღარავის უნახავს.

ე. სპენსერი შენიშნავს, რომ კავკასიელ პარტიზანებს წინააღმდეგობას მხოლოდ ყუბანისა და შავიზღვისპირეთის კაზაკების რუსული რაზმები თუ უწევდნენ, რადგან მათ კარგად ჰქონდათ შესწავლილი კავკასიელი გვერილიასების ბრძოლის ხერხები და მეთოდები.

პარტიზანების გამუდმებულ თავდასხმებს, მოგზაურის აზრით, ემატებოდა მძიმე საომარი პირობები. ადგილობრივი ცუდი ჰავა რუსი ჯარისკაცის ერთ-ერთი საშიში მტერი იყო. ბევრი მათგანი ვერ უძლებდა მას და ავადდებოდა. ე. სპენსერი აგვიწერს ამ პირობებში ჩავარდნილი რუსი ჯარისკაცის გარეგნულ იერს. მათდამი სიბრალულით გამსჭვალული მოგზაური მოგვითხრობს რომ მწყობრში ჩამდგარი გამხდარი, გაფითრებული ჯარისკაცები საცოდავად გამოიყურებოდნენ: მისი ცნობით, 310 კაციდან 50-მდე ჯარისკაცი თუ იქნებოდა ჯანმრთელი. ბინა და საკვები, თუ თვით ჯარისკაცებს ვერწმუნებით, ცუდი არა ჰქონიათ, მაგრამ ე. სპენსერს ეჭვი შეაქვს ჯარისკაცთა ნათქვამში, რადგან ოფიცრების შიშით ისინი ხშირად მალავდნენ სიმართლეს. იგი დასძენს, რომ რუს ჯარისკაცებს ძარცვავდნენ საკუთარი ოფიცრები და ვაჭრობდნენ მათი ტანსაცმლით და სურსათ-სანოვაგით. გარდაციებ-ცხელებისა, ჯარს სპობდა სურავანდი, რასაც იწვევდა ცუდი და უხარისხო საკვები. ავადმყოფობის მთავარ მიზეზად მოგზაური მაინც გზის მშენებლობის უმძიმეს პირობებს თვლის.

თავის ჩანაწერებში კ. კოხი გაკვრით ეხება რუსეთის ჯარის აუტანელ პირობებს კავკასიაში. ნიკოლაევში მას უნახავს ციებისაგან გადაყვითლებული სახეები, რომლებსაც მძიმე შთაბეჭდი-

ლება მოუხდენია მოგზაურზე. კ. კოხი გაოცებულია, რა ეკვეს ასეთ ვითარებაში ნიკოლაევში რუსეთის მთავრობას, რატომ სწირავს ასე უაზროდ იგი ადამიანთა სიცოცხლეს.

დიდ პრობლემას წარმოადგენდა რუსეთისათვის, კ. კოხის აზრით, აგრეთვე, მრავალრიცხოვანი ჯარის გამოკვება. არც საქართველოსა და კავკასიას და არც მის ახლომახლო მდებარე მაჰმადიანურ პროვინციებს არ შეეძლოთ რუსების მომარაგება პურით. პური ჯარისათვის მოჰქონდათ რუსეთის შორეული პროვინციებიდან, რაც, თავისთავად ცხადია, დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სხვა დაბრკოლებაც ჰქონდათ—თავშესაფარის უქონლობა. მტრის შემოსევისას მთიელი თავისი ავლადიდებით აბარგებული წინ მირეკავდა საქონელს და იხიზნებოდა მთებში, სადაც მტერი იოლად ვერ დაედევნებოდა. ეს გარემოებაც ძალიან უშლიდა ხელს, მოგზაურის აზრით, რუსეთის ჯარის წარმატებას კავკასიის ბრძოლებში.

კ. კოხი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ გამაგრებულ ციხესიმაგრეთაგან, რომლებიც რუსებმა აიღეს ამ დროის განმავლობაში, თითქმის ყველა მდებარეობდა საზღვართან. ცხადია, მათთვის ადვილი იყო ჯარისკაცების საომარი აღჭურვილობითა და სურსათ-სანოვაგით მომარაგება. სწორედ ამის გამო ვერ შესძლო შამილმა დაეპყრო ისეთი პირველხარისხოვანი სიმაგრეები, როგორიცაა დერბენდი, ყუბა, ზაქათალა და თბილისი.

დიდ სიძნელეებს აწყდებოდა, ე. სპენსერის აზრით, რუსეთის ჯარი კავკასიის დაპყრობისას მიუვალი გზებისა და ადგილმდებარეობის გამო. დიდი არმიის სამხედრო კორპუსებისათვის აქ სრულიად შეუძლებელი იყო ჩვეულებრივი საომარი ოპერაციების ჩატარება. ამას თან ერთვოდა საბრძოლო იარაღისა და პროდუქტის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სიძნელეები. ცხადია, რუსეთის მთავრობას უჭირდა უზარმაზარი არმიის ნორმალური და რეგულარული მომარაგება სურსათითა და საომარი აღჭურვილობით. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ახლომახლო არც დასახლებული პუნქტი იყო და არც მისასვლელი გზები. სპენსერის თქმით, ამ გარემოებით შესანიშნავად სარგებლობდნენ ჩერქეზები. რუსული ციხესიმაგრეები იმდენად იზოლირებული იყო ერთმანეთისაგან, რომ ჯარი დამარცხების შემთხვევაში თავშესაფარსაც მოკლებული იყო (ვერც წინ მიიწევდა და უკან დასახევი გზაც არა ჰქონდა). ასე რომ, მართალია, მთის მოსახლეობას რუსეთის არტილერიისაგან თავდაცვის საშუალებად მხოლოდ თოფი და მახ-

ვილი გააჩნდა, ისინი მაინც გამარჯვებულნი გამოდიოდნენ ბრძოლებიდან, რის შედეგადაც დიდხანს ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას. ამიტომ, სპენსერის აზრით, რუსეთის ძლიერება უფრო ხელსაყრელ რაიონებში, სადაც რუსული გარნიზონები იყო განლაგებული, მაინც მოჩვენებითი იყო. მოგზაური გვარწმუნებს, რომ ეს ნათლად დაინახა მან საომარ ხაზზე მოგზაურობის დროს. სხვათა შორის, ასეთივე აზრისა იყვნენ, მისი თქმით, თვით რუსი ოფიცრები.

ჩვენი მოგზაურების, ე. სპენსერისა და ჯ. კოხის ცნობები რუსეთის ჯარის მდგომარეობის შესახებ კავკასიაში ოდნავადაც არაა გადაჭარბებული. სპეციალური ლიტერატურიდანაც კარგადაა ცნობილი, რომ რუსეთის ჯარი ძალზე მოქანცული იყო გამუდმებული ბრძოლებით ირანსა და თურქეთთან. ამას ემატებოდა კიდევ მთიელ პარტიზანთა გამუდმებული თავდასხმები. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთის ჯარი კავკასიაში საომარი იარაღის მუდმივ ნაკლებობას განიცდიდა; ხშირად, მაგალითად, ჯარისკაცებს თოფებიც კი არა ჰქონდათ საკმარისი რაოდენობით. ყველაზე მეტად მათ აწუხებდათ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ფართო გასაქანი ეძლეოდა რუს მოხელეთა და ოფიცერთა აღვირახსნილობას; ძარცვა-გლეჯითა და ქურდობით ზარალდებოდა არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ თვით რუსი ჯარისკაციც[37].

რუსეთის ცარიზმს კავკასიაში თავისი მიზნების განხორციელებაში, ე. სპენსერის აზრით, წინ ეღობებოდა აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის ზიზღი და სიძულვილი ცარიზმის კოლონიზატორებისადმი. რუსეთის ავტორიტეტი საკმაოდ მერყეევი იყო იმპერიასთან შეერთებულ პროვინციებშიც კი (სამეგრელო, იმერეთი და გურია). ამას კარგად გრძნობდა, მოგზაურის თქმით, თვით ბეფის რუსეთის მთავრობა და ამიტომ იყო, რომ ვერ ბედავდა გადამწყვეტი იერიშის მიტანას მათ თავისუფლებაზე. ცარიზმი შიშობდა, რომ ასეთ პოლიტიკას შეეძლო გამოეწვია მღელვარება ადგილობრივ მოსახლეობაში. ამით კი იგი დაკარგავდა საქართველოს, რომელიც თავისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით პლაცდარმს წარმოადგენდა ამიერკავკასიის დანარჩენი პროვინციების დასაპყრობად. გარდა ამისა, საქართველოს ამხედრება რუსეთის ცარიზმის წინააღმდეგ, თავის მხრივ, აუცილებლად გამოიწვევდა

---

[37] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

თურქების გამოცოცხლებას. აქეთ შამილი, ჩეჩნები და ლეკები წამოპყოფდნენ თავს. ამის გამო იყო, სპენსერის აზრით, რომ მეფის რუსეთი თავს იკავებდა სახაზინო და საპასპორტო სისტემის შემოღებისაგან. მეფის რუსეთის მთავრობა დროებით თავს იკავებდა იმისგანაც, რომ შეესია საქართველოსათვის ჩინოვნიკთა მთელი არმია და ძალმომრეობით გაეტარებინა იქ თავისი კანონები. სპენსერის თვალსაზრისით ძალმომრეობა რუსეთის ცარიზმისათვის დამახასიათებელი პოლიტიკაა დაპყრობილი ხალხის მიმართ. რუსეთი კოლონიურ ქვეყნებში მხოლოდ ასეთ პოლიტიკას ატარებდა. ამის საფუძველზე მოგზაურს გამოაქვს დასკვნა, რომ ყველა ის პრივილეგია, რომელიც ხალხს ჯერ კიდევ აქვს შერჩენილი რუსეთის მიერ დაპყრობილ პროვინციებში, ხანმოკლე დროის შემდეგ გაუქმდება და მეფის რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლება შეცვლის იმ ლმობიერ ხელისუფლებას, რომელიც მათ აქვთ ჯერ-ჯერობით ადგილობრივი მთავრებისა და ხევის მეთაურთა წყალობით. ე. სპენსერის ღრმა რწმენით, ეს პრივილეგიები მალე გამოეცლება ხელიდან კავკასიელ ხალხს, რადგან „აქაც, როგორც ყველა ჩამორჩენილ და პრიმიტიულ ხალხთან (რუსეთის ბატონობის ქვეშ რომ იმყოფებიან), ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მანქანას, რომელსაც, მართალია, მართავს ერთადერთი მმართველი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ოსტატურად მართავს“ (გვ. 178).

ე. სპენსერი მართებულად შენიშნავს, რომ ერთი დაკვრით არ შეიძლებოდა კავკასიის ხალხთა წინააღმდეგობის გატეხა. იარაღისა და უხეში ძალის პოლიტიკით რუსეთმა ვერ მოახერხა ქვეყნის დამორჩილება. იგი ჩათრეული აღმოჩნდა ხანგრძლივ და მომქანცველ ბრძოლაში. რუსეთის მთავრობა გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ ასეთი პოლიტიკის გატარებას კავკასიაში მხოლოდ ზიანი მოჰქონდა. მეფის მთავრობა მიხვდა, რომ კავკასიის დასაპყრობად საჭირო იყო კოლონიური ზომების შეფარდება მთელი კავკასიის მხარის თავისებურებებთან[38].

ცარიზმმა ამ მიმართულებით გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა კავკასიაში. დაიწყო რუსული კოლონიებისა და სამხედრო დასახლებათა დაარსება. ახალშენები ძირითადად ოჯახმოკიდებული რუსი ჯარისკაცებისაგან შედგებოდა. მეფის მთავრობამ იკისრა მათი უზრუნველყოფა მიწის ნაკვეთებითა და სამუშაო იარაღებით. 1837 წლისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც სა-

---

[38] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, თბ., 1952, გვ. 209.

ქართველოსა და ამიერკავკასიაში მოგზაურობდა ე. სპენსერი, აქ უკვე იყო შექმნილი 10 სამხედრო კოლონია[39]. იგი საგანგებოდ აღნიშნავს ერმოლოვის დამსახურებას ამ სფეროში. საქართველოს კოლონიზაცია უმთავრესად რუსული მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა. ერმოლოვის მთავარი ამოცანა იყო, რომ საქართველო ექცია რუსეთის განუყოფელ ნაწილად, რათა ადგილობრივი მოსახლეობა, როგორც ის ამბობდა, „ენით, გონებითა და გრძნობით რუსი გამხდარიყო"[40]. რუსული ახალშენები შეიქმნა ერმოლოვის მთავარმართებლობის პერიოდში გორში, ბაშკიჩეთში, მანგლისში, თეთრწყაროში, გომბორში, მუხრანში და სხვ. ერმოლოვის დროსვე დასახლდა საქართველოში გერმანელი კოლონისტების 500-მდე ოჯახი, რომლებიც ვიურტემბერგიდან იყვნენ გადმოსახლებულნი.

1818 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი იყო შემდეგი გერმანული კოლონიები: ახალი თბილისი — თბილისის განაპირას (ახლანდელი პლეხანოვის პროსპექტის რაიონში), ალექსანდერსდორფი — მტკვრის სანაპიროზე 6 კმ-ით თბილისის ჩრდილოეთით, მარიენფელდი და ეკატერინენფელდი — ბორჩალოს რაიონში და სხვ. ამ დროსვე დაიწყო რუსი სექტანტების გადმოსახლება რუსეთიდან კავკასიაში. ციმბირის ნაცვლად მეფის მთავრობამ ისინი კავკასიაში დაასახლა. ამით ცარიზმმა ორი კურდღლის დაჭერა სცადა ერთდროულად; თავიდან აიცილა ორთოდოქსალურ ქრისტიანობაზე სექტანტთა მავნე გავლენა და მიზნად დაისახა, კავკასიის ადგილობრივი მოსახლეობის გარუსება[41].

ქვეყნის კოლონიზაცია ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის შევიწროების ხარჯზე მიმდინარეობდა. ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ კავკასიელ გლეხებს აყრიდნენ მამაპაპური მიწებიდან და მათ ნაკვეთებს კოლონისტებს ურიგებდნენ. საკუთარი მიწებიდან აყრილ გლეხობას კი უარეს ადგილებში ასახლებდნენ[42]. ყველაფერი ეს, ცხადია, ზრდიდა მოსახლეობაში უკმაყოფილებასა და სიძულვილს ცარიზმის კოლონიზატორებისადმი.

კავკასიის მთავარმართებლის პოსტზე გრაფ ვორონცოვის და-

---

[39] ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., 1949, გვ. 632—624.

[40] Колониальная политика царизма в Азербайджане, М.—Л., 1936, с. 280.

[41] ОРВЗК, ч. I, 1839, с. 163.

[42] И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в I пол. XIX в., Сухуми, 1955, с. 274.

ნიშვნის შემდეგ რუსეთის ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ უფრო დახვეწილი ფორმა მიიღო.

კ. კოხი საგანგებოდ ეხება კავკასიაში რუსეთის ცარიზმის ბატონობის მანკიერ მხარეებს. მისი აზრით, რუსეთმა კავკასიის შემოერთებულ პროვინციებში ბატონობის ისეთი ფორმა შემოიღო, რომელიც რუსეთის სინამდვილეში არსებობდა, მაგრამ მიუღებელი იყო კავკასიის ხალხებისათვის. იგი გვაუწყებს, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ და მისმა მთავრებმა ვერ მოახერხეს საუკუნეებით დამკვიდრებულ ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებზე ხელის აღება და სწორედ ამიტომ უამრავი საზრუნავი გაუჩინეს მეფის მთავრობას. კ. კოხი დასძენს, რომ რუსეთის მთავრობა სამწუხაროდ, გვიან მიხვდა თავის შეცდომას და შეუდგა მის გამოსწორებას.

უცხო მოგზაურთა თვალისთვისაც შესამჩნევი გახდა რუსეთის ცარიზმის პოლიტიკის უხეში შეცდომები კავკასიაში. ერთ-ერთ ასეთ შეცდომად კ. კოხი მიიჩნევს იმასაც, რომ თავის დროზე კავკასიიდან გამოთხოვილი იყვნენ ისეთი გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეები, როგორიც იყვნენ გენერალი ერმოლოვი და ვორონცოვი. მოგზაურის აზრით, არ არსებობდა ამის აუცილებლობა, პირიქით, იგი ფიქრობს, რომ ამან დიდი ზარალი მიაყენა როგორც კავკასიას, ასევე რუსეთის ავტორიტეტს. საზოგადოდ კ. კოხი თვლის, რომ რუსეთის პოლიტიკის შეცდომა იყო აგრეთვე სამხედრო და სამოქალაქო პირთა ხშირი ცვლა კავკასიაში.

საგანგებოდ აღნიშნავენ უცხოელი მოგზაურები ერმოლოვისა და ვორონცოვის დამსახურებას რუსეთის იმპერიის წინაშე. ერმოლოვმაც და ვორონცოვმაც ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ რუსეთის იმპერია საფუძვლიანად დაემკვიდრებინათ კავკასიაში.

გენერალ ერმოლოვს ეკუთვნის სიტყვები: „კავკასია უზარმაზარი ბასტიონია, რომელსაც იცავს ნახევარმილიონიანი გარნიზონი. მისი აფეთქება ძალიან ძვირი დაჯდება, მაშ, ვაწარმოოთ ალყა“[43]. სასტიკი რეპრესიებით მან მოახერხა ქვეყნად მშვიდობის დამყარება, დაიმორჩილა დაღესტნის სახანოები, რომლებიც სპარსეთის დახმარებით გაერთიანდნენ და გაიბრძოლეს რუსეთის წინააღმდეგ. 1821 — 24 წლებში იგი იბრძოდა თურქეთის ემისრების

---

[43] Н. П. Надеждин, Кавказский край. Сборник «Весь Кавказ», 1903, III.

წინააღმდეგ, 1825 წელს მან ჩაახშო აჯანყება ჩეჩნეთსა და ყაბარდოში[44].

უცხო მოგზაურთა აზრით, ერმოლოვს ღვაწლი და დამსახურება იმპერიის წინაშე არ დაუფასდა (კ. კოხი, გამბა, კამერონი და სხვ.). კ. კოხის აზრით, ერმოლოვი განუზომლად მეტს გააკეთებდა კავკასიისა და რუსეთის იმპერიისათვის, რომ უდროოდ არ გაეწვიათ იგი კავკასიიდან. მოგზაური პირდაპირ წერს, რომ „ადამიანი, რომელსაც ყველაზე დიდი დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე, ინტრიგის მსხვერპლი გახდა". რუსეთის ახალი მონარქი ნიკოლოზ I არ ენდობოდა ერმოლოვს, როგორც დეკაბრისტების შფარველს. იგი ოფიციალურად ბრალს დებდა ერმოლოვს იმაში, რომ ირანთან მარცხის მიზეზი მისი „უმოქმედობა" იყო და ამიტომ შეცვალა იგი უფრო „ქმედითი" გენერლით — პასკევიჩით[45].

ფრანგი მოგზაური გამბა აღტაცებულია ერმოლოვის პიროვნებითა და მისი მოღვაწეობით. იგი თვლის, რომ „იმპერატორი ალექსანდრე უკეთეს არჩევანს ვერც გააკეთებდა, თუ სურდა ამიერკავკასიის პროვინციების კეთილდღეობა და ამ ხალხის ბედნიერება"[45]. ერმოლოვის სახელს დიდი მოწიწებითა და პატივისცემით იხსენიებენ სხვა უცხო მოგზაურებიც. მაგალითად, ინგლისელი მოგზაურის კამერონის აზრით, ერმოლოვი იყო საოცრად საშართლიანი, უანგარო და დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა. მართალია, ისიც სასტიკ და უხეშ პიროვნებად გვიხატავს ერმოლოვს, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ის ზომები, რომელსაც ერმოლოვი ხანდახან მიმართავდა კავკასიაში მშვიდობის დასამყარებლად, „შეაშფოთებდა ადამიანს, მაგრამ ამ ზომებით მიღწეული ეფექტის არ დანახვაც შეუძლებელი იყო". ამასთან დაკავშირებით კამერონი იხსენებს ხალხში გავრცელებულ შეხედულებას, რომ „ბავშვსაც კი, თუ მას საამისო ფული აღმოაჩნდებოდა, თავისუფლად შეუძლია იმოგზაუროს კავკასიის პროვინციებში ისე, რომ ყველა მისი პუნქტი გაიაროს მშვიდობიანად და ყოველგვარი საფრთხის გარეშე". კამერონი მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რომელიც არსებობდა ერმოლოვსა და სხვა რუს მთავარმართებელთა შორის (გოლოვინი, როზენი და ხსვ.). მისი ხასიათის უბრალოებასა და

---

[44] გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, შრომები, II, 1958 გვ. 87—94.

[45] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 210.

[46] G a m b a, Voyage dans la Russie Mèridionale, et particulièrement dans les Provinces situées au-dela du Caucase, fait depuis 1820 jusqu'en 1824, Paris, 1826, t. II, P. 147.

სხვა დადებით თვისებებზე გამბაც მიუთითებდა თავის მოგზაურობაში. „აზიის სატრაპებისაგან განსხვავებით, — წერს გამბა, — მას აქვს სკვითის ჩვეულებები; ეზიზღება რა აღმოსავლური ფუფუნება, იგი ზედმეტად თავშეკავებული და ზომიერია, იძინებს უბრალო ხალიჩაზე, დადის უბრალო ეტლით და სხვა". კამერონი უმატებს იმას, რომ ერმოლოვი „ახლა (ე. ი. გადაყენების შემდეგ — ლ. მ.) ნოსკოვის ჩვეულებრივი მკვიდრია და იკვებება შავი პურით, შავიზღვისპირელი ჯარისკაცის მსგავსად, როგორც ერთი ღარიბი და უქონელი კაცი, არა, უფრო ღარიბიც, ვიდრე ის ჯარისკაცი" (გვ. 197). ამ თვისებების გამო იყოო, ამბობს კამერონი, რომ „ერმოლოვის ხსოვნას სათუთად ინახავდა ხალხი, მისტიროდა მას და სევდითა და გულისტკივილით იგონებდა მისი მმართველობის დროს"[47].

საგანგებოდ ჩერდება კ. კოხი თავად ვორონცოვის დამსახურებაზე რუსეთის იმპერიის წინაშე კავკასიის დაპყრობის საკითხში. ვორონცოვი ოსტატურად აგრძელებდა მისი წინამორბედების მიერ დაწყებულ და დაუმთავრებელ საქმეებს. კ. კოხის დახასიათებით, თავადი ვორონცოვი განათლებული პიროვნება და მოქნილი პოლიტიკოსი იყო. იგი თანმიმდევრულად და საფუძვლიანად ნერგავდა კავკასიაში რუსულ წესებს საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში"[78].

კ. კოხი გადმოგვცემს, რომ ვორონცოვი თითქმის 9 წლის განმავლობაში იყო კავკასიის მთავარმართებლის პოსტზე და ამ პერიოდში ბევრი რამ გააკეთა რუსეთის ბატონობის განსამტკიცებლად საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მოგზაურის აზრით, იგი იყო სამართლიანი და ორგანიზატორული ნიჭით უხვად დაჯილდოებული ადამიანი. «Он правил Закавказьем так, будто бы этот край был его родиною. Благо и счастье туземного населения были главною целью его забот, основным признаком для оценки хорошего и дурного в области администрации и суда. Для него не существовало коллизии между интересами России и интересами этой окраины. Он хорошо понимал, что главный интерес России состоял, по тому времени, только в том, чтобы связать с собою этих новых подданных нерасторжимыми узами, чтобы заставить

---

[47] Personal adventures and excursions in Georgia, Circassia and Russia by G. Poulet Cameron, in two volums, london, 1845, გვ. 299—300.

[48] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, რუსული მართველობის სისტემა საქართველოში გვ. 48—49

их позабыть о единоверном и единоплеменном правительстве и полюбить благосклонное и попечительнсе правительство русского монарха, и что точно также счастье благо покоренных народов состояло прежде всего опять-таки в том, чтобы покинув несбыточныя мечтания, привязаться к своей новой мачехе, как к родной матери[49]».

კ. კოხის თქმით, ვორონცოვს უყვარდა კავკასია და მისი მკვიდრნი, დიდ პატივს სცემდა კავკასიის რაინდ მოსახლეობას და მის პატრიოტულ გრძნობებს; ზედმიწევნით კარგად იცნობდა კავკასიას და მის მოსახლეობას; იგი კარგად იყო გარკვეული შექმნილ სიტუაციაში. კ. კოხი სავსებით იზიარებს ვორონცოვის პოლიტიკას, რომლის მიხედვით დაკვრრთი ზომების გატარება კავკასიაში, კავკასიის რუსეთთან გათქვეფის მიზნით, მხოლოდ ზიანს მოუტანდა იმპერიას. ვორონცოვის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი კარგად ჩანს მისი წერილიდან ნიკოლოზ პირველისადმი: «Всякая перемена, и всякое нововведение, изменяющие вековые обычаи, чрезвычайно трудно к введению везде, но особенно в здешнем крае, а потому, в подобных случаях, надобно действовать с большою осторожностью. Насильственные меры не только не принесут добра, но могут иметь очень дурные последствия[50]».

ორივე მოგზაურის აზრით, რუსეთის ცარიზმი კავკასიაში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად ისეთ ხერხებსაც მიმართავდა, რომლებიც, ე. სპენსერის თქმით, ჩვეულებრივ, განათლებულ ერებში კარგ შედეგებს იძლევა. რუსეთის მთავრობამ კარგად გამოიყენა დელფოსის მისნის რჩევა, რომელიც მან ფილიპე მაკედონელს მისცა: „თუ საბერძნეთის დაპყრობა გსურს, ვერცხლის შუბით იბრძოლეო“. რუსეთის მთავრობამ, ე. სპენსერის თქმით, მისდია ამ რჩევას და ოქროს საშუალებით უნდოდა გაეკეთებინა ის, რასაც იარაღით ვერ მიაღწია. მაგრამ ე. სპენსერი პათეტიურად აცხადებს, რომ კავკასიაში კიდევ არის მამაცი და შეუდრეკელი ხალხი, რომელიც სამშობლოს დამოუკიდებლობას და პირად თავისუფლებას არ გაყიდის დამპყრობლების ოქრო-ვერცხლზე.

ცარიზმი ფრთხილად და მოხერხებულად ატარებდა თავის პოლიტიკას კავკასიის ქვეყნებში. იგი ყოველნაირად ცდილობდა

---

[49] Гражданское управление Закавказьем, составил Иваненко, Тифлис, 1901, с. 348.

[50] იქვე, გვ. 349.

მეგობრულად განეწყო ადგილობრივი მკვიდრნი, მათი მთავრებისა და ხევისბერების გული მოეგო. კავკასიის მთის ხალხის წინამძღოლთა დაინტერესების მიზნით, რუსეთის მთავრობამ დააპირა საავჭრო ურთიერთობის დამყარება მათთან. თავადი ვორონცოვი, რომელიც ამ წამოწყების ინიციატორი იყო, ე. სპენსერის თქმით, რიშელიეს ჰუმანურ სისტემას მიმართავდა. საავჭრო ურთიერთობის დამყარებას ჩერქეზებთან ვორონცოვი ადრეევ ცდილობდა, მაგრამ ეს ურთიერთობა რუსი მოხელეებისა და ფშადის თავადის ინდარ-ოღლუს სისასტიკის გამო შეწყვეტილ იქნა. მოგზაური დასძენს, რომ ამ ურთიერთობის შეწყვეტა რუსების სურვილითაც მოხდა, ვინაიდან იგი არც მათ აძლევდა ხელს. სპენსერის თქმით, „თუ რიშელიეს დროს ერთი ელენე იყო რუსებთან საავჭრო ურთიერთობის გაწყვეტის საბაბი ფშადში, ბამბორაში მეორე ელენე აღმოჩნდა, რომელიც მსგავსი უთანხმოების მიზეზი გახდა“ (გვ. 157). საქმე იქამდე მივიდა, რომ აფხაზებმა[50] რუსების მაღაზიები გადაწვეს, მთელი გარნიზონი ამოწყვიტეს და თავის წინამძღოლსაც უსაყვედურეს — რუსებთან კავშირში ხარო, გადმოგვცემს ე. სპენსერი.

ჩერქეზებთან ამ საავჭრო ურთიერთობის დამყარების ცდას ეხება ინგლისელი მოგზაური, ჟურნალისტი ლონგვორტი თავის „მოგზაურობაში“. მისი ცნობით, 1818 წლიდან ცდილობს რუსეთი ტებუ დე მარინისა და სხვა ემისრების საშუალებით. რა თქმა უნდა, წმინდა პოლიტიკური მოსაზრებებით, საავჭრო ურთიერთობა დაამყაროს ჩერქეზებთან. ლონგვორტი აღნიშნავს, რომ რუსებისათვის ინდარ-ოღლუს ოჯახი იყო მთავარი იარაღი ჩერქეზებთან კავშირის დასამყარებლად. ლონგვორტი დაწვრილებით მოგვითხრობს, როგორ გამოიყენა რუსეთის მთავრობამ ინდარ-ოღლუ თავისი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და როგორ შეეწირა საბოლოოდ ამ კავშირს ინდარ-ოღლუ. „როგორც მე მითხრეს, — წერს ლონგვორტი, — რუსებმა ინდარ-ოღლუს მიმხრობა შეძლეს იმპერატორის სახელით მირთმეული ძვირფასი საჩუქრებით, მაგრამ მათ ვერ მოახერხეს უფრო ფრთხილი და გამოცდილი ხალხის ამ გზით მოტყუება“[51].

ადგილობრივი მმართველების გულის მოსაგებად რუსეთის მთავრობა პენსიებს უნიშნავდა მათ. მაგრამ, რასაც რუსეთის მთავ-

---

[50] ე. სპენსერი ჩერქეზებს ხშირად აფხაზებს უწოდებს. ასეთი აღრევა ხშირია სხვა ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებშიც.

[51] В. Гарданов, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

რობა პენსიას უწოდებდა, ე. სპენსერის თქმით, ფაქტიურად იყო ხარკი. სპენსერი რუსეთის მთავრობის ამ საქციელს ოინბაზობას უწოდებს. მისი აზრით, მეფის მთავრობის ოინბაზობა იქამდე მივიდა, რომ სამეგრელოს მთავარი 2000 მანეთზე მეტს იხდიდა რედუტ-კალეს ნავსადგურში სავაჭრო საზოგადოების დაარსების უფლების მოსაპოვებლად. ალექსანდრე II დროს სამეგრელო რუსეთის პროვინციად გამოცხადდაო, — შეგვახსენებს ე. სპენსერი. აქედან, მისი აზრით, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, თუ რა გზებითა და რა ხერხებით იქნა მოტყუებული კავკასიის ხალხი და მთის დამოუკიდებელი ტომები.

სხვაგვარად ფიქრობს და სხვა პოზიცია უკავია ამ საკითხში კ. კოხს. იგი ყოველნაირად ცდილობს გაამართლოს მეფის რუსეთის მთავრობის პოლიტიკა საზოგადოდ და საკუთრივ ეს კონკრეტული საქციელი. კ. კოხს კორექტივი შეაქვს ე. სპენსერის მიერ მოტანილი ფაქტის კვალიფიკაციაში. მისი აზრით, სამეგრელოს მთავარმა დადიანმა ფინანსური სიძნელეების გამო მიჰყიდა მეფის რუსეთს ზღვის სანაპიროზე საბაჟოს აშენების უფლება, რისთვისაც ყოველწლიურად იხდიდა 2000 მანეთს. სამაგიეროდ, შენიშნავს იგი, ახლა მეფის რუსეთი 4000 მანეთ შემოსავალს იღებს აქედან იმავე ვადაში.

აღგილობრივ მთავართა მოსყიდვისა და მათი გულის მოგების გარდა, ე. სპენსერის თქმით, მეფის რუსეთის მთავრობა ყველგან შუღლს, მტრობასა და უთანხმოებას თესდა კავკასიის სხვადასხვა ხალხებსა და ტომებს შორის. მეფის მთავრობა ფიქრობდა, რომ მთის ხალხის ცალკეულ ტომთა ერთმანეთთან დაპირისპირება, მათი გათიშვა და ლაქუცითა და საჩუქრებით მოსყიდვა იმის საშუალებას მისცემდა, რომ თავის მხარეზე გადაეყვანა პატარ-პატარა ტომებისა და ცალკეული სამთავროების მეთაურები.

*

* *

დიდ ადგილს უთმობენ მოგზაურები ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკით აღშფოთებული მთის ხალხის ანტიკოლონიური ბრძოლის აღწერას. ე. სპენსერიც და კ. კოხიც იმ აზრისა არიან, რომ შეუძლებელია ამ მოუდრეკელი სულის მქონე ხალხის წინააღმდეგობის ერთბაშად, ერთი დაკვრით გატეხა. მეფის რუსეთის მიერ წარმოებული უხეში ძალის პოლიტიკა ყველაზე მეტად

მიუღებელი და დაუშვებელი იყო დაღესტნისა და ჩერქეზეთის წინააღმდეგ ბრძოლებში. მათ მიაჩნიათ, რომ საჭირო იყო ქვეყნის ზედმიწევნით შესწავლა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი პირობებისა და გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარმატებების მიღწევა.

საკმაოდ ვრცლად და დეტალურად აგვიწერენ მოგზაურები მთის ხალხის თავგანწირულ ბრძოლას მეფის რუსეთის წინააღმდეგ და უხვ ცნობებს გვაწვდიან ამ „საღვთო ომის" სულისჩამდგმელების, მისი მეთაურებისა და წინამძღოლების შესახებ.

საინტერესოდ მოგვითხრობს ე. სპენსერი ლეკებისა და ჩეჩნების განთქმულ წინამძღოლ ელიას მანსურზე. ეს იყო ადამიანი, რომელმაც მოახერხა მთის თავისუფლებისმოყვარე ტომების გაერთიანება და მათი ერთსულოვანი ამოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ. ე. სპენსერი არ იშურებს ეპითეტებს ელიას მანსურის პიროვნების შესამკობად და დასახასიათებლად. მოგზაური მოგვითხრობს აგრეთვე დაღესტნის მეორე ბელადის, ყაზი-მოლას ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, დიდი თანაგრძნობით აგვიწერს ამ ორი უანგარო /და თავდადებული მამულიშვილის ბრძოლას მთის ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ელიას მანსურის და ყაზი-მოლას დაწყებულ საქმეს, ე. სპენსერის თქმით, აგრძელებს მთის სახელოვანი შვილი შამილი.

მთელ ქვეთავს უძღვნის ე. სპენსერი თავის „მოგზაურობაში" შამილის გმირული ბრძოლის აღწერას მეფის რუსეთის წინააღმდეგ. მისი ღრმა რწმენით, შამილი იყო გამოცდილი მეჭრძოლი, მჭერმეტყველი ორატორი და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწე. უფრო მეტიც, იგი იყო გამოჩენილი მხედართმთავარი და გენალური პიროვნება. მოგზაური მოგვითხრობს შამილის არაჩვეულებრივი კარიერის შესახებ. იგი აღტაცებულია შამილის პიროვნებით, მისი თვისებებით და მთელი მისი საქმიანობით. ე. სპენსერი დიდი სიმპათიებით არის გამსჭვალული მისდამი, მოხიბლულია მისი, როგორც წინამძღოლის, განსაკუთრებული ნიჭითა და ბრძოლის წარმოების იშვიათი უნარითა და ტალანტით.

ე. სპენსერის თქმით, 20 წლის განმავლობაში ბატონობდა შამილი დაღესტანში და მთელი ამ ხნის მანძილზე იგი შეუნელებლად და უკომპრომისოდ ებრძოდა რუსეთის მთავრობის პოლიტიკას და მის ჯარს. შამილის მოღვაწეობის დასაწყისში დაღესტნის დიდი ნაწილი უკვე რუსეთის პროვინციას წარმოადგენდა. „ამჟა-

მად, — წერს ე. სპენსერი, — შამილი მთელი ქვეყნის მფლობელია ავარეთიდან სამეგრელომდე, იმერეთამდე და საქართველომდეა გადაჭიმული მისი სამფლობელო". ე. სპენსერის ეს ცნობა სინამდვილეს არ შეეფერება. კ. კოხს აქაც შეაქვს კორექტივი მის ცნობაში და მკითხველს აუწყებს, რომ შამილი მხოლოდ დაღესტნისა და ავარიის შუა ნაწილისა და სამხრეთ ჩეჩნეთის ერთპიროვნული მმართველი იყო. რაც შეეხება იმერეთს, სამეგრელოს და საქართველოს, ისინი, კ. კოხის აზრით, არ შეიძლებოდა ყოფილიყო გაერთიანებული შამილის სამფლობელოში თუნდაც იმის გამო, რომ ძალზე შორს იმყოფებოდნენ დაღესტნიდან და ამ ვრცელი ტერიტორიის გაერთიანებას შამილიც კი ვერ მოახერხებდა.

ე. სპენსერი სპეციალურ ქვეთავში დაწვრილებით გვიამბობს შამილის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების შესახებ. შამილმა მოახერხა მთელი კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხების მიურიდიზმის დროშის ქვეშ დარაზმვა და 60 000-იანი ჯარის შექმნა. ყველა, ვინც კი ცარიზმის უკმაყოფილო იყო და სურდა ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მიურიდიზმს შეეფარა. ასეთები კი ათასობით იყო. შამილის ჯარი ძირითადად კავკასიის სხვადასხვა ტომის წარმომადგენელთაგან იყო შემდგარი. ისინი ბრმად ენდობოდნენ შამილს. ე. სპენსერის შენიშვნით, აქ იყვნენ უცხოელებიც, ევროპისა და აზიის თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსულნი. ათასობით რუსის ჯარისკაცი იბრძოდა შამილის მომხრეთა რიგებში საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ.

ე. სპენსერის აზრით, შამილის წარმატებებს, ხალხის მისდამი ასეთი ერთგულების გამომჟღავნებას, ნდობასა და სიყვარულს ბევრად აპირობებდა მის მიერ გატარებული რეფორმები. მისი თქმით, შამილმა გარკვეული სიახლენი და ცვლილებები შეიტანა მმართველობის სისტემაშიც. ინფორმაციის საუკეთესო საშუალებად, ე. სპენსერის სიტყვით, შამილმა გამოიყენა ფოსტა და ბისი მოხელეები. ისინი სწრაფად და დროულად აცნობებდნენ დაღესტნის იმამს ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს. საზოგადოებრივ წესრიგს პოლიცია იცავდა, რომელიც მთელ დაღესტანში მოქმედებდა. სპენსერი შენიშნავს, რომ პოლიცია მოგზაურთა უსაფრთხოებაზეც ბევრს ზრუნავდა. უცხოელი მოგზაურებისათვის სპეციალური სასტუმროები შენდებოდა დაღესტანში. საზოგადოდ, ყოველი სიახლის შემოღების დროს, ე. სპენსერის აზრით, შამილს მხედველობაში ჰქონდა ევროპის ქვეყნების ყოფა და ტრადიციები.

მოგზაური საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თითქმის ყველა თავის წამოწყებებისას შამილი ხელმძღვანელობდა რელიგიური მოსაზრებებით. მისი თქმით, შამილმა ბევრი რამ შეცვალა ისლამის ცრუ და უაზრო რწმენათაგან, რომელმაც, თავის მხრივ, დიდად შეუწყო ხელი შამილის პოპულარობას. შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა აღმოეფხვრა სისხლის აღების მავნე ტრადიცია თავის თანამოძმეთა შორის. მას დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვა დასჭირდა იმისათვის, რომ ზოგიერთ ოლქში დაენერგა ჩერქეზული კანონი, რომლის მიხედვით მკვლელს შეეძლო თავის გამოსყიდვა ფულის საშუალებით.

ე. სპენსერის ცნობით, შამილი თავის ჯარს რეგულარულად უხდიდა გასამრჯელოს სამხედრო სამსახურისათვის; ოფიცრებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის აჯილდოებდა მთავრობა. შამილი ქვეშევრდომებს წასახალისებლად სხვადასხვა საჩუქრებს, ჯილდოს, ფულად გასამრჯელოსა თუ მიწის ნაკვეთებს ურიგებდა ერთგული სამსახურისათვის.

მოგზაური მოგვითხრობს, რომ მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველად შამილი თავის მხარეზე იზიდავდა ადრე რუსეთის სამსახურში მყოფ გავლენიან პირებს. იგი რამდენჯერმე გაემგზავრა ამ მისიით ჩერქეზეთში, რათა პირადად ეზრუნა ჩერქეზი მეთაურების მიმხრობაზე. სპენსერის დახასიათებით, შამილი ფლობდა ადამიანთა გულის მონადირების საოცარ უნარს. შამილი დიდ სულიერ ძალასა და ენერგიას ხარჯავდა იმისათვის, რომ თავისი დროშის ქვეშ შემოეკრიბა მთის ტომები და ორგანიზებულად დაერაზმა ისინი რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამას ემატებოდა მუდმივი ზრუნვა და ფიქრი, თუ როგორ უვნებელეყო რუსეთის აგენტების მიერ ოსტატურად დაგებული მახე და დახლართული ინტრიგები, რომლებიც ძირითადად მიმართული იყო შამილის ძალაუფლების დამხობისაკენ. საზოგადოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სპენსერი გადაჭარბებულად აიდეალებს შამილს და მთელს მის მოღვაწეობას, მაგრამ მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ შამილის იდეალიზაციის დროს მოგზაური ძირითადად ინგლისის ინტერესებიდან ამოდის.

*

* *

ჩრდილო კავკასიაში შექმნილი ამ რთული პოლიტიკური ვითარების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩვენი მეორე

მოგზაური კ. კოხი. ქვეყანა, რომელიც საომარ მოქმედებათა ველად იქცა, მუდმივ მღელვარებას განიცდიდა. ავტორი საინტერესოდ მოგვითხრობს შამილის წინააღმდეგ მეფის გენერლების — შვარცის, არღუთინსკისა და ბეკოვის ბრძოლების შესახებ; გაკვრით ეხება აგრეთვე გენერალ ნაიდჰარტის ბრძოლის მეთოდს შამილის წინააღმდეგ. მისი აზრით, სწორედ მთავარმართებელმა ნაიდჰარტმა მოახერხა ის, რომ ზღვარი დაუდო შამილის წინსვლას და აღმოსავლეთ ხაზს იქით, კასპიის ზღვასთან მდებარე ყველა ტერიტორია წაართვა მას. ნაიდჰარტი ნელა, მაგრამ მეთოდურად მიიწევდა წინ. სწორედ ეს ვერ აპატია მას რუსეთის ხელისუფლებამ. მაგრამ, მოგზაურის აზრით, რასაც იპყრობდა გენერალი ნაიდჰარტი, ის რუსეთს მუდმივ მფლობელობაში რჩებოდა. კ. კოხის თქმით, მთავრობის პრეტენზია ნაიდჰარტისადმი ასეთი იყო: ან შამილი უნდა დაემარცხებინა მას, ან ავარია უნდა დაებრუნებინა უკან. კ. კოხი შენიშნავს, რომ „რასაც რუსეთის ხელისუფლება ნაიდჰარტს სთხოვდა, ის დღესაც არაა მიღწეული“. თავისი ენერგიისა და საზრიანობის წყალობით ნაიდჰარტმა მარტომ მოახერხა სულთან დანიელის 1844 წლის აჯანყების ლიკვიდაცია და მოსალოდნელი უბედურების თავიდან აცილება. ავტორის თქმით, მას ძალზე უსამართლოდ მოექცა რუსეთის მთავრობა. ნაიდჰარტის სტრატეგია სწორი და ერთადერთი მისაღები ვარიანტი იყო კავკასიის პირობებში, რაც შესანიშნავად დაადასტურა, კ. კოხის აზრით, ვორონცოვის პოლიტიკამაც: ვორონცოვმა დროზე აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას და მიხვდა, რომ დაღესტნისა და მისი ნიჭიერი წინამძღოლის შამილის დამარცხება უბრალო უპირატესობით შეუძლებელი იქნებოდა და თვითონაც ნაიდჰარტის პოლიტიკას დაადგა.

საგანგებოდ ჩერდება კ. კოხი დანიელ სულთნის პიროვნებისა და მისი მოღვაწეობის დახასიათებაზე. მოგზაურის აზრით, დანიელ სულთანი შამილის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო კავკასიაში. იგი განსაკუთრებით საშიში მტერი იყო მეფის მთავრობისათვის, რადგან ვიდრე იგი შამილს მიემხრობოდა, რუსების სამსახურში იდგა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. იგი შესანიშნავად იცნობდა რუსეთის მთავრობის გეგმებს და ამით უფრო საშიში ხდებოდა მათთვის.

მეფის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა მოეგო ელისუს

სულთნის დანიელის გული, რომ როგორმე შეენარჩუნებინა მისი ერთგულება. ამ მიზნით მეფის მთავრობამ მას პენსია დაუნიშნა და გენერალ-მაიორის ჩინი უბოძა. ერთხანს დანიელი ერთგულად უმსახურებოდა რუსეთს. შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა თავის მხარეს გადაებირებინა სულთანი, მაგრამ ყველა მისი ცდა უშედეგო გამოდგა, ვიდრე არ მოხდა ერთი სრულიად მოულოდნელი ინციდენტი. მოლაპარაკებით რომ ვერაფერს გახდა, შამილმა ფანდს მიმართა. კახეთის დარბევისას, გადმოგვცემს კ. კოხი, შამილი ყოველთვის ზოგავდა ელისუს და მის მოსახლეობას. ამით იგი ეჭვს უღვიძებდა რუსებს. მაგრამ არც ამ ფანდმა გასჭრა — რუსები მიუხვდნენ შამილს ეშმაკობას და კიდევ უფრო აღაზევეს დანიელ სულთანი. დანიელს ავსებდნენ წარჩინების ნიშნებით და ორდენებით, რათა ამით მისი ერთგული სამსახური უფრო განემტკიცებინათ. ახტისა და რუტულის ხარჯზე, რუსეთის მთავრობამ მას მემკვიდრეობითი მიწები მისცა. კ. კოხი მოგვითხრობს იმ ინციდენტზე, რომელმაც საბოლოოდ აიძულა დანიელ სულთანი გადასულიყო შამილის მხარეს. მოგზაური თვითონ იყო ამ ამბის მომსწრე და იგი იმასაც გვაუწყებს, რომ საგანგებოდ აგროვებდა ცნობებს ამ ამბებთან დაკავშირებით. კ. კოხის გადმოცემით, ლეკთა საზღვრის უფროსი ამ დროს იყო გენერალი შვარცი, ძალზე მამაცი და გულადი მეომარი. შვარცი გულადი მეომარი კი იყო, მაგრამ სრულებით არ იცნობდა ადგილობრივი მოსახლეობის ადათ-წესებსა და მათს ზნე-ჩვეულებებს. სწორედ ეს იყო მიზეზი, კოხის აზრით, რომ მან ვერ მოახერხა დანიელ სულთანთან ურთიერთობაში სათანადო სიფრთხილისა და დიპლომატიის გამოჩენა. კ. კოხს მიაჩნია, რომ გენერალ შვარცს აუცილებლად უნდა სცოდნოდა ის ფაქტი, რომ დანიელ სულთანს მუდმივი კავშირი ჰქონდა შამილთან. თავის მხრივ, მართალია, შვარცი ცდილობდა დანიელთან დაახლოებული ხალხის მოსყიდვას, რათა ამით ელისუს ყველა საქმის კურსში ყოფილიყო. მოღალატეთა შორის, როგორც კ. კოხი გვიამბობს, აღმოჩნდა დანიელ სულთნის მდივანი, შთამომავლობით სომეხი.

თუმცა ელისუს სასულთნო დამოუკიდებლად ითვლებოდა, კ. კოხის თქმით, იგი მაინც ემორჩილებოდა ზაქათალას მაზრის უფროსს. მაზრის უფროსი ელისუს საშინაო საქმეებში, ჩვეულებრივ, არ ერეოდა. დანიელ სულთნის აზრით, რუსეთის მოხელე, რომელსაც მხოლოდ მაიორის ჩინი ჰქონდა, არც იყო უფ-

ლებამოსილი ჩარეულიყო მის საქმეებში და მითითებები მიეცა გენერალ-მაიორისათვის. გენერალმა შვარცმა მაინც დანიელ სულთანი გაამტყუნა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დანიელ სულთანსა და გენერალ შვარცს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილიყო. შვარცი უკვე ეჭვის თვალით უყურებდა დანიელს. შამილმა არ დააყოვნა და გადაწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით. მან წერილი გაუგზავნა დანიელს, რომელშიც აცნობებდა, რომ მორიგი ლაშქრობის დროს ის ელისუს ველარ დაზოგავდა და რჩევა მისცა მას დაეჭირა მისი მხარე. დანიელს ამ დარტყმის თავიდან აცილება სურდა და სასწრაფოდ დაწერა პასუხი შამილთან. მდივანმა, როგორც კ. კოხი გადმოგვცემს, ნაცვლად იმისა, რომ წერილი მხოლოდ შამილისათვის გაეგზავნა, ასლი შვარცს უბოძა და თან ჯილდოს მოლოდინში თავის მხრივ დაამატა დეტალები. საბედისწერო შემთხვევამ ეს წერილი დანიელს ჩაუგდო ხელში. დანიელმა სასწრაფოდ მიიღო ზომები: კაცი აფრინა შამილთან და აცნობა, რომ მის მხარეზე გადადის. დანიელს უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა: რუსებთან იგი თავს ველარაფრით იმართლებდა. ასე იძულებით მოუხდა იმ ნაბიჯის გადადგმა, რომელიც მას საერთოდ, ჩანს, უჭირდა. თავის მოგზაურობაში კ. კოხი დაწვრილებით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ოსტატურად გადაუხადა დანიელმა სამაგიერო მოღალატე მდივანს.

კ. კოხი განაგრძობს თხრობას და გვამცნობს, რომ დანიელ სულთანი მცირე რაზმით გაუდგა გზას შამილისაკენ. გენერალმა შვარცმა წინასწარვე შეიტყო მისი გეგმა და შეუკრა მას ყველა გზა. დანიელი იძულებული იყო დაეხია სოფ. კახისაკენ და იქ გამაგრებულიყო. მას უზარმაზარი არმია დაადევნეს ზარბაზნებითა და ქვემეხებით შეიარაღებული. დანიელმა ახლა კლდეკარისაკენ დაიხია. გენერალ შვარცს შეეშველა პოლკოვნიკ ბელგარდის რაზმი. როგორც მოგზაური გადმოგვცემს, რუსები გრძნობდნენ მოსალოდნელ საფრთხეს და ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ეს აჯანყება. საჭირო იყო ამბოხების დროზე ლიკვიდაცია, თორემ შაჰმადიანური პროვინციები, კ. კოხის თქმით, ერთი თვეა მზად იყვნენ ასაჯანყებლად. დანიელ სულთანმა პირველი და მეორე შეტევის შემდეგ უკუაქცია რუსეთის ჯარი. მაგრამ გენერალ შვარცს წამოეშველა პოლკოვნიკი ბეკოვი. დანიელი შეცდა. მან იფიქრა, რომ შვარცს არღუთინსკის არმია ედგა ზურგში, გააზვიადა მო-

წინააღმდეგის ძალები და უკუიქცა. ოჯახის წევრებით იგი შამილისაკენ გაემართა. კ. კოხი გვაუწყებს, რომ შამილმა იგი პირველად საკმაოდ ცუდად მიიღო.

ასე უმტკივნეულოდ მოიპოვეს რუსებმა გამარჯვება, თავიდან აიცილეს აჯანყება, ამდენ ხიფათსა და საფრთხეს რომ უქადდა მათ. კ. კოხის აზრით, რუს გენერლებს კავკასიაში ათასგვარი ჯრიკები სჭირდებოდათ იმისათვის, რომ მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში რაიმე წარმატებისათვის მიეღწიათ. მოგზაური საგანგებოდ ჩერდება გენერალ ზასის, კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის უფროსის ოინებზე. ზასი დიდხანს უშედეგოდ იბრძოდა ჩერქეზეთის საზღვარზე და ათასნაირ ხერხს მიმართავდა მთიელთა დასამარცხებლად. როდესაც ბრძოლით ვერაფერს გახდა, გენერალმა ზასმა, როგორც კ. კოხი გადმოგვცემს, ფანდს მიმართა და ხმა გაავრცელა ჯერ თავისი ავადმყოფობის, ხოლო შემდეგ კი სიკვდილის შესახებ. მას უნდოდა ანკესზე წამოეგო მთის გულუბრყვილო მოსახლეობა და შემდეგ მოულოდნელად დასხმოდა თავს და დაემარცხებინა ისინი.

*

* *

კ. კოხი მოგვითხრობს, რომ შამილი ძეფის რუსეთთან წარმოებული ბრძოლების პირველ პერიოდში ბევრს ზრუნავდა თავისი ჯარის საომარი აღჭურვილობით გაძლიერებასა და მომარაგებაზე; ამ მიზნით მან დიდი რაოდენობით შეიძინა ზარბაზნები. იგი თვლიდა, რომ ბარში თუ ევროპულ ყაიდაზე არ აწარმოებდა ომს, ვერაფერს გახდებოდა რუსეთის ჯართან. ზარბაზნების მოვლას დიდი დრო და ხალხი სჭირდებოდა, მაგრამ, როგორც კ. კოხი აღნიშნავს, იგი სწორედ ხალხის ნაკლებობას განიცდიდა. მოგვიანებით მან შეძლო ზარბაზნებზე მის მხარეს გადმოსული პოლონელები გაეპიროვნებინა.

პოლონელებთან დაკავშირებით კ. კოხი საგანგებოდ შენიშნავს, რომ გავრცელებული აზრი, თითქოს შამილი თავის წარმატებებს მათ უნდა უმადლოდეს, სწორი არაა. ჯერ ერთი, იმიტომ რომ პოლონელების რიცხვი არც ისე დიდი იყო კავკასიაში, რომ ამას რაიმე არსებითი გავლენა ჰქონოდა ომის მსვლელობაზე; ესეც რომ არ იყოსო — პოლონელებს შამილი მხოლოდ მსახურებად იყენებდა.

კ. კოხი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩ-

დნენ პოლონელები დაღესტანში შამილის მომხრეთა რიგებში. პოლონელთა ემიგრაციის გაჩენას კავკასიაში, და კერძოდ შამილის ჯარში, თავისი ისტორია აქვს. კ. კოხის შენიშვნასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მართალია იგი ძირითადად სწორია, როდესაც აკრიტიკებს შამილის წარმატებებთან დაკავშირებულ გავრცელებულ აზრს, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ პოლონელებმაც და მათთან ერთად სხვა უცხოელებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს მთიელთა ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთს ინგლისზე უფრო მრისხანე და ძლიერი მეტოქე არ ჰყოლია. ინგლისის ბურჟუაზია ვერ ურიგდებოდა რუსეთის გავლენის გაძლიერებას შავიზღვისპირეთში და ყოველნაირად ცდილობდა მის შესუსტებას. ინგლისის მთავრობა ოცნებობდა იმაზე, რომ რუსეთი განედევნა ბალკანეთიდან, ყირიმის ნახევარკუნძულსა და კავკასიიდან. მისი გეგმები ასეთი იყო: ყირიმი, ჩერქეზეთი და საქართველო გამოყოფოდა რუსეთს; ყირიმი და საქართველო გადაეცემოდა თურქეთს, ხოლო ჩერქეზეთი ან დამოუკიდებელი გახდებოდა, ანდა შევიდოდა თურქეთის პროტექტორატში[52]. ამ გეგმის რეალიზაციისათვის ინგლისმა გამოიყენა პოლონელი და უნგრელი ემიგრანტები, შამილის მიურიდები, მუჰამედ ემინი და თვით თურქეთის სულთანი. როგორც აღნიშნავს მკვლევარი ბუშუევი: «Англичане обещали (но без всяких гарантий) небольшой разложившейся части польских эмигрантов за участие в войне против России на Кавказе помощь в восстановлении Польского королевства от моря до моря; венгерским эмигрантам — независимость Венгрии и гарантии от Австрии и России, Мухаммеду-Эмину — независимую Адыгею, Шамилю было обещано по взятии и Тифлиса, титул «короля Закавказского», турецкому султану целостность его владений»[53].

ასე ლამობდა ინგლისი სხვისი ხელით რუსეთის დამარცხებას და პირველ დარტყმას ყველაზე მნიშვნელოვან ხაზზე — შავიზღვისპირა სანაპიროზე ამზადებდა. უნდა დანგრეულიყო სანაპიროზე აგებული ყველა ზღვისპირა ციხე-სიმაგრე[54].

ცნობილია, რომ 1828 — 29 წწ. ომმა და რუსეთის დიდმა წა-

---

[52] С. К. Бушуев, Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России, М., 1955, с. 64.

[53] იქვე, გვ. 65.

[54] С. К. Бушуев, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

რმატებებმა ამ ომში დააფრთხო დასავლეთის ქვეყნები და მისი დიპლომატები. მათ თურქეთი აიძულეს ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე რუსეთთან, რომელიც დაიდო 1829 წელს ადრიანოპოლში.

ბუნებრივია, რომ ამ ზავის შედეგებით უკმაყოფილო დარჩა ინგლისის მთავრობა და იგი ენერგიულად მოითხოვდა მის გადახედვას. ამიტომაც გამოიდო ინგლისმა თავი ჩერქეზეთის დასაცავად. ინგლისს კავკასია საკუთარი კაპიტალის ექსპანსიისათვის აინტერესებდა[55].

თავისი ბრძოლა კავკასიისათვის ინგლისმა ჩერქეზეთის დამცველის როლში გამოსვლით დაიწყო. ინგლისის დიპლომატიური წრეები ცდილობდნენ, რომ ჩრდილო კავკასიის ხალხების ანტიკოლონიური მოძრაობა საკუთარი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. 1834 წლიდან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში აქტიური მოღვაწეობა გაეაჩაღეს ინგლისელმა ემისრებმა. ენერგიულად იბრძოდა ამ ფრონტზე, ურკარტი რომლის თქმით „ჩერქეზეთი იცავს ინდოეთს“ და ასკვნიდა, რომ ჩერქეზეთის ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ ფაქტიურად ინგლისის ინტერესებს და მის საქმეს ემსახურება[56]. ჩერქეზეთი აივსო სხვადასხვა ჯურის აგენტებითა და რეზიდენტებით. ინგლისელი ემისრები საომარი საჭურველით ამარაგებდნენ კავკასიელ მთიელებს და აქეზებდნენ მათ დაენგრიათ შავიზღვისპირა რუსული ციხესიმაგრეები. ამ გეგმის განსახორციელებლად ინგლისის მთავრობა არ ზოგავდა სახსრებს, რათა მოეწყო პოლიტიკური დივერსია დასავლეთ კავკასიაზე. კონსტანტინეპოლში ბრიტანეთის საელჩო გახდა ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის ძირითადი საყრდენი. თურქი ოფიცრის თქმით: «Англичане... ничего не щадили, чтобы внушить черкесам недоброжелательность к России и вовлечь их в войну с русскими. Главная квартира интриг находилась в Константинополе[57]». 1834 წელს აქ ჩამოვიდა დ. ურკარტი, 1835 წელს კაპიტანი ლაიონსი, 1836 წელს ჟურნალისტი ე. სპენსერი, სტიუარტი და სხვ.

ვორონცოვი შეშფოთებული მიმართავს გენერალ ბუდბერგს: «Учредить бдительный надзор на черноморской береговой линии и собрать достоверные сведения сколь возможно действи-

---

[55] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 367.

[56] იქვე.

[57] Кавказский сборник, т. 2, с. 206.

тельно ли польские эмиссары успели проникнуть в Абхазию[58]».
რუსეთის დიპლომატიური და სამხედრო ხელისუფლება ზომებს იღებდა პოლონელების ჩერქეზეთში შემოჭრის აღსაკვეთად. პოლონური ემიგრაცია ძირითადად კონსტანტინეპოლში იყრიდა თავს. პოლონელ ემისრებს ევალებოდათ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის უკმაყოფილო მოსახლეობის ამხედრება დუნაიდან ყუბანამდე. ნაწილი ემიგრანტებისა შამილის მხარეს გადავიდა. ისინი, რომლებიც შამილთან წავიდნენ, ჯაშუშების მეშვეობით ავრცელებდნენ პროკლამაციებს, რომელიც მიმართული იყო პოლონელი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისადმი და მოუწოდებდნენ მათ შამილის ან მუჰამედ-ემინის მხარეზე გადასვლას.

უცხო აგენტურის ფართო ქსელს რუსეთმა საკუთარი დაზვერვა დაუპირისპირა. მათი აგენტურის ოპერატიული მუშაობის შედეგი იყო, რომ სამხედრო ხელისუფალნი ინფორმაციას ინფორმაციაზე იღებდნენ იმის შესახებ, რომ ინგლისისა და თურქეთის კონტრაბანდული გეგმებით დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ თოფისწამალი და ზარბაზნის ყუმბარები ჩერქეზებისა და დაღესტნელებისათვის. ასეთივე მდგომარეობა იყო შავიზღვისპირა ხაზის სხვა დანარჩენ პუნქტებშიც. «В настоящее время—წერდა კავკასიის მთავარი შტაბის უფროსი—обстоятельство это тем более важно и для нас вредно, что вследствие известных Вам событий на Западе Европы нельзя сомневаться, что многие эмиссары иностранных государств будут стараться проникнуть не только по сухопутной границе Гурии, но и морем в Абхазию и иные места, для подстрекания волнений за Кубанским краем и даже для тайного провоза оружия и огнестрельных припасов непокорным племенам, а может быть с другими преступными намерениями»[59].

ვორონცოვმა გადაწყვიტა მიეღო მკაცრი ზომები შავიზღვისპირა ხაზზე უცხო ემისართა თავისუფალი თარეშისა და სამხედრო იარაღისა და თოფისწამლის შემოზიდვის აღსაკვეთად[60].

დაღესტნისა და ჩერქეზეთის მიურიდებს დიდ დახმარებას უწევდნენ ინგლისი და თურქეთი. 1830 წლისათვის თურქეთიდან 20 გემი მიადგა ნაპირს იარაღითა და თოფისწამლით დატვირთული. იმავე წელს ანაპიდან სოხუმისაკენ მიმავალი ინგლისური გე-

---

[58] Акты, т. X, с. 242.

[59] ЦГА, სამხედრო არქივი, საქმე № 54, 1848, ფ. ფ. 2—3.

[60] С. К. Бушуев, დასახ. ნაშრომი, გვ. 66.

მი, რომელსაც ჩერქეზებისათვის 6 კასრი თოფისწამალი მიპქონდა, დააკავეს რუსებმა. ინგლისისა და თურქეთის საზღვაო ხომალდები სისტემატურად არღვევდნენ ნაოსნობის წესებს შავიზღვისპირეთში სწორედ ანაპასა და სოხუმ-კალეს ხაზზე.

ინგლისის ყველაზე აქტიური მებრძოლი დავით ურკარტი კავკასიის მიურიდებს იყენებდა რუსეთის წინააღმდეგ შესანიშნავ იარაღად. შავიზღვისპირა ხაზზე იგზავნებოდა ინგლისური გემები არა მარტო მიურიდებისათვის იარაღის მისაწოდებლად, არამედ თვით შავი ზღვის სანაპირო ხაზის დასაზვერადაც. ასე მაგალითად, 1835 წელს გელენჯიკიდან 9 მილის სიახლოვეზე რუსეთის ხომალდმა „კასტორმა“ ზღვაზე დააკავა ინგლისური გემი «Lord Charles Spenser». გელენჯიკში უცხოური გემი ზედმიწევნით დაათვალიერა საბაჟომ და დაასკვნა, რომ იგი გამოგზავნილი იყო სანაპიროს დასაზვერად. ნიშანდობლივია, რომ ხომალდი ნაპირთან ძალიან ახლოს იმყოფებოდა. ინგლისის მთავრობამ გააპროტესტა „გემის დაკავების ფაქტი და ნოტა გაუგზავნა რუსეთის მთავრობას. ნიკოლოზმ ა არ ისურვა ურთიერთობის გამწვავება და ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა[61]. ინგლისი იღწვოდა იმისათვის, რომ რუსეთი სამხედრო კონფლიქტზე გამოეწვია. ამ მიზნით 1835 წლის ნოემბერში ჩერქეზეთის სანაპიროზე გაგზავნილ იქნა თოფისწამლით, საომარი იარაღითა და მარილით დატვირთული ხომალდი „ვიქსენი“, რომელიც ინგლისელ ვაჭარს ბელს ეკუთვნოდა. ბელი რამდენჯერმე ყოფილა ჩერქეზეთში და იგი იქ ოფიციალურად იყო გაფორმებული აგენტად. სუჯუკ-კალეში „ვიქსენი“ განტვირთეს და საქონელი ჩერქეზებს ჩააბარეს. ტვირთის პატრონმა ბელმა მებაჟეებს დაუფარავად განუცხადა, რომ ზღვისპირა მოსახლეობასთან სავაჭროდ ჩამოვიდა ჩერქეზეთში და თან მარილი ჩამოიტანა, ე. ი. ის საქონელი, რომლის შემოტანის უფლება შავ ზღვასა და აზოვის ზღვაში აკრძალული იყო. პრესამ სწორი შეფასება მისცა „ვიქსენის“ ინციდენტს. ყველასათვის ნათელი იყო, რომ „ვიქსენის“ დაკავება სპეციალურად იყო მოწყობილი ინგლისის მთავრობის მიერ, რათა მთელი სიმწვავით დამდგარიყო საკითხი ბლოკადის შესახებ. რუსულმა საბაჟომ „ვიქსენზე“ მარილის მეტი ვერაფერი აღმოაჩინა, მაგრამ რითაც იყო ხომალდი დატვირთული სინამდვილეში, ეს უფრო გვიან გაირკვა: მარილის გარდა გემზე აღმოჩნდა ზარბაზნები და 200 კასრი თოფისწამალი. ეს რუსეთის მთავრობამაც იცოდა.

---

[61] С. К. Бушуев., დასახ. ნაშრ., გვ. 30—31.

„ვიქსენის“ ინციდენტის დროს ზედმეტი ლმობიერება გამოიჩინა რუსეთის მთავრობამ, რაც ახსნილი იყო ვორონცოვის ანგლოფილობით. მაგრამ მეფემ ის გააკეთა, რომ „ვიქსენი“ კონტრაბანდულ ხომალდად გამოაცხადა. რუსეთს რომ სისუსტე გამოეჩინა (რისი იმედიც ჰქონდათ სწორედ ინგლისის დიპლომატიურ წრეებს), მაშინ უახლოეს ხანებში შავიზღვისპირეთის სანაპიროზე გამოჩნდებოდა სხვა გემებიც დატვირთული იარაღითა და საომარი აღჭურვილობით. და მაინც 1836 წელს ჩერქეზეთის სანაპიროზე რუსული კრეისერების მოქმედების მიუხედავად, გამოჩნდა 80-მდე კონტრაბანდული გემი.

როგორც ვხედავთ, ინგლისი არ ერიდებოდა საზღვაო ნაოსნობის ნორმებისა და კანონების დარღვევას და განაგრძობდა ჩერქეზი და დაღესტნელი მიურიდების კონტრაბანდული საქონლით მომარაგებას. ინგლისის მთავრობა იმედოვნებდა, რომ ამ გზით ისინი გააჭიანურებდნენ კავკასიაში სამხედრო ოპერაციების წარმოებას და თანდათანობით დაასუსტებდნენ რუსეთს ეკონომიურად.

ინგლისის სავაჭრო წრეები დიდ იმედებს ამყარებდნენ ბელზე, რომელსაც დავალებული ჰქონდა აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროზე სავაჭრო ურთიერთობის დამყარება და მისი განვითარება. ვაჭრობის გამოცოცხლება შავიზღვისპირეთში საშუალებას მისცემდა მათ ადიღელებისათვის მიეწოდებინათ იარაღი და თოფისწამალი. მარილის თავისუფალი შემოტანა ინგლისელი ვაჭრების ენაზე ნიშნავდა თოფისწამლისა და ზარბაზნების შეუზღუდავ შემოზიდვას[52]. „თავისუფალი პრესა“ „ვიქსენის“ დაკავებასთან დაკავშირებით წერდა: „რა დღეში ჩავარდება რუსეთის ჯარი, ჩერქეზებმა რომ ასეულობით ზარბაზანი მიიღონ, შეძლებენ მაშინ რუსები თუნდაც ერთი პუნქტის შენარჩუნებას სანაპიროზე?“[63].

„ვიქსენის“ ინციდენტის გამო ინგლისი ომით იმუქრებოდა. ბელი და მისი მეგობრები დარწმუნებული ყვნენ, რომ ინგლისის დიპლომატია ისარგებლებდა ამ შემთხვევით და ომს გამოუცხადებდა რუსეთს. სხვათა შორის, ამასვე ელოდა ინგლისის მთავრობისაგან ე. სპენსერი — „ჩერქეზეთში მოგზაურობის“ ავტორი. ე. სპენსერი თვლიდა, რომ ინგლისს შესწევდა ძალა დაეცვა თავისი პრესტიჟი. მეორე ინგლისელი მოგზაური კამერონიც ამავე აზრისა[64]

---

[62] С. К. Бушуев, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

[63] იქვე.

[64] G. Poulett Cameron, დასახ. ნაშრომი, გვ. 174.

იყო. ინგლისის პარლამენტში წარმოებდა გაცხოველებული დისკუსია ამ საკითხის ირგვლივ და ბევრი დეპუტატი თვლიდა, რომ „ვიქსენის“ დაკავება ინგლისის ღირსების შელახვა და მისი შეურაცხყოფაა. ეს აზრი ბევრჯერ გამოითქვა რადიკალი ორატორების ტრიბუნიდანაც. ასე იქცა „ვიქსენის“ ინციდენტი მსოფლიო სენსაციად და ერთხანს მთელი ევროპის ყურადღების ცენტრში იდგა. წარმოებდა დიპლომატიური ომი. ევროპა ახალი ომის აშკარა საფრთხის წინაშე იდგა. მაგრამ ბოლოს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა. ინგლისმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე. 1837 წელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინციდენტი დამთავრებულად ითვლებოდა. რუსეთის დათმობაზე წასვლა ახსნილ იქნა მისი ეკონომიკური და სამხედრო სისუსტით.

1836 — 1837 წწ. ჩერქეზეთის სანაპიროს ეწვივნენ სხვა ინგლისური ხომალდები, რომლებიც კვლავ იარაღით ამარაგებდნენ ადიღეელებსა და დაღესტნელებს. 1836 წელს სუჯუკ-კალეში გამოჩნდა კაპიტან ბირენის ინგლისური გემი. კ. კოხის ცნობით, იგი რუსებმა დააკავეს. ინგლისურ გემზე იყო ჩერქეზებისათვის განკუთვნილი საომარი აღჭურვილობა.

კ. კოხი გვაცნობებს, რომ იმდროინდელ პრესაში ძრანაკლები გამოხმაურება ჰპოვა დავით ურკარტის წერილმა ჩერქეზებისადმი. ბევრისათვის გაუგებარი დარჩა, მისი აზრით, რომ რუსეთის ისეთმა დაუძინებელმა მტერმა და ჩერქეზების თაყვანისმცემელმა, როგორიც იყო დ. ურკარტი, ჩერქეზებს ურჩია განდგომოდა ინგლისს, თუ სურდა შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ურკარტი მათ დაღუპვას უწინასწარმეტყველებდა. კ. კოხი, თავის მხრივ, სავსებით ეთანხმება დ. ურკარტის მოსაზრებას. იგი წერს, რომ დ. ურკარტი მართალია: „მეც იმ აზრისა ვარ, რომ იმ დღიდან, რა დღიდანაც ჩერქეზები და ლეკები ინგლისელების ან ფრანგების დახმარებას მიიღებენ, დაკარგავენ თავიანთ დამოუკიდებლობას“. კ. კოხი თავის მოგზაურობაში მრავალგზის უბრუნდება ამ საკითხს. დ. ურკარტი ინგლისის ოფიციალურ აზრს გამოხატავდა. პალმერსტონის წერილიდანაც კარგად ჩანს, რომ ინგლისს ჩერქეზეთისათვის ან დამოუკიდებლობა უნდა მიეცა, ანდა თურქეთის პროტექტორატში შეეყვანა[65].

ე. სპენსერიც ეხება თავის „მოგზაურობაში“ მთის ხალხის

---

[65] Guedella, Palmerston, London, 1926, გვ. 360.

დამოუკიდებლობის საკითხს. მისი აზრით, „შეიძლება დადგეს დრო და ამჟამად მტრულად განწყობილი ხალხები საერთო საფრთხის წინაშე გაერთიანდნენ და შექმნან შვეიცარიის ტიპის სახელმწიფო... მაშინ კავკასია გახდება თავისუფლების კერა და ყველაზე დაჩაგრული ხალხების თავშესაფარი“. შვეიცარიასთან ანალოგიას მრავალგზის ატარებს. ე. სპენსერი.

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ ინგლისელი ვაჭრის ბელის სახელი, რომელსაც კ. კოხი ეხება თავის „მოგზაურობაში“. ამ პიროვნებასთან ბევრი რამაა დაკავშირებული ჩერქეზეთისა და ინგლისის ურთიერთობის თვალსაზრისით და ამიტომ, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მასზე შეჩერება. კ. კოხი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბელი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ჩერქეზეთში (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გარდანოვის მიხედვით იგი 3 წელი იყო ადიღელებთან) და ჩერქეზებს ბრძოლის წარმოების ევროპულ წესებსა და მეთოდებს ასწავლიდა. კ. კოხის თქმით, მის ცდას შედეგი არ მოჰყოლია. ჩერქეზები მალე დარწმუნდნენ, რომ წარმატებას ომში მხოლოდ ძველი წესების დაცვით თუ მიაღწევდნენ. შექმნილ სიტუაციაში ჩერქეზეთს მრავალათასიანი ინგლისური არმიაც კი ვერაფერს უშველიდა, პირიქით, ის ზედმეტი ტვირთი იქნებოდა ქვეყნისათვის. მოგზაურის თქმით, კავკასიისათვის დახმარების გაწევა შეიძლებოდა მხოლოდ თოფისწამლისა და სხვა სამხედრო იარაღის მიწოდებით.

ბელის მისია ჩერქეზეთში სინამდვილეში იყო რუსული ზღვისპირა ციხესიმაგრეების განადგურება ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით[66]. 1837 წელს ბელი, დ. ურკარტის ინსტრუქციებით დატვირთული, ჩადის ჩერქეზეთში ინგლისელ ჟურნალისტ ლონგვორტთან ერთად. ერთი წლით ადრე ჩერქეზეთი ინახულა ჩვენმა ავტორმა — ე. სპენსერმა.

ბელი თვლიდა, რომ ჩერქეზეთი უნდა დაკავშირებოდა დაღესტანს და ერთიანი ძალით შებრძოლებოდა საერთო მტერს. თავის მხრივ, ის აღუთქვამდა მათ დახმარებას თოფისწამლითა და სხვა საომარი იარაღით. ინგლისის მთავრობას დაგეგმილი ჰქონდა ჩერქეზეთის საყოველთაო შეიარაღება. 1837 წ. ლონგვორტმა ჩერქეზეთს მიაწოდა სამხედრო აღჭურვილობა და თოფისწამალი. ბელი კი ამასობაში თავისი მისიის შესრულებას შეუდგა: იგი მთის აულებში აგიტაციას ეწეოდა, რათა მიურიდებს დაენგრიათ რუსული ციხე-

---

[66] Архив Раевских, т. III, Щ. 364.

სიმაგრეები. პირველ ხანებში ბელმა დიდ წარმატებებს მიაღწია ამ თვალსაზრისით. «Двухнедельное пребывание Беля у горцев — წერდა ერთი რუსი ოფიცერი — оставило после себя много неблагоприятных для нас последствий. Мюриды-адыги стали предприимчивее и дело дотоле неслыханное, отважились идти на приступ лучших наших укреплений... Черкесы никогда не решились бы напасть на укрепления наши, если бы не были к тому воспламеняемы упомянутым выше англичанином»[67].

ამგვარად, ბელმა საფუძველი ჩაუყარა რუსული ფორტებისა და ციხესიმაგრეების განადგურების ორგანიზაციას და თვითონ 1839 წელს გაემგზავრა კონსტანტინოპოლს. შავიზღვისპირა სანაპირო ხაზის ხელში ჩაგდებით ბელი იმედოვნებდა, რომ ადიღეელების დახმარებით რუსეთის გავლენას ბოლოს მოუღებდა აქ და ამით ინგლისის ვაჭრებისათვის თავისუფალ გზას გახსნიდა ჩერქეზეთის სანაპიროზე.

*
* *

საქართველოსა და კავკასიის იმდროინდელი ეკონომიკური მდგომარეობა სავსებით შეეფერებოდა ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას. სოფლის მეურნეობის საერთო დაქვეითებისა და ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიუხედავად, კავკასიის ყველა კუთხე ამ თვალსაზრისით მაინც არ იძლეოდა ერთგვაროვან სურათს. ჩვენი მოგზაურების ცნობების მიხედვითაც, კახეთისა და ჩერქეზეთის მატერიალური დონე საგრძნობლად განსხვავდებოდა კავკასიისა და საქართველოს სხვა კუთხეების ეკონომიკური მდგომარეობისაგან.

საზოგადოდ, ე. სპენსერისა და კ. კოხის ჩანაწერები მწირ ცნობებს შეიცავენ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების შესახებ. მათი მიხედვით ძნელდება სრული წარმოდგენა შეეიქმნათ იმ დროის საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური განვითარების რეალურ სურათზე. თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ავტორთა მოგზაურობის მიზანს არ წარმოადგენდა კავკასიისა და საქართველოს ეკონომიკური დონისა და მისი განვითარების საგანგებო შესწავლა. ე. სპენსერი, მისი ოფიციალური მდგომარეობის მიხედვით, სამხედრო ოპერაციებისა და სტრატეგიული პუნქტების განლაგე-

[67] ЦГВИА, ВУА, д. 49741, л. 12.

ბით და ქვეყნის პოლიტიკური ვითარებით იყო ძირითადად დაინტერესებული და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებასა და მისი განვითარების შესაძლებლობებს. ამიტომაა, რომ ე. სპენსერის ცნობები თვით კ. კოხის ამავე ხასიათის ცნობებთან შედარებითაც კი უფრო ღარიბი და ზერელეა. მიუხედავად ამისა, ე. სპენსერი მაინც დაინტერესებულა კავკასიელი ხალხის მატერიალური დონით, მისი ცხოვრების პირობებითა და ყოფით. იგი საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ჩერქეზეთში ხშირად შეხვდებით დამუშავებულ ბაღებს თუ ჭალებს, ვრცელ ველ-მინდვრებს, რომლებიც თავისი კულტურით უცხოელის გაოცებას იწვევს. სპენსერის აზრით, ასეთ სანახაობას ევროპაში მხოლოდ საგანგებო პარკებსა და ბაღებში შეხვდება ადამიანი. მოგზაურის თქმით, უცხოელი არ მოელის „კავკასიელი ბარბაროსებისაგან ცივილიზაციის ასეთ გამოვლენას". ე. სპენსერის გაოცებას იწვევს აგრეთვე ჩერქეზეთის უხვი საძოვრები და მრავალრიცხოვანი საქონლის ჯოგი, საგანგებოდ აღნიშნავს საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობასაც, აღწერს ლამაზ და კოხტა აივნებიან სახლებსა და სამეურნეო ნაგებობათა სიმრავლეს, კარგად მოვლილ ხეხილის ბაღებს და მისთ. ყოველივე ეს, სპენსერის თქმით, იმის საბუთია, რომ მოსახლეობა ჩერქეზეთში მატერიალურად ღონიერი და უზრუნველყოფილია. მისი აზრით, ჩერქეზთა შედარებითი მაღალი მატერიალური დონე და ცხოვრების უკეთესი პირობები განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ რუსეთმა ჯერ ვერ მოახერხა საფუძვლიანი გამაგრება ჩერქეზეთის სანაპიროზე. გარდა ამისა, ჩერქეზები ყუბანიდან მოშორებით სახლობენ და შედარებით კარგად არიან დაცული შავიზღვისპირა კაზაკების თარეშისაგან. სხვათა შორის, აქაც იჩენს თავს ე. სპენსერის საერთო შეხედულება, რომ კავკასიის ის ნაწილი, რომელიც ჯერ არ იმყოფება რუსეთის მფარველობის ქვეშ, უფრო მომგებიან ეკონომიკურ პირობებში იმყოფება, ვიდრე ის მხარე, რომელიც შეუერთდა რუსეთს. ეტყობა, ასეთი თვალსაზრისი საერთოდ გამოთქმულა, რადგან კ. კოხი თავის „მოგზაურობაში" საგანგებოდ უარყოფს ინგლისელ და ფრანგ მოგზაურთა ამ მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ „სწორედ ის პროვინციები, სადაც ჯერ კიდევ თავადები ან მთავრები განაგებენ მხარეს, უფრო სავალალო ეკონომიკურ პირობებშია, ვიდრე რუსეთის უშუალო მორჩილების ქვეშ მყოფი პროვინციები".

კ. კოხის თვალსაზრისს, რომ კავკასია ეკონომიურად უფრო

გამოცოცხლდა და მოლონიერდა რუსეთთან შეერთების შემდეგ, ფრანგი მოგზაურის გამბას ცნობებიც უჭერს მხარს. გამბა ლაპარაკობს იმერეთის შესახებ. იგი იმედს გამოთქვამს, რომ ვაჭრობის ზრდა-განვითარება ამიერკავკასიაში დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის განვითარებას, მის გამოცოცხლებას[68].

სხვაგან, სადაც ე. სპენსერი ჩერქეზთა საცხოვრებელ სახლს აგვიწერს, თვითონვე მიუთითებს იმ კონტრასტზე, რომელსაც ეს მიწური, წვრილი წნელისაგან დაწნული და თიხით შელესილი ქოხები ქმნიან ამ ქოხებში მცხოვრებ ადამიანთა ჩაცმულობასა და მათ მატერიალურ დოვლათთან შედარებით. ე. სპენსერის თქმით, თითქმის ყველა ჩერქეზს ჰყავს ჯიშიანი ცხენების მრავალრიცხოვანი ჯოგი და აქვს გარკვეული რაოდენობის ოქრო-ვერცხლი. საცხოვრებელი სახლების შეუფერებლობა მათ ნამდვილ მდგომარეობასთან მოგზაურის მიერ ახსნილია იმით, რომ ეს მიწური ქოხები ჩერქეზების დროებით საცხოვრებელს წარმოადგენენ; ამას, ფაქტიურად, კარნახობს მათ ცხოვრების თავისებური წესი და ხასიათი.

სამწუხაროდ, ე. სპენსერის „მოგზაურობაში“ სხვა ცნობებს ვეღარ ვპოულობთ საქართველოსა და კავკასიის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

შედარებით უხვია ამ თვალსაზრისით კ. კოხის „მოგზაურობა“, თუმცა მაინცდამაინც არც მისი ჩანაწერებია მდიდარი ამ ხასიათის ცნობებით.

კ. კოხს საქართველო და კავკასია, საზოგადოდ, შედარებით ევროპასთან ძალზე ჩამორჩენილ და ღარიბ მხარედ მიაჩნია. მაგრამ ამ ჩამორჩენილ მხარეში იგი სხვა კუთხეებში გამოარჩევს კახეთს. იგი უფრო გაშენებულ და აყვავებულ მხარედ ეჩვენა მოგზაურს საქართველოში. „სოფლები ისე მისდევდა ერთიმეორეს, — წერს იგი, — რომ ვერ გაიგებდი, სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მთელი მიდამო, განსაკუთრებით შილდიდან, ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა“.

ფრანგი მოგზაურის გამბას აზრითაც, „საქართველოს პროვინციებიდან კახეთი ყველაზე მდიდარია თავისი მიწების ნაყოფიერებითა და ბუნებრივია პროდუქციით“[69]. კ. კოხის მსგავსად, გამბაც იმას აღნიშნავს, რომ კახელების მთავარ საქმიანობას მევე-

---

[68] Gamba, დასახ. ნაშრომი, ტ. 1, გვ. 324.

[69] Gamba, Voyage..., ტ. II, გვ. 217.

ნახეობა წარმოადგენს. კ. კოხისათვის ახლა გასაგები ხდება, რატომ ირჩევდნენ სათარეშოდ ნადავლის ხელში ჩაგდების სურვილით შეპყრობილი ლეკები ასეთ გაშენებულ და მდიდარ მხარეებს.

მოგზაურს კახეთში ყველგან ნაყოფიერი და დამუშავებული მიწები შეხვდა. მარცვლეულ კულტურათაგან აქ, გარდა ხორბლისა, მას შეხვდა ფეტვი და ცოცხის სორგო, როგორც ველური, ასევე კულტურული.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა კ. კოხზე გურიამაც. მისი თქმით, ეს არის „არაჩვეულებრივად ნაყოფიერი მხარე". მისი ყურადღება მიიპყრო სიმინდისა და ფეტვის ნათესებმა. გურული ღვინო, კ. კოხის აზრით, „კახეტინსკის"[70] შემდეგ ყველაზე კარგია და მეტადაც ფასობს ამიერკავკასიაში.

საქართველოს ღარიბ მოსახლეობასთან შედარებით, მოგზაურის აზრით, გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა იმ დროს გერმანული ახალშენების მოსახლეობა. დაწვრილებით გვიწერს იგი მტკვრის დაბლობზე მდებარე (გერმანულ კოლონიას, რომელიც მარიენფელდის სახელითაა ცნობილი.

კ. კოხის თქმით, კავკასიის გერმანული კოლონიები ფრიდრიხ დიდის მიერ შვიდწლიანი ომის შემდეგ ჩამოყალიბებული კოლონიების ყაიდაზეა შექმნილი: ყველა სახლი სტანდარტულია, ერთსართულიანი, ირგვლივ ბაღებით გარშემორტყმული. გერმანელები აქ ცალკე ოჯახებად ცხოვრობენ. საუცხოოდ მოვლილ ხეხილის ბაღების გარდა მათ აქ გაუშენებიათ ყვავილხარი და ბოსტნები: კარგი მეურნეობაც აქვთ. მოჰყავთ კარტოფილი, ამზადებენ რძის ნაწარმს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. მათ მიერ დამზადებული კარაქი და რძის სხვა ნაწარმი გაცილებით უფრო ხარისხიანია, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დამზადებული.

კ. კოხი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ წყალსადენისა და არხების უქონლობის გამო (ისევე როგორც სხვაგან აღმოსავლეთში) კოლონისტებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი (რომელიც თავისთავად უნაყოფო არაა) უწყლობის გამო ნაკლებნაყოფიერი და ძნელი მოსავლელია. წყლის ნაკლებობის გამო ადგილობრივი მოსახლეობა მუდმივ ხელმოკლეობას განიცდის, არა აქვს საკმაო საზრდო. მათი ყოველდღიური საკვებია მჭადი, ლობიო, მაწონი და მხალეული.

---

[70] ასე უწოდებს მოგზაური კახურ ღვინოს.

კ. კოხის დაკვირვებით, თვით მოსახლეობაც ვერ იჩენს საკმარის მუყაითობას, არ ბაძავს გერმანელ კოლონისტებს, რომ ამით რამდენადმე გაიუმჯობესოს თავისი ეკონომიკური მდგომარეობა.

ქვეყნის ეკოხომიკის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კავკასიასა და საქართველოში წარმოებული ვაჭრობის წესი და ხასიათი.

ე. სპენსერი არაფერს გვაუწყებს იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო მის მიერ ჩამოთვლილ გეოგრაფიულ პუნქტებში ვაჭრობის თვალსაზრისით. იგი კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, თუ როგორ იყო დაყენებული ძველად ამა თუ იმ ნავსადგურში ვაჭრობს საქმე და რა როლს ასრულებდა ის მისი განვითარების საქმეში.

უმნიშვნელოვანესი ნავსადგურებიდან ე. სპენსერი გამოყოფს ანაპას, როგორც ძველ სავაჭრო პუნქტს (კერძოდ, ეს იყო ქალებით ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი), მაგრამ, ჩანს, ანაპაში არ აღმოჩნდა ვაჭრობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები და, როგორც მოგზაური შენიშნავს, იგი ჩაკვდა საბოლოოდ. გამბას ცნობით, „ანაპის ვაჭრობა გარკვეულ მნიშვნელობას მოიპოვებდა, რომ თურქეთ-რუსეთის საერთო განწყობილება არა... 1823 წელს ანაპის ბაზარი მთლიანად იყო მოკლებული ევროპულ საქონელს[71]. ევროპული საქონელი ისეთ დეფიციტს წარმოადგენდა ამ დროისათვის, რომ, გამბას თქმით, როდესაც ანაპაში გამოჩნდა საცდელად გამოგზავნილი ბ-ნ დე ლეკლუზის ხომალდი, ფაშამ საკმაოდ ძვირად, მაგრამ უყოყმანოდ შეისყიდა მთელი საქონელი, რომელიც კი იყო გემზე (მაუდი, ტილო და ჩვეულებრივი მოხმარების საგნები)[72].

ე. სპენსერის მიხედვით, სუჯუკ-კალეც თურქების სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა ძველად. ამის ნებართვა თურქებისათვის ადგილობრივ მთავარს გირეი კოემიტს მიუცია. ე. სპენსერის „მოგზაურობიდან“ ვგებულობთ, რომ გენუელებმა ჩერქეზეთის სანაპიროზე დააარსეს სავაჭრო პუნქტი „პორტო-ფრანკო“, რომელსაც ზოგი ძველ სინდიკას უწოდებს. ე. სპენსერი აღარ გვამცნობს სუჯუკ-კალეს როგორც სავაჭრო ცენტრის შემდგომ ბედს. ისევ სხვა მოგზაურთა ცნობებით ვიგებთ, რომ სუჯუკ-კალეს ვაჭრობა იმ

---

[71] Gamba, Voyage.., ტ. I, გვ. 53.

[72] იქვე.

დროისათვის უკვე სავსებით გაუქმებული იყო. ევროპულ საქონელს ანაპა აწვდიდა მას[73].

ე. სპენსერი გაკვრით ეხება სოხუმ-კალესა და რედუტ-კალეს სავაჭრო მნიშვნელობას. სამაგიეროდ ჩვენი მეორე მოგზაური კ. კოხი რედუტ-კალეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ თვალსაზრისით. მისი გადმოცემით, ძველად აქედან იგზავნებოდა ევროპული საქონელი სპარსეთსა და ყირიმში. შემდეგ კი, მოგზაურის თქმით, რუსეთის მთავრობამ ნავსადგური გადაკეტა ყველა უცხო გემისათვის და ამით ამიერკავკასიის მოსახლეობას ხელიდან გამოაცალეს შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. მოგვიანებით გაიხსნა ახალი სავაჭრო გზა ტრაპიზონიდან არზრუმამდე, რომელიც თავისი ადგილმდებარეობის გამო დიდ სიძნელეებს ქმნიდა ვაჭრობის განვითარებისათვის.

ე. სპენსერისა და კ. კოხის მოწოდებული ცნობები რომ უფრო გასაგები გახდეს ჩვენთვის, თვალი უნდა გადავავლოთ რუსეთის მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ცნობილია, რომ ცარიზმი გარკვეული მიზეზების გამო თავდაპირველად თავს იკავებდა კავკასიაში ეკონომიკისა და, კერძოდ კი, ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობისაგან, მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო პოზიციების განმტკიცების გარდა იგი იქითკენაც მისწრაფოდა, რომ ამიერკავკასიაში საკუთარი ბაზა შეექმნა[74]. რუსეთმა ამიერკავკასიისა და საქართველოს თავისუფალი ვაჭრობა აზიის და ევროპის ქვეყნებთან თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის სახიფათოდ მიიჩნია და თავის დროზე აკრძალა იგი. რუსეთის მთავრობამ, რომელიც აქ რუსული წარმოების საქონლის გასაღებით იყო დაინტერესებული, საქართველოში შემოზიდულ უცხოურ საქონელზე რუსეთის საიმპერიო-საბაჟო ტარიფი გაავრცელა. საქონელი გაძვირდა, უკმაყოფილება გაიზარდა[75]. მაგრამ მოხდა ისე, რომ რუსეთმა ეს ბაზარი თვითონ ვერ აითვისა და იძულებული გახდა ისევ დაეშვა ვაჭრობა. გადაწყდა ევროპულ და უცხოურ საქონელზე 10 წლის ვადით შეღავათიანი ტარიფის შემოღება; ნებადართულ იქნა აგრეთვე ევროპული საქონლის უბაჟო ანუ თავისუფალი ტრანზიტი ამიერკავკასიის გავლით ირანისაკენ ოდესა-ყულევი (რედუტ-კალე) — თბილისის მარშრუ-

---

[73] Gamba, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

[74] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V,

[75] АКАК, т. V, გვ. 332.

ტით. ევროპიდან შემოტანილ საქონელზე საბაჟო გადასახადი შეადგენდა საქონლის ღირებულების 5%-ს[76]. მიუხედავად იმ საფრთხისა, რასაც თავისუფალი ვაჭრობა უქმნიდა რუსეთს, იგი მაინც წავიდა ამ ნაბიჯზე იმ იმედით, რომ 10 წლის შემდეგ სავაჭრო ბაზრები გაფართოვდებოდა, გაიზრდებოდა და ტარიფის გაუქმების დროისათვის ხელში ჩაუვარდებოდა რუსეთის ბურჟუაზიას[77]. შეღავათიანი ტარიფის დაშვებამ, მართლაც, საგრძნობლად გამოაცოცხლა ვაჭრობა მთელს ამიერკავკასიასა და საქართველოში.

«Льготный тариф 1821 г. действительно послужил толчком для развития торговой жизни в Закавказье и особенно для расширения его коммерческих связей с зарубежным европейским рынком. Пользуясь разрешенным с этого времени беспошлинным транзитом товаров в Персию через Закавказье, агенты французских и английских торговых фирм стали все чаще посещать Грузию»[78].

ფრანგი კონსულისა და მოგზაურის გამბას სიტყვებით, თბილისში შეხვდებოდით იმ დროს პარიზელ ნეგოციანტსა და პეტერბურგელ კურიერს, კონსტანტინეპოლელ, ინგლისელ, მადრასელ და კალკუტელ ვაჭარს, სმირნელ სომხებსა და უზბეკებს ბუხარიდან. გამბა თბილისს „ევროპისა და აზიის საკვანძო პუნქტს“ უწოდებდა[79].

ვაჭრობა წარმოებდა ძირითადად ნაღდ ფულზე; მას ორმხრივი ხასიათი ჰქონდა: საქონლის შემოტანასთან ერთად წარმოებდა მისი გატანაც. საინტერესო ცნობას გვაწვდის ამ პერიოდის რედუტ-კალეს შესახებ გამბა. მისი ცნობით, 1823 წელს რედუტ-კალეში უამრავი საქონელი შემოდიოდა უცხოეთიდან. კონსტანტინეპოლიდან იგზავნებოდა რომი, თავი შაქარი, ყავა და ზოგიერთი სხვა საქონელი, რომელიც მოდიოდა ინგლისიდან და ხმელთაშუაზღვის ნავსადგურებიდან. გამბა გადმოგვცემს, რომ ტრაპიზონი აწვდიდა რედუტ-კალეს ღვინოს (თუმცა საკმარისად

---

[76] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 94—95; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, შრომები, II, 1958, გვ. 297, საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო (ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა,...), 1958; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX საუკუნეებში, ტ. I, 1949, გვ. 131—257.

[77] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 94—95.

[78] А. В. Ф а д е е в, Россия и Кавказ..., с. 56—57.

[79] Gamba, Vogyage..., ტ. II, გვ. 175.

მდარე ხარისხისას), ციტრუსებს, ზეთს, უხეშ ტილოს; ტაგანროგიდან აქ მოდიოდა რკინა, ჭილოფი, შალეული, შებოლილი და დამარილებული თევზი და არქიპელაგის ღვინო; ქერჩიდან — მარილი; ასტრახანიდან ცხვრის ტყავი, და ბოლოს, ოდესა ამარაგებდა რედუტ-კალეს თავი შაქრით, რომით, ბამბით, მაუდით, აბრეშუმით, კაეეულობით, შამპანურით და მისთ. ამით იგი კონკურენციას უწევდა კონსტანტინოპოლიდან შემოსულ საქონელს«[80]. ასეთი ხასიათისა იყო ვაჭრობა რედუტ-კალეში. გამბას თქმით. შეღავათიანი ტარიფის შემოღებისთანავე ახალმა ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა დაიწყო ბრძოლა მისი გაუქმებისათვის. მოგზაურის აზრით, კანკრინი ამ ღონისძიების გატარებით მოწადინებული იყო დაეცვა რუსეთის მრეწველებისა და კაპიტალისტების სავაჭრო ინტერესები; იგი ცდილობდა, რომ ამიერკავკასიის ბაზრები რუსეთის კაპიტალისტებს ჩავარდნოდათ ხელში[81].

«В результате длительного обсуждения этого вопроса в правительственных сферах точка зрения Канкрина взяла верх. 1831 г. Закавказский транзит был закрыт, а таможенные пошлины на ввозимые в Закавказье европейские товары, особенно на текстильные изделия, значительно повышены. Тем самым русской промышленной буржуазии было обеспечено положение на кавказском рынке... В конечном счете в основе такой политики лежало стремление отстоять старый, феодальный экономический базис.

Кроме того, царизм рассматривал внешнюю торговлю с азиатскими странами как средство для распространения своего политического влияния в этих странах[82].

1831 წელს, ვადის გასვლამდე 1 წლით ადრე, გაუქმდა შეღავათიანი ტარიფი ისე, რომ ვადის გაგრძელებაზე, ცხადია, აღარავის უზრუნია. რუსეთის მთავრობა ვარაუდობდა, რომ ამ ხნის განმავლობაში დაგროვილი კაპიტალი და ვაჭართა გამოცდილება საკმარისი იყო იმისათვის, რომ რუსეთს საკუთარი (ე. ი. რუსული) საქონლით მონაწილეობა მიეღო ირან-თურქეთთან ვაჭრობაში[83].

ტარიფის გაუქმებამ რუსეთისათვის მოულოდნელი შედეგი გამოიღო. თავისუფალი ვაჭრობის შემდგომმა ამკრძალავმა წე-

---

[80] Gamba, Voyage..., ტ. I, გვ. 106—107.

[81] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, გვ. 96.

[82] А. В. Фадеев, დასახ. ნაშრომი, გვ. 59—60.

[83] Кавказский Календарь, вып. 1953; Дюкруасн, О заграничной торговле Закавказского края , с. 410.

სებმა ის გამოიწვია, რომ ევროპასა და ირანს შორის სავაჭრო გზამ გადაინაცვლა ტრაპიზონ-არზრუმის გზისაკენ. ტრაპიზონში ინგლისმა დააარსა სავაჭრო კომპანია და ამით ხელში ჩაიგდო მთელი მცირე აზიისა და ირანის ვაჭრობა. ინგლისური საქონლით აივსო ირანის ქალაქები. შემოსავალი, რომელიც აქამდე თავისუფალი ტრანზიტის საშუალებით თბილისში და რედუტ-კალეში იყრიდა თავს, ახლა ტრაპიზონ-არზრუმისაკენ მიემართებოდა. ამან, რაღა თქმა უნდა, თავისი შედეგიც უმალ გამოიღო: დაქვეითდა ვაჭრობა, შემცირდა მოთხოვნილება რუსულ საქონელზე. თბილისელმა ვაჭრებმა აირჩიეს ევროპული საქონლით ვაჭრობა ახალი სავაჭრო გზით (ტრაპიზონი-არზრუმი). ამგვარად, შეღავათიანი ტარიფის გაუქმებამ არსებითად ჩაკეტა ბაზრები ამიერკავკასიასა და საქართველოში. იგი აივსო კონტრაბანდული საქონლით.

კ. კოხის ჩამოსვლის დროს საქართველოსა და კავკასიაში სავაჭრო შეღავათიანი ტარიფი უკვე გაუქმებული იყო, ვაჭრობა შესაბამისად შეზღუდული იყო და ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა — წარმოებდა გაცვლითი ვაჭრობა და, ცხადია, მნიშვნელობაც მხოლოდ ადგილობრივი ჰქონდა.

კ. კოხის ცნობით, ამ დროს რედუტ-კალეში თავს იყრიდა სხვადასხვა ეროვნების ხალხი: ჩერქეზები, აბაზები, ლაზები, ლეკები, სომხები, ებრაელები, თათრები და თურქმენები. ბაზრობა აქ ყოველწლიურად ეწყობოდა. ვაჭრები შორეული კუთხეებიდანაც ჩამოდიოდნენ. რუსეთის მთავრობა მათ უფლებას აძლევდა გაეყიდათ მარილი, თამბაქო და თოფისწამალი. ბაზარზე ნაირნაირი საქონელი ირეოდა: სანთელი, ხორცი, საპონი, არაყი... ვაჭრობა ღია ცისქვეშ წარმოებდა; პირდაპირ ქუჩაში იყო გაწყობილი სახელოსნოები, დუქნები და რესტორნები. კ. კოხი მოგვითხრობს, რომ აქვე გვერდით მზადდებოდა ცეცხლზე შემდგარ ქვაბებში შეჭამადი ცხვრის ხორცისაგან, რომელიც შეკაზმული იყო ადგილობრივი ცხარე საკაზმებით: ხახვით, ნივრით, ესპანური წიწაკით და სხვ.

ყველაფერი ეს ევროპელი მოგზაურისათვის უცხო და საინტერესო იყო, მაგრამ ცოტა გაუგებარიც. ყველგან და ყველაფერში კ. კოხი ანალოგიას ატარებს საკუთარ სამშობლოსთან და საზოგადოდ ევროპულ ყოფასთან. რედუტ-კალეს (და სხვა ნებისმიერი სავაჭრო ცენტრის) დუქნები, კ. კოხის აზრით, ვერავითარ მეტოქეობას ვერ უწევს ბავარიის ყველაზე ჭუჭყიანი სოფლების დუქნებსაც კი. დანანებით აღნიშნავს იგი, რომ ევროპული სა-

ქონელი უკვე აღარ შემოდის რედუტ-კალეში და თუ იშვიათად მაინც გამოჩნდა — ძალიან ძვირად ფასობს. კ. კოხის თქმით, ნავსადგურს ძველი ბრწყინვალებისაგან არაფერი შერჩენია.

რედუტ-კალეს 5 საათის სავალზე მდებარეობს ქ. ფოთი. თავისი შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქალაქი სავაჭრო ურთიერთობისათვის ყველაზე მომგებიან პირობებში იმყოფებოდა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ეს ქალაქი სამხედრო ბანაკად და ბაზად გამოიყენა, ნაცვლად ვაჭრობისა.

ქ. ბათუმი კ. კოხს სინოპის შემდეგ ყველაზე საიმედო პორტად მიაჩნია. საქონელი ბათუმიდან ყარსამდე იგზავნება. იგი გადააქვთ უმთავრესად ცხენებით, რადგან ტრანსპორტირების სხვა საშუალება მაშინ არ არსებობდა. მოგზაურის ცნობით, სავაჭრო საქმეებს ძირითადად გაქართველებული სომხები განაგებენ: „ეს ის ქართველებიაო — წერს იგი, — რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხურ გვარებს ატარებენ. ისინი უმთავრესად ართვინში ცხოვრობენ“. ვაჭრობას რომ ძირითადად სომხები და ბერძნები მისდევდნენ, ამას გამბაც გვიდასტურებს. მისი თქმით, „რედუტ-კალეს ვაჭრები ყველანი ან სომხები იყვნენ, ან ბერძნები“[84].

კ. კოხის თქმით, ვაჭრობის ერთ-ერთი ცენტრი ამ დროისათვის იყო ართვინი. აქ განსაკუთრებით ყოფილა განვითარებული სამღებრო საქმე. ართვინის წითელი და მეწამული ფერის საღებავი, რომელსაც ენდროს ძირებისაგან ამზადებენ, მთელს აღმოსავლეთში ყოფილა ცნობილი.

ქ. ათინაში, ისევე როგორც ბათუმსა და ხოფში, დროდადრო იმართებოდა ბაზრობა. ვაჭრობა, მოგზაურის თქმით, აქ წარმოებდა გაცვლის წესით; ბაზრობაზე თავს იყრიდა ახლომახლო სოფლების მოსახლეობა; ცვლიდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. გასაყიდად მოჰყავდათ აგრეთვე ცოცხალი პირუტყვი, ცხენები, ცხვარი და მისთ. აქაც, როგორც სხვა სავაჭრო პუნქტებში, ღია ცის ქვეშ იყო გამართული სახელოსნოები, დუქნები და რესტორნები. აქვე იყო გახსნილი მეპურეების (ექმექჩების), მზარეულების (ქებაბჩი) და მეყავეების (ქაფედჩი) დუქნები.

ბაზრობაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელი კოლონისტებიც. კ. კოხი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ მათი საქონელი, ძირითადად გასაყიდად შემოტანილი პროდუქტები, უფრო ხარისხი-

---

[84] Gamba, Voyage..., ტ. I, გვ. 108.

ანი იყო და ძვირადაც იყიდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა რძე, კარაქი, კარტოფილი და ბოსტნეული. ამასვე ადასტურებს გამბას ცნობები გერმანელი კოლონისტების შესახებ. იგი იგონებს, რომ 1820 წელს, როდესაც ამ ქალაქში ჩამოვიდა, გერმანელი კოლონისტები თავიანთი ბედით და ცხოვრებით კმაყოფილი ეჩვენა. ის გერმანელები, რომლებიც ცხოვრობენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე გარეუბანში, გამბას ცნობით, ქალაქს ამარაგებენ მწვანილით, კარაქით, ღორის ხორცით და შაშხით და მისთ.[85]

თბილისის ახლოს მოსახლე კოლონისტები გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ ქვეყნის შიდა რაიონებში დასახლებულ კოლონისტებთან შედარებით. პირველნი ქალაქს ემსახურებოდნენ, მას ამარაგებდნენ და, ცხადია, სარგებელიც მეტი ჰქონდათ და მაინც, ახალი თბილისი, კ. კოხის აზრით, არაა ისეთი უხვი და მდიდარი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მისი ცნობით, გერმანელი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა დატოვა ახალი დასახლება, გადასახლდა ქალაქში და ხელობას მიჰყო ხელი (დურგლობას, ხაბაზობას, ხარაზობას და მისთ.). მათი ნახელავი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მსგავსად, ადგილობრივ ნამუშევართან შედარებით ორმაგ ფასში იყიდებოდა. რუსი ხელოსნების მიერ შეკერილი ფეხსაცმელიც კი ვერ უძლებდა მათთან კონკურენციას; რუსული ნაწარმი შედარებით იაფი ღირდა. კ. კოხი ერთგვარი გულისტკივილით და დანანებითაც კი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სრულიად არ ცდილობდა მიებაძა კოლონისტებისათვის, აჰყოლოდა მათ შრომაში და როგორღაც გაეუმჯობესებინა თავისი ეკონომიური მდგომარეობა, ალმაღლებინა ცხოვრების მატერიალური დონე. მათი ეკონომიური მდგომარეობა კი ძალზე სავალალო იყო. ევროპელისათვის ისინი მეტისმეტად ღარიბულად ცხოვრობდნენ. ეკონომიური სივიწროვისა და მუდმივი შიმშილისაგან მოსახლეობის რიცხვი თანდათან კლებულობდა. კ. კოხის დაკვირვებით, აღმოსავლელი მთელი დღის განმავლობაში საზრდოდ იღებს ცოტა ფეტვს ან მჭადს და მაწონს. მისი აზრით, შეძლებული აღმოსავლელიც კი ღარიბად გამოიყურებოდა ევროპელთან შედარებით.

საგანგებოდ ჩერდება კ. კოხი ტყვეებით ვაჭრობაზე, რომლის მთავარ ბაზარს ძველთაგანვე ახალციხე წარმოადგენდა. ცნობი-

---

[85] Gamba, Voyage..., ტ. II, გვ. 183.

ლია, რომ მე-17 — 18 საუკუნეებში ცოცხალი ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. ჯერ კიდევ შარდენი წერდა, რომ ტყვეთა სყიდვას მასობრივი ხასიათი ჰქონდა საქართველოში. შარდენი შენიშნავდა, რომ ომებთან ერთად ქვეყნის მოსახლეობას აჩანაგებდა ტყვეებით ვაჭრობა[86]. ეს მდგომარეობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. გერმანელი მოგზაური ფრაიგანგი გადმოგვცემს, რომ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოში წარმოებდა გაცხოველებული ვაჭრობა ქალებითა და მამაკაცებით. ქალებს უმთავრესად თურქეთსა და სპარსეთში ჰყიდდნენ ჰარამხანებისათვის. ლამაზი ქალი, ფრაიგანგის თქმით, ხშირად ერთი ცხენის ანდა კარვი ხმლის ფასად იყიდებოდა. ფრაიგანგი იმასაც დასძენს, რომ ამ სამარცხვინო ვაჭრობას ამჟამად თითქმის ბოლო მოეღოო[87].

ტყვეთა სყიდვის რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა და ხანდახან 1000-საც კი აღწევდა. ეს ციფრი გაცილებით ნაკლებია იმაზე, რომელსაც შარდენი ასახელებს თავისი დროისათვის; იგი წერს: „ყოველწლიურად თორმეტი ათასი კაცი გაყავდათ გასაყიდადო“[88]. სხვა წყაროებით იმ დროისათვის აქ „ყოველ წელს გაყიდულთა რიცხვი არანაკლებ ორი ათასს აღწევს“[89]. როგორც არ უნდა იყოს, კ. კოხის ციფრი — 1000 კაცი — გაცილებით ნაკლებია იმაზე, რასაც სხვა მოგზაურები გვთავაზობენ. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ტყვეთა სყიდვა საქართველოში საგრძნობლად შემცირებულა.

კ. კოხის ცნობით, აღმოსავლეთის ქვეყნებს ტყვე-ქალებით თითქმის მთელი ამიერკავკასია, სომხეთი და ლაზისტანი ამარაგებდა. ეს „საქონელი“, მოგზაურის თქმით, ძოლად უვარდებოდათ ლეკებს ხელში. ლეკები ამისათვის საგანგებოდ ჩამოდიოდნენ ბარში. 40 წლის წინათ თბილისიც კი გამხდარა მათი თარეშის შოწამე. კ. კოხი, მსგავსად ფრაიგანგისა, გვაუწყებს, რომ ტყვეთა სყიდვა საბოლოოდ მას შემდეგ აღიკვეთა, რაც რუსეთმა გაათავისუფლა ახალციხე ოსმალთა ბატონობისაგან.

საქართველოში, კ. კოხის გადმოცემით, კონტრაბანდულ ვაჭ-

---

[86] შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ ზ ი ა მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ მ ა, 1975, გვ. 28.

[87] W. von Freygangs Briefe über den..., 1812, გვ. 69.

[88] შ ა რ დ ე ნ ი, გვ. 28.

[89] ჯ. ჯ უ დ ი ჩ ე, წერილები საქართველოზე, 1964, გვ. 45.

რობასაც ჰქონია ადგილი. კონტრაბანდული საქონელი, მისი თქმით, რიონის საშუალებით შემოჰქონდათ. შლამიანი შესართავის გამო დიდი ზომის ტრანსპორტისათვის გამოუსადეგარი იყო რიონი, მაგრამ კაპარჭების მეშვეობით ისინი მაინც ახერხებდნენ უცხო საქონელი შემოეტანათ ქვეყანაში. ტრაპიზონში ინგლისური სავაჭრო კომპანიის დაარსებამ აღმოსავლეთის ბაზარი ააავსო ევროპული საქონლით. ეს საქონელი საქართველოსა და ამიერკავკასიაში ირან-თურქეთის გზით შემოდიოდა. ფართო გასაქანი მიეცა კონტრაბანდულ ვაჭრობას[90], რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, რიონის საშუალებით აღწევდა საქართველოში.

დიდი გასავალი ჰქონდა, კ. კოხის აზრით, ხე-ტყით ვაჭრობასაც. ხის მასალა დიდი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენდა მსოფლიო ბაზარზე. ადგილობრივი თავადები ვალდებულნი იყვნენ ქვეყნის სიღრმიდან ხე-ტყე გამოეზიდათ სანაპიროზე და ჩაებარებინათ თურქებისათვის. ისინი უფლებას გამოსთხოვდნენ თურქებს, რომ მათაც ჰქონოდათ ხე-ტყით ვაჭრობის საშუალება.

კ. კოხის თვალსაზრისით, ფართო სავაჭრო ურთიერთობებს ბევრი რამ უშლიდა ხელს. განსაკუთრებით შეეიწროებული ჩანს, მისი აზრით, საშინაო ვაჭრობის ჩარჩოები. ვაჭრობის ხასიათი გაცვლითი იყო ძირითადად, რადგან არ არსებობდა ერთიანი ფულის სისტემა. ვაჭრობის შემდგომ ზრდა-განვითარებას აფერხებდა უგზოობა და გადასახადები[91].

ვაჭრობის განვითარებისათვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ცუდი საკომუნიკაციო საშუალებები ქვეყანაში (უვარგისი გზები)[92].

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის განვითარება ბევრად იყო დამოკიდებული ტრანსპორტისა და სამიმოსვლო გზების განვითარებაზე. როგორი იყო მიმოსვლის საშუალება ამ დროს საქართველოში, ეს კარგად ჩანს გერმანელი მოგზაურის გიულდენშტედტის მოგზაურობიდან, რომელიც, მართალია, XVIII საუკუნის 70-იან წლებში იყო საქართველოში, მაგრამ ამ 50 — 60 წლის მანძილზე, რომელიც აშორებს მას კ. კოხის მოგზაურობიდან, არსებითად არაფერი შეცვლილა ქვეყანაში ამ თვალსაზრისით. გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ ბარგის გადასაზიდად მათ

---

[90] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 915.

[91] А. В. Фадеев, Россия и Кавказ..., с. 82.

[92] З. Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1966, с. 101.

ძლივს მოახერხეს ორი ულელი ხარ-კამეჩის შებმა[93]. გზების სიძნელეებს ეხება ფრაიგანგი თავის მოგზაურობაში: „საქონელი ფურგონებით მოაქვთ, — წერს იგი, — თბილისიდან კაიშაურამდე, ხოლო აქედან ფეხით — ზურგზე შემოკიდებული კაიშაურის მთის გადაღმა. გზით გამოწვეული ეს სიძნელეები მხოლოდ მსუბუქი საგნების ტრანსპორტირების საშუალებას იძლეოდა ან ისეთი საქონლის გადაზიდვისა, რომელსაც დიდი ღირებულება არა აქვს"[94].

გზები არ იყო არათუ რუსეთის ცენტრალურ რაიონებთან დასაკავშირებლად, არამედ თვით ქვეყნის შიგნით მიმოსვლის საშარმოებლად. „სამხედრო გზა, — წერს მ. ვორონცოვი თავის ანგარიშში, — საკმაოდ მოუწესრიგებელია, ზამთრობით წყდება მიმოსვლა. უქმი ხდება მთავრობის ყველა ღონისძიება; განკარგულებები არ სრულდება, სურსათ-სანოვაგის და სოფლის სხვა ნაწარმის ღირებულება განუწყვეტლივ იცვლება და ვაჭრებისათვის არათუ ძნელი, არამედ შეუძლებელი ხდება მოძრაობა"[95]. უგზოობა ამ პერიოდში, მართლაც, ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი იყო.

ვაჭრობის განვითარებას აფერხებდა აგრეთვე ფულის ნაკლებობა და სავაჭრო-ფულადი ურთიერთობის დაბალი დონე. ამის გამო საქართველოში ბევრგან გაბატონებული იყო ნატურალური საქონელბრუნვა. ასეთი მდგომარეობა დიდხანს გრძელდებოდა საქართველოში[96]. კ. კოხის მოგზაურობიდანაც ჩანს, რომ ვაჭრობა წარმოებდა ძირითადად გაცვლის წესით, რაც გარკვეულად აფერხებდა მის განვითარებასა და შემდგომ გაფართოებას.

დიდი მნიშვნელობის მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ რუსეთმა მოახერხა დაღესტნის ფეოდალთა თვითნებობის აღკვეთა. მეფის მთავრობამ ისინი აიძულა შეეწყვიტათ მეზობელი ქვეყნების დარბევა და ტყვეებით ვაჭრობა[97]. დიდი როლი შეასრულა ტყვეთა სყიდვის მოსპობის საქმეში ფოთის, სოხუმის, ახალციხის მხარის და ჭარ-ბელაქანის რუსეთთან შეერთებამ, რადგან სწორედ ამ მხარეებში წარმოებდა უმთავრესად ტყვეებით ვაჭრობა[98].

ე. სპენსერმა და კ. კოხმა თავისი მოგზაურობის დროს საქარ-

---

[93] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ., 1962, გვ. 99.

[94] Freygangs Briefe über den... 83, 69.

[95] Акты, X, с. 840.

[96] Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

[97] იქვე, გვ. 32.

[98] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, გვ. 905.

თველოსა და კავკასიაში ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილი, დასახლებული პუნქტი, ნავსადგური თუ ქალაქი და სოფელი მოინახულეს. ავტორები დაწვრილებით აგვიწერენ თითოეული მათგანის ადგილმდებარეობას, ხშირ შემთხვევაში გვაცნობენ მათ ისტორიას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ე. სპენსერმა, მისი მარშრუტის შესაბამისად, ჩერქეზეთისა და აფხაზეთის ზღვისპირა თითქმის ყველა ნავსადგური და ქალაქი მოინახულა: ანაპა, სუჯუკ-კალე, გელენჯიკი, ფშადი, შუოკი, მამაი, ადლერი, ვარდანი, ბიჭვინტა, გაგრა, ბომბორი, სოხუმ-კალე, კელასური და სხვ. მოიხილა აგრეთვე სამეგრელოს ყველაზე დიდი ქალაქი — მისი სამხედრო და სავაჭრო მნიშვნელობის თვალსაზრისით — რედუტ-კალე და მცირე საზღვაო პუნქტები ილორი და ანაკლია. მოგზაური დეტალურად გადმოგვცემს ამ პუნქტების ადგილმდებარეობის აღწერას, მანძილს ერთი პუნქტიდან მეორემდე; გვაწვდის თითოეული მათგანის აშენების ისტორიას, თარიღს (თუ ეს მისთვის ცნობილია). ე. სპენსერი ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებით სამხედრო მნიშვნელობის ციხესიმაგრეებზე, მოგვითხრობს მათი წარმოქმნისა და აღმოცენების ისტორიას (კაბარდინსკი, ნოვოროსიისკი, ნოვოტროიცკი. რიონსკი, ნიკოლაევსკი და სხვ.).

სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ ე. სპენსერი თავისი მიზნების მესატყვისად ყურადღებას, ძირითადად, ზღვისპირა ქალაქებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტებზე ამახვილებს. კ. კოხი სამხრეთ-დასავლეთ რაიონების მნიშვნელოვანი პუნქტებისა და ქალაქების აღწერითაა დაკავებული. უკვე ჩამოთვლილ ქალაქებს გარდა, კ. კოხი ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალციხეს, რომელიც ძველი ქართული პროვინცია იყო. მისი სიტყვით, იგი XVI საუკუნეში დაიპყრეს თურქებმა და მოსახლეობა გაამაჰმადიანეს. თურქები ქალაქსაც და თვით პროვინციასაც აკისქას უწოდებდნენ. როგორც ციხე-სიმაგრე, ახალციხე დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენდა რუსების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლაში. 1829 წელს

ახალციხეში 60000 მცხოვრები იყო, იმდროისათვის, როგორც კ. კოხი ამბობს, მოსახლეობის რიცხვი 1500-მდე ძლივს აღწევდა. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ ახალციხე რუსეთის ხელში გადადის. ახალციხე ვაჭრობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში.

კ. კოხმა მოინახულა აგრეთვე ახალციხესთან მდებარე პატარა ქალაქები და სოფლები: ართვინი, ხოფი, ათინა, ოფი, ისპირი, სურმენე, ჰამამშენი, რიზე, ძველი ციზა-ქისეჰი, ახაბისი, ზურზუმეხო (ზურმენე), ტრაპიზონი, კერასუნი, ტირებოლუ და სხვ.

თბილისი კ. კოხს საქართველოსა და ამიერკავკასიის ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად მიაჩნია და ამიტომაც უფრო დიდ ადგილს უთმობს მის აღწერას თავის „მოგზაურობაში". კ. კოხი დაწვრილებით აგვიწერს ქალაქის იმდროინდელ იერს. მისი აზრით, თბილისი აღმოსავლური ტიპის სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო კეთილმოწყობილიცაა და უფრო ლამაზიც. როგორც იგი ამბობს, ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მასზე არც ერთ ქალაქს არ მოუხდენია. თუმცა ქალაქის მთლიანი იერი, მისი თქმით, აშკარად აღმოსავლურია, მაგრამ კონტრასტი მაინც არაა მკვეთრი და თვალში საცემი.

კ. კოხი აგვიწერს თბილისის მდებარეობას, ქალაქის უბნების განლაგებას, მის ცხოვრებასა და ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას. რუსების უბანი ცალკეა გაშენებული — მთის ძირში, ფერდობზე, სადაც წმინდა ეკლესია დგას. ამ უბანს იგი გარეთუბანს უწოდებს. მისი გადმოცემით, მტკვრის შუა ნაწილის სანაპიროზე წარჩინებული ქართველებისა და შეძლებული სომხების სახლებია მოთავსებული; აქვეა ბაზრებიც.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოგზაურზე მტკვრის სანაპიროზე გაშენებულ სახლებს მოუხდენია. კ. კოხის თქმით, თბილისი რუსეთთან საქართველოს შეერთებამდე ერთი მწირი ადგილი ყოფილა; ქალაქში სულ ასიოდე სახლი მდგარა[99]. მოგზაური საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დროის იმ ინტერვალში, რომელიც გავიდა მის პირველ მოგზაურობასა და ბოლო მოგზაურობას შორის (1836 — 1844 წწ.), ქალაქში ბევრი რამ შეიცვალა და იგი შესამჩნევად გაიზარდა: აშენდა სახლები, ფართოდ განვითარდა

---

[99] კ. კოხი აშკარად აჭარბებს. მართალია, თბილისი დიდი ქალაქი არ იყო რუსეთთან შეერთებამდე, მაგრამ კავკასიაში მაინც ყველაზე დიდ ქალაქს წარმოადგენდა. ჩანს, მოგზაური გაიტაცა თბილისის შემდგომი ზრდის სურათის წარმოჩენის სურვილმა.

ვაჭრობა, გაჩაღდა ხელოსნური წარმოება. თბილისის ვაჭრობასა და ხელოსნურ წარმოებასთან დაკავშირებით კ. კოხი რატომღაც მხოლოდ ზოგადი ცნობების მოწოდებით კმაყოფილდება, არავითარ კონკრეტული ხასიათის ცნობას არ გვაწვდის, მაშინ როდესაც სინამდვილეში თბილისში საგრძნობლად გაიზარდა საქალაქო ცხოვრება. საქართველო ძველთაგანვე განთქმული იყო ძვირფასი ოქროქსოვილების, საომარი იარაღებისა და სხვათა ხელოსნური წარმოებით. ხელოსნობა ამ დროს ბატონობდა სოფლის მეურნეობის სხვა დარგებზე. წინანდელთან შედარებით სოფლის მეურნეობას უფრო მეტად ეთიშებოდნენ ხელოსნები, იზრდებოდა არამიწათმოქმედ, საქონელმწარმოებელ ხელოსანთა რიცხვი[100].

ოფიციალური ლიტერატურიდან და სხვა ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერებიდან ჩვენ ვიცით, რომ ძველ თბილისში ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი იყო განვითარებული და რომ ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში „თბილისის სახელოსნოებში 25 სახის საქონელს აწარმოებდნენ[101]. თბილისს საკუთარი ზარაფხანაც კი ჰქონია[102].

კ. კოხის ძუნწ ცნობებს თბილისის იმდროინდელი სახისა და კულტურულ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ გარკვეულად ავსებენ უცხოელი მოგზაურების მონაცემები (გამბა, პულე-კამერონი, ფრაიგანგი და სხვ.).

თბილისის გარეგნული იერის შესახებ ინგლისელი მოგზაური პულე-კამერონი შენიშნავს, რომ ქალაქი „იცვლის თავის სახეს და ხასიათს ევროპული ქალაქის ასპექტში. ჩნდება ახალ-ახალი ლამაზი შენობები და ფართო ქუჩები, თუმცა ქალაქს ჯერ კიდევ აჩნია წარსულის აზიური კვალი. მე, ჩვეულებრივ, ვხმარობ ტერმინს ევროპულს იმის გამო, რომ ყველა თანამედროვე წარმოშობის ქალაქი რუსეთის იმპერიაში სხვა მასშტაბებით შენდება. ძველი და პრიმიტიული ნაგებობები არც ევროპული სტილისაა და არც აღმოსავლურის, არამედ წარმოადგენს რაღაც საშუალოს ამ ორ სტილს შორის, რომელთა მთავარი ნიშან-თვისება არქიტექტურული თვალსაზრისით ხასიათდება როგორც ძველი რუსული ქალაქების სტილი“[103].

---

[100] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა და სხვა., თბ., 1958, გვ. 420.

[101] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ი. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1957, გვ. 126, 159.

[102] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 191.

[103] P. Cameron, Personal adventures..., გვ. 80.

„ოცი წლის წინათ, — წერს ფრანგი მოგზაური გამბა. — თბილისში მხოლოდ აზიური ზნე-ჩვეულებები იყო გაბატონებული.. უცხო ვაჭრები ქარვასლებში ჩერდებოდნენ. დღეს ამ დედაქალაქში რამდენიმე სასტუმროა“[104]. გამბა დაწვრილებით გვიამბობს იმდროინდელი თბილისის ვაჭრობისა და ხელოსნობის ხასიათის შესახებ.

თბილისი მისი თქმით, ამ დროისათვის „ჩართული იყო საგარეო ვაჭრობაში და ასრულებდა ერთგვარ შუამავლის როლს“[105]. გამბას გადმოცემით, თბილისში იმ დროს სამი ქარვასლა არსებობდა. „სამივე ქარვასლა, — წერს გამბა, — ბაზრის შუაგულში მდებარეობს. ეს ბაზარი მრავალ ქუჩად და მოედნად იყოფა. იგი მუდამ სავსეა ხალხით. თითოეული სახის მანუფაქტურულ ნაწარმს ბაზრის ცალკე უბანი აქვს მიჩენილი. დუქნებით გარშემორტყმულ პატარა მოედანთან მიახლოებისას საშინელი ღრიანცელი გამცნობთ, რომ მელითონეთა უბანში იმყოფებით“[106]. გამბა მოგვითხრობს, რომ თბილისში ამუშავებდნენ სპილენძს, რომელსაც ხელოსნები სპეციალურად იძენდნენ სომხებისაგან. მისივე ცნობით, ბაზარში სპეციალური უბანი აქვთ გამოყოფილი მექოთნეებს. აქ გამოფენილია მექოთნეთა ნაკეთები სხვადასხვა ტიპის თიხის ჭურჭელი. ოციოდე დუქანი დათმობილი აქვს ოქრო-ვერცხლის ნაკეთობებს. „ამ ხელოსნებს, — წერს გამბა, — ყოველთვის აქვთ საბუშაო. რადგან ვერცხლის ჭურჭელი ამ ქვეყანაში ფუფუნების საგანს წარმოადგენს. ისინი ჩინებულად ეუფლებიან მოჭიქვის ხელოვნებას. ყველაზე ცნობილ მელითონეებს გოგირდის აბანოებთან ნახავთ. თავიანთი ნახელავი ხმლებისა და ხანჯლებისათვის კარგი წრთობა რომ მიეცათ, ისინი ხორასნიდან შემოტანილ ფოლადს ამუშავებდნენ. იგი ისეთი იშვიათი გახდა, რომ დღეს ოქროს წონად ფასობს. მათ იციან აგრეთვე იარაღის საუცხოოდ მოჭედვა“[107]. გამბას თქმით, თბილისის ბაზარზე შეხვდებით აგრეთვე შესანიშნავ აბრეშუმის ნაწარმს, მოხატულს საუცხოო ხელოვნებით, მეტყავეებისა და მეწაღეების ნახელავს და მისთ.

20-იანი წლების თბილისის საქალაქო ცხოვრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ინგლისელი მოგზაური კერ პორ-

---

[104] З. Анчабадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
[105] Gamba, Voyage..., ტ. II, გვ. 182.
[106] იქვე, გვ. 161.
[107] იქვე.

ტერ რობერტი[108]. გამბას მსგავსად ისიც აღნიშნავს, რომ თბილისში ამ დროს გაჩაღებული იყო სავაჭრო და სახელოსნო ცხოვრება. მოგზაურის ცნობით, ძველი თბილისის მოედანი მოფენილი იყო ურიცხვი მაღაზიებითა და სახელოსნოებით (ხილით, საბაყლო საქონლით, აბრეშუმითა და ხავერდით მოვაჭრეების რიგით; აქვე იყო განლაგებული, სადალაქოები, უნაგირის ოსტატებისა და იარაღის მკეთებელთა სახელოსნოები და სხვ.).

რამდენადმე უფრო კონკრეტულ ცნობებს გვაწვდის კ. კოხი იმდროინდელი თბილისის კულტურულ ცხოვრებაზე. მისი თქვენით, უკვე დიდიხანია, რაც თბილისში არსებობს გიმნაზია, რომელიც თუმცა გერმანულს ვერ შეედრება, მაგრამ საფრანგეთის ანალოგიურ სკოლებთან გარკვეული უპირატესობა აქვს, რადგან თბილისის სკოლებში ნაწილობრივ მაინც უარი ითქვა ფორმალური სწავლების მეთოდებზე. კ. კოხი საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ წლების განმავლობაში შეუძლებელი იყო სანაპიროსაკენ გავლა ლეკების თავდასხმების შიშით. კულტურულ მონაპოვრებსა და თბილისის უსაფრთხოებას ქვეყანა უნდა უმადლოდეს რუსეთის იმპერიას. მოგზაური თვლის, რომ ესაა პირდაპირი შედეგი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ფრანგი მოგზაური გაბაც რუსეთთან შეერთების ფაქტს უკავშირებს ვაჭრობის გამოცოცხლებასა და ზრდას თბილისში. ის პირდაპირ წერს, რომ „ვაჭრობა ამ მხარეში სულ ახალი წარმოშობისაა და თარიღდება მხოლოდ და მხოლოდ რუსების მოსვლით, უფრო ზუსტად იმ დროით, როდესაც გულისტანის ტრაქტატმა საქართველოს მშვიდობა მოუტანა. პირველ წლებში, და იმ დრომდეც, ვიდრე იმპერატორმა ალექსანდრემ ამიერკავკასიის რუსულ პროვინციებს ვაჭრობის თავისუფლება უბოძა. ერთადერთი ვაჭრობა, რომელსაც სომხები აწარმოებდნენ, იყო საქართველოში მყოფი რუსი ჯარის მოთხოვნილებისათვის ჩვეულებრივი საქონლით ვაჭრობა, რის შესაძენადაც ისინი მიდიოდნენ მაკარიევის (დღევანდელი ნიჟნი-ნოვგოროდის) ბაზრობაზე[109]. გამბა დიდ პერსპექტივებს უქადდა თბილისს სავაჭრო ასპარეზზე. იგი ფიქრობდა, რომ თბილისი გახდებოდა უთუოდ მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი.

კ. კოხის დუმილი ამასთან დაკავშირებით უნდა აიხსნას იმით,

---

[108] Ker Perter Robert, Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babilonia during the years, 1817, 1818, 1819 and 1820; London, 1821, გვ. 108.

[109] Gamba, Voyage.. ტ. II, გვ. 208.

რომ მოგზაურის საქართველოში ჩამოსვლისათვის შეღავათიანი ტარიფი უკვე გაუქმებული იყო და ვაჭრობაც წინანდელთან შედარებით ჩამკვდარი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ვაჭრობას მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა იმ დროისათვის. მიუხედავად ამისა, თბილისი საგრძნობლად იზრდებოდა. კ. კოხის ძუნწ ცნობებს ამის ნაობაზე ავსებენ ამ პერიოდის სხვა ევროპელი მოგზაურები. გამბას ცნობით, თბილისის მოსახლეობაც კი შესამჩნევად გაიზარდა, რაც თავისთავად მეტყველებს ქალაქის ეკონომიურ გამოცოცხლებაზე. 1820 წლისათვის, მისი თქმით, თბილისში ითვლებოდა დაახლოებით 24 000 მცხოვრები. უკვე 1825 წლისათვის კი მისმა რიცხვმა 33 000 მიაღწია[110]. პორტერ რობერტის თქმითაც, ამ დროისათვის (1817 — 1820 წწ.) თბილისში სუსტად, მაგრამ მაინც შეიმჩნეოდა ცვლილებები გაუმჯობესებისაკენ[111].

ძირეული ცვლილებები განიცადა ქალაქის საერთო იერმაც. პორტერ რობერტის ცნობით, ერმოლოვმა ცხოველი მონაწილეობა მიიღო თბილისის გაშენების, მისი გალამაზებისა და კეთილმოწყობის საქმეში. ერმოლოვის ბრძანებით „ყველა სახლი, რომელიც ინგრევა ან უნდა შეკეთდეს, ან მთლიანად დაინგრეს, რათა მათ ადგილზე აშენდეს ახალი, უფრო ლამაზი შენობები ახალი გეგმის მიხედვით. ამ ხასიათის სამუშაოებიდან ერთად ჩატარდა სხვაც — გადაკეთდა ბაზარი, დიდი საბაზრო მოედანი, იგი მთლიანად გადაიხურა“[112]. თბილისის ძველი შენობებიდან კი მოგზაურს მხოლოდ პრსენალი, საავადმყოფო, ეკლესიები და ზოგიერთი შენობა თუ აგონებს ევროპას. „დანარჩენები — წერს იგი — წმინდა აზიურია, აზიური იმ გაგებით, რასაც ამ ტერმინში გულისხმობს ევროპელი“[113].

საგანგებოდ აღნიშნავს გენერალ ერმოლოვის დამსახურებას თბილისის აღდგენასა და აღორძინებაში გამბაც. „მშვენიერი მოედნები, საგულდაგულოდ აშენებული ყაზარმები, ჰოსპიტლები, ადმინისტრაციული შენობები — წერს იგი — ავსებს გენერალ ერმოლოვის მიერ წარმოებულ საზოგადოებრივ სამუშაოთა ანსამბლს. შეუდარებელია მისი ზრუნვა და ცდა მისდამი რწმუნებული ქალაქის გამშვენებისათვის; შეიძლება ითქვას, მისი სრული აღდგენისათვის. ცნობილია, თუ რა სიამოვნებით შეჰყურებდა იგი

---

110 Gamba, Voyage..., ტ. II, გვ. 164.

111 Ker Perter Robert, Travels..., გვ. 71.

112 იქვე.

113 იქვე.

თბილისის გაფართოვებას"[114]. მისი თქმით, სამი წელი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „ამ ძველს ქალაქს, რომლის დაკნინებული სახე აზიის თვითნება მმართველების მჩაგვრელი რეჟიმის მაუწყებელი იყო, მისცემოდა ის განსხვავებული ელფერი, რომელსაც ქმნის ცივილიზებული ევროპის მართვის პრინციპები"[115].

კ. კოხი, თუმცა ზოგადად, თბილისის ისტორიაზეც გვაწვდის ცნობებს. მისი თქმით, იგი საქართველოს მეფეთა რეზიდენცია იყო 1801 წლამდე მთელი 1300 წლის განმავლობაში. სახელწოდება „თბილისი" ქალაქმა, მისი აზრითაც, თბილი წყლებისაგან მიიღო. ჯერ კიდევ შარდენი წერდა, რომ მან ვერ შეძლო ქალაქის სახელწოდების წარმომავლობის დადგენა. „როგორც ამბობენ, — წერდა იგი, — მისთვის ეს სახელი სპარსელებს შეურქმევიათ, ხოლო ქართველები, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მას თბილისს კი არა „კალას", ე. ი. „ქალაქს" ანუ „ციხეს" უწოდებდნენ... ზოგი გეოგრაფოსი მას „ტებილუ-კალას" უწოდებს, ე. ი. „თბილ-ქალაქს"., იქაური ცხელწყლიანი აბანოების გამო, ან კიდევ იმის გამო, რომ ჰაერი აქ არც ისეთი ცივი და მკაცრია, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენ ნაწილში. ვერც ის შევიტყვე, თუ როდის იქნა ქალაქი დაარსებული. ზოგი მწერალი ამტკიცებს, რომ იგი არის ძველი არტაქსატი, მაგრამ ეს ნაკლებ სარწმუნოა. არა მჯერა, რომ იგი მხოლოდ ათასი წლისაა... მას მეტსახელად „დარელ მულუქი" შეარქვეს, ე. ი. „მეფეთა ქალაქი", რადგანაც იგი სამეფოს დედაქალაქია"[116].

სრულიად მართებულად შენიშნავს შარდენი, რომ თბილისი მხოლოდ ათასი წლისა არ შეიძლება იყოს. სწორი არაა მოგზაურის აზრი, თითქოს თბილისისათვის სახელი სპარსელებს შეერქვათ. თბილისი, როგორც ქალაქი, IV — V საუკუნეში არსებობდა უკვე და VI საუკუნის დასაწყისიდან იგი აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქია. კალა კი ეწოდებოდა თბილისის უძველეს ციხეს და არა თვით ქალაქს. არც ძველ ავტორთა არტაქსატია იგი[117].

თბილისის ღირსშესანიშნაობათა შორის კ. კოხი ასახელებს ცხელი გოგირდის წყლის აბანოებს. მისი გადმოცემით, ქართული მატიანე გვაუწყებს, რომ ამ თბილმა წყლებმა მისცეს სტიმული

---

[114] Gamba, Voyage..., ტ. II, გვ 156—157.

[115] იქვე

[116] ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 325.

[117] იქვე, გვ. 398.

ერთ სპარსელ მთავარსარდალს მე-4 საუკუნეში აეშენებინა ამ ადგილას ციხესიმაგრე, რომელიც შემდეგ ვახტანგ გორგასალმა აიღო და გაამაგრა. სხვაგვარი ცნობაა დაცული პორტერ რობერტის მოგზაურობაში", რომლის მიხედვით იგი დააარსა 1063 წელს მეფე დაჩი-მ იმ მიზნით, რომ პირადად ესარგებლა აბანოებისაგან მიღებული შემოსავლით[118] (გვ. 69).

კ. კოხის აზრით, თბილისის ცხელი აბანოები აღმოსავლეთის იმ რიგის თავისებურებებს განეკუთვნება, რომლებიც ევროპას არ გააჩნია. ის ფიქრობს, რომ თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, აბანო აღმოსავლეთში, კერძოდ კი თბილისში, ფუფუნების საგანს შეადგენს. სხვა ევროპელ მოგზაურთა ჩანაწერების მიხედვით კი, თბილისის აბანოები გამოიყენებოდა არა მარტო ჰიგიენური დანიშნულებისათვის, არამედ სამკურნალოდაც. ამას ჯერ კიდევ შარდენი აღნიშნავს თავის „მოგზაურობაში"[119]. გიულდენშტედტი თბილისის აბანოების შესახებ წერდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები მათ იყენებდნენ მხოლოდ ტანის დასაბანად და საცვლების გასარეცხად; რაც შეეხება აბანოების სამკურნალო საშუალებად გამოყენებას, იგი ამის შესახებ წერს, რომ „მე პირველად შემოვიღე მისი სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენებაო"[120]. როგორც ამას სავსებით სამართლიანად შენიშნავს მკვლევარი მზია მგალობლიშვილი, შარდენის „მოგზაურობაში" დაცული ეს ცნობა იმას მოწმობს, რომ თბილისის აბანოები გიულდენშტედტის საქართველოში მოგზაურობამდე იყო ცნობილი თავისი სამკურნალო თვისებებით და ამდენად გერმანელი მოგზაურის მიერ საკუთარი პრიორიტეტის აღიარება ამ საკითხში მოკლებულია საფუძველს. მათ შესახებ ლაპარაკია აგრეთვე უფრო გვიანდელ მოგზაურთა ჩანაწერებშიც. ასე მაგალითად, პორტერ რობერტი მოგვითხრობს, რომ ეს აბანოები „არა მარტო სამკურნალო საშუალებაა ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის და მგზავრებისათვის, რომლებიც ამავე მიზეზით ესტუმრებიან ხოლმე ამ აბანოებს, არა-

---

[118] თბილისის გოგირდის აბანოების შენება და მათი გამოყენებაც და აქვე მდებარე ციხესიმაგრის აგებაც ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება. გორგასალამდე თბილისი საერთოდ არ იხსენიება ქართულ წყაროებში. ჯუანშერით თბილისის გაქალაქება მიეწერება გორგასალს. ვახტანგის მემკვიდრის დაჩის დროს იგი დედაქალაქად იქცა (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 130—132).

რაც შეეხება პორტერის ცნობას დაჩის შესახებ, 1063 წელს საქართველოში ასეთი მეფე არა ჩანს.

[119] ჟან შარდენი..., გვ. 38.

[120] გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

შედ ის ყოველდღიური დასასვენებელი ადგილია, როგორც ძამაკაცებისათვის, ასევე ქალებისთვისაც, როგორც გასართობი და სიამოვნების მომნიჭებელი ადგილი“ (გვ. 74).

კ. კოხი დაწვრილებით აგვიწერს აბანოებში მოთავსებულ დარბაზებსა და აუზებს. იგი დეტალურად და საინტერესოდ გვაცნობს ყველა პროცედურას, რომელსაც გადიან მობანავეები აბაზანის მიღების დროს. მოგზაური აგვიწერს მექისეს დიდ ოსტატობას, მის მიერ გაკეთებული მასაჟისაგან მიღებულ სიამოვნებას. კოხის თქმით, გერმანიის ვერც ერთ აბანოში ვერ ისიამოვნებს კაცი ისე, როგორც თბილისის გოგირდოვან აბანოებში. აბაზანის შემდეგ, ადამიანს შეუძლია გააგრძელოს თავისი სიამოვნება, რომელიც მხოლოდ აბაზანის მიღებითა და ყალიონის გაბოლებით არ ამოიწურება. ქართველებსა და სომხებს, მოგზაურის თქმით, განსაკუთრებით უყვართ მუსიკა. ამიტომ აბანოში სპეციალური დარბაზია განკუთვნილი ცეკვა-სიმღერებისათვის, სადაც მოხეტიალე მომღერლები სატრფიალო სიმღერებს ასრულებენ სტუმართა საამებლად. აქ შემოდიან „ლამაზად და ფანტასტიურად ჩაცმული ასულები დაირით ხელში და ცეკვავენ ნაციონალურ ცეკვას — ლეკურს“. ეს ცეკვა მოგზაურს ესპანურ ფანდანგოს აგონებს. კ. კოხი გაკვირვებულია, რომ აღმოსავლელ კაცს საათობით შეუძლია იჯდეს ჩუმად ტახტზე, აბოლოს ყალიონი და ამით მიიღოს დიდი სიამოვნება, ბოლოს კი ცარიელი ქისით დატოვოს აბანო.

კ. კოხის ცნობებს თბილისის გოგირდის აბანოების შესახებ ერთგვარად ავსებენ XIX საუკუნის სხვა ევროპელი და აღმოსავლელი მოგზაურები (გამბა, პორტერ რობერტი, ფრანგანგი, მაჯდოს-სალტანე და სხვ.) .

თბილისის შემდეგ კ. კოხი აგვიწერს კახეთის მსხვილ სამაზრო ქალაქს — სიღნაღს, რომელიც ამ დროისათვის დიდი მნიშვნელობის სავაჭრო ცენტრი იყო. კ. კოხი აქაც ძუნწობს და სხვას აღარაფერს ამბობს „ქიზიყის მაზრისა და მთელი კახეთის დედაქალაქზე“ — როგორც მას ფრანგი მოგზაური გამბა უწოდებს. გამბას ნაამბობის მიხედვით, სიღნაღი ამ დროს „შეიცავს დაახლოებით ოთხას სახლს და ორი ათას მცხოვრებს. ისინი ყველაზე მამაცებად ითვლებიან საქართველოში. ვაჟკაცობის ეს უპირატესობა ისეთ ქვეყანაში, სადაც ეს თვისება საყოველთაოა, უდავოდ ჰაერით, მთის მაცოცხლებელი ჰაერით, განსაკუთრებით კი იმ აუცილებლობითაა გამოწვეული, რომელიც მათ მუდმივად აიძულებთ

თავი დაიცვან მეზობელთა თავდასხმებისაგან"[121]. გამბა საგანგებოდ აღნიშნავს სიღნაღში წყლის ნაკლებობას, რასაც ხშირად სისხლისღვრამდე მიჰყავს მოსახლეობა. ქალაქში აწარმოებენ ტილოს; მის შესაღებად ხმარობენ ველურ ენდროს, რომელიც აქ უხვად მოიპოვება[122].

„ლეკთა თავდასხმების სადემარკაციო ხაზზე" — ამბობს კოხი, — მდებარეობს ყველაზე მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ზაქათალა, ბელაქანი. კახეთის მეფეებს, მოგზაურის შენიშვნით, ძველად აქ ჰქონდათ აშენებული ციხესიმაგრე მაკაბელი, რომლის შესახებ ვახუშტი გვამცნობს შემდეგს: „აქ მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხპატი. აქ აღაშენა მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო და არს აწცა"[123]. არც შემდეგში დაუკარგავს მნიშვნელობა ამ ციხესიმაგრეს, ახალ დროში იგი ლეკების ხუთთა კავშირის მთავარი სამყოფელი გახდა. ამ ხაზზე, ე. ი. ჭარ-ბელაქანის ე. წ. სამხედრო ოლქის საზღვარზე, კ. კოხი სხვა მნიშვნელოვან ციხესიმაგრეთა შორის ჩამოთვლის კართუბანს, ლელისყურს, ბეჟანიანს და სხვ.

იმ დროისათვის ქ. ბათუმი უკვე საკმაოდ დიდი და მყუდრო ქალაქია. სინოპის შემდეგ კ. კოხი ზღვის სანაპიროზე ყველაზე საიმედო და დიდი მნიშვნელობის ქალაქად ბათუმს თვლის. ბათუმთან ახლოს მდებარეობს ციხისძირი. მისი აზრით, ეს უნდა იყოს ძველი ბერძნული პეტრა, რომელიც ზღვასთან ახლოს მდებარეობდა. კ. კოხის თქმით, დიუბუა დე მონპერე ცდება, როდესაც ოზურგეთს პეტრად მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ ოზურგეთი ზღვიდან 3 — 4 საათის სავალზეა დაშორებული. ესეც რომ არ იყოს, მისი მონაცემები არ ემთხვევა ბიზანტიელთა ცნობებს.

მოგზაურის აზრით, თავისი მნიშვნელობით ახალციხე არ ჩამოუვარდება ბათუმს. ადრე ქალაქი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქვეყნის სავაჭრო ცხოვრებაში. შემდეგ იგი, როგორც ციხესიმაგრე, წარმოადგენდა დასაყრდენ პუნქტს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მდინარე ჭოროხის გაყოლებით მდებარეობს მნიშვნელოვანი

---

[121] Gamba, Voyage..., ტ. 11, 65.

[122] იქვე, გვ. 67.

[123] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 96.

ძველი სავაჭრო ცენტრი ქ. ართვინი. კ. კოხი ჩამოთვლის ნაკლებ-მნიშვნელოვან სავაჭრო და სამხედრო პუნქტებს, როგორიცაა: გონიო, ოფი, ისპირი, სურმენე, რიზე და სხვ.

*

* *

ორივე მოგზაური ერთხმად აღნიშნავს, რომ საქართველოს ნიადაგი ძალზე ნოყიერი და მდიდარია; რომ იგი ამის გამო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის გამოსადეგია. თუმცა იმასაც დასძენენ, რომ ნიადაგი ყველგან ერთნაირად ნოყიერი და ვარგისიანი არაა. სოფლის მეურნეობის კულტურათაგან ისინი ყურადღებას ამახვილებენ მთავარ მარცვლეულ კულტურებზე: ღომი, ფეტვი, ხორბალი, ქერი და სიმინდი, რომელიც საქართველოში შემოდის მხოლოდ მე-17 საუკუნიდან. შარდენი სიმინდის შესახებ არაფერს ამბობს, რაც იმას აფიქრებინებს მკვლევართ, რომ მის დროს საქართველოში იგი ჯერ კიდევ არ ყოფილა გავრცელებული[124].

თითქმის ყველა უცხო მოგზაური, რომელიც კი თავის დროზე სწვევია საქართველოს, საგანგებოდ შეხებია ქართულ ღვინოს, დაუხასიათებია მისი თვისებები, აღუწერია ვაზის მოვლის, ყურძნის დაწურვისა და ღვინის დაყენებისა და შენახვის ქართული წესები. ამასთან ერთად ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, კ. კოხის მსგავსად, რომ საქართველოში არ იცნობენ ღვინის დაყენების სწორ წესს. მიუხედავად ამისა, მოგზაურებს მოსწონთ ქართული ღვინო, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოსი (კახური). დანანებით აღნიშნავენ ისინი, რომ ამ შესანიშნავ ღვინოს სწორად რომ აყენებდნენ, მისგან მაგარი და არომატული სასმელი დადგებოდა. კ. კოხი საგანგებოდ შენიშნავს, რომ ქართულ ღვინოს სწორედ არომატი აკლია. ჯერ კიდევ შარდენი იწუნებდა ღვინის დაყენების ქართულ წესს, თუმცა იმასაც აღნიშნავდა, რომ „სამეგრელოს ღვინო საუკეთესოა და მთელს აზიაში უკეთესს ვერაფერს დალევო“[125]. კ. კოხის დაკვირვებით, საქართველოსა და ამიერკავკასიაში ნაკლები ყურადღება ექცევა ვაზის მოვლას, ღვინის დაყენების ტექნოლოგიას და მის შენახვას. კ. კოხის გადმოცემით, ღვინოს უმთავრესად ქვევრებში ინახავენ, მაგრამ ამ მიზნით, მისივე თქმით, ტიკებსაც იყენებენ. გამბა სპეციალურად აღნიშნავს,

---

[124] ჟან შარდენის მოგზაურობა. გვ. 35.
[125] იქვე, გვ. 36.

რომ საქართველოში ღვინის შესანახად არც კასრებს და არც ბოთლებს არ ხმარობენ: „ღვინო ტიკებით გადააქვთ. ამისთვის ხუთი სახის ტყავს, სახელდობრ, კამეჩის, ხარის, ღორის, ვაცისა და თხის ტყავს იყენებენ. პირველი სამი უფრო გამოსადეგია და გემოც, რომელსაც ისინი უტოვებენ ღვინოს, ნაკლებ უსიამოვნოა, ვიდრე თხისა და ვაცის ტყავისაგან დამზადებულ ტიკებში შენახულ ღვინოს აქვს. ასე ხმარობენ ესპანეთში, პორტუგალიასა და კალაბრიაში. ამ ტყავებს შიგნით ბეწვი აქვთ და მთლიანად გაპოხილია კუპრით. ეს ნივთიერება ცუდ გემოს აძლევს ღვინოს, მაგრამ ამტკიცებენ, თითქოს ხელს უწყობს ღვინის შენახვას“[126]. კ. კოხის ცნობა, რომ საქართველოში ღვინოს უკეთ შენახვის მიზნით ურევენ ნავთს, გაუგებრობაზეა დამყარებული. საქმე ისაა, რომ, როგორც ამას გამბაც გადმოგვცემს, ტიკის შიდა, ბეწვიან მხარეს საგანგებოდ პოხავენ კუპრით და სწორედ იგი აძლევს ღვინოს ნავთის გემოს. რაც შეეხება ნავთს, იგი არასოდეს შეურევიათ ქართველებს ღვინოში.

კ. კოხიც სხვა ევროპელ მოგზაურთა მსგავსად (შარდენი, გამბა, პორტერ რობერტი და სხვ.). აღიარებს კახური ღვინის ღირსებებს.

შარდენისაგან განსხვავებით, კ. კოხმა იცის, რომ საქართველოში გავრცელებულია როგორც მაღლარი, ისე დაბლარი ვენახები[127].

საქართველოს მთიან რაიონებში და, საერთოდ, მთის კავკასიური ხალხების სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მთავარი ადგილი ეჭირა მესაქონლეობას. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მხრივ თავისი ჯიშიანი ცხენებით ჩერქეზეთი. ცხენის ჯოგი და, საერთოდ, საქონლის სიუხვე განსაზღვრავდა ძირითადად ჩერქეზი კაცის სიმდიდრეს. უნგრელი მოგზაურის ბესის ცნობითაც, «По числу голов скота и лошадей здесь оценивается богатство семьи»[128].

საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა ნადირობა. კ. კოხის ცნობით, მდინარე ფაზისის აუზი ძველთაგანვე იყო განთქმული ხოხბით. იგი ფიქრობს, რომ ამ ფრინველს მდინარის წყალობით შეერქვა სახელი „ფაზანი“[129].

---

[126] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 16.

[127] Gamba, Voyage..., ტ. II, გვ. 74.

[128] В. Г а р д а н о в, დასახ. ნაშრომი, გვ. 369.

[129] კ. კოხი ცდება. ფაზანის სახელწოდება კია მიღებული ფაზისისაგან, მაგრამ მას უკავშირებენ არა მდინარე ფაზისის, არამედ ქალაქ ფაზისის სახელს (ახლანდელ ფოთს).

ძალზე მდიდარია ხოხბით ცხენისწყალიც. ხოხბის გარდა საქართველოში მრავლადაა გარეული იხვი და მისთ.

უცხო მოგზაურთა ცნობებით საქართველოში, კერძოდ კი სამეგრელოსა და სვანეთში, მოიპოვებოდა ოქროს საბადოები და მაღაროები. ე. სპენსერის ცნობით, ოქროს კვალს დღესაც პოულობენ ენგურის წყლებში. იგი გვაუწყებს, რომ რაინეგსი იყო პირველი რუსი მოგზაური, რომელიც ამ ცნობის სისწორის დასადგენად ეწვია კავკასიას. რუსეთის მთავრობამ იგი სპეციალური მისიით მიავლინა საქართველოში. რაინეგსის მიხედვით, სვანეთის სამხრეთ რაიონში ოქროს მაღაროს შესასვლელი იყო, საიდანაც მოსახლეობას გაჰქონდა ოქრო. შემდეგ კი მაღაროს კვალი გაქრა. ე. სპენსერი ფიქრობს, რომ სვანებმა თვითონ მოსპეს მაღაროში შესასვლელი კარი. რაინეგსის შემდეგ, როგორც ე. სპენსერი წერს, ბევრი მოგზაური ეცადა შეეღწია „ამ საიდუმლოებით მოცულ ქვეყანაში", მაგრამ ოქროს აღმოჩენის სურვილით შეპყრობილ იქ ჩასულ მოგზაურთაგან ბევრი აღარ დაბრუნებულა უკან.

ფრანგი მოგზაური გამბაც ადასტურებს, რომ სვანეთში ოქროს მაღაროები უნდა არსებულიყო ძველად. მისი ცნობით, ორმოციოდე წლის წინ ცხენისწყალს თან ჩამოჰქონდა ოქროს ნატეხები და ქვიშის მარცვლები. ოქრო იყო, მისი თქმით, ცხენისწყლის სანაპიროს მცხოვრებლებისა და სამეგრელოს მეფეთა შემოსავლის ერთ-ერთი საშუალება და ვაჭრობის საგანი[130]. გამბა მოგვითხრობს, რომ ძველი კოლხეთის მდიდარი მაღაროების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ისტორიკოსები და მოგზაურები, მაგრამ დღეისათვის აქ არათუ ექსპლოატირებული მაღაროები, საერთოდ კვალიც არ არსებობს გაუქმებული მაღაროსი. „ყოველგვარ ძიებებს, — წერს გამბა, — რასაც ადგილი ჰქონდა აქამდე მათ აღმოსაჩენად, უბედურება სდევდა თან. რაინეგსი თავისი მოგზაურობის გამოქვეყნებამდე გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ დაუმუშავებელი მასალები გამომცემლის მიერ იქნა რედაქტირებული. იგი არ იცნობდა ამ მხარეს. ამიტომ ეს ნაშრომი იმდენად ბუნდოვანია, რომ მის მიერ მითითებული მრავალი ადგილის გამოცნობაც კი შეუძლებელია. გრაფ პუშკინს სიკვდილმა მოუსწრო ამ ძიებების პერიოდში. ძვირფასი კოლექცია, რომელიც მას შეკრებილი ჰქონდა, შენიშვნებისა და მეცნიერული ნარკვევების უდიდესი ნაწილი გაბ-

---

130 Gamba, Voyage..., ტ. I, გვ. 161—162.

ნეულია, 1821 წელს კავკასიაში საგანგებო მისიით გაგზავნილ ერთ ინჟინერს მგზავრობის დროს შორაპნის მაზრაში ციება შეეყარა და, ვიღრე რაიმეს აღმოაჩენდა, თბილისში გაბრუნდა. იგი იმით დაკმაყოფილდა, რომ დაათვალიერა გელათის მონასტერთან აღრე ცნობილი მცენარეული ნახშირის მაღარო და გამოიკვლია სპილენძის პირიტი[131].

*

* *

ე. სპენსერისა და კ. კოხის „მოგზაურობებში" საინტერესო ცნობები გვხვდება საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესახებ. საინტერესო ფაქტია, რომ მათ მიერ მოწოდებული ცნობები ამ მხარის ყოფა-ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულებების შესახებ ბევრ რამეში უცვლელად იმეორებს იმ ცნობებს, რომელსაც ვხვდებით ჩვენამდე მოღწეულ სხვა მოგზაურთა ადრეულ ჩანაწერებსა და „მოგზაურობებში".

ორივე მოგზაურს დიდი ინტერესი გამოუჩენია ადგილობრივი მოსახლეობის ყოფისათვის დამახასიათებელი ყველა ადათ-წესისა და ჩვეულების მიმართ; მათ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მთის ხალხის ცხოვრების პირობები, მათი ხასიათი და ზნე შრომისა და დასვენების დროს.

ავტორები საინტერესოდ აგვიწერენ ქართველებისა და კავკასიის სხვადასხვა ტომებისა და ხალხების გარეგნულ იერს, მათ ყოველდღიურ, სადღესასწაულო და საომარ ტანსაცმელს (მამაკაცისა და ქალის სამოსელს), ძირითად საქმიანობას, შრომასა და კულტურულ გართობას.

კავკასიელები, ე. სპენსერის აღწერით, საზოგადოდ, ლამაზი და ათლეტური აღნაგობის ხალხია, არაჩვეულებრივად მოქნილი და ელასტიური, არაბებივით წარმოსადგენი. მოგზაურის თქმით მათი ტანსაცმელი პოლონურის მსგავსად ვიწრო ხიფთანისაგან შედგება წითელი ტარსიკონის პატრონტაშით გაწყობილი; ეს მათ იცავს ტყვიისაგან. მაგრამ, როგორც ე. სპენსერი აღნიშნავს, კავკასიელები მისი გაკეთების დროს სილამაზეზე უფრო ზრუნავენ, ვიდრე უსაფრთხოებაზე. თავზე ხურავთ მრგვალი, ასტრახანული შავი თხის ბეწვის ქუდი, რომელსაც ამოდებული აქვს წითელი ტყავის ან ნაჭრის სარჩული; წელზე შემორტყმული აქვთ ტყავის

[131] Gamba, Voyage .. ტ. I გვ. 265—266.

ქამარი, ქამარზე კი განსაკუთრებულად შერჩეული იარაღი, რო-
ველსაც მუდამ თან ატარებენ.

ე. სპენსერის დახასიათებით, ჩერქეზები მოხდენილი და ლა-
მაზი ხალხია. მამაკაცის და ქალის ტანსაცმელი მდიდრულადაა
მორთული ოქრო-ვერცხლის ნაქარგით. ტანსაცმელი ქალების ნა-
ხელავია და შესრულებულია დიდი ოსტატობითა და გემოვნებით.
ჩერქეზი ქალები, ჩვეულებრივ, აქლემის ან თხის თეთრი ბეწვის
სამოსელს ატარებენ, მხრებზე გადაგდებული გრძელი ლეჩაქებით.
დიდი მოწონებით სარგებლობს მორთული ცისფერი კაბა, შეკ-
რული ოქროს ან ვერცხლის დიდბალთიანი, ლამაზი სარტყლით.
თავზე მსუბუქი თავშალი აქვთ მოხვეული. რომელიც მოხდენილი
ნაოჭებით ეშვება მხრებსა და სხეულზე. ტანს მთლიანად უფარავთ
გრძელი ლეჩაქი. მოგზაურის დაკვირვებით, ყმაწვილი ქალების
სამოსელი თეთრი ფერისაა, გათხოვილი ქალებისა — წითელი, ხო-
ლო ქვრივი ქალებისა — ცისფერი. ტანსაცმელი ჩერქეზ ქალებს
ძირითადად ერთნაირი აქვთ. სოციალური განსხვავება მათ შორის,
ე. სპენსერის თქმით, თმის ვარცხნილობიდან ჩანს.

დიდ მასალას აძლევს დაკვირვებისათვის უცხო მოგზაურს
ბაზრობაზე თავმოყრილი უამრავი ეროვნების ხალხი. ჩვეულებ-
რივ, ყველაზე მეტად აქ ჩანს ხოლმე რელიეფურად სხვადასხვა
კუთხისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ე. სპენსერი დი-
დი ინტერესით მოგვითხრობს რედუტ-კალეში ბაზრობაზე თავშე-
ყრილი ხალხის ეროვნულ ტანსაცმელზე. ქართველი მამაკაცის ტან-
საცმელი, მოგზაურის აღწერით, არის ვიწრო, წელში გამოყვანი-
ლი ქულაჯა, ჩაჭრილი სახელოებით, ვერცხლით მოჭედილი ქილე-
ბით გაწყობილი. შარვალი საკმაოდ ფართო, მუხლებამდე. თავზე
ხურავს მაღალი, ასტრახანული ქუდი; სახის ნაკვთებით ისინი,
მოგზაურის აზრით, სპარსელებსა და სომხებს ჩამოჰგვანან.

მეგრელები და იმერლები ქცევითა და ჩაცმულობით ე. სპენ-
სერს ჩერქეზებს მოაგონებენ, თუმცა იგი მათ ჩერქეზებზე ნაკლებ
მიმზიდველად თვლის. მოგზაურის სიტყვით, მათ აკლიათ ჩერქეზ-
თა ტემპერამენტი და რაინდული მიხვრა-მოხვრა. მეგრელი და იმე-
რელი გლეხები ხანჯლებითა და დამბაჩებით არიან შეიარაღებული,
მხრებზე გარდიგარდმო გადაკიდებული აქვთ თოფები და ჩერქეზე-
ბივით მათაც ნაბდები აქვთ წამოსხმული.

გაცილებით უფრო საინტერესოდ ეჩვენა ე. სპენსერს „მაღალი
ალპების მობინადრე“ სვანები. მისი დახასიათებით, ესაა გოლია-
თური აღნაგობის, ამაყი და ველური შესახედაობის ხალხი. ჩერქე-

ზებისაგან განსხვავებით, სვანებს გრძელი ტყაპუჭები აცვიათ. ტყაპუჭს ზემოდან, ჩვეულებრივ, კავკასიელისათვის დამახასიათებელი პატრონტაშები უკეთიათ. ქუდებიც ჩერქეზულის მსგავსი ხურავთ, იმ განსხვავებით, ამბობს ე. სპენსერი, რომ სვანურს კიდეებზე ბეწვი აქვს შემოვლებული, გრძელი, თეთრი თხის ბეწვი ცალ-ცალკე კულულებადაა დაწნული, ხოლო ფეხზე ქალამნები აცვიათ, რომელიც შეთრიმლული ტყავისაგან არის დამზადებული და ზემოთ თასმებით აქვთ შეკრული.

კ. კოხი ცდილობს აღარ გაიმეოროს ე. სპენსერის მიერ უკვე ერთხელ მოწოდებული ცნობა (ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ კი იგი ამ ცნობას ეთანხმება). გერმანელი მოგზაური ისეთ ცნობებს არჩევს მკითხველისათვის, რომელიც ერთგვარად ავსებს ე. სპენსერის მიერ მოწოდებულ მასალას. კ. კოხი იმ ხალხზე და იმ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ე. სპენსერის ინტერესების მიღმა დარჩა ან უბრალოდ საშუალება არა ჰქონდა გასცნობოდა მათ. თავის მოგზაურობიდან კ. კოხს კრებულში შეაქვს ცნობები ლაზების, გურულებისა და თუშების შესახებ.

კ. კოხის გადმოცემით, ბათუმის ბაზარზე მოფუსფუსე ხალხში მეტწილად ლამაზი მამაკაცები იქცევენ ყურადღებას. ამ ხალხის ტანსაცმელი ჩერქეზულსაც ჩამოჰგავს და მეგრულსაც. ლაზები, მოგზაურის თქმით, თავიანთ მონათესავე მეგრელ და იმერელ მამაკაცებზე ოდნავ დაბლები ჩანან, სამაგიეროდ, უფრო მხარბეჭიანები არიან. კ. კოხის შენიშვნით, ისინი მარდი და მკვირცხლი ხალხია, სახეც უფრო მეტყველი და ცოცხალი აქვთ. ქალები და გოგონები სულ ერთიანად ჩადრით არიან დაფარულები და მოგზაურმა ვერ მოახერხა გარკვეული შთაბეჭდილება შეექმნა მათი გარეგნობის შესახებ.

ზღვის სანაპიროზე კ. კოხს უნახავს უჩადრო ქალები და მოსწონებია მათი გარეგნობა. მისი თქმით, აღმოსავლეთში გრძელ ჩადრებს ატარებენ, რომლებიც სახესაც უფარავენ ქალებს და სხეულსაც. კ. კოხი ანალოგიას ავლებს ევროპელი მანდილოსნების პირბადესთან და შენიშნავს, რომ იქაური საბურავი ძალზე გამჭვირვალეა და გაცილებით მოკლე. საქართველოში, მისი დაკვირვებით, ბამბის ჩადრი იხმარება, რომელიც, ჩვეულებრივ, ლურჯი ფერისაა, ზოგჯერ ჭრელიც. ავტორი, ჩანს მაჰმადიანურ მოსახლეობას გულისხმობს.

გურული ქალები, კ. კოხის თქმით, მეგრელებივით შრგვალი პირისახისა არიან და დიდრონი თვალები აქვთ. მათი ერთადერთი

ნაკლი, გრძელი ცხვირია. ლამაზი მანდილოსნები, თუმცა მაღლები არ არიან, მაინც ტანწერწეტები ჩანან. სახე ოვალური, სანდომიანი და სწორნაკვთიანი აქვთ, თვალები მოგრძო, ნუშისებური და ამ ჰარმონიას, მოგზაურის შენიშვნით, არღვევს ცხვირი.

კ. კოხი თუშების გარეგნობასაც აგვიწერს. მისი ცნობით, ისინი საშუალო ტანის, მაგარი აგებულების ხალხია, მკვეთრი და სწორი სახის ნაკვთებით. ამიერკავკასიის და საქართველოს სხვა დანარჩენ მკვიდრთა მსგავსად, მათაც კეხიანი ცხვირი აქვთ; თვალები მრგვალი და ვიწრო, გამჭოლი მზერით.

ჩერქეზეთში, ისევე როგორც კავკასიის სხვა კუთხეში, ე. სპენსერის თქმით, მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ მაჰმადიანები. მიუხედავად ამისა, როგორც კ. კოხი შენიშნავს, სავალდებულოდ არაა მიჩნეული ქალებისათვის პირბადის ტარება, მაშინ როდესაც, ჩვეულებრივ, მუსლიმანი ქალები ჩადრით დადიან.

ერთადერთი იარაღი, რომელსაც ქართველი ატარებს, ე. სპენსერის თქმით, არის დიდი, შავვადიანი რომაული ტიპის ხანჯალი, რომელიც მას ჩამოკიდებული აქვს მდიდრულად მოსევადებულ სარტყელზე. იარაღი, საზოგადოდ, ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით არის მოჭედილი და გამოირჩევა თავისი სილამაზითა და გამძლეობით. ე. სპენსერი საგანგებოდ აღნიშნავს იარაღის დამზადების მაღალ ოსტატობას კავკასიაში. მისი თქმით, იარაღი მხოლოდ საომარი დანიშნულებისათვის არაა გამოყენებული ამ ქვეყანაში. მას ხმარობენ სამკაულად, ტანსაცმლისა და საცხოვრებელი სახლების მოსართავად. ჩერქეზი მამაკაცები დიდ ოსტატობას იჩენენ იარაღის დამზადების ხელოვნებაში. მოგზაურის თქმით, მართალია, კავკასიური ლითონი მაინცდამაინც მაღალი ხარისხის არაა, მაგრამ აქ მისი დამუშავების ლაზათიანობას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ხალხი, ვიდრე მის ხარისხს. ამ თვალსაზრისით ე. სპენსერს ჩერქეზი მამაკაცებისა და ქალების ნახელავი — ოქრო-ვერცხლის სარტყლებსა და იარაღზე — მისაბაძ ნიმუშად მიაჩნია ევროპელი მხატვრებისათვის. იგი საგანგებოდ უსვამს ხაზს ამ ნაკეთობათა სინატიფესა და სილამაზეს.

საინტერესოდ აგვიწერს კ. კოხი მოსავლის აღების ადგილობრივ წესს. დეტალურად გადმოგვცემს იგი თავის „მოგზაურობაში“ ყანის მკის, ძნების შეკვრის და მისთ. პროცესს. შრომის ფერხულში, მოგზაურის თქმით, მთელი ოჯახია ჩართული. ამ პროცესს სშირად ესწრება თვით მებატონე. მოგზაურის დაკვირვებით, ასეთ დროს ხალხი უფრო მეტი ხალისით მუშაობს. ჩვეულებრივ, სასოფ-

ლო სამუშაოები მუსიკის თანხლებით მიმდინარეობს. და ეს სანახაობა დღესასწაულს უფრო ჰგავს, ვიდრე შრომით საქმიანობას.

კ. კოხი ეხება აგრეთვე შრომის განაწილების საკითხსაც. მიუხედავად იმისა, რომ მას მოსწონს და გონივრულადაც მიაჩნია ადგილობრივი შრომის წესი, იგი უპირატესობას მაინც შრომის ევროპულ წესს ანიჭებს. დაკვირვებულ და პედანტ გერმანელ მოგზაურს ისიც შეუნიშნავს, რომ გლეხები დაუდევრად ეპყრობიან ყანას, არ უფრთხილდებიან მას. მაგალითად, ყანაში შესვლისას, წერს იგი, გლეხები ფეხებით აზიანებენ ხორბლის თავთავებს, თელავენ მას; ზოგჯერ მოუმკელი რჩებათ მიწის პატარა მონაკვეთები, გზაში ფანტავენ თავთავებს და მისთ. ასეთი შრომის შედეგად ნოსავლის მერვედი მაინც ყანაში რჩება. ეს კი მოწესრიგებული და პრაქტიციზმით საესე ევროპელისათვის სრულიად უცხო და გაუგებარია.

კ. კოხი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ნებისმიერი შრომითი პროცესი ყოველთვის მდიდარი, გემრიელი და მხიარული სუფრით თავდება. შრომით დამაშვრალი ხალხი მთელი გულით მხიარულობს სუფრასთან. მოგზაურზე უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა ერთ-ერთმა ასეთმა ლხინმა და მისმა საზეიმო განწყობილებამ. ის საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ეს იყო საბეგრო სამუშაო, რომელიც მებატონისათვის სრულდებოდა. სწორედ ამან გააოცა მოგზაური. მისი თქმით, ამ იძულებით სამუშაოს არ ახლდა თან ის სიძულვილი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მის სამშობლოში ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში. ამ ლხინში მონაწილეობდა თვით მებატონე თავისი ოჯახით. სხვათა შორის, თავის დროზე შარდენიც გააკვირვა ამ ამბავმა. ის გაოცებული იყო იმ ფაქტით, რომ ქართველი დიდებულები საკუთარ ყმებთან ერთად სადილობენ, რაც სრულიად გამორიცხული იყო ევროპელი კაცისათვის[132]. ეს ტრადიცია მტკიცე იყო და იგი XIX საუკუნეშიც ასევე გაგრძელდა[133]. ამის მოწმობაა კ. კოხის ნაამბობიც.

სტუმარი, კ. კოხის თქმით, საქართველოს სოფლებში, ჩვეულებრივ, ჯერ მარანში შეჰყავთ. აქ იმართება დიდი ლხინი. მარანში იწურება ღვინო და აქვე ისმება იგი; ეს ძალიან მოსახერხებლად მიაჩნია მოგზაურს, რადგან ღვინისათვის შორს წასვლა საჭირო აღარაა.

---

132 შარდენის მოგზაურობა..., გვ. 38.

133 ა. ბ ო რ ო ზ დ ი ნ ი, სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1934, გვ. 101—102

კ. კოხი აგვიწერს აგრეთვე სტუმრის გამასპინძლების ადგილობრივ წესს. იგი აღნიშნავს, რომ სუფრაზე სტუმარს ჩანგალს არავინ აწოდებს. არც მასპინძელი ხმარობს მას და არც სტუმარს სთავაზობს. ჭამის წინ იბანენ ხელს და ისე შეექცევიან საჭმელს; ხელსახოცად კი ლავაშ პურს იყენებენ ზოგან. კოხის აზრით, აღმოსავლეთში სწორედ ამიტომ ეტანებიან უმთავრესად მშრალ საჭმელებს.

კ. კოხის თქმით, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ღომი, რომელიც ევროპელისათვის ძნელი მოსანელებელია. მოგზაური დაწვრილებით გადმოგვცემს ღომის მზადების პროცესს და გაოცებულია, რომ მას არც მარილს უმატებენ და არც ცხიმს. იგი ფიქრობს, რომ ეს გამოწვეულია ეკონომიური სივიწროვითა და სიღარიბით, მარილის სიძვირითა და ცხიმის უქონლობით. ჩანს, ევროპელი მოგზაურისათვის საბოლოოდ მაინც გაუგებარი დარჩა ღომის როლი ქართველი კაცის რაციონში. კ. კოხმა იგი აღიქვა, ჩვეულებრივ კერძად, რომელსაც მარილი და ცხიმი სჭირდება. ღომის მზადების გვერდით კ. კოხი მოგვითხრობს აგრეთვე ქართული თონის პურისა და ლავაშის ცხობის შესახებაც. ის დეტალურად აღწერს თონეს, ცომის ზელის პროცესს, თონის გახურებას, პურის ჩაკრობას თონეში. ცხელი ლავაში მოგზაურს ძალზე მოსწონებია. სწორედ ამ პურის შესახებ წერდა შარდენი, რომ „მსოფლიოს არც ერთ კუთხეში არაა ისეთი გემრიელი პური, როგორც საქართველოში“ (296).

ე. სპენსერმა და კ. კოხმა საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხე მოიხილეს და, ბუნებრივია, მათ შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ საერთო და მსგავს რეალიებთან ერთად ის განსხვავებაც, რომელიც არსებობს ამ კუთხეების მოსახლეობის ყოფასა და ზნე-ჩვეულებებში (იქნება ეს პურის ჭამის წესი, სუფრა და მისი მოწყობილობა, სტუმარ-მასპინძლობა, ყავისა და ღვინის სმის წესი, ჭურჭელი და მისთ.).

*

* *

დიდ ადგილს უთმობს კ. კოხი თავის „მოგზაურობაში“ ქართული ცეკვებისა და სიმღერების აღწერას. იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართულმა სიმღერებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. თუმცა იმასაც დასძენს, რომ ქართული საკრავები ცღერადობით ჩამორჩებიან გერმანულს (განსაკუთრებით გიტარა).

კ. კოხი დიდი სიამოვნებით იხსენებს, რომ იმ „კონცერტისაგან“. რომელიც მან მოისმინა, ისეთივე სიამოვნება მიიღო, როგორსაც ანიჭებს მას მშობლიური სიმღერების მოსმენა. მოგზაურის შენიშვნით, ცეკვა-სიმღერის დიდი ოსტატები არიან ქართველების ძონათესავე ლაზებიც. ლაზისტანისა და პონტოს მთის მომღერლებმა მას შუა საუკუნეების ტრუბადურები მოაგონეს.

კ. კოხის შენიშვნით, ცეკვები თავისი გრაციოზულობით და სინარნარით ესპანურს ჩამოუვარდება, ოაგრამ მაინც ძალზე ბომხიბლავი და მიმზიდველია. საგანგებოდ აღნიშნავს მოგზაური, რომ ქართველი მომღერლები პროვინსელი მომღერლების მსგავსად მაყურებლისაგან მადლობის გარდა სხვა გასამრჯელოს არ თხოულობენ.

ე. სპენსერიცა და კ. კოხიც დიდ ინტერესს იჩენენ კავკასიის სხვადასხვა ხალხთა ისტორიის, მისი მატერიალური კულტურის ძეგლებისა და სარწმუნოების მიმართ. თავიანთ მოგზაურობაში მათ მოაქვთ მეგრელების, ლაზების, კახელების, ფშავ-ხევსურებისა და მთის სხვა ხალხების შესახებ სხვადასხვა ლეგენდები და თქმულებები. აქვე ურთავენ ისინი ამ ხალხთა წარმომობის შესახებ არსებულ ძველ ბერძენ ისტორიკოსთა ცნობებსაც.

საინტერესოდ და დეტალურად აგვიწერს კ. კოხი ალავერდის ცნობილ ტაძარს, დაწვრილებით გადმოგვცემს მის შესანიშნავ არქიტექტურას და კედლის მხატვრობას. კ. კოხი გადმოგვცემს, რომ ალავერდის მთავარი ეკლესია ქრისტეს სახელზეა აგებული. ორი ეკლესიიდან ერთი მოქმედია და ატარებს წმინდა გიორგის სახელს. მისი აზრით, ალავერდის ტაძარი ყველაზე დიდია საქართველოში ქუთაისის ტაძრის შემდეგ. იგი დაწვრილებით აცნობს მკითხველს ტაძრის ისტორიასთან დაკავშირებულ ცნობილ ლეგენდას ბერისა და მტრედის შესახებ. „მოგზაურის განმარტებით, ალავერდი თურქული სიტყვაა და ნიშნავს — „ღმერთმა მოგვცა“, რაც. მისი აზრით, სავსებით ამართლებს ხალხურ ლეგენდას.

კ. კოხი გვაცნობებს, რომ ალავერდის ტაძრის წლიური შემოსავალი ათი ათას მანეთს შეადგენს, რომელიც არ ხმარდება ეკლესიის შეკეთებას, რასაც უთუოდ საჭიროებს ალავერდის ტაძარი.

კ. კოხს ბევრი სხვა ეკლესია თუ ისტორიული ციხის ნანგრევები უნახავს კახეთში, რომელთა აღწერილობასაც გვაწვდის თავის ჩანაწერებში. „კახეთის კლასიკურ მიწა-წყალზე — წერს იგი— ავტორი მცირე ხანს იყო და როგორც ბოტანიკოსმა ნანახის ზერელე სურათი გადმოსცა“. კ. კოხმა მოინახულა გრემი და ბო-

ჭორმის ციხე, რომლისგანაც მხოლოდ კედლები და ქვის ნანგრევებიღა იყო შემორჩენილი. კ. კოხი გადმოგვცემს, რომ ლეგენდის მიხედვით, ეს ციხე საქართველოს პირველი მეფის, ქართლოსის ვაჟის კახოსის მეუღლეს აუშენებია.

კ. კოხი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სამეგრელოსა და გასაკუთრებით კი თუშ-ფშავ-ხევსურეთში არსებულ სალოცავებსა და წმინდა ადგილებზე, სადაც ხალხი დღემდე დადის სალოცავად, განსაკუთრებით რელიგიური დღესასწაულების დროს.

ბიჭვინტის ეკლესიის დეტალურ აღწერილობას გვაწვდის ე. სპენსერი თავის „მოგზაურობაში". მისი საქართველოში ჩამოსვლისათვის ეკლესიისაგან მხოლოდ ნანგრევები იყო შემორჩენილი. ეკლესიაში ამ დროს რუსის ჯარი იყო ჩამდგარი. ე. სპენსერის აღწერით, ეკლესიას ბერძნული ჯვრის ფორმა აქვს. მასიურ ოთხკოლონიან ტაძარს დიდებული შთაბეჭდილება მოუხდენია მოგზაურზე. ბიჭვინტის ეკლესია ნაგებია ბიზანტიური სტილით იმპერატორ იუსტინიანეს დროს. ზუსტ ცნობას მისი აშენების თარიღის შესახებ მოგზაური ვერ გვაწვდის, რადგან სათანადო ცნობები არ გააჩნია ამის შესახებ. იგი გვიამბობს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებულ ცნობილ ლეგენდას.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის სპენსერი თავის „მოგზაურობაში" კავკასიის ხალხთა რელიგიის შესახებ. რელიგიური სინკრეტიზმი, რომელიც ასე დამახასიათებელია კავკასიელი ხალხების სარწმუნოებისათვის, ბევრ შემთხვევაში აბნევს უცხო მოგზაურს. ე. სპენსერის გადმოცემით, მეგრელების, იმერლების, ქართველების, განსაკუთრებით კი საქართველოს მთის მოსახლეობის რელიგიაში დღემდეა შემორჩენილი წარმართული ადათ-წესები და რელიგიური რიტუალები. საქართველოს მოსახლეობის მცირე ნაწილი ისლამის მიმდევარია და, მოგზაურის თქმით, ქრისტიანულ გარემოცვაში მოხვედრილი. იგი ცდილობს არ დაკარგოს თავისი სარწმუნოება. საკუთრივ ქართული მოსახლეობა კი „ბერძნული ეკლესიის მიმდევარია" — ე. ი. მართლმადიდებელია.

განსაკუთრებით დაინტერესდა მოგზაური ხევსურების გენეზისის საკითხით და მათი სარწმუნოებით. მისი ყურადღება მიიქცია ხევსურთა ფარზე გამოკვეთილი ჯვრისა და მათ მკერდზე წითელ ნაჭერზე დაკერებულმა იმავე ფორმის ჯვრის გამოსახულებამ. მოგზაური თვლის, რომ ეს დეტალი საგანგებო შესწავლის ღირსია. კ. კოხი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ხევსურთა სარწმუნოებაზე და ამტკიცებს, რომ ისინი ქრისტიანული რელი-

გიის აღმსარებელნი არიან, ისევე როგორც დანარჩენი ქართველები. კ. კოხის თქმით, ამას სავსებით ადასტურებს ხევსურებისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებები და რელიგიური ადათ-წესები.

უფრო დიდი ინტერესითა და გულისყურით ეკიდება ე. სპენსერი ჩერქეზების ყოფასა და ზნე-ჩვეულებებს. მისი დახასიათებით ჩერქეზები პატრიარქალური ხალხია, რომელიც მკაცრად და თანმიმდევრულად იცავს მამაპაპურ ტრადიციებსა და ადათ-წესებს. „ნამდვილი ჩერქეზები, — წერს იგი, — არასოდეს არ თხოულობენ ცოლად სხვა ეროვნების ქალს და ამით თავისი რასის სიწმინდეზე ზრუნავენ... (გვ. 159). ე. სპენსერის თქმით ჩერქეზებში არაკანონიერი ანდა ამორალური საქციელი სასტიკად ისჯება. მორალის სადარაჯოზე მტკიცედ დგანან ტომის მეთაურები. ამასთან დაკავშირებით იგი საგანგებოდ მოგვითხრობს ჩერქეზთა კანონმდებლობისა და სამართლის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, მორალის განმტკიცებას და მის დაცვას ემსახურება, ჩერქეზული კანონები ძირითადად გულისხმობენ მანკიერი მხარეების აღმოფხვრას და მთელი სიმკაცრით ტარდება ქვეყანაში. ეს აფიქრებინებს მოგზაურს, რომ „ვერცერთი ასეთი პატარა ეროვნული გაერთიანება ვერ იქნებოდა ასეთი მყარი და მტკიცე ამ ხნის მანძილზე, ოჯახისა და წესრიგის დაცვის დიდი მოთხოვნა რომ არ არსებულიყო ჩერქეზეთში“ (გვ. 160). მისი ღრმა რწმენით, სწორედ ამ კანონებისა და ტრადიციული ადათ-ჩვეულებების სიმტკიცე იცავს ჩერქეზეთს უცხო ძალებისაგან.

კავკასიის მთის ხალხს, მოგზაურის აზრით, ერთი საშინელი მანკი ახასიათებს. ესაა სისხლის აღების უძველესი წესი. ე. სპენსერის თქმით, ვიდრე კავკასიელი შურს არ იძიებს მოკლული ნათესავის გამო, იგი ვერ მოისვენებს. ჩერქეზთა და საზოგადოდ კავკასიელთა კანონის მიხედვით, სისხლის ჩამობანა მხოლოდ სისხლს შეუძლია. სისხლის აღების ეს წესი მემკვიდრეობით გადადის შთამომავლობაზე. მოკლულს მსხვერპლს სწირავენ მისი ღრმა პატივისცემის ნიშნად.

*

* *

ე. სპენსერიცა და კ. კოხიც აღტაცებული არიან საქართველოსა და, საზოგადოდ, მთელი კავკასიის ბუნების სილამაზით.

ე. სპენსერის გაოცებას იწვევს ჩერქეზეთის მთაგორიანი სანაპირო, მისი მრავალფეროვანი და წარმტაცი ბუნება. საერთოდ

მას ხიბლავს საქართველოს ლანდშაფტი: ღრუბლებამდე ატყორცნილი „კავკასიის ალპების ზოლი“.

მისი აზრით, კავკასია თავისი ბუნებით დიდ ინტერესს წარმოადგენს უცხო მოგზაურთათვის: იგი, „თავისი ბუნებრივი სიმდიდრით მოიზიდავს მინერალოგებს და ბოტანიკოსებს, გეოლოგებსა და ყველა იმათ, ვინც დაინტერესებულია ამ ხალხის ისტორიით, პოეზიითა და თქმულებებით“.

თეთრად მოქათქათე მთებსა და კლდოვან ნაპრალებს ქვევით. მოგზაურის აღწერით, გადაშლილა მწვანედ მობიბინე მინდორ-ველები და ტყით შემოსილი გორაკები.

ე. სპენსერს სავსებით ბუნებრივად ეჩვენება, რომ ამ ბუნების წიაღში დაბადებულთ ასეთი უდრეკი და შეურიგებელი სული აქვთ. მისი დახასიათებით. ყოველი კავკასიელის უპირველესი იმპულსი არის პატრიოტიზმი, სამშობლოს თავდავიწყებული სიყვარული და სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამისათვის ისინი არაფერს ზოგავენ, „არც საკუთარ სისხლს, არც პირად კეთილდღეობას... საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ ისინი საოცარი სიმამაცით თავიანთ დამოუკიდებლობას“ (186).

ასევე აღფრთოვანებულია კავკასიის მთისა და ბარის ბუნების სილამაზით კ. კოხიც. თიანეთის მიდამოებმა მოგზაურს ტიურინგიის ზოგიერთი ადგილი მოაგონა, მაგრამ კავკასიის ბუნება მას ტიურინგიასთან შედარებით უფრო დიდებულად ეჩვენება.

დამახასიათებელია, რომ კავკასიისა და საქართველოს ბუნების აღწერის დროს კოხი ყოველთვის ავლენს თავის სპეციალურ ინტერესს ამ მხარის ფლორისადმი.

დასავლეთ საქართველოს ტყეები (პალიასტომის ტბის მიდამოები) მას მიაჩნია უღრან ტყეებად. მისი დაკვირვებით, აქ ხარობს ძირითადად იშვიათი სილამაზის წიფელი, ხოლო ტყის განაპირას ხარობენ მარადმწვანე ბაძგები და ბზები, პონტოს იელი, მსხვილლერწიანი ვაზი და მისთ..; ეს ველური ვაზი მოგზაურის დიდ ინტერესს იწვევს, რადგან იგი თავისი არომატით ძალიან გამოირჩევა კულტივირებული ვაზისაგან. ამ ტყეებში მოგზაური შეხვდა ორგვარი სახეობის ეფერდას, რომელთაგან ერთი, პატარა ფოთლებიანი, არაფრით არ განსხვავდება გერმანიის ტყეებში გავრცელებული ეფერდისაგან, ხოლო მეორე — უფრო დიდი და სქელფოთლებიანი, ლიტერატურაში კოლხური ეფერდას სახელითაა ცნობილი. მოგზაურის შენიშვნით, სწორედ ამ კოლხურ ეფერდას გულისხმობენ ძველი მწერლები, როდესაც აღწერენ ოქროსფერ

ენკრებიან ეფერდას, რომელსაც ძველად დაფნის ნაცვლად ხმარობდნენ. თანამედროვე ბოტანიკოსები, კ. კოხის თქმით, მას სუროს უწოდებენ. კოლხური ეფერდა კ. კოხის მიერ არის აღმოჩენილი კავკასიაში და მისი სახელით არის შესული ბოტანიკურ ლიტერატურაში.

გურიაში კ. კოხის ყურადღებას იპყრობს წიფელი, დაფნა, მაყვალი, პონტოს იელი, წყავი და მისთ.

სულ სხვა შთაბეჭდილება მიიღო მოგზაურმა პონტოს მთებისა და მისი მდიდარი და მრავალფეროვანი მცენარეულობის ხილვით. ფლორის სიუხვით, კ. კოხის აზრით, გამოირჩევა აგრეთვე ოფის მიდამოები. აქ, ერთად შეჯგუფებულან: თელა, თხმელა, ნეკერჩხალი, ბაძგი, წიფელი, წყავი, ნამდვილი დაფნა, ჯიშიანი წაბლის ხეები, მარადმწვანე დეკა (პონტოს ვარდად წოდებული). აქვე შეხვდა მოგზაური ხორკლიან ზეთისხილს, თუთისა და ლეღვის ხეებს, იასამნის ბუჩქებს და სხვ.

მართალია, ე. სპენსერი შორსაა ბოტანიკისაგან, მაგრამ მისი ყურადღება მიუქცევია საქართველოში მუხის სიუხვეს. მისი დაკვირვებით, სამეგრელო და გურია, აგრეთვე მცირე აზიის თურქული პროვინციები, ისევე მდიდარია მუხის ხეებით, როგორც ჩერქეზეთი. ცხადია, მოგზაურის ინტერესი ამ შემთხვევაში გაპირობებულია არა მეცნიერული მიზნებით, არამედ წმინდა პრაქტიკიზმით: „აქ იმდენი მუხის ხეებია, — წერს ე. სპენსერი, — რომ ისინი კარგა ხანს მოამარაგებდა მთელ ევროპას გემების სამშენებლო მასალით და სხვაგან მისი ძებნა აღარ დაგვჭირდებოდა“-ო (გვ. 151).

ე. სპენსერი აღნიშნავს, რომ ზუსტი სტატისტიკური მაჩვენებელი კავკასიის მოსახლეობის რაოდენობისა არ არსებობს. როგორც იგი გვაუწყებს თავად ვორონცოვის მონაცემების მიხედვით, კავკასიაში მოსახლეობის რიცხვი სამ მილიონ კაცს შეადგენს. თურქული წყაროებით კი ეს ციფრი 4 მილიონამდე აღწევს. აქედან, მისი გამოთვლით, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისი პირების რაოდენობა 700 000 კაცს შეადგენს.

კავკასიის მოსახლეობა, ე. სპენსერისა და კ. კოხის „მოგზაურობათა“ მიხედვით, საოცრად ჭრელ სურათს იძლევა. მათი გადმოცემით, აქ შეხვდებით ყველა ჯურის წარმომადგენელს: ქართველს (იგულისხმება ქართლი და კახეთი), მეგრელს, იმერელს, გურულს, სვანს, ხევსურს, ფშავს, თუშს, ლაზებსა და ჭანებს, თურქებს, სომხებს, ლეკებს, დიდოელებს, ყაბარდოელებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ავარებს, ხუნძებს, ქისტებს და მისთ. ჩვენი მოგზაურე-

ბი საგანგებოდ ახასიათებენ მათ და, ცხადია, ზოგად სურათს გვაწვდიან ამ ხალხთა ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, მოგზაურებმა ბევრი დასახლებული პუნქტი, ქალაქი და სოფელი მოიარეს. ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ამ მხარის მეტ-ნაკლებად ღირსშესანიშნავი და ნიშვნელოვანი მდინარეები და ტბები (რიონი, ფიჩორა, ცხენისწყალი, ჭოროხი, აჭარისწყალი, ხობი, ბზიფი, ინგური, მტკვარი, პალიასტომი და სხვ.).

*

* *

ზემოთ მოხმობილი შედარებითი მასალიდან ვფიქრობთ, კარგად ჩანს, თუ როგორ ავსებენ ერთმანეთს ე. სპენსერისა და კ. კოხის მოგზაურობებში წარმოდგენილი ცნობები, რომლებმაც საშუალება მოგვცა წარმოგვედგინა XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა და კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების მეტ-ნაკლებად სრული სურათი.

მოტანილი მასალიდან ნათლად ჩანს აგრეთვე ე. სპენსერისა და კ. კოხის ინტერესები კავკასიასა და საქართველოში მოგზაურობის დროს. ე. სპენსერი, როგორც ინგლისის რეზიდენტი, ცხადია, უფრო აშკარად ავლენს თავის განსაკუთრებულ ინტერესს ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისადმი კავკასიაში. ამიტომ იგი, კ. კოხთან შედარებით, უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სამხედრო და სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტების და ჩერქეზეთის სანაპიროზე განლაგებული თითქმის ყველა საფორტიფიკაციო ნაგებობათა აღწერას და შესწავლას. კ. კოხს ასეთი დაინტერესება არ გამოუჩენია ამ პუნქტებით, თუმცაღა შავიზღვისპირა რუსული ციხესიმაგრეების მშენებლობის ძირითადი არსი ორივე მოგზაურისათვის ერთნაირად გასაგები იყო.

ე. სპენსერიც და კ. კოხიც ორივე თავისი პოზიციებიდან აკრიტიკებენ ცარიზმის კოლონიზატორულ პოლიტიკას. განსაკუთრებით უკომპრომისოა ე. სპენსერი, ხოლო კ. კოხი მეტ სიდინჯესა და ობიექტურობას იჩენს. კ. კოხის აზრით, რუსეთთან შეერთებამ თავისი გარკვეული დადებითი შედეგები გამოიღო როგორც საქართველოსათვის, ისე კავკასიის სხვა ხალხებისათვის. ეს კი სრულიად არ უშლის ხელს კ. კოხს, რათა დაინახოს უარყოფითი მომენტები ცარიზმის პოლიტიკაში. ასე მაგალითად, იგი მართებულად

შენიშნავს, რომ რუსეთის ცარიზმმა კავკასიის, კერძოდ, საქართველოს რუსეთთან შეერთებულ პროვინციებში ბატონობის ისეთი ფორმები შემოიღო, რომელიც რუსეთის სინამდვილისათვის მისაღები იყო და სრულიად გაუმართლებელი და მიუღებელი აღმოჩნდა ქართველებისათვის. კ. კოხი იმასაც შენიშნავს, რომ რუსეთის მთავრობა გვიან მიხვდა თავის შეცდომას და შეუდგა მის გამოსწორებას. უფრო დაუნდობელი და სწორხაზოვანია ე. სპენსერი. ცარიზმის ყოველ ნაბიჯს, გადადგმულს ადგილობრივი მთავრების გულის მოსანადირებლად, ე. სპენსერი ნათლავს ცარიზმის ოინბაზობად. ამიტომაა, რომ კ. კოხი, როგორც კრებულის შემდგენელი, იძულებულია შენიშვნები და კორექტივები შეიტანოს ტექსტში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

დიდი გულისყურითა და ინტერესით ადევნებს თვალს ორივე მოგზაური კავკასიის ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის რუსეთის ცარიზმის კოლონიზატორების წინააღმდეგ. ამ თვალსაზრისით ე. სპენსერი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შამილის პიროვნებას და ზედმეტად აიდეალებს მას. ეს ბუნებრივი ჩანს, რადგან შამილის იდეალიზაცია ე. სპენსერის მხრივ ფაქტიურად ნაკარნახევია ინგლისის ინტერესების დაცვით.

კ. კოხი ერთგვარად ავსებს ჩრდილო კავკასიაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების სურათს. იგი დაწვრილებით გვიამბობს შამილის წინააღმდეგ რუსი გენერლების მიერ წარმოებული ბრძოლების ისტორიას და აქვე აგვიხსნის ამ ბრძოლების წარუშატებლობის მიზეზებს. დამატებით ცნობებს გვაწვდის კ. კოხი თავის ჩანაწერებით აგრეთვე სხვა კავკასიელ მოღვაწეთა შესახებ.

ვინაიდან ე. სპენსერი თავისი ინტერესების შესაბამისად გატაცებული იყო ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით, ამიტომ იგი ნაკლებად აკვირდებოდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას. აქაც კ. კოხი ავსებს ამ ხარვეზს და საკმაოდ უხვად (რა თქმა უნდა, შედარებით ე. სპენსერთან) გვაწვდის ცნობებს ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიური მდგომარეობის (სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარების) შესახებ. საგანგებოდ ჩერდება კ. კოხი ქვეყნის სავაჭრო ცხოვრებაზე და განიხილავს იმ მიზეზებს, რომლებიც აფერხებდნენ, მისი აზრით, ვაჭრობის განვითარებას კავკასიასა და საქართველოში.

კ. კოხი გვაწვდის ცნობებს თბილისის, მისი ისტორიის და იმდროინდელი ცხოვრების შესახებ; აღწერს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს: ბაზრებს, აბანოებს, მნიშვნელოვან ნაგებობებს და მისთ.

თბილისის გვერდით იგი აგვიწერს აგრეთვე კახეთის, სამხრეთ საქართველოსა და აჭარის მნიშვნელოვან ქალაქებს (სიღნაღი, ბათუმი, ახალციხე, ართვინი და სხვ.).

გარკვეულ ინტერესს ავლენენ ე. სპენსერიცა და კ. კოხიც საქართველოსა და კავკასიის ყოფისა და კულტურის მიმართ. კ. კოხი ხშირად ავსებს ცნობებს კავკასიის ხალხის ეთნიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ, რომლებიც ან საავსებით არაა წარმოდგენილი ე. სპენსერთან, ან ძალზე ძუნწადაა. ასე მაგალითად, დაწვრილებით აგვიწერს კ. კოხი საქართველოს მცხოვრებთა შრომით პროცესს აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებსა თუ სხვა საკულტო ნაგებობებს.

დაბოლოს, კ. კოხი, როგორც ბოტანიკოსი, აშკარად ავლენს თავის პროფესიულ ინტერესს კავკასიის ფლორისადმი და, ცხადია, ხელიდან არ უშვებს ხელსაყრელ შემთხვევას.

ჩვენ შევეცადეთ ე. სპენსერისა და კ. კოხის ჩანაწერებიდან იმდროინდელი საქართველოსა და კავკასიის შესახებ ყურადღება ძირითად საკითხებზე გაგვემახვილებინა. ვცადეთ აგრეთვე მათ შიერ მოწოდებული სხვადასხვა ხასიათის ცნობები სხვა წყაროების მოშველიებითაც შეგვევსო. ბუნებრივია, ყველა ცნობა, რომელიც დაცულია ე. სპენსერისა და კ. კოხის თხზულებებში, თავის ასახვას ვერ ჰპოვებდა წარმოდგენილ გამოკვლევაში. ამიტომ მეტნაკლებად საყურადღებო ცალკეული საკითხი და ჩვენი დამოკიდებულება მათდამი სათანადო კომენტარებშია ასახული.

გამოცემისათვის

ე. სპენსერის თხზულება „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთის, და სამეგრელოს სანაპიროზე“ შედგება 6 ნაწილისაგან: 1. ანაპა და სუჯუკ-კალე. 2. გელენჯიკი, ფშადი და ბიჭვინტა. 3. ბომბორი და სოხუმ-კალე. 4. სამეგრელო და სვანეთი. 5. კავკასია და შამილი. 6. შამილი.

კ. კოხის „მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპიზონამდე“ (კოლხები და ლაზების ქვეყანა) შედგება 5 ნაწილისაგან: 1. სამეგრელო. 2. გურია. 3. ბათუმი. 4. ლაზისტანი. 5. ოფი და ზღვაზე მოგზაურობა.

კ. კოხის მეორე ნაშრომი „ბრძოლის ველზე გასვლაც“ 5 ქვეთავს შეიცავს: 1. თბილისი: 2. შამილი და კავკასიის ომი.

3. ელისუს ამბოხება. 4. ლეკების ხაზი. 5. ალაზნისა და იორის მხარე.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის შესახებ უცხო მოგზაურთა (კ. კოხის და ე. სპენსერის) ცნობების პირველ ქართულ თარგმანს. „მოგზაურობათა“ თარგმანი, რომელიც შესრულებულია გერმანული ენიდან, მოცემულია სრულად. ტექსტის თარგმნისას შევეცადეთ ზუსტად დაგვეცვა დედნისეული აზრი და სტილი. შეძლებისდაგვარად ვცადეთ აგრეთვე გაგვესწორებინა ზოგიერთი დამახინჯებული გეოგრაფიული თუ საკუთარი სახელი და სხვა ხასიათის უზუსტობანი.

აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ გარკვეული ფაქტისა თუ მოვლენის კვალიფიკაციის დროს კ. კოხი ყოველთვის არა ჩანს აღწერილი ამბების უშუალო მონაწილე ან თვითმხილველი. შეიძლება მკითხველს ისიც უცნაურად ეჩვენოს, რომ კრებულში ხშირად გვიანდელ ამბებზეა მსჯელობა და თხრობა. ჩვენ კი ვიცით, რომ კ. კოხმა უკანასკნელად 1844 წელს იმოგზაურა კავკასიაში. როგორც ჩანს, კ. კოხი სამშობლოდანაც დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს კავკასიის საომარ თეატრს და მისი ინტერესი გვიანდელ ამბებსაც სწვდება. გარდა ამისა, კრებულის შედგენისას კ. კოხი სარგებლობდა აგრეთვე ე. სპენსერის მიერ გამოქვეყნებული შრომების ყველა არსებული გამოცემით (1837 — 1839 წ. წ., 1854 წ.) და უხვად იყენებდა ამ შრომებში დაცულ ცნობებს. ამიტომ აისახა მის მიერ შედგენილ კრებულში კავკასიის ბრძოლებთან დაკავშირებული შედარებით გვიანდელი ამბებიც.

ო. სპენსერი

მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ

თავი I

ანაპა და სუჯუკ-კალე

ჩერქეზების პირველი ნახვა.—ანაპა —სუჯუკ-კალეს აღწერა.—გენერალ ველიამინოვის ლაშქრობა.—მისი დამარცხება.—გელენჯიკში ჩასვლა; შესანიშნავი ნავსადგური.—სარგებლობა, რასაც რუსეთი მიიღებს ამ ადგილის დაკავებით

როგორც კი უკან მოვიტოვეთ ყუბანის[1] შესართავი, ჩვენს წინ მთელი თავისი სიდიადითა და სილამაზით აღიმართა კავკასიონის დაბალი მთისწინეთი, რომელსაც რუსები ჩერნიგორის ანუ შავ მთებს უწოდებენ. პირველად ვიხილეთ ჩერქეზეთის სანაპირო. ძნელი წარმოსადგენია უკეთესი სანახაობა: აზიის მცხუნვარე მზე თითოეული მთის მწვერვალს ანათებდა. მართალია, მთები მეტად ლამაზი იყო და მისი მწვერვალები ტყეების მწვანე სამოსელში დიდებულად გახვეულნი ბრწყინავდნენ, მაგრამ ეს მაინც არ იყო ის, რაშაც ჩვენ ასე ძლიერ მოგვაჯადოვა. ეს იყო ჩერქეზეთის, ვმირობისა და თავისუფლების ამ რომანტიკული სამშობლოს პირველი ხილვის ჭეშმარიტება. ჩვენმა თანამგზავრებმა და განსაკუთრებით ქალებმა ვეღარ შეძლეს სიხარულის დაფარვა და თითქმის ერთდროულად წამოიძახეს: „ჩერქეზეთი, ჩერქეზეთი!“.

ღუზა ჩავუშვით ჩერქეზეთის პირველ ნავსადგურში — ანაპაში[2]. რუსების გადმოცემით, აქ 1784 წელს თურქებს ციხესიმაგრე აუგიათ. ციტადელი აღმართულია კიზილ კაიას[3] მთების ერთ-ერთ შვერილზე, რომელიც ზღვის ნაპირთან ციცაბოდ ეშვება დაბლობზე. სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ამ ქა-

ლაქს გარს აკრავს საკმაოდ ციცაბო გორაკების რკალი, რომელიც დაახლოებით ორასი ფუტის სიმაღლისაა. ისინი მთიელებისაგან თავდასაცავად კარგ კედელს წარმოადგენენ. მთიელებს, სამწუხაროდ, მხოლოდ თოფები აქვთ თავის დასაცავად, თუმცა ქალაქის გარშემო მდებარე ყველა ის გორაკი რომ დაეპყროთ, რომლითაც ქალაქია გარშემორტყმული, მაშინ, ცხადია, გარნიზონი თავის მოსახლეობითურთ საკმაოდ მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა გარე სამყაროსაგან. ღია დარჩებოდა მხოლოდ ზღვა, დაბლობი და ჭაობიანი ჩრდილოეთის ნაწილი, რაც სავსებით საკმარისია კარგი ამინდის დროს (მაშინაც კი როდესაც მდინარე ყუბანის წყალი მეჩხერია) ჩერნომორცებთან[4] (ასე ეწოდება შავ ზღვაზე მობინადრე კაზაკებს) კავშირის დასამყარებლად.

ანაპას არ გააჩნია კარგად დაცული ყურე, ღუზის ჩასაშვები ადგილი ცუდია. გარდა ამისა, აქ თავთხელი ადგილია და მხოლოდ პატარა გემების სადგომად თუ გამოდგება იგი. საკმარისია ქარმა მძლავრად დაუბეროს და დინება იმწამს შუა ზღვაში გარიყავს გემს. ნავსადგურს იცავს ჯებირი ბასტიონითურთ. მთელი ეს მიდამო ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული და არც იმისათვისაა გათვალისწინებული, რომ ზღვიდან შემოტევისას მტრისაგან დასაცავ სიმაგრედ გამოდგეს. ამას ისიც ემატება, რომ მთელ ქალაქში სასმელი წყლის ნაკლებობაა. გარნიზონის ჯარისკაცებს შორეულ მთებში უხდებათ წყლის მოსატანად წასვლა. მაგრამ ჩერქეზების მუდმივად მტრული განწყობილების გამო ეს მეტად საშიშია, ამიტომ ჩერქეზები, ჩვეულებრივ, იარაღს მიმართავენ.

ანაპა და მისი მიდამოები ოდესღაც ეკუთვნოდა ჩერქეზების მებრძოლ ტომს — შეგაკებს[5], რომელთა უკანასკნელი მთავარი — მეჰმედ გირეი ასლანი[6] იყო. ერთხანს ის ძლიერი იყო და მნიშვნელოვან ვაჭრობას ეწეოდა თურქებთან. მაგრამ, როდესაც რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ[7] ადრე დაპყრობილი ყუბანი ხელმეორედ დაასახლა ზაპოროჟელთა[8] (დნეპრის კაზაკების) შთამომავლებით, საუბედუროდ, მალე ატყდა სისხლისმღვრელი, გამანადგურებელი ომი შეგაკებსა და კაზაკებს შორის; ომი შეგაკების სრული განადგურებით დამთავრდა. მთავრის ოჯახის ყველა წევრი ამოწყდა. თავის დროზე მთავარმა უფლება მისცა თურქებს ანაპაში თავისი მეციხოვნეები ჰყოლოდა. მას ორი მიზანი ჰქონდა: ჩრდილოეთში რუსთა მოძრაობისათვის თვალყურის დევნება და სავაჭრო კავშირურთიერთობისათვის სადგურის ქონება

(სახელდობრ, ქალიშვილებით ვაჭრობისათვის). ანაპა ჩათრეული იყო ყველა ომში, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოებდა. ჯერ 1790 წელს გენერალმა ბიბიკოვმა[9] ათი ათასიანი ჯარით გადალახა და მთლიანად გააცამტვერა ეს მხარე ანაპის კარიბჭემდე. შემდეგ წელს გენერალმა გუდოვიჩმა[10] ექვსკვირიანი ალყის შემდეგ ქალაქი იერიშით აიღო, მაგრამ მალე ისევ დატოვა და ქალაქი ხელახლა დაიკავეს თურქებმა[11]. მათ მიწაყრილის ნაცვლად გალავანი აღმართეს. უფრო მოგვიანებით, კერძოდ, 1807 წელს ანაპა აიღო გენერალმა გოვოროვმა[12]; მისმა ჯარებმა გაანადგურეს ქალაქი და ციხე; საბოლოოდ კი უკან დაიხიეს. 1811 წელს ანაპა ისევ დაიკავეს რუსებმა. 1828 წელს კი სამთვიანი სამკვდრო-სასიცოცხლო ალყის შემდეგ, როგორც ზღვიდან, ისევე ხმელეთიდან, იგი საბოლოოდ დაიპყრო თავადმა მენშიკოვმა[13] და ამ დროიდან დარჩა რუსეთის მფლობელობაში.

ანაპის დაპყრობით რუსებმა ფეხი მოიკიდეს ჩერქეზეთში და გაეხსნათ ასპარეზი შემდგომი საომარი მოქმედებისათვის. მათ შეექმნათ ხელსაყრელი პირობები, რათა თანდათანობით დაემორჩილებინათ დასავლეთის მთიანეთის მებრძოლი ტომები და მომავალში უფრო განევრცოთ დაპყრობები აზიაში. მაგრამ, მიუხედავად ძლევამოსილებისა, დიდი მცდელობისა და ხრიკებისა რუსეთი 1854 წელსაც თითქმის ისევე შორს იმყოფებოდა თავისი საბოლოო მიზნების განხორციელებისაგან, როგორც ბრძოლის დასაწყისში. რუსები ამაოდ ცდილობდნენ განეხორციელებინათ თავიანთი მიზნები. მთის მხარეს არ შეეძლო რუსეთის დიდი არმიის გამოკვება. ამავე დროს მთა თავის მცხოვრებლებს კარგ პირობებს უქმნიდა თავდაცვისათვის. ამასთანავე ეს იმ ხალხის შთამომავლობა იყო, რომელიც არ შეუშინდა ალექსანდრე დიდის[14] შემოსევას, განდევნა და დაფანტა რომის ძლევამოსილი ლეგიონები, უკუაგდო მითრიდატეს[15] მებრძოლი ურდოები, ხოლო უფრო გვიან მამაცურად უმკლავდებოდა ისეთ მეტოქეებს, როგორიც იყვნენ სპარსელები და თურქები თავიანთი ძლიერების ხანაში. აბა როგორ შეეძლო რუსეთს ასეთი ხალხის დამორჩილება? ვინ იცის, რა ძლევამოსილი იქნებოდა ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი ჯარი, სამხედრო-საქმის ევროპულ ხელოვნებას რომ ყოფილიყო დაუფლებული? რის გაკეთებას არ შეძლებდნენ ადამიანები, რომლებზედაც თვითონ რუსები ამბობდნენ — შესანიშნავი მხედრები და ყველაზე უშიშარი გვერილიასები[16] არიანო, სულით არასდროს არ ეცემი-

ან და მათი მოსყიდვა შეუძლებელი საქმეა, თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობას ისინი არაფერზე არ გასცვლიანო.

იმედია, მას შემდეგ, რაც ევროპას თვალი აეხილა და რუსეთის პატივმოყვარე მიზნებს ჩასწვდა, ბრძოლაში უბრალო მოწმის როლში აღარ დარჩება! ნუთუ არ დადგება ის დრო, როდესაც კავკასიის მშვენიერი ველ-მინდვრები და რომანტიული მთები მოგზაურთა სარბიელი გახდება? როგორც კი ამ ქვეყანაში მშვიდობა გამეფდება და მისი ხალხები, რომლებიც ამჟამად ასე ვაჟკაცურად იტანენ ომის მთელ სიმძიმეს, თავისუფლად ამოისუნთქავენ თავის აზიურ შეეიცარიაში, კავკასია მოგზაურთა საასპარეზო ადგილად იქცევა. რაც უფრო ვუახლოვდებით შავ ზღვას, მშვიდად რომ გადაშლილა და ახლა ტბას უფრო წააგავს, მით უფრო ლამაზი ხდება ჩერქეზეთის თვალწარმტაცი სანაპირო.

სუჯუკ-კალე[17] უახლოესი ნავსადგურია, რომელშიც ჩვენ ჩამოვედით. იგი განსაკუთრებით ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთი ჩერქეზეთში შემოიჭრა. სუჯუკ-კალე ანაპიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით ოცდაათი მილის დაშორებით მდებარეობს. ჩერქეზეთის მთელ სანაპიროზე არ გვხვდება სამხედრო ანდა საველჩრო თვალსაზრისით გელენჯიკზე[18] უფრო მნიშვნელოვანი პუნქტი. ჩერქეზების „მეგობარმა" თურქებმა (რომლებსაც აქამდე უბედურების მეტი არაფერი არ მოუტანიათ მათთვის) აქ საველჩრო პუნქტი შექმნეს. ეს მათ ადგილობრივი მთავრის გირეი კოემიტის[19] ნებართვით გააკეთეს. იმ საბაბით, რომ სულთანი ამ ქვეყნის ერთადერთი მფლობელია, რუსები გენერალ გუდოვიჩის სარდლობით 1809 წელს თავს დაესხნენ სუჯუკ-კალეს, მაგრამ უშედეგოდ. 1811 წელს მათ ბედმა უფრო გაუღიმა. იმ დროისათვის ქალაქი ხელთ იგდო ჰერცოგმა რიშელიემ[20] და ბუქარესტის ზავამდე[21] ხელთ ეპყრათ. სანამ რომელიღაც პუნქტის მიხედვით ქალაქი ისევ თურქებს არ გადაეცათ. საბოლოოდ ჩერქეზები დარწმუნდნენ, რამდენი გაჭირვება მოუტანეს მათ თურქებმა, რომლებსაც არა აქვთ მებრძოლი სული და რუსებთან ბრძოლისას არ შესწევდათ უნარი მათი დაცვისა. ამიტომ მათ გადაწყვიტეს თურქების სუჯუკ-კალედან განდევნა, რათა რუსებსა და თურქებს შორის ბრძოლებში ჩათრეული არ აღმოჩენილიყვნენ. ჩერქეზებმა სიმაგრე დაანგრიეს და მთელი მისი მოსახლეობა გაანადგურეს

ამ დროიდან მოყოლებული 1836 წლამდე სუჯუკ-კალე ჩერქეზების თავისუფალ მფლობელობაში იმყოფებოდა. აღნიშნულ წელს გენერალმა ველიამინოვმა[22] მოულოდნელად 15 ათასიანი ჯარი გა-

დმოსხა ნაპირზე; შემდეგ კი მის დასახმარებლად გაიგზავნა საბ-ხედრო ნაწილი თავად ვორონცოვის[23] მთავარსარდლობით. მათ სანგრები უნდა აეგოთ, მაგრამ როგორც კი დაიწყეს ჯარისკაცებისათვის ბარაკებისა და სასურსათო მაღაზიების შენება, ნაადრევმა შემოდგომის წვიმებმა მოუსწროთ. ზღვაზე ისეთი ძლიერი ქარიშხალი ატყდა, რომ მთლიანად გაანადგურა რუსების ფლოტი თავის სურსათ-სანოვაგიანად. ამას ისიც დაემატა, რომ მდინარე სემესი[24], სუჯუკ-კალეს ყურეს რომ ერთვის (ზაფხულობით იგი უბრალო ნაკადულია), უეცრად ადიდდა, სულ დატბორა რუსების მიერ აშენებული ყველა სიმაგრე, გაანადგურა სურსათ-სანოვაგის დიდი რაოდენობა და, რაც მთავარია, თოფის წამალი. ყოველივე ამ უბედურებათა შემდეგ გენერალ ველიამინოვს ისღა დარჩენოდა, რომ უარი ეთქვა თავის წამოწყებაზე და როგორმე სმელეთით შეეღწია ანაპაში, რათა შიმშილისა და ავადმყოფობისაგან არ დაღუპუპულიყო თავის ჯართან ერთად.

უნდა ითქვას, რომ იგი ყოველთვის მამაცურად იკვალავდა გზას, მას უნდა გაევლო ღრმა ხევები და საშიში გასასვლელები. მეამბოხე ჩერქეზი გვერილიასისათვის ყველა ბუჩქი და კლდე თავდაცვის ბუნებრივ საშუალებას წარმოადგენს საიდანაც მას შეუძლია რუსს ზიანი მიაყენოს. ანაპიდან რამდენიმე მილის დაშორებით მას მოულოდნელად თავს დაესხა ჩერქეზი ტომების შაფსუღების[25], თემირგოელების[26], და ნატუხაელების[27] გაერთიანებული ძალები. გაიმართა საშინელი ბრძოლა. შავი ზღვის კაზაკების ეს-კადრონი და ქვემეხები ანაპიდან რომ დროზე არ დახმარებოდნენ, მთელი ჯარი მოისპობოდა, ვინაიდან შიმშილისა და დაღლილობისაგან უბედურ ჯარისკაცებს ძალა გამოელიათ. ჯარისაგან, რომელიც რამდენიმე თვის წინ 15 ათას კაცს ითვლიდა, მხოლოდ ნახევარი გადაურჩა ჩერქეზების სასიკვდილო მახვილს და არანაკლებად გამადგურებელ ციებას, რომელიც, როგორც წესი, ღამით საგუშაგოზე დგომის დროს ემართებოდათ ჯარისკაცებს.

ამ ხანმოკლე ლაშქრობამ რუსებს მაინც გარკვეული სარგებელი მისცა. მთის გადასასვლელების დასაცავად ველიამინოვმა ორი ფორტი ააგო: ერთი სუჯუკ-კალედან — ანაპისაკენ, მეორე — გელენჯიკში მიმავალ გზაზე. სინამდვილეში ველიამინოვმა მთის მცხოვრებლების დამონება ისევე ვერ შეძლო, როგორც მისმა წინამორბედმა. საბოლოოდ იგი გაიდაიქანცა ამდენი წარუმატებლობისაგან (მის თვალწინ მისი ჯარის საუკეთესო ნაწილები წლითიწლობით სულ უფრო მეტად განიცდიდნენ მარცხს) და მალე უკან

გაბრუნდა. რამდენიმე წლის შემდეგ ველიამინოვი გარდაიცვალა. პატივი ვცეთ მის ხსოვნას. იგი მამაცი ჯარისკაცი და პატივსაცემი პიროვნება იყო. ჩვენ მას კარგად ვიცნობდით და შეგვიძლია დავიმოწმოთ მისი დამსახურებანი. აგრეთვე ისიც, თუ როგორ უყვარდათ იგი ჯარისკაცებს, ან რა პატივს სცემდნენ მას მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები[1].

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სუჯუკ-კალე მდებარეობს ანაპის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 30 ინგლისური მილის დაშორებით. შაგრამ ჩერქეზეთში ჩვენი შემდგომი მოგზაურობის დროს აღმოჩნდა, რომ მათ შორის მანძილი 25 მილს არ აღემატება, თუ ჩვენ გვერდს ავუხვევთ გზის დიდ ხვეულს, რომელიც აუცილებლად უნდა გავაკეთოთ ზღვაზე გავლისას, ჩვენ გვექნება ბედნიერება დავტკბეთ მშვენიერი გორაკებით გარშემორტყმული ყურის დათვალიერებით. გარშემოწერილობით იგი დაახლოებით რვა მილი უნდა იყოს; წყლის სიღრმე კარგი აქვს, ღუზის ჩასაშვებად მოხერხებული ადგილია და თან დაცულია ქარიშხლისაგან. ყველა ამ თვისების გამო იგი ერთ-ერთი საუკეთესო ნავსადგურთაგანია შავი ზღვის სანაპიროზე, მთლიანად ჩაკეტილია ხმელეთით, შესავლელის გარდა, ე. ი. სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ და ადვილად შეიძლება მისი ჯებირით გამაგრება.

ნავსადგურის აღმოსავლეთ ნაწილში თვალში გვხვდება მთელი რიგი შავი გორაკებისა, რომელთა სიმაღლე ათას ფუტამდე აღწევს. გორაკები გადასერილია უამრავი მდინარე-ნაკადულებით,

---

[1] ყველა ეს მონაცემი სწორი არ უნდა იყოს. რუსებს ეგონათ, რომ როცა თურქებმა თავიანთი მოჩვენებითი ბატონობა ჩერქეზებზე გამარჯვებულებს გადასცეს, მათაც ჰქონდათ უფლებები სუჯუკ-კალეზე, ამიტომ მათ 1834 წელს ნავსადგურის შიგნით მდებარე სავაჭრო ადგილი სემესი დაანგრიეს, საიდანაც უმთავრესად წარმოებდა ქალიშვილებით ვაჭრობა. ამავე დროს ნავსადგურის სამხრეთ ნაწილში, გამოსასვლელთან, აგებულ იქნა კაბარდინსკის[28] ციხე. მაგრამ მიუხედავად ამისა, 1836 წელს, როდესაც კაპიტან ეიქსენის[29] მეთაურობით ინგლისური გემი შევიდა ნავსადგურში რათა ჩერქეზები იარაღით და საჭურვლით მოემარაგებინათ, რუსებმა ძალიან მოხერხებულად ჩამოართვეს მათ ყველაფერი. რუსების აზრით, უკეთესი იქნებოდა უარი ეთქვათ სუჯუკ-კალეზე და სემესის შესართავთან მის მაგივრად სხვა სიმაგრე აეგოთ, რათა ჩერქეზებისათვის უკეთესად ედევნებინათ თვალყური. ასე გაჩნდა ნოვოროსიისკი[30] (ახალ-რუსულ ციხესიმაგრე). ბევრს ეცადნენ კავშირი დაემყარებინათ ანაპასთან, მაგრამ ამას ბევრი ხალხი შეეწირა. საჭირო იყო ყველაზე უფრო საშიში ადგილების — ნიკოლაევისა[31] და რაევსკის[32] დაკავება, რისთვისაც სიმაგრეები წამოსწიეს წინ.

კ. კოხის შენიშვნა

რომლებიც საფეხურებად ეშვება კლდოვან ნაპირზე. დასავლეთის მხარეზე მდებარე გორაკები უფრო დაბალია და მცენარეულითაა დაფარული; რაც უფრო ვუახლოვდებით ნაპირს, გორაკები უფრო დაბლდება. მოკლედ, ეს შესანიშნავი ნავსადგური ისე კარგადაა დაცული ყოველი მხრიდან (გარდა უკვე აღნიშნული ადგილისა), რომ თუ შევხედავთ ჩრდილო-დასავლეთიდან, ტბას უფრო ჰგავს, ვიდრე ზღვის ყურეს. გენუელებისა და ვენეციელების ადრინდელი არქივებიდან ვიგებთ, რომ ამ ნავსადგურს უკვე ძალზე დიდი ხანია იყენებენ[33]. გენუელებს აქ ჰქონდათ სავაჭრო ჯუნქტი „პორტო-სუაკო"[34]. ზოგიერთი მწერალი იმასაც კი ამტკიცებს, რომ ეს ძველი დროის ცნობილი სინდიკაა[35].

სუჯუკ-კალე რომ მოვიტოვეთ უკან, ჩერქეზეთის სანაპირო უფრო წარმტაცი გახდა; მაგრამ როგორც კი გარს შემოვუარეთ მთისწინეთ — დობას[36], წინ გადაგვეშალა სამოთხესავით ლამაზი მხარის შეუდარებელი სანახაობა. აქ ბუნების ყველა მშვენიერება საუცხოო პირველყოფილ ფორმებშია შერწყმული. ასეთი სილამაზე მხოლოდ ბუნებამ შეიძლება შექმნას. ყველაფერი მდინარის ნაპირიდან დაწყებული მთის მწვერვალამდე, მწვანითაა დაფარული. გორაკებს ქვემოთ ნაყოფიერი ველები მოჩანს. მთის ფერდებს ქათქათა თეთრი ცხვრის ფარა შეფენია. ცხვრები მშვიდად სძოვენ ბალახს კამეჩების ჯოგთან ერთად. აქვე დაინახავთ მსხვილფეხა საქონელს, კუპრივით შავ, გრძელ და წვრილკიდურებიან თხებს და ნახევრად ველურ, ჩინებულ ცხენებს, ამაყად რომ აქვთ შემართული ტალღისებური ქედები — მათი გაშლილი ფაფარი ნიავის ოდნავ დაქროლებაზეც ფრიალებს. ჩვენი ტყეების გარეული ცხოველებივით ისინიც მხიარულად დახტიან მწვანე მდელოებზე და გორაკების ციცაბო ფერდებზე. შორიახლოს ჩერქეზების ჰატარა ხის სახლები მოჩანს მბოლავი საკვამურებით. გარშემო სამეურნეო ნაგებობებია გაშენებული. საცხოვრებელ სახლებს თხილის ბაღები აკრავს. მწყემსები კომბლებით ხელში დარაჯობენ თავიანთ ფარას. რასაც თვალი წვდებოდა, ყველგან სიმინდისა და ფეტვის ყანებში მუშაობდნენ მამაკაცები, ქალები და ბავშვები, ხოლო ხარ-კამეჩი მძიმედ დატვირთულ ურმებს მიათრევდა გვერლივით დაკლაკნილ ხეობათა გზებზე დანიშნულების ადგილისაკენ. ნამდვილად მრავალფეროვანი სანახაობაა. ხედი ყოველწამს იცვლება. დიდებული და წარმტაცი სურათები ჰარმონიულად ერწყმის სოფლის ცხოვრების რომანტიულობას და სინამდვილედ აქ-

ცევს ოცნებას, რომლის წარმოდგენა მხოლოდ არკადიის[37] პოეტის ფანტაზიას თუ ძალუძს.

შემდეგი ნავსადგური, რომელშიც ჩვენ ღუზა ჩავუშვით, გელენჯიკი იყო. იგი სუჯუკ-კალედან 16 ინგლისური მილის[38] დაშორებით მდებარეობს. რუსები მას ყველაზე უფრო საიმედო და მოსახერხებელ ნავსადგურად თვლიან მთელ ჩერქეზეთის სანაპიროზე. ყურე შესასვლელში ნახევარი მილია სიგანით, ხოლო თანდათანობით სამჯერ მეტად ფართოვდება. სიღრმე ორი მილია. მას ერთვის პატარა მდინარე, რომელიც წარმტაც ველზე მოედინება. ნავსადგურს გარშემო მაღალი მთების ჯაჭვი აკრავს და ყოველგვარი ქარისაგან იცავს მას. ყურე შესანიშნავია ღუზის ჩასაშვებად. წყლის სიღრმე თოთხმეტიდან ოთხ საჟენამდე მერყეობს. ამდენივეა მდინარის შესართავთანაც, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქვიშა გროვდება და თანდათან ნაპირი თხელდება.

თავი II

გელენჯიკი, ფშადი და გიჭვინთა

რუსების შესვლა გელენჯიკში. — ფორტი. — გამგზავრება ქვეყნის სიღრმეში. — როგორ გაჰყავს რუსეთს ჩერქეზეთში სამხედრო გზები. — ნავსადგური ფშადი —ჩერქეზების მტრული განწყობილება.—ჩერქეზების საომარი ძახილი.—სანაპიროს ბრწყინვალე ხედი.—ნავსადგური შუოკი.—ნავსადგური ვარდანი.—ბიჭვინთაში ჩასვლა. — ექსკურსია ქვეყნის სიღრმეში. — საინტერესო ეკლესია. — ბამბორი. — ჩერქეზული ქალაქის მონახულება.— ჩერქეზეთის ტყეები.—ჯვაროსნების საომარი საჭურველი

სამხედრო თვალსაზრისით გელენჯიკის ადგილმდებარეობა მეტად ხელსაყრელია. ერთი მხრივ იგი სუჯუკ-კალეს უკავშირდება, მეორე მხრივ კი, ოდნავ შემაღლებული დაბლობის საშუალებით, ნავსადგურ ფშადს[39]. აქედან მიმავალი გზა მიჰყვება მეციპის დინებას პირდაპირ კავკასიის შუაგულში. სავსებით გასაგებია, რომ ასეთი ხელსაყრელად განლაგებული ნავსადგური რუსეთის მთავრობის ყურადღებას მიიპყრობდა. ასეც მოხდა. ადრიანოპოლის ზავის შემდეგ, ისე რომ ჩერქეზებისათვის არც უკითხავთ, რუსებმა ძლიერი ჯარი გაგზავნეს გელენჯიკის ასაღებად, ხოლო საბაბად

გამოიყენეს ის გარემოება, რომ ადრე გელენჯიკი თურქებს ეკუთვნოდა და მერე რუსეთს დაუთმესო.

დასავლეთის დიპლომატებს მაშინ სულ არ აინტერესებდათ, თუ ვის ეკუთვნოდა კავკასიად წოდებული რომანტიული ქვეყანა — თურქეთს თუ რუსეთს. როგორც ჩანს, მათი სიბრძნე არ იყო საკმარისი იმის გასაგებად, თუ რას გულისხმობდა სანკტ-პეტერბურგის ცბიერი სამეფო კარი ადრიანოპოლის[40] ხელშეკრულების სიტყვების ქვეშ: „და კავკასიის მრავალი სხვა პროვინცია".

განსვენებული სულთნის[41] „სასახელოდ" უნდა ითქვას, რომ მას არ შეეძლო უარი ეთქვა იმ ქვეყანაზე, რომელზეც მას არავითარი უფლება არ ჰქონდა. თავისთავად ცხადია, რომ სულთანი რა სავალალო მდგომარეობაშიც არ უნდა ჩავარდნილიყო იგი, არასდროს მოისურვებდა ქრისტიანის მონად ექცია ისეთი ქვეყანა, რომელშიც მილიონამდე მაჰმადიანი ცხოვრობდა. ამ დროიდან მოყოლებული გელენჯიკს რუსები ფლობენ. საერთოდ, რუსებს წესად ჰქონდათ, როგორც კი ქვეყნის „ბატარა" ნაწილს ჩაიგდებდნენ ხელში, შემდეგ იმის ცდაში იყვნენ, უსასრულოდ გაევრცელებინათ თავისი ბატონობის სფერო. ცნობილია ის ფაქტი, რომ რუსებს იმ დროიდან დღემდე არ შეუწყვეტიათ თავდასხმები მთიელთა დამოუკიდებლობაზე.

გელენჯიკის ციხესიმაგრე წარმოადგენს მიწაყრილს, გარედან გამაგრებულს ღობით და საკმაო რაოდენობის მძიმე ქვეითებით. გარნიზონი შედგება ორი ათასი კაცისაგან; ისინი ციხესიმაგრის შიგნით თამამად ცხოვრობენ ხის ქოხებში. იგი კარგად არის დაცული. ჰაავა შედარებით უკეთესია (თუ გარნიზონის მოსაბლეობის გარეგნული, ჯანსაღი შესახედაობის მიხედვით ვიმსჯელებთ), ვიდრე სხვა რუსულ სიმაგრეში, ჩერქეზეთის სანაპიროზე. როგორც ჩანს, ყოველდღიური გასვლები ნავსადგურის გასწვრივ არანაკლებ გავლენას ახდენენ მათ ჯანმრთელობაზე.

თავად ვორონცოვთან ერთად გავემგზავრეთ ქვეყნის შუაგულში გზის დასათვალიერებლად, რომელიც გაჰყავთ სანაპიროს გასწვრივ ციხესიმაგრეთა ერთმანეთთან დასაკავშირებლად. ეს წამოწყება რომ დაგვირგვინებულიყო, რუსებს ეძლეოდათ სანაპიროზე გაბატონების საშუალება (ანაპიდან დაწყებული თურქეთის საზღვარზე მდებარე წმინდა ნიკოლოზის სიმაგრემდე)[42]. სიმართლე რომ ვთქვათ, ეს მეტად დიდი, მაგრამ საშიში წამოწყებაა, თუ მხედველობაში მივიღებთ კავკასიაში რუსების ისეთი „გაბოროტებუ-

ლი მტრების არსებობას, როგორიცაა გვერილიასების ბანდა. რუს ჯარისკაცებს თითქოს არ ეშინიათ ამ მტრების, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეხუთელ ხეობებში მოგზაურობის დროს გარნიზონის ჯარისკაცთა ნახევარზე მეტი ჩვენ გვახლდა თან. ქვემეხები მათ საომრად ჰქონდათ მომზადებული. ასეთ შემთხვევებში მომხდარი თავდასხმებისას ძალზე საშიშია ისრების სეტყვა, რომელსაც მათ უშენს ზუოგს უკან ჩასაფრებული მტერი. ეს ისრები ისე კლავს ადამიანს, რომ არ ტოვებს არავითარ კვალს, თუ საიდან მოეკლინა სიკვდილი.

დანიშნულ ადგილს რომ მივაღწიეთ, ჩვენს წინ ისეთი სანახაობა გადაიშალა, რომელსაც იშვიათად თუ ნახავს კაცი სხვა ქვეყანაში ან სხვა მთავრობის ხელში. ჯარისკაცების ერთი ნაწილი ანთებული პატრუქებით დგას პატარა ქვემეხების გვერდით (ქვემეხები ცხენების უნაგირებზეა მიმაგრებული) და მთიელთა თავდასხმის გამო მზადყოფნაშია. ჯარისკაცების მეორე ნაწილი კი წერაქვებით, ბარებით და ნიჩბებით შეიარაღებული გულმოდგინედ მუშაობს გზის მშენებლობაზე, გავარვარებულ მზეზე. გაფითრებულ და დაღლილ სახეებზე ეტყობათ, თუ რარიგ მძიმეა სამუშაო. ზოგ მათგანს თავი და ხელ-ფეხი შეხვეული ჰქონდა, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ ცოტა ხნის წინ ომში მიეღოთ მონაწილეობა,. ასე ხდება რუსეთში, როცა „უკაზი“ რაიმეს ბრძანებს, იგი დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს, თუნდაც მოსახლეობის ნახევარი შეეწიროს მას. ხშირად ამას ზედმეტი ჯაფაც ემატება, რადგან საჭირო ხდება. რომ ჯარისკაცებმა დილით გაკეთებული სამუშაო ხელახლა შეასრულონ, იმიტომ, რომ მთიელები მომდევნო ღამესვე ანგრევენ ჯარისკაცების მიერ გაკეთებულ გზას, ან გამოუსადეგარს ხდიან, რადგან კლდის დიდ ლოდებს აგორებენ გზებზე. არ გეგონოთ, რომ რუსეთის მთავრობის ეს ენერგია და უნარი მხოლოდ შავი ზღვის ჩერქეზეთის სანაპიროსა და ყირიმის მიმართ მჟღავნდება. ამ უნარს, გარდაქმნილს რკინისებურ ნებისყოფად, ჩვენ ვხვდებით ყველგან: ციმბირში და კამჩატკაზე, ნევაზე და ბალტიის ზღვაზე; ერთი სიტყვით, შორეული საზღვრების ყველა პუნქტში. რუსეთის მთავრობა ერთ-ერთი ყველაზე წინდახედული და ფრთხილი მთავრობაა, რომელიც არცერთ ნაბიჯს არ დგამს ისე, რომ მარცხის შემთხვევაში უკან დასახევი გზა არ დაიტოვოს.

გელენჯიკის შემდეგ, 15 მილი რომ გავიარეთ, ჩერქეზეთის მრავალრიცხოვან ყურეთა და ნავსადგურთაგან ერთ-ერთს — ფშადს მივაღწიეთ. ფშადი მნიშვნელოვანი ნავსადგურია. რუსეთის

ყოველგვარი ცდა, დაეპყრო იგი, მარცხით დამთავრდა[2]. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ ზღვაში ღრმად შეჭრილი კლდის ზედაპირი დიდ საფრთხეს უქმნიდა გემებს. ნავსადგურში შესვლა ძალიან ძნელი იყო ჩერქეზი ლოცმანის გარეშე. გარდა ამისა, აქაური ჰრავალრიცხოვანი მცხოვრებლები კავკასიის ყველა ტომს შორის ცნობილი იყვნენ, როგორც ყველაზე მეომარი ბუნებისა და რუსეთის დაუძინებელი მტრები. როცა ჩერქეზები თვალს მოჰკრავდნენ ნაპირისაკენ მოახლოვებულ გემს საბრძოლველად აღჭურვილი ნავებით, თითქოს ჯადოსნური ჯოხის დაქნევაზე, ნავსადგურის მთელი შესასვლელი და ირგვლივ მდებარე გორაკები თვალისდახამხამებაში ივსებოდა შეიარაღებული ხალხით, ზოგი კი ნაპირისაკენ მირბოდა. აღტაცების მომგვრელი სანახაობაა ამ მამაც ხალხს რომ უყურებ საფრთხის დროს სხვადასხვა იარაღით აღჭურვილთ: მშვილდ-ისრებით, შუბებით, თოფებით, ხმლებითა და ა. შ. ბრძოლას მოწყურებულთა საბრძოლო ყიჟინას მთები ბანს ეუბნებიან. როდესაც მას კავკასიელი მეომრები გამოსცემენ, მართლაც საზარელია. მათი კივილი ერთგვარად წააგავს ტურის ყმუილს. იგი იმდენად შემაზრზენი და არაადამიანურია, რომ თუ ის პირველად ესმის ადამიანს, შეიძლება გონებაც კი დაკარგოს.

ადვილი წარმოსადგენია, როგორი პანიკური შიში იპყრობს ჩერქეზების საბრძოლო ყიჟინაზე ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი გლეხებისაგან შემდგარ არმიას. განსაკუთრებით საზარელია გამძვინვარებულ მთიელთა ბრბოს ყიჟინა, მოულოდნელად მთებს შუა ნაპრალებში ,ან ცალკეულ ხევებში თუ გაისმა, ბრძოლის დაწყების წინ.

სანაპიროს ამ ნაწილის მოსახლეობა შაფსუღების ტომს ეკუთვნის და, როგორც ჩანს, უმთავრესად აბაზური[44] წარმოშობისაა. თუ კარგად დამუშავებული ველ-მინდვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა დავასკვნათ, რომ აქ მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და ძალზე მუყაითი. გაოცებითა და აღტაცებით შევცქეროდით ჩვენს წინ გადაშლილ მშვენივრად მოვლილ ველებს. მართალი გითხრათ, სულ არ მოველოდით ამ კავკასიელი ბარბაროსებისაგან ცივილიზაციის ასეთ გამოვლინებას. მათდა საბედნიეროდ, ისინი ყუბანიდან მოშორებით ცხოვრობენ და კარგად არიან დაცული

---

[2] არც ეს არის სწორი. ფშადი 1840—41 წლებში რუსებმა დაიპყრეს, ციხე სიმაგრიდ გადააქციეს და ნოვოტროიცკი უწოდეს[43]. კარლ კოხის მიერ შედგენილ კავკასიის ყელისა და სომხეთის რუკაზე ეს ციხესიმაგრე ასეთივე სახელწოდებითაა აღნიშნული. კ. კოხის შენიშვნა.

ჩერნომორცელი ჯაზაკებისაგან. ჩერქეზეთის სანაპიროზე (სწორედ ამ მხარეში) რუსებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს საფუძვლიანად ფეხის მოკიდება. საითაც არ გაიხედავ, ყველგან თვალწარმტაცი სურათია. 5000 ფუტის სიმაღლის მთის მწვერვალები, მშვენიერი ველ-მინდვრები, ვრცელი ჭალები. ასეთ სანახაობას ჩვენში მხოლოდ პარკებში თუ შეხვდებით. საძოვრები სავსეა მრავალრიცხოვანი ჯოგებით. შორიდან მოჩანს ხშირი ტყეები, თიოქმის მთების ძირამდე რომ გადაჭიმულა. ამის შემდეგ მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რა მრავალფეროვანია ფშადის სანაპირო. აქ თვალში მოგხვდებათ ლამაზაივნიანი კოხტა სახლები, სამეურნეო ნაგებობანი, ხილის ბაღები და ბოსტნები. ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ფშადის მოსახლეობა მატერიალურად კარგად არის უზრუნველყოფილი.

მოსახლეობა ჩვენს გამოჩენას აშკარად უნდობლად შეხვდა და შემდგომშიც უთვალთვალებდნენ ჩვენს მსვლელობას, სანამ არ მივედით შუოკში[45], რომელიც ფშადიდან 20 ინგლისური მილითაა დაშორებული. ეს პატარა ყურე არ ითვლება კარგ ნავსაყუდელად, მაგრამ მის გარშემო მდებარე მიდამოები ძალიან ლამაზია და კარგადაა დამუშავებული.

ჩვენი პატარა ფლოტილიის, განსაკუთრებით ორთქლის გემის გამოჩენას აქაც ასევე მტრულად შეხვდნენ. ჩვენს დანახვაზე მთელი სანაპირო შეიარაღებული ხალხით აივსო. შორიდანვე იგრძნობოდა, რომ როგორც კი ნაპირს მივუახლოვდებოდით, „მხურვალე“ მიღებას მოგვიწყობდნენ.

ღამით ისეთ პატარა ნავსადგურებს ჩავუარეთ, როგორიცაა: მამაი[46], არდტლერი[47] და სხვ. ისინი ყველანი აღნიშნულია ჩერქეზული სანაპიროს რუსულ რუკებზე. არცერთი მათგანი არაა მნიშვნელოვანი და არ გამოდგება დიდი გემების ნავსაყუდელად. დილით ვარდანის[48] ნავსადგურში ჩავუშვით ღუზა. ხელმეორედ ვეცდა აღვნიშნოთ აქაური მოსახლეობის სიფრთხილე და სიფხიზლე. ყველა გორაკზე, რომელსაც გვერდით ჩავუარეთ, დიდი კოცონი ენთო, რომლის მეშვეობითაც მცხოვრებლები ერთმანეთს ატყობინებდნენ მოახლოებულ საფრთხეს.

ვარდანი[3], როგორც ნავსადგური, მცირე მნიშვნელობისაა და სანაოსნოდ მხოლოდ ზაფხულის თვეებში გამოიყენება. აქედან

---

[3] ავტორი ცდება, როდესაც ვარდანს გაგრაში ურევს. პირველი—ზემონახსენები მამაის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს რამდენიმე საათის დაშორებით, ხოხლო გაგრა—აფხაზეთის სამთავროში მდებარე რუსების უკიდურესი სიმაგრეა. დიდი

შთების სიმაღლე თანდათან უფრო მატულობს და თითქმის იალ-პუზის ალპურ ზონას აღწევს. სწორედ ამიტომაა შავი ზღვის ეს ნაწილი მეტად საშიში ზღვაოსნობისათვის, როდესაც ქარი იმ მიმართულებით ქრის.

ისეთი ძლიერი სახელმწიფოსათვის, როგორიცაა რუსეთი (რომელსაც კავკასიაზე გაბატონება სურს), ვარდანის ნავსადგური გარკვეული მნიშვნელობის მქონეა; განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი მდებარეობს კავკასიის ერთ უმნიშვნელოვანეს ვიწრო შესასვლელში, გაგრის ცნობილ ხეობაში. ეს ადგილი რუსებსა და მთიელ გვერილასებს შორის გაფთრებული ბრძოლის ასპარეზს წარმოადგენდა. ცოტა მოშორებით მდებარეობს გაგრი, თავისი ვიწრო გასასვლელებითა და ხეობებით, რომელთაც კავკასიის სიღრმეში შევყავართ. მას შემდეგ, რაც რუსებმა ეს პუნქტი დაიკავეს, ძველი მონასტრისა და ეკლესიის ნანგრევების იქით აღარ წაუწევიათ. ეს მონასტერი საცხოვრებლად გამოიყენეს და სიმაგრედ გადააქციეს. არცერთი რუსული სადგომი ჩერქეზეთის სანაპიროზე არ ყოფილა ისეთი საშიში რუსების ჯარისათვის, როგორც გაგრი, თავისი მავნე ჰავის გამო. ადგილობრივი მცხოვრებლების მტრული განწყობილებაც კი უფრო ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენდა მასთან შედარებით. აქ ისეთი დიდი სიკვდილიანობა იყო, რომ პოლკის ოფიცრების ცნობების მიხედვით, გარნიზონს ყოველ ექვს თვეში შეცვლა ან ახალი შევსება სჭირდებოდა.

ვარდანიდან (გაგრიდან) ბიჭვინთამდე მანძილი 40 ინგლისურ მილს შეადგენს. თუ აქამდე სანაპიროს სილამაზესა და ნაყოფიერებას მოვყავდით აღტაცებაში, ამჯერად ალპურმა ლანდშაფტმა გაგვაოცა. მიუხედავად იმისა, რომ ივნისი იყო, აქა-იქ კლდის ნაპრალებში თოვლი ჩანდა. ყოველი ხეობა, ყოველი ფერდი და ხევი ხშირი ტყეებით იყო დაფარული, რომელიც გიგანტური ხეებისაგან შედგებოდა და კიდევ უფრო ველურ ელფერს აძლევდა აქაურ ბუნებას.

ბოლოს ღუზა ბიჭვინთასთან ჩავუშვით. ოდესღაც აქ პითუ-

ხანია, რაც აფხაზეთის მთავარმა სცნო რუსეთის უმაღლესი მმართველობა, რომელსაც მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროზე აქვს გარკვეული გავლენა.

1838 წლიდან რუსეთის მიერ ნოვოტროიცკიდან გაგრამდე აგებულ იქნა კიდევ შვიდი ციხესიმაგრე ჩერქეზებისათვის ყოველგვარი მიმოსვლის საშუალების მოსპობის მიზნით. მას შემდეგ, რაც მოკავშირეები თავისი ფლოტიდურთ გაბატონდნენ შავ ზღვაზე, ჩერქეზეთის სანაპიროზე ყველა სიმაგრე დათმეს. კ. კოხის შენიშვნა.

სი[49] მდებარეობდა, ახლა კი მისგან სევდისმომგვრელი უდაბური ადგილი-ღა დარჩენილიყო; აქ არც ქოხი ჩანდა და არც ადამიანების არსებობის რაიმე კვალი. ბიჭვინთის ყურე ადგილობრივი ძლიერი ქარებისაგან დიდი მთაგრეხილითაა დაცული, ხოლო ზღვის ქარისაგან — გამობურცული მთის ფერდობით. ყოველივე ეს ხელს უწყობს ამ ადგილს, რომ იდეალური ნავსაყუდელი იყოს, მაგრამ აზიელთა ურდოები, რომლებიც თავიანთი ყაჩაღობით მუსრს ავლებდნენ აქაურობას, საშუალებას არ იძლეოდნენ ამ ადგილას ისევ აღედგინათ სავაჭრო ქალაქი, რომელიც ადრე არსებობდა აქ ძლიერი და უნარიანი ძველი ბერძნების მეშვეობით და აღმავლობას განიცდიდა როგორც რომაელების, ასევე ბიზანტიელების ბატონობის დროსაც.

ჩვენ მოვაწყვეთ ექსკურსია რამდენიმე მილის მანძილზე, რათა მოგვენახულებინა კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეკლესია[50]. გზა გადიოდა ტყეზე, რომელშიც უხვადაა მუხის, წიფლის, წაბლისა და ნაძვის[4] შესანიშნავი ხეები. მათ შორის იყო ალუბლის, ზეთისხილის (?), ლეღვის, ბროწეულის და ფორთოხლის (?) ხეები. ამ იშვიათი ხეხილის გვერდით შეხვდებით არაჩვეულებრივი სისქის ველურ ვაზს, რომელიც ისე თავისუფლად და ნებიერად ეხვევა გარს ხის ძლიერ ზროს, თითქოს აქ არასოდეს უცხოვრია ადამიანს.

ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. მონასტრის ნანგრევები რუსებს, სამწუხაროდ, სიმაგრედ გადაუქცევიათ, რომელშიც 400 — 500 ჯარისკაცი დაბინავებულიყო. ჯარისკაცები საცოდავად გამოიყურებოდნენ. ვაზითა და ლეღვის ხეებით დაფარული კედლების ფონზე ისინი სამარიდან ამოღებულებს ჰგვანდნენ. ყოველივე ეს მეტად გულსაკლავ სანახაობას წარმოადგენდა. აქ თითქმის მთელ სანაპიროზე მავნე ანაორთქლია მუდამ ნოტიო ნიადაგიდან, რომელიც არასდროს არ შრება. ანაორთქლი დამღუპველად მოქმედებს ადამიანებზე. საოცარია, რომ ეს ხდება იმ ადგილას, სადაც მცენარეული განსაკუთრებით მდიდარი და უხვია. ეს ასე იყო და იქნება მანამდის, სანამ ევროპული ცივილიზაცია არ შემოაღწევს ამ მხარეში.

რა დიდი ზიანი მიაყენეს თურქებმა და მათმა ყაჩაღურმა ურ-

---

[4] ეს არის Pinus Nordmaniana Stev. eine Edeltanne, კეთილშობილი სოჭი, ჩვენსასურომ წააგავს. იგი პოპულარულია და მასზე ჩვენი მებაღეების დიდი მოთხოვნილებაა. ზეთისხილის ხეები და ფორთოხალი ბიჭვინთაში ნამდვილად არ არის. კ. ქოხის შენიშვნა.

დოებმა კულტურას! 4 — 5 საუკუნის განმავლობაში მათ თითქმის მთლიანად ჭოსპეს ძველი პითუსის კვალი, ხოლო ეკლესია რატომღაც დაინდეს და ამჟამად იგი ბიზანტიური არქიტექტურის ერთადერთ ღირსშესანიშნავ ძეგლს წარმოადგენს, რომელიც ამ გაველურებულ მიდამოს მარტოდ შემორჩენია. თქმულების მიხედვით, ეს ეკლესია შემდეგნაირად გადარჩენილა: თურქი სულთნის მთავარსარდლობით პითუსს ალყა ჰქონდა შემორტყმული, ბრძოლის დროს სულთანი მძიმედ დაიჭრა და მომაკვდავი მიიყვანეს მონასტერში. ერთ-ერთ ბერს მისთვის აღუთქვამს მორჩენა, თუ ის დაინდობდა ეკლესიას, სულთანმა მისცა სიტყვა, და მას შემდეგ მაჰმადიანებს მართლაც ხელი არ უხლიათ ეკლესიისათვის.

ეკლესიის საკმაოდ კარგად შემონახული ნანგრევებიდან ჩანს, რომ იგი აგურისაგანაა ნაგები (ნაწილი კი ფილაქნისაგან). მას ბერძნული ჯვრის ფორმა აქვს. მასიური ოთხსვეტიანი ტაძარი დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ფერადად მოხატული ფანჯრის მინები იმდროინდელ ბერძნულ ხელოვნებაზე მშვენიერ წარმოდგენას იძლევა. კარიბჭესა და ქოროში კიდევ არის შემონახული ყედლის მხატვრობა (ფრესკები): წმინდანების, ანგელოზების, ჯვარცმის, გარდამოხსნის, ღვთისმშობლის და სხვა წმინდანთა გამოსახულებები, რომლებიც ფერხთით დასტირიან ქრისტეს. ეს ეკლესია იუსტინიანეს მიერ უნდა იყოს აშენებული, მაგრამ როდის არის აგებული, ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში, ეკლესია ბიზანტიური სტილისაა.

ბიჭვინთიდან ბამბორში გავემგზავრეთ. ბამბორი უახლოესი სამხედრო სადგურია. უეცრად იალბუზის მხრიდან საშინელი ქარიშხალი ატყდა. ამ ადგილებში ხშირად იცის ასეთი ქარიშხალი საბედნიეროდ, ჩვენ მომზადებული შევხვდით მას. მიუხედავად ამისა, ჩვენი პატარა ფლოტილიის გემები სხვადასხვა მიმართულებით გაიფანტა ზღვაში. კარგია, რომ თავადმა ვორონცოვმა წინასწარ გასცა ბრძანება ყველა გემი სოხუმ-კალეში გამოცხადებულიყო. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ ყველა გემი სოხუმ-კალეში მოვიდა. უბედური შემთხვევა არ ყოფილა.

ამასობაში (ორთქლის) გემი, რომელზეც თავადი და ჩვენი მოგზაურების უმრავლესობა იყო, ბამბორს მიუახლოვდა. როდესაც ჩვენ იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც კავკასიონის ქედი მთელი თავისი ბრწყინვალებით უნდა ჩანდეს ზღვიდან, ბედმა გაგვიღიმა: ქარმა ღრუბლები გაფანტა და მთელი ქედი თავისი დიდებულებით წარმოსდგა ჩვენს წინ. იალბუზი გამოირჩეოდა თა-

ვისი სიმაღლით დანარჩენ მთებს შორის და ამაყად აღმართული უზარმაზარ თოვლის პირამიდას ჰგავდა. მის ქვემოთ შავი ღრუბლების კედელი კიდევ უფრო მუქი ჩანდა თვალისმომჭრელად თეთრი თოვლის ფონზე.

ბამბორში ჩასვლისთანავე ჩვენმა ინგლისელმა ინჟინერმა აღმოაჩინა, რომ გემის ძრავა დაზიანებულია. ამის გამო ჩვენ გადავწყვიტეთ ჩერქეზეთის[52] შუაგულში გამგზავრება.

ამ სამთავროს მთავარმა, თავადმა შერვაშიძემ[52] უკვე დიდი ხანია მიიღო რუსეთის მთავრობის ქვეშევრდომობა და ჩვენც ადგილობრივი მოსახლეობის მტრული განწყობილების იმდენად აღარ გვეშინოდა.

ეკლესიისა და მონასტრის[54] ნანგრევების დათვალიერების შემდეგ (რაც იმის უცილობელი საბუთია, რომ აქაური მოსახლეობა მუდამ ქრისტიანულ რელიგიას აღიარებდა) ჩვენ ლამაზი მდინარის ფანდრას[55] (ხიფსთა) კლაკნილს მივყევით და ციხესიმაგრეს მივადექით, რომელიც აქედან სამი მილითაა დაშორებული. ბიჭვინთის მსგავსად, აქაც მდიდარი მცენარეულია. მზერას ატკბობს გორაკები და მაღალი მთის მწვერვალები, რომლებიც დაფარულია უამრავი მუხის ხეებით. აქ იმდენი მუხის ხეებია, რომ იგი თავისუფლად მოამარაგებდა დიდი ხნით მთელ ევროპას გემების სამშენებლო მასალით და სხვაგან მისი ძებნა საჭირო აღარ იქნებოდა. სამეგრელო, იმერეთი, გურია და მცირე აზიის თურქული პროვინციები ისევე მდიდარია ამ მასალით, როგორც ჩერქეზეთი. გარდა ჩვეულებრივი ხეებისა, აქ არის კიდევ მარწყვის ბუჩქები, ოლეანდრი (?), ანწლი, ზეთისხილის ხე, ლეღვი, ალპური ვარდი, და ბროწეული. ყველაფერი უხვადაა და მწვანე ფერების სიმრავლეს ქმნის. ბზის ხე, ევროპულთან შედარებით, აქ გიგანტად მოგეჩვენებათ. ძახველს იმოდენა ტანი აქვს, რომ გარშემოწერილობით სიგანეში ზოგჯერ 5 ფუტია. სამწუხაროდ, აქ ყოველ ნაბიჯზე სიკვდილი გვდარაჯობდა: უამრავი შავი გველები სისინით გვეხვეოდა გარს. ბაყაყების ხმამაღალი ყიყინი, ეს უტყუარი ნი-

---

[5] ჩვენში სახელწოდება „ჩერქეზეთში“ გულისხმობენ მთელ ამ უზარმაზარ მთაგრეხილს, ან მის ნაწილს, თუმცა სინამდვილ ეში ჩერქეზებით ამ მთაგორიანი ქვეყნის მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია დასახლებული. ბამბორი შედის აფხაზეთის სამთავროში, რომელიც ვიღაც თავადის ოჯახმა დაიპყრო. აფხაზები მომდინარეობენ იმ ხალხიდან, რომელსაც ბიზანტიელები იცნობდნენ „აბასების“ („აბაზგები“—ლ. მ.) სახელწოდებით. ისინი თითქმის ყველანი ქრისტიანები არიან, მაგრამ რელიგიური კულტი დაქვეითებულია. კ. კოხის შენიშვნა.

შანი ჭაობის ანაორთქლის არსებობისა, გვამცნობდა, რომ ჩვენ კავკასიურ ციებას წავიღებდით თან, თუ კი დაღამებამდე ვერ მოვასწრებდით თავი შეგვეფარებინა გემებისათვის.

კავკასიის დაბლობი რაიონების ნაყოფიერება განსაკუთრებულია, მაგრამ იმის გამო, რომ აქაურ მოსახლეობას ძველი დროიდან მოსვენებას არ აძლევდნენ სხვადასხვა ჯურის მტრები, ისინი იძულებული ხდებოდნენ მთებში გახიზნულიყვნენ (მტრებს შორის გულისხმება როგორც მებატონეები, ისე მეკობრეები და ყაჩაღთა ურდოები) საკუთარი გამოცდილებიდან და წინაპრების გადმოცემით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იციან, რომ ჭათი მტრები დიდხანს ვერ გაუძლებენ აქაური ჭაობიანი ადგილების მავნე ჰავას და რომ ცეცხლი და მახვილი არ დასჭირდება ქვეყნიდან მათ გაძევებას.

ჩვენი განცხადება გადაჭარბებულად რომ არ მოგეჩვენოთ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კავკასია რუსეთს უჯდება წლიურად 300 000 კაცის სიცოცხლედ.

ციხესიმაგრის დათვალიერების შემდეგ, რომელიც, როგორც ყოველთვის, სავსე იყო ავადმყოფებითა და მომაკვდავებით, ჩვენ პატარა ქალაქ ბამბორს ანუ ლეჭნას[56] (როგორც მას იქაური მკვიდრნი ეძახიან) დათვალიერებას შევუდექით. ეს ქალაქი არაფრით არ განსხვავდება სხვა თურქული ქალაქებისაგან. მისი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენენ თათრები, ყირიმის ებრაელები, სომხები და თურქები. ჩერქეზები ძალიან ცოტანი არიან. ჩერქეზებს-მებრძოლი სულის კავკასიელებს, არ შეუძლიათ მშვიდობიანი ვაჭრობა და საქმიანობა და ამჯობინებენ მას მონადირეობასა და შფოთიან ცხოვრებას. ქალაქში იარაღის დუქნებია. ჩვენმა თანამგზავრებმა იყიდეს ძვირფასი ხმლები და ხანჯლები; ისინი მეტად ნატიფად იყო ნაკეთები და და ეტყობოდა ძველებური უნდა ყოფილიყო. იარაღს პირზე მეტწილად ვენზელები ანდა ოქროს ასოები აქვს ამოკვეთილი. თავადმა ვორონცოვმა იყიდა ძვირფასი ხმალი, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: «Parmi Dey y Par my Rey.» ეჭვს გარეშეა, რომ ეს ხმალი ოდესღაც ვიღაც ჯვაროსნის საკუთრება იყო. ერთი სომეხი ვაჭარი (რომელსაც ხშირად უხდებოდა კავკასიაში ყოფნა თავისი საქმიანობის გამო) გვარწმუნებდა, რომ იალბუზის ძირას დღესაც ბინადრობს ხერვისურებად[57] წოდებული ტომი, რომელიც დღემდე ქრისტიანულ რელიგიას აღიარებს. როცა ამ ტომის მამაკაცი ომში მიდის, ხმარობს ჩერქეზი რაინდისგან განსხვავებულ იარაღს. ამას გარდა მათ

გამოსახული აქვთ ერთი ჯვარი ფარზე და მეორე, წითელი ნაჭრისა გულმკერდზე.

ევროპელთათვის ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, რომ დასავლეთის მეცნიერებსა და მოგზაურებს ეს საინტერესო მხარე შეესწავლათ და გამოეკვლიათ. ვინ იცის, შეიძლება კავკასიის ამ ველურ მიდამოებში უცებ ჩვენი მონათესავე ტომის მთელი დასახლება აღმოჩნდეს. ეს მოსაზრება ჩვენ მხოლოდ ვაჭრის გამონათქვამის მიხედვით დაგვებადა. საკმაოდ საეჭვოა, თუმცა შესაძლოა არ იყოს სიმართლეს მოკლებული[6].

თავი III

ბამბორი და სუხუმ-კალე

ბამბორის მთავარის მონახულება.—ჩერქეზი მეომრის აღწერა. —ჩერქეზი მთავრის საცხოვრებელი ბინა. — პატრიოტიზმი. — ჩერქეზი ქალები.—მათი გარეგნობა. —კანონები უსაქციელობის წინააღმდეგ ჩერქეზეთში.—ჩერქეზი ქალების ჩაცმულობა.—სუხუმ-კალეში ჩასვლა.—მეციხოვნეთა მძიმე მდგომარეობა.—რუსი ჯარისკაცის ხასიათი.—რუსი ჯარისკაცი კავკასიის ომებში.

თავადი ვორონცოვი უგუნებოდ იყო; როგორც ჩანს, ბამბორის მთავრის[59] ჩამოსვლას ელოდებოდა[1]. რამდენიმე ხნის შემდეგ

---

[6] ხერვისურების ტომი არც იალბუზთან არის და არც საერთოდ კავკასიაში მოიპოვება. ავტორი ალბათ ხევსურებს გულისხმობს. ეს უაღრესად მამაცი ხალხი უეჭველად ქართული წარმოშობისაა და სამხედრო გზის აღმოსავლეთით, კავკასიის მაღალმთიან ველურ ხეობებში ცხოვრობს. რაც შეეხება ქრისტიანობას, უეჭველია, რომ ის კავკასიის დასავლეთით გასული საუკუნის მეორე ნახევრამდე ყველგან იყო გავრცელებული. ჩერქეზეთი შუა საუკუნეების დასასრულისათვის წარმოადგენდა ბიზანტიიის ეპარქიას. როდესაც რუსეთი ჩერქეზეთზე გაბატონდა, ხოლო შეიხ-მანსურმა[58] სამოცდაათიან წლებში დასავლეთში თავისი წინამძღოლები დაამკვიდრა და დაარწმუნა ისინი მათი დაუძინებელი მტრების რელიგიაზე უარი ეთქვათ და ისლამი მიეღოთ, სწორედ მაშინ მოიდგა ფეხი ამ რელიგიამ. თვითონ ხალხი ქრისტიანულ რელიგიას აღიარებს. ამას მთელი რიგი ადათ-წესები ადასტურებენ. ეს ადათ-წესები უმთავრესად კავკასიის შუაგულში მობინადრე ოსების ანუ ოსეთების (რომლებიც ინდო-გერმანული წარმოშობისა არიან) და ზემოხსენებული ხევსურებისთვისაა დამახასიათებელი. კ. კოხის შენიშვნა.

[1] აფხაზეთის მთავარი; ასეთია მისი ტიტული. მის რეზიდენციას სოუკსუ[62] ჰქვია (ე. ი. ცივი წყალი). კ. კოხის შენიშვნა.

გამოცხადდა ელჩობა, რომელიც უხუცესებისა და წარჩინებულ პირთაგან შედგებოდა. მათ ბოდიში მოიხადეს თავადის წინაშე და სინანული გამოთქვეს იმის გამო, რომ მთავარი რამდენიმე დღეა, რაც სახლიდან გაემგზავრაო. თან დასძინეს, რომ მთავრის მეუღლე[60] მზად არის ქმრის მაგივრობა გასწიოს და ბედნიერად ჩათვლის თავს, თუ მისი უმაღლესობა პატივს დასდებს და სტუმრებიანად ეწვევა სახლში.

რადგან თავადის რეზიდენცია[61], სულ რამდენიმე მილით იყო დაშორებული, გადაწყვიტეს წასულიყვნენ მასთან სტუმრად. მაგრამ ზოგმა უარი თქვა წასვლაზე. ფიქრობდნენ, რაიმე მახეს ხომ არ გვიგებენო. მაგრამ თავადი ვორონცოვი კარგად იცნობდა აქაური ხალხის ხასიათს და ამიტომ არ ეშინოდა (იცოდა, რომ თუ მათ სავსებით ენდობი, არაფერს დაგიშავებენ).

ჩვენმა გამოჩენამ, როგორც მოველოდით, დიდი ცნობისმოყვარეობა გამოიწვია ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის. მთავრის რეზიდენციას რომ მივუახლოვდით, ჩვენ ამალას ასი კაცი შეემატა. ჩვენმა პირველმა გაცნობამ კავკასიის ცნობილ მებრძოლებთან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ასეთი მეომარი და ლამაზი ხალხი ძნელად თუ მოიპოვება კიდევ სადმე. თითოეული მათგანი ათლეტური აღნაგობისაა და უდაბნოს არაბებივით წარმოსადეგნი და მოქნილნი არიან. სახის ნაკვთები სწორი და მეტყველი აქვთ, გამოხედვა არწივისებური. ისინი ამაყნი არიან, როგორც ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანი. მათ კეთილშობილ და სიმეტრიულ სხეულს შესაფერისი ლამაზი ტანსაცმელი ამშვენებს. ტანსაცმელი პოლონურის მსგავსი ვიწრო ხიფთანისაგან შედგება და წინ წითელი ტარსიკონის მასრები აქვს, რომელიც, გარდა იმისა, რომ მტრის ტყვიისა თუ შუბისაგან იცავს მკერდს, აგრეთვე სამკაულადაც იხმარება. თავზე მრგვალი, ასტრახანული შავი თხის ბეწვით შემოვლებული ქუდი ახურავთ, რომელსაც ხასხასა წითელი ნაჭრის ან ტყავის ზედა გარე ნაწილი აქვს, წელზე ტყავის ქამარი უკეთიათ განსაკუთრებულად შერჩეული იარაღით, რათა საფრთხეს მზად დახვდნენ.

დაახლოებით ორი მილი რომ გავიარეთ, ფანდრას ლამაზ ხეობაში (უფრო სწორად ბნელ კლდოვან ხეობაში) შევედით. იგი ისეთი ვიწრო იყო, რომ ორი ცხენოსანი ერთმანეთს ვერ გაივლიდა. შემდგომ მთის პატარა მდინარის მსგავს ნაკადულს ავყევით და ფართო და ლამაზ პლატოს მივაღწიეთ, რომელზეც მთავრის რეზიდენცია იმყოფება. იგი შედგება მთელი რიგი პატარა სახლებისა-

გან, რომელთაგან თითოეულს აივანი აქვს და გარშემორტყმულნი არიან ხილის ბაღებით, მდელოებითა და პურის ყანებით. იგი მშვიდობის სურათს უფრო წარმოგვიდგენს და შეძლებული მოსახლის კარმიდამოს უფრო ჰგავს, ვიდრე მთავრისას, რომელსაც 5000 შეიარაღებული მეომარი ჰყავს მუდმივად ყოველდღიურ მზადყოფნაში. ირგვლივ საოცარი სისადავე სუფევდა. ეს უფრო გასაკვირია იმიტომ, რომ ამ ძლიერი ტომის მთავარი აფხაზი მიხეილ შერვაშიძეა. რომელიც რუსეთს სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და პოლკოვნიკის წოდებაც მიიღო (ამჟამად იგი გენერალია) რუსეთის ჯარში. მან პეტერბურგში ყოფნისას იმპერატორის მაღალი პატივიც დაიმსახურა და თავისი ლამაზი გარეგნობისა და რაინდული ქცევის წყალობით საყოველთაო პატივისცემა და დაფასება მოიპოვა. მაგრამ მან ჯილდოებს, ცივილიზებულ საზოგადოებაში მხიარულ ცხოვრებას და რუსეთის მონობის იქროს ჯაჭვებს მაინც თავისუფლება არჩია. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა, მასთან დაშორებით გამოწვეულმა სევდამ არ მოასვენა იგი და თავის მამულს დაუბრუნდა.

უკვე 10 — 12 წელია, რაც ის კვლავ დაუბრუნდა თავისი თანამემამულეების მსგავსად უბრალო ცხოვრებას, თითქოს მას არასდროს ენახოს ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი ფუფუნება და თავშეუკავებლობა. ეს თავადი ერთადერთი მაგალითი არ არის ჩერქეზებში სამშობლოსადმი ასეთი თავდადებული სიყვარულისა. სხვებს შორის უნდა მოვიხსენიოთ ყაბარდოელთა ორი ისეთი განთქმული მეთაური, როგორიცაა ისმაილ[63] და ბულატ[64] ატაჟუკინები. ისმაილი რუსეთის ჯარში მსახურობდა და ისეთ წარჩინებას მიაღწია, რომ აწ გარდაცვლილი ალექსანდრეს[65] მეფობის დროს გენერალ-მაიორის წოდება მიიღო. იმპერატორი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ დაეახლოვებინა იგი, მრავალი პატივი დასდო, მათ შორის წმ. გიორგის ორდენიც უბოძა. მიუხედავად ამისა, მთიელი წინამძღოლი მაინც თავისი ადათ-წესების ერთგული დარჩა და ცივილიზაციის ჩვევები ბოლომდე არ შეითვისა.

უფრო საინტერესოდ წარიმართა ბულატის ბედი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო ჩერქეზთა მეთაური, როდესაც პეტერბურგში აღმოჩნდა. აქ იგი სამხედრო სასწავლებელში მიაბარეს: მალე დაეუფლა ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს, და თითქმის დაივიწყა თავისი საკუთარი დედაენა. იმპერატორმა მას ჯერ დრაგუნთა ლეიტენანტის, ხოლო შემდეგ კაპიტნის წოდება უბოძა, ხშირად აჯილდოვებდა და აწინაურებდა მას. ბულატი ჩერქეზეთში დაბრუნდა და გახდა ყაბარდოს ერთ-ერთი პირველი წინამძღოლთა-

განი, რომელმაც დახმარების ხელი გაუწოდა რუსეთის დაუძინებელ მტერს შამილს, როცა მან ამ მხარეებში თავისუფლების დროშა აღმართა. კავკასიის მეორე წინამძღოლი — დანიელ ბეი[66], რომელიც ამჟამად ცნობილია როგორც შამილის მეგობარი და თანამებრძოლი, წინათ რუსეთის სამსახურის გენერალი იყო. უნდა შევნიშნოთ, რომ კავკასიელები რუსეთის ჯარში სამხედრო სამსახურს თავისებურ მონობად თვლიან და ყოველგვარ ხერხს მიმართავენ მისგან თავის დასაღწევად.

თავადი ვორონცოვი სხვა გზებით ცდილობდა დაემკვიდრებინა მთაში რუსეთის გავლენა. მას სურდა მათი წინამძღოლების დაინტერესება საკუთარი პიროვნებით. თავდაპირველად მათთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას ეცადა. ამით ცდილობდა ნელ-ნელა ძირი გამოეთხარა მათი დამოუკიდებლობისათვის. ამისათვის ვორონცოვმა ჰერცოგ რიშელიეს ჰუმანურ სისტემას მიმართა. მან ადრევე როგორც ახალი რუსეთის გენერალ-გუბერნატორმა სცადა სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა ჩერქეზებთან, მაგრამ. სამწუხაროდ, წარმატებით დაწყებული ეს ურთიერთობა რუსი მორელეების ფშადის თავადის ინდარ-ოღლუს[67] მიმართ უხეშობის გამო შეწყდა. თვითონ რუსებმაც დიდი ზარალი ნახეს ამის შედეგად. ჩანს, რომც არ იყოს ორივე ხალხებს შორის დაბრკოლება ზეგობრულ ურთიერთობაში, რუსების უწესობა მაინც იქნებოდა ხელის შემშლელი ყველა დროს. თუ „რიშელიეს“ დროს ერთი ელენე იყო რუსებთან სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის საბაბი ფშადში, ბამბორში მეორე ელენე[68] აღმოჩნდა, რომელიც მსგავსი უთანხმოების მიზეზი გახდა. საქმე ისე დატრიალდა, რომ აფხაზებმა რუსების საწყობები გადაწვეს, მთელი გარნიზონი ამოწყვიტეს და თავის მთავარს ბრალად დასდეს — რუსებთან კავშირში ხარ და მათ დახმარებას უწევო[69].

ახლა კი ისევ მთავრის რეზიდენციას დავუბრუნდეთ. თავადის სახლში მისვლისთანავე ამ გვარეულობის უხუცესმა და მაღალი წოდების წარმომადგენლებმა მიგვიღეს. დიდი ცერემონიის შემდეგ შეგვიყვანეს უცხო სტუმრებისათვის განკუთვნილ სპეციალურ სასტუმრო ოთახში, უფრო უკეთ, განსაკუთრებულ სახლში, რომელსაც ჰქვია კონაკი[70]. კედლებზე ყოველნაირი სახის იარაღი ეკიდა. მათ შორის იყო ოქროთი და პატიოსანი თვლებით მოჭედილი საგულდაგულოდ ნაკეთი აბჯრები. თვითონ შენობა არაფრით არ გამოირჩეოდა ჩვეულებრივი თურქული მისაღები ოთახისაგან — სელამლუკისაგან[71]. აქ დივანი, ნოხები და მკითხველისა-

ოვის ნაცნობი სხვა ნივთები გვხვდებოდა. აღსანიშნავი იყო იატაკზე დაგებული ლამაზი ჩერქეზული ჩალის ჭილოფები, რომლებსაც მთელ აღმოსავლეთში იყენებენ როგორც სასახლეებში, ისე მეჩეთში ქვის იატაკზე დასაგებად.

თავადმა ვორონცოვმა ერთი ფინჯანი ყავა შესვა და ყალიონი რამდენჯერმე გააბოლა, შემდეგ კი მამულისა და სამეურნეო ნაგებობათა დასათვალიერებლად წავედით. აქ საუკეთესო მსხვილფეხა საქონელი და მშვენიერი ცხენები ვნახეთ. ჩერქეზეთში, ისევე როგორც საერთოდ კავკასიაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მაჰმადიანებია, ქალები ყოველგვარ უფლებას არიან მოკლებული საზოგადოებაში და მამაკაცის მსახურად არიან გადაქცეულნი. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჩვენ არც ოჯახის წევრები გავვაცნეს და არც ქალები წარმოგვიდგინეს შემთხვევით მოვკარით თვალი მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს. ისინი საშინაო სამუშაოს ასრულებდნენ და ევროპელი ლამაზი ქალებივით არ მიაჩნდათ დანაშაულად, რომ სახე არა აქვთ დაფარული. პირბადე, რომელიც მუსლიმანი ქალების ჩაცმულობის აუცილებელი ატრიბუტია, ზურგზე ჰქონდათ გადაგდებული; რატომ კარ ჰქონდათ პირბადე, იმისათვის, რომ ჩვენი გაოცება სურდათ. თუ იმიტომ, რომ ჩვენ უკეთ დავეთვალიერებინეთ — ძნელი სათქმელია. უნდა აღინიშნოს, რომ ჩერქეზეთში არ არის დაკანონებული ქალებისათვის სახის დამალვა. მშვენიერი სანახავები არიან აქლემის ან თხის ბეწვის თეთრ სამოსელში გამოწყობილი ქალები, მხრებზე გადაგდებული გრძელი მუსლინის ჩადრებით.

ჩერქეზი ხალხისათვის დამახასიათებელი ლამაზი პირისახე და მოხდენილი ტანადობა გადაუჭარბებლად აქვთ აღწერილი უცხო ბოგზაურებს. განსაკუთრებით მიმზიდველია ორივე სქესში მათი თავისებური, შთაგონებული და ცოცხალი თვალები, რომელიც განსაკუთრებით იქცევს მოგზაურის ყურადღებას. ეს მამაკაცებზე უფრო ითქმის, რომელთა მოქმედება მათ თანდაყოლილ სიმკვირცხლეზე' მიგვითითებს. სუფთა მთის ჰაერი მათ სახეებს განსაკუთრებულ ჯანსაღ იერს აძლევს, განსხვავებით ჩვენგან, ქალებს თეთრი და ნაზი სახის კანი აქვთ. უნდა ითქვას, რომ მათ კარგად იციან, თუ რაში მდგომარეობს მათი მომხიბვლელობა და ყველა საშუალებას მიმართავენ იმისათვის, რომ უფრო მიმზიდველნი იყვნენ. რა თქმა უნდა, ყველა ჩერქეზი ლამაზი არ არის.

კავკასიის ხეობები ყოველთვის თავშესაფარს წარმოადგენდა დამონებული ხალხებისათვის. აქ თქვენ ხშირად შეხვდებით ნარე-

ვი ეროვნების ხალხებს: სახელდობრ, არც თუ იშვიათად თათრული წარმოშობისას. ქვეყნის ბატონები — ნამდვილი ჩერქეზები არასდროს არ თხოულობენ ცოლად სხვა ეროვნების ქალს და ამით მათი გარეგნობაც ინარჩუნებს ეროვნულ თავისებურებას. სხვა უფრო დაბალი წარმოშობის ქალი რომ მოიყვანონ, თანამოძმეების თვალში პატივს დაკარგავენ. არ არსებობს სხვა ხალხი, რომელიც ჩერქეზებივით ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდეს თავის წარმოშობის სიწმინდეს. იშვიათად ხდება, რომ ჩერქეზმა მისთვის შეუფერებელი მეუღლე მოიყვანოს.

უწესო საქციელი ძალიან მკაცრი კანონებით ისჯება. დამნაშავეს, რომელსაც არაკანონიერი კავშირი აქვს ვინმე ქალთან, თავისთან იბარებს ტომის უხუცესი და უმეტეს შემთხვევაში მკაცრად სჯის. დამნაშავეს, დანაშაულის მიხედვით, გარკვეულ ფულად ჯარიმას ახდევინებენ, ანდა სამუდამოდ განდევნიან. როდესაც შერცხვენილი ქალი უბრუნდება მშობლებს, მას როგორც მონას ისე ჰყიდიან. ასეთივე ბედი ეწევა ხოლმე გაუთხოვარ გოგოსაც. მაგრამ თუ ოჯახის შემრცხვენელი ბელადის შვილია ან ცოლი, მაშინ სამარცხვინო ლაქას მხოლოდ საყვარლისა და ქალის სისხლი განბანს (ასეთივე აზრისა ვართ ჩვენც).

შესაძლებლობა რომ გვქონდეს, ბევრ მსგავს მაგალითს მოვიყვანდით ამ საინტერესო ხალხის კანონებიდან, რომელიც წესიერების განმტკიცებასა და მანკიერების აღმოფხვრას ემსახურება. ეს პატრიარქალური ხალხი შორს იმყოფება ცივილიზებული სამყაროს იმ ცთუნებისაგან, რომელსაც ყველა დასახელებული ნაკლი ახასიათებს.

აქედან გამომდინარე, არ ვეთანხმებით რუსი მწერლების გაშინათქვამებს, რომლებიც ჩერქეზებს ახასიათებენ როგორც უწესო ყაჩაღთა ურდოს, თითქოს მათ არც მთავრობა და არც კანონები არ გააჩნიათ მანკიერების აღმოსაფხვრელად. ჩვენც რომ არ დაგვემოწმებინა სინამდვილე, მოუკერძოებელი დამკვირვებლისთვისაც (რომელიც ადამიანის ბუნებას იცნობს) ცხადი იქნებოდა, რომ ვერცერთი ასეთი პატარა გაერთიანება, ესოდენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერ იქნებოდა ასე მყარი, ოჯახური ურთიერთობისა და წესრიგის დაცვის დიდი მოთხოვნა რომ არ არსებობდეს ჩერქეზეთში. ჩერქეზთა ქვეყანა კანონებისა და ადათწესებს ყოველთვის ზუსტად იცავდა. ამიტომ იყო იგი წლების მანძილზე დაცული რუსეთის ცარიზმის ძალმომრეობისაგან.

მამაკაცებისა და ქალების ტანსაცმელი მდიდრულადაა ნაქარ-

გი ვერცხლითა და ოქრომკედით. ეს ტანსაცმელი ქალებისა და გოგონათა სახელავია და დიდი გემოვნებითა და ოსტატობითაა შესრულებული. მამაკაცები კი თავიანთ ხელოვნებას იარაღის ოსტატურად დამზადებაში ავლენენ. მართალია, ლითონი მაინც-დამაინც მაღალი ხარისხის არ არის და დამუშავების მეთოდებიც ჩამორჩენილია, მაგრამ მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ აქაური იარაღი გამოირჩევა თავისი გამძლეობითა და მაღალი ღირებულებით; ამას კი ჩერქეზები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. მრავალი მათი ნაქარგის ნიმუში ოქროსა და ვერცხლის არაბესკები სარტყლებსა და იარაღზე, თამამად შეიძლება გამოდგეს ნიმუშად დასავლეთის მხატვრებისათვის.

ქალების საყვარელი ტანსაცმელი ცისფერი აბრეშუმის კაბაა, რომელიც, ჩვეულებრივ, ოქრომკედითაა ნაქარგი; წელზე ოქროს ან ვერცხლის დიდბალთიანი ლამაზი სარტყელი აკრავთ. ღია ფერის მსუბუქი შალი ან დოლბანდივით აქვთ მანდილოსნებს თავზე შემოხვეული, ანდა მოხდენილი ნაოჭებით ეშვება ქალის კისერსა და ზურგზე. ტანს მთლიანად უფარავს თხელი და გრძელი მუსლინის ჩადრი. ასე წარმოგვიდგება ჩერქეზი ქალიშვილი თავის საუკეთესო მორთულობით. ახლა თვითონ წარმოიდგინოს მკითხველმა ის შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ასეთმა ᲨᲨვენიერმა არსებამ: დიანას[72] მსგავსი, ამქვეყნიური ასული, საყვარელი ძაღლის თანხლებით, ლამაზი გარემოს ფონზე და რომანტიული ქვეყნის შუაგულში ნამდვილად სასიამოვნო სანახაობაა! როცა რაინდი თვალს მოკრავს მსუბუქი ნაბიჯით მიმავალ ᲨᲨვენიერ ასულს. გამოუთქმელი გრძნობები დაეუფლება მას, იგი შარვლის ფერზე სცნობს ქალიშვილია იგი თუ ქვრივი. თეთრ სამოსელს მხოლოდ ახალგაზრდა ქალიშვილები ატარებენ, წითელს — გათხოვილი ქალები, ცისფერს — გაუბედურებული, ქვრივი ქალები. ისე კი მათი ტანსაცმელი სავსებით ერთნაირია. მხოლოდ თმის ვარცხნილობაშია განსხვავება. გათხოვილ ქალებს გაშლილი თმები მხრებზე ეცემათ, ქალიშვილები უკან გადავარცხნილ, სქელ ნაწნავებს ატარებენ, რომელიც ვერცხლის სარჭითაა დამაგრებული.

როდესაც დავინახეთ ბუნების შვილების კოპწიაობით ასეთი გატაცება, ძალაუნებურად გავიფიქრეთ, თუ როგორ მოგებას მოუტანდა ინგლისელ ვაჭარს ჩერქეზეთის სანაპიროზე დიდი რაოდენობით აქ ჩამოტანილი ღია ფერის აბრეშუმის, შალისა და ბამბეულის ქსოვილი. ინგლისელები ჩვეულებრივ რუსეთსა და ავსტრო-უნგრეთში დამზადებულ მდარე საქონელს უფრო ანიჭებენ

უპირატესობას (რომელიც დიდი რაოდენობით იგზავნება კავკასიაში), ვიდრე თავის ნახელავს[2].

მათი პატარა მოუწყობელი სახლები ჩვეულებრივ წნულია და შიგნიდან და გარედან თიხითაა შელესილი. ისინი სულ არ შეეფერებიან მამაკაცების ბრწყინვალე აღჭურვილობას, უწმინდესი ჯიშის შესანიშნავ ტაიჭებს, მათს მდიდრულ ასალებს, მათს მოოქვილ იარაღს; ასევე ქალების აღმოსავლური ოქროს ფარჩასა და ვერცხლის მუსლინს. მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ჩერქეზეთია, უბრალო გლეხისა და თავადის სახლები დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მამაკაცები თითქმის სულ ომში იმყოფებიან, ამდენად საცხოვრებელი სახლი მხოლოდ დროებით ადგილსამყოფელს წარმოადგენს მისი პატრონისათვის. მოსახლეობის სიმდიდრეს შეადგენს მრავალრიცხოვანი ჯოგი, ანდა პირადი საკუთრება — ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი ქვების სახით. ისინი ყოველ წამს მზად არიან გასაქცევად, რათა თავი დაიცვან მტრის უეცარი თავდასხმისაგან. მათი ქოხების დაწვა ადვილი საქმეა, ვინაიდან დიდ ზარალს არ ნახავენ ამის გამო, ხოლო ხეობებში და მთებში სწრაფად იპოვნიან თავშესაფარს ბავშვებისათვის, ქალებისა და საქონლისათვის.

ეს თავისებურება ყოველთვის ითვლებოდა კავკასიელი გვერილიასების სამხედრო ხელოვნების დამახასიათებელ თვისებად. იგი ახლაც დიდ და გადაულახავ სიძნელეს უქმნის ყველას, ვინც ცდილობს მთის დამორჩილებას.

ბამბორის თავადთან სტუმრობის შემდეგ ისევ ჩვენ გემებს დავუბრუნდით და გავემგზავრეთ სუხუმ-კალეს მიმართულებით, რომელიც მომდევნო სამხედრო სადგურია. სუხუმ-კალე[73] ისტორიული თვალსაზრისით მომდევნო საინტერესო ადგილია ჩერქეზეთის სანაპიროზე. იგი ძველად განთქმული დიოსკურიის მიწაწყალზე მდებარეობს. დიდძალი ნანგრევები იმას მოწმობს, რომ აქ ოდესღაც არსებობდა ქალაქი, რომელშიც სამასი სხვადასხვა ხალხის წარმომადგენელი (ყველა თავის ენაზე) გაცხოველებულ ვაჭრობას ეწეოდა.

---

[2] ამ სიტყვებში კარგად ჩანს ინგლისელი ვაჭრის ფსიქოლოგია, მისი ეგოიზმი. ის უცხოურ ქვეყნებს მხოლოდ იმიტომ შეისწავლის, თავისი საქონელი რომ გაასაღოს; ავსტრიული ნაწარმი ნამდვილად არ არის უვარგისი, როგორც ავტორს მიაჩნია. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ინგლისელების გარკვეული ნაწილი ძალიან ცდილობს (მიუხედავად იმისა, რომ აკრძალულია) სწორედ გერმანული საქონელი (ვენური და ბერლინისა) გაასაღოს ინგლისურ ბაზარზე. კ. კოხის შენიშვნა.

ამჟამად ქალაქი რამდენიმე საბრალო ქოხმახისაგან შედგება, რომლებშიც ბერძნები და სომხები ცხოვრობენ. ადრიანოპოლის ზავამდე, როდესაც ქალაქს ჯერ კიდევ თურქები ფლობდნენ, იგი აყვავებული იყო და მისი მოსახლეობა 3000-ს აღწევდა. მანამდე კი სუხუმ-კალე დროგამოშვებით ხან თურქების და ხან რუსების ხელში იყო. ასეთ პირობებში, ცხადია, ქვა-ქვაზე აღარ დარჩებოდა; გარდა იმ ადგილისა, სადაც განადგურება თითქმის შეუძლებელი იყო, როგორც მაგ.: ციხე-სიმაგრის კედლებთან. მაგრამ მათაც ატყვიათ ბრძოლების ქარცეცხლის კვალი. ბოლოს ქალაქი რუსებმა ჩაიგდეს ხელში, მაგრამ ამას დიდძალი ენერგია მოახმარეს.

სუხუმ-კალეშიც, ისევე როგორც ჩერქეზეთის სანაპიროს სხვა სიმაგრეებსა და ბლოკჰაუზებში, ქვემეხების დიდი რაოდენობა მოიპოვება, მაგრამ ისინი ისე არიან დაყენებული, რომ ზღვიდან თავდასხმას ვერ მოიგერიებენ. მათ შეუძლიათ მხოლოდ ირგვლივ მცხოვრები მთიელების შეშინება. განუწყვეტლივ გრძელდება მტრობა, ისე რომ ვერცერთი ჯარისკაცი ვერ ბედავს გასვლას სიმაგრიდან, თუ არტილერია არ დაეხმარება. ასეთ საფრთხეს ქმნიან ჩერქეზი გვერილიასები. მართლაც და, მთიელები ისე მამაცურად და დაჟინებით უტევენ მათ, რომ ოფიცრებიც კი იძულებული გახდნენ ძაღლები დაეყენებინათ საშიში პუნქტების დარაჯად. ძაღლები ზედმიწევნით კეთილსინდისიერად ასრულებენ თავის მოვალეობას. მტრის მოახლოებაზე ისინი მაშინვე ატეხავენ ხოლმე ყეფას. საბრალოა რუსი ჯარისკაცი, რომელსაც კავკასიაში დანიშნავენ სამუშაოდ. მავნე ჰავა, ცუდი წყალი და კავკასიური ციება (რომელიც ჩვენ არაერთხელ მოვიხსენიეთ) უთუოდ საფრთხეს უქმნის მის სიცოცხლეს. ბევრი მათგანი ველარ ბრუნდება სამშობლოში და თუ ბედი გაუღიმებს და დაბრუნდა, დაავადებულია უკურნებელი სენით — ციებით; განსაკუთრებული სიბრალულის გრძნობა გამოიწვია ჩვენში ამ უბედურების ხილვამ მაშინ, როდესაც ისინი თავადი ვორონცოვის ბრძანებით ციხის ეზოში მწყობრში ჩადგნენ: გამხდარი სახეებით, შეხვეული თავებით, სუსტი კიდურებით; ისინი ლაზარეთში გასაგზავნები უფრო იყვნენ, ვიდრე საზეიმოდ გამოსასვლელნი. 310 კაციდან (რომელიც აქ იყო შეკრებილი) 50 კაცზე მეტი არ იქნებოდა ჯანმრთელი, ხოლო ნახევარზე მეტი ძლივს თუ შეძლებდა თოფის ხელში დაჭერას. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სუხუმ-კალეში მათი საცხოვრებელი ბინები არც ისე ცუდია. ლაზარეთი და ყაზარმა გრილი და მაღალია, ლოგინები სუფთა ჩანს. რო-

დესაც თავადი ვორონცოვი შეეკითხა ჯარისკაცებს, ხომ არაფერს უჩივით თქვენი საცხოვრებელი პირობების გამოო, მათ უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. მართლაც საკვები საკმაოდ კარგია. პური და ხორციც ჩინებულია. ზუსტად არ ვიცით როგორ იყო საქმე. შესაძლებელია ოფიცრებისა და უნტეროფიცრების თვალების ბრიალის შიშით ჯარისკაცებმა სიმართლე ვერც თქვეს. აღსანიშნავია, რომ როგორც ოფიცრებს, ისე უნტეროფიცრებს ხშირად ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი ჯარისკაცების ხარჯზე მდიდრდებოდნენ და მათ საკვებსა და ტანსაცმელს ვაჭრობის საგნად ხდიდნენ. სუხუმ-კალეში საზარელი სიკვდილიანობა იყო. გარდა ციებ-ცხელებისა, ჯარისკაცები სურავანდითაც ავადდებოდნენ. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, უვარგისი საკვების შედეგად ჩნდება.

საწყალი ჯარისკაცი კავკასიაში მხოლოდ ჰავის გამო არ არის დაავადებული. დაავადებებს იწვევს აგრეთვე მძიმე სამუშაოები (როგორიცაა თუნდაც სამხედრო გზების გაყვანა ჩერქეზეთის მთელი სანაპიროს გასწვრივ) და აუტანელი სამუშაო პირობები: ჯარისკაცები მთელი დღის განმავლობაში მუშაობენ პაპანაქება სიცხეში, გავარვარებული, აზიური მზის ქვეშ, საღამოს კი ტემპერატურა მკვეთრად იცვლება, მთიდან წამოსული ცივი ჰაერის ნაკადის გამო. ეს კონტრასტებიც უწყობს ხელს მათ დასნეულებას. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ მათ დიდი რაოდენობით აძლევენ არაყს, რაც, უფროსების აზრით, ერთგვარ აღმგზნებ და სტიმულის მიმცემ საშუალებას წარმოადგენს.

თუკი რომელიმე ჯარისკაცი იმსახურებს თავისი უფროსების კარგ მოპყრობას, ესაა უთუოდ რუსი ჯარისკაცი. იგი გაჭირვების ამტანია, უფროსების მორჩილი, შეჩვეული უმკაცრეს დისციპლინას; ყოველთვის მზად არის ერთგულად ემსახუროს თავის ხელმწიფესა და სამშობლოს. ჯარისკაცი — ეს ის მანქანაა, რომლის გამოყენება ყველგან შეიძლება. იგი იმდენად გულგრილია შიშის მიმართ, რომ როცა ჩერქეზის ტყვიით განგმირული გუშაგი მის ფერხთით ეცემა, იგი წარბშეუხრელად, საათის ქანქარის სიზუსტით იკავებს მის ადგილს. ასეთივე გულგრილობას იჩენს იგი იმ საფრთხის წინაშე, რომელიც შეიძლება შეხვდეს მას გზის მშენებლობაზე. თუ ჯარისკაცს უეცრად თავს დაესხნენ და მოკლეს იგი, მის ადგილს სხვა ჯარისკაცი იკავებს. მოკლული ამხანაგის ხელიდან იგი იღებს შუბს და აგრძელებს სამუშაოს, თითქოს არაფერი მომხდარაო.

კავკასიაში ყოფნისას ხშირად ვხედავდით როგორ გამოდიოდნენ დილაადრიან ჯარისკაცები ციხესიმაგრიდან, ორას-სამას კაციან დანაყოფებად მიემართებოდნენ ყოველდღიურ სამუშაოზე —გზის საშენებლად. ამასთან გულდურად მღეროდნენ თავიანთ ეროვნულ სიმღერას, თითქოს აღლუმზე გადიოდნენ. მათ ყოველ ნაბიჯზე ემუქრებოდათ სიკვდილი. ი'შვიათი იყო ისეთი დღე, ვინმე რომ არ დაეკარგათ. ზოგიერთ ადგილში კი მთელ რაზმებსაც ხოცავდნენ. უფრო დიდია მათი დანაკარგი, როცა ომი იწყება. მაშინ უფრო მეტი რაოდენობა (ჯარისკაცებისა) იწყებს მოქმედებას, რათა აღმოაჩინონ უჩინარი მტერი.

ჩერქეზებს, ისევე როგორც გვერილიასებს, როგორც მებრძოლებს, ბადალი არ ჰყავთ მსოფლიოში. ისინი სწრაფნი, ფრთხილნი და მოხერხებულნი არიან. სამხედრო ოპერაციის ჩატარებისას კარგად ირჩევენ ადგილმდებარეობას და სწრაფად მოქმედებენ. ისინი შუდამ მზადყოფნაში არიან და არ გამორჩებათ მხედველობიდან მტრის არცერთი მოძრაობა. რუსების მიერ დაყენებული პატრულები და მსროლელები ვერაფერს ვერ იგებენ და მათი უფროსებიც დამშვიდებულნი იღებენ მათგან პატაკს. მოწინააღმდეგე არმიას სრულიად მშვიდად შეუძლია მიაღწიოს შეტევისათვის შესაფერის პუნქტამდე, მაგრამ როგორც კი მიაღწევს დანიშნულ ადგილს, თითქოს რაღაც სასწაულმოქმედი ძალის მეშვეობით, ამოძრავდება ყოველი ხე, თითოეული ბუჩქი, თითოეული ფერდობი. შეიარაღებული ჩერქეზი ტყვიისა და ისრების სეტყვას დაუშენს თავის მსხვერპლს, მერე კი ისევე უეცრად გაუჩინარდება თავის გამაგრებულ ადგილზე და მისი დევნა შეუძლებელი ხდება. ასეთ თავდასხმებს ისინი მთელი მარშის მანძილზე მიმართავენ და ყოველთვის ერთნაირი წარმატებითაც, სანამ მტერს არ ამოყლეტენ. ამას ისინი უფრო იადვილებენ, როცა ოფიცრებს დაუხოცავენ, ვინაიდან გამოცდილებით იციან, რომ უმეთაუროდ დარჩენილმა რუსმა ჯარისკაცმა არ იცის რა იღონოს.

ჩერქეზები ღია ადგილებშიც და მდინარის პირთანაც მამაცურად იბრძვიან, როგორც უბადლო ცხენოსნები. მათი თავდასხმა დიდ საშიშროებას წარმოადგენს ყველა სახის არმიისათვის. ისინი ცოცხალი ზვავივით დაიძრებიან ხოლმე მოწინააღმდეგისაკენ და თავგზას უბნევენ როგორც მოწინავე რაზმებს, ისე უკანშავალებს. სანამ მტრის არტილერია გონს მოვა და სროლას დაიწყებს, გვერილიასები უკვე გამქრალნი არიან. კავკასიელ გვერილიასებთან ბრძოლა მხოლოდ ყუბანელ და შავიზღვისპირა კაზაკების რუსულ

რაზმებს[3] თუ ძალუძთ. ისინი ნამდვილად ღირსეული მოწინააღმდეგენი არიან გვერილიასებისა: კარგად იცნობენ მათ იარაღს, მათი ბრძოლის ხერხებს, ზედმიწევნით აქვთ შესწავლილი და შეთვისებული მათი ზნე-ჩვეულებები, მოქნილობა და სისწრაფე, ასევე ერთგვარად თავიანთ მოწინააღმდეგეს ჰგვანან. ზოგიერთს გაუკვირდება, რატომ არ ცდილობს ისეთი საოცრად ძლიერი სამხედრო ძალა, როგორიც რუსეთია, ერთი დარტყმით შეწყვიტოს ომი და დაიმორჩილოს მთელი ეს ქვეყანა. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა შეგახსენოთ, რომ ასეთ მიუვალ ტერიტორიაზე შეუძლებელია ოპერაციების ჩატარება დიდი არმიის სამხედრო კორპუსებით. იმ სიძნელეებზე აღარ ვლაპარაკობთ, რაც სამხედრო იარაღისა და პროვიანტის გადაზიდვასთანაა დაკავშირებული და აუცილებელია დიდი არმიის შესანახად ისეთ ადგილებში, სადაც არც სოფელია, არც გზები და არც არავითარი საკვები არ მოიპოვება. ჩერქეზების ჩვეულებაა გაანადგურონ ყველაფერი, რისი წაღებაც არ შეიძლება მაღალმთიან რაიონებში, რომ ამით რუსეთის არმიის შემოჭრას არ შეუწყონ ხელი. მაგრამ თვით რუსეთის ციხესიმაგრეები, რომლებიც ყველა ოპერაციის ბაზას წარმოადგენენ, იმდენად მოწყვეტილია, ხოლო მათი გარნიზონები ისე მიუწვდომელი, რომ დამარცხების შემთხვევაში ვერც თავს შეაფარებენ ვერსად და მაშველი ჯარებიც ვერ მიეხმარებიან. ამრიგად, რუსეთის არმია ისეთ გარემოცვაში იმყოფება, რომ უკანდახევის არავითარი საშუალება არ გააჩნია, გარდა გემებისა.

დიდებულ ძველ დროში, როდესაც შვეიცარიელები თავისი განთქმული ლაშქრობებისას გერმანელი და ფრანგი რაინდებივით აბჯარასხმულნი გაერთიანებული ლეგიონების სათავეში მდგომნი ღირსეულად ებრძოდნენ მტრებს, მათ, ყოველ შემთხვევაში, თავიანთი მოწინააღმდეგეების ტოლფასოვანი იარაღი მაინც ჰქონდათ. ამ ქვეყნის ხალხს კი მტრის გამანადგურებელი არტილერიისაგან დასაცავად ერთადერთი საშუალება აქვთ — თოფი და ხმალი. მიუხედავად ამისა, მათ დღემდე არა თუ შეინარჩუნეს თავისი დამოუკიდებლობა, არამედ წლიდან-წლამდე ახალ გამარჯვებებსაც აღწევენ.

ახლა კი ისევ სუხუმ-კალეს გაცნობა განვაგრძოთ. ყველაფერს თუ კარგად ავწონ-დავწონით, ძნელი წარმოსადგენი გახდება ის ფაქტი, რომ ისეთი ძალა, როგორიც რუსეთია, ასე ტყუ-

---

[3] ჩერნომორცელ კაზაკებს

ილუბრალოდ წირავს თავისი ქვეშევრდომების სიცოცხლეს, იმ ტერიტორიის შენარჩუნებას, რომელიც დღეისათვის თავისი მდგომარეობით არავითარ არსებით სარგებლობას არ აძლევს სახელმწიფოს. ამ მხარის მიდამოები მოწამლული ჰაერითაა გაჟღენთილი და ადვილად ჩნდება ყოველგვარი დაავადება; გარნიზონის სამხედრო ნაწილები მუდამ ფხიზელი მტრის ტყვიის მოლოდინში არიან. არც ნავსადგურია სანდო. ღუზის ჩასაშვები არ ვარგა; ამას ისიც ემატება, რომ სუხუმის ციხესიმაგრის ახლომდებარე მიდამოებიც ყველაზე მიუდგომელი და ველური ადგილია მთელს კავკასიაში. მოსახლეობა რუსეთის ყველაზე საშიში და შეურიგებელი მტერია. ისინი ნაწილობრივ ყირიმისა და ყუბანის ხანებისა და სულთნების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავის ტომებთან ერთად დასახლდნენ ამ ადგილებში. მათ დღემდე ისე სძულთ რუსები, რომ გაგონებაც არ სურთ იმის შესახებ, რომ დაინდონ ან ტყვედ წაიყვანონ ისინი. როდესაც ახმახ, ჯიქურად მზირალ, ცხვრის ტყაპუჭში გამოწყობილ თათარს უყურებ, თავზე ბოხოხით, ქამარში ჩატანებული იარაღითა და მხრებზე გარდიგარდმო გადებული გრძელი, ბერძნული თოფებით, იმწამს გებადება აზრი, რომ ისინი კანონგარეშე ადამიანები, ყაჩაღები არიან, რომლებმაც ფიცი დასდეს ცივილიზაციის სამარადისო მტრები გამჩდარიყვნენ. ჩვენში თანაგრძნობას იწვევდა რუსეთის ხელისუფლების მიერ ბედის ანაბარა მიტოვებული ჯარისკაცები, რომლებიც ასეთ ცუდ პირობებში ცხოვრობენ — ასეთი მტრებით გარემოცულნი და ჰაერისაგან შეწუხებულნი. დარწმუნებული ვართ, რომ ვიდრე ჩერქეზეთში ტყე და მთები არსებობს, მის მკვიდრთა დამორჩილება შეუძლებელია, არ შეიძლება მათზე გაბატონდეს ის ძალა, რომელიც თვითონ ასე სამართლიანად შერისხეს.

თავი IV

სამეგრელო და სვანეთი

ილბუზის ხედი ზღვიდან. — სამეგრელოს სანაპირო. — რედუტ-კალე. — ქალაქის აღწერილობა. — კავკასიური ტომები. — რუსეთის არასაიმედო ბატონობა კავკასიაში. — კავკასიის მინერალური სიმდიდრე.

სუხუმ-კალედან მოყოლებული მშვენიერი მთაგორიანი სანაპიროა თავისებური, მრავალფეროვანი და წარმტაცი სილამაზით,

რომელმაც მგზავრობისას არაერთხელ მოგვხიბლა. გზა თანდათანობით უკან იხევს და ბოლოს სამეგრელოს უზარმაზარ დაბლობზე გამოვდივართ. ჩერქეზეთის ლამაზი ბუნების შემდეგ, რომელმაც ასე გაგვაოცა, ჩვენს თვალწინ უეცრად შესანიშნავი სანახაობა გადაეშალა. ეს გახლავთ ღრუბლებამდე ატყორცნილი ცნობილი კავკასიის ალპების ზოლი. როდესაც თვალს გადაავლებ სამეგრელოს გაუვალ ტყეებს, ნაპირს გარს რომ შემორტყმიან და მზერით შიჰყვები იალბუზსა და შორეული ყაზბეგის მწვერვალებს (იმდენად სუფთა და გამჭვირვალეა ჰაერი) გარკვევით დაინახავ ერთმანეთზე მიყოლებულ თითოეულ მთაგრეხილს, რომელიც მარადიული თოვლით დაფარულ ზღვარამდე აღწევს. ასევე შეგვეძლო თვალი გადაგვევლო მთის მცხოვრებლების სახლებისა და დამუშავებული ველ-მინდვრებისათვის. ყველა ჩვენგანს მოუნდა უფრო გულდასმით გასცნობოდა მთის მიდამოებს, მის გასაოცარ მწვერვალებს, ზღვის დონიდან ჩვიდმეტი ათას ფუტზე ატყორცნილ იალბუზის მწვერვალს. იშვიათად თუ დაუბიჯებია ევროპელს ფეხი მარადიული თოვლით დაფარულ მწვერვალზე, საიდანაც ამდენი მდინარე და ნაკადული წარმოიქმნება და რომლებიც მთელ კავკასიასა და მის მოსაზღვრე მიდამოებს რწყავენ. მომავალ მოგზაურებს შესანიშნავი მასალა ექნებათ კვლევისათვის. აქ გაერთიანებულია ყოველივე ის, რაც ადამიანს აღაფრთოვანებს და შემოქმედებით ძალას მატებს — ნაზი და ლამაზი, რომანტიული და დიდებული. ხელოვნების ლამაზმა ნაწარმოებმა ან შესანიშნავმა ნაგებობამ შეიძლება აღელვოს ადამიანი, მაგრამ ბუნების ქმნილებებთან შედარებით, როგორიცაა კლდეები და უფსკრულები, ჩანჩქერები და მარადიული თოვლის მხარეები მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სილამაზითა და ფორმების ფანტასტიკურობით, ხელოვნება არაფრისმთქმელია. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ალპების ლანდშაფტი ისეთ მხარეში მდებარეობს, სადაც მარადიულ ყინულს ნაყოფიერი ველ-მინდვრები ცვლიან და გამრჯე მიწის მუშის ხელის და შესანიშნავი ჰავის მეშვეობით საუკეთესო მოსავალი შეუძლია მიიღოს. სულ რამდენიმე საათია საკმარისი, რომ სამხრეთის მზე მარადიულმა თოვლმა შეცვალოს.

ჩვენ უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ შორს არაა ის დრო, როცა ამ მშვენიერი ბუნების მფლობელმა ხალხმა ხელი უნდა გამოიღოს, იარაღით აღიჭურვოს და გაილაშქროს დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასე აფერხებდნენ მის წინსვლას. არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ ეს მშვენიე-

რი ქვეყანა მაგნიტივით მიიზიდავს უამრავ ტურისტს როცა განთავისუფლდება?

რა ასპარეზი ექნებათ აქ არა მარტო ხელოვნების მოყვარულთ, არამედ მინერალოგებს, ბოტანიკოსებს, გეოლოგებსა და ყველას, ვისაც აინტერესებს ხალხთა ისტორია, პოეზიისა და თქმულებათა შესწავლა ყველაზე მიმზიდველი და ალბათ, მსოფლიოში უძველესი ხალხისა! შეუძლებელია განცვიფრებისა და აღელვების გარეშე უყურებდე ამ დიდებულ სანახაობას, ჩვენს თვალწინ გადაშლილ ამ უზარმაზარ მთათა ტალღებს. მასში იგრძნობა ამ მთის ხალხის სიმამაცე. რომელმაც შეძლო წინ აღდგომოდა ისეთ ძლიერ მტერს, როგორიცაა რუსეთი — ჩრდილოეთის ეს მძვინვარე დესპოტი, რომლის სახელის გაგონებაზე თურქეთისა და ირანის სახელმწიფოებიც კი თრთიან. რუსეთი დიდის მონდომებით ატარებდა კავკასიაში მისთვის ჩვეულ პოლიტიკას, რომლის შედეგად, ჩვეულებრივ (განათლებულ ერებთან) კარგ შედეგებს აღწევენ. ამ მიზნით რუსეთმა კარგად გამოიყენა დელფოსის მისნის რჩევა, რომელიც უკანასკნელმა ფილიპე მაკედონელს მისცა — „თუ საბერძნეთის დაპყრობა გსურს, ვერცხლის შუბით იბრძოლე“-ო. რუსეთს უნდოდა ოქროს საშუალებით, კავკასიაზე გადავლით, მისთვის სასურველ ცენტრალური აზიის ქვეყნებისაკენ გაეკვლია გზა. საბედნიეროდ, ამ ქვეყანაში კიდევ არსებობს მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი, რომელსაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა ურჩევნია უცხოელების ოქროს და მშობლიურ მთებსა და თავისუფლებას ამჯობინებს უცხოელების მიერ შემოთავაზებულ სიმდიდრესა და ბრწყინვალებას.

სუხუმ-კალეს ნავსადგურის შემდეგ უმნიშვნელო ყურეები შეგვხვდა, როგორიცაა: კელასური[74], კოდორი[75], ილორი[76] და ანაკლია[77]. ანაკლია მდებარეობს იქ. სადაც ინგური[78] და აფიზი[79] ეერთდება ერთმანეთს, როგორც ჩანს, ძველი ჰერაკლეას[80] ადგილას. ამჟამად იგი მეთევზეების სოფელია. შავი ზღვის ეს უბანი სავსეა განსაკუთრებული ჯიშის თევზით, რომელიც აქ კეფალის სახელწოდებითაა ცნობილი და საუკეთესო ხარისხის ხიზილალა აქვს. ინგურსა და აფიზში ზოიპოვება კალმახი, ხოლო ნაპირთან დიდი რაოდენობით არის ქაშაყი, რომელიც ზომით პატარაა, მაგრამ გემრიელი თევზია.

ანაკლიიდან დაწყებული რედუტ-კალემდე[81] ერთფეროვანი პეიზაჟია, თუ არ ჩავთვლით შორეული კავკასის ალპებსა და იმერეთის ზეგანს, რომლებიც სამეგრელოს ჭაობიან ნაპირებსა და

დაბლობ ლანდშაფტს ცოტაოდენ აცოცხლებს. მართალია, მოჩანს ტყეები, ხშირფოთლოვანი ხეებითა და ლელიანით, მაგრამ არავითარი ნიშანწყალი არ არის იმისა, რომ ამ უდაბურ ადგილას ვინმე ცხოვრობდეს. ბოლოს ღუზა ჩავუშვით ძველი ციანესის[82] შესართავთან (რომელსაც ამჟამად ხოფი[83] ჰქვია) იმ განზრახვით, რომ შემდგომშიც ვწვეოდით რედუტ-კალეს, რუსეთის კიდევ ერთ სამხედრო ნავსადგურს შავ ზღვაზე. ნაპირთან მისვლა პატარა ნიჩბიანი ნავითაც გაგვიჭირდა, ვინაიდან კლდის რიფთან დიდი რაოდენობითაა დაგროვილი ქვიშა. ეს ზღვაში შეჭრილ ნამდვილი მთაა, რომელსაც ორივე მხარეს საკმარისი წყლის სიღრმე გააჩნია სამხედრო გემების მიმოსვლისათვის. ნავსადგურის სავალალო მდგომარეობა იმის დამამტკიცებელია, რომ ბარბაროსი დამპყრობლები უყურადღებობას იჩენენ იმ დაჩაჩანაკებული მოსახლეობის მიმართ, რომელიც ერთ დროს ასე ბედნიერად ცხოვრობდა ამ მიდამოებში. როდესაც რედუტ-კალე თურქებისა და სამეგრელოს მთავრების ხელში იმყოფებოდა, ძალაში იყო კანონი, რომლის მიხედვითაც ყველა გემს (რომელიც რიფის გვერდით ჩაივლიდა) თან უნდა ჰქონოდა რკინის მძიმე საჩერო (ბაგირზე მიმაგრებული გემსათრევი), რომლითაც იგი თავის გემს (რომელზედაც გარკვეული ტკირთი იმყოფებოდა) გზას გაუკაფავდა შესასვლელისაკენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნავსადგურს რუსების სახით ახალი ბატონები გაუჩნდნენ, მათ უარი თქვეს ასეთ იაფ და იოლ საშუალებაზე. ამის გამო ქვიშის მეჩეჩი ყოველწლიურად იზრდებოდა და გარშემო მიდამოებს უფრო მეტად აჭაობებდა. ისინი ისეთივე საშიშროებას წარმოადგენდნენ ჯანმრთელობისათვის, როგორც იტალიაში პონტინის[84] ჭაობები.

ჩვენთვის გასაგებია რუსეთის ხელისუფლების ეს პოლიტიკა (ქვიშის მეჩეჩის დაგროვებისა), როდესაც იგი ამის უფლებას აძლევს დუნაის შესართავთან. მაგრამ რატომ აკეთებს ამას ხოფის მიმართ, გაუგებარია. ეს სანაოსნო მდინარე სამეგრელოს შუაგულში მიედინება, ხოლო რუსეთის ხელისუფალთა გეგმებისა და მიზნების შესაბამისად ეს პროვინცია ხომ მის სრულ საკუთრებას წარმოადგენს?! შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ სჯერათ მოსახლეობის ერთგულებისა და ფიქრობენ ამ გზით უფრო იოლი იქნება მეზობლებისაგან მათი მოწყვეტა და დამონება. ალბათ მათ სურთ რამდენიმე წლის შემდეგ, ან უფრო უკეთ, პირველივე შესაფერის შემთხვევაში იგდონ ხელთ ორი შესანიშნავი ნავსადგური თურქეთის ნაპირზე: ბათუმი და ტრაპეზუნდი[85], რის

შემდეგაც რედუტ-კალეს ნავსადგურისა და ფაზისზე მდებარე ფოთის შენარჩუნებისათვის დახარჯულ ფულსა და შრომას ფასი აღარ ექნებოდა.

ჩვენ რიფს გვერდით ჩავუარეთ და სანაოსნო მდინარე ხობში შევედით. იგი ტბასავით მშვიდია და საკმარისი წყალი აქვს, რათა დიდი ტვირთის მქონე გემები მიიღოს. რა საკალალო სანახაობაა! სანამდე თვალი მიგწვდებათ, გარშემო თითქმის არაფერი არ ჩანს ჭაობის მეტი. ამ ადგილებში ბევრია გარეული ვარხვი და წყლის ყოველგვარი ფრინველი, რომელიც ადამიანებს უფრთხის. ასეთი სურათი გრძელდება რედუტ-კალეს ნავსადგურიდან თითქმის ოცი ინგლისური მილის მანძილზე.

კიდევ ორი კილომეტრი გავიარეთ და მივაღწიეთ მეორე მდინარეს — ზიბას[86], რომელიც მხოლოდ შესართავთანაა სანაოსნო და ამიტომ უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ხობი. ამ ორი მდინარიდან მხოლოდ პირველს აქვს სათავე ალპებში, კავკასიონის მთისწინეთში. ამიტომაა, რომ იგი თოვლის დნობისა თუ დიდი წვიმების დროს ძალზე დიდდება და მთელს მიმდებარე მიდამოს ტბორავს.

რედუტ-კალე ზუსტი ასლია ყველა დანარჩენი დიდი და პატარა ქალაქებისა აზიის ამ ნაწილში. აქ დაინახავთ ბაზრებს, ბინძურსა და .მოუკირწყლავ, ვიწრო და გრძელ ქუჩებს. პატარა საცოდავი ხის სახლები ქოხებს უფრო ჰგვანან, გარედან უღიმღამოდ გამოიყურებიან და შიგნიდანაც მოუხერხებელნი არიან. ქუჩების ერთადერთი მწმენდავები ძაღლი და ძერაა. ქუჩის შუაგულში თხრილია, ,რომელიც წყალსადენის როლს ასრულებს. მართალია, ჭაობის ანაორთქლი მოსახლეობის ჯანმრთელობას ძალიან დიდ ზიანს აყენებს (ეს ქალაქი ყველაზე მავნე ჰავით გამოირჩევა მთელ შავი ზღვის სანაპიროზე) ქალაქი მაინც ინარჩუნებს თავის კეთილდღეობას და ამას ვაჭრობას უნდა უმადლოდეს. რედუტ-კალეს ნავსადგური ინგლისური საქონლის დიდი საწყობი იყო ცენტრალურ აზიაში, ვიდრე რუსეთმა ჰერმეტულად არ ჩაკეტა იგი. მავრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ინარჩუნებს თავის სავაჭრო მნიშვნელობას (თუმცა ადრინდელი დიდება დაუკარგავს) და ამ მხრივ ერთადერთი ქალაქია სამეგრელოს სანაპიროზე. მახლობელი და შორეული მხარეებიდან მოსახლეობა აქ ჩამოდის სხვადასხვა უცხოური საქონლის საყიდლად.

ამჟამად რედუტ-კალეში დიდი ბაზრობა იყო (ბაზრობა ყოველწლიურად ეწყობა ამ დროს) და ჩვენ საშუალება მოგვეცა ქა-

ლაქი მთელი თავისი ნაირსახეობით გვენახა. აქ თავი მოეყარა სხვადასხვა ეროვნების ხალხს, მეზობელი მთიანი მხარეების მცხოვრებლებს; გარდა მეგრელებისა და იმერლებისა, შეგვხვდნენ ქართველები (ქართლელები), სპარსელები, ჩერქეზები, აბაზები, ლაზები, ღეკები და სომხები. მათ შორის იყვნენ აგრეთვე ებრაელები, თურქები, თათრები და თურქმენები (?). მართლაც საინტერესო თავყრილობა იყო, მით უმეტეს, რომ ეროვნული მათგანი თავის ნაციონალურ ტანსაცმელში იყო გამოწყობილი და თავისი გამომეტყველებითა და მოქმედებით ამჟღავნებდა თავისი ეროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

სანამ ჩვენ ამ ჭრელ ბრბოში დავდიოდით, თავადი ვორონცოვი მაცნობდა თითოეულ ეროვნებას ცალ-ცალკე.

შორიახლოს ამაყად იდგა ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველი მამაკაცი. მას წელში გამოყვანილი ვიწრო ქულაჯა ეცვა, ჩაჭრილი სახელოებითა და ვერცხლით გაწყობილი მასრებით. შარვალი საკმაოდ ფართო ჰქონდა და მუხლებამდე სწვდებოდა. თავზე მაღალი და წაწვეტებული ასტრახანული კრაველის ქუდი ეხურა; სახის ნაკვთებით იგი სპარსელს ან სომეხს უფრო მოგაგონებდათ. ერთადერთი იარაღი, რომელსაც ატარებდა, დიდი შავადიანი, რომაული ორლესული ხმლის მსგავსი ხანჯალი იყო, რომელიც მდიდრულად მოსევადებულ სარტყელზე ეკიდა. მეგრელები და იმერლები ქცევითა და თავისი ჩაცმულობით ჩერქეზებს ჰგვანან, თუმცა გარეგნობით უფრო ნაკლებ მიმზიდველნი არიან, ვიდრე ჩერქეზები. მათ არა აქვთ ჩერქეზებივით ცეცხლოვანი (მე ვიტყოდი ნაკვერჩხალივით) თვალები და გამომწკვევი ქცევა, რომლითაც ჩერქეზები გამოირჩევიან. სოფლელები შეიარაღებულნი იყვნენ ხანჯლებით, დამბაჩებითა და მხრებზე გარდიგარდმო გადებული თოფებით. მათ ჩერქეზებივით მხრებზე შემოხურული აქვთ შავი ქეჩის მოსასხამები (ე. წ. „ბურკა“ — ნაბადი). გაცილებით უფრო საინტერესო ხალხია მაღალი ალპების მობინადრეები, სახელდობრ, სვანები ანუ სვანეთელები. მათ ქვეყანას იმდენად მაღალი მდებარეობა აქვს, რომ ზამთარი 8 — 9 თვეს გრძელდება. ისინი (სვანები) გოლიათური აღნაგობისა არიან და თავით-ფეხებამდე (ცბილებამდე) შეიარაღებულნი, ამაყი და ველური შესახედაობის ხალხია; გეგონებათ, რომ არასდროს არ ჰქონიათ ურთიერთობა ცივილიზებულ ხალხებთან. ჩერქეზებისაგან განსხვავებით, სვანებს გრძელი ცხვრის ტყაპუჭი აცვიათ. ტყაპუჭზე ზემოდან წითელი ტყავის პატრონტაშები უკეთიათ, კავ-

კასიის მთიელებისთვის დამახასიათებელი. ქუდები თავისი ფორმით ჩერქეზების ქუდებს ჰგავს (და საერთოდ, ზემოთ აღწერილი ქუდებისთანაა). განსხვავება იმაშია, რომ მათ ქუდებს კიდეებზე ბეწვი აქვს შემოვლებული. სვანურ ქუდს გრძელი, თეთრი თხის ბეწვები ცალკეულ კულულებად აქვს დაწნული. ფეხსაცმელების მაგივრად ისინი შიშველ ფეხზე ხამლებს ატარებენ. ხამლები მოუთრიმლავი ტყავისაგან არის გაკეთებული და ზემოთკენ თასმებითაა შეკრული[1].

ბაზრობაზე ჩვენ ზოგიერთი სხვა ტომის წარმომადგენლებიც შევამჩნიეთ. ისინი კავკასიის შორეული მხარეებიდან იყვნენ ჩამოსულნი. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ. ისინი კარგ ურთიერთობაში იმყოფებიან რუსეთის ხელისუფლებასთან და უფლება აქვთ მარილის, თამბაქოსა და თოფის წამლის ყიდვისა (ამ უკანასკნელის მხოლოდ მცირე ოაოდენობით ყიდვის უფლება ეძლევათ). იმის საფუძველზე, რომ მეგრელებსა და იმერლებს უფლება ეძლევათ იარაღის ტარებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პროვინციებში რუსეთის ძალაუფლება ჯერ კიდევ მყარად არაა ფეხმოკიდებული, რადგან ასეთი უფლება არა აქვთ არც ქართველებს და არც სომხებს, რომლებიც რუსეთის ქვეშევრდომები არიან[2]. ასეთ ვითარებაში რუსეთის საოკუპაციო ჯარებს შეუძლიათ თავი ბედნიერად ჩათვალონ, ვინაიდან მათ სხვა რუსულ სიმაგრეებში მყოფ ჯარისკაცებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ რედუტ-კალეში მხოლოდ ერთადერთი მტრის — ჭაობების ანაორთქლის უნდა ეშინოდეთ.

სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის პროვინციებში რუსეთის ავტორიტეტი ძალზე საეჭვოა. რუსეთმა კარგად იცის, რომ სანამ დაღესტნისა და ჩერქეზეთის მოსახლეობას ებრძვის, ოდნავი იერიშის მიტანაც არ შეიძლება ხალხის თავისუფლებაზე, ვინაიდან იმწამსვე იფეთქებს აჯანყება. ამას კი მოჰყვება საქართველოს (ე. ი. რუსეთის ამ პროვინციის) დაკარგვა, რომელიც თავისი ადგილმდებარეობით დანარჩენი ამიერკავკასიის სამფლობელოებისაკენ ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. ამის გამო რუსეთს

---

[1] ქალამანი.

[2] საფიქრებელია თუ მეგრელებს აქვთ იარაღის ტარების უფლება, ისინი ამით თავის ქვეშევრდომობას უფრო ადასტურებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ ქართველებს და სომხებს არა აქვთ იარაღის ტარების უფლება, ყალბია, ვინაიდან თბილისშიც ვერ ნახავთ ადგილობრივ მაცხოვრებელს უიარაღოდ მაშინაც კი, როდესაც იგი ბაზარში მიდის. კ. კოხის შენიშვნა.

დღემდე ვერ გაუბედავს თავისი თვითმპყრობელური მანქანის ამუშავება და სახაზინო და საპასპორტო სისტემის დანერგვა. მათ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ამ ქვეყნისათვის მოხელეთა არმიის მოსვა, რომ ძალმომრეობით გაეტარებინათ აქ თავისი დადგენილებები და კანონები. რუსეთი ხომ ჩვეულებრივ ასე იქცევა თავისი ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების მიმართ.

ეჭვს გარეშეა, რომ მმართველობის სულ სხვა სისტემას შემოიღებენ, როგორც კი ერთხელ ბედი გაუღიმებთ და შეძლებენ ჩერქეზებისა და დაღესტნელების დაუოკებელი და დაუმორჩილებელი სულის დამონებას. ისევე როგორც ძველ რუსეთში და დიდი ხნის წინ დაპყრობილ პროვინციებში, დესპოტიზმის სისტემამ შეცვალა შედარებით ლმობიერი ხელისუფლება, რომლითაც დღესაც ხარობენ ეს ხალხები საკუთარი მთავრებისა და მეთაურების ხელქვეით მყოფნი. ყველა ეს უპირატესობა, რომელიც კავკასიელმა ხალხებმა დღემდე ძალით შეინარჩუნეს, სულ მალე შეიძლება მოისპოს. ისევე როგორც რუსეთის გამგებლობის ქვეშ მყოფ ყველა დაუძლურებულ და დაბეჩავებულ ხალხებთან, ჩვენ აქაც წაგაწყდებოდით მხოლოდ მანქანებს, რომლებსაც მართავს ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ გაწვრთნილი წინამძღოლის ხელი[3].

ამ პროვინციებს რუსეთისათვის მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს მათთვის შემოსავლის წყაროს, პირიქით, ისინი წარმოადგენენ არხს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფო სახსრები იკარგება. ამ ზარალის მიზეზია არა იმდენად სახსრები, რომლებიც აუცილებელია გარნიზონების შესანახად, არამედ ის მნიშვნელოვანი თანხები, რომელიც პენსიის სახით ყოველწლიურად ურიგდება თავადებსა და უხუცესებს მათი ერთგულების მოსაპოვებლად. ამ პენსიების სა-

---

[3] მართალია, რუსეთის მმართველობის თაყვანისმცემელი არ გახლავართ, მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ პირიქითაა. ამიერკავკასის (ერძოდ), სამეგრელოში და აფხაზეთში), სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია პირვანდელი მთავრები, ხალხი გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფება, ვიდრე იქ, სადაც ისინი უშუალოდ რუსეთის ქვეშევრდომები არიან. ბუნებრივია, რუსები ყოველგვარ ღონეს ხმარობენ, რომ თავისუფლებას მიჩვეული კავკასიელები მეგობრულად განაწყონ თავის მიმართ, ადგილობრივი თავადები, კი, რომლებსაც აღარ ძალუძთ თავდასხმები, საკუთარი ქვეშევრდომებისაგან ინაზღაურებენ დანაკლისს. გასაოცარ მაგალითს იძლევიან მეგრელები (რომელთაც ჯერ კიდევ ჰყავთ მთავარი) და იმერლები (ანუ იმერეთი), რომლებმაც დიდი ხანია განდევნეს მთავარი, რადგან ვითარების შესაბამისად ხან რუსებს უკავშირდებოდნენ, ხან კი თურქებს. კ. კოხის შენიშვნა.

შუალებით რუსეთი ცდილობდა მთავრებისა და თემის უხუცეს-თა ერთგულების მოპოვებას, მაგრამ რასაც რუსეთი პენსიას უწო-დებს, ის ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ხარკს წარმოადგენს. რუსების ეს ფარსი იქამდე მივიდა, რომ სამეგრელოს მთავარი[87] ყოველწლიურად 200 მანეთზე მეტს იღებს, რათა რუსებმა რე-დუტ-კალეში იყოლიონ სავაჭრო ამხანაგობა[4]. და მაინც განსვენე-ბული იმპერატორის ალექსანდრეს[88] მმართველობის დროს სამეგ-რელო საქართველოსთან ერთად რუსეთის პროვინციად გამო-აცხადეს. აქედანაც კარგად ჩანს, რა საშუალებებით იქნა მოტყუე-ბული ეს ნახევრად ცივილიზებული ხალხი და როგორ შეუშალეს მათ ხელი, რათა თავის მეზობლებთან, მთის დამოუკიდებელ ტომებ-თან ერთად, საერთო საქმე ეკეთებინათ.

ნამდვილად არსებობს რაღაც დამაკავშირებელი, კერძოდ, რე-ლიგიური თანხმობა მეგრელებსა და რუსებს შორის; მოსახლეობის უმრავლესობა ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნის. მაგრამ განა შეიძ-ლება ეწოდოს ქრისტიანი იმ ხალხს, რომელსაც წარმართობის ზო-გიერთი ადათ-წესი აქვს შემორჩენილი, მაგალითად, ერთმანეთისა-გან ძნელი გასარჩევია ძველი კერპთაყვანისმცემლობა და ქრისტი-ანული წესი პირუტყვის, როგორც დასახსნელი მსხვერპლის შე-წირვისა. ეს ჩვეულებები საყოველთაოდ ცნობილია მეგრელებსა, იმერლებსა და ქართველებს შორის, განსაკუთრებით კი ამ პრო-ვინციების ე. წ. მთიანი მხარეების მოსახლეობას შორის. ზოგიერ-თი მათგანი აშკარად მაჰმადიანური რწმენის მიმდევარია და ყო-ველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ისლამის მიმდევარნი ქრის-ტიანებად არ მოაქციონ. მართალია, ასეთი ადამიანები ხშირად და-დიან მახლობელ ეკლესიებში, იღებენ ვერცხლის მანეთიანს და ვერცხლის ჯვარს და ინათლებიან (რუსეთის მთავრობა ამის უფ-ლებას აძლევს მათ), მაგრამ გულში მაინც მაჰმადიანებად ან წარ-მართებად რჩებიან, როგორც წინათ იყვნენ.

სინამდვილეში რუსეთის სიძლიერე, ამ თითქოსდა მშვიდ ად-გილებში (სადაც გარნიზონებია განლაგებული), მოჩვენებითია, ჩვენ ამაში დავრწმუნდით, როგორც ამ ადგილებში მოგზაურო-ბისას, ასევე რუს ოფიცრებთან საუბრის დროს. (მათ მიერ მოწო-

---

[4] არც ეს არის სწორი. დადიანმა (ანუ სამეგრელოს მმართველმა მთავარმა) ფი-ნანსური სიძნელეების გამო (რასაც იგი მუდმივ განიცდიდა) მიჰყიდა რუსეთის ხელისუფლებას სანაპიროზე ბაჟის აღების უფლება, რისთვისაც ყოველწლიურად 2000 მაღეთი უნდა გადაეხადათ. სამაგიეროდ, ამჟამად აქედან რუსეთი 40000 მანეთის შემოსავალს იღებს ყოველწლიურად. კ. კოხის შენიშვნა.

დებული ცნობებიდან). როგორც მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლები, ისევე პატარა სამფლობელოების მთავრები და უხუცესნი, რომლებიც რუსეთისაგან პენსიებს იღებენ, უდავოდ პირადი ინტერესების გამო არიან რუსეთის ხელისუფლების ერთგულნი. ხალხს რუსეთის მთავრობა სძულს. სწორედ ამიტომაა, რომ ბრძოლებმა სამეგრელოს ნაპირებს მიაღწია და საკვლევით შესაძლებელია, რომ მეგრელებმაც იარაღით ხელში გაილაშქრონ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც კი, ერთი მხრივ, თურქები, მეორე მხრივ შამილის მომხრები, ჩეჩნები და ლეკები გაიმართებიან წელში და ფეხს მოიმაგრებენ.

მეგრელები, იმერლები და ქართველები ერთი და იგივე ხალხის ჩამომავლები არიან, ოღონდ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე ლაპარაკობენ. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი წინაპრების ძლიერება. მაგრამ ერთი საუკუნის წინ მთავრები თვითონ დაუკავშირდნენ თავის შეურიგებელ მტრებს (სპარსელებსა და თურქებს) და დაკარგეს ყოველგვარი უფლება ქვეყნის გამგებლობისა. შეიძლება ითქვას, რომ რუსებს კავკასიაში არ ჰყავთ ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორიცაა საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს მთებსა და ხეობებში დასახლებული ტომები. არავის არ შეუვიწროვებია ისე რუსეთის ჯარები თბილისიდან დაღესტანში გადასვლისას, როგორც ზემოხსენებულ ხალხს[33]. თავისთავად ცხადია, არცერთი მოგზაური არ გაემართება სამოგზაუროდ ვიწრო ხეობებსა და ხევებში, თუკი მათი ბელადის ბრძანება არ იქნება. ერთი სიმაგრიდან მეორეში გასამგზავრებლად იგი ამალის თანხლებით უნდა გაემგზავროს. ეს სიძნელეები განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ამ უკანასკნელ წლებში, სპარსეთსა და თურქეთში წარმოებული შინაური ომების გამო, ვინაიდან უმრავლესობა ლტოლვილი თურქებისა და სპარსელებისა თავის ახალ სამშობლოს კავკასიაში ეძებს. თითოეული მათგანი რუსეთის მტერია და საკმაოდ ენერგიული ხალხია. მათ თავისი თანდაყოლილი სიძულვილი და რისხვა მტრის წინააღმდეგ ამ ქვეყნების მცხოვრებლებს გადასდეს.

ყველა რუსი ოფიცერი, რომელსაც კავკასიაში უმსახურია და რომელთანაც მისაუბრია, იმ აზრისაა, რომ არცერთ ხელისუფლებას არ შეუძლია იყოს ასეთი ძლიერი, გამბედავი, მოხერხებული და ჰუმანური, როგორიც რუსეთია. რუსეთმა კარგად შეძლო დაეფუძნებინა თავისი ბატონობა ამ დამოუკიდებელ და თავისუფლებისმოყვარე, ველურ და დაუმორჩილებელი ხასიათის მქონე ხა-

ლხზე, რომელსაც საჭიროდ არ მიაჩნია უცხოელების წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კავკასიის ყველა ტომს არაერთგზის განუცხადებია თავისი ერთგულება რუსეთის მთავრობისადმი, იგი ყოველ ხელსაყრელ მომენტში მაინც მზადაა ააფრიალოს აჯანყების დროშა და ამოჟლიტოს ციხესიმაგრეთა გარნიზონები. კავკასიის შუაგულში მცხოვრებმა ოსებმაც (მათ სლავურ წარმოშობასაც (?) მიაწერდნენ, რომელთა ქრისტიანებად მოქცევა ჯერ კიდევ ეკატერინე II-ს უნდოდა) კავკასიის წინასწარმეტყველის ყაზი მოლასა[89] და მისი მიმდევრის შამილ ბეის[90] შთაგონებით მაჰმადიანობა მიიღეს და ამის შემდეგ ლეკების მოკავშირეები (?) გახდნენ[91]. მთის ხალხთა შორის, რომელიც კავკასიის ამ ნაწილში ცხოვრობს, როგორც ჩანს, ყველაზე საშიშ და ძნელად დასამორჩილებელ ხალხს წარმოადგენს ორი ტომი — სვანები და ინგუშები.

ამ პირველად დასახლებულ მრავალრიცხოვან და მებრძოლ ხალხს მთელი ალპური მთიანეთი უკავია იალბუზიდან მოყოლებული სამეგრელოსა და იმერეთის საზღვრებამდე. მათ კავკასიის უძველეს მკვიდრებად თვლიან, მით უმეტეს, რომ სახელწოდება „სვანი“ ჯერ კიდევ ძველებთან გვხვდება. რუსებმა ვერაფრით ვერ შეძლეს ამ ქვეყნის შუაგულში შეჭრა. მრავალ რომანტიულ ისტორიებს შორის, რომელიც მათ შესახებაა გავრცელებული, არსებობს ისეთებიც, რომელიც ამ მხარეს იშვიათი სილამაზის გამო ედემს ადარებს. მაღალი მთები ამ მხარეს კარგად იცავენ ცივი ქარებისაგან. მისთვის ერთნაირად უცხოა ზამთრის სუსხი და ზაფხულის სიცხე. იმასაც კი გადმოგვცემენ, რომ იგი ჩვენი წინაპრებისა და ოქრო-ვერცხლის საბადოთა სამშობლოა. თავადი ვორონცოვი (რომელიც ენების კარგი მცოდნეა), დიდ ინტერესს იჩენს ყველაფრისადმი, რაც კავკასიის ხალხების ძველ ისტორიას შეეხება და მათი ქვეყნისა და ხალხის შესახებ უფრო მეტი იცის ვიდრე რომელიმე ჩვენებურმა მისი ვარაუდით, სვანები ლაზების[92] დიდ ოჯახს ეკუთვნის, რომლებიც პროკოპიმ[93] აღწერა, ანდა ოდესღაც მათი ქვეშევრდომები იყვნენ თავადი ვორონცოვი თავის მოსაზრებას აფუძნებს მათ ენათა მსგავსებაზე. მაგალითად დადა (მამა) და დაალ[94], ტაუტ (ღმერთი). რაც შეეხება მათ სახელებს. ისინი მხოლოდ იმ მთიან ლანდშაფტს ასახავენ, რომელშიც ცხოვრობენ.

თავადი ვორონცოვი ადასტურებს ცნობას, რომელიც შეეხება ამ საიდუმლოებით მოცულ ხალხს, სახელდობრ კი იმას, რომ

ისინი თაყვანს სცემენ მხოლოდ ერთ ღმერთს, რომელსაც დაალი ჰქვია და სწამთ სულის უკვდავება. უნდა აღინიშნოს ერთი უცნაური ამბავი, რომ ყველა ცდა თურქი და სპარსელი მისიონერებისა გაემაჰმადიანებინათ ეს ხალხი, ისევე როგორც რუსების ცდა თავისი ეკლესიისაკენ გადაეხარათ, უშედეგო გამოდგა. კვირა დღეს ისინი ჩვენსავით ზეიმობენ და ისვენებენ. მათი წესები და დროის განრიგი იმას მოწმობს, რომ სვანები ერთ დროს ქრისტიანობას აღიარებდნენ. როგორც ჩანს, მათთვის არც იუდაიზმი იყო უცხო, ვინაიდან მათი რელიგიური რიტუალისა და ცერემონიების ზოგიერთი პუნქტი ახლოს დგას მოსეს მოძღვრებასთან.

ამ საკითხში, ისევე როგორც ყველა სხვა წვრილმანში, რომელიც კავკასიის ხალხების რელიგიასთან, ადათ-წესებთან, ჩვეულებებთან და თავისებურებებთანაა დაკავშირებული, ჩვენ ვერაფერს ვერ ვიტყვით დაბეჯითებით, თუ არ დავიმოწმებთ ზოგიერთი განათლებული რუსი ოფიცრის აზრს. გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ რუსი ოფიცრები ყოველთვის მზად იყვნენ გაეზიარებინათ ჩვენთვის თავისი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც მათ ამ ქვეყანაში ხანგრძლივი ცხოვრების დროს დააგროვეს. რაც ზოგადად შეეხება კავკასიას, ყველანი ერთ აზრს იზიარებენ, რომ ქვეყნის შიგნით არის ადგილები, სადაც მათ ვერ მოახერხეს შეღწევა. ეს უცნობი ადგილები მეტად დიდ სივრცეზეა გადაჭიმული, ძალიან ნაყოფიერია და ორ დიდ მთას შორის მდებარეობს: იალბუზსა და ყაზბეგს შორის. სწორედ ამიტომ უთქვამთ მათთვის ხშირად ჩერქეზებს: „თქვენ შეგიძლიათ დასახლდეთ სანაპიროზე და გაბატონდეთ ზღვაზე, მაგრამ სვანებისა და ინგუშების მთიან საკუთრებაში შეჭრას ვერასდროს ვერ შეძლებთ ძალის საშუალებით. ჩვენ კი იქ საკმარისად გვაქვს პურის ყანები, ვენახები, მდელოები და საძოვრები მთელი ჩვენი ხალხის შესანახად. იმაზე მეტიც კი, ვიდრე გვჭირდება“.

რუსი მოგზაური რაინეგსი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელიც კავკასიაში (წინა საუკუნეში) ჩამოვიდა რუსეთის ხელისუფლების დავალებით, რათა მთის მმართველებისათვის საჩუქრები გადაეცა. სინამდვილეში მას უნდა შეემოწმებინა იმ ცნობების ჭეშმარიტება, რომელიც შეეხებოდა კავკასიის ოქროს საბადოებს. რაინეგსის[94] ცნობების მიხედვით, მან სვანეთის სამხრეთ რაიონში იპოვა მადანი და მაღარო, საიდანაც შესაძლებელია ძველ დროში ხალხს ოქრო და ვერცხლი გამოჰქონდა. მაგრამ მას შემდეგ კვალი ისევ გაქრა. აქედან ვასკვნით, რომ მთის ხალხმა მა-

ღაროში შესასვლელის კვალი შიშით მოსპო. კავკასიის ამ ნაწილში რომ ოქრო უნდა იყოს, ეს გარემოება ეჭვს არ იწვევს, ვინაიდან მას მარცვლებად პოულობენ მდინარე ინგურში და მის შენაკადებში, რომელთაც სათავეები იალბუზის ალპების მიდამოებში აქვთ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რაინეგსის ცნობების მიღების ცოტა ხნის შემდეგ რუსებმა იწყეს კავკასიის დაპყრობითი ლაშქრობა. ცხადია, მათ ნაწილობრივ იმის იმედიც ჰქონდათ, რომ ხელში ჩაიგდებდნენ სარფიან მადნებს. სინამდვილეში ყველა განათლებულ რუსს რა პოლიტიკური მოტივებიც არ უხდა ამოძრავებდეს, სჯერა, რომ ამ მაღაროების ხელში ჩაგდებით რუსეთი სიმდიდრის უსასრულო წყაროს მიიღებს. რაინეგსის დროიდან მოყოლებული ბევრი მოგზაური ცდილობდა შეეღწია სვანების საიდუმლოებით მოცულ ქვეყანაში. ოქროს პოვნის სურვილით შეპყრობილნი მოდიოდნენ ისინი ამ ქვეყანაში და უკან აღარ ბრუნდებოდნენ.

ამით ვამთავრებთ ჩვენი მოგზაურობის აღწერას სანაპიროს გასწვრივ და ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი ჩვენი თანამგზავრი გახდება ქვეყნის შუაგულში მოგზაურობის დროსაც, ჩვენ ვეცდებით ამ მხარეთა და მისი მოსახლეობის შესახებ მეტი გაცნობოთ.

თავი V

კავკასია და შამილი

კავკასიისა და მისი მოსახლეობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. — რუსების ინტრიგებში. — ელიას მანსური, კავკასიის ომის პირველი წინასწარმეტყველი. — მისი ისტორია და საიდუმლო გაქრობა. — ყაზი მოლა და შამილ-ბეი. — მათი ცხოვრების გზა.

დღევანდელ დღეს, როდესაც აღმოსავლეთი, როგორც ჩანს, ძველი სამყაროს ბრძოლის ველად უნდა გადაიქცეს, მოულოდნელი და უჩვეულო რევოლუციის ხანაში, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა და რომლის საშუალებითაც ევროპულმა განათლებამ და ცივილიზაციამ შორეულ და ადრე ყოვლად უცნობ ადგილებში შე-

აღწია, სწორედ დღეს არ შეიძლება გულგრილობის აღმოჩენა მძლავრი ალპური მხარის, კავკასიის ხალხების მიმართ. კავკასიის დიდი მნიშვნელობის მქონე ადგილმდებარეობამ (იგი ევროპასა და აზიას შორის მდებარეობს, ორ ზღვას შუა) და მისი ციხე-სიმაგრეების ხელსაყრელმა განლაგებამ, უკვე დიდი ხანია მიიქცია საკუთარი სამფლობელოების გაფართოების მოსურნე დამპყრობლების ყურადღება. მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა ამაო გამოდგა: ჯერაც ვერავინ შეძლო მთის ამაყ მკვიდრთა დამონება.

კავკასია იყო ზღვარი (ჯებირი) ასურელთა, სპარსთა, ბერძენთა და რომაელებისათვის. მის მთებში ნახულობდნენ თავისუფლებას ირგვლივ მომდგარი მტრისაგან. ახლაც, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ერთი მუჭა ხალხის წინააღმდეგ მიმართულია არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიო სამხედრო ძალა. მაგრამ მათ ბრძოლას ჯერ მნიშვნელოვანი შედეგები არ მოჰყოლია.

აუღებელი მისი მოხერხებული ადგილმდებარეობის გამო (მოქცეული ორ ზღვას შორის), რომელზეც მთელი რიგი კარგი ნავსადგურებია, განლაგებულია ორ კონტინენტს შუა, რის გამოც წარმოადგენს ხიდს ევროპასა და აზიას შორის, გამორჩეული ნაყოფიერი ველ-მინდვრებით, მშვენიერი ჰავითა და გულუხვი და ლამაზი ბუნებით, კავკასია არის და დარჩება ისეთივე შეუსწავლელი და საიდუმლოებით მოცულ მხარედ, როგორადაც არის იგი წარმოდგენილი უკვდავი საბერძნეთის სიმღერებში. ყოველივე, რაც ამ ქვეყნის შესახებ უცნობებიათ არიანესა[95] და სტრაბონს[96], დღესაც დამახასიათებელია მისთვის; ცოტა რამ შეიცვალა მას შემდეგ ქვეყნის მართვის სისტემაში, მისი ხალხების ადათ-წესებში. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ თანამედროვე კრიზისის გადაწყვეტის შემდეგ ევროპული ცივილიზაციის ტალღა, რომელიც გზას იკვლევს წინ მთელი აღმოსავლეთის მიმართულებით, მოაღწევს ამ ქვეყნამდის (რომელმაც გაუძლო ყველა მტრის შემოტევას, დაწყებული ალექსანდრე მაკედონელით[97] და გათავებული ნიკოლოზ პირველით[98]), საბოლოოდ გახდება ცივილიზებული და მოიპოვებს კეთილდღეობას.

აქ მოსახლე ტომები ის ხალხია, ვისთვისაც სამშობლოს სიყვარული ყველაზე უძვირფასეს გრძნობას წარმოადგენს, რომლებიც თავისუფლებისათვის გამუდმებულ ომებში არ იშურებდნენ არც სულს, არც ხორცს (არც ქონებას, არც სისხლს) და განუწყვეტლივ ვაჟკაცურად უძლებენ ეშმაკურ ხრიკებს; რომელთა

მეშვეობითაც რუსეთი ავრცელებს თავის ბატონობას მეტწილ დამორჩილებულ ხალხებზე; შეიძლება დადგეს დრო, და მიუხედავად ურთიერთშორის ზოგჯერ მტრული განწყობისა, საერთო საფრთხემ ეს ტომები გააერთიანოს და მათ შეკრან სახელმწიფოებრივი კავშირი (ისევე როგორც შვეიცარიელებმა) აზიისა და ევროპის საზღვარზე. მაშინ კავკასია გახდება თავისუფლების კერა და ყველა ჩაგრული ქვეყნების ლტოლვილთა თავშესაფარი.

როდესაც ვფიქრობთ რა მოიმოქმედა შვეიცარიამ თავისუფლებისადმი ურყევი სიყვარულის წყალობით, როგორ შეინარჩუნა თავისი ადათ-ჩვეულები და დაამარცხა სამღვდელოების ცბიერება, თამამად შეგვიძლია ვუწინასწარმეტყველოთ კეთილი მომავალი დიდებული მთების მცხოვრებლებსაც. გვწამს, რომ როგორც კი ისიხი რუსების შეტევას უკუაგდებენ, შეძლებენ შექმნან კავშირი და გაერთიანდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; ამას ისიც უწყობს ხელს, რომ კავკასიის ქვეყნებს უფრო ხელსაყრელი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე შვეიცარიას და მეტი უპირატესობაც სახელმწიფოთა კავშირის შესაქმნელად.

რაც შეეხება ჩერქეზებს, რომლებიც უმეტესად კავკასიის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობენ, ყველაფერი, რაც აქამდე დაწერილია მათ შესახებ, ჯერ კიდევ ვერ ხსნის იმ საიდუმლოებას, რომლითაც მოცულია მათი წარმოშობის საკითხი. ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ისინი ოდესღაც წარმოადგენდნენ ძლევამოსილ ხალხს და ბატონობდნენ არა მარტო კავკასიაში, არამედ ყირიმშიც. ბევრმა მთამ, მდინარემ და ზოგიერთმა ადგილმაც შეინარჩუნა დღემდე ჩერქეზული სახელწოდებანი. ბიზანტიელები ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში უწოდებდნენ დასავლეთ კავკასიის მკვიდრთ ციხი-ს[99]. რაც ბერძნულ ენაზე ჩერქეზის შესატყვისია, და აღწერდნენ მათ ტერიტორიას ბიჭვინთიდან შავი ზღვის გაყოლებით — მდინარე ყუბანის შესართავამდე. გენუელები (რომლებიც შუა საუკუნეებში შავი ზღვის ჩერქეზეთის სანაპიროზე სავაჭროდ ჩამოვიდნენ[100]) ადასტურებდნენ ამ წერილობით მონაცემებს და თან დასძედნენ, რომ ჩერქეზები კავკასიის სხვა ხალხებისაგან გამოირჩევიან თავიანთი სიმამაცით და რომ ისინი ნაწილობრივ ეზიარენ ცივილიზაციას. ჩერქეზები, მათი თქმით, ზრდილობიანი და სტუმართმოყვარე ხალხია. ამავე დროს ისინი ფხიზლად ადევნებენ თვალს იმას, რომ მათი თავისუფლება არავინ შეზღუდოს.

ჩერქეზები ენის თვალსაზრისითაც განსხვავდებიან კავკასიის სხვა ტომებისაგან; ისინი თავის თავს ადიღეს უწოდებენ[101], რაც

ორ ზღვას შუა მობინადრე ხალხს უნდა ნიშნავდეს. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი უძველესი დროიდან ყოველთვის კავკასიის მკვიდრნი არიან. გერმანელი მეცნიერების ყველა ცდა დაემტკიცებინათ, რომ ჩერქეზები ალანებიდან[102], არაბებიდან ან მიდიელებიდან არიან წარმოშობილი, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს და მაშინვე დაირღვევა, როგორც კი ჩერქეზული ენის შესწავლას მოჰკიდებენ ხელს[1]. ენათმეცნიერები ერთხმად ამტკიცებენ, რომ ამ ენას არავითარი ნათესაობა არა აქვს არცერთ ჩვენთვის ცნობილ ენასთან[103].

საკვირველია, რომ არავითარი ცნობები არ არსებობს ამ ხალხის ისტორიისა და წარმოშობის შესახებ, რომლებსაც, როგორც ამტკიცებენ, ეპყრათ ტერიტორია, კავკასიამდე ყირიმის ჩათვლით. გარდა ბარდების სიმღერებისა და პოეტების თქმულებებისა, ყოველი ერი, რაგინდ ბარბაროსი არ უნდა იყოს იგი, მაინც ინახავს გარკვეულ ისტორიულ მოგონებებსა და ცნობებს საკუთარი მხარის სხვა ტომებთან კავშირის შესახებ.

კავკასიის სხვა ხალხებისაგან ჩერქეზები განსხვავდებიან თავიანთი ვაქკაცური შესახედაობით, დიდი ფიზიკური ძალითა და აგებულებით. გასაკვირია, მაგრამ როდესაც ესენი სხვა ხალხებს შეერეოდნენ ხოლმე (იქნებოდა ეს თათრები, თურქები თუ კაზაკები), კავკასიურ სისხლს დიდი გავლენა ჰქონდა ამ უკანასკნელებზე და მათი სახის ნაკვთები და ტანადობა უფრო კეთილშობილი ხდებოდა.

თურქები, ბერძნები, იტალიელები და ფრანგები ჩერქეზებს ჩირკასირებს ეძახიან, რაც დაახლოებით „გზის მომჭრელს“ უნდა ნიშნავდეს. ჩემი ვარაუდით, ეს ზედმეტი სახელი წარმოიშვა იმის გამო, რომ ჩერქეზები არცერთ უცხოელ ჯარისკაცს არ აძლევდნენ მათ ქვეყანაზე გავლის უფლებას. სპარსელები მათ კავკასიის სხვა ტომებისაგან გამოარჩევენ სახელწოდებით „კასაკები“[104]. ამიტომ არც ისე ძნელი დასაჯერებელია, რომ საშუალო საუკუნეების თავისუფალი კაზაკების მოდგმა თავდაპირველად კავკასიაში არსებობდა[2].

---

1 ავტორი ცდება, ვინაიდან, რამდენადაც, ვიცით, ჯერ არცერთ გერმანელ მეცნიერს არ გამოუთქვამს თავისი აზრი გარკვეულად ჩერქეზთა წარმოშობის შესახებ; ენას ზოგიერთ ფინურ ენის ძირთან უნდა ჰქონდეს მსგავსება. კ. კოხის შენიშვნა.

2 ავტორი აქ ლაპარაკობს იმ სახელწოდების შესახებ, რომელიც უკვე უარყოფილ იქნა კლაპორტის დასკვნებით. ჩერქეზები და ჩირკასიები ერთი და იგივე ჩამომავლობისა არიან. სტრაბონი კერკეტებს[105] უწოდებს. ეს სახელწოდება

ჩვენ არა გვაქვს საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ კავკასიის მოსახლეობის რიცხვი ზუსტად განვაზღვროთ, თავადი ეორონცოვი მონაცემების მიხედვით, ისინი მეგრელებთან, იმერლებთან, და ქართველებთან ერთად დაახლოებით სამ მილიონს შეადგენენ. თურქული წყაროების მიხედვით, ეს ციფრი ოთხ მილიონამდე აღწევს, აქედან 700 000 მეომარი შეიძლება გაწვეულ იქნას ომში.

ადიღებად წოდებული ჩერქეზი ტომები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე ბინადრობენ. მათ თავიანთი მთავრები ჰყავთ და მოსახლეობის რაოდენობითაც სხვებს ჭარბობენ. მათი მმართველობის ფორმას შეიძლება ეწოდოს ოლიგარქიული ან არისტოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც სამი ფენა არსებობს: თავადები, აზნაურები და თავისუფლები. სხვებთან თავიანთი პოლიტიკური და პატრიარქალური მნიშვნელობით, მხოლოდ ბელადებს, სჯულთმდებელთ და უხუცესებს აღიარებენ. სხვა მხრივ კი მათ შორის სამოქალაქო და შინაურ ცხოვრებაში სრული ერთიანობა სუფევს. როცა დროთა განმავლობაში გვარები გაფართოვდა და ტომებად იქცა ამ თემის ყველაზე უხუცეს და ბრძენ წევრებს დაეკისრათ მოსამართლისა და მშვიდობის დამცველის მოვალეობა. ამავე დროს ისინი, როგორც ყველაზე მამაცები, ხელმძღვანელობდნენ ნადირობასა და ომს. მაგრამ თუ ვინმე შემდგომში გამოიჩენდა თავს და ომში უფრო მამაცი და მშვიდობისას უფრო ბრძენი გამოდგებოდა (თავის წინამორბედზე) მისი მიმდევრების რიცხვი იზრდებოდა. ხალხი ამაყობდა ასეთი წინამძღოლით და ერთგულად ემსახურებოდა მას. ასეთი წინამძღოლის პირმშოს, ცხადია, მამისაგან მემკვიდრეობით გადაეცემოდა ქვეშევრდომების პატივისცემა და სიყვარული. აქედან წარმოიშვა მემკვიდრეობითი მმართველობა, თავადებისა და მხარის უფროსთა ინსტიტუტი. მმართველობის ეს სისტემა უხსოვარი დროიდან ბატონობდა კავკასიაში. ის მარტივი და პატრიარქალურია თავისი ფორმით და შეესაბამება მთიან მხარეს, სადაც სხვადასხვა ტომები ცხოვრობენ ერთმანეთისაგან გადაულახავი კედლით გამოყოფილები, უშიშრად და დამოუკიდებლად.

ასეთი მდგომარეობა იყო მთელს კავკასიაში, სანამ რუსთა ხელმწიფემ პეტრე დიდმა (გასაოცარი სულისა და არაჩვეულებრი-

---

გვხვდება გვიანაც, ანდა განდევნილია „ზიხები“-ს მიერ. ამ ქვეყანასა და მის ხალხზე შეიძლება წაიკითხოთ კოხის „მოგზაურობის“ პირველ ტომში-რუსეთის გავლით კავკასიაში. კ. კოხის შენიშვნა.

ვი მონაცემების პატრონმა) არ გაიხადა დევიზად რომის ძველი პრინციპი: „დაყავი და იბატონე“. თავდაპირველად პეტრე საქართველოს შინაურ საქმეებში ჩაერია, რომლის მცხოვრებლები უმეტესად მის საკუთარ ეკლესიას — ბერძნულს (ბერძნულ-მართლმადიდებლურ ეკლესიას) ეკუთვნოდნენ. აქედან მოყოლებული რუსეთის ყველა მეფე თითო ხაბიჯით მიიწევდა წინ და იმის ცდაში იყო, კავკასიაში რაც შეიძლება მეტი თანამორწმუნე გადმოებირებინა თავის მხარზე. ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავის თანახმად, ჩერქეზეთის ერთი ნაწილი და ორივე ყაბარდო თურქებისაგან დამოუკიდებლად გამოცხადდა და რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცა[106]. ამრიგად, რუსები შეეცადნენ, უპირველეს ყოვლისა, ფეხი მოეკიდებინათ აქ. ისინი საოცარი ოსტატობით ახერხებდნენ ყველა მთავრის აჯანყებას ერთიმეორის მიყოლებით, რომ ამით უფრო მტკიცედ დემორჩილებინათ მთელი ქვეყანა.

როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოში ცალკეულ მთავრებს შორისაც დაიწყო ქიშპობა და უთანხმოებანი. ერეკლე (ქართლის მეფე[107]) პრეტენზიებს აცხადებდა თავისი მეზობლის იმერეთის მეფის სოლომონის[108] სამფლობელოზე. სოლომონ მეფე, რომელიც უძლური იყო მარტო გაეწია წინააღმდეგობა ერეკლესათვის, დაუკავშირდა სამეგრელოს მთავარს — დადიანს[109]. ერთი წარმომავლობის ხალხს შორის საშინელი ომი გაჩაღდა. ეს ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, სანამ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ დაიღუპა ხმლისა, შიმშილისა და ეპიდემიისაგან. აუცილებელი გახდა საქმეში მფარველის ჩარევა, რომელმაც იმას მიაღწია, რომ ქართლის მეფემ (ანუ საქართველოს მკვიდრთა მეფემ) თავისი სახელმწიფო რუსეთს უანდერძა, ხოლო მეორე — იმერეთის მეფე — განდევნილ იქნა[110].

ამიერკავკასიის ქვეყნებში ასეთი წარმატების შემდეგ რუსეთმა თავისი ბედი სცადა მთიანი ქვეყნების მმართველებთან — ჩერქეზების, ლეკებისა და ჩეჩნების; ერთი სიტყვით, როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის მთავრებთან. რუსეთი ყველგან უთანხმოებას და მტრობას თესავდა. მაშინ როცა ზემოთ დასახელებული ხალხების მთავრები თვით აჩანაგებდნენ საკუთარ მიწას და აღვივებდნენ სიძულვილს ერთმანეთის მიმართ, მაშინ როცა თავის მხრივ კავკასიურმა ანდაზამ „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ თავისი თავი გაამართლა. რუსეთი თავის მხრივ დაპირებების, მოსყიდვისა და პირფერობის საშუალებით ცდილობდა გამოეძებნა საშუალებები და გზები, რათა რაც შეიძლება

მეტი ბელადი გადაებირებინა. სწორედ ამ მიზნით დაადგინეს გაეყვანათ გზა კავკასიაზე · გავლით ვლადიკავკაზიდან[111] თბილისამდე, რომლის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი დაცული იქნებოდა სიმაგრეებითა და გარნიზონებით და რუსეთის იმპერიას შეაერთებდა ამიერკავკასიის თავის პროვინციებთან, როგორიცაა: სამეგრელო, იმერეთი და საქართველო. ადვილი წარმოსადგენია როგორი ეჭვები აღძრა ამ ამბავმა კავკასიის ხალხებში. ხალხმა იარაღს მოჰკიდა ხელი და ამოხოცა მოღალატე მთავრები. დაიწყო ისტორიაში უმაგალითო ომი.

ყველაზე უფრო დაზარალდა ორივე ყაბარდო[112], ჩეჩნების ქვეყანა და ჩრდილოეთ დაღესტანი, ვინაიდან ისინი ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრნი არიან და ზედ რუსეთის საზღვართან მდებარეობენ. სწორედ ამ დროს მოევლინა ამ დაჩაგრულ ხალხს ევროპაში ნაკლებად ცნობილი ბელადი, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება კავკასიის ქვეყნების მატიანეში. ეს არაჩვეულებრივი ადამიანი ნამდვილად ზეკაცური ძალით იყო დაჯილდოებული. მან სწრაფად შემოიკრიბა თავის გარშემო დაღესტნის ლეკებისა და ჩეჩნების მთავრები. ის ომში მამაცი, ხოლო სახლში ბრძენი და მჭერმეტყველი იყო და თავის თავში აერთიანებდა სამ პიროვნებას: ბელადს, მოძღვარს და წინასწარმეტყველს, რითაც იგი თავის მებრძოლებს საგმირო საქმეებზე აღანთებდა. ეს კაცი ელიას მანსური გახლდათ. ის პირველი იყო, რომელმაც სხვადასხვა ტომები გააერთიანა და ერთსულოვნად აამოქმედა. კავკასიაში იგი სიკვდილამდე უსაზღვრო გავლენით სარგებლობდა. მისი მოღვაწეობა მხოლოდ ჩეჩნების ქვეყნით როდი შემოიფარგლება. იგი ყველგან ეძებდა ერთმანეთის მოქიშპე მთავრებს და ტომებს და ცდილობდა მათ შერიგებას, რათა ერთიანი ძალით გაელაშქრათ. საერთო მტრის — რუსეთის წინააღმდეგ. იგი ხან ყუბანის სანაპიროზე მცხოვრებ ნოღაელთა[113] სათავეში იდგა, ხან აღმოსავლეთში ჩეჩნებისა და ლეკების მეთაური იყო მას, როგორც იმამს და წინასწარმეტყველს, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ხალხი, მისი ხანგრძლივი და დიდებით მოსილი ცხოვრება იმით დამთავრდა რომ 1791 წელს ანაპის ალყის დროს მანსური რუსებს ჩაუვარდა ტყვედ. მას აქეთ მის შესახებ არაფერი სმენიათ.

კავკასიის ომების რუსი ისტორიკოსები მანსურ-ბეის ცრუ წინასწარმეტყველს უწოდებდნენ, რადგან იგი რამდენიმე ევროპულ (?) ენაზე ლაპარაკობდა და ომის წარმოების ევროპული ხელოვნების კარგ მცოდნედ ითვლებოდა. ამიტომ აქა-იქ (ზოგიერ-

თები) ფიქრობდნენ, რომ ის პოლონელი რენეგატი უნდა ყოფილიყო. ბაგრამ ეს ცნობები არ ემთხვევა ჩვენს თურქულ წყაროებს, რომლის მიხედვითაც მანსურ-ბეი სულთან ჯელალ-ად დინის[114] შეიამოსავალია (ეს უკანასკნელი ჩინგის-ხანის[115]. შემოსევამდე სპარსეთის დიდი ნაწილის, საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების მფლობელი იყო).

როგორც არ უნდა იყოს, ელიას მანსური მაინც მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო, თავისი დროის ნაპოლეონი და, ცხადია, ყველაზე საშიში მტერი, რომელიც კი რუსეთს ამ მხარეებში ჰყოლია. მანსურის წარმატებები, უმთავრესად მისი პოლიტიკური სისტემის შედეგი გახლდათ: იგი ახერხებდა ამ სისტემის ისე წარმოდგენას, როგორც მას აწყობდა და უნარიც შესწევდა დეემტკიცებინა ერთობის უპირატესობა. ამ სისტემას დაღესტნის ბელადები დღემდე მისდევენ. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ კავკასიის მთელი მოსახლეობა (ლეკები და ჩეჩნები) მხოლოდ ნახევარ მილიონს აღწევდა, ისინი მაინც ახერხებდნენ რუსების დამარცხებას, რომელთა ხელშიც იყო ახალი სამხედრო ტექნიკის ყველა მიღწევა. ამ მხრივ მათ იშვიათად თუ მოეძებნება ტოლი.

მანსურ-ბეის შემდეგ, ოცდანი და ოცდაათიანი წლების დასაწყისში (ორმოცდაათწლიანი შესვენების შემდეგ) დაღესტანში აღზევდა ახალი წინასწარმეტყველი ყაზი-მოლას სახით. იგი თავისი წინამორბედივით იშვიათი დამაჯერებლობით აღაფრთოვანებდა თავის თანამებრძოლებს საგმირო საქმეებისადმი და სულ მალე მიაღწია იმას, რომ მთელ კავკასიაში გავარდა ხმა დაღესტნის გამარჯვებათა შესახებ. იგი დიდხანს იბრძოდა წარმატებით რუსეთის წინააღმდეგ. სანამ საბოლოოდ მტერმა მას ალყა არ შემოარტყა საკუთარ ციხესიმაგრე ახულგოში[116], რომლის აღების შემდეგ წინასწარმეტყველი დაღუპულთა შორის აღმოჩნდა.

ყაზი-მოლა იმ ფანატიკოსთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც მტკიცედ სწამდათ თავისი ღვთაებრივი მისია. ცხოვრებაში იგი მრავალ განსაცდელს გადაურჩა, რამაც მას თანდათან განუმტკიცა ეს ცრუ რწმენა. ყაზი-მოლას სწამდა, რომ ურწმუნოთა ტყვია და ხმალი მას ვერაფერს დააკლებდა. ამიტომ თავი შეუვალად მიაჩნდა. შეტაკებისას შეუდრეკელი, ბოლოს მაინც ბრძოლის ველზე დაეცა, ხოლო მისი გვამი მოზეიმე მტერს ჩაუვარდა ხელში.

ელიას მანსურის წამოწყებული საქმე, რომელიც ნახევარი საუკუნის შემდეგ ყაზი-მოლამ გააგრძელა, იგივე აღფრთოვანებით

აიტაცა შამილ-ბეიმ. ისიც ერთდროულად პაპია, რომლის სიტყვაც უცილობელ კანონად ითვლება, წინასწარმეტყველია, რომელიც თავისი ‘მთაგონებული სიტყვებით აღანთებდა წმინდა მებრძოლთა რაზმებს ბრძოლის რწმენით და ჟინით. იგი თვითაა მთავარსარდალი, რომელმაც თავისიანების გამარჯვებისა და ურწმუნოთა გასანადგურებლად ხმარი აღმართა. დიდად სახელგანთქმულ შამილს ისეთი საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გავლილი, რომ მისი ბრძოლა რუსთა წინააღმდეგ, ისევე როგორც პირადი თავგადასავალი, იძლევა მრავალი საინტერესო და პიკანტური მოთხრობების შექმნის შესაძლებლობას. იგი დაბადებული უნდა იყოს ამ საუკუნის დასაწყისში, სოფელ გიმრში[117], ჩრდილოეთ დაღესტანში. კავკასიის უწინდელ და ახლანდელ წინამძღოლებთან შედარებით მას დიდი უპირატესობა ჰქონდა: იგი დიდის მზრუნველობით აღზარდა მოლა ჯელალედდინმა[118] მანსურ-ბეის ძმისწულმა და მოწაფემ, რომელიც მთელს აღმოსავლეთში უგანათლებულეს და ყველაზე მჭევრმეტყველ კაცად ითვლებოდა და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა დიდი გამოცდილებისა და სიბრძნის გამო. მისი წყალობით შეისწავლა შამილმა არაბული ენა, ისტორია, ლიტერატურა და ფილოსოფია. მასვე უნდა უმადლოდეს იგი თავის არაჩვეულებრივ მჭევრმეტყველებასაც. შამილის მოწოდებები კავკასიელი მოსახლეობისადმი (რომელსაც ის საჭირო შემთხვევაში მიმართავდა რუსი გენერლების ყალბი და მკვეხარა მანიფესტები საპასუხოდ) უტყუარი საბუთია იმისა, რომ იგი, ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ გონების ქმნილებას დაჩრდილავს.

შამილი ეკუთვნის იმ არაჩვეულებრივ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც დროდადრო ჩნდებიან აღმოსავლეთში და არა მარტო აღმოსავლეთი, არამედ დასავლეთიც განცვიფრებაში მოჰყავთ თავისი ორმა სიბრძნითა და გამჭრიახობით. მაშინ როდესაც თურქები და სპარსელები ბრმა ფანატიზმით შეპყრობილნი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ და ვერ გადაეწყვიტათ ვინ უნდა შეემოსათ წინასწარმეტყველის კანონიერი საბურველით ალი თუ ომარი, ხოლო ბერძენთა და რომაელთა ეკლესია ამბოდ კამათობდა იმის გამო, ვისი რწმენაა უფრო ჭეშმარიტი, სწორედ ამ დროს დაღესტნის წინასწარმეტყველმა შეძლო გამოეძებნა საშუალება, რათა დაეახლოვებინა ერთმანეთთან ომარისა და ალის[119] მიმდევარნი და არა მარტო ისინი, არამედ მთის ყველა ხალხი, განურჩევლად რწმენისა და გაეერთიანებინა ისინი სიძულვილის ნიშნით მოსკოვური დესპოტიზმის წინააღმდეგ. და წარმატებასაც მიაღწია.

შამილმა ათასობით რუსი ჯარისკაცი გადაიბირა თავის მხარეზე და დიდი რაოდენობით შემოიკრიბა თავისი მომხრეები., ე. წ. „მიურიდები“[120] ანუ მურთაზიტები[121], რომლებიც ყველა მის სურვილს ასრულებდნენ და ყველაფერში ხელს უწყობდნენ. გარდა ამისა, მან თანდათან შექმნა დიდი ჯარი, რომელიც დაახლოებით 50 000 კაცისაგან შედგებოდა და ბრმად ენდობოდა მას, შამილის ჯარი უმეტესად კავკასიის სხვადასხვა ტომების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, მათ შორის იყვნენ აგრეთვე უცხოელებიც (?), ძღმოსავლეთ ევროპისა და აზიის თითქმის ყველა მხრიდან ჩამოსული. შამილმა წარმატებით გაატარა დაღესტანში სხვადასხვა ხასიათის რეფორმები[122]. უპირველეს ყოვლისა, სათავეში ჩაუდგა შექმნილ ხელისუფლებას, რომელსაც უმაღლესი სასამართლო ფუნქციები ჰქონდა. საფოსტო სადგურები უმალ აცნობებდნენ მას და მთელ ქვეყანას ყოველივეს, რაც ხდებოდა. პოლიციელთა მსგავსი მოხელეები მიდი-მოდიოდნენ ქვეყანაში და იცავდნენ მოგზაურებს, რომელთა მოსათავსებლად საზოგადოებრივი სასტუმროებიც იყო აგებული. ამისთვის შამილმა გაადიდა გადასახადები, რაც ადგილობრივ მკვიდრთათვის დიდად საგრძნობი არ იყო და თავისთავად ცივილიზებული ქვეყნის ადათ-ჩვეულების აშკარა მიბაძვას წარმოადგენდა. შამილის ჯარისკაცები რეგულარულად იღებდნენ გასამრჯელოს. ოფიცრებს დამსახურებისათვის ჯილდო ეძლეოდათ სხვადასხვა ხარისხის ორდენები. ამას გარდა შამილი ცდილობდა ხალხში გმირული სულის გაღვიძებას საჩუქრებით, ფულით ან მიწით, და ამ გზით სამსახურში ერთგვარი შეჯიბრების დანერგვას. ყველა ამ სიახლეს იგი უნდა უმადლოდეს ევროპულ დისციპლინას. ჯარი რომ უფრო მოქნილი ჰყოლოდა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად (რომლებიც რიცხვით აღემატებოდნენ მათ), იგი ასევე მადლობელი უნდა იყოს მეგობრისა და თანამებრძოლის დანიელ-ბეის (რომელიც ადრე რუსეთის მომხრე იყო და რუსეთის ჯარის სამსახურში გენერლის ჩინსაც კი მიაღწია). ახლა კი ის შამილის მხარეზე გადავიდა მისი მარჯვენა ხელი გახდა. ხოლო რუსებისათვის კი უფრო მეტად საშიში მტერი;

რუსეთში გავრცელებულ ხმებს თუ ვირწმუნებთ, მაშინ შამილი უნდა მივიჩნიოთ ახალი (?) რწმენის წინასწარმეტყველად და გამომცხადებლად. თავისი მრწამსით შამილი თავისუფალი მოაზროვნეა იგი შემწყნარებლურად ეკიდება სხვა რელიგიის მიმდევრებს. მან თავისი ისლამიდან უარყო ზოგიერთი ცრუ და უაზრო შეხედულება. ასე რომ, მას აღარც შეიძლება თავისი სახელი (ისლამი)

ეწოდოს. სწორედ ამ გარემოებამ შეუწყო ხელი მის წარმატებებს და ქვეყანის ევრდომების მისდამი ასეთ ერთგულებას. მტრული სექტის მიმდევრებიც კი დიდ პატივს სცემდნენ შამილს. ეს სახეშეცვლილი მაჰმადიანობა, რა თქმა უნდა, სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ცხოვრებაში იგი პირველად შამილმა დანერგა. მისი თავდაპირველი წარმომავლობა არაბეთში უნდა ვეძებოთ. კავკასიაში იგი პირველად ელიას მანსურმა იქადაგა. ისევე როგორც საერთოდ ისლამი, ეს სექტაც ძირითადი დებულებების მიხედვით უნდა განვიხილოთ როგორც პოლიტიკური რელიგია, რადგანაც იგი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოითხოვს და უარყოფს მაჰმადიანობის დამამცირებელ მატერიალიზმს.

შამილი ლეკი ხალხის ჩამოყალიბებული წარმომადგენელია. ზოგი მოგზაურის მტკიცებით, წარმოშობით სარაცინებისა[123] და ალანების ნარევი უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს არა მარტო მისი სახის მტკიცე და ნათელი გამომეტყველება, მაგარი აგებულება და სხეულის ნაკვთების პროპორციულობა (რაც ყველა ლეკისთვისაა დამახასიათებელი), არამედ მისი დაუღალავი შრომისმოყვარეობა, სიმხნევე, შეუპოვრობა საქმესა და სიძნელეებში, სიმტკიცე და უსაზღვრო სიმამაცე. რაც მას თავისი სამშობლოს დაცვისათვის წარმოებულ ყველა ბრძოლაში ეხმარებოდა. სამწუხაროდ, ლეკებს საშინელი მანკი ახასიათებს, რაც დროდადრო საშინლად ვლინდება და რომელიც რუსებს ძალიან აწყობთ. ეს გახლავთ სისხლის აღების ყოვლად შემაძრწუნებელი წესი: სისხლის გამოსყიდვა მხოლოდ სისხლით შეიძლება. კავკასიელს მიაჩნია, რომ სანამ მოკლულის გამო შურს არ იძიებს, მიცვალებულის სული ვერ მოისვენებს. აქედან გამომდინარე, როდესაც ლეკი ბრძოლის ველზე დაეცემა, მისმა ახლობელმა ნათესავმა ან მეგობარმა შური უნდა იძიოს, ვიხაიდან ეს შურისძიება თაობიდან თაობას გადაეცემა; მასთან ერთად იზრდება საშინელი სიძულვილი მათი დაუძინებელი მტრების — რუსების წინააღმდეგ. მოკლულის სულის საცხონებლად შეწირული მსხვერპლი განიხილება როგორც მისი სულისადმი ერთგულების ფიცის შესრულება. ბუნებრივია, ამ ვითარებაში ძალზე მძიმეა საწყალი რუსი ჯარისკაცის მდგომარეობა, თუ იგი შემთხვევით ჩაუვარდა ლეკ ფანატიკოსს ხელში, არავითარი ხსნა არ არსებობს, მით უფრო, თუ შეგნებული და საქმეში ჩახედული კაცი არ აღმოჩნდება ამ დროს ადგილზე. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ შამილმა, მას აქეთ, რაც ხელისუფლების სათავეში ჩადგა, ყველა ღონე იხმარა (როგორც საკუთარი მა-

გალითით, ასევე მკაცრი სასჯელით), რათა ბოლო მოეღო ამ სისხლიანი სისტემისათვის. სამწუხაროდ, ეს ცდა დღემდე წარუმატებელი დარჩა. მას დიდი შრომა დასჭირდა, რომ ზოგიერთ მხარეში მაინც დაენერგა ჩერქეზული კანონი, რომლის მიხედვით მკვლელს შეეძლო ფულით გამოესყიდა დანაშაული. ამ კანონმა აღმოსავლეთზეც იქონია გავლენა. თუმცა ჩვენთვის სრულიად გაუგებარია ლეკების ეს ულმობელი შურისძიება, რომლის კანონიც ღაღადებს: „მან დალვარა ადამიანის სისხლი, ამიტომ მისი სისხლიც სხვა ადამიანის მიერ უნდა დაიღვაროს". ამ კანონს დიდი გავლენა აქვს ხალხზე, განსაკუთრებით კი ასეთი მგზნებარე ტემპერამენტის მქონე ადამიანებზე. მაგრამ თუ კი ისინი ერთურთს განუდგნენ, მათ შორის ბრძოლა არ გრძელდება ისე დიდხანს და შედეგებითაც არაა ისე გამანადგურებელი, როგორც ეს მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო.

შამილმა თავისი სამხედრო ცხოვრება მიურიდობით დაიწყო, მისი წინამორბედის, ყაზი-მოლას მცველ რაზმში. იგი თავის ტოლებში გამოირჩეოდა უმწიკვლო ქცევით, დიდი სიდარბაისლითა და სიმამაცით. თავის დღევანდელ მდგომარეობას იგი უნდა უმადლოდეს საოცარ შემთხვევას, რომელიც დღემდე საიდუმლო რჩება, როდესაც გიმრის ციხესიმაგრეს (ეს შამილის დაბადების ადგილია) ალყა ჰქონდა შემორტყმული. მიურიდებისაგან შემდგარმა გარნიზონმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეცვა თავისი ბეთაური ყაზი-მოლა. ვინაიდან ეს მორწმუნე მიურიდის თავისებური ფიცია, ამიტომ მათ მხეცურად გაჟლიტეს რუსები. გენერლებმა როზენმა[124] და ველიამინოვმა ასევე მტკიცედ გადაწყვიტეს აეღოთ ციხესიმაგრე, რათა ამ გზით ჩაეგდოთ ხელში საშიში წინასწარმეტყველი ყაზი-მოლა. ამისათვის გამოიძახეს ახალი მაშველი რაზმები, გადაკეტეს ყველა გასასვლელი, რომ გაქცევის შესაძლებლობა მოესპოთ მტრისათვის; ზარბაზნებს ისროდნენ იქამდე, ვიდრე ციხესიმაგრე ნაცარტუტად არ იქცა. შემდეგ ციხესიმაგრეს საიერიშო კიბეები მიადგეს და თუმცა მოიერიშეები რამდენიმეჯერ უკუაქციეს თავის კიბიანად, ბოლოს ახულგო ნანც ხელში ჩაიგდეს რუსებმა[125]. სიკვდილისათვის გამზადებული მიურიდები უმაგალითო გმირობით იცავდნენ. ციხესიმაგრის ყოველ გოჯს. როდესაც იმედი გადაეწურათ, საკუთარი სხეულით საყვარელი ბელადის გარშემო კედელი აღმართეს: გაცოფებულმა რუსმა ჯარისკაცებმა ყველანი გაჟლიტეს, მამაცთა გვამები კი ციხესიმაგრიდან ქვევით უფსკრულში აქაფებულ ყო-

ისუში[126] ბადაყარეს. ეს მოხდა 1832 წლის 14 ოქტომბერს. მთელმა დაღესტანმა დაიტირა თავისი საყვარელი წინასწარმეტყველი და მამაცი მიურიდების რაზმი. ორი წლის შემდეგ, როდესაც გიმრში გამოაცხადეს ახალი წინასწარმეტყველი ჰამზად-ბეი[127], მას რუსებმა კვლავ ალყა შემოარტყეს. სწორედ იმ მომენტში, როდესაც გარნიზონი მზად იყო დანებებოდა მტერს, გამოჩნდა შამილი, რომელსაც უკვე დაღუპულად თვლიდნენ, მთიელების მრავალრიცხოვანი რაზმით და მამაცურად განდევნა რუსები. ამ დროიდან ბედმა ისევ უმტყუნა რუსებს. ზეცა რომ გადახსნილიყო და თვითონ მუჰამედი გამოჩენილიყო ცეცხლოვანი ეტლით, ისე არ აღელდებოდა მთელი დაღესტანი, როგორც შამილის უეცარმა მკვდრეთით აღდგომამ გამოიწვია. ვის შეეძლო ამის შემდეგ ოდნავ მაინც შეპარვოდა იმაში, ეჭვი, რომ შამილი მართლაც ღმერთის მიერ არ იყო მოვლენილი, რომ ღმერთმა დალოცა იგი და თავისი ქვეყნის მხსნელად დანიშნა. ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა მთელმა დაღესტანმა აირჩია იგი თავის ბელადად და წინასწარმეტყველად. ხოლო მისი გმირული საქმეების შესახებ იციან არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელს ევროპაში.

ახულგოს განმეორებითი იერიშის შემდეგ შამილი ისევ გაქრა. (ახულგო ერთ-ერთი უმტკიცესი ციხესიმაგრეა დაღესტანში). რუსები ცდილობდნენ მოესპოთ სიცოცხლის ყოველგვარი ნიშანწყალიც კი როცა დაინახეს, თუ როგორ იბრძოდა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი შამილი. ამიტომ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლაში ისიც დაიღუპა. სწორედ იმ დროს, როდესაც დაღესტანი თავის მძიმე დანაკლისს გლოვობდა, რუსები კი თავიანთი მოსისხლე მტრის სიკვდილის სამადლობელო პარაკლისს იხდიდნენ, უეცრად ხელახლა გაისმა შამილის შიშისმომგვრელი სახელი. მისი წინამძღოლობით ავარეთში[128] მოულოდნელად შემოიჭრა ლეკებისა და ჩეჩნების 15000-იანი რაზმი. მათ დაანგრიეს ყველა სიმაგრე, რომელიც რუსებმა ასეთი გაჭირვებით ააგეს. და ცეცხლითა და მახვილით გაანადგურეს რუსების ქვეშევრდომ ხალხთა მიწები ჩვენ არ გვსურს ვამტკიცოთ, თითქოს შამილი ყველაფერს თავისი სახელისათვის სჩადიოდეს, რადგან ვერ უარვყოფთ იმ უდიდეს პატივისცემას, რომლითაც გარემოცულია ეს ნამდვილად დიდი ადამიანი და მებრძოლი. ჩვენის აზრით ყოველივეს დიდად შეუწყო ხელი იმ იდუმალებამ, რომლითაც მისი პიროვნებაა მოცული. სასწაულებს ყოველთვის დიდი ძალა აქვს ცრუმორწმუნეთა შორის. ეს კიდევ უფრო არწმუნებდა ხალხს იმაში, რომ ადამიანი,

რომელიც ამდენ საფრთხეს გადაურჩა, უთუოდ ზეციდან არის მოვლენილი ღვთის მისიის აღსასრულებლად და ღმერთი იფარავს მას; მიწიერ ძალებს კი არ ძალუძთ მას ხელი შეუშალონ. შამილმა, რომელიც თავის თანამემამულეებს კარგად იცნობს, იცის, რომ დროდადრო საჭირო იყო რაღაც განსხვავებულით შენელებული სიმამაცის ახალი ძალით გაღვივება, რადგან, მიუხედავად დიდი გმირობისა და გამძლეობისა, მტრის გამუდმებული შემოსევების წყალობით ისინი შეიძლებოდა მისცემოდნენ სასოწარკვეთას, მით უმეტეს, რომ მტერი გამუდმებით გზავნიდა ახალ-ახალ ჯარებს, რომელიც ისე ურიცხვი იყო, როგორც ზღვაში ქვიშა.

თავი VI

შამილ-ბეი

შამილს სახელმწიფო ნიჭი. — მისი არაჩვეულებრივი ცხოვრების გზა. კავკასიის გვერდიასი. — შამილის გამოჩენა, მისი გამოცდილება; ბრწყინვალე მხედარი; ბრძოლის წარმართვის ნიჭი — სიძნელეები კავკასიის დაპყრობის დროს.

რუკას თუ დავხედავთ, დავინახავთ, რომ ამჟამად დაღესტანი ანუ კავკასიის აღმოსავლეთი შამილის საგმირო საქმეების ასპარეზად იქცა. კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს მთაგორიან სამკუთხედს, რომლის ყველაზე დიდი გვერდია კასპიის ზღვის სანაპირო ცნობილი დაღესტნის სახელწოდებით. ხსენებული ავარია შუაში მდებარეობს; ჩრდილოეთით მას ჩეჩნების ქვეყანა ესაზღვრება. როდესაც დაღესტანს კასპიის ზღვიდან უყურებ, მთელი ქვეყანა, თავისი უთვალავი კლდეებით (სადაც ხეები და სიმწვანე ნაკლებად გვხვდება) მოგზაურზე უდაბნოს შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგრამ როგორც კი კლდეების რიგს გასცდებით, მყისვე გაოცებთ კონტრასტი, რომელიც ნამდვილ არკადიას მოგაგონებთ. სამაგიეროდ ქვეყნის შიდა ნაწილი ხეობებისა და ქვაბებისაგან შედგება. ისინი ძალზე ნაყოფიერია, ყოველივე შოჭარბებით მოიპოვება და კარგი ჰავა აქვთ. უფრო ღრმად ჩანს ზეგანი, სადაც მოშენებულია დიდი რაოდენობის საქონელი და კავკასიის ჯიშიანი ცხენები.

რუსი ოფიცრები, რომლებიც დაღესტნისა და ავარიის ქვეყნის სიღრმეში არიან ნამყოფნი, მიმტკიცებდნენ, რომ მათ ხშირად

უნახავთ მთის ფერდობებზე მზის მხარეს გაზრდილი ვაზი (?), რომლის ღერო სიგანეში სამ ფუტს აღემატებოდა. ასევე გვხვდება აქ კაკლის ხეები და გიგანტური ჭადრები. ისინი გაოცებულნი იყვნენ მცხოვრებლების შრომისმოყვარეობით (განსაკუთრებით სოფლის მცხოვრებლებისა) და იმ ოსტატობითა და გონივრულობით, რომლითაც მათ გაჰყავთ სარწყავი სისტემა. ოფიცრები განსაკუთრებით აქებდნენ მათს ხიდებსა და წისქვილებს, რომლებიც ნაწილობრივ ხელოვნური რუების საშუალებით მოჰყავდათ მოძრაობაში. სხვადასხვა ნაწარმიდან გამოირჩევა საუკეთესო ხარიხის აბრეშუმი. მათ ღვინოს ბევრი საერთო აქვს ესპანურთან. საბწუხაროდ, იქ ღვინის შესანახად ჯერაც ტიკებს ხმარობენ და არა კასრებს.

ეს გახლავთ ის ქვეყანა, რომელსაც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ერთპიროვნულად მართავს შამილი, როგორც შეუზღუდველი ხელისუფალი. შამილი მის წინააღმდეგ გაგზავნილ ყველა რუსის გენერალს შეებრძოლა, დაწყებული პასკევიჩიდან[129] — ვორონცოვამდე. შამილმა რომ მოღვაწეობა დაიწყო, დაღესტნის დიდი ნაწილი რუსეთის პროვინციას წარმოადგენდა. ამჟამად იგი არა მარტო მთელი ამ ქვეყნის მფლობელია, ავარეთის ჩათვლით, არამედ ჩეჩნების ქვეყნისაც და მთელი მთის მხარისა, თვით იმერეთამდე, სამეგრელომდე და საქართველომდე[1]. შესაძლოა ეს ხალხი საქვეყნოდ არა სცნობს შამილის ბატონობას, მაგრამ გულში მაინც მას ემხრობიან. შამილი დაკავშირებულია ჩერქეზ ბელადებთან როგორც კავკასიის შიგნით, ასევე შავი ზღვის სანაპიროზე; იგი არაერთხელ იყო ჩერქეზეთში, რათა მისი ბელადები თავის მხარეზე გადმოებირებინა. ერთიანი მოქმედების საჭიროება ჯერ კიდევ შეიხ მანსურმა და ყაზი-მოლამ შეიგნეს.

ყველა თავის მოქმედებაში შამილი ხელმძღვანელობდა რელიგიით. თვითონ მუჰამედიც კი ვერ შეძლებდა ასე ოსტატურად შოენადირებინა ადამიანთა გულები და ასე ხანგრძლივად დაემკვიდრებინა ბატონობა, როგორც ეს შეძლო შამილმა. გარდა ამისა,

---

[1] ეს არ არის სწორი. შამილი მხოლოდ დაღესტნისა და ლეკეთის შუა ნაწილის და სამხრეთ ჩეჩნეთის შეუზღუდავი მფლობელი იყო[130]. სამხრეთით მისი სამფლობელო ქართულ პროვინციას—კახეთს ესაზღვრება. სწორედ მათ დაესხა [შამილი თავს, რომლის შგსახებაც გვამცნობდნენ ამ წლის გაზეთები. იმერეთი ძალზე მოშორებით] მდებარეობს, ხოლო სამეგრელომდე ას მილზე მეტია. ამ ქვეყნის ხალხებთან გაერთიანება ძალიან ძნელი იყო შამილისათვის, რომ არა ვთქვათ შეუძლებელი. კ. კოხის შენიშვნა.

შამილი გამოცდილი მებრძოლი, მჭერმეტყველი (მოძღვარი) და ნამდვილად შორსმჭვრეტელი სახელმწიფო მოღვაწეა. საოცარ გონიერებასთან ერთად იგი მეტად მტკიცე და ურყევია ყველა საქმეში, რომელსაც ხელს მოჰკიდებს. ერთი სიტყვით, ისეთი ადამიანია, რომელიც შემთხვევას არ დაკარგავს, რომ თავისი სიქველე მხოლოდ სამშობლოს სამსახურს მოახმაროს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას ბრძოლა უხდება ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც ძალების უზარმაზარი მარაგი გააჩნია. ამას გარდა, მის ზოგიერთ წინამძღოლს შამილის დიდებისა შურდა. დიდი ენერგია დასჭირდა შამილს რათა დაერაზმა მისი დროშის ქვეშ ნახევრად ველური ურდოები. ამას ემატებოდა ფიქრი და ზრუნვა იმაზე, რომ უვნებელეყო რუსი აგენტების ოსტატურად დახლართული ხრიკები, რომელიც მიზნად ისახავდა მისი ძალაუფლების დამხობას. ყოველივე აქედან გამომდინარე, სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ შამილს უდავოდ ერთ-ერთი პირველი ადგილი მიეკუთვნება ყველა დროის უნიჭიერეს ადამიანთა შორის.

რაც შეეხება ჯარების იმ რაოდენობას, რომელიც კავკასიას შეუძლია რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანოს, მეტად ძნელია ზუსტი რიცხვის დასახელება. ქვეყანაში, სადაც ყველა მამაკაცი შეიარაღებულია და სადაც თვით ქალებიც ხშირად უდგანან მამაკაცებს მხარში და ველზე დაცემულთა ადგილს იკავებენ, რიცხობრივი სიმრავლე მნიშვნელოვანი უნდა იყოს. სხვანაირად გაუგებარია, როგორ ახერხებენ კავკასიელები ასეთი ხანგრძლივი ბრძოლის მიუხედავად ყოველთვის საკმარისი ხალხის გამოყვანას საომრად. მართალია კავკასიელი გვერილიასები იშვიათად აწარმოებენ სწორ და წესიერ ბრძოლას, იმის გამო, რომ ისინი კარგად იცნობენ ადგილმდებარეობას, მათი ზარალი ომში რუსებთან შედარებით უფრო ნაკლებია, მაგრამ ხალხი მაინც იღუპება. ამრიგად, დაღესტანი თავისი ფრიალო კლდეებით (განსაკუთრებით ეს ეხება კასპიის ზღვის პირას მდებარე ნაწილს) დამხმარე საშუალებების ნაკლებობის მიუხედავად შამილის მიმდევრების მნიშვნელოვან თავშესაფარს წარმოადგენს. აქ მათ შეუძლიათ როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფებად ახლომდებარე რუსულ სიმაგრეებს გამუდმებით დაესხნენ თავს და უფრო ადვილად და წარმატებით აწარმოონ პარტიზანული ბრძოლა.

კავკასიელი გვერილიასების მსგავს არარეგულარულ ჯარისკაცს სხვა ქვეყანაში ვერ შეხვდებით. ჭკუადამჯდარი და თავშეკავებული, მძიმე შრომასა და გაჭირვებას შეჩვეული გვერილიასი შეტე-

ვაზე წასვლისას დიდი ბარგით არ იტვირთავს თავს. მისი ბარგი მარტო ფეტვით სავსე ტომარაა და მაწვნის (მეავე რძის) მსგავსი საჭმელით (სქუ) სავსე ტყავის გუდა. რაც შეეხება სხვა სანოვაგეს, მას იგი ნადირობის დროს შოულობს. მისი საწოლია კარგად დაცული გამოქვაბული კუთხე ან ნაპრალი, ხოლო საბნის მაგივრობას უწევს ნაბადი, რომელიც შედარებით უფრო პატარა ზომისაა, ვიდრე ჩვენი ჟურქი. ხამლები დათრიმლული ტყავისაგან არის გაკეთებული და მის მუდმივ ფეხსაცმელს წარმოადგენს. ეს ფეხსაცმელები საშუალებას აძლევს გვერილიასს ხანგრძლივი დღის სავალი დაუღლელად გაიაროს და მშობლიური მთების შვეული კალთები ადვილად დაძლიოს.

მოძრაობაში კავკასიელი საოცრად სწრაფია და შეუდარებლად მოქნილი. ის, სამწუხაროდ, მუდმივად განიცდის თოფისწამლის საგრძნობ ნაკლებობას. მის საშოვნელად იგი ყველა ღონეს ხმარობს და არავითარ საფრთხეს არ ერიდება. მან კარგად იცის თოფისწამლის ფასი და ამიტომ ტყუილუბრალოდ არასდროს გაისვრის. კავკასიელი ცნობილია მიზანში ზუსტი სროლით. ის იმდენად გავარჯიშებულია, რომ ხშირად გაჭენებული ცხენიდან კლავს მტერს.

ნანახი უნდა გქონდეს მსოფლიოს ყველაზე სრულყოფილი მხედრის დაუჯერებელი სიმსუბუქე, მოხერხებულობა და სიმარდე, რათა კავკასიელი სათანადოდ დააფასო. ჩვენი დროის ეს კენტავრი[131] არა მარტო საოცარი სიზუსტით ისვრის ტყვიას, არამედ ასევე ჭკვირცხლად ვარდება ის მოჩვენებითად ცხენიდან, სინამდვილეში კი მუცელქვეშ ექცევა მას, რათა აიცდინოს მტრის ტყვია. მოულოდნელად გადმოხტება ძირს, ხელს ფაფარში წაავლებს ცხენს და თავის შესანიშნავად გაწვრთნილ თანამგზავრთან ერთად (რომელიც მის გაჭირვებასა და შრომას იყოფს) გადაეკვლება ხტუნვა-ხტუნვით ბორცვებს და თვალისდახამხამებაში ისევ უნაგირზეა.

მკითხველს თვითონ შეუძლია წარმოიდგინოს რა სწრაფი და მძაფრი ხასიათის არის კავკასიელების იერიში. ზვავივით დაიძვრებიან ხოლმე ისინი თავისი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ, ხოლო ირგვლივ მდებარე მთები კი მათი საომარი ყიჟინის შიშისმომგვრელ ხმას გამოსცემს. ჩალის ღეროსავით ამტვრევენ ისინი კაზაკების მიერ დახვედრებულ მაგარ ხიშტებს. ხშირად ბატალიონის შუაგულში შეიჭრებიან, არეულობა შეაქვთ მტრის რაზმში, შემდეგ კი ისევე სწრაფად გაუჩინარდებიან და მთების მიუვალ ჩეობებში ან უღრან ტყეებში ეძებენ თავშესაფარს. ისინი ისე სწრაფად უჩინარდებიან, რომ მათი უკანასკნელი გასროლისაგან დამ-

დგარი კვამლი და უეცარი იერიშით დაყენებული მტვერიც კი ვერ ასწრებს გაფანტვას, ხოლო პანიკური შიშით შეპყრობილი მტერი კი, არტილერიის გამოყენებას. მათი სიმამაცე და მტრისადმი სიძულვილი იმდენად დიდია, რომ მაშინაც კი, როცა თოფის-წამალი არ ყოფნით, მთელი დღე სხედან ჩასაფრებული უღრან ტყეში, ვიდრე რომელიმე უბედურ ჩამორჩენილ ჯარისკაცს არ დაინახავენ გზაზე; მაშინ თვალის დახამხამებაში მშვილდისრით შეიარაღებულნი დაესხმიან თავს, დაიჭერენ და ართმევენ ყველაფერს, რისი მოხმარებაც შეუძლიათ.

თავად ვორონცოვისაგან (რომელიც მშვიდობიანი საშუალებების გამოყენების მომხრე უფრო იყო) არაერთხელ გესმენია, რომ ამ მეომარი ხალხის დასამორჩილებლად საჭიროა ნახევარმილიონიანი ჯარი. ერთმა ნაწილმა უნდა დაიკავოს უღელტეხილები (რომლითაც დასერილია მთელი ქვეყანა), რათა სხვადასხვა მხარეთა მთავრებმა ერთმანეთთან კავშირის დამყარება ვერ შეძლონ. მეორე ნაწილი, პირიქით, დიდ რაზმებად უნდა დაიყოს, რომლებიც გვერილიასების სხვადასხვა ბანდებს დაუწყებენ დევნას. მარამ ამ გეგმის განხორციელება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და ალბათ განუხორციელებელიცაა. სახელდობრ, კავკასიაში იმდენად ბევრია მიუვალი ადგილები, რომ მის მოსახლეობას ნებისმიერ დროს შეუძლია მიატოვოს ველები და ხეობები და გაიხიზნოს მთების ზეგნებზე, რომლებიც აქ უამრავია და შესანიშნავად დაცულ ადგილსამყოფელს წარმოადგენენ, ხოლო იქაური ნაყოფიერი საძოვრები ჯოგის შესანახად კარგ პირობებს ქმნიან. ცხადია, ეს ადგილები ყველგან ციცაბო და მიუდგომელია იმათთვის, ვინც მათი საიდუმლო მისასვლელები არ იცის.

ისეთ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი მოძრავი იოლად შეიძლება გატანილ იქნას, წყლის წისქვილებიც კი (მარცვლეულის საფქვავი) და ყველაფერი, რაც ჯარის შესანახადაა საჭირო, თან შეიძლება წაიღო, ამიტომ საოკუპაციო არმიას აქ უსათუოდ ესაჭიროება სულ ცოტა ექვსი თვის სურსათ-სანოვაგის მარაგი. ამავე დროს თან უნდა იყოლიოს ხელოსნებისა და მუშების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომ ჯარს აუგონ საცხოვრებელი ბინები და სიმაგრეები, თორემ ჯარისკაცები ამოწყდებიან შიმშილისა და ავადმყოფობათა გამო.

კ. კოხი

მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნტამდე

(კოლხეთი და ლაზების ქვეყანა)

თავი I

სამეგრელო

რედუტ-კალე. — რუსული ზღუდეები. — ბაზარი. — აღმოსავლელი მზარეული, ანუ ქებაბჩი. — შამპანური. — ფოთი. — აღმოსავლური სიბინძურე. — არაჯანსაღი გარემო. — რიონი.. — ოფიცრის ბინა. — არგონავტების მოგზაურობა. — ძველი ფაზისი. — ხოხბები. — ბაგრატიდები და საქართველოს სამეფო. — სამეგრელოს მთავარი დადიანი. — პალიასტომის ტბაზე გასეირნება. — კოლხეთის უღრანი ტყე. — ვაზის სამშობლო. — კოლხური სურო. — რუსი საჭურისები.

შავ ზღვაზე გამოვლილი განსაცდელის შემდეგ, როგორც იყო მივადექით რედუტ-კალეს და ვიხილეთ უფერული ქალაქი, რომელსაც აღარაფერი შერჩენოდა თავისი ძველი ბრწყინვალებიდან. ჩვენი საუკუნის პირველ მეათედში იგი მნიშვნელოვანი საწყობი იყო ევროპული საქონლისათვის, რომელიც აზიის შიგნით, უმთავრესად სპარსეთში, განსაკუთრებით კი თავრიზში, იგზავნებოდა. შემდგომში რუსებმა იფიქრეს, უკეთესი იქნება აზიის შიგნით ადგილობრივ ნაწარმს თუ გავგზავნითო და ყველა უცხო სავაჭრო გემისათვის გადაკეტეს ნავსადგური. საეჭვოა, რომ ვინმე დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ ამით ამიერკავკასიის მოსახლეობას ნიშვნელოვანი შემოსავალი წყარო ეცლებოდა ხელიდან. შემდგომ ახალი სავაჭრო გზა გაიხსნა, რომელიც, მართალია, ყველა ევროპულ საქონელს თითქმის უსაფრთხოდ ატარებს, მაგრამ გაუთავებელ სიძნელეებს ქმნის ადგილმდებარეობის გამო. ეს არის დღევანდელი საქარავნო გზა ტრაპიზონიდან ერზერუმისაკენ[1].

ამაოდ ვცდილობდით გვენახა სილამაზით ნაქები ერთი ქართველი ქალი მაინც, რომელთაგან არაერთმა მისცა საბერძნეთის სამეფოს მმართველი; ჩვენ გვხვდებოდნენ ულამაზო სომხის ქალები და ულაზათო ტანსაცმელში გამოწყობილი უშნო რუსის დედაკაცები. მას შემდეგ რაც ბაზარს ევროპული საქონელი მოაკლდა, ცოტას შეხვდებით ფართო მოხმარების საგნებს და რასაც შეხვდებით, ისიც ძვირია. აქაური დუქნები მეტოქეობას ვერ გაუწევენ ჩვენს მადნიან მთებში ან ძველ ბავარიაში მდებარე ჭუჭყიან სოფლებსაც კი. აქ შეხვდებით ჩამოქნილ სანთლებს, ხორცს, საპონს, ჩინურ ჩაის, შაქარს, ზეთს, არაყს და სხვ., ყველაფერი ერთმანეთში ისეა არეული, თითქოს ერთი საქონელი იყოს. თუ დაინახავთ, რომ ხორცს ჭუჭყიანი ხელებით სჭრიან, არ შეიძლება გამყიდველს შენიშვნა მისცეთ ან ზიზღი გამოთქვათ, ზიზღიანობას აზიაში მალე გადაეჩვევით.

აღმოსავლური რესტორნები ძირფესვიანად განსხვავდებიან დასავლურისაგან. ისინი, ისევე როგორც სახელოსნოები, შენობის შიგნით კი არა, ქუჩაშია მოთავსებული. ცეცხლზე შემოდგმული ქვაბიდან გამუდმებით ამოდის ოხშივარი. როგორც კი რამდენიმე კაპიკის ხორცის ნაჭერს ამოიღებენ, მას მაშინვე სხვა ნაჭრით შეცვლიან. ქვაბის სისუფთაეზე არავინ ფიქრობს. გაუკვირდათ, როდესაც ამის შესახებ შევნიშნეთ. დიდი რაოდენობის ადგილობრივი საკაზმი, განსაკუთრებით ხახვი, ნიორი, ესპანური წიწაკა და სხვა მისთანანი, ხორცს საკმაოდ ცხარე გემოს აძლევენ. ევროპელებისათვის იგი მეტისმეტად ცხარეა. მეტწილად ცხვრის ხორცს ხარშავენ. აღმოსავლეთში არ უყვართ მსხვილფეხა საქონლის ხორცი. (სხვათა შორის, იგი არც ევროპელს მოსწონს), რადგანაც მსხვილფეხა საქონელი აქ სამუშაო ძალად იხმარება და ცხვარს კი ისე არ კვებავენ, რომ მისი ხორცი გემრიელი გამოდგეს. მართალია, ცხვარს ისე არ უვლიან, როგორც ჩვენთან საქონელს, მაგრამ ისინი წლების განმავლობაში საძოვრებზე არიან და იკვებებიან (განსაკუთრებით ზაფხულსა და შემოდგომაზე) მაღალი მთების ნოყიერი ალპური ბალახეულით. აღმოსავლელებს ძალიან

უყვართ ცხვრის მწვადები და ყიდულობენ ისეთ ხორცს, რომელიც უფრო ძვირი უჯდებათ.

იქ, სადაც რუსი იმყოფება, არასოდეს არ იგრძნობა შამპანურის ნაკლებობა. თუმცა რედუტ-კალეს მაღაზიებს, როგორც დასაწყისში უკვე აღვნიშნეთ, ძალიან ცუდად ამარაგებენ, შამპანურს იქ თითქმის ყოველთვის შეხვდებით. რუსს უყვარს საცობის ტკაცუნი და ღვინის შუშხუნი. საოჯახი დღესასწაულის დროს იგი ერთ ბოთლ შამპანურში ხალისით აძლევს ვერცხლის ოთხ ან ხუთმანეთიანს, ეს კი ხშირად მისი ერთი კვირის ხელფასია. კიდევ უფრო მეტ ხელგაშლილობას იჩენენ რუსი ოფიცრები მაგარი სასმელების მიმართ, რომლებიც ზოგჯერ მართლაც ნაკადულებად მოსჩქეფს. რუსი ოფიცერი მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობს, მაშინ როდესაც მას დამოკლეს მახვილივით ელოდება საშინელი მომავალი: შავი ზღვის ციებ-ცხელება და მტერი მთაში.

კაზაკური ცხენებით, რომლებიც გარეგნობით თავიანთ დაძაბუნებულ პატრონებს ჰგვანან, გავუდექით ზღვის სანაპირო გზას და 5 საათის შემდეგ ჩავედით ფოთში ანუ ფაშ-კალეში[2]. ეროი მხრიდან უზარმაზარი უღრანი ტყეები გვეკრა, მეორე მხრიდან შავი ზღვა, მშვიდი და ლაჟვარდოვანი. დაგვაინტერესა ქვიშიან ნაპირთან მდებარე ტყემ, რომელიც უმთავრესად შინდისა და კუნელის ბუჩქნარებისაგან შედგებოდა. გზას ხშირად ხვიარა მაყვლის ბუჩქები გვიღობავდნენ.

დროზე მივედით დანიშნულ ადგილას და დიდხანს ამაოდ ვეძებდით ბინას, ოდნავ მაინც რომ გამოგვდგომოდა ღამის სათევად. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ცივილიზებულ ევროპაში ჩვენი სასტუმროები მეტად კეთილმოწყობილია. აღმოსავლეთში თუ ცუდი ამინდია და ღია ცისქვეშ გაათევ ღამეს, ანდა ფული არა გაქვს ძვირად ღირებული კარვით ისარგებლო, იძულებული ხარ ე. წ. ქარვასლაში ეძიო თავშესაფარი (სადაც საქონელი და ადამიანი ერთად ირევა). ამის ატანა კიდევ შეიძლება მთელი აღმოსავლეთის ჭუჭყს რომ არ ჰქონდეს თავი მოყრილი. მაგრამ მწერები ყველა საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რომ ამ ადგილიდან გაგაძევონ. ხანდახან წვიმიან ამინდში ღია ცისქვეშ ღამის გათენებასაც კი ამჯობინებს კაცი. აღმოსავლელის კანი ისეთი მგრძნობიარე არაა, როგორც დასავლელის, რომელიც ქარის და ამინდის გავლენას ისე არ განიცდის, როგორც (ნება მომეცეთ საგნებს თავისი სახელი ვუწოდო) რწყილების, ტილებისა და ბაღლინჯოების სიახლოვეს. შემდგომში მოგზაურობის დროსაც ვერ

გავიგეთ, როგორ შეეძლო აზიელს, ყველა ამ მწვალებლების შეტევების მიუხედავად, მთელი ღამის განმავლობაში მშვიდად სძინებოდა.

ფოთი კიდევ უფრო სევდისმომგვრელი ადგილია რედუტ-კალესთან შედარებით და გაცილებით მავნეა ჯანმრთელობისათვის. ვაჭრობის თვალსაზრისით ხელსაყრელი მდებარეობის მიუხედავად, რუსები ამ ადგილის დაკავების შემდეგ მალე იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ მის საწყობად გამოყენებაზე და იგი მხოლოდ სამხედრო ბანაკისათვის დაიტოვეს[3]. გარნიზონი მეტად სავალალოდ გამოიყურებოდა. ვერსად ვერ დაინახავდით ხალისიანი და ჯანსაღი შესახედაობის ადამიანს. ციება აქ და ნიკოლაიში (რომლის შესახებ შემდგომ მოგახსენებთ) ყველაზე საშიში მტერია, ფოთში ეს ნაწილობრივ ადგილმდებარეობითაც აიხსნება. მის გარშემო ნიადაგი ჭაობიანია. გარდა ამისა, ზღვიდან უბერავს ქარი, რომელსაც გამოაქვს მავნე ანაორთქლით გაჟღენთილი ნოტიო ჰაერი. ციებცხელების სიმძაფრეზე ჩვენთან წარმოდგენაც არა აქვთ. ვისაც ეს ავადმყოფობა შეიპყრობს, მთელი თავისი სიძლიერით, ხშირად მისი პირველივე შეტევის მსხვერპლი ხდება. ჩვენ ისეთი შემთხვევების მოწმენი ვიყავით, რომ ხშირად ვერ ვანსხვავებდით თუ რა ჭირდა ადამიანს, ეპილეფსია თუ ცხელებისაგან შემცივნება, რადგან კიდურები უცახცახებდათ. ისინი კი, ვისაც ამ ავადმყოფობის მწვავე ფორმა არა აქვთ, თანდათანობით იხოცებიან. ხშირად შეხვდებით შესიებულ, ფერმკრთალ, ჩაყვითლებულ სახეებს, რომლებიც გარე სამყაროს მიმართ სრულიად ინდიფერენტულნი არიან. მათი გამომეტყველება ოდნავადაც არ იცვლება: ფართო ფოსოებიდან უსიცოცხლო თვალები იყურება, ხელები უკანკალებთ, სიარული უჭირთ.

რუსეთის მთავრობა ადრევე დათმობდა ასეთ ადგილს გარკვეული მიზნები რომ არ აიძულებდეს ყოველწლიურად დიდი რაოდენობით შესწიროს ადამიანები მსხვერპლად აქაურობას. რიონი, რომელიც აქ ზღვას უერთდება, ძალზედ მოსახერხებელია კონტრაბანდისათვის. მდინარე შლამიანი შესართავის გამო დიდი ზომის გემებისათვის არასანარსნია; სამაგიეროდ, ადგილობრივ ბრტყელ ნავებს და კარჭაპებს თავისუფლად შეუძლიათ შეცურდნენ შიგ და უცხო საქონელი გადმოზიდონ. როგორ ერთგულებასაც არ უნდა იჩენდეს სომეხი რუსეთის მთავრობის მიმართ, იგი მაინც შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ შეძლებისდაგვარად მოატყუოს

იგი. ვაჭარი აქ მუდამ სომეხია, ან, ყოველ შემთხვევაში, შუამავალი სპეკულაციის დროს.

რიონი ამ ადგილას ძალზე განიერია; მის გადალახვას 15 წუთზე მეტი უნდა და ამიტომ საჭიროების შემთხვევაში მკაცრ მეთვალყურეობას მოითხოვს. რიონის ჩრდილოეთი ნაპირი უფრო მაღალია და იმის გამო, რომ ციების გამავრცელებელი მავნე ანაორთქლი აქამდე ნაკლებად აღწევს, მდინარის მარჯვენა ნაპირას ციხე-სიმაგრე ააგეს, რომელსაც რიონსკს[4] უწოდებენ. იგი ევროპული ყაიდის ომს დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევს. საკუთრივ ფოთი (ანუ ფაშ-კალე) მდებარეობს მდინარის მარცხენა ნაპირზე, აშმორებულ დაბლობზე.

გვირჩიეს გვენახა ერთი ოფიცერი (წარმოშობით გერმანელი), რომელიც, აუტანელი ღამის შემდეგ, როგორც იქნა მოვნახეთ. მისგან უფრო დაწვრილებით გვსურდა შეგვეტყო რაიმე ძველი ფაზისის შესახებ. 3000-ზე მეტი წლის წინათ, ამ აყვავებული ვაჭრობისა და დოვლათის ქვეყანაში გაცილებით უფრო მეტი ხალხი ჩამოდიოდა, ვიდრე ამჟამად; რომ გავიხსენეთ რა მდიდრულ ბინებში ატარებენ ჩვენთან ომის ქურუმები მთელ თავის სიცოცხლეს, უფრო ნათლად წარმოვიდგინეთ განსხვავება მათსა და ამ გარნიზონის ღარიბულ ბინებს შორის. ფოთში ყოფნისას გვიჩვენეს ხის პატარა სახლი, რომელშიაც ჩვენი ნაცნობი ოფიცერი ცხოვრობდა. გზიდან პირდაპირ საცხოვრებელ ოთახში მოვხვდით. იქ, ჩვენი ჩიჩერონეს გარდა, მისი ერთი კოლეგა და გარნიზონის ექიმი დაგვხვდა. კარგია, რომ აქაურ ოფიცრებს არ ავალებენ დიდ მეცნიერულ მუშაობას, ხაზვას და ა. შ. არც კავკასიელი ექიმები არიან დაკავებულნი ახალი ლიტერატურისა და თანამედროვე გამოკვლევების გაცნობით, თორემ მართლაც გაუგებარი იქნებოდა ჩვენთვის, სად უნდა ემუშავათ სამივეს ერთდროულად. მაგიდა ისეთი პატარა იყო, რომ უფრო სახაზავ დაფას წააგავდა. მთელ ოთახში მხოლოდ ორი სკამი იდგა, რომლებსაც კეთილსინდისიერად იყენებდნენ ყველაფრისათვის. ეს დიოგენეს[5] ეკონომია, ერთი მხრივ, შეზღუდული ფართობით აიხსნებოდა, მეორე მხრივ კი, იმ მოსაზრებით, რომ ერთ-ერთი მათგანი მუდამ საგარეო საქმეებით იყო დაკავებული. ესკულაპეს[6] მოწაფე საკუთარი წიგნების ყუთზე იჯდა, რომელიც, როგორც მან გულუბრყვილოდ გამიმხილა, წლობით იყო ჩაკეტილი. ორივე ოფიცერმა თავიანთი სკამები დაგვითმეს. ერთი ექიმის გვერდით მოკალათდა, მეორე კი ფეხზე მდგომი გველაპარაკებოდა.

იმედი გვქონდა, რომ მათგან უფრო მეტს გავიგებდით იმ კლასიკური მიწა-წყლის შესახებ, რომელზედაც ვიმყოფებოდით, მაგრამ ძალიან გაგვიკვირდა როდესაც შევიტყვეთ, რომ ჩვენ მათზე გაცილებით მეტი ვიცოდით. სამაგიეროდ, ისინი დიდი ხალისით დაგვპირდნენ, რომ სასეირნოდ გამოგვყვებოდნენ და შეასრულეს კიდევაც თავისი სიტყვა. მათ არსებითი დახმარება გაგვიწიეს იმით, რომ მენიჩბეები მოგვცეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ ძველთაგანვე ცნობილ მიწაზე ვიმყოფებოდით, რომლის შესწავლასაც ტროადის[7] ომის ეპოქამდე მივყავართ. აქ ჩამოვიდნენ ხიფათის მაძიებელი ძველი ბერძნები ე. წ. არგონავტები[8]. იაზონმა[9] მოითხოვა ოქროს საწმისი, რომელიც დედაქალაქ აიას[10] ტაძარში ეკიდა, ე. ი. უკან მოითხოვა განძეულობა, რომელიც მისმა ბიძაშვილმა ფრიქსოსმა[11] (სამშობლოდან გაძევებულმა და კოლხეთს თავშეფარებულმა) თვითონვე ჩამოიტანა აქ. იგი ხიფათის მაძიებელ მთელ ჯგუფთან ერთად (რომელთა შორის ასახელებენ თვით ჰერაკლეს[12] და თეზევსს[13]), ხომალდ არგოთი[14] მოადგა ფაზისს[15], ეხლანდელი რიონის აყოლებით; როგორც ცნობილია, მეფე[16] ჯილდოს დაპირდა იაზონს მისი დავალების შესრულების შემთხვევაში. ეს მოხერხდა მეფის ქალიშვილის[17] დახმარებით, რომელმაც ღალატი რომ დაეფარა, სატრფოსთან ერთად გაიქცა; შემდეგ კი თვითონვე გახდა ღალატის მსხვერპლი. ამრიგად, ჯერ კიდევ სამი ათასზე მეტი წლის წინათ კოლხეთი კულტურული ქვეყანა იყო. უეჭველია, აქ ინდოეთიდან, ან როგორც ჰეროდოტეს[18] მიაჩნდა, ეგვიპტიდან იქნა შემოტანილი ვაჭრობა და მიწათმოქმედება.

ფაზისის შესართავთან, უფრო ზუსტად, მის სამხრეთ ნაპირზე, ჯერ კიდევ სტრაბონის დროიდან მდებარეობდა აყვავებული ქალაქი, რომელსაც მდინარის სახელი—ფაზისი[19] ერქვა. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში (ახალ დრომდე) იარსება მან (ქართველების მიერ ფოთად, ხოლო თურქების მიერ ფაშ-ყალედ წოდებულმა). მაგრამ იგი იყო და დარჩა ისეთი უფერული და უბადრუკი, რომ ქალაქის სახელის ტარების ღირსიც არ არის. 1829 წლამდე ფაზისი თურქებს ეკუთვნოდა, შემდეგ კი რუსეთის ხელში გადავიდა. სახელწოდება ფაზისი ჩვენთვის სხვა მხრივაც საინტერესოა, რადგან ამ მდინარის სახელი ეწოდა ფრინველს, რომელსაც პირის გემოს მოყვარულნი დიდად აფასებენ და რომლის მოშენება ჩვენში ძვირი ჯდება; ეს არის ხოხობი. ლინე[20] თავის სისტემაში მას უწოდებს Thasianus colchinus. სინამდვილეში დღევანდელი სამეგრელო, რომელიც

ცხენისწყლის (ძველი Hippios) დასავლეთით, კავკასიის სამხრეთ ფერდობებიდან რიონამდისაა გადაჭიმული, ამ შესანიშნავი ჯიშის ფრინველის ნამდვილი სამშობლოა. კაცმა რომ თქვას, მათ ძალიან შეზღუდული გავრცელების არე აქვთ. რამდენადაც ჩვენ მოგვეხსენება, ისინი მხოლოდ აქ არიან და მეზობელ ლაზისტანსა და მცირე აზიაში უკვე აღარ გვხვდებიან. ტყის სიღრმეში შესვლისას ხშირად გვეძლეოდა შემთხვევა დაგვეხოცა ხოხბები და რადგან სამეგრელოში ახალი ხორცი მალე ფუჭდება, სიამოვნებით შევექცეოდით შემწვარ ხოხობს. ხოხობი დაბლობში ბუდობს, ხშირ ბუჩქებს შორის. საერთოდ, უგნური ფრინველია და მისი დაჭერა იოლად შეიძლება მარყუჟით. ფოთის მცხოვრებლებს თავი რომ შეეწუხებინათ და ჩასაფრებოდნენ ხოხობს, კარგი და ნოყიერი საკვები ექნებოდათ, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იწუხებს. სიზარმაცის გამო ჯარისკაცები ძირითადად უვარგისი ხორცით იკვებებიან და ხშირად ავადდებიან.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სამეგრელო ძველი კოლხეთის ნაწილს შეადგენს, ე. ი. ქვეყანას, რომელსაც აღმოსავლეთის მცხოვრებნი, განსაკუთრებით სპარსელები, „გურჯისტანს“ უწოდებენ (დასავლეთ ევროპელები „გეორგიენს“, რუსები კი „გრუზიას“). ბაგრატიონთა ქართული სამეფო საგვარეულო ათ საუკუნეზე მეტ ხანს მართავდა ქვეყანას, რომელიც აღორძინების პერიოდში კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე იყო გადაჭიმული და რომელსაც დროგამოშვებით კავკასიის ხალხების უმეტესი ნაწილი ხარკს უხდიდა. თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ მუდმივი თავდაცვითი ომების შედეგად ბაგრატიონებს ხელიდან გამოეცალათ პროვინციები, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისისათვის გიორგი XIII[21], იძულებული გახდა სხვადასხვა ხრიკების გამო, თავისი მემკვიდრეობა რუსებისათვის ეანდერძა. ძველი ქართველი მეფეების შთამომავალი ბაგრატიონები ახლაც გაფანტულად ცხოვრობენ და თავდადებით ებრძვიან თავიანთ ძველ მჩაგვრელებს, რითაც დიდი სარგებლობა მოაქვთ რუსებისათვის, თავიანთი ახლანდელი მფარველებისათვის.

ცოტაა ქვეყნად სამეფო საგვარეულო, რომელთა წევრებსაც 1000 წლის განმავლობაში გამუდმებით, მეტნაკლები წარმატებებით, ასე გაბედულად დაეცვათ თავისი თავი ისლამის ფანატიკოსი მიწდევრების მიერ განადგურებისაგან. იმ, დროს, როდესაც ირგვლივ ბერძნები და მცირე აზიელები თანდათან ისლამის რჯულს იღებდნენ, ქართველები და სომხები (ნაკლებად), თავიანთი მამაპაპური რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ. აღმოსავლეთში ქრისტიანობა

სრული განადგურებისაგან სწორედ მათ გადაარჩინეს. ბაგრატიდებს ქრისტეს შთამომავლებად მოაქვთ თავი და, როგორც ამას ჯერ კიდევ სამეფო კარის ისტორიკოსი კონსტანტინე პორფიროგენეტი[22] მოგვითხრობს, თავიანთ საგვარეულო ნუსხას დავითიდან[23] იწყებენ. ბაგრატიდების სამეფო საგვარეულოს გენეალოგია უფრო სარწმუნო ყოფილა, ვიდრე განთქმული ბონტგომერებისა[24] საფრანგეთში.

სამეგრელო და „იმერია" (ანუ იმერეთი), რომელიც ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდებარეობს, მსხის მთამდე[25] გადაჭიმული (რიონისა და მტკვრის წყალგამყოფი ქედი), საქართველოს მოგვიანებით გამოეყო. ჭოროხის ტერიტორია კი, რომელიც მოშორებით მდებარეობს და ნაწილობრივ ლაზური ტომებითაა დასახლებული, კონსტანტინეს დროს დამოუკიდებელი ქართული სამეფო გახდა. მისი დედაქალაქია ადრანუცინი[26] (ახლანდელი არტანუჯი); მას, როგორც ჩანს, მხოლოდ ბიზანტიელები იცნობდნენ. იმერეთის მეფე[27] 40 წლის წინათ გააძევეს. მანამდე ქუთაისში ცხოვრობდა. ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილისათვის რუსეთსა და თურქეთს შორის ბრძოლაში სამეგრელოს მთავარი დადიანი[28] უფრო ძლიერ მხარეს, ე. ი. რუსეთს მიემხრო, რომ ამით თავისი ქვეყანა შეენარჩუნებინა. ახლანდელმა დადიანებმა, რომლებიც აფხაზეთის მთავრის შერვაშიძეების ახლო ნათესავები ყოფილან[29], მხოლოდ წინა საუკუნეში მიაღწიეს მმართველობას. თურქების მიერ დევნილმა ძველმა დადიანებმა რუსეთში ჰპოვეს თავშესაფარი და იქ დადიანოვებად მონათლულებმა ყმა-მამული მიიღეს. საკვირველია, რომ სამეგრელოს ახლანდელი მთავრები თავიანთ ღერბებში ოქროს საწმისს ატარებენ, ისე რომ, არც ესმით მისი მნიშვნელობა.

ორი ოფიცრის და ექიმის თანხლებით, მშვენიერ ამინდში ნავით ავყევით რიონს იმ ადგილის საძებნელად, სადაც დიუბუა დე მონპერესა[30] და კარლ კოხის ცნობით, ძველი ციხის ნანგრევები უნდა ყოფილიყო შემონახული. ჩვენი ცდა ამაო აღმოჩნდა. სტრაბონის გადმოცემით, ფაზისი რიონის შესართავთან მდებარეობს, მაშინ როდესაც იგი ნაპირიდან ერთი საათის სავალითაა დაშორებული. თუ ადგილმდებარეობას უფრო გულმოდგინედ დააკვირდებით, ამ მდგომარეობას ახსნა მოეძებნება. მდინარეს ყოველწლიურად მაღალი მთებიდან შლამი და რიყის ქვა ჩამოაქვს და შესართავთან ტოვებს. ამის შედეგად თითქმის ორი ათასი წლის გან-

მავლობაში მნიშვნელოვანი დელტა გაჩნდა, რომელიც ყოველი საუკუნის შემდეგ მატულობდა.

ზღვის ნაპირიდან სამხრეთით, კარგა ერთი საათის სავალზე ჭაობიანი ტბაა, რომელიც სტრაბონამდე ზღვის ყურე იყო. ამჟამად მასში მდინარე პიჩორა[31] ჩადის, რომელიც მოშორებით, აღმოსავლეთით, რიონიდან გამოდის და სინამდვილეში მის ტოტს წარმოადგენს. დასავლეთით იგი ისევ იმავე მდინარეს უერთდება. საინტერესოა, რომ ეს ტბა დღესაც პალიასტომის[32] სახელს ატარებს. ხომ არ ნიშნავს ეს სახელი ბერძნულ პალეოსტომა-ს, ე. ი. ძველ შესართავს. შესაძლოა ეს ტბა ფაზისის და პიჩორის ძველი შესართავი იყო ჯერ კიდევ საბერძნეთის აყვავების პერიოდში. იქნებ რიონის წყლები უწინ დღევანდელ პიჩორას კალაპოტით მიედინებოდა და მისი დღევანდელი მიმართულება რაიმე მიზეზის შედეგი იყოს.

ჩვენ გაგვიჭირდა ნავით ლერწმისა და ჭაობის მცენარეულობათა ტევრიდან გამოსვლა. უამრავი იხვი, ჭაობის სხვა გარეული ფრინველები, აქ მშვენიერ სანადირო ადგილს ქმნიან და ალბათ ბევრ ნადირობის მოყვარულსაც იზიდავენ. გარშემო დიდებული მცენარეულობაა. ამ ტყეს მართლაც შეიძლება ჰქონდეს უღრანი ტყის პრეტენზია, რადგანაც ადამიანს ამ ტყით არასოდეს არ უსარგებლია. უზარმაზარი ხეები დროის გამანადგურებელ გავლენას ვეღარ უძლებდნენ და მძლავრი ქარიშხლის დროს ეცემოდნენ მომცრო ზომის ხეებს შორის, რომლებიც თავიანთ წარმოშობას, ალბათ, მათ უნდა უმადლოდნენ. ასეთი უღრანი ტყე რაღაც თავისებურია და ამაღლებულ გრძნობებს იწვევს, თუმცა სამხრეთის ზღვის კუნძულების, ანდა ბრაზილიის ტყეებს ვერ შეედრება. აქ უმთავრესად იშვიათი სილამაზის წითელი წიფელი ხარობს. ტყის განაპირას დგანან მუდამ მწვანე ბაძგები და ბზები, ხოლო უმეტესწილად ტყეში გვხვდება პონტოს იელი. მშვენიერი სანახავია ერთი ფუტის სიმსხო ვაზი ლერწმებით რომ შემოხვევია მეზობელ ხეს და საყრდენის შოვნით გახარებული ხის ტანს კენწერომდის მიჰყვება. ზოგან იგი უფრო სუსტ ლერწმებს ახვევს ხეს, რომ მთელი გვირგვინი ვაზის ლურჯი და ოქროსფერი მტევნებით მოფინოს. ხშირად ლერწმები მეზობელ ხეებზედაც კი ახერხებენ გადასვლას.

ადამიანები ყოველთვის ვაზის სამშობლოს ძიებაში არიან. ზოგი ბადენის რაინის დაბლობს ასახელებს ვაზის სამშობლოდ, სადაც გარეული ვაზის რამდენიმე ჯიში ხარობს. ვაზის გარეულ ჯიშებს

შეხვდებით აგრეთვე ესპანეთში, იტალიაში და განსაკუთრებით უნგრეთში, რომელიც საკმაოდ მდიდარია ვაზის გარეული ჯიშებით. საკვირველია, რომ ასეთი ვაზი მხოლოდ ლურჯ მტევნებს ისხამს (თეთრს კი არასოდეს), მისი ყვავილები მშვენიერი სურნელებით გამოირჩევიან, რაც კულტივირებულ ვაზს არა აქვს. ასეთი გარეული ვაზის ფოთლის ქვედა მხარე უფრო მაგარი კანითაა გადაკრული, ამიტომ შეიძლება ამერიკული Vitis Sabrusca-დან იყოს წარმოშობილი, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე ჩვენთან ტალავერად გამოყენებული ორი ვაზი—იზაბელა და კატაუბა (Catauba). მაგრამ გარეული ჯიშის ყურძენს არა აქვს ისეთი მუქი ლურჯი ფერი და არომატული გემო, როგორც ამ ორ ამერიკულ ჯიშს; ამასთანავე ისინი ნაკლებ ხორციანია.

ვაზი, ისევე როგორც ჩვენი კატაბარდა და სხვა ხვიარა მცენარეები, ლიანების სახეობას ეკუთვნის, რომელთა შესახებ ცნობებს ჩვეულებრივ ტროპიკული ქვეყნებიდან ვღებულობთ. წითელ წიფელას და ნეკერჩხლებს ვაზის გარდა უფრო მჭიდროდ ეხვევა ორნაირი ეფერდა, რომელთაგანაც ერთი, პატარა ფოთლებიანი, სულ არ განსხვავდება ჩვენი ტყის კედლის ეფერდასაგან. მეორეს, პირიქით, უფრო დიდი და სქელი ფოთლები აქვს, რომლის ძალზედ მუქი და ნაკლებ ხასხასა ფოთლები ოქროსფერ ყვავილებთან უცნაურ კონტრასტს ქმნის. ძველი მწერლების ნაწარმოებებში გვხვდება ოქროსფერი კენკრებიანი ეფერდა, რომელსაც უმთავრესად გამოჩენილი მწერლებისა და გმირების შესამკობ გვირგვინებისთვის ხმარობდნენ, დაფნის მაგივრად. თანამედროვე იტალიელი ბოტანიკოსები მას ამის გამო სუროს (Clematis Vitalba-ს), უწოდებენ. მართალია, ჩვენი ბაღებისათვის ყველანაირი ჯიშის ეფერდა შემოაქვთ სხვადასხვა ქვეყნებიდან (კანარის კუნძულებიდან, ალჟირიდან, ირლანდიიდან, შოტლანდიიდან და სხვ.), ხოლო ჩვენი ქალების ოთახების მოსართავად მას ერთ-ერთ ყველაზე უფრო მოდური მცენარედ თვლიან. იგი ჩვენში ჯერ კიდევ ოცნების საგნად რჩება, კოლხური კი დაახლოებით ათი წელია რაც გვაქვს. იგი ჩვენში ბატონ როგნერის[33] (წარმოშობით სილეზიელის, თუ არ ვცდები) მიერ იქნა შემოტანილი, რომელიც ამჟამად იმერეთის დედაქალაქში—ქუთაისში მუშაობს მეფის მებაღედ, ხოლო წინათ ოდესის ბოტანიკურ ბაღში მსახურობდა. კოლხური ეფერდა მისმა აღმომჩენმა, პროფესორმა კარლ კოხმა შეარქვა, თუმცა ბაღებში მას უმთავრესად (Hedera Roegneriana-ს) უწოდებენ.

კოლხურმა ტყემ ისე მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომ ხმელეთზე გადმოვედით და რამდენიმე საათი ჩრდილში ვსეირნობდით, ტყე რაღაც იდუმალმა სიჩუმემ მოიცვა. უნებურად გაგვახსენდა ყაჩაღობა, რომელსაც აქ ადგილი ჰქონდა ძველ დროში, და რომლის შესახებაც მეჩვიდმეტე საუკუნის ცნობილი მოგზაური შარდენი[34] ხშირად მოგვითხრობს. უეცრად შემოგვხვდა რუსული პატარა საზიდრების გრძელი რიგი, რომელსაც გარნიზონისათვის მოჰქონდა ყოველგვარი საქონელი. მძღოლები უკლებლივ ერთმანეთს ჰგვანდნენ. ისინი რედუტ-კალეს ან ფოთის მცხოვრებლები არ ჩანდნენ, მათ აკლდათ ის სიჯანსაღე და ძალა, რაც გვახარებს ადამიანში. ეტყობოდათ, რომ ყველაფრისადმი გულგრილები იყვნენ; ჩვენთვის არც კი შემოუხედავთ, ისე ჩაგვიარეს ამ უდაბურ ადგილას, თითქოს, უცხოელების გამოჩენა აქ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო. მაშინ როდესაც ხსენებულ ქალაქებში, სადაც უცხოელი ხშირი სტუმარია, ცნობისმოყვარეობას იჩენენ. ჩიჩერონესაგან გავიგეთ, რომ ეს უბედური ადამიანები რუსეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი და რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილებმა თავისი ნებასურვილით დაისაჭურისეს თავი. ასეთი უგნურება რუსეთში იშვიათობას არ წარმოადგენს. ამ მოვლენამ რუსეთის ეკლესიის უამრავ სექტას შორის უეცრად იჩინა თავი და იქაურობას გადამდები სენივით მოედო. მთავრობამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეაჩეროს ასეთი სიმახინჯე და სასწრაფოდ გადაასახლოს ეს უბედურები. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, ქადაგად დაეცემიან ხოლმე და სხვებსაც მოუწოდებენ მიბაძონ მათ. იყო შემთხვევები, როდესაც ასეთმა საჭურისებმა გადაიბირეს ადამიანები, რომლებიც სრულიად არ იყვნენ საამისოდ განწყობილნი.

სწორად მოქცეულან, ეს ხალხი, რომ ამ უდაბურ ადგილას გადმოუსახლებიათ; აქ ისინი განმარტოებულნი არიან. ქუთაისიდან რიონამდე მომავალ ტრანსპორტს ემსახურებიან და უმთავრესად სურსათ-სანოვაგით ამარაგებენ გარნიზონს.

უკვე გვიან იყო, როდესაც ჩვენ ნავებს დავუბრუნდით და სასწრაფოდ გავწიეთ ღამის გასათევი ადგილისაკენ.

თავი II

გურია

ქვეყნის მდებარეობა. — გურიელი.—ამიერკავკასია საკუთარი მმართველებისა და რუსეთის ხელთ.—ფეოდალური სისტემა.—მდინარე სუფსა.—სოფელი ვანი.——გურული ღვინო.—მისი მომზადების წესი.—ნავთი როგორც დამატება.—ტიკები.—წმ. ნიკოლაი.—შავი ზღვის ციებ-ცხელება.—თურქეთის საზღვარი.—ჩურუქსუ.—თურქეთის გურია.—კინტრიში.—ფეტვის ფაფა ანუ ღომი.—ციხისძირი.—ბიზან- ტიელების პეტრა.—ჭოროხის დაბლობი.

მეორე დღეს, უფრო უჭმელობით დაუძლურებული (ვიდრე უდროოდ დაბერებული) ჯაგლაგი ცხენებით გავუყევით ზღვის სანაპიროს.

ჩვენი მოგზაურობის დროს სულ კარგი ამინდი იდგა. ეროი მხრიდან ისევ შავი ზღვის მუქი ლურჯი სარკე გვეკრა, რომელმაც თავის ბუნებას სავსებით უღალატა (ისეთი მშვიდი და წყნარი იყო, თითქო არასოდეს არ აღელვებულიყოს). ჩვენ კი ამასწინათ გავიგეთ რა მაცდური ყოფილა მისი ზედაპირი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტისმეტად დამშვიდებულია.

რიონი სამეგრელოს ყოფს გურიისაგან, ოდესღაც ძლიერი საქართველოს მეორე პროვინციისაგან. ძველად იგი სამხრეთით, ჭოროხის შესართავის მახლობლად ვრცელდებოდა, სადაც ამჟამად მრავალჯერ მოხსენიებული ბათუმი მდებარეობს. გურია, ქვეყნის სიღრმეში, აჭარის მთებამდეა გადაჭიმული. იგი არაჩვეულებრივად ნაყოფიერი პატარა ქვეყანაა, ტალღისებურ ტერასებს მოიცავს და ამიტომ აქ გაცილებით უფრო ჯანმრთელი ჰავაა, ვიდრე სამეგრელოში, ულრანი ტყეებიც ნაკლებად გვხვდება. აქაურობა უფრო დასახლებულია და კულტურის უფრო მეტი ნიშნებიც ეტყობა.

გასულ საუკუნეში გურულებსაც ჰყავდათ თავიანთი მეტნაკლებად დამოუკიდებელი მმართველი, რომელიც გურიელის სახელს ატარებდა. რუსეთსა და თურქებს შორის ხშირად წარმოებულ ომებში გურიელი, (საუკუნის დასაწყისაში) დადიანივით რუსებს მიემხრო და ამის შედეგად თავისი ქვეყნის ნახევარი (რომელიც ზავის შემდეგ თურქებს გადაეცა) დაჰკარგა. მალე რუსებმა მთავარს მეორე ნახევარიც სადავოდ გაუხადეს. სახელდობრ, მოხუცი გურიელის[35] სიკვდილის შემდეგ მისი არასრულწლოვანი ვაჟი[36] პეტერბურგში წაიყვანეს ევროპული კულტურის საზიარებლად. სრულწლოვანი რომ გახდა, რუსეთის მთავრობას აზრადაც არ

მოსვლია მისთვის ისედაც განახევრებული მემკვიდრეობა დაებრუნებინა და ვერც საჩივრებმა უშველა საქმეს. ხან თურქების (განსაკუთრებით კი ყაჩაღი აჭარლების) სიახლოვე იყო იმის მიზეზი, რომ მას მამული არ დაუბრუნეს, ხან კი მისი მამა, რომელსაც თითქოს ფარული კავშირი ჰქონდა მტრებთან. გურიელი იძულებული გახდა მადლობაც კი გადაეხადა იმ პენსიისათვის, რომელიც მას თავის უფლებებზე სამუდამოდ უარის თქმისათვის დაუნიშნეს. რუსეთის მთავრობა ერთხელ დაეპატრონა მხარეს და ხელიდან აღარ გაუშვა იგი.

ინგლისელებისა და ფრანგების მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ თითქოს მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიელები უშუალოდ რუსეთის მთავრობას დაემორჩილნენ, უწინდელთან შედარებით უარეს პირობებში იმყოფებიან, არ არის მართებული. მათი თქმით, ხალხი განიცდის საშინელ სივიწროვეს და უამრავი გადასახადებით შეწუხებული, თავს ძლივს ირჩენს; ის ქვეყნები კი, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ საკუთარი მმართველები (მხედველობაში ჰქონდათ განსაკუთრებით სამეგრელო) უფრო კარგად გრძნობენ თავს და ხარობენ თავისი კულტურითა და წინსვლითო. ვინც ამიერკავკასიაში ცოტა ხნით მაინც ყოფილა, და მიუკერძოებელი იქნება, ადვილად რწმუნდება საწინააღმდეგოში. სწორედ ის ქვეყნები, რომლებსაც საკუთარი მმართველები ჰყავთ, უფრო სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან, ვიდრე უშუალოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი პროვინციები. ისინი წინანდელთან შედარებით უფრო შეძლებურად ცხოვრობენ. ამაში ჩვენ ადვილად დავრწმუნდით ამიერკავკასიაში ყოფნის დროს; მაგრამ რუსეთის მთავრობამ მაინც დაუშვა ერთი შეცდომა, რამაც ცუდი შედეგი გამოიღო. რუსეთმა, სამწუხაროდ, ბატონყმობის ისეთი ფორმა დაამკვიდრა, რომელიც დამახასიათებელი იყო რუსეთისათვის და უცხო-აღმოსავლეთისათვის. რუსეთი თავადაზნაურობის გულის მოგებას და დაახლოებას ცდილობდა. ამ მოუსვენარმა ადამიანებმა კი, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მხოლოდ ძარცვა-გლეჯით ირჩენდნენ თავს, არ მოინდომეს და ვერც შეძლეს უცებ აეღოთ ხელი ძველებურ ჩვევებზე, რითაც უამრავი საზრუნავი გაუჩინეს რუსეთის მთავრობას. თავის შეცდომას რუსეთი, სამწუხაროდ, გვიან მიხვდა და მის გამოსწორებას იმით ეცადა, რომ უფრო მაგრად მოჰკიდა ხელი ქვეშევრდომებს, რითაც მთავრები უფრო მეტად გადაიმტერა. მმართველები ერთიმეორის მიყოლებით აჯანყდნენ, მაგრამ გაძევებულ იქნენ. მმართველი მთავრების სამფ-

ლობელოთა დიდი ნაწილი თანდათან რუსეთის ტახტის უშუალო ხელქვეით მოექცა და თქმა არ უნდა, უკეთესად ვითარდება ვიდრე უწინ.

შარდენი, ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ, მოგვითხრობდა იქაური ფეოდალური სისტემის მართლაც შემაძრწუნებელი პირობების შესახებ. საეჭვოა, რომ მას შემდეგ მდგომარეობა გამოსწორებულიყო. მმართველი მთავარი უწინდებურად დაქეიფობს თავისი ვასალების სახლებში. წარჩინებულნი მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ უფრო დაბალი წოდების — თავადაზნაურების ხარჯზე, რომლებიც თავის მხრივ საკუთარი გლეხების მიერ დაგროვილ დოვლათს ანადგურებენ. ამ უბედურ ქვეყანაში თუ რამე გაკეთებულა, სახელდობრ, საკომუნიკაციო საშუალებები, განსაკუთრებით გზები, ისიც რუსეთის წყალობით.

ოთხი საათის სიარულის შემდეგ მივადექით სუფსას[37], რუსეთის გურიის უმნიშვნელოვანეს მდინარეს. ამ ქვეყნის კეთილდღეობა ხიდების აგებამდე ჯერ არ მისულა. იძულებული ვიყავით მდინარის აღმა გვევლო ერთი საათი, სანამ ფონს ვიპოვიდით.

ამ ვიწრო მდინარეზე გადასასვლელი მხოლოდ ერთი საათის შემდეგ შეგვხვდა. მალე ხშირ და პატარა ტყეში მოვხვდით და კიდევ უფრო გაგვირთულდა გზა.

გურია სამეგრელოსავით დაბლობზე როდი მდებარეობს. აქაურ მდინარეებს და ნაკადულებს ორივე მხრიდან მესამეული წარმოშობის მთები გასდევს, რომლებიც მიდამოს ამაღლებენ. მით უმეტეს, რომ ისინი მცენარეულობით არიან დაფარული და ნაწილობრივ იყენებენ ხვნა-თესვისთვისაც. მართალია, გურულები ინტელიგენტები არა სჩანან, მაგრამ მეგრელებთან შედარებით უფრო შრომისმოყვარე და მუყაითი ხალხის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჩვენ შეგვხვდა რამდენიმე სოფელი, რომელიც საკმაოდ კოხტად გამოიყურებოდა. მათ გარშემო სიმინდისა და ფეტვის ნათესები მოჩანდა.

სუფსის მეორე ნაპირიდან ცხენებით სოფელ ვანისაკენ გავემართეთ გურული ღვინოს გასასინჯად. რომლის შესახებაც ბევრი გვსმენია. „კახეტინსკის“ ანუ კახური ღვინის (კახეთი აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციაა) შემდეგ ამიერკავკასიაში ყველაზე მეტად აფასებენ გურულ ღვინოს. სოფლის მამასახლისმა (აქ ხელოსანი ეწოდება) უცხოელები ზრდილობიანად მიგვიღო და ჩვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მაშინვე ჭური („კუვშინი“) მოახდევინა.

ადვილად დასამუშავებელ ქვიშა-ქვაში 4 — 5 ფუტის[38] სიღრმისა და მის ნახევარზე ცოტა მეტი სიგანის ორმოებია (სწოლედ ის ჭურებია) ამოჭრილი ღვინის ჩასასხმელად და შესანახად. ჩვენს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც დავინახეთ რაოდენ კარგი და მაგარი გამოდგა ამ იშვიათი ჭურჭლიდან ამოღებული ღვინო, მიუხედავად იმისა, რომ კარგად დაყენებული არ იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა დადგებოდა ამ ღვინისაგან, კარგად რომ დაეყენებინათ იგი. გურულები, და საერთოდ ამიერკავკასიელები, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ როგორც თვითონ ვაზს და მის მოვლას, ასევე სასმელის მომზადებასაც.

როგორც კი ყურძენი საჭირო სიმწიფეს აღწევს, მას კრეფენ, ყრიან ძაღლა შემოდგმულ, საკმაოდ ბრტყელ ჭურჭელში და ფეხით ჭყლეტენ. ხის ღარის საშუალებით წვენი ქვაში ამოჭრილ ჭურჭელში ჩადის. მაგარ კლდოვან ადგილებში დაახლოებით ოთხი, ხუთი ფუტის სიმაღლის ეტრურიული ვაზის მსგავს თიხის ჭურჭლებს ამზადებენ და ცეცხლში გამოწვავენ. დიდი ზომის ღუმელების უქონლობის გამო ურნებს უმეტესად სამ ნაწილად ამზადებენ, ხოლო გამოწვის შემდეგ აერთებენ მიწაში ჩასაფლობად.

თავისთავად ცხადია, რომ წვენთან ერთად ჭურებში („კუვშინებში") ყურძნის ჩენჩო, და ყუნწები მაინც ჩადის. რამდენიმე დღეში მასა დუღილს იწყებს; მხოლოდ ამის შემდეგ ჭურს აფარებენ ბრტყელ ფიქალ ქვას. როდესაც ჭურჭელში იმდენი ნახშირორჟანგი დაგროვდება, რომ აღარ ეტევა მასში, იგი ქვას მიაწვება, მაღლა ასწევს და გარეთ გამოდის. იმის გამო, რომ სახურავი თავისთავად ჩამოიწევს ძირს, ეფარება, ჟანგბადი გარედან შიგნით ვერ შეაღწევს და ღვინო არ დამჟავდება. როცა ქვა მაღლა აღარ იწევს, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ დუღილი ძირითადად დამთავრებულია; მაშინ მიწას იღებენ და ზემოდან აფარებენ დახურულ ჭურჭელს. ღვინო იქამდის რჩება ჭურებში, სანამ მას არ გაყიდიან ან არ დალევენ.

სამწუხაროდ. აქ. ისევე როგორც ყველგან აღმოსავლეთში, გასაყიდ ღვინოს ცოტა ნავთს ურევენ, რომ დიდ სიცხეში არ გაფუჭდეს. ნავთი ძალიან ცუდ გემოს აძლევს სასმელს, თუმცა მას საოცრად მალე ეჩვევიან. ადგილობრივები ასეთ ნავთშერეულ ღვინოს მეტი სიამოვნებითაც კი სვამენ და უფრო მაგრადაც მიიჩნევენ.

სწორედ ამ დროს ქუთაისიდან ჩამოვიდნენ სომეხი ვაჭრები ღვინის საყიდლად. ეს ღვინო, როგორც ჩანს, ძალიან იაფია. ჩვენ-

ში, ჩვეულებრივ ერთი ბოთლი ღვინო ვერცხლის გროში ჯდება, მაშინაც, როდესაც ის საუკეთესო ხარისხის ღვინოა.

ღვინის გადაზიდვა ეგრეთწოდებული ტიკით ხდება, ისე როგორც ბიბლიაში და ძველ ბერძენ მწერლებთანაა მოხსენიებული. ტიკი — ესაა ცხოველის ტყავი, რომელსაც თავი წაჭრილი აქვს. ტყავს ისე აბრუნებენ, რომ ბეწვი შიგნიდან მოექცეს და ნავთით გაიჟღინთოს, შემდეგ კი გაჭრილ ადგილს ისევ კერავენ, მხოლოდ ერთ-ერთ ფეხთან ტოვებენ ღიად, ღვინის ჩასასხმელად ან გადმოსასხმელად. ასეთი გადაბრუნებული ცხოველის ტყავი ძალიან საოცილოდ გამოიყურება. იგი საგანგებოდ ისეა ავსებული, რომ სითხის სამოძრაო ადგილი დარჩეს. როცა ასეთი ტიკჭორა ცხენის ზურგზეა გადაკიდებული, ცხენის ყოველ გადადგმულ ნაბიჯზე იგი წინ მიიწევს, თითქოს გადმოხტომას ლამობსო.

გურიაში ვაზი სპეციალურად შეჭრილ თუთის ხეებზე აჭყავთ. ჩვენ გვიამბეს, რომ გურული ღვინო თბილისშიც კი ჩააქვთ. იგი იქ უფრო ძვირად იყიდება, ვიდრე ადგილობრივი ღვინოები. მიუხედავად ამისა, აქაური მცხოვრებლები: ახალგაზრდა თუ მოხუცი, ქალი თუ კაცი, ძალიან ბევრს სვამენ. გვითხრეს, რომ ახალ დაბადებულ ბავშვსაც კი აძლევენ ხოლმე ცოტა ხნის შემდეგ ერთ კოვზ მაგარ ღვინოს, ხოლო შემდგომ დედის რძესთან ერთად დროდადრო ცოტ-ცოტა ღვინოსაც ასმევენ.

ვანი დიდი გზის მახლობლად მდებარეობს, რომელიც ქუთაისიდან ოზურგეთის[39] გავლით წმინდა ნიკოლაოში[40] მიდის. ამ გზით 4 საათის შემდეგ მივედით აღნიშნულ ადგილას. რუკაზე სანკტ-ნიკოლაი[41] უმეტესად აღნიშნულია როგორც საზღვრისპირა ციხესიმაგრე. მიწაყრილისა და ციხის კედლების ძებნაში, გვერდით ჩავუარეთ ბაღჩებსა და ღობეწნულებს და კომენდანტის ბინას მიგადექით.

გამოგვეგება გამხდარი, გაფითრებული სახის ოფიცერი და თავის ფიცრულ სახლში შეგვიპატიჟა. „რა გინდათ ამ სიკვდილის ქვეყანაში?“ — მოგვმართა ოფიცერმა, — აქ ხომ ადამიანის სხეული თანდათან იხრწნება. აქ, როგორც წესი, მხოლოდ ისეთი უბედური ადამიანი ჩამოდის, რომელსაც უფროსის სამართლიანი ან უსამართლო გულისწყრომა დაუმსახურებია და თავის სასჯელს იხდის აქ. დამიჯერეთ, ბატონებო, ვინც ქალაქ სანკტ-ნიკოლაიში ფეხის შემოდგმას გაბედავს იგი უვნებელი ველარ დაბრუნდება უკან. საჩქაროდ გაეცალეთ აქაურობას, მყრალ ადგილს, რომელსაც ოხშივარი ასდის და ადამიანის სხეულში სიკვდილის ჩანასახს თე-

სავს“. ადვილი მისახვედრია, თუ როგორ იმოქმედა ჩვენზე ამ სიტყვებმა, უფრო მეტად შევძრწუნდით, როცა ყველგან, საითაც არ გავიხედეთ, შევამჩნიეთ მონაცრისფრო სახეები და მოცახცახე კიდურები. ჩვენ ადრევე გვითხრეს, რომ ამ არაჯანსაღი ადგილიდან ცხოველებიც კი გარბიან, დარჩენილები სნეულდებიანო. ცხენების უმრავლესობა დახოცილიყო, ხოლო რაც გადარჩა, გამხდარი და გაუბედურებული შესახედაობის იყო. ქათმებიც დრო და დრო ისე ცახცახებდნენ, თითქოს ადამიანებივით ციებით ყოფილიყვნენ შეპყრობილნი. შემთხვევით სასაფლაოს ჩავუარეთ, რამდენიმე ახალი საფლავიც იმის მაჩვენებელი იყო, თუ რა გამანადგურებელი გავლენა მოახდინა აქაურებზე სულ ახლა ხანს შავი ზღვის საშინელმა ციებამ.

სამართლიანად იკითხავთ რატომ არ თმობენ რუსები ამ ადგილს, რომელიც ყოველწლიურად ამდენ მსხვერპლს მოითხოვს? ამას ისიც ემატება, რომ ზღვის სანაპიროს მახლობლად არ არის ყურე საიმედო ნავსადგურით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა გაჭირვების დროს გემების შეფარება. არც სანკტ-ნიკოლაის ადგილმდებარეობა უნდა იყოს სამხედრო მნიშვნელობის. როგორც შეკიტყვეთ, ძველ დროში აქ კონტრაბანდას ეწეოდნენ და რუსებმა გადაწყვიტეს მისი აღკვეთა. რუსეთსა და თურქეთს შორის ძველი საზღვარი აქედან სულ ახლოსაა. სახელდობრ, მდინარე ნატახების გაყოლებით. შესაძლოა სანკტ-ნიკოლაი ამ ადგილას სწორედ ამიტომ დააარსეს. მოგვიანებით, როდესაც საზღვრის საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი უთანხმოება მშვიდობიანი გზით გადაწყდა, რუსები, როგორც ყოველთვის, მოგებული აღმოჩნდნენ. საზღვარმა რამდენიმე საათის სავალით გადაინაცვლა სამხრეთისაკენ, მდინარე ჩოლოქის გაყოლებით.

მეორე დილით, როდესაც გზის გასაგრძელებლად ცხენებზე შევსხედით, ერთმანეთს მივულოცეთ ჩვენი მგზავრობის მშვიდობიანად დამთავრება. მართალია, მაინცდამაინც არ შეგვშინებია, ვინაიდან სხვა დროსაც შეგვხვედრია ბევრი სახელგატეხილი ადგილის გამოვლა, მაგრამ მაინც გვიხაროდა უვნებლად რომ გადავრჩით. ერთი საათის შემდეგ თურქეთის საზღვარზე ვიყავით. რა განსხვავებაა! აქეთა ნაპირზე კაზაკები და ბაჟის მოხელეები ფხიზლობენ და შემოსვლას უკრძალავდნენ ყველას, ვისაც რუსეთის მთავრობისაგან განსაკუთრებული ნებართვა არ გააჩნდა, გაღმით კი არავინ აქცევდა იმას ყურადღებას საქონელი შემოჰქონდათ თუ არა. არც ის აინტერესებდათ, ვინ განიზრახა იქაური ადგილების მონახულება.

ოთხი საათიც არ დასჭირდა ფოთიდან ჩურუქსუნში[42] ჩასვლას. აქაურობას განაგებს ფაშა თავისი თოღებით[43], რომელიც იმიტომ კი არ გაამწესეს აქ, რომ ამ ადგილებში რაღაც უმნიშვნელო მიწას ფლობდა, არამედ იმიტომ, რომ ეს ადგილმდებარეობა მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნიეს. თურქეთის გურია ზღვის ნაპირის გაყოლებაზე მდებარეობს და სულ 7 — 8 საათის სავალზეა გადაჭიმული. იგი რუსეთის საზღვრიდან იწყება და ბათუმიდან და ჭოროხის შესართავიდან რამდენიმე საათის დაშორებით თავდება. მისი საზღვრები ქვეყნის შუაგულშიც არ არის ვრცელი. აჭარის მთების სამხრეთით მდებარე კოლოვადაგის[44] ქედი აღმოსავლეთით თურქეთს რუსეთისაგან ყოფს და ბუნებრივ საზღვარს ქმნის. ამ ქედის განშტოება ზღვის ნაპირამდის აღწევს და ქვეყანას უფრო ბორცვიანს და მთიანს ხდის რუსეთის გურიასთან შედარებით. როგორც მაღლობი, ისე დაბლობი ხშირი ტყეებითაა დაფარული და ზოგან ზღვის სანაპირომდე აღწევს. მარადმწვანე ბუჩქები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ჭოროხის ჩრდილოეთით და საშეგრელოში. ველები მოფენილი იყო მშვენიერი დეკას ბუჩქებით, რომლებსაც აქა-იქ კიდევ შერჩენოდათ გვიანი ყვავილები (ისე კი უამრავი ნაყოფით იყვნენ დახუნძლული). დაბლობ ადგილებში გავრცელებულ დეკას ხშირ ბუჩქებს შორის მაყვლის ბუჩქებიც გვხვდებოდა. ეს უკანასკნელი თავისი უჩვეულოდ გრძელი პწკალებით გარს შემოხვეოდა დეკას ბუჩქებს. შიგადაშიგ წიფელი მოჩანდა. ნაკლებად გვხვდებოდა ბაძგი, რომელიც თავისი წითელი კვნარებით ლამაზ, ხასხასა სიმწვანესთან საოცარ კონტრასტს ქმნიდა და თვალს ახარებდა. წიფელი უფრო ხშირად ზღვის სანაპიროზე გვხვდება. ხეები ხანდახან ისე მჭიდროდ დგანან ერთმანეთთან, გეგონებათ თვითონ ადამიანის ხელმა შეგნებულად გაავლო ღობე და შაკრატლით წესრიგში მოიყვანაო. აქა-იქ ნამდვილი დაფნაც გვხვდება. იქ, სადაც დაბლობი იწყება, საკმაოდ დიდი ფართობი უკავია წყავს, თავისი დიდი და მუქი მწვანე ფოთლებით. პონტოს იელს აქ უფრო იშვიათად ვხვდებით, ვიდრე სამეგრელოში.

ჩურუქსუ, რომელიც ციხესიმაგრედ ითვლება, სინამდვილეში ერთი საკმაოდ გაშლილი, უმნიშვნელო ადგილია და მტრის შემოსევას ვერ გაუმკლავდება. მის მახლობლად ციხის ნანგრევებია. ამ ადგილის ნამდვილი სახელია კინტრიში[45], მაგრამ თურქებს მდინარის სახელი უფრო მოსწონთ, მით უმეტეს, რომ მას თურქული მნიშვნელობა შეიძლება დაედოს საფუძვლად. ჩურუქსუ თურქულად „დამპალ წყალს“ ნიშნავს. ჩურუქსუ ანუ კინტრიში დედა-

ქალაქად ითვლება, თუ კი შეიძლება ასეთ სახელწოდებას ატარებდეს მწირი ადგილი, რომელიც ასამდე სახლისაგან შედგება და, როგორც ცნობილია, ფაშას რეზიდენციას წარმოადგენს.

ბაზარში გვინდოდა გვეყიდა სანოვაგე, მაგრამ ვერაფერი ვერ ვიშოვეთ. იყო მარტო ერთადერთი ქებაბჩი, (რაც ნიშნავს მეყასბეს და მზარეულს ერთდროულად), მაგრამ არც მას ჰქონდა იმაზე მეტი, რაც ერთხელ დანაყრებისათვის შეიძლებოდა მოგვეთხოვა. იყო აგრეთვე რამდენიმე ეთმექჩი, ანუ ხაბაზი, მაგრამ არც მათ ჰქონდათ საკმაო სანოვაგე. ვნახეთ როგორ ამზადებდნენ ფეტვის ფქვილიდან რაღაც ფაფას, (Polenta), რომელსაც ალბათ ევროპელის კუჭი ვერ აიტანს. მარტო ფქვილის დამზადების წესი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კერძის ხარისხზე ვილაპარაკოთ. საფქვავად, ჩვეულებრივ, ორ გლუვ ქვას ხმარობენ. თავისთავად ცხადია, რომ კანს არ აძრობენ და მასაც იყენებენ. ყოველივე ამას იწყებენ ჭამის წინ ცოტა ხნით ადრე. შემდეგ იმ ფქვილს ყრიან ქვაბში, ასხამენ წყალს და ცეცხლზე დგამენ. ფქვილისაგან წარმოქმნილ ფაფას გამუდმებით ურევენ, სანამ არ გასქელდება. მარილს ყოველთვის არ ჰყრიან კერძში, რადგან მარილი აქ, ჩვეულებრივ, ძვირად ღირებულ საკაზმად ითვლება; მას უბრალო კერძისათვის ვერ იმეტებენ; ქონზე ან რაიმე ცხიმის დამატებაზე ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენ ჯერ კიდევ სამეგრელოში გვქონდა საშუალება გავცნობოდით პოლენტას ამ სახეობას, რომელსაც აქ ღომს უწოდებენ და პურის ნაცვლად ხმარობენ. ჩვენ პირველსავე დღეებში მოგვბეზრდა იგი. სამწუხაროდ, იძულებული ვიყავით ჩურუქსუშიც ასეთი პურით დავკმაყოფილებულიყავით.

მეორე დილით სანაპიროს გაყოლებით გავუდექით გზას ბათუმისაკენ, რომელიც აქედან ექვსი საათის სავალზეა. მალე საკმაოდ დიდი მოცულობის ციხის ნანგრევებს მივადექით, ე. წ. ციხისჯვარს[46], .აქედან შესანიშნავი სანახაობა იშლება: ერთი მხრივ ზღვა, ხოლო მეორე მხრივ ქვეყნის სიღრმეში მდებარე ნაყოფიერი მიდამოები. შესაძლოა ეს ნანგრევები ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომების დროინდელია, ვინაიდან ისინი განსხვავდებიან ადგილობრივი ქართული წარმოშობის ციხეებისაგან. ისტორიამ შემოგვინახა ბიზანტიელების მიერ აგებული ერთი ასეთი ციხის სახელი. შესაძლოა დღევანდელი ციხისძირი ბერძნების პეტრა[47] იყოს. პეტრა ზღვის მახლობლად მდებარეობს და რამდენადაც შეიძლება ამჟამად მისი ადგილმდებარეობის დადგენა, ახლანდელი ციხისძირის ნანგრევების ადგილზე უნდა

ყოფილიყო აშენებული. დიუბუა დე მონპერე ნამდვილად სცდება, როდესაც პეტრას ადგილსამყოფელად რუსეთის გურიის ცენტრს — ოზურგეთს მიიჩნევს. ოზურგეთი სამი — ოთხი საათის სავალი გზით არის დაშორებული ზღვიდან, რაც ბიზანტიელების ცნობებს არ ემთხვევა.

ციხისძირიდან ერთი საათის სავალზე, სამხრეთ-დასავლეთისაკენ მთები თითქოს უკან იხევენ ქვეყნის შიგნით და მალე დაბლობში აღმოვჩნდებით, რომელიც რამდენიმე საათის სავალზედაა გაგრძელებული. ეს დაბლობი ადგილი ჭოროხის შესართავია. ჭოროხი მთის სწრაფი მდინარეა. იგი ჰყოფს პონტოს მთას სომხეთის ზეგანისაგან და ძალიან ნაყოფიერია. აქაური მცხოვრებლებიც, სხვებთან შედარებით, უფრო შრომისმოყვარე ხალხია. მათ სავაჭრო საქონელი — ბრინჯი და ხილი ჩააქვთ საკმაოდ დიდ და სტუმართმოყვარე ქალაქში — ბათუმში.

თავი III

ბათუმი

აჭარლები და მათი ქვეყანა.—ლაზები.—მათი ისტორია.—მათი დამოუკიდებლობა.—აბდულა—ტრაპეზუნდის ფაშა.—კახაბეროვა. ჭოროხის დაბლობი.—ახალციხე და ქალიშვილებით ვაჭრობა..—ლეკების ავაზაკური თავდასხმები.—ქართველი მონა ქალები.—თურქული მონობა.—მაჰმადიანები და გიაურები.—ბაზარი ბათუმში..—ჩადრი.—თურქული შალი.

ბათუმში დროულად ჩავედით. ძალიან სასიხარულო იყო ჩვენთვის აქაური ბაზრობის ხილვა, რომელსაც ახლო თუ შორეული ადგილებიდან დიდძალი ხალხი მოეზიდა; მართალია, მათ შორის სულ სხვადასხვა ეროვნების ხალხი დაგვისახელეს, მაინც თითქოს ყველა მათგანს ერთნაირი სამოსი ჰქონდა და გარეგნობითაც ჰგავდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანს, ერთი წარმოშობისა იყვნენ და ერთ დიდ ხალხს, სახელდობრ, ქართველებს ეკუთვნოდნენ. ჩვენ ყველაზე მეტად აჭარლები და ლაზები გვაინტერესებდა. პირველები ცხოვრობენ ხეობაში, რომელიც მოიცავს 12 საათის სავალ ფართს. მასზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება ჭოროხის პირველი დიდი შენაკადი — აჭარა-სუ[48] ანუ აჭარის წყალი.

აჭარლები საყოველთაოდ არიან ცნობილი თავისი მამაცობითა და სილამაზით. მათ მმართველებს დიდი ხნის განმავლობაში უთანხმოება ჰქონდათ თავის მეზობლებთან. მართალია, ისინი თურქეთის სულთნის ბატონობას სცნობდნენ, მაგრამ გადასახდელი ხარკის რაოდენობას მუდამ თვითონ განსაზღვრავდნენ. იმ შემთხვევაში, თუ თურქები ამ ხარკს არ დასჯერდებოდნენ და მეტს მოითხოვდნენ მათგან, აჭარლები სულ უბრალოდ მიახვედრებდნენ ხოლმე თურქეთის ელჩებს ხარკის წასაღებად თვითონ მთავარი მოვიდესო. ეს წინააღმდეგობა გრძელდებოდა მანამდის, ვიდრე თურქეთის სულთნის მიერ ტრაპეზუნტის ფაშად დასმულმა თურქმანმა მთავარმა აბდულა ფაშამ[49] არ სცადა არზრუმის ფაშის[50] ნომინალური ბატონობის ქვეშ მყოფი აჭარლების დამორჩილება. მხოლოდ მაშინ მოახერხა თურქეთის მთავრობამ ცოტაოდენი პატივისცემის მოპოვება მთის ხეობებში მობინადრე ხალხს შორის, თუმცა აჭარლებთან მაინც ვერ შეძლო ამის გაკეთება. ჩვენ არ ვიცით რა შედეგი გამოიღო ამ პოლიტიკამ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აჭარლები ისეთივე დამოუკიდებლები დარჩნენ, როგორც წინათ იყვნენ (განსაკუთრებით აბდულას გადაყენების შემდეგ).

რაც შეეხება ლაზებს[51], ისინი არაჩვეულებრივად საინტერესო ხალხია. მათ ძალზე ძველი ისტორია აქვთ. ქართულ მატიანეებში ლაზების სახელი ძალიან ადრე გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ისინი ქართველი მეფეების მთავარი რეზიდენციიდან, მცხეთიდან, შემდგომში კი თბილისიდან ძალიან შორს ცხოვრობდნენ და ამიტომ ნაკლებად იყვნენ მათზე დაქვემდებარებულნი და მათ უყურებდნენ, როგორც ჩამოცილებულ ნაწილს. სხვაგვარად აყენებენ ამ საკითხს შემდგომი დროის ბერძენი ისტორიკოსები, რომლებისთვისაც სანაპირო იმდენად დაშორებული არ იყო. აქ ლაზები ქრისტეს დაბადების შემდეგ, კოლხების ადგილს იკავებენ. აქედან გამომდინარე ეჭვს არ იწვევს, რომ ლაზები (ე. ი. ბიზანტიელები?) და კოლხები ერთი და იგივე ხალხია და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორივენი დიდ ქართულ მოდგმას ეკუთვნიან. ბიზანტიელების დროს, სახელდობრ ამ უკანასკნელთა სპარსელებთან ომის დროს[52], ლაზები ხშირად იხსენიებიან. ერთხანს ისინი თვითონ წარმოადგენდნენ განხეთქილების ვაშლს, რისთვისაც ორი უძლიერესი სახელმწიფო ერთმანეთს ებრძოდა. ეს ქვემო ფაზისის (რიონის) დაბლობის მცხოვრებლებს უფრო შეეხება. საუკუნეთა მანძილზე ომები მხოლოდ დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორიაზე წარმოებდა და ერა ახლანდელ ლაზისტანში.

მთის მცხოვრებლები შემდგომშიაც ყოველთვის ინარჩუნებდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას და ხელსაყრელი პირობების დროს თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ხან ერთსა და ხან მეორე სამფლობელოს. ჯერ კიდევ „ათიათასიანი ლაშქარი"[53] სწორედ ლაზების (ანუ კოლხების) ქვეყანაში წააწყდა დიდ წინააღმდეგობას და იძულებული იყო მიწის თითოეული გოჯისათვის დიდი ბრძოლა გადაეტანა. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ისტორიიდან, თუ რა უმნიშვნელო გავლენა ჰქონდა მაღალმთიან მოსახლეობაზე მითრიდატე დიდს[54], მიუხედავად იმისა, რომ იგი მცირე აზიის ჩრდილო სანაპიროს ფლობდა და ძლიერი მმართველის სახელით იყო ცნობილი. დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ლაზების ქვეყანაში პომპეუსსაც[55], ალბანეთზე გალაშქრების დროს. შემდგომში შუა აზიიდან გამოსულმა ვერცერთმა ხალხმა ვერ შეძლო ამ მთებში გამაგრება. ვერც სელჯუკებმა და თურქმენებმა და ვერც ოსმალებმა, რომლებმაც თანდათან ყველა აზიური სახელმწიფო დაამარცხეს, ლაზების დამოუკიდებლობას ვერაფერი დააკლეს, ვერც პასკევიჩი აღმოჩნდა 1828 წლის ომის დროს პონტოს მთის მიდამოებში სხვებზე უფრო ბედნიერი, თუმცა მანამდის ყარსი[55] და ერზერუმი დაიპყრო და ერთ დღეში სამი ფაშა ტყვედ ჩაიგდო[57]; იგი ლაზებთან წააწყდა უსასტიკეს წინააღმდეგობას. რუსეთ-თურქეთის ომების ისტორიკოსი მოგვითხრობს იმ მუდმივ უსიამოვნებაზე და ხშირ თავდასხმებზე, რომელსაც რუსეთის დიდი არმია განიცდიდა მამაცი ლაზების პატარა რაზმებისაგან.

მართალია, ლაზისტანი თურქეთის პროვინციად ითვლებოდა მაგრამ სულთნის ბატონობა აქ, როგორც წესი, მხოლოდ ნომინალური იყო, თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას თურქეთი დიდი გაჭირვებით ახერხებდა, მხოლოდ ზღვის სანაპიროზე. თუმცა ერთხელ შეძლო თურქეთის უმაღლესმა ხელისუფლებამ იმის მიღწევა, რომ ლაზისტანში მას ანგარიში გაუწიეს და (მთებშიაც კი) ყველა თავკაცი ხარკს იხდიდა, მაგრამ ამ ბატონობამ ცოტახანს გასტანა. სახელდობრ, იმ დრომდის, ვიდრე ზემოთ ხსენებული აბდულა ფაშა განაგებდა ტრაპეზუნდს. მართალია, ეს გაიძვერა ფანატიკოსი თურქმენული წარმოშობისა იყო, მაგრამ მაინც პონტოს მთების ბელადებს ეკუთვნოდა. იგი ამ მთების დასავლეთ კიდეში ცხოვრობდა და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდა იმისათვის, რომ სახელი მოეპოვებინა ხალხში. იგი ოსტატურად ახერხებდა ამ საქმეს. თურქეთის მთავრობამ შეაფასა მისი მნიშვნელობა და მთიელთა საუბედუროდ იგი ტრაპეზუნდის ფაშად დასვა. ისიც რომაელთა ცნობილ გამოთ-

ქმას «Divide et impera» ე. ი. „დაყავი და იბატონე“-ს მიმდევარი, შურს აღვივებდა ლაზების მეთაურებს შორის; სუსტებს ეხმარებოდა ძლიერების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამით თანდათანობით ყველანი აიძულა ეცნოთ მისი ბატონობა; ულმობელი ადამიანი იყო და ურჩებს და მოჯანყეებს სასტიკად სჯიდა. ბევრი მეთაური განდევნილ იქნა თავის მამა-პაპეული მიწა-წყლიდან, ბევრიც დაიჭირეს და სიცოცხლეს გამოასალმეს. აბდულა ფაშას ბატონობამდე ლაზები ზღვაზეც მეკობრეობდნენ. ვაი იმას, ვინც აბდულა ფაშას ჩაუვარდებოდა ხელში?! მოთავეებს ჩვეულებრივ კონსტანტინოპოლში აგზავნიდნენ, სადაც გაიძვერა და ხარბი ფაშა ჯილდოს იღებდა; ხოლო დანარჩენ აჯანყებულებს შეუბრალებლად მაღალი კლდიდან აგდებდნენ.

მაგრამ ცოტა ხნის ბატონობის შემდეგ აბდულა ფაშაც შერისხულ იქნა. ამით ისარგებლეს ლაზების თავკაცებმა და ერთიმეორის მიყოლებით განთავისუფლდნენ. მიუვალი მთების ბელადები წინანდებურად ისევ ეწინააღმდეგებოდნენ დამორჩილების ყოველ ახალ ცდას. მხოლოდ ზღვის სანაპიროზე ცნობდნენ თურქების ბატონობას. იქაური მცხოვრებლები არარეგულარულად, იხდიდნენ უმნიშვნელო ხარკს.

ბათუმი თავის კეთილღდეობას მხოლოდ ნაყოფიერ დაბლობს კი არ უნდა უმადლოდეს, რომელიც კახაბეროვას[58] სახელწოდებას ატარებს, არამედ უმთავრესად ნავსაყუდელს. რომელზეც ის მდებარეობს. სინუპს ანუ სინოპეს შემდეგ შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე არსად არ არის ასეთი საიმედო ნავსადგური, როგორიცაა ბათუმი, რომელიც ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ამჟამად თურქების ბრძოლაში მათი მუდმივი მტრების — რუსების წინააღმდეგ ბათუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. აქ გადმოყავთ თურქეთის ჯარი რუსეთის საზღვრების სუსტ ადგილებში იერიშის მისატანად. ასეთი შემოსევები თითქმის ყოველთვის კეთილად მთავრდებოდა. ესაა პროვინცია, რომელიც რუსეთის ხელში გადავიდა მხოლოდ 1829 წელს ომის ხარჯების სანაცვლოდ. ამ პროვინციის მოსახლეობა თურქეთის მთავრობას ამჟამადაც მეტი სიმპათიით ეპყრობა.

ახალციხე (ე. ი. ახალი ციხე) ძველად ქართული პროვინცია იყო, მაკრამ უკვე მე-16 საუკუნეში იგი თურქებმა დაიპყრეს, მისი მცხოვრებლები კი დაპყრობის პირველსავე დღეებში აიძულეს მაჰმადიანობა მიეღოთ. ამჟამადაც ბევრი მათგანი ყურანის თავდადებული მიმდევარია. თურქები ქალაქსაც და პროვინციასაც აქისქას[59] უწოდებენ. ქალაქი წინათ მნიშვნელოვან როლს ასრულებ-

და. იგი, როგორც ციხესიმაგრე, დასაყრდენ პუნქტს წარმოადგენ-და რუსებთან ბრძოლაში. ახალციხის ხელში ჩაგდებით[60]. რუსეთს გზა გაეხსნა მტკვრის ზედა ნაწილისა და ტრაპეზუნდისაკენ. სწორედ ამიტომ ანიჭებდა თურქეთის მხარე დიდ მნიშვნელობას ამ ქალაქის უკან დაბრუნებას.

, 1829 წელს ქალაქი 60. 000 მცხოვრებს ითვლიდა, მაშინ, როდესაც ამჟამად მათი რიცხვი ათასამდეც ვეღარ აღწევს. ახალციხე ქართველი ქალიშვილებით ვაჭრობის მთავარი ბაზარი იყო. აქედან მათ ჰყიდდნენ თურქეთის ყველა პროვინციაში, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლსა და კაიროში. ასეთი, ჩვენთან რომ იტყვიან, უბედურების რიცხვი ყოველწლიურად დიდი იყო და ხშირად ათასს აღწევდა. მთელი ამიერკავკასია, სომხეთი და ლაზისტანი აწვდიდა მათ „საქონელს". კავკასიის მთებიდანაც იგზავნებოდნენ ახალგაზრდა ქალები. ყველაზე მეტ „საქონელს" ლეკები, ე. ი. დღევანდელი დაღესტნის მცხოვრებლები აწვდიდნენ მსურველებს. დღეს იქ შამილი რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის წინააღმდეგ წარმატებით იბრძვის. ლეკებს ამ მიზნით შუა საქართველოში თავისი გზები ჰქონდათ. ამ ადგილების მიუვალობის გამო ამ საქმიანობაში მათ ვერავინ უშლიდა ხელს. ეს გზები დღესაც ლეკების გზების სახელწოდებითაა ცნობილი. ლეკებს თავიანთი მთებიდან არ მოჰყავდათ გოგონები გასაყიდად, ისინი ამ მიზნით ყოველთვის ბარში ეშვებოდნენ (კავკასიონის სამხრეთით) და ქართული და სომხური სოფლებიდან იტაცებდნენ ქალწულებს. მათი ყაჩაღობის მოწმე (ჯერ კიდევ 40 წლის წინათ) ხშირად თბილისიც ყოფილა. მას შემდეგ, რაც რუსებმა ამიერკავკასიაში თანდათან მოიკიდეს ფეხი, დიდი ყურადღება მიექცა ამ გზების გადაკეტვას. ლეკების ბუნაგებში რაზმები ჩააყენეს. ამგვარად საქართველოში ქალიშვილებით ვაჭრობას თანდათან ბოლო მოუღეს. ლეკების საქმიანობა საბოლოოდ აღიკვეთა მას შემდეგ, როდესაც რუსეთმა ხელში ჩაიგდო ახალციხე.

მონებად გაყიდული ქალიშვილები არც ისე უბედურები იყვნენ, როგორც ჩვენთან ფიქრობენ[61], მართალია, ისინი ჩერქეზებივით ნებაყოფლობით არ იყიდებოდნენ, მაგრამ მაინც სწრაფად ეგუებოდნენ თავის ბედს და ვინაიდან შედარებით უფრო გონიერნი იყვნენ, გარკვეულ სარგებელს თხოულობდნენ. საკმაოდ ცნობილი ფაქტია, რომ თურქულ ჰარამხანებში ქართველი და ჩერქეზი ქალწულები თავისი სილამაზით ყველაზე მეტად ფასობდნენ და მათ თვით ბერძენ გოგონებსაც კი ამჯობინებდნენ. ამავე დროს

მათი ეშინოდათ, ვინაიდან ძალაუფლებისა და ინტრიგის მოყვარულნი იყვნენ. თუ ჰარამხანაში სხვადასხვა ეროვნების ქალი მოიყრიდა თავს, მათ შორს, როგორც წესი, ყველაზე მალე ყოველთვის ქართველი ქალი იმსახურებდა თავისი მეუფის კეთილგანწყობილებას. ამავე დროს იგი ერთგვარი გავლენით და უფლებებითაც კი სარგებლობდა დანარჩენებთან შედარებით. ამის ერაერთი მაგალითი მოჰყავს ჰამერ პურგშტალს[52] თავის „ოსმალეთის ისტორიაში“.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ქართველი ქალი, თუ ის ლამაზი იყო, და თუკი თავისი ბატონის კეთილგანწყობას მოიპოვებდა მონობაში გაცილებით უკეთეს პირობებში იმყოფებოდა, ვიდრე სამშობლოში, სადაც ის პატარა ღარიბულ სახლში ცხოვრობდა და, ჩვეულებრივ, ყოველდღიური საკვებიც კი არ ჰქონდა საკმარისი. თურქული მონობა არც ისეთი საშინელი უნდა იყოს, როგორც ამას ჩვეულებრივ ფიქრობენ ზოგიერთები. ყოველ შემთხვევაში, მონობის ამერიკულ ფორმებთან შედარება არ შეიძლება. ისეთ სისასტიკეს როგორსაც თავისუფალ ამერიკელებთან ვხვდებით, არასდროს არა ჰქონია ადგილი თურქეთში. ასევე , აქაური მონობა გაცილებით იოლი ასატანია, ვიდრე რუსული ბატონყმობა. თურქ მონას, ხშირად უფრო კარგად ექცევიან, ვიდრე ზოგიერთ მოახლეს კულტურით განთქმულ ევროპულ სახელმწიფოებში.

თურქეთში მონა ეკუთვნის ოჯახს და მას, როგორც ოჯახის წევრს, ისე ექცევიან. თუ მონა კარგად იქცევა და საქმეც ეხერხება, არც ერთ ბატონს არ მოუვა თავში აზრად მისი გაყიდვა, რა გაჭირვებაშიც არ უნდა ჩავარდეს იგი. მონა თავის ბატონთან ერთად იკვებება და, საერთოდ, ბატონზე ნაკლებად ჩაცმული არ დაიარება. თუ ერთხანს ერთგულად იმსახურა, ხშირად თავისუფლებასაც ღებულობს. ხანდახან ოჯახის ქალიშვილსაც ირთავს. ის რჩება ოჯახის წევრად თავისი სიმამრის სიკვდილამდე, ანდა უფრო ადრე მისივე დახმარებით საკუთარ მეურნეობას ქმნის.

თურქეთში მონები უკეთეს მდგომარეობაში არიან, ვიდრე ქვეშევრდომები, განსაკუთრებით ქრისტიანები და ებრაელები, ერთი სიტყვით, გიაურები, ანუ არამაჰმადიანები. მართალია, თურქეთში, ჩვენის გაგებით, ბატონყმობა არ არსებობს, მაგრამ მმართველს ან ფაშას მაინც ისეთი უფლებები აქვს ამ აბსოლუტურ სამეფოში, რომელიც კანონით არ არის დაშვებული. ამ ამბავს ისიც ემატება, რომ სხვა სჯულის ადამიანი, ე. ი. გიაური მაჰმადის ძალით მართლმორწმუნის მონად ითვლება. ახლახან თურქეთში

გატარებულმა რეფორმებმა[63] ბევრი რამ შეარბილა, მაგრამ რეფორმები მხოლოდ ისეთ პროვინციებში გატარდა, რომლებიც ევროპულ გავლენას განიცდიან. ამ ეგრეთწოდებულ სიახლეებს ქვეყნის შიგნით ჯიუტად უწევენ წინააღმდეგობას. ზოგან პირიქით (სახელდობრ, იქ, სადაც თურქეთის მთავრობას თავისი ავტორიტეტი არსებითად დაკარგული ჰქონდა), ქრისტიან ქვეშევრდომებს ადრინდელთან შედარებით გაცილებით უფრო მძიმე პირობები შეექმნათ.

ძველი ყაიდის თურქს თავი ბატონად მიაჩნდა. იგი არაა დაინტერესებული ქრისტიანის გამაჰმადიანებით. მას, ებრაელის მსგავსად, სჯერა, რომ თვით ღმერთის მიერ არის ბატონად დანიშნული და ამიტომ მოსამსახურეები და მონები ესაჭიროება. ის უთუოდ დაიღუპებოდა მის მაგივრად სხვას რომ არ ემუშავა, ვინაიდან მუშაობას შეუჩვეველი არის. თურქეთის დაცემის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ არამაჰმადიანთა რიცხვმა წინანდელთან შედარებით იკლო და მიწაც ნაკლებად მუშავდებოდა. ბევრმა ქრისტიანმა ჩაგვრის თავიდან ასაცილებლად მაჰმადიანობა მიიღო. უფრო მეტი კი მბრძანებლის შეუწყნარებელი ჩაგვრით გამოწვეული გაჭირვებისა და ტანჯვისაგან დაიღუპა. მთელ აღმოსავლეთში, ყოველ საუკუნეში, წინანდელთან შედარებით, მოსახლეობა საგრძნობლად კლებულობდა. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სირიაში ძველად უფრო მეტი იყო მოსახლეობა, ვიდრე დღეს არის მთელ აღმოსავლეთში,. შესადარებლად შეიძლება მოვიყვანოთ მხოლოდ წინა მცირე აზია, სახელდობრ, იონია, სადაც ძველად მრავალი აყვავებული და მჭიდროდ დასახლებული ქალაქები არსებობდა.

ისევ ვუბრუნდებით ჩვენი მოგზაურობის აღწერას და დარწმუნებული ვართ, რომ ეს საჭირო წიაღსვლები ნათელს მოჰფენენ ზოგიერთ დეტალს. ძალიან დაგვაინტერესა ბათუმის მაზრის მახლობლად მოფუსფუსე ხალხმა. უმთავრესად ლამაზი მამაკაცები გვხვდებოდნენ. ტანზე კარგად მორგებული ტანსაცმელი, რომელიც უფრო ჩერქეზულსა და მეგრულს ჩამოჰგავდა, ვიდრე ქართულს, ჩამოსხმული სხეულის ყოველ ნაწილს გამოკვეთდა. ლაზები თავიანთ მონათესავე მეგრელ და იმერელ მამაკაცებზე ცოტა უფრო დაბალი ტანისა და ნაკლებ მხარბეჭიანები ჩანან. მკვირცხლები არიან და სწრაფად მოძრაობენ, სახეც უფრო მხიარული გამომეტყველებისა აქვთ. ისინი კავკასიელებივით ყოველთვის

შეიარაღებულნი არიან, თუმცა მკერდზე მიკერებული მასრები აოა აქვთ.

გული დაგვწყდა, რომ ქალები და გოგონები ჩადრით დადიან და მათი სხეულისა და სახის გარჩევა ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გურული ქალების ხილვისა. გურიაში ქალები ჩვენს მზერას თვალს არ არიდებდნენ მამაკაცების თანდასწრებითაც კი. ისინი მეგრელებივით სავსე, მრგვალი პირისახისა არიან, დიდრონი თვალებით, და როგორც წესი, დიდი ცხვირით, რომელიც მათი სახის სილამაზეს მეტ-ნაკლებად ჩრდილს აყენებს. ლაზი ქალები მაღლები არ არიან, მაგრამ მაინც ტანწერწეტები ჩანან. პირისახე ოვალური აქვთ და სახის ნაკვთები უფრო სწორი და სანდომიანი. მათ უფრო მოგრძო, ვიდრე მრგვალი, თუმცა დიდრონი თვალები აქვთ, სამაგიეროდ ცხვირი სახის სხვა ნაკვთებთან სრულ ჰარმონიაშია. ზღვის სანაპიროზე მოგზაურობისას ჩვენ ხშირად გვხვდებოდნენ გოგონები და ქალები, რომლებიც პირბადეს არ ატარებდნენ. მათი უმეტესობა შეიძლებოდა ლამაზებად ჩაგვეთვალა.

აქაური ქალის პირბადის შედარება ჩვენი ქალების ვუალთან, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ჩვენი ქალები ისეთ გამჭვირვალე პირბადეს ატარებენ, რომ სახის ნაკვთები გარკვეულად ჩანს. აღმოსავლური რიდე მარტო სახეს კი არა, მთელ სხეულს უნდა ფარავდეს უცხო მამაკაცის მზერისაგან. საქართველოში რიდედ ბამბის დიდ და თეთრ მოსახვევს, ჩადრს ხმარობენ, რომელსაც ისეთი ოსტატობით იხვევენ თავზე და სხეულზე, რომ მოძრაობასა და სიარულში ხელი არ ეშლებათ. უმეტესად ლურჯი ფერის მოსახვევებს ატარებენ, ზოგჯერ კი ჭრელსაც. სპარსეთში ეგრეთწოდებულ თურქულ, დიდი ზომის შალს ატარებენ. ეს შალი მხოლოდ სპარსეთში მზადდება, უმთავრესად ხორასანში. მომზადების წესითა და ნიმუშით იგი ქიშმირის შალს წააგავს. ორივე, ჩვეულებრივ, იქსოვება ცალ-ცალკე, გრძელ ნაჭრებად. ხოლო შემდგომ ერთდება. თურქული შალი უფრო მძიმეა და გამძლე და საგრძნობლად განსხვავდება ქიშმირის შალისაგან, იგი, შეიძლება ითქვას, გაუცვეთელია. ამ შალისათვის მატყლს საგანგებო ჯიშის ანგორას თხის ჯიშის მსგავსი თხის ბეწვისაგან ამზადებენ.

თავი IV

ლაზისტანი

ნაოსნობა ჭოროხზე..—ვაჭრობა.—თავადი პეტრე ბაგრატიონი.—გონიო..—თხუთმეტი ხეობის მთავარი ანუ ლაზისტანის დერებაიები..—გონიოს ხევის მმართველი.—ლავაში და მისი ხმარება.—დანაყრება.—მაკრიალი.—ხოფა.—ჰელიმ-ბეი..—თურქული სამოსელი.—კონცერტი.—თონე.—მავნე მწერებისაგან განწმენდა.—მოხეტიალე მომღერლები.—ზღვით გამგზავრება.—კლდეები..—ათინა.—ბერძნული ხანის სახელწოდებები.—ყავახანა.—ბაზარი.

მეორე დღეს ისევ გავუდექით გზას. ცოტა ხნის მგზავრობის შემდეგ ტივით გადაგვიყვანეს ჭოროხზე. ამ ადგილებში მდინარე საკმაოდ განიერია. ნავები აქ არა ჩანს, ყოველ შემთხვევაში ჩვენ ისინი არსად შეგვიმჩნევია. როგორც გვითხრეს, მდინარე ჭოროხი მეტად ჩქარია და სანაოსნოდ გამოუსადეგარიო. მართლაც, ნავი ვერ უმკლავდება აზვირთებულ ტალღებს, მდინარის ხშირ ხვეულებს, ამოშვერილ ლოდებს და სწრაფად იძირება. ტივი კი დიდი ძალის დაჯახებასაც უძლებს.

ბათუმიდან საქონელი ქვეყნის სიღრმეში გააქვთ, თვით ყარსამდე, ლაზისტანის და ჭოროხის მიდამოების მცხოვრებლები თურქეთის სხვა მოსახლეობასთან შედარებით შეძლებულნი არიან და ვაჭრობის საქმეც კარგად აქვთ დაყენებული. შემდეგ საქონელი ჩვეულებრივ ცხენებით გადააქვთ მდინარის გაყოლებით, თუმცა უფრო მეტად ჯორებს დაინახავთ, რომლებიც მთებში ცხენებზე მეტ გამძლეობას იჩენენ. სავაჭრო საქმეებს, ჩვეულებრივ, ქართველები განაგებენ. ეს ის ქართველებია, რომლებსაც სომხური სქიზმა აქვთ მიღებული და ამიტომ სომხებად იწოდებიან. ისინი უმთავრესად ართვინში ცხოვრობენ. ართვინი ჭოროხის გაყოლებით 16 საათის სავალზე მდებარეობს და საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალაქია. ამ მიდამოებში მოსახლეობის უმრავლესობა გაფანტულად ცხოვრობს.

გავიცანით ერთი გასომხებული ქართველი, რომელსაც ბოლომდე ვერ უარეყო ქართველობა. ძალიან გავიხარეთ, როცა გავიგეთ, რომ იგი ძველი სამეფო საგვარეულოს შთამომავალი, ბაგრატიონი ყოფილა. მან თავისი თავი თავად პეტრე ბაგრატიონად წარმოგვიდგინა. მისი წინაპრები ერთ დროს არტანუჯში (ბიზანტიელების ადრანუცინი) მეფობდნენ, მაგრამ წინა საუკუნეში, როცა მაპმადიანობა ძალით გაავრცელეს, ტახტი დაჰკარგეს და თავი-

სი სჯულის ერთგულნი დარჩნენ. მიატოვეს თავიანთი ადგილ-სამყოფელი და სხვა ქრისტიანებთან ერთად იქვე ახლო მდებარე ართვინში[51] დასახლდნენ. ეს ქალაქი თანდათან აყვავდა და შიდა ქვეყნის სავაჭრო ცენტრად იქცა.

თავად პეტრე ბაგრატიონის წინაპრები სწრაფად შეეგუენ თავის ახალ მდგომარეობას. მეფობის ნაცვლად, მათ ვაჭრობას მიჰყვეს ხელი. უპირველეს ყოვლისა, მათ გამოიყენეს ენდროს ძირები (ართვინის ახლოს ველურად რომ იზრდება) სხვადასხვა ქსოვილების წითლად შესაღებად. აქედან მოყოლებული სამღებროები მომრავლდნენ, ხოლო მისი წყალობით გაცხოველებული ვაჭრობა გაჩაღდა. ართვინის წითელმა საღებავებმა, მისი გამძლეობის გამო მთელ ჩრდილოაღმოსავლეთში გაითქვა სახელი.

ჭოროხის მეორე ნაპირზე, რომელიც, სხვათა შორის, ზღვას სამ ტოტად ერთვის, ნაკლები მნიშვნელობის ციხესიმაგრე გონიო მდებარეობს. რასაკვირველია, საქმეში ჩახედული კაცისათვის აქაც შეიძლება ზოგი რამ საინტერესო გაირკვეს. გონიო[65] თავადის რეზიდენციას წარმოადგენს. მართალია, თავადის მამული მხოლოდ დაბლობზე მდებარეობს, იგი მაინც დერებაის[66], ე. ი. ხევის თავადის სახელწოდებას ატარებს. ეს სახელი არამარტო ლაზისტანში, არამედ მთელ პონტოს მთებშია გავრცელებული, ნაწილობრივ მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილშიც და ადგილობრივ გრაფს ნიშნავს, რომელიც, თავის მხრივ, სხვა უფრო მაღალი წოდების მთავარს ემორჩილება. ჩვეულებრივ, ხევის მთავრები მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელნი იყვნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ ისევე, როგორც ჩვენში შუა საუკუნეების რაინდები. ციხექალაქებზე თავდასხმები და სოფლებისა და ნათესების გაჩანაგება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ჩვენ მერეც გვქონდა საშუალება დაგვენახა გააფთრებული ბრძოლების კვალი გადამწვარი სახლებისა და ნანგრევების სახით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აბდულა-ფაშას (ტრაპეზუნდის წინანდელ ფაშას) დიდი დამსახურება მიუძღვის შინაური ბრძოლების აღკვეთაში. ლაზისტანის გუბერნატორად მან დანიშნა ძლიერი პიროვნება და მას ჩააბარა მამაცი ჯარისკაცებისაგან შემდგარი რაზმი, რომელსაც მისი ბრძანებები ზუსტად უნდა შეესრულებინა.

ასეთი ხევის თავადი, დღევანდელ ლაზისტანში (რომელიც პონტოს მთის ერთ ნაწილს და საკუთრივ ლაზების ქვეყანას მოიცავს) თხუთმეტია. აქედან თორმეტს თავისი ადგილსამყოფელი ზღვის სანაპიროზე აქვს, ხოლო სამი შედარებით დაბალი პონტოს

მთებში ცხოვრობს. მათი წყალობით ძველ დროში ამ მიდამოებში (სახელდობრ, ბათუმიდან ართვინამდის) გზაზე სიარული სახიფათო იყო.

თუ ბათუმში სიცოცხლე ჩქეფდა და ქალაქში ჭრელი ხალხი ირეოდა, გონიოში, რომელიც სულ რამდენიმე ქუჩისაგან შედგებოდა, სიჩუმე და სიცარიელე სუფევდა. თუმცა ხევის თავადი თავაზიანად შეგვხვდა, მაგრამ რამდენჯერმე გვაგრძნობინა, რომ ევროპელები არ უყვარდა. თურქეთის მთავრობამ (რომელიც მუდამ ფულის ნაკლებობას განიცდიდა და ვერ დაეხსნა თავი ამ გასაჭირისაგან) ხევის თავადებს მოსთხოვა ქვეყნის სიღრმიდან ხე-ტყე ზღვის სანაპიროსაკენ გაეზიდათ და მათთვის გადაეცათ. ამავე დროს ხევის მთავრებმა ხე-ტყის ნაწილის გაყიდვის უფლება მიიღეს, თუმცა საამისო გადასახადი თურქებისათვის უნდა გაეცათ. თავისთავად ცხადია, რომ ეს მოთხოვნები არ გამოდგებოდა სიყვარულისა და ერთგულების დასამყარებლად. ხევის თავადებს არ ეშინოდათ თურქეთისადმი თავიანთი სიძულვილის აშკარა გამოხატვისა.

აქვე გავეცანით ეგრეთწოდებული ლავაშის დამზადებას. ლავაში სუფრაზე პურისა და ხელსახოცის როლს ასრულებს. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში ჩანგალს არ ხმარობენ და პირდაპირ ხელით შეექცევიან საჭმელს. მართალია, კოვზს იყენებენ. მაგრამ ის იმდენად სქელი და მოუხეშავია, რომ ჩვენი ყველაზე ღარიბი გლეხიც კი არ იხმარს მას. ამავე დროს კოვზი ისე ბრტყელია, რომ ზედ წვნიანი არ ჩერდება. საბედნიეროდ, აღმოსავლელებს წვნიანი ნაკლებ უყვართ. მათ ჰგონიათ, რომ მშრალი საჭმელი უფრო დაანაყრებს კაცს.

აღმოსავლელი ხალიჩაზე მდგარი ჯამიდან ჭუჭყიანი თითებით, ფეხმორთხმული შეექცევა საჭმელს. ეს სანახაობა მაინცდამაინც მადის აღმძვრელი არ გახლავთ. ამბობენ, რომ აღმოსავლელები სისუფთავის მოყვარულნი არიან და ბანაობა უყვართო, მაგრამ ვინც ცოტა ხნით მაინც ყოფილა აზიაში, ამ აზრს ვერ გაიზიარებს. მართალია, სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, მონას შემოაქვს ხელსაბანი და ხელზე წყალს უსხამს ბოთლიდან, ხოლო შემდეგ პირსახოცით ამშრალებინებს. ხელისბანა ჭამის შემდეგაც მეორდება. მაგრამ არ იფიქროთ, რომ დაბანა ძალიან გულმოდგინედ ხდებოდეს, ეს არის ყურანით დაწესებული ჩვეულება. საღილის შემდეგ ნამდვილად საჭიროა ხელების საფუძვლიანად დაბანა, რადგან ჭამის დროს, გარდა ხსენებული ლავაშისა, სხვა ხელ-

სახოცი არ მოიპოვება. ლავაშზე იწმენდნენ ხელებს იმ შემთხვევაში, როდესაც თითებიდან (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) ქონის წვეთები ჩამოსდით. შემდეგ ლავაშს დასველებულ ადგილს აგლეჯენ და შეექცევიან. სადილობისას ასეთ სისადავეს დიოგენიც კი არ იჩენდა, მიუხედავად იმისა, რომ წყლით და პურით იკვებებოდა.

ამას გარდა, აღმოსავლეთში კიდევ ერთი ჩვეულება აქვთ, რაც ჩვენში არ დაიმსახურებდა დიდ მოწონებას. სადილობისას თუ რომელიმე პიროვნებას განსაკუთრებული პატივი უნდა სცენ, ლანგარიდან კარგ ნაჭერს არჩევენ, რამდენიმეჯერ ამოავლებენ წვენში, კარგად რომ გაიჟღინთოს, და სიყვარულის ან ყურადღების ნიშნად ვინმეს ესვრიან. თუ ნაჭერი შემთხვევით იატაკზე დავარდა, ეს არ აბრაზებთ. ასეთი წესიც აქვთ: პურის პატარა ნაჭერს წვენში ჩაფშვნიან, შემდეგ ხახვს, ესპანურ წიწაკას და სხვა ცხარე სანელებელს მოაყრიან ზედ, დაამრგვალებენ და ისე ესვრიან სტუმარს.

აღმოსავლელების პურმარილის წესების აღწერას მოვუნდით და გამოგვრჩა ზოგი რამ, რისი მოკოლაც გვსურდა, სახელდობრ, ლავაშის დამზადების შესახებ. მართალია, დარწმუნებულნი ვართ, რომ ლავაშის მომზადების ეს წესიც არ აღუძრავს ჩვენებურს მიბაძვის სურვილს, მაგრამ ორიგინალობასა და თავისებურებაში მათ ვერავინ შეეცილება. თვითონ პურის საცხობი ღუმელებიც კი სრულიად განსხვავდება ჩვენებურისაგან.

ღუმელი ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილ ე. წ. ჭურის მსგავს თიხის ჭურჭელს წარმოადგენს(მიწაში რომ მარხავენ ღვინის შესანახად), იმ განსხვავებით, რომ აქ ჭურებს ჭურჭლის ზემოთა ნაწილი, შევიწროებული არა აქვთ და პირი დიდზე აქვთ დაღებული. ჭურჭლები ისეა ჩაფლული მიწაში, რომ ზედაპირიდან მხოლოდ პატარა ნაწილი ჩანს. პურის გამოსაცხობად ღუმელში წვრილ, ხმელ შეშას, ე. წ. ფიჩხს ყრიან და ცეცხლს უკიდებენ. ამასობაში ქალები პურის ფქვილს ამზადებენ, წყლით ზელავენ და სამი ფუტის სიგრძისა და ერთი ფუტის სიგანის თხელ ცომს ამზადებენ. შემდეგ ზემოდან ისევ მშრალ ფქვილს აყრიან.

შეშის დანახშირების შემდეგ თიხის ჭურჭელი ანუ ღუმელი ხურდება. მაშინ იღებენ მოგრძო ფორმის ლავაშებს და ფქვილწაუყრელი ნაწილით ღუმელის შიგნითა ზედაპირზე რამდენიც დაეტევა ერთიმეორის მიყოლებით აკრავენ. ღუმელს, სითბოს შესანარჩუნებლად, ზემოდან გადახურავენ. ცოტა ხნის შემდეგ ამოწ-

მებენ მზადაა თუ არა ლავაში და აძრობენ. ჩვეულებრივ, გამომ-ცხვარი ლავაში თვითონვე ძვრება. ახალი, ცხელი ლავაში მართ-ლაც გემრიელია. მას სწორედ ცხლად შეექცევიან. რამდენიმე საათის შემდეგ ლავაში ტყავს ემსგავსება და გემოც ისეთი აღარ აქვს.

ევროპელს, რომელმაც ლავაშის დამზადების წესის შესახებ ამის მეტი არაფერი იცის, პურის გემოც კარგი მოეჩვენება და არ შეეზიზღება ლავაშის შეჭმა. მაგრამ როგორც კი გაიგებს, თუ რისთვის ხმარობენ ამ გახურებულ ღუმელს პურის გამოცხობის გარდა, იმწამს შეეცვლება გუნება-განწყობა.

ღუმელი, როგორც წესი, საოჯახი სადგომის შუაშია მოთავ-სებული ან ერთადერთი საცხოვრებელ ოთახში, რომელშიც ოჯახ-თან ერთად საქონელიც იმყოფება. ლავაშის გამოცხობის შემდეგ, ღუმელის ძირში გახურებული ნახშირი დიდ სითბოს ინარჩუნებს. ღია ღუმელის გარშემო თავს იყრის ოჯახის ყველა წევრი (მამა, დედა, ვაჟიშვილი, ქალიშვილი) და ოღლი გზით ცდილობენ მკბე-ნარის თავიდან მოშორებას. ისინი სრულიად არ ერიდებიან მას თუ ვინ უზით გვერდით და რომელი სქესისაა ან ასაკის ეს პი-როვნება, რიგრიგობით იხდიან ტანსაცმელს და მთელი ძალით ბერტყავენ ღუმელში. მოელი ოჯახი თანდათან ანთავისუფლებს ტანსაცმელს მკბენარისაგან და ისე გამოიყურება, რომ სამოთხე-ში მყოფ ადამსა და ევას მოგვაგონებს. ამ თვალსაზრისით ხალხი აქ ჯერ კიდევ ბედნიერ უბიწობაში ცხოვრობს და ამაში სამარც-ხეინის არაფერს არ ხედავს.

ოთახში დროდადრო მკბენარების ტაცუნი გაისმის. არ გე-გონოთ, რომ ოჯახის რომელიმე წევრი ზრუნავს იმაზე, რომ შემ-დეგ მაინც ვამოასუფთავონ ღუმელის კედლები, ან ჩვარი მაინც მოუსვან მას. ისინი მხოლოდ გაცივებულ ნაცარს იღებენ, რათა შემდეგ იმნაირადვე იხმარონ ღუმელი პურის გამოსაცხობად. ასე-თი უსუფთაობით გამოწვეული გაოცების საპასუხოდ მათ დამშ-ვიდებით აგვიხსნეს, რომ დამწვარი მწერები ნახშირად იქცევიან და არ შეიძლება უსუფთაობა გამოიწვიონ.

მეორე დღეს ხოფასკენ[67] განვაგრძეთ გზა. იგი ამ ადგილიდან ექვსი საათის სავალით არის დაშორებული. თანდათანობით ქრე-ბა დაბლობი და პონტოს მთები სულ უფრო უახლოვდება ზღვის სანაპიროს. შუა გზაზე სხვა ხეობის თავადის რეზიდენცია — მაკ-რიჰი[68] მდებარეობს. ხოფში გულითადად მიგვიღო ლაზისტანის გუბერნატორმა, რომელსაც გენერალ-მაიორის ჩინი აქვს და ფაშად

იწოდება. სინამდვილეში მას მხოლოდ მუთესელიმი (ჩვეულებრივ გამოითქმება „მუსელიმი“) ჰქვია, რაც ჩვენებურ ადრინდელ ლანდსკაპიტანის ტიტულს უფრო შეესატყვისება.

უნდა ვაღიაროთ, რომ აღმოსავლეთში ხანგრძლივი ყოვნის დროს ცოტა თუ შეგვხვდა ისეთი მაჰმადიანი, რომელსაც ასეთი კარგი შთაბეჭდილება მოეხდინოს ჩემზე თავისი კეთილშობილური ქცევითა და გარეგნობით, როგორიც ლაზისტანის გუბერნატორს. შოგვიანებით შევიტყვეთ, რომ ჰელიმ-ბეი[69] (ასე ერქვა ჩვენს მასპინძელს) თურქი დიდებულის ვაჟი იყო და აქ რაღაც დანაშაულისათვის გადმოესახლებინათ. ასეთი ადამიანები ყოველთვის ახერხებენ ყველაფრის წესრიგში მოყვანას. ჩვენი მასპინძლის ბინა ზედმეტი ფუფუნების საგნებით არ იყო გადატვირთული და გემოვნებით იყო მორთული (რა თქმა უნდა, თურქულ ყაიდაზე).

ჰელიმ-ბეი ლამაზი, ტანწერწეტა მამაკაცი გახლდათ. ასეთი გარეგნობის მამაკაცს თურქეთში იშვიათად თუ შეხვდებით. მას ჰქონდა მოგრძო, მიმზიდველი სახე და მიუხედავად იმისა, რომ თვალზე მიყენებული ჭრილობის გამო ეს მხარე შეხვეული ჰქონდა, მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა, თუნცა ჩვეულებრივ თურქები სიტყვაძუნწი ხალხია და თავისი ცრურწმენის ერთგული. ჩვენი მასპინძელი კი კარგა ხანს თავაზიანად გვესაუბრებოდა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ. მან მოიგონა „მსოფლიოს დედა“ (ასე უწოდებენ მაჰმადიანები კონსტანტინოპოლს). უხაროდა, როდესაც ჩვენი აზრები ერთმანეთს ემთხვეოდა. ჩვენ ქებით ვიხსენიებდით კონსტანტინოპოლის ზოგიერთ ახალ შენობას. ცოდნის შეძენის წყურვილმა იგი საზღვარგარეთ წაიყვანა. ყველაზე მეტად აყვავებულ ოდესას იგონებდა. ოდესიდან იგი ყირიმის სამხრეთ სანაპიროზე გადასულა განოქმული ბაღების სანახავად.

ჰელიმ-ბეის, როგორც განათლებული საზოგადოების წევრს, ძველი თურქული ტანსაცმელი გაეხადა და კონსტანტინოპოლში ყველა მოხელისათვის სავალდებულო ფორმა ჩაეცვა, რომელიც ძალიან უხდებოდა. ძველ თურქულ სამოსში გამოწყობილი ადამიანები იშვიათად თუ მოგეწონებოდათ, სულერთია მოგზაურნი იყვნენ ისინი თუ სხვა ვინმე. სელამლუკში, ე. წ. დიდებულთა მისაღებ ოთახში კი ლამაზად გამოიყურებიან და მხატვრისთვისაც ძალიან საინტერესო მასალაა. თურქული სამოსელი, განსაკუთრებით განიერ ტოტებიანი შარვლები, თავისი ნაოჭებით, ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანის ტანზე უშნოდ გამოიყურება. განსაკუთრებით

შეუფერებელია იგი მთის მცხოვრებლებისათვის. ამიტომ მთის ხალხი არ იცვამს ამ ტანსაცმელს და უფრო მოხერხებულ, ტანზე მორგებულ სამოსს ატარებს. ძველებური ტანსაცმელი, როგორც ჩანს, თავიდანვე მხოლოდ დაბლობ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის იყო განკუთვნილი, რომლებიც ცხენით უფრო მოგზაურობდნენ, ვიდრე ქვეითად. მუსელიმს ანუ ლანდჰაუპტმანს არ ეხურა თავზე დოლბანდი და თავშიშველი შემოვიდა მისაღებში, სელამლუკში. მას ოდნავ ხვეული მშვენიერი შავი თმა შეკრეჭილი არ ჰქონდა და ლამაზად უფარავდა კოხტა თავს. ლამაზ ტანს კარგად გამოკვეთავდა პოლონურ ყაიდაზე ზონრებით შეკრული ქურთუკი. თურქული ქურთუკი და ფართო შარვალი კი ტანს ისე ფარავს, რომ სხეულის ვერცერთ ნაკვთს ვერ გაარჩევს კაცი.

საღამოს საგანგებოდ მიგვიწვიეს განთქმული მომღერლისა და ჩინებული გიტარისტის მოსასმენად. მაჰმადიანებს თავისი ღირსების დამცირებად მიაჩნდათ სიმღერა ან რომელიმე საკრავზე დაკვრა. მათი აზრით, ეს მხოლოდ მონის საქმეა. სამაგიეროდ ლაზები, თავისი ნათესავი ქართველების მსგავსად, მამაპაპური ჩვეულებების ერთგულნი დარჩნენ. მათ არა მარტო უყვართ სიმღერა და დაკვრა, არამედ თვითონაც კარგი ოსტატები არიან ამ საქმისა. ოდითგან ქართულ მხარეებში (იქაც კი, სადაც მოსახლეობამ მაჰმადიანობა მიიღო) შეხვდებით ე. წ. ქუჩის მოხეტიალე მომღერლებს, ანუ ტრუბადურთა მსგავსს, სოფლიდან სოფელში ან ერთი ქალაქიდან მეორეში რომ გადადიან. მათ ყველგან გულითადად ხვდებიან, სიამოვნებით უსმენენ და შეძლებისდაგვარად საუკეთესო კერძით და სასმელით უმასპინძლდებიან. მაჰმადიან ქართველებს, ისევე როგორც ლაზებს, მეტად უყვართ ღვინო და თუ ახლოს მოლა არ ეგულებათ, სიამოვნებით შეექცევიან სასმელს. ისინი უფრო მეტად არაყს ეტანებიან, რომელსაც ალუბლისაგან ამზადებენ; განსაკუთრებით კი ტრაპეზუნდის მახლობლად, სადაც ბევრი ბერძენი ცხოვრობს, აქ მას მღვდლის რძეს (Galaton papadon-ს) უწოდებენ.

ლაზისტანის და საზოგადოდ პონტოს მთების მოხეტიალე მომღერლები ნამდვილად ჩამოჰგვანან შუა საუკუნეების ტრუბადურებს. ისინი, ჩვეულებრივ, წარჩინებული ოჯახიდან არიან გამოსულნი და მათ მხოლოდ შინაგანი სწრაფვა აიძულებთ რაღაც საკონცერტო ტურნეს მსავსი მოაწყონ. კონცერტში ოჯახის ყველა წევრი ღებულობს მონაწილეობას. ისინი ნათესავებს და ნაცნობებს ეპატიჟებიან მუსიკის და სიმღერის მოსასმენად. კონცერტში ქალებიც იღებენ მონაწილეობას, განსაკუთრებით სიმღერის

დამთავრების შემდეგ გამართულ ცეკვებში. მართალია, სინარნარითა და სიკოხტავით ეს ცეკვები ჩამოუვარდება ესპანურ ცეკვებს. მაგრამ მაინც მეტად მეტყველი და მომხიბლავია. ქართველი მომღერალი, პროვანსალელი მომღერალივით, გარდა ბაყურებელთა მადლობისა, არავითარ გასამრჯელოს არ იღებს: სამა რომელთა მადლობისა არავითარ გასამრჯელოს არ იღებს: სამაგიეროდ სადილობის ჟამს მათ საუკეთესო კერძით უმასპინძლდებიან.

თუმცა მათი ციტრა ისეთ ჟღერადობას ვერ გამოსცემს, როგორსაც ჩვენი ინსტრუმენტები, განსაკუთრებით ჩვენი გიტარა, მაგრამ მათმა დაკვრამ და სიმღერამ მაინც გაგვაოცა. ჩვენ ისეთი სიამოვნება მივიღეთ იმ საღამოს, როგორსაც გერმანული მუსიკის კონცერტებიდან ვღებულობთ ხოლმე. საინტერესო იყო ჯიმჯიმის მსგავსი „ინსტრუმენტის“ აკომპანიმენტიც. რომელიც შიგადაშიგ გაისმოდა, ხოლო კონცერტის მომღერალს ორი ხის კოვზი უკავია მარცხენა ხელის თითებს შუა და მარჯვენა ხელით სხვადასხვანაირად აჟღერებს მათ.

ხოფის დასავლეთით მდებარე მთა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ზღვას და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ზღვიდან ამოდისო; ამის გამო გზა ზღვის ნაპირის გაყოლებით სულ უფრო და უფრო ძნელი სავალი ხდება. აქ ცხენითაც ვერ გაივლის კაცი. კლდეებზე ფეხით სიარულიც კი ჭირს. ჩვენმა თავაზიანმა მასპინძელმა წინასწარ გაგვაფრთხილა ამის შესახებ და ტრაპეზუნდამდის მგზავრობისათვის იალქნიანი ნავი შემოგვთავაზა. ჩვენ ვისარგებლეთ მისი სტუმართმოყვარეობით, მადლობა გადავუხადეთ და აქედან 10 საათის სავალი გზით დაშორებულ ათინასაკენ გავწიეთ.

ჩვენდა საბედნიეროდ ზღვა ისეთი მშვიდი იყო, თითქოს ჯერ არავისთვის მწუხარება არ მიეყენებინოს და თავის სახელწოდებას ირონიით ატარებდეს[70]. ასე რომ არ ყოფილიყო, კლდიან ნაპირთან ასე ახლოს და ასეთი კარგი განწყობილებით ვერ ვიმგზავრებდით.

რა შესანიშნავი სანახაობა გადაგვეშალა თვალწინ! თუმცა განთქმული ყირიმის სანაპიროები და ზღვიდან ამოსული ჩერქეზეთი, თავისი მაღალი მთებით, უკვე ნანახი გვქონდა, ასეთი სილამაზე და მრავალფეროვნება ჯერ მაინც არსად გვიხილავს. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ლამაზი და რომანტიული ხდებოდა გარემო მიდამოები. ერთმანეთს ცვლიდნენ ახალ-ახალი

სურათები, რომელთაც აღტაცებაში მოვყავდით. ზღვიდან უზარმაზარი კლდეები აღმართულიყო. მუქი ლურჯ-წითელი ტალღები ვამეტებით აწყდებოდნენ კლდის ნაპრალებს, რომლებიც ხასხასა მწვანე ბალახითა და ბუჩქებით იყო დაფარული. ყველაფერი ეს საოცარ ჰარმონიაში იყო აქაურ ბუნებასთან; ჩვენი ნავი ტალღებს მიქყვებოდა. ვაი ჩვენი ბრალი, ამ საშიშ ადგილებში უეცრად ქარიშხალი რომ ამოვარდნილიყო. ასეთი კლდეების სიახლოვისას ყველა ცდა გადარჩენისათვის უშედეგო იქნებოდა; ნავი კლდეს დაეჯახებოდა და დაიშლებოდა იმავე ნაფოტებად, რომლებისგანაც ის დურგალს წვალებით შეეკრა. ჩვენმა თანამგზავრებმა გვითხრეს, რომ ამ ადგილებში ყოველწლიურად ბევრი გემი და ხავი იღუპება. მათი მონაყოლი ახლაც შიშის ზარს გვცემს. მართლაც გულსაკლავია, როდესაც შენ ახლობელს განსაცდელში ხედავ და ოდნავი დახმარების გაწევაც არ შეგიძლია. ქარიშხლის მოახლოებისას დიდი გემები ზღვის სიღრმეში შედიან, რათა კლდეებზე მიხეთქებული ტალღებისაგან დაიცვან თავი. მაგრამ რარიგ შორსაც არ უნდა იყოს გემი, უეცრად მოვარდნილი გრიგალი თავისი ძალით სწრაფად გააქანებს მას კლდიანი ნაპირისაკენ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში გემიც იღუპება და ხალხის გადარჩენაც შეუძლებელია. მსგავსი რამ სხვაგანაც ხდება.

ათინაში[71] დროზე ჩავედით. აღმოსავლეთში, ჩვეულებრივ, ძალზე ძველი დროის სახელებია შემორჩენილი. განსაკუთრებით ადგილების დასახელება. სახელწოდება მაშინაც რჩება, როდესაც თვით ხალხები უკვე დიდი ხანია აღარ არსებობენ. ათინას არიანეს დროს ათენე ერქვა; აქ სიბრძნის ქალღმერთის განთქმული ტაძარი იდგა. მართალია, ეს ადგილი დიდი მნიშვნელობისა არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მისი სახელწოდება მაინც შემორჩა. ზღვის სანაპიროზე სხვაც ბევრია ძველთაგან წარმომდგარი და შემორჩენილი სახელწოდებები. ბათუმი — ძველი ბათვისია[72]. ხოფის მახლობლად მდებარეობს რიზე[73] ძველად ციზედ წოდებული. დასავლეთით, ორი საათის სავალზედ ძველი არხაბისი[74] მდებარეობს, რომელიც დღესაც არხავეჰის[75] სახელს ატარებს. ათინას დასავლეთით, ზღვის ნაპირის გაყოლებით, ერთმანეთს მოსდევენ: რიცუსი[76] — ახლანდელი რიზა, ოფისი[77] — ახლანდელი ოფი, სუსურმენა[78] — ახლანდელი სურმენეჰ, ტრაპეზუს — ახლანდელი ტრაპეზუნდი ან ტარაბოზანი (ჩვენთანაც ტრაპეცუნტად წოდებული). კერაზუსი, — ახლანდელი კერასუნი, ტრიპოლისი — ახლანდელი ტირებოლი და სხვ.

სასტუმროში ანუ კონაკში[79], რომელსაც ამავე დროს ყაკახანადაც იყენებენ, აღმოსავლეთის პირობაზე, კარგი ღამისსათევი ვიშოვეთ. ჩვენ ბინას ადგილმდებარეობაც კარგი ჰქონდა. ღია ფანჯრებიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა. მინის არსებობის შესახებ აქ, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთში, ჯერ არაფერი იცი[illegible]. ზაფხულში ფანჯრები მხოლოდ სხვადასხვა არაბესკისაგან გამოჭრილი ჩარჩოებით იკეტება, რომელიც ნებისმიერ სიდიდეზე შეიძლება გაიღოს. ზამთარში მინის ადგილს მაგარი ქაღალდი იკავებს, რომელიც ყოველთვის არ არის ზეთით გაჟღენთილი და ცუდად ატარებს მზის სინათლეს.

ათინას არაჩვეულებრივად კარგი მდებარეობა აქვს. კლდეებს თითქოს უკან დაუხევიათ და მთლიანად გაუჩინარებულან. ბორცვიან მაღლობებზე ისეთი მცენარეულობა ხარობს, როგორც მაღალმთიან ალპებში. ბუჩქებიც არ გვხვდება აქ ისე ხშირად, როგორც ხოფადან ათინამდე. სუხადერეს[80] დაბლობიც აქ უფრო გაბნიერი ჩანს, ვიდრე პონტოს მთის სხვა ადგილებში.

ათინაში, ისევე როგორც ბათუმსა და ხოფაში, დროდადრო იმართება ბაზრობა. სურსათისა და სხვადასხვა ნაწარმის გასაცვლელად და საჭირო ნივთების შესაძენად აქ ახლომახლო მთის მოსახლეობა იყრის თავს. ვაჭრობა გაცვლის წესით უფრო წარმოებს, ვიდრე ნაღდ ფულზე. მთის მცხოვრებლები. ამზადებენ სხვადასხვა ნაწარმს, მოჰყავთ სიმინდი; ზედმეტ საქონელს ან პროდუქტს ისინი ცვლიან მათთვის უფრო საჭირო სურსათ-სანოვაგეზე. გასაყიდად ჩამოყავთ საქონელი, აგრეთვე ცხენებიც. ასეთ ბაზრობაზე, თავისთავად ცხადია, სასადილო დუქნებიც არის, რომელთა შორის ექმექჩები (მეპურეები), ქებაბჩები (მზარეულები) და ყავეჩები (მეყავეები) მთავარ როლს ასრულებენ.

ჩვენ სახლში, როგორც უკვე მოგახსენეთ, ამავე დროს ყავახანაც არის, სადაც ცხოლოდ წარჩინებული ხალხი იყრიდა თავს: სადილობის შემდეგ ერთი ჭიქა ყავა რომ შესვან და ყალიონი გააბოლონ. თუ კერძი ძვირი ჯდება, ყალიონს მაინც ეწევიან და კარგ ამინდში აივნიდან საუცხოო ხედით ტკბებიან.

ათინა ორ მთავარს ეკუთვნოდა. თითოეული მათგანი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი მოგება ენახა ბაზრობიდან. ორივეს საკუთარი ყავახანა ჰქონდა, რომელსაც იჯარით აქირავებდნენ.

თავი V

ოფი და ზღვაზე მოგზაურობა

პონტოს ქედი მთელი თავისი დიდებულებით. — ქაჩქარ-დაღი. — მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროსთან შედარება. — მცენარეულობის აღწერა. — სიმინდის მოყვანა. — რიზა. — ოფი. — შეხვედრა. — ხეობის მთავრების შედარება შუა საუკუნეების ჩვენ რაინდებთან. — ყაჩაღთა ქვეყანა. მოსახლეობის შედარებითი დამოუკიდებლობა. — ოფის მხარე. — მცენარეულობა. — პონტური სტუმართმოყვარეობა. მაცოცხლებელი წყარო. — ნადიმი მთაში. — მათრობელა თაფლი. — გამგაზვრება. — სურმენე. — ტრაპეზუნდში ჩასვლა.

მეორე დღეს ისევ ჩავსხედით ჩვენს იალქნიან ნავში და ზუსტად დასავლეთის მიმართულებით განვაგრძეთ გზა. მთები ისეთი დიდებული სახით წარმოგვიდგა, ადრე რომ არასოდეს გვეხილა; მთის თხემი, კარლ კოხის გამოთვლით (ერთადერთი მოგზაური, რომელმაც მოახერხა პონტოს მთები ორ თუ სამ ადგილას გადაელახა) განაკვეთში საშუალოდ 9 ათასიდან 10 ათასამდე ფუტს აღწევს. არის მწვერვალები, რომლებიც ორი და სამი ათასი ფუტით უფრო მაღალია. ყველაზე მაღალი მთა ქაჩ-ქარ-დაღი[81] ანუ გმირთა მთა, რომელიც სწორედ ჩვენ წინ სამხრეთით აღმართულიყო, 12 ათასი ფუტის სიმაღლის მაინც იქნებოდა. მისი განიერი თხემი მთლიანად თოვლით იყო დაფარული. ამ ქედზე მრავალი თქმულება არსებობს, მაგრამ ყველა ისინი გვაგონებენ თქმულებებს: არარატზე, კავკასიონზე მდებარე ბრუტსაბძელზე[82] და ყაზბეგზე. როგორც შევიტყვეთ, ქაჩ-ქარ-დაღის ქედზე დღესაც ყოფილა შემორჩენილი ძველი დროის გალავნები. მთის მცხოვრებლები განსაკუთრებით წმინდა ადგილად მიიჩნევენ გალავანით შემოელებულ ერთ-ერთ ადგილს. მოხუცების გადმოცემით, ამ გალავანის შიგნით, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, იშვიათი სილამაზის ეკლესია იდგა. მაგრამ წინა საუკუნეში, ისლამის მიერ ქრისტიანობის განდევნის შემდეგ, ეკლესია უეცრად გამქრალა.

მიუხედავად ამისა, ამ წმინდა ადგილებში დღესაც ბევრი ხალხი დადის სალოცავად; მათ შორის ეროქრისტიანებიც. აქ მოდიან გაჭირვების ჟამს აღთქმის მისაცემად. სალოცავში ხშირად პოულობენ მორწმუნე მლოცველების მიერ დატოვებულ ფულებს. მთაში მცხოვრები ყველაზე დიდი ყაჩაღიც კი ამ წმინდა ადგილზე უპატრონოდ დაგდებული ფულის აღებას ვერ ბედავს.

მთები აქ უფრო დიდებული სანახავია, ვიდრე მცირე აზიის

სამხრეთ ნაპირზე. აქ უპირველესად შეიძლება აღვნიშნოთ ტავ-
როსის ქედი, რომელიც საერთოდ, ისეთი მაღალი არ არის და
საკმაოდ ფართო ტერასებად ეშვება. ზღვიდან მთის დანახვა ახ-
ლო მანძილიდან არ შეიძლება. მისი კონტურები ლამაზი ხედი-
სათვის დამახასიათებელი სიმკვეთრით არ გამოირჩევა. ნაპირს რომ
მიუახლოვდებით, მაშინაც მხოლოდ ახლოს მდებარე მთებს დაი-
ნახავთ, რომლებიც რომანტიულობით და ხშირი მწვანე სამოსით
გამოირჩევა. ძირითადი ქედი უკანა პლანზეა და სიღრმეში შეჭ-
რილი, ნაპირიდან არც კი ჩანს.

სულ სხვაა პონტოს ქედი, ის პირდაპირ ზღვიდან აღიმართება და
4—6 საათის სავალზე პირდაპირი გზით უკვე ზემოთ აღ-
ნიშნულ სიმაღლემდე აღწევს. ერთი თვალის გადავლებით ჩანს
მისი მცენარეული საფარის მრავალფეროვნება. ეს მთები ერთი
მთიდან მეორემდე. შეიძლება ითქვას, ათას ფუტ სიმაღლეზეა გა-
დაშლილი.

სულ ძირში, წვეტიან კლდეებს შორის და ალპური მდელოე-
ბით დაფარულ მთებზე, სხვადასხვანაირი ბუჩქები მოჩანს, რომ-
ლებიც თანდათან უფრო ხშირი ხდება და სიმაღლეშიც მატულობს.
განსაკუთრებით მაღალია ცალკეული ხეები, ერთგვარ შუა ტყეს
რომ ქმნიან. წითელ წიფელს აქ სულ სხვა ფორმა აქვს ევროპულ
წიფელთან შედარებით. ამ ლამაზი ხის კენწეროს კვერცხის ფორ-
მა აქვს, ოუმცა ისეთი განიერი არ არის, როგორც მუხისა. იგი
მაღლისაკენ თანდათანობით კლებულობს სიგანეში, მაგრამ მაინც
არაა ისე წაგრძელებული, რომ შეიძლებოდეს მისი ალვის ხესთან
ან კვიპაროსთან შედარება. თუ პონტოს წიფელი განცალკევებით
დგას, მხოლოდ მაშინ წააგავს იგი ამ ხეებს.

სამ-ოთხი ათასი ფუტის სიმაღლეზე მაღალი ტყე იწყება,
რომელშიც წითელი წიფელი ჭარბობს. უფრო მაღლა,, უმთავრე-
სად ექვსი ათასი ფუტის სიმაღლიდან. წიწვიანი ტყეა. აღმოსავლე-
თის ნაძვი 8 ათასი ფუტის სიმაღლეზე ხარობს და მთლიანად ფა-
რავს მთის თხემს დასავლეთით, სადაც წყალგამყოფი ქედი მეტ
სიმაღლეს ვერ აღწევს. ჩვეულებრივ, ხეები ექვსი ათასი ფუტის
სიმაღლეზე თანდათანობით კლებულობენ სიმაღლეში და ნელნე-
ლა სრულიად ქრებიან. მათ ადგილს მშვენიერი ალპური მდელო-
ები იკავებენ, რომლებიც ათი ათას ფუტამდე აღწევენ, სადაც სა-
ბოლოოდ მათ ადგილს იკავებს თვალისმომჭრელად თეთრი თოვ-
ლი. თვით შუა ზაფხულშიც კი. თუ მთებს უფრო შორიდან გამო-
ხედავთ ზღვიდან მაღლა, ჰორიზონტზე გრძელ თეთრ ზოლს შე-

ამჩნევთ, რომელიც შუაში უფრო მკვეთრია, აქეთ-იქით კი თანდათან მკრთალდება. ეს პონტოს ქედის თოვლიანი ზოლი გახლავთ.

მწვანე ხეებსა და ალპურ მდელოებს შორის ხშირად უზარმაზარი კლდეები მოჩანს, რომლებიც თავისი მოწითალო-მოყვითალო ან მოყავისფრო ფერებით კონტრასტებს ქმნის. კლდეები ხან ცალკეულ სილუეტებად მოჩანს. ხან კი კედელივით აღმართულნი უცნაურ გამოსახულებებს ღებულობენ. მუდმივი თოვლის ზონაშიც გვხვდება შიშველი კლდეები.

მცირე აზიის ჩრდილოეთი სანაპირო აქ მაინც მჭიდროდ დასახლებული უნდა იყოს. აქ სახლები გაფანტულად დგანან და უფრო მეტი სილამაზეა, ვიდრე სამეგრელოში. ზემო სართულზე, ჩვეულებრივ, სახლის პატრონი ცხოვრობს. ქვემო სართულში კი საოჯახო-სამეურნეო ნივთებს ინახავენ. სახლი ხშირად აივნით არის გარშემოვლებული. კიბეს, რომელსაც ჩამოსაშვები კარები კეტავს, აივნის გავლით შევყავართ საცხოვრებელ სახლში.

ადგილობრივი მოსახლეობა უმთავრესად მესაქონლეობას მისდევს და სიმინდი მოჰყავს. სიმინდის მოყვანაში დიდ მზრუნველობას იჩენენ. ფეტვი თითქმის არ მოჰყავთ. სიმინდი პონტოს მთის მცხოვრებლების ყველაზე გავრცელებული საკვებია. დაუმწიფებელ სიმინდის ტაროებს განელებულ ნაკვერცხლებზე წვავენ, ძმარში ამჟავებენ და ზამთრისათვის ინახავენ. ფქვილს აქ უმთავრესად ფაფისათვის იყენებენ. ხანდახან უფრო თხელ ფაფასაც აკეთებენ და პატარა, მრგვალ და ბრტყელ პურებს აცხობენ ნაცარში; ახლად გამომცხვარი პური. მიუხედავად იმისა, რომ მარცვლებს კანს არ აცლიან, ძალიან გემრიელია, განსაკუთრებით რძეში. მაგრამ პური მალე ხმება და, ცხადია, მოსანელებლად ძნიმეა.

რამდენიმე საათის შემდეგ რიზას მივადექით. რიზასაც თავისი მუსლინი ჰყავდა. ჩრდილოეთის ქარს სწრაფად მივყავდით წინ. მალე ოფს მივუახლოვდით. ოფი ლამაზ მწვანეშია გაშენებული. აქაც მუსლინი — მხარის მეთაური (მუთესელიმი) ზის. გადაკვეთეთ გავჩერებულიყავით და ცოტახანს დაგვესვენა. ათინადან ოფამდე თორმეტი საათის სავალი გზაა.

მუთესელიმის სახლი მშვენიერ მაღლობზე დგას. გარეთა კიბით აივანზე ავედით და სახლში აღმოვჩნდით. სახლის პატრონი იჯდა და ხელზე ლამაზი სანადირო შევარდენი ესვა. უცნობების დანახვაზე წამოდგა, მოგვესალმა და მაშინვე მოსვლის მიზეზი იკითხა. ჩვენ ვუამბეთ, რომ ურუსების ანუ რუსების ქალაქიდან,

რედუტ-კალედან მოვდიოდით, ევროპელი მოგზაურები ვართ და სახელგანთქმული ტარაბასონის (ტრაპეზუნდის) ნახვა გვსურდა. ამის გაგონებაზე მუსელიმმა ტაში შემოჰკრა, რითაც მსახურებს მოუხმო ჩვენთვის სადილი გაემზადებინათ და სასმელი მოერთმიათ.

შემდგომ ნათელ და საკმაოდ დიდ ოთახში შეგვიყვანა და დივანზე დაგვსვა და ყავეჩის ანუ მსახურს, რომელიც მხოლოდ ყავას ამზადებს, მოატანინა ჩვენთვის თითო ჭიქა ყავა. შევეჭიდოდით დაუშაქრავ, ძალიან მწარე შავ სასმელს და თან ვცდილობდით მთის მცხოვრებლების შესახებ უფრო მეტი რამ შეგვეტყო. ამასობაში პატარა ჭიქები გამოგვართვეს და გრძელი ჩიბუხები დაგვირიგეს.

მთელი მიდამო — შენობის არქიტექტურა, აივანი, მიმინო და კიდევ სხვა მრავალი შუა საუკუნეების რაინდობის ხანას მოგვაგონებდა. ეს მსგავსება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც პონტოს მთების რაინდების შინაური ბრძოლები გავიხსენეთ, რომელსაც მხოლოდ ტრაპეზუნდის მრისხანე აბდულა ფაშამ მოუღო ბოლო. მომღერლებს ჩვენ უფრო ადრე გავეცანით. ასე რომ, ყოველივე, რაც ჩვენთვის სარაინდო რომანებიდან იყო ცნობილი (ჩვენი ქვეყნის წარსულს რომ აღწერენ), ცხოვლად წარმოგვიდგა თვალწინ.

მთელ მთიანეთში ოფი ცნობილია თავისი ყაჩაღობით. სწორედ ამიტომ ერიდებიან მგზავრები ამ ადგილებს. მათი მცხოვრებლების შესახებ ჩვენ უკვე ბათუმში გვითხრეს, ველურობის პირველ საფეხურზე იმყოფებიანო. საკვირველია, მაგრამ აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ სწორედ ის ხალხი გვიღებდა ყველაზე კარგად, რომელსაც ყველაზე ცუდი სახელი ჰქონდა. იმ მხარეში, სადაც იშვიათად ან სრულიად არ ჩადიან საშოგზაუროდ, ჩვეულებრივ უფრო შეძლებულად ცხოვრობენ.

ამ მოჩვენებით წინააღმდეგობას თავისი ახსნაც აქვს! სახელგატეხილ ადგილებს ხალხი გაურბის და იშვიათად ან სავსებით არ მიდიან იქ. თვით თურქი მოხელეებიც, რომლებსაც ხარკი ან გადასახადი აქვთ ასაკრები, ცდილობენ თავი აარიდონ იქ ჩასვლას: მით უმეტეს, თუ ერთხელ უკვე ცუდად შეხვდნენ მათ. სწორედ ამის გამოა, რომ აქაური მცხოვრებლები მიწას თავისუფლად ამუშავებენ და დიდ მოსავალსაც იღებენ. მოხელე მათ ვერ ჩაგრავს, და ისე ვერ ავიწროვებს, როგორც ეს სხვაგან ხდება. მათ არ

სჭირდებათ თავიანთი მოსავლის დამალვა გაუმაძღარი მოხელის შიშით. ისინი დარწმუნებული არიან თავის ძალაში და სუსტ შეზობლებს ჩაგრავენ. ამავე დროს თავს ესხმიან მგზავრებს და ძარცვავენ მათ. სხვაგან ასეთ ყაჩაღებს, მართლაც უნდა ერიდოთ, მაგრამ თავის სამშობლოში უცხოელების მიმართ განსაკუთრებულ სტუმართმოყვარეობას იჩენენ.

ოფის მთავარი ტრაპეზუნდის ფაშას არ მეგობრობს. მართალია, იგი ხარკს უხდის მას, მაგრამ თავის ქვეყანაში ჩამოსულ თურქს ვერ იტანს. ამას იგი ჩვენთან საუბარშიც არ მალავდა. მთავარმა გვამცნო, რომ მისი ქვეყანა კალაპოტაბოსის (ესეც ბერძნულიდან შემორჩენილი სახელწოდებაა) ხეობებს მოიცავს, რომელიც სიგანეში ოთხი საათის სავალზეა გადაჭიმული, ხოლო ქედამდის რომ მიაღწიო, რვა-ცხრა საათი უნდა იარო მთებში. მოსახლეობის რიცხვის დასახელებაზე მთავარმა კეთილგონიერად შეიკავა თავი, ვინაიდან შიშობდა აბდულა ფაშას ყურამდე არ მიეღწია ამას და გადიდებული ხარკი არ მოეთხოვა მისგან. ქედის მეორე მხარეს, როგორც მან შემდგომ განაგრძო, მდებარეობს სბერი[83] ანუ ისპირი, მაშინ როცა აღმოსავლეთით სურმენეს მმართველის, ხოლო დასავლეთით რიზეს ხელისუფლების სამფლობელოები ესაზღვრებიან.

მთებში, კერძოდ, ქაჩ-ქარ-დაღის მიდამოებში (რომელსაც აქ ვარსამბეკ-დაღს უწოდებენ) პატარა ქვეყანა — ხემშინი[84] მდებარეობს. ამ პატარა შიშისმომგვრელ ქვეყანაში ჯერ არცერთ თურქს ფეხი არ დაუდგამს. ხემშინში რამდენიმე ხევის მთავარი ცხოვრობს, რომლებსაც ლაზისტანთან და ზღვის სანაპიროზე მდებარე ქვეყნებთან გაუთავებელი შფოთი აქვთ. ისინი სიმამაცითა და სიმხნევით გამოირჩევიან. ჯიმილის[85], მთავარი, ვინმე კუმპუსაროვაღა[86], ზღვიდან მოშორებით ცხოვრობს, მაგრამ მაინც მეკობრეობას მისდევს. ერთხელ იგი შეუპყრიათ ზღვაზე და დიდხანს იტანჯებოდა კონსტანტინეპოლის ერთ-ერთ ციხეში, სანამ ბოლოს არ მოახერხა გაქცევა. ახლაც, მიუხედავად თურქეთის დევნისა, იგი უწინდებურად დათარეშობს.

ოფის მიდამოები მართლაც თვალწარმტაცია. აქ ერთად შეჯგუფულან ბაძგი (Jlex), წიფელი, ალუბალი, ნამდვილი დაფნა და მუდამ მწვანე დეკა (პონტოს ვარდი). ისინი ქმნიან მძლავრ ჯგუფებს და სხვა ბუჩქები ირგვლივ არ ხარობენ. ბუჩქები განსაკუთრებით ლამაზად გამოიყურებიან მაღალ მთებზე, რომლის მიდამოებიც ჩვენ თავაზიანად მასპინძელთან ერთად დავათვალიერეთ, როცა ოფთან

ჩამომავალ მდინარის აყოლებით ვიმგზავრეთ. ნაპირზე თავისუფალ ადგილებში სხვა ბუჩქებზე ხარობს. უფრო ხშირად გვხვდება იელი, ხეპილპილა, ხორკლიანი ზეთისხილის ხეები, თუთა, ლეღვის ხეები და იასამნის ბუჩქები.

ნაპირს ცხენებით ავუევით. პატარა მდინარე იყო, მაგრამ მისი ნაპირები კი მეტად თვალწარმტაცი. ძოწისფერი ქვა ყველგან არ იყო ხავსით დაფარული. ხშირად მის ბუნებრივ ფერსაც ვამჩნევდით. აქა-იქ წყაროები მოჩუხჩუხებდა და ხავსს, ლიკოპოდიუმს, გვიმრის, ქვატეხიას, ქოთანას და ქუდურას სქელ საბურველად ეცვეოდა. წყალი კარგად კვებავდა მცენარეებს ნახშირორჟანგით და ისინიც გაფუებულიყვნენ. ალაგ-ალაგ ჯერ კიდევ ჰყვავოდა ალპური ვარდი; მისი მოყავისფრო-წითელი, ხშირი და დიდი ყვავილები ფოთლების სიმწვანეს კიდევ უფრო მკვეთრად გამოყოფდა. მათ შავ-წითელი ნაყოფით დახუნძლული მაყვლის ბუჩქები და კაშკაშა წითელი კენკრიანი, ორნაირი ჯიშის Simlax-ი ცვლიდა. ამ მცენარეებს ზემოდან დაჰყურებდა ოცდაათი-ორმოცი ფუტის სიგრძის თხმელები, სხვადასხვა ჯიშის ნეკერჩხალი, წიფელი და ჯიშიანი წაბლის ხეები.

ჩვენ შევჩერდით ლამაზ ადგილას გაშენებული კოხტა სახლის წინ. მთავრის და სტუმრის შესახვედრად ღია კარებიდან გამოვიდა სანდომიანი გარეგნობის ქალი, ხელში ლამაზი ძუძუმწოვარა ბავშვით. დედის ძახილზე მოირბინა ორმა შედარებით მოზრდილმა ყმაწვილმა და ცხენები ჩამოგვართვეს. დიასახლისის მეუღლე მაღლა მთაში სანადიროდ წასულიყო და მხოლოდ მეორე დღეს დაბრუნდებოდა.

სახლის მახლობლად კლდიდან წყარო ჩამოდიოდა. აქვე იდგა თასი მგზავრთათვის. წყაროს გვერდით დიასახლისის მიერ სახელდახელოდ დაგებულ ხალიჩაზე მოვკალათდით. მსახურმა ანკარა და სასიამოვნო წყლით სავსე თასი მოგვაწოდა. ჩვენში ამ ძველთაძველ სასმელს ჯეროვნად ვერ აფასებენ. ჩვეულებრივ, უპირატესობას ანიჭებენ ლუდსა და ღვინოს, რომელიც უფრო აღაზიანებს და ისეთ სასიამოვნო გრძნობას არასდროს არ ტოვებს, როგორსაც წყაროს წყალი. აზიაში მცხოვრებს გასაგრილებლად შეუძლია ერთი საათის სავალზე მდებარე კარგ წყაროს მიაშუროს. ისინი დილა-საღამოს აგზავნიან მონას, სპეციალური ჭურჭლით, მაგრილებელი წყაროს წყლის მოსატანად.

ყავეჩიმ ამასობაში ყავა გაამზადა და მარცხენა ხელით მოგვართვა შავი, მწარე სასმელი, ხოლო მარჯვენა ხელი ჩვეული მო-

ძრაობით შუბლიდან მკერდთან მიიტანა. ყავა რომ დავლიეთ, მარჯვე დიასახლისი გამოჩნდა, ხალიჩაზე ჭრელი ბამბის ხელსახოცი გადააფარა და ხის ჯამით კარაქში შემწვარი ყველი დაგვიდგა. ქალს თან ახლდა ათი წლის საოცრად ლამაზი გოგონა, რომელსაც ხელში საუკეთესო თაფლით სავსე თეფში ეკავა. ამასობაში ბიჭებს ცხენები დაებათ. ერთმა მათგანმა წყლის ჭურჭელი და ტაშტი მოიტანა. იგი რიგრიგობით დგამდა ტაშტს ფეხმორთხმული სტუმრების წინ და წყალს გვისხამდა გაწვდილი ხელების დასაბანად მას თან დასდევდა მეორე ყმაწვილი, ვიწრო პირსახოცით ხელში.

ქალმა ცხელ ნაცარში გამომცხვარი პატარა სიმინდის პურები დაგვილაგა. ოფის მთავარმა პური დატეხა, ერთი ნაჭერი ყველის მასაში ჩააწო და ყველი თან ამოაყოლა. შემდგომ ყველაფერი თხელ თაფლში ამოავლო და გაამზადა საჭმელად. ჩვენ მას მივბაძეთ და გემოზე დავნაყრდით ევროპელისათვის ამ უჩვეულო კერძით.

თაფლმა ის დრო მოგვაგონა, როდესაც პონტოს მთიდან 2000 წლის წინათ განთქმული „ათი ათასნი ჩამოვიდნენ“. მათაც თავის დროზე თაფლი მიართვეს, რომლისგანაც, ქსენოფონტეს სიტყვებით, „გონება დაკარგეს; ჯერ აღებინეს, შემდეგ კუჭი აეშალათ და გაბრუებულნი ფეხზე ვეღარ დგებოდნენ. რამდენიმე საუკუნის შემდეგ პონტოს მთებში ასეთი თაფლით პომპეუსის ჯარისკაცები მოიწამლნენ. აქედან გავრცელდა ამბავი მათრობელა თაფლის შესახებ და იელს, რომლის ყვავილებიდანაც ფუტკარი თაფლს აგროვებს, ნარკოტული თვისებები მიაწერეს. თუმცა ამ თაფლის შესახებ ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ მის შემდეგ არცერთ მოგზაურს კოლხეთში აღარ შეხვედრია მათრობელა თაფლი. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ამ ადგილების კარგი მცოდნე კარლ ბოხი, რომ თაფლი ალბათ უვარგისი და ადუღებული იყო და არა შხამიანიო.

გვიან ღამით დავბრუნდით ოფის მმართველის ციხე-დარბაზში, სადაც კარგი ღამის გასათევი გველოდებოდა. მეორე დღეს იმავე იალქნიანი ნავით განვაგრძეთ გზა ტრაპეზუნდისაკენ, რომელიც აქედან დაახლოებით ათი საათის სავალზე მდებარეობდა. რომანტიული სანაპირო მრავალფეროვან სანახაობას გვთავაზობდა. მალე ჩვენს მიერ უკვე ხსენებულ სურმენეს მივუახლოვდით. ზღვიდან კარგად მოჩანდა ხეობა, რომელიც შორეულ მთებში იკარგე-

ბოდა. ალპური მდელოთი დაფარულ ერთ გორაკზე მთავრის ციხე-დარბაზი მოჩანდა, მეორეზე კი კოხტა ყავახანა.

ქარი სწრაფად მიაქანებდა ჩვენ ნავს. ჯერ შუადღეც არ იყო. ბრტყელ პლატოზე მდებარე ტრაპეზუნდის მრავალრიცხოვან კოშკებს რომ მოვკარით თვალი. მალე ღია ნავსადგურში შეველით. ნაპირზე ავსტრიის კონსული დაგვხვდა. მან იცოდა ჩვენი ჩამოსვლის შესახებ და სასწრაფოდ მოგვაწყო ერთი გაუბედურებული იტალიელი მსახიობის ოჯახში, სადაც არა უშავს რა, მიგვიღეს. ამ კომნენთა ქალაქში თოთხმეტი დღე დავყავით.

კ. კოხი

ბრძოლის ველზე გასვლა

თავი I

თბილისი

ბაგრატიდების სამეფო საგვარეულო. — შინაური უთანხმოებანი. — მეფის ქვრივი. — ბატონიშვილი ალექსანდრე. — თავადი მუხრანსკი. — ბატონი ზალცმანი. — ახალი თბილისი. — ჟან პოლი. — კოლონისტები. — ფანატიზმი. — რიყე. — ქართველებთან შედარება. — გაჭირვებული ცხოვრება. — სუფთა ჰაერზე ძილი. — ქალაქი თბილისი. — აბანოები.

თბილისში ისევე მშვიდობიანად ჩავედი. უამრავი სიძნელეები გამოვიარე კასპიის ზღვისკენ ხელმეორედ მოგზაურობის დროს (ბაქოში — ზოროასტრის[87] ცეცხლის მოძღვრების უკანასკნელ მიმდევრებთან) და დაღესტანში, სადაც იშვიათად ჩასულა ევროპელი. ისევ თავისუფლად ამოვისუნთქე, როდესაც შორიდან დავინახე მსოფლიოში უძველესი სამეფო გვარის — ბაგრატიდების რეზიდენციის ციხის ნანგრევები. უნებლიედ სევდამ შემიპყრო, როდესაც გავიფიქრე, რომ ამჟამად აქ შორეული ჩრდილოეთიდან უცხოელები იყვნენ შემოსული და ბაგრატიდებმა მათ ერთგულება შეჰფიცეს. ათას წელზე მეტს განაგებდა საქართველოს ეს საინტერესო გვარი. ადიდებენ მათ ცალკეულ მეფეებს, მათ შორის ქალსაც — სახელოვან თამარს[88]. ისინი კავკასიის და მისი დიდებული მთების ყველა ხალხების არა ნომინალური, არამედ ფაქტიური მმართველებიც იყვნენ. ამ დინასტიამ აიძულა ქედმაღალი ჩერქეზები და ლეკები ხარკი ეხადათ მათთვის, რასაც უშედეგოდ ცდილობდა სპარსეთის მეფე, ჩინგის ხანი[89], თემური[90], შემდეგ კი ნადირ შაჰი[91] და პეტრე დიდი[92], სახელოვნად შეიძლეს ქრისტიანმა მმართველებმა.

წარმატებით, თუმცა დიდი გაჭირვებით და მსხვერპლის გაღებით შეძლეს ქართველმა ბაგრატიდებმა ყველა შემოსეულ დამპყრობელთა (ძველი სკვითების ქვეყნიდან, სპარსეთიდან, დღევანდელი თურქესტანიდან ანუ დიდი სათათრეთიდან, კასპიის ზღვის გადაღმა მხრიდან) წინააღმდეგ ბრძოლებში თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაშინ როდესაც სომეხი ბაგრატიდები დიდი ხანია, რაც განდევნეს და მათი ქვეყანა ნახევარ მთვარეს[93] უხრიდა ქედს. მაგრამ როცა თურქეთმა ნელ-ნელა იწყო გაერობა, ქართველმა ბაგრატიდებმაც დაკარგეს თანდათან თავისი ძლიერება იმ ბედუკუღმართი დანაწევრების გამო, რომელმაც უკვე ბევრი ქვეყანა მიიყვანა განადგურებამდე. ამ საუკუნის დასაწყისში კი უძლურმა გიორგი მეცამეტემ[94] მისი შემცირებული სამფლობელო ჩრდილოეთის მეფეს უანდერძა. 1801 წელს რუსეთის ჯარი, როგორც უფლებამოსილი მბრძანებელი, შევიდა ბაგრატიდების ძველ ქალაქში.

მარტოოდენ მფლობელობის ფორმალური უფლებით რუსეთი, ცხადია, ვერ ჩათვლიდა თავს ქვეყნის ბატონ-პატრონად. ძველი სამეფო ოჯახის უკანასკნელ შთამომავალთა ნაწილი გამხნევდა, ანდერძი გაუქმებულად გამოაცხადა და აჯანყდა ძალით მოხვეული ბატონობის წინააღმდეგ. თვით ქვეყნის შიგნით წარჩინებულთა შორის ორი დაჯგუფება შეიქმნა[95]; ერთნი ფიქრობდნენ, რომ მხოლოდ უცხოელის ძლიერ ხელს შეეძლო შინაური დავის დაშოშმინება და ქვეყნისათვის სიმშვიდის მიცემა, მეორენი პირიქით, ყოველგვარი ჩაურევლობის, საკუთარი დამოუკიდებლობის მომხრენი იყვნენ და ბოლო მეფეს ამტყუნებდნენ, ცოტა ხნის წინათ მიღებული მემკვიდრეობის თვითნებურად გადაწყვეტისათვის.

ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა თვით მეფის ქერეი[96]. აღშფოთებით უარყო მან ახალი მბრძანებლის მიერ შემოთავაზებული საპატიო მდგომარეობა პეტერბურგში; ყველა მუქარა და თხოვნა უშედეგო აღმოჩნდა. პეტერბურგში კარგად ესმოდათ ის საშიშროება, რომელიც იქმნებოდა დედოფლისა და მისი ყაჟიშვილების თბილისში ყოფნით და ამიტომ მეფემ ბრძანება გასცა, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, მიეღწიათ მიზნისათვის. ამის შესრულება ერთ ქართველ თავადს დაავალეს და ისიც თხოვნით წარუდგა თავის დედოფალს[97]. მაგრამ უშედეგოდ. რა საშუალება არ იხმარა თავადმა, როგორ არ არწმუნებდა დედოფალს, რომ ეს ქვეყნის კეთილდღეობისათვის იყო საჭირო, და რომ აუცილებლო-

ბის წინაშე ყოველთვის უკეთესია უკან დაიხიო, ვიდრე მას შეგნებულად საკუთარი დაღუპვა დაუპირისპირო. დედოფლის წინააღმდეგობით და გარეთ მომლოდინე რუსი ოფიცრების მიერ შეწუხებულმა თავადმა მოთმინება დაკარგა და დედოფალს ხელი წაავლო. მაშინ იელვა განიერ კაბაში ჩამალულმა გრძელმა ხანჯალმა და შეძახილით „მოღალატე“ უბედურმა დედოფალმა განგმირა თავისი ყოფილი ვასალი. შემდეგ მშვიდად ჩაბარდა მტერს თავისი ორი ვაჟიშვილით, რათა სამუდამოდ გამქრალიყო. არავინ იცის, თუ რა ბედი ეწია მეფის ქვრივს; ამბობენ, რომ რუსეთის რომელიღაც ქალაქში ჰყავდათ პატიმრად, სადაც იგი მალე გარდაიცვალა.

ასე ჩამოვიდა (ალბათ, სამუდამოდ) უძველესი სამეფო ოჯახი ისტორიის სარბიელიდან ამ ცივილიზებულ საუკუნეში (ასეთად აცხადებდნენ მე-19 საუკუნეს), რომ შემდეგ ვეღარასოდეს აღედგინა თავისი ძალაუფლება. ამ სამეფო ოჯახის ერთი შთამომავალი, ალექსანდრე[98], სპარსეთში გაიქცა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ომებში, რომელსაც ეს ქვეყანა აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ. ბაგრატიდების ნათესავები არაპირდაპირი ხაზით, დღესაც ქართველი მეფეების ძირითად პროვინციაში — ქართლში ცხოვრობენ და თავიანთი საცხოვრებელი ადგილის — მუხრანის[99] სახელწოდების მიხედვით მიიღეს გარუსებული გვარი — მუხრანსკი. მუხრანის მმართველი თავადი[100], რუსული სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი მეფის ერთგული იყო და თურქების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში იშვიათი ვაჟკაცობა და სიმამაცე გამოიჩინა.

თბილისში ყველა დიდ მღელვარებას მოეცვა. მოუთმენლად ელოდებოდნენ ახალ ამბებს ბრძოლის ველიდან. ნაცნობების უმრავლესობა, მათ შორის სამოქალაქო პირებიც, თბილისში არ აღმოჩნდნენ. მხოლოდ ბატონ ზალცმანს მივაგენი (თავაზიან შვაბს), რომელმაც ისევ მიმიწვია თავის სახლში. ზალცმანის გერმანული სასტუმრო ამ შორეულ მხარეში მოხვედრილი ყველა მოგზაურისათვის დიდად დასაფასებელი იყო.

მხოლოდ იმ მოგზაურს, რომელიც დიდხანს იყო უცხო ქვეყნებში და რომელმაც ისეთი გაჭირვება გადაიტანა, რომლის შესახებაც ჩვენთან გერმანიაში წარმოდგენაც არა აქვთ, შეუძლია წარმოიდგინოს ჩემი მდგომარეობა, როდესაც მე, პირველად ამდენი ხნის შემდეგ, მივიღე სუფთა ოთახი მაგიდით, სკამითა და ტახტით, რომელზედაც (ჩემდამი განსაკუთრებული პატივისცემის ნიშნად) ბატონმა ზალცმანმა ლეიბი გამიშალა. მომიტანეს მამაპაპურ

ყაიდაზე საშმელ-სასმელი. მხოლოდ უცხოეთში აფასებენ საყვარელ სამშობლოს. აქ უფრო კარგად ჩანს მისი ღირსებები. მუსიკასავით მომესმა ზალცმანის ბავშვების ხმა, სხვა დროს ჩემთვის უსიამოვნოდ მჟღერ შვაბურ დიალექტზე. ისევ ვიხილე, როგორც დიდი ხნის წინათ შვაბეთში, ცისფერკაბიანი გოგონები, რომლებსაც მხრებზე ჯვარედინად შეკრული თეთრი საბურველი ჰქონდათ მოსხმული.

პირველ რიგში, ისევ შვაბების კოლონიას ვეწვიე[101], ახალ თბილისს, რომელიც აქედან ჩრდილოეთის მიმართულებით ნახევარი საათის სავალითაა დაშორებული და მტკვრის დაბლობზე მდებარეობს. კოლონია ქართულ ღარიბულ სახლებთან შედარებით, მეტად კარგ სანახაობას წარმოადგენს. გერმანულ კოლონიებს რუსეთის ამიერკავკასიაში დიდი მსგავსება აქვთ იმ კოლონიებთან, რომელიც ფრიდრიჰ დიდმა[102] შვიდწლიანი ომის შემდეგ დააარსა. სახლები თითქმის ყველა ერთსართულიანია. წინიდან პატარა, ხოლო უკანა მხრიდან დიდი ბაღი აკრავს, რომელშიაც ბოსტნეული მოჰყავთ და ყვავილები და ხეხილი აქვთ გაშენებული. ყოველი ოჯახი ცალკე ცხოვრობს თავის პატარა სახლში და მას ოჯახის სიდიდის მიხედვით აწყობს.

ჩემი შვაბი თანამემამულენი ისეთი გულღია და პუნებრივი თავაზიანობით შემხვდნენ, რომ მესიამოვნა. „საღამო მშვიდობისა“ და „ღმერთმა გაგიმარჯოს“ მესმოდა მარცხნიდან და მარჯვნიდან. ბავშვები მხიარულად თამაშობდნენ და ამით ჩემთვის ისედაც სასიამოვნო ადგილს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდნენ. იქვე ახლოს მდებარე ეკლესიიდან მოისმოდა საათის რეკვა.

შევიარე ჟან პოლთან. შორეულ ამიერკავკასიაში ეს გვარი მართლაც რომ ავბედითად ჟღერს. იქაური ჟან პოლი გერმანელი არ არის. მას მხოლოდ თელიან ასეთად. ცოტა ხანს რომ მოუსმინოთ, გაიგებთ, თუ როგორ უძნელდება მას შვაბურ დიალექტზე ლაპარაკი, ხოლო ლიტერატურული გერმანული უფრო ცუდად ესმის. რუს და გერმანელ ოფიცრებთან საუბრისას იგი ალბათ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან ვერცერთი მხარე ვერ გაუგებდა მას წესიერად.

კეთილი თბილისელი ჟან პოლი, თავისი ხალისიანი ბუნებით (რითაც მთელ თბილისში გაითქვა სახელი) ჩვენ სახელოვან მაგრამ ცუდად დაფასებულ თანამემამულეს წააგავს. იგი სხვათა შორის ისტორიულად ღირსშესანიშნავი პიროვნებაა რადგანაც იმ უბედურთა რიცხვს ეკუთვნის რომლებიც დიდ ნაპოლეონს გაჰყვნენ

რუსეთში; ჟან პოლი მისდა საბედნიეროდ დროზე ჩავარდა ტყვედ და სამხრეთში იქნა გაგზავნილი; შეეგუა იქაურ წეს-ჩვეულებებს, შემდეგ თბილისში ამოჰყო თავი. ამ ფრანგს სამშობლოში აღარაფერი დარჩენოდა, არც არავითარი მოგონებები აკავშირებდა საფრანგეთთან. იგი გადმოსახლდა ახალ თბილისში, კოლონიაში, სადაც ეს ხალისიანი და ენერგიული ადამიანი შეიყვარეს. აქ მან სასტუმროს მსგავსი რამ მოაწყო. რომლის ხშირი სტუმრებიც იყვნენ გერმანული წარმოშობის მოხელეები და ოფიცრები. კარგ ამინდში, საღამოობით, ისინი სვამდნენ ყავას ან ევროპულად დამზადებულ ღვინოს, საუბრობდნენ და ბანქოს თამაშობდნენ.

ქალაქის მახლობლად მცხოვრები კოლონისტები უფრო დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ, ვიდრე ქალაქიდან მოშორებით მდებარე კოლონიები: ისინი თავიანთ პროდუქტებს და სხვადასხვა ნაწარმს უფრო სწრაფად და მომგებიანად ყიდდნენ. პირველ რიგში რძით და კარაქით ამარაგებდნენ ქალაქს. რუსულ და ქართულ კარაქთან შედარებით გერმანული კარაქი ყოველთვის ორმაგად ფასობდა. პურსაც გერმანულს ამჯობინებდნენ. ამას გარდა, კოლონიის მცხოვრებლებს ბოსტნეულიც მოჰყავდათ, უმთავრესად კარტოფილი, რომელსაც საკმაოდ ძვირად ჰყიდდნენ.

ყველა ამ უპირატესობის მიუხედავად, ახალი თბილისი მაინც არ არის ისეთი დოვლათიანი, როგორიც მოსალოდნელი იყო ყოველივე ზემოთქმულიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია მიწა, რომელიც მათ გამოუყვეს. იგი უნაყოფო არ არის, მაგრამ მაინც აკლია წყალი, განსაკუთრებით ზაფხულში. წყალსადენის უქონლობის გამო, მთელ აღმოსავლეთში საუკუთესო მიწებიც კი ნაკლებად ან სულ არ არიან გამოსადეგი. ამას ძალიან უშლის ხელს ის მდგომარეობა, რომ კოლონიასთან ახლოს მდებარე მტკვრის ნაპირები საკმაოდ მაღალია და წყლის ამოქაჩვა მხოლოდ ძვირად ღირებული წისქვილების საშუალებით ან არხის გაყვანით შეიძლებოდა, რაც აგრეთვე საკმაოდ ძვირი ჯდებოდა; ხალხი რომ ამ საქმით დაინტერესებული ყოფილიყო, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ, მათ რომ ეს საკითხი განეხილათ, არხის გაყვანა უფრო ადვილად მოხერხდებოდა, რადგან თვითონვე შეეძლოთ მისი გაკეთება.

სამწუხაროდ, კოლონიის მცხოვრებნი მეტად გულგრილნი იყვნენ. ეს უმთავრესად რელიგიური ფანატიზმით იყო გამოწვეული. ნაწილი კოლონისტებისა დღესაც დარწმუნებული არიან, რომ ქვეყანას მალე საშინელი სამსჯავრო მოევლინება და განკითხვის

დღეს ყველა უნდა ჩავიდეს იერუსალიმში. სადაც მაღალ ტახტზე მჯდომარე ღმერთი განსჯიდა მკვდარსა და ცოცხალს. ჩემს ჩამოსვლამდის რამდენიმე წლით ადრე, აქ თურმე ერთი 70 წლის მოხუცი ქალი, ქადაგად დაეცა, თავი ქრისტეს საცოლედ გამოაცხადა და ბევრი უბედურება დაატრიალა. მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების ენერგიის წყალობით და განსაკუთრებით ბატონ კოცებუს (პოეტის უმცროსი ვაჟის) მიერ მიღებული ზომებით მოხერხდა კიდევ უფრო დიდი უბედურების თავიდან აცილება.

მე ჯერ კიდევ ქურთებისაგან მქონდა გაგონილი, რომ გერმანელები იერუსალიმში აპირებდნენ ჩასვლას. ქრისტიანებმა მთხოვეს ამ ცნობის საიდუმლოდ შენახვა. რასაკვირველია, მაშინ ვერ გავიგე რაში იყო საქმე. ყაჩაღთა ტომი თურმე მოუთმენლად ელოდა თავის მტაცებლური ჟინის დაკმაყოფილებას. გამწარებულ შვაბებს, რომლებიც ბოლოს ძალით დააკავეს საქართველოში, თავისი განზრახვა სისრულეში რომ მოეყვანათ, ისინი შეიძლება თავისი სიბეცის მსხვერპლი გამხდარიყვნენ.

კიდევ უფრო დიდი დანაკლისი განიცადა ახალმა თბილისმა იმით, რომ მოსახლეობის შედარებით კულტურულმა ნაწილმა მიატოვა კოლონია და ქალაქში გადასახლდნენ. იქ მათ სხვადასხვა ხელობას მიჰყვეს ხელი, განსაკუთრებით დურგლობას, ხაბაზობას და ხარაზობას, რითაც კარგ შემოსავალს შოულობდნენ. ადგილობრივთან შედარებით მათ მიერ შესრულებული სამუშაო ორმაგად ფასობდა. რუსების მიერ დამზადებული საუკეთესო ფეხსაცმელიც კი გაცილებით ნაკლები ღირდა, ვიდრე გერმანული.

ამ კოლონისტების დიდი ნაწილი კუკიის[103] გარეუბნებისა და ქალაქის იმ ნაწილს შორის დასახლდა, რომელიც მტკვართან მდებარე ციხე-სიმაგრეს და ავლაბრის ციცაბო კლდის ფერდობებს (ე. წ. ქვიშნარი, რიყე) მოიცავს; მაგრამ მათ ახალ თბილისთან კავშირი არ გაუწყვეტიათ და ამჟამად ერთი და იგივე მოვალეობანი და უფლებები აქვთ.

როგორ მოხდა, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები, მას შემდეგ, რაც კოლონისტების ცხოვრება ნახეს (განსაკუთრებით ბოსტნეულის და კარტოფილის მოშენებით მიღებული უპირატესობანი) მაინც ძველებურად სიღარიბეში, ჭუჭყსა და, ჩვენის გაგებით, გაჭირვებაში დარჩნენ. ისინი ოდნავადაც არ იწუხებენ თავს, რომ ცოტათი მაინც მიბაძონ კოლონისტებს და თავისი მდგომარეობა გაიუმჯობესონ. გარეუბანში უფრო მიწურ სახლებს ვხედებით, განსაკუთრებით კუკიასა და ავლაბარში; თვითონ თბილის-

შიც კი, ისეთი სახლებია, რომლებიც 100 წლის წინათ იდგა აქ, დღესაც ხშირად რომ გვხვდება სოფლებში. წლის დასაწყისში, წვიმიანობის დროს, ქართველი და სომეხი განაგრძობს ცხოვრებას ისეთ ბინებში, სადაც განუწყვეტლივ ჩამოდის წყალი და არასოდეს არ მოუვა აზრად სახლი ზაფხულში მაინც შეაკეთოს. მაგრამ ერთი კია, ყველაფერი ჩვენი საზომით არ უნდა გავზომოთ და ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ამიერკავკასია, ყველაფერი ჩვენი მამაპაპური ჩვეულებების მიხედვით არ უნდა მოვითხოვოთ. კულტურა ჯერ არ შეხებია აქაურ გარემოს. მაპატიეთ ასეთი გამოთქმისათვის, მაგრამ იგი ზუსტად გამოხატავს იმ აზრს, რისი თქმაც მინდა. აღმოსავლეთში ასი წლის კი არა, ათასი წლის წინანდელი წეს-ჩვეულებებია შემორჩენილი. აღმოსავლეთიდან თურქ-მონღოლთა ტომების შემოსევითაც კი ცოტა რამ შეიცვალა, ვინაიდან მათ დროთა განმავლობაში მცირეაზიელების წეს-ჩვეულებები მიიღეს. ქსენოფონტეს[104] „ათი ათასის ლაშქრობის“ შესახებ ჩემ პატარა ნაშრომში ბევრჯერ მქონდა საშუალება დამემტკიცებინა, თუ რა უმნიშვნელოდ შეიცვალა მდგომარეობა, სახელდობრ, სომხეთში, რაც მე ამ ქვეყანაში ადრე მოგზაურობის დროს ვნახე. სულ სხვა მდგომარეობაა ჩვენთან, ევროპაში, სადაც ჯერ რომაული ჩვეულებები გამეფდა, შემდეგ ქრისტიანულმა რელიგიამ შეცვალა ყველაფერი და ხალხთა გადასახლების წყალობით, ზოგი მანამდის უცნობი რამ შემოიჭრა. ჯვაროსნულმა ომებმაც შემოიტანა ევროპის ყოფაში გარკვეული ცვლილებები. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობას, რის შემდეგაც ბევრი ცნობილი აღმოსავლელი გადმოსახლდა დასავლეთში და თავისი მაღალი განათლებით ლათინელ და გერმანელ ხალხებზე უდავოდ დიდი გავლენა მოახდინა. მათი საშუალებით პირველი მუდმივ კავშირში იმყოფებოდა მეორესთან, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მთელ ევროპაში, საბოლოო ჯამში, თანდათან თანაბარი მდგომარეობა და აზროვნების ერთი დონე დამკვიდრდა. ერთნაირმა გაჭირვებამ და ფუფუნებამ იჩინა თავი როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. და მით უფრო მეტად იგრძნობოდა ეს, რაც უფრო მაღალი კულტურის დონე ჰქონდა ქვეყანას; უმთავრესად ეს შეეხო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, საფრანგეთი და ინგლისი.

აღმოსავლეთის მცხოვრებნი ისეთ განუზომელ გაჭირვებაში ცხოვრობდნენ, რომ მათთან შედარებით ჩვენი მაღალი მთისა და ზემო სილეზიის მკვიდრნი გაცილებით უკეთეს პირობებში იმ-

ყოფებოდნენ. ჩვენთან ხშირად ტანჯავს ადამიანს შიმშილი, მაგრამ აღმოსავლეთში უფრო მეტი ხალხი იღუპება გაჭირვების შედეგად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღმოსავლეთში მოსახლეობა განუწყვეტლივ კლებულობს. ჩვენს ღატაკებს, რომლებსაც, ზამთარში ერთი ნაჭერი პურიც კი ენატრებათ, ვერ დაანაყრებს ის მცირე რაოდენობის ფეტვის მჭადის ფქვილის და მაწვნის ის მცირე ულუფა რომელსაც აღმოსავლელი დღის განმავლობაში ღებულობს. შეძლებული აღმოსავლელიც კი, ჩვენი პირობების მიხედვით, ღარიბულად ცხოვრობს. მთელ მის საკვებს ცოტაოდენი პური და ფეტვის ფაფა შეადგენს. აზიაში მცირე გამონაკლისის გარდა, წარმოდგენა არა აქვთ ისეთ რეგულარულ კვებაზე, როგორიც ჩვენშია. მარხვის დროს ქრისტიანი აზიელი თითქმის შეუკაზმავი ლობიოთი, მცენარეულის ფესვებით, მხალეულითა და ამგვარი საკვებით კმაყოფილდება.

საბოლოო ანგარიშში მაინც აღმოსავლელი უფრო ბედნიერია ევროპელ მცხოვრებლებთან შედარებით; ჯერ ერთი იმიტომ, რომ პირველს უკეთესი ცხოვრება არ უნახავს, და მეორეც, — განსხვავება ისეთი დიდია, რომ აღმოსავლელი იმთავითვე შეგუებულია უკეთესს რომ ვერასოდეს მიაღწევს და მცირედით კმაყოფილდება. იგი გაოცებული შეჰყურებს ფაშას ან რუსი გუბერნატორის ბრწყინვალე გარეგნობას. გახარებულია ამ სანახაობით და ამის შესახებ იმდენხანს ილაპარაკებს, სანამ რაიმე ახალი შთაბეჭდილება არ დაავიწყებს წინანდელ სანახაობას. ზამთარში მას ღამით ოთახის შუაგულში, ცეცხლის პირას სძინავს. ზაფხულში სახურავზე ან სადმე გარეთ ეძებს ღამის გასათევ ადგილს. ბედნიერია თუ ამისათვის ხალიჩა გააჩნია ან ბალიში, რომელიც თავქვეშ შეუძლია ამოიდოს...

ჩვენში გარეთ, სუფთა ჰაერზე ღამის გათევისა ეშინიათ. აღმოსავლეთში, პირიქით, ზაფხულში სახლს ერიდებიან და ღამეებს მხოლოდ გარეთ ატარებენ. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ღია ცის ქვეშ ძილი სასარგებლო და სასიამოვნოა. მე თვითონ, წლების განმავლობაში, მოგზაურობის დროს ხშირად გარეთ გამიტარებია ღამე და არასოდეს ისე კარგად არ მიგრძვნია თავი, როგორც მაშინ. რბილი საწოლი ჩემი მოგზაურობის დროს არასოდეს არ მქონია, ვინაიდან სახსრები უფლებას არ მაძლევდა ზედმეტი ბარგი მეტარებინა; ზედმეტი ბარგი ხომ ზედმეტი ცხენი იყო. ამიტომ ერთთავად მაგარ საწოლზე მეძინა, შინ და გარეთ. გული ტკბებოდა, როდესაც ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევცქერო-

დი და ვარსკვლავებიც მხიარულად გადმომყურებდნენ ზემოდან. ვფიქრობდი და მამშვიდებდა ის აზრი, რომ ამ ვარსკვლავების უმეტესი ნაწილი ჩემს სამშობლოშიც ანათებდა იმ დროს.

მეორე დღეს, სიცხის მიუხედავად, ჩრდილში თერმომეტრი რომიურით 28 გრადუსზე ნაკლებს არ აჩვენებდა; დავხეტიალობდი ქალაქის ქუჩებში, ქალაქისა, რომელიც ჩვენთვის თანდათან ძვირფასი და საყვარელი ხდებოდა. მე იგი პირველად 1836 წლის ზაფხულის ბოლოს ვიხილე. შემდეგ ამავე წლის ზამთარი აქვე, ძალიან სასიამოვნო გარემოცვაში გავატარე. მესამეჯერ, 1837 წლის შემოდგომაზე კარგა ხანს ვცხოვრობდი თბილისში. მეოთხეჯერ 1844 წლის თებერვალში ჩამოვედი აქ და ახლა მეხუთეჯერ ვინახულე ეს საინტერესო ქალაქი. მე არ ვიცი სხვა ადგილი, რომელსაც ჩემზე ასეთი სასიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინოს იმიტომ, რომ აქ, თბილისში, აღმოსავლური ხასიათი ევროპულის გვერდით საკმაოდ წმინდად არის შენონახული. კონტრასტი აქ ისევ მკვეთრად არ გეცემა თვალში, როგორც სხვაგან, რადგან წარჩინებული ქართველები და სომხები უფრო კარგ სახლებს აშენებენ, ვიდრე დანარჩენი აზიელები. კარგია ისიც, რომ რუსებმა ქალაქს ცალკე უბანი მიაშენეს, სადაც მხოლოდ თვითონ ცხოვრობენ. ეს უბანი საკმაოდ მაღალ ციცაბო მთის ძირშია განლაგებული, რომლის ფერდობზეც წმინდა ეკლესია დგას. აქ უკლებლივ ყველა სახლი ლამაზად არის აშენებული. რუსების უბანსა (გარეთუბანი)[105] და მტკვარს შორის წარჩინებული ქართველებისა და სომხების სახლებია განლაგებული; აქვეა სხვადასხვა ბაზარი. ყველაზე ლამაზად მაინც მტკვრის ნაპირას მდებარე ჩამწკრივებული სახლები გამოიყურება, განსაკუთრებით საღამოჟამს, როდესაც მდინარეში ათასფერადი ნათურების სინათლე ირეკლება ხოლმე. ჩამოწოლილ პინდში ჩემი სახლის აივანზე გამოვდიოდი, თავზე მუქი ლურჯი ცა დამყურებდა, ქალაქის მხარეს გავცქეროდი და უნებურად ათას ერთი ღამის ზღაპრის[106] ჩემი ჭაბუკობის დროინდელი მოგონებები მეუფლებოდა.

სამართლიანობა მოითხოვს ვაღიაროთ, რომ თბილისმა რუსეთის შემოსვლით ბევრი მოიგო. ეს ეხება მთელს ქვეყანას. მრავალი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო საღამოობით სანაპიროს გარეუბნისაკენ გასეირნება ისე, რომ ლეკების მხრივ გაძარცვის ან სულაც დაჭერის საფრთხეში არ ჩაგვეგდო თავი. რუსებმა მართალია. ქართული სამეფო მეშკვიდრეობით მიიღეს, მაგრამ მაინც იძულებული იყვნენ მხოლოდ თანდათან მოეკიდებიათ ფეხი ქვე-

ყანაში. უკვე ხნიერმა ერმოლოვმა[107], პირველ ხანებში, რუსული ბატონობის განმტკიცებისა და მშვიდობის დამყარებისათვის არაჩვეულებრივად ბევრი გააკეთა. კიდევ უფრო მეტს გააკეთებდა, რომ კაცისათვის, რომელსაც უდავოდ ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღვის ამ ქვეყნის წინაშე, ინტრიგები არ მოეწყოთ და ადგილიდან არ გადაეყენებინათ.

თბილისი რუსეთის შემოსვლის პერიოდში საცოდავი ადგილი იყო. იგი უმთავრესად ნანგრევებისა და ასიოდე სახლისაგან შედგებოდა. უწინდელთან შედარებით ქალაქს ვეღარ იცნობდით. მხოლოდ ის 8 წელი რომ ავიღოთ, რომელიც ჩემს პირველსა და მეორე მოგზაურობას შორის გავიდა, უკვე დიდი განსხვავება იგრძნობოდა, ამ ხნის განმავლობაში — ბევრი ახალი სახლი აშენდა; ვაჭრობა და ხელოსნობა საგრძნობლად გაიზარდა, ბაზრები მომრავლდა. იგივე ითქმის სკოლებზეც. თბილისში დიდი ხანია არსებობს გიმნაზია[108], რომელიც, რასაკვირველია, გერმანულს ვერ შეედრება, მაგრამ საფრანგეთის ზოგიერთ მსგავს სკოლებთან, უპირატესობაც კი აქვს, ვინაიდან მეტისმეტად ფორმალურ სწავლებაზე ნაწილობრივ უარი თქვეს. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსეთის მთავრობა ძრაჩვეულებრივად ბევრს აკეთებს ქვეყნისათვის, თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მოხელეები ხშირად არ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

თბილისის უძველესი ნაწილი აბანოების ირგვლივ მდებარე მიდამოებია[109], თუმცა ამ შენობებსა და სახლებს, აბანოებს გარს რომ არტყია, არ შეუძლიათ ჰქონდეთ ყიძველის პრეტენზია. როგორც ქართული მატიანე მოგვითხრობს, ამ თბილმა გოგირდის წყლებმა საბაბი მისცა ერთ სპარსელ მთავარსარდალს[110], რომელმაც მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წელთაღრიცხვით საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთას უშედეგოდ შემოარტყა ალყა ხელსაყრელ ადგილას აეშენებინა ციხესიმაგრე. რომელიც შემდეგ მამაცი მეფის — ვახტანგ გორგასლის[111] მიერ იქნა აღებული და უფრო განმტკიცებული. ამრიგად წარმომდგარ ქალაქს კალა ეწოდა და მალე ვახტანგის ვაჟის — დაჩის[112] რეზიდენციად გამოცხადდა. თბილისი მეფეების რეზიდენცია იყო 1801 წლამდე, ე. ი. 1300 წლის განმავლობაში.

ქალაქმა სახელწოდება თბილისი თბილი წყლებიდან მიიღო. ზოგიერთის მტკიცებით, სიტყვა თბილისს სლავური „ტეპლო“ უდევს საფუძვლად, რაც თბილს ნიშნავს, ისევე როგორც ბოჰე-

მიურ „ტეპლიცს“. მე არა ვარ ენათმეცნიერი, რომ ამის შესახებ ვიმსჯელო, მაგრამ ორი ერთმანეთისაგან ასე დაშორებული სამკურნალო წყლების ადგილის სახელწოდების მსგავსება ძალიან საინტერესოა და შემდგომი კვლევის საგანი უნდა გახდეს.

აღმოსავლეთის ქვეყნებს ისეთი თავისებურებანი ახასიათებს, რომელიც ჩვენ ქვეყნებს არ გააჩნია და იქაურ ყოფას კი ძალიან შეეფერება. აღმოსავლეთში მხოლოდ თბილი აბანოები უყვართ. მისთვის აბანო, თუმცა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა მაგრამ მაინც ფუფუნების საგანია და ჩვეულებრივ ძვირი ჯდება. რაკი ღარიბი მთელ თავის სიცოცხლეს ჭუჭყიან ბინაში ატარებს, ამიტომ ყოველთვის მზადაა სისუფთავისა და სიამოვნებისათვის ზედმეტი გადაიხადოს.

წინა ოთახში, მეაბანოვეს დახმარებით ტანსაცმელს იხდიან და შემდეგ შედიან აბაზანაში. იმათთვის, ვინც ვერ იტანს ცხელ იატაკს, ხის ქოშებია მომზადებული,. ასეთ აბანოებში, სადაც ხელოვნური გათბობაა (არა როგორც თბილისში, სადაც ბუნებრივი ცხელი წყალი როემიურით 28 — 32 გრადუსს და უფრო მეტსაც აღწევს) გასათბობი ხელსაწყოები პირდაპირ საბანაო დარბაზის ქვემოთაა მოთავსებული წყლის ხშირი ორთქლის გამო, მკრთალი მბჟუტავი სინათლე, მრგვალ, მრავალთაღებიან დარბაზს ძუნწად ანათებს. ამას ისიც ემატება, რომ თბილსა და ნაწილობრივ ცხელ ქვის ფილებზე განუწყვეტლივ ისხმება წყალი, რის გამოც ოზშივარი ადის. დიდ ოთახებში აუზი შუა ადგილას არის მოთავსებული, უფრო პატარაში კი — ნაპირზეა. აუზში სურვილის მიხედვით რჩებიან. ჩვეულებრივ იქიდან ცოტა ხნის შემდეგ ამოდიან და იწყება სიამოვნების მეორე ნაწილი.

საბაზანოს ერთ მხარეზე ან ხშირად შუაში დგას ტახტის მსგავსი რამ, რომელზედაც მობანავე სიგრძეზე წვება. შემოდის მექისე და მობანავეს მხრებზე ახტება. მობანავე გაშლილი ხელებით წვება ტახტზე, მექისე ზელავს მას ხან ბეჭიდან სახსრამდე, ხან კი სახსრიდან ხელისკენ და თხოვს მობანავეს გადაბრუნდეს, ე. ი. მუცელზე დაწვეს. ფაქტიურად ამით იწყება მექისეს მუშაობა ანუ სახსრების გაჭიმვა. მექისე მობანავეს მხრებზე ახტება და ისეთი ძალით ჩამოცურდება მის ხერხემალზე, რომ კაცს, რომელიც პირველად ვარდება ასეთ მდგომარეობაში, ეჩვენება, რომ გაჭყლიტეს. სინამდვილეში ყოველივე ეს არავითარ ზიანს არ აყენებს ადამიანს. ასე, თანდათან მობანავეს უზელენ სხეულის ყველა ნაკვთს. სახსრების დაზელვა გადადის ფეხის კიდურებზე, სადაც საწყის

პუნქტად ხდება მუხლისშიდა ფოსო. ახალბედა გაოცებულია იმით, რომ არც სახსრები ეღრძო და არც ნეკნები დაემტვრა. მაგრამ ამით მექისეს მუშაობა არ თავდება. იგი თხოვს მობანავეს დაჯდეს, რადგან თავი უნდა დაბანოს. უპირველეს ყოვლისა, იგი ხელს ავლებს საპნის ქაფით სავსე ჭურჭელს და არც თუ ისე ნაზად უზელავს მობანავეს თავს. შემდეგ შემოაქვს თბილი წყლით სავსე კასრი და ყოველგვარი შეკითხვის გარეშე გადაავლებს თავზე მობანავეს. ერთ კასრს მოჰყვება მეორე და ასე გრძელდება მანამ, სანამ საპნის ქაფი არ ჩამოირეცხება მობანავის თავიდან.

ამით თავდება ბანაობის პროცედურა, რომლის შემდეგ ახლად დაბადებულივით გრძნობ თავს. ასე გგონიათ, ფრთები შეგესხათ და გაფრენა შეგიძლიათ. აბანოს შემდეგ ადამიანს განსაკუთრებული სიამე შეიპყრობს, რაც ერთხანს გრძელდება. გერმანიის სხვადასხვა ქალაქების არცერთ აბანოში, სადაც კი ვყოფილვარ, არ შეიძლება ასეთი სიამოვნების მიღება.

ახალი სიამოვნება ელოდება დაბანილს (რომელიც განსაკუთრებით აზიელისთვისაა ძვირფასი), როდესაც იგი ჩასაცმელ ოთახში ბრუნდება. ვინც ასეთ სიამოვნებას არის ჩვეული, ხარჯი უნდა გასწიოს. მექისეს დახმარებით დაბანილი იცვამს ტანსაცმელს, რომ შემდეგ გარკვეულ ადგილას მოკალათდეს ტახტზე. ადგილობრივი მობანავენი ფეხმორთხმით სხდებიან, ევროპელები — როგორც ეხერხებათ. პირველ რიგში მოგართმევენ თურქულ ჩიბუხს. რამდენიმეჯერ მშვიდად მოსწევ ჩიბუხს; შემდეგ მას შარბათით და სხვადასხვა ტკბილეულით შეცვლიან. მაგრამ ამითაც არ თავდება აღმოსავლელის სიამოვნება; მას კიდევ აქვს სხვა სურვილები, ყოველ შემთხვევაში ჰგონია, რომ ეხლა უფროა ამისათვის განწყობილი. სომხებს და ქართველებს უმეტესად სიმღერა და მუსიკა უყვართ; ამიტომაა, რომ მოხეტიალე მომღერლები შემოდიან ოთახში და საგმირო ან სასიყვარულო სიმღერებს კრიჭანჭულით ასრულებენ. ამასთან ერთად სტვირს ან ადგილობრივ საკრავს უკრავენ, რომ აამონ თავის ბატონს. მათ მოჰყვება ლამაზი და ფანტასტურად ჩაცმული გოგონები, რომლებიც დაირით ხელში ცეკვავენ ლეკურს, კავკასიურ ნაციონალურ ცეკვას, რომელიც მოხდენილობით ესპანურ ცეკვას ფანდანგოს გვაგონებს. ამ დროს ოითოეულს უნდა თავისი ბატონის გამხიარულება. მას კი ჩიბუხი უჭირავს ხელში და მშვიდად აბოლებს. ჩიბუხზე მეტად ჩვეულებრივ ყალიონს ეტანებიან. ასე მშვიდად ზის აღმოსავლელი თავის ტახტზე რამდენიმე საათის განმავლობაში და ყალიონის

წევის გარდა არაფერს აკეთებს. ბოლოს კმაყოფილი, მაგრამ ცარიელი ქისით ტოვებს აბანოს.

თავი II

შამილი და კავკასიის ომი

ნაიდჰარტი. — თავადი ვორონცოვი. — რუსი ჯარისკაცები. — შამილის თავდასხმა. — ურკვარტი. — სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა. — მთის მცხოვრებთა სიღარიბე. — გენერალი ზასი. — კავკასიელების გაჭირვება ბარში. — ქვემეხების მნიშვნელობა. — პოლონელთა დახმარება. — ბელი. — ინგლისელების დახმარება. — ტყვია-წამლის მნიშვნელობა.

ჩემი გამგზავრების საქმეები ნელა მიდიოდა, ვინაიდან ომის ამბებით ისე იყო ყველა დაკავებული, რომ სხვა არაფრისთვის ეცალათ. ის დიდი შიში და დარდი, რომელიც შამილის ძლევამოსილმა იარაღმა და დანიელ სულთნის 1844 წლის ჯანყებამ გამოიწვია, თანდათან ჩაქრა. მხოლოდ მთავარმართებლის, ბარონ ნაიდჰარტის[113] ენერგიის და საზრიანობის წყალობით შეძლეს რუსებმა უბედურების თავიდან აცილება. ისინი ძალიან უსამართლოდ მოექცნენ ადამიანს, რომელმაც ამიერკავკასია გადაარჩინა. მისგან შეუძლებელს მოითხოვდნენ — შამილის დამარცხებას ან, სულ მცირე, ავარიის უკან დაბრუნებას, რაც ჯერაც მიუღწეველია. მარტოდ-მარტო მყოფმა ნაიდჰარტმა ზღვარი დაუდო შამილის წინსვლას და მას აღმოსავლეთის ხაზს იქით, კასპიის ზღვასთან ჰდებარე ყველა ტერიტორია ჩამოართვა. ნაიდჰარტი ნელა მიიწევდა წინ, რასაც მას გამუდმებით უსაყვედურებდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მხარეს სავსებით ეპატრონებოდა. ნაიდჰარტისათვის დამამშვიდებელი იყო ის ამბავი, რომ თავადმა ვორონცოვმა (მას შემდეგ, რაც სისხლიანი გამოცდილება მიიღო), სწრაფად აუღო ალ-

ღო, რომ ისეთი ხელმძღვანელის, როგორიც შამილი იყო, და ისეთი ქვეყნის, როგორიც ჩერქეზეთი და ლეკების ქვეყანაა, მხოლოდ იარაღის საშუალებით დამარცხება არ შეიძლებოდა, — და ნაიდ-ჰარტის ძველ სტრატეგიას მიბაძა. ვორონცოვი ცხრა წელიწადი იყო მთავარმართებლად კავკასიაში. მასაც ძალიან უნდა უმადლოდნენ რუსები, ვინაიდან უსაზღვროდ ბევრი გააკეთა მან ამ შორეულ პროვინციაში რუსეთის ბატონობის განმტკიცებისათვის. ვორონ-ცოვს უყვარდა ეს ქვეყანა და მთის რაინდი მოსახლეობა; ხედ-მიწევნით კარგად იცნობდა იგი ქვეყნის ვითარებას და თვითონ კავკასიელებს; იყო სამართლიანი, გააჩნდა ორგანიზაციულ ნიჭი, და ბოლოს, მისი დამოუკიდებელი მდგომარეობა (რომელიც მან თავიდანვე გამოსთხოვა თავის მეფეს) ვალდებულს ხდიდა ვო-რონცოვს ბოლომდე მიეყვანა ის, რისი გაკეთებაც ვერ შეძლო ვერცერთმა მისმა წინამორბედმა. საქმე შუამდეც არ ქონდა მიყ-ვანილი, როდესაც ისიც გადაიყვანეს და ახალ ძალებს მიანდეს მისი დაწყებული საქმის დამთავრება. შედეგმა თავი იჩინა.

უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირთა ხშირი ცვლა საზიანო იყო როგორც ქვეყნისათვის, ისე რუსეთის ავტორიტეტისათვის. კარგა ხანია უნდა გაგვეგო, რომ შამილისა და ჩერქეზების დაძლევა და დამორჩილება ძალისმიერი საშუა-ლებების გამოყენებით არ შეიძლებოდა. მხოლოდ ქვეყნის ადგი-ლობრივი პირობების ზუსტი ცოდნა (რომელიც შორიდან, ქვე-ყანაში მხოლოდ რამდენიმე წელიწადს ყოფნით არ შეიძლე-ბა შეიძინოს კაცმა) გახდის შესაძლებელს კავკასიის მთების ურ-ჩი ტომების საბოლოო ალაგმვასა და დამორჩილებას. არ უნდა ვიფიქროთ, რომ რუსები მტრულად განწყობილი მთიელების წი-ნააღმდეგ ცუდად იბრძოდნენ. არც ისეა საქმე, როგორც წარმო-გვიდგენენ, თითქოს რამდენიმე ჩერქეზი ან ლეკი საკმარისია მთე-ლი ბატალიონი რუსების უკუქცევისათვის. აქ ჩემი ხანგრძლივად ყოფნის დროს საკმაო შესაძლებლობა მქონდა დავრწმუნებული-ყავი იმაში, რომ რუსები კარგი ჯარისკაცები არიან, ხოლო დემო-რალიზაციაზე, სიმხდალეზე და სხვა სალანძღავ სიტყვებზე. რომ-ლითაც ინგლისელი, ფრანგი და გერმანელი მიმომხილველები ამ-კობდნენ რუსის ჯარისკაცებს, ლაპარაკიც ზედმეტია. ახალმა დრომ ეს ბრწყინვალედ დაამტკიცა. ამჟამად, პირიქით, მხოლოდ შამილზე და ჩერქეზებზე ისმის საყვედურები. ვერცერთმა მათ-განმა ვერ გამოიყენა მეფის რუსეთის არახელსაყრელი მდგომა-რეობა და ვერ გააგდო მტერი საკუთარი მიწაწყლიდან. გაუგება-

რია კავკასიელების სიმშვიდე: ზოგიერთი პოლიტიკოსი უკვე ღალატზე და მოსყიდვაზე ლაპარაკობს. როდესაც პირველი ცნობები მოვიდა, რომ შამილი მთიდან ბარში (კახეთში) ჩამოვიდა და თბილისს ემუქრებაო[114], ჩვენ დიდი რწმენითა და მოთმინებით ველოდებოდით კავკასიის დედაქალაქის დაპყრობას, მაგრამ თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ რუსები ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ, მაინც აუღებელი დარჩა. შამილმა, რომელიც შილდის ხეობით ჩამოვიდა, იმავე ხეობითვე დაიხია უკან, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ ბარში ევროპულ ყაიდაზე ომის წარმოების გარეშე ვერაფერს გააწყობდა. მოღალატეობის და მოსყიდვის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ურკვარტის[115] ჩერქეზებისადმი მიწერილმა წერილმა დიდი გამოხმაურება გამოიწვია და ბევრიც დააბნია. ვერაფრით აეხსნათ რუსეთის ისეთმა დიდმა მტერმა და ჩერქეზების პატივმცემელმა, როგორ ურჩია მათ კავშირი არ დაეჭირათ ინგლისელებთან; წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა უწინასწარმეტყველა მათ. მაგრამ იგი სავსებით მართალი იყო. მეც იმ აზრისა ვარ, რომ იმ დღიდან როგორც კი ჩერქეზები და ლეკები ინგლისელების ან ფრანგების დახმარებას მიიღებენ, მაშინვე დაასამარებენ თავიანთ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ზოგიეროების მტკიცების ასახსნელად (რომელიც პარადოქსად შეიძლება მოგვეჩვენოს) საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, ნათელი გავხადოთ ის მიზეზი, თუ რატომ იყო, რომ კავკასიის აღმოსავლეთიდან შამილი, ხოლო დასავლეთიდან ჩერქეზები რუსების ყოველ შემოტევას დღემდე საკადრის პასუხს აძლევდნენ. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ რომ ეს უკანასკნელები, საერთო ჯამში, მაინც გამოირჩევიან სიმამაცით და გაბედულობით. შეიძლება გადაუჭარბებლად ვაღიაროთ, რომ რუსებმა, მას შემდეგ, რაც ენერგიულად დაიწყეს ბრძოლა (ე. ი. დაახლოებით 25 — 30 წლის განმავლობაში) უფრო მეტი ჯარისკაცი დაკარგეს, ვიდრე კავკასიის მთების მთელი მოსახლეობაა (მტრულ ნაწილში). ამაში მთიელებს უფრო ნაკლებ მიუძღვით ბრალი, ვიდრე მავნე ჰავას; რუსეთის ჯარის ნახევარს, კავკასიის ქვეყნებში რომ ჰპოვა აღსასრული, მტერი შეიძლება არც კი უნახავს. გადარჩენილი ნახევარი კვლავ იღუპება წარმოუდგენელი გაჭირვებისა და შიმშილობის გამო, რომელიც ასეთ ომებს თან ახლავს ხოლმე; მხოლოდ ჯარის მეოთხედი იღუპება მტრის ტყვიისაგან და ხმლისაგან.

ყველაზე დიდი სიძნელე, რომელიც მეფის რუსეთს ეღობებოდა

მთიელებთან ბრძოლაში, სურსათის საკითხი იყო. ყირიმის ომმა შეაგნებინა ეს იმათ, ვისაც ამის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა. კავკასიის მთები შვეიცარიასთან შედარებით უნაყოფოა. იგი საქონლისთვისაც კი ვერ იძლევა ზამთრის სამყოფ საკვებს. საქონელმა კავკასიელებს საკვებიც უნდა მისცეს და ტანსაცმელიც. შეიძლება ამის მიზეზი ისიცაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გაზაფხულზე და ზაფხულში საჭირო მზრუნველობას არ იჩენდა და, მიუხედავად იმისა, რომ მდიდარი ალპური საძოვრები გააჩნდათ, საქონლისათვის საჭირო საკვებს დროულად არ იმარაგებდა. ზამთრის მკაცრ პირობებში ისინი, ჩვეულებრივ, იძულებულნი არიან ჯოგით ბარში ჩამოვიდნენ და მშვიდობიანად იცხოვრონ რუსებთან, ან საჭიროების შემთხვევაში იქურდონ. ამიტომ განუწყვეტლივ ესხმიან თავს სოფლებს და რუსები, რაგინდ ფხიზლადაც არ უნდა იყვნენ, ამას ხელს ვერ უშლიან. გაქურდვის საფრთხე უფრო მეტად ემუქრება რუსთა პოლკის მაღაზიებს და თივის შესანახ ადგილებს. რუსების სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ტრანსპორტს ყოველთვის განსაკუთრებული დაცვა ესაჭიროება.

მტრის ტერიტორიაზე რუსები მათთვის სასარგებლოს ვერაფერს შოულობენ. ცხენებისათვის სამყოფი ბალახიც კი არა აქვთ, მაგრამ მათი შორეულ საძოვრებზე გაყვანა არ ხერხდება, რადგან გამუდმებით არსებობს თავდასხმების საფრთხე. ამიტომ კმაყოფილდებიან იმ მცირე საკვებით, რომელიც გზაზე ხვდებათ.

მტრულად განწყობილი ლეკები და ჩეჩნები ჯგუფ-ჯგუფად უვლიან გარს რუსის ჯარს, ლაშქრობაშიც და ბანაკში ყოფნის დროსაც. ვაი იმ ჯარისკაცს, რომელიც გაბედავს რუსების თოფის სასროლ მანძილს გასცდეს, ასე გაიტაცეს ჩერქეზებმა პოეტი ბესტუჟევი[116] (რომელსაც მარლინსკის სახელით ჩვენთანაც იცნობდნენ). მას შემდეგ იგი აღარავის უნახავს. დაპყრობილ სოფლებსაც კი იმდენად უმნიშვნელო თავშესაფარი აქვთ, რომ ანგარიშში ჩასაგდები არაა. სახლები სავსეა მკბენარებით და მათგან უფრო ძნელია თავის დაცვა, ვიდრე ავდრისაგან. ამ უკანასკნელთათვის კავკასიელთა სახლები არაა თავშესაფარი, რადგან სახურავებიდან დიდი წვიმების დროს წყალი ჩამოდის. ასეთ პირობებში, ცხადია, რუსებს არ შეუძლიათ მრავალრიცხოვანი ჯარის გამოყენება. ამას კიდევ ის ერთვის, რომ არც საქართველოს, არც კავკასიის გადაღმა მდებარე მაჰმადიანურ პროვინციებს და არც ყინულოვან კავკასიას არ შეუძლია ჯარის გამოსაკვებად საჭირო პურის გაღება. იგი რუსეთის შორეული პროვინციებიდან მოაქვთ. როცა აუცი-

ლებლად მიაჩნიათ მტერზე თავდასხმა, ჩვეულებრივ, მის წინააღმდეგ 15 — 20000 კაცისაგან შემდგარი რაზმი მიჰყავთ და თან ჩქარობენ, რაც შეიძლება მალე დაამთავრონ ბრძოლა. თავად ვორონცოვის ექსპედიციაც დარგოში (რომელიც მარცხით დამთავრდა[117] და რუსებს სამუდამოდ დაუკარგა ხალისი მსგავსი ექსპედიციების ჩატარებისა) მხოლოდ 40 — 50 000 კაცისაგან შედგებოდა. ისინი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ, როცა ხაზისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდნენ.

მტერს არაფერი გააჩნდა ისეთი, რისი განადგურებაც შეეძლოთ რუსებს. კავკასიის მთებში ქალაქების არსებობაზე ლაპარაკი ზედმეტია. სოფლები დღეს თუ დაანგრევთ, რვა დღეში ისევ გამოდგება საცხოვრებლად. მიწათმოქმედებას მთებში საერთოდ არ მისდევენ, ცოტაოდენი ფეტვი თუ მოჰყავთ. მხოლოდ დაღესტანში გვხვდება უფრო მეტი ხილი და ფეტვი. ხეების გაჩეხვისა და მინდვრების გადაწვითაც ვერ მიაყენებთ მათ საგრძნობ ზარალს. იმ მხარეში, სადაც ხეხილი მოჰყავთ, მცენარეულობა ისეთი მდიდარია, რომ რამდენიმე წელიწადში განადგურების ყოველგვარი კვალი ქრება.

ვაჭრობა მთაში სრულიად უცნობია. მესაქონლეობაც, რომელიც აქ თითქმის ერთადერთი საარსებო წყაროა, ისე განვითარებული არ არის, როგორც უნდა იყოს. ამიტომ რუსები ვერც ამ შემთხვევაში მიაყენებენ მათ საგრძნობ ,დანაკლისს. მტრის შემოსევისას კავკასიელი თავს უყრის მოელ თავის ავლადიდებას, საქონელს წინ გაირეკავს და თავს აფარებს ისეთ ადგილებს. სადაც რუსი ვერ დაედევნება. რუსები მხოლოდ მაშინ აღწევენ წარმატებას, როცა სოფელს უეცრად ესხმიან თავს და ეპატრონებიან საქონელს. გენერალი ზასი[118], რომელიც დიდხანს იდგა უშედეგოდ ჩერქეზების საზღვარზე, ხშირად წარმატების მისაღწევად მოიავადმყოფებდა ხოლმე თავს; ერთხელ, ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა მოსატყუებლად, რომ მათ არაფრის შიში არ ჰქონოდათ, თავი ცოცხლადაც კი დაამარხვინა, როგორც კი ეს უკანასკნელნი უზრუნველობას და სიმშვიდეს მიეცნენ, უმალ მამაცი რაზმი დაეცა მათ თავს, წაართვა პირუტყვი და ისევე სასწრაფოდ დაბრუნდი უკან.

ჩემი აზრით, ეს არის იმის მიზეზი, რომ რუსები მთებში რაიმე დიდმნიშვნელოვანს ვერ აღწევდნენ. ყველა მტკიცე ციხესიმაგრე, რომელიც მათ ამ ხნის განმავლობაში დაანგრიეს, საზღვართან ახლოს მდებარეობს და ამიტომ დიდხანს შეუძლიათ ალყის შე-

მორტყმა ისე, რომ ტყვია-წამალი და სურსათ-სანოვაგე არ დაეკლდეთ. ისიც გასაგები ხდება, რატომ ვერ მოიპოვა შამილმა სხვაგან მთების გარეთ დიდი წარმატება, მაშინ, როდესაც მთებში იგი დაუმარცხებელი იყო. მხოლოდ აქ შეუძლია მას პარტიზანული ომის წარმოება, სადაც თითოეულ ადამიანს აქვს ფასი. ევროპაში ცნობილ სასიკვდილო იარაღებსა და მანქანებს, რომლებიც საშინელ ნგრევას იწვევენ, მტრის სწრაფად მოძრაობის გამო მთაში მნიშვნელობა ეკარგება, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი ტრანსპორტირების შესახებ, რაც გაუთავებელ სიძნელეებთან არის დაკავშირებული; ხოლო ზოგჯერ შეუძლებელიც კია. მთისათვის მძიმე კალიბრის ქვემეხებია, და მათ, როგორც წესი, ორი ცხენი მიათრევს. თუ რა ძნელია ასეთი ზარბაზნების ადგილზე მიტანა, მიხვდება ყველა, ვინც ნამყოფია მთაში. გაცილებით უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ ზარბაზნებს და სხვა გამანადგურებელ იარაღებს პარში და სავალ გზებზე. ასეთ ბრძოლაში კავკასიელები ყოველთვის ზარალს განიცდიან. ისინი ამაოდ შეიწუხებენ თავს, თუ შეეცდებიან ზარბაზნების გატარებას სატყორცნი ყუმბარების გარეშე. მთაში ზარბაზანი დიდი პატივისცემით სარგებლობს და ჩერქეზები მას თავისი მნიშვნელობის გამო „ათას კაცს" უწოდებენ: ეჭვგარეშეა, რომ შამილი ბარში 30 — 40 ათასი კაცით რომ წამოვიდეს 10 — 20 ათასი რუსის წინააღმდეგ, მაინც დამარცხდება, როგორც ეს მოხდა სინამდვილეში. მიზეზი ისევ ზარბაზანშია; შამილმა და მისმა მომხრეებმა რუსების უმნიშვნელო გამაგრებული ადგილების წინააღმდეგაც ვერაფერი გააწყვეს. რუსული „კრეპოსტი" ნაწილობრივ სხვა არაფერია, თუ არა ცუდი საგუშაგო ჯიხური ან ოთხკუთხა მიწაყრილი, რომლის ყოველ კუთხეში ერთი ან ორი ზარბაზანია მოთავსებული. მიუხედავად ამისა, კავკასიელები იშვიათად თუ ახერხებდნენ ასეთი სიმაგრის ხელში ჩაგდებას. როგორღა მობედავს შამილი საალყო იარაღის გარეშე ისეთ პირველხარისხოვან სიმაგრეებთან, როგორიცაა დერბენდი[119], კუბა[120], ზაქათალა[121] ან თუნდაც თბილისი. ამ უკანასკნელ ქალაქამდე მთელი რიგი პატარა ციხე-სიმაგრეებია. ცნობას, თითქოს შამილი თბილისს ემუქრებოდა და უკვე მის მისასვლელებთან იმყოფებოდა (რომელმაც ჩვენამდე ინგლისიდან და საფრანგეთიდან მოაღწია), მხოლოდ ის დაიჯერებს, ვისაც იქაური მღგომარეობისა არაფერი გაეგება.

ურკვარტი ჩერქეზებს აფრთხილებს ინგლისელებთან კავშირი არ დაიჭიროს. იგი მართალია, ვინაიდან ეს კავშირი კავკასიე-

ლებისათვის თავისუფლების დაკარგვას მოასწავებს. კავკასიელები, როგორც ვთქვით, მთებში არიან გამაგრებულნი და რუსებისათვის ძნელია მათი დაძლევა, თუ ხელსაყრელი შემთხვევა არ მიეცათ. სამაგიეროდ ევროპულ ყაიდაზე ომის წარმოებისას და მთებიდან ჩამოსულთ რუსები ადვილად ამარცხებდნენ. რუსეთის „კოლოსთან“ ბრძოლის პირველ პერიოდში შამილი ზარბაზნების შეძენას ფიქრობდა. მალე საკმაო რაოდენობით ჩაიგდო ხელთ. ცოტა ხნის შემდეგ შამილი დარწმუნდა, რომ სარგებლობის ნაცვლად, იზარალა. ამან შამილზე ძალიან იმოქმედა. სხვა ზარალს ისიც დაერთო, რომ ზარბაზნების თუნდაც ცუდად მოვლასაც გარკვეული რაოდენობის ხალხი სჭირდებოდა მათი ნაკლებობის დროს. საქმეს ვერც იმან უშველა, როცა მოგვიანებით ტყვეები და გადმოსული პოლონელები გამოიყვანეს ზარბაზნების მოსავლელად. ბედი მათი, რომ რუსებმა ზარბაზნების ნაწილი წაართვეს.

პოლონელების დახმარების შესახებ ძალიან ბევრს ლაპარაკობდნენ. ამბობდნენ, რომ ისინი დიდ დახმარებას უწევდნენ შამილს რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში და თითქოს შამილი თავის წარმატებებს მათ უნდა უმადლოდესო. ეს მტკნარი სიცრუეა. ჯერ ერთი, გადმოსულ პოლონელთა რიცხვი არც ისე დიდი იყო; გარდა ამისა, ლეკები მათ მხოლოდ მსახურებად ან მონებად იყენებდნენ. მე ველაპარაკე გამოქცეულ პატიმრებს და ისინი ირწმუნებოდნენ, რომ ლეკები ცუდად არ გვექცეოდნენო. რა ცუდ მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს რუსის ჯარისკაცი, ის მაინც თავის ბატალიონში გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე მთაში. აქ იგი კვირაში ერთხელ ან ორჯერ მაინც ღებულობს ხორცს, მთაში კი უმარილო და უცხიმო ფეტვის ფაფის მეტს არაფერს იძლევიან.

ცნობილი ინგლისელი — ბელი[122], რომელიც ჩერქეზეთში 2 წელიწადს ცხოვრობდა, ყოველნაირად ცდილობდა ჩერქეზებისათვის ბრძოლის ევროპული წესი შეესწავლებინა, როდესაც მან ეს სწავლება გარკვეულ დონემდე მიიყვანა, მთიელთა ყველა შეტევა უკუქცეულ იქნა. ყველა მათი ყაჩაღური თავდასხმა ჩახშობილი იყო. ამ ზარალმა ჩერქეზები საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ წარმატების შესანარჩუნებლად კვლავ ბრძოლის ძველი წესები უნდა დაეცვათ და ასეც მოიქცნენ. თვითონ ბელმაც შეიგნო ეს და ბოლოს იძულებული იყო მიეტოვებინა ის ქვეყანა, რომელსაც სარგებლობა ვერ მოუტანა.

აბა რას უშველიდა მათ ინგლისელების დახმარება? ძლიერი

ჯარი იგივე სიძნელეებს უნდა შებრძოლებოდა, რა სიძნელეებსაც ებრძოდა რუსის ჯარი მტრის ზურგში. ვინ იცის, იქნებ მათ უფრო მეტი შიმშილის და გაჭირვების გამოცდა დასჭირდებოდა, რადგან ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ზამთრის პერიოდში სურსათ-სანოვაგის მიწოდება ზღვიდან შემწყდარიყო; რამდენიმე ათასი ინგლისელი ჯარისკაცი კი ბევრს ვერაფერს დაეხმარებოდა ბრძოლებში და მხოლოდ ტვირთად თუ დააწვებოდა მათ. მოკავშირეებმა დიდი ხანია რაც სოხუმ-კალე და რედუტ-კალე დაიკავეს, მაგრამ ჭკვიანურად იქცევიან და თავს არიდებენ ქვეყნის სიღრმეში შეჭრას, რადგან იქ, შესაძლოა, მტრის ნაწილები შეხვდეთ და სურსათ-სანოვაგე შემოაკლდეთ.

მხოლოდ ერთი რამით შეიძლება კავკასიელებისათვის დახმარების გაწევა მათ ბრძოლაში რუსების წინააღმდეგ. ეს არის თოფისწამალი, რომლის გაჭირვებასაც ისინი მუდამ განიცდიან. საკუთარი თოფისწამალი მათ ხომ ისეთი ცუდი აქვთ, რომ მხოლოდ პატრუქით შეიძლება დანთება. თოფისწამალი მთელ აღმოსავლეთში ძვირად ფასობს, ფულზე მეტადაც კი. არცერთ ჩემს საჩუქარს ისეთი სიხარული არ გამოუწვევია, როგორც რამდენიმე გასროლა კარგ ტყვია-წამალს. შამილისათვის ტყვია-წამლის მიწოდება ძნელი საქმეა, ვინაიდან მისი ქვეყანა რუსული სამფლობელოებითაა გარემოცული და ერთადერთი მისასვლელი გზა არის მხოლოდ შავი ზღვა. თუ კი უვნებლად გაივლი ჩერქეზეთს, დიდ სამხედრო გზაზე ახალი სიძნელეები გაჩნდება. ლეკებისა და ჩეჩნებისათვის განკუთვნილი ტყვია-წამლის ტრანსპორტი რუსებს არ გამოეპარებათ და წინასწარი მომზადების გარეშეც ადვილად გაანადგურებენ მას. ეს საქმე ასე, იოლი რომ იყოს, ეხლაც შეძლებდნენ მის განხორციელებას, ვინაიდან კავკასიის ზღვის სანაპიროს უმნიშვნელოვანესი ადგილები მოკავშირეებს უკავიათ.

თავი III

იელისუის სულთნის ამბოხება

თბილისიდან გამგზავრება.—მარიენფელდი.—დიდი დაბლობი.—სასტუმროები.—სიღნაღი.—ჩემი მსახური ფრიცი.—ისტორიული მიმოხილვა.—ყარაღაჯი.—დანიელ სულთანი. — იელისუი. — გენერალი შვარცი. — მდივანი. — შამილთან მოლაპარაკება.—მოღალატის დასჯა.—შეხვედრა ალაზანთან—ბრძოლა კახთან.—ხეობა.—პოლკოვნიკი ბელგარდი.—იელისუის დაკავება.

თბილისში ძალიან ცხელოდა და კიდევ რამდენიმე კვირას უსაქმოდ იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ჩემი საბუთების გამ-

ზადება. როგორც უკვე ვთქვი, ისეთ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც მთელი ქვეყანა ომით იყო დაკავებული. ამიტომ მეცნიერს თავისი მშვიდობიანი საქმეებით უნდა დაეცადა. ის-ის იყო დიდ გაჭირვებას დავაღწიე თავი, მაგრამ მაინც ვერ მოვისვენე, რადგან ჩემი სურვილი ვერ შევასრულე — კავკასიის ერთ-ერთ ცნობილ მთაზე — ბორბალოზე[123] ვერ ავედი, რომ იქიდან მის განშტოებას გავყოლოდი. იელისუის მეამბოხე სულთანი უკვე სავსებით განდევნეს თავის წინანდელი სამფლობელოებიდან და იმ ადგილებში ისევ მშვიდობა დამყარდა. თუშების, ფშაველების და ხევსურების მამაცმა მოსახლეობამ სწორედ გაჭირვების დროს დაამტკიცა თავისი ერთგულება რუსებისადმი. ამიტომ გადავწყვიტე ისევ ბრძოლის ველს მივახლოვებოდი, რომ იქიდან რომელიმე რაზმთან ერთად როგორმე მთაში შემეღწია.

ერთ მშვენიერ აგვისტოს დილას ავიყვანე სამცხენა ეტლი და ისევ აღმოსავლეთისაკენ გავუდექი გზას. ნაცნობი გზით (სადაც 7 წლის წინათ უკვე ვიყავი თავად სუვოროვთან ერთად), უპირველეს ყოვლისა, გერმანულ კოლონიაში — მარიენფელდში[124] გავემგზავრე, რომელიც მდინარე იორთან მდებარეობს. კვლავ გავიხარე ჩემ საყვარელ შვაბ თანამემამულეთა ხილვით. აღარ მინდა გავიმეორო ის, რაც ჩემი აღმოსავლეთში მოგზაურობისადმი მიძღვნილ მესამე ტომში უკვე დაწვრილებით გიამბეთ ამიერკავკასიის კოლონიების შესახებ. მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ მარიენფელდიც თანდათან კეთილმოწყობილი ხდება და რომ იქაურმა მცხოვრებლებმა ისევე კარგად მიმიღეს, როგორც 7 წლის წინათ.

იმავე დღეს, შუადღისას ათასნაირი ბუჩქნარით დაფარულ ვაკეს მივადექით. ზამთარში აქ, ისევე როგორც მთელ ამ მიდამოში ალაზნის და მტკვრის შეერთების ადგილას, ზემოთ დასახელებულ სამივე ტომს ჩამოჰყავს თავისი ურიცხვი ცხვრის ფარა, ეინაიდან მაღალ მთებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, ზაფხულშიც არ არის სამყოფი ბალახი. რუსები მცირე გადასახადის ფასად ამის ნებას აძლევენ მათ. ამიტომ თუშები, ფშაველები და ხევსურები რუსების დიდი ერთგულნი არიან და ლეკთა ყაჩაღური თავდასხმების დროს მნიშვნელოვან კედელს წარმოადგენენ რუსებისათვის.

აქ ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია და დროთა განმავლობაში შეიძლება საქართველოს ბეღელი გახდეს. ამჟამად კი, სამწუხაროდ, მიწის დასამუშავებლად მუშა ხელის ნაკლებობაა. უწინ-

ადელი მოსახლეობა, რომელთა წინაპრები აქ ქართველთა მეფეებმა დაასახლეს, ნადირშაპმა წინა საუკუნის პირველ ნახევარში ისევ ხორასანში, სპარსეთში წაასხა.

სოფელ მუღანლოსთან[125] მდინარე იორზე გადავედით და იმავე დაბლობზე განვაგრძეთ გზა. მარცხენა მხარეს კირიანი მთა-„ცივი"[126] იყო აღმართული, რომელიც თავისი უამრავი ხეობებით ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა, თუმცა ტყით კი არა, ბუჩქნარით იყო დაფარული. უკვე ბინდდებოდა, როდესაც ერთ ციცაბო მთას ავუყევით, „ცივის" თავზე სასტუმროში რომ გაგვეთია ღამე, რომელიც სულ ახლოს მდებარეობს სოფელ ნუკრიანთან[127]. აქ საკმაოდ ლამაზი სასტუმროებია, გაცილებით უკეთესი, ვიდრე რუსეთის შორეულ პროვინციებში, რაც იმის მომასწავებელია, რომ საქართველო, ისევე როგორც ამიერი და ყინულოვანი კავკასია, წარსულთან შედარებით შესამჩნევად განვითარდა. დაღლილი მოგზაური, ჩვეულებრივ, განსაკუთრებით აფასებს კარგ ღამის სათევ ადგილს.

თუმცა ეს ადგილი ჯერ კიდევ კარგად მქონდა აღბეჭდილი მეხსიერებაში, ისევ და ისევ ვტკბებოდი იმ მშვენიერი ხედით, რომელიც აქედან იშლებოდა. ჩემი ბარგი სასტუმროში დავტოვე და გავუდექი სწორ გზას, რომელიც რუსებს სამაზრო ქალაქ სიღნაღამდის გაეყვანათ. აქაც მომხდარიყო მოსახლეობისათვის საესარგებლო ცვლილებები. ამ 7 წლის განმავლობაში მრავლად აუგიათ ახალი სახლები, ბაზარში დიდი გამოცოცხლება სუფევდა, რამაც ძალიან გამახარა. ბაზარში ვხეტიალობდი, რათა ჩემი შემდგომი მოგზაურობისათვის ცოტაოდენი პური და სხვა საზრდო შეეყიდა. უეცრად ვიღაც მომესალმა — დილა მშვიდობისა ბატონო პროფესოროო — წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მოვტრიალდი და ჩემი ძველი მსახური ფრიცი დავინახე (შკაბი კოლონისტი მარიენფელდთან მდებარე პეტერსდორფიდან[128]), რომელიც შემდეგ თელავში, კახეთის მეორე სამაზრო ქალაქში დასახლებულიყო და მედუქნე გამხდარიყო. ეს კეთილი ადამიანი 8 წლის წინათ მე დამყვებოდა ოსეთის ძალზე სახიფათო მხარეებში, სამეგრელოში და იმერეთში, და მთელ ამ გრძელ გზაზე ერთადერთი ადამიანი იყო, რომელსაც ჩემი ენა ესმოდა და ვისთანაც საუბარი შემეძლო. მასთან შეხვედრა მით უფრო სასიამოვნო იყო ჩემთვის, რომ იმედი მომეცა მისგან ალაზნის მეორე მხარეზე წარმოებული ომის მდგომარეობის შესახებ ზუსტი ცნობები დამედგინა . სამწუხაროდ, უშიშროება ჯერ ისე არ აღედგინათ, რომ შე-

საძლებელი ყოფილიყო ჩემი ასვლა მთის ქედზე, რომლის იქითა მხარეს უკვე მთის მტრული ტომები ცხოვრობენ. ვეცადე ჩემი უწინდელი მსახური დამეთანხმებია გამომყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას სახლის დატოვება არ შეეძლო, ვინაიდან დუქნის პატრონი იყო. ამას გარდა, ცოლ-შვილი ჰყავდა და მიაჩნდა, რომ არ ჰქონდა უფლება საფრთხეში ჩაეგდო თავი. საბედნიეროდ, მან მეორე კოლონისტი მომიყვანა, რომელიც გასამრჯელოს საფასურად გამყვებოდა ხაზის გასწვრივ ალაზნის იქეთა მხარეს.

იმავე დღეს, გვიან, ნაშუადღევს გავემგზავრე მასთან ერთად მომდევნო სადგურ ყარაღაჯამდე. ჩვენ პირდაპირ დიდებული კავკასიონის ცენტრალური ქედი გადაჭიმულიყო. ყინულითა და მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები მაღლა აღმართულიყვნენ. მთელი არსებით მიზიდავდნენ ეს მთები, მაგრამ არ შეიძლებოდა გრძნობებს ავყოლოდი, რადგანაც ადვილი შესაძლებელი იყო ტყვეობაში ამომეყო თავი. ჩვენს წინ ისევ ნაყოფიერი დაბლობი გადაიშალა, რომელზედაც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ საკმაოდ დიდი მდინარე მიედინებოდა. ეს იყო ალაზანი, ძველების ალაზონიუსი — ალბანეთის ქვეყანაში, რომლის შესახებ ბერძნებმა და რომაელებმა, მიუხედავად იქ ლაშქრობებისა, მხოლოდ სახელი იცოდნენ. ქართველები ამ ქვეყანას ჰერეთს[129] უწოდებდნენ, ვინაიდან ნოეს[130] შვილთა შვილის — თარგამოსის[131] ვაჟიშვილებს შორის ამიერკავკასიის გაყოფის დროს იგი ჰეროსს[132] ერგო. მოგვიანებით ამ ტერიტორიამ კახის ანუ კახეთის სახელწოდება მიიღო. აქ შემდეგ ორჯერ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი სამეფო, თუმცა არა ისეთი დიდი, როგორც ძველად. პირველად 787 წელს ვინმე გრიგოლმა[133] მოახერხა შეექმნა დამოუკიდებელი სამეფო და განთავისუფლდა სასანელთა[134] ბატონობისაგან. მისი შთამომავლობა 1089 წლამდე განაგებდა ამ სამეფოს, სანამ დავით აღმაშენებელმა ყველა ქართული ქვეყანა ერთი სამეფო კვერთხის ქვეშ არ გააერთიანა. მაგრამ უკვე დავითის შვილიშვილმა[135] ხელახლა აღადგინა კახეთის სამეფო, რომელიც არსებობდა მანამდის, სანამ უკანასკნელი ქართველი მეფის პაპა, თეიმურაზ მეორე[136], საქართველოს დანარჩენი მხარეების მმართველიც არ გახდა. მისმა ვაჟმა, ერეკლე მეორემ, თავისი რეზიდენცია თელავიდან თბილისში გადმოიტანა[137].

ყარაღაჯშიც კარგი სასტუმრო და ჩინებული ვახშამი დაგვხვდა. ამბავმა, რომელიც აქ შევიტყვე, თითქმის დამიკარგა მოგზაურობის გაგრძელების სურვილი. მთელი ჩემი მჭერმეტყველება

იმას მოვანდომე, რომ კოლონისტი, რომელიც მე მახლდა, უკან არ დაბრუნებულიყო. ბოლოს იმ პირობით დამთანხმდა გზის გაგრძელებაზე, რომ მე იელისუიში კი არ წავიდოდი, არამედ პირდაპირ ზაქათალას ციხესიმაგრისაკენ გავწევდი და ჩემი საბუთებით კაზაკ გამცილებლებს ავიყვანდი. ჩემ დაჟინებულ თხოვნაზე იგი იმას იმეორებდა, რომ სურვილი არ ჰქონდა მისთვის ქუსლის ძარღვები გადაეჭრათ და მთელი სიცოცხლე დაწყეველილი ლეკების სამსახურში ყოფილიყო. ამას მეც ისევე ნაკლებად ვისურვებდი, როგორც ჩემი თანამემამულე. სამწუხაროდ მტრულად განწყობილ კავკასიელებს მართლაც აქვთ ეს ცუდი ჩვეულება რომ თავის ტყვეს (რომ არ გაიქცეს) ქუსლის ძარღვებს სჭრიან. მე ისე არ მეშინოდა რადგან ვიცოდი რომ რუსებმა ყველა ზომა იხმარეს, რათა მოღალატე დანიელ სულთნისათვის დასაბრუნებელი გზა მოეჭრათ. არც ლეკების მხრივ იყო მოსალოდნელი თავდასხმა, რადგან კახეთის ხაზი მაგრად იყო დაცული.

ვიდრე ალაზნის გაღმა ჩემი მოგზაურობის აღწერას გავაგრძელებდე, კარგი იქნებოდა ცოტა რამ მეამბნა დანიელ სულთნის შესახებ, ანუ, როგორც მას ამჟამად უწოდებენ, ნაიბ დანიელის შესახებ, რადგანაც იგი შამილის შემდეგ უდავოდ უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. ეჭვს არ იწვევს ის, რომ შამილის სიკვდილის შემთხვევაში მმართველობას უთუოდ იგი ჩაიგდებდა ხელში. ნაიბი დანიელი რუსებისათვის იმიტომაც იყო უფრო საშიში, რომ საკმაო ხანს იგი რუსების სამსახურში იმყოფებოდა, მტრის გეგმებს კარგად იცნობდა და ადვილად შეეძლო მათი ჩაშლა.

ალაზნის გაღმა, კავკასიის მთავარ ქედამდე, რომელიც საკმაოდ ციცაბოა, დაბლობი გადაჭიმულიყო. აქ XVI საუკუნიდან ბატონობდნენ ვახვახიშვილის გვარის ქართველი თავადები. ერთ-ერთმა მათგანმა მაჰმადიანობა მიიღო და ალი სულთნად მოინათლა. აბას დიდი[138], რომლის ბატონობა აქამდისაც აღწევდა, ასე ფიქრობდა, რომ დამოუკიდებელი სულთნის დანიშვნით ყაჩაღი ლეკების შემოსევებს 'შეაჩერებდა. თავის რეზიდენციად სულთანმა, ძლიერი ციხესიმაგრე ყუმუხი[139] აირჩია. რეზიდენციის სახელი გავრცელდა სამფლობელოზე, მოგვიანებით ელისენის[140] ანუ ენისელის სულთნები (სახელწოდება ელისენი გადაკეთდა ელისუიდ ანუ „ასი წყალი" და რუსებმა იგი იელისუიდ გადააქციეს), კახეთის მეფეებს ემორჩილებოდნენ. ამ საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთს რომ შეუერთდა, მთავარმმართველობაც რუსების ხელში გადავიდა; რუსებმა შეიგნეს რა სულთნის მნიშვნელობა,

ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ სულთნის გული მოეგოთ და მისი ერთგულება შეენარჩუნებინათ. გადასახადის გადახდის ნაცვლად უკანასკნელ სულთანს, სახელად დანიელს, ე. წ. პენსია დაუნიშნეს და გენერალ-მაიორის ჩინიც უბოძეს. იგი რუსებს (რომელთა ერთგულიც იყო) დიდ სამსახურს უწევდა. ხშირად სრულიად მარტოკა, დაუხმარებლად აჩერებდა ლეკების თავდასხმებს; ხოლო ქვეშევრდომები ისე ჰყავდა დამორჩილებული, რომ შიშით ხალისი ჰქონდათ დაკარგული ყური მიეგდოთ ლეკების ელჩისათვის. ამის გამო იგი არ უყვარდათ.

შამილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მთავარი თავის მხარეზე გადაებირებინა, მაგრამ მან ეს ვერ მოახერხა. იმისათვის, რომ რუსებს სულთნის ერთგულებაში ეჭვი შეჰპარვოდათ, შამილი კახეთზე თავდასხმების დროს ზოგავდა მის ქვეყანას და ხელს არ ჰკიდებდა მას. რუსები მიუხვდნენ შამილს განზრახვას და სულთანი სხვადასხვა წარჩინების ნიშნებით აავსეს, რომ ამით იგი უფრო მეტად ერთგული გაეხადათ. დანიელი ორდენს ორდენზე იღებდა. მას გაუდიდეს მემკვიდრეობით მიღებული მიწები ლეკების ორივე მხარის — ახტის[141] და რუტულის[142] ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუსლიმანი იყო, ღვინო მაინც უყვარდა და ყველაზე მეტად კი შამპანური. მთავარმართებელი მას ამითაც ამარაგებდა. რაღაც უცნაური შემთხვევის გამო აჯანყებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, როდესაც გენერლების თათბირზე მას რჩევა ჰკითხეს, სულთანმა ისეთი ცნობები მიაწოდა მათ, რომ ჩემთვის ნათელია, რომ იგი ამ დროს შამილთან გადასვლას არ ფიქრობდა. სხვა რომ არაფერი, სულთანი მეტისმეტად პატივმოყვარე იყო იმისათვის, რომ უბრალო ლეკის (როგორც შამილი იყო) ბრძანებებს დამორჩილებოდა. ისიც კარგად იცოდა, როგორ ეჯავრებოდათ იგი თანამორწმუნეებს. ბრძოლის ველის სიახლოვეს კარგა ხანს ვიმყოფებოდი და გათვითცნობიერებული ხალხისაგან ყველა ცნობა მოვაგროვე ამ ამბების შესახებ. მე შევეცდები ნაწილობრივ მაინც გავარკვიო უეცარი ამბოხების მიზეზი.

ლეკების ხაზის საზღვრის უფროსი იმ დროს გენერალი შვარცი[143] იყო, ყოჩაღი და მამაცი ადამიანი, რომელსაც რუსეთი ძალიან ემადლიერებოდა, მაგრამ, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად არ იცნობდა აღმოსავლურ წესჩვეულებებს და ისეთ წარჩინებულ მთავართან ურთიერთობაში, როგორც დანიელ ბეი იყო, ვერ გამოამჟღავნა საჭირო სიფრთხილე. მას ალბათ შემჩნეულიც ჰქონდა, რომ შამილი დანიელ სულთანთან აქამდე განუწყვეტელ კავ-

შირში იმყოფებოდა. უფრო ამისთვის ცდილობდა გენერალი შვარცი სულთანთან დაახლოებული ადამიანების მოსყიდვას, რომ მისთვის ყველაფერი ზუსტად ეცნობებინათ, რაც კი ელისუში ხდებოდა. ამ მოღალატეებს შორის სულთნის მდივანიც ყოფილა, შთამომავლობით სომეხი. დანიელ სულთანი რომ შამილთან ყოველგვარი კავშირის მიუხედავად, გენერალ შვარცთან მართალი ყოფილა, უკვე ზემოთ ნახსენები რუსი გენერლების თათბირიდან ჩანს.

ელისუ, მართალია, დამოუკიდებელი იყო, მაგრამ მაინც ზაქათალას მაზრის უფროსის განკარგულების ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც აქამდე სულთნის საშინაო საქმეებში არასოდეს არ ჩარეულა. ძველი ჭარის[144] რესპუბლიკის მცხოვრებლის დავა გამოჩენილ ელისუელთან ამ უკანასკნელის დამარცხებით დამთავრდა. დანიელ სულთანმა იჩივლა, რომ მასზე დაბალი ჩინის მქონე რუსის მრხელეს (იგი მხოლოდ მაიორი იყო) მის საქმეებში ჩარევის და მისთვის მითითებების მიცემის უფლება არ ჰქონდა. მაგრამ ლეკის ხაზის უფროსმა გენერალმა შვარცმა იგი გაამტყუნა. პირველად აქედან დაიწყო მათ შორის უთანხმოება. ამან უფრო მეტი საბაბი მისცა შვარცს, მუდმივი მეთვალყურეობა დაეწესებინა სულთანზე.

ამასობაში შამილი, რომელმაც ალბათ გაიგო ეს ამბავი, კვლავ შეეცადა მთავრის გადმობირებას თავის მხარეზე. მან გააგებინა სულთანს, რომ თუ აქამდის მის სამფლობელოს ხელს არ ჰკიდებდა, იმიტომ, რომ ებრძოდა არა თანამორწმუნეებს, არამედ რუს გიაურებს და მის მომხრეებს, მაგრამ ამჯერად, სამწუხაროდ, უკვე ვეღარ დაზოგავდა მას. ელისუს სულთანმა შამილის წინადადება მთლიანად არ უარყო და ყოველნაირად ცდილობდა თავიდან აეცილებინა ეს დარტყმა. პასუხის მიწერა, ჩვეულებრივ, მის მდივანს დაევალა, მაგრამ მდივანმა, იმის ნაცვლად, რომ მხოლოდ შამილისათვის გაეგზავნა პასუხი, შვარცსაც გაუგზავნა და დიდი ჯილდოს მოლოდინში ზოგი რამ თავის მხრიდანაც დაუმატა. ეს წერილი შემთხვევით დანიელ სულთანს ჩაუვარდა ხელთ. ასეთი ღალატით გაცოფებულმა და თან მტკიცედ დარწმუნებულმა იმაში, რომ რუსებთან თავის გამართლებას ვეღარ შეძლებდა, სულთანმა გადაწყვიტა მიეღო შამილის წინადადება. მან მაშინვე აფრინა ერთგული შიკრიკი კავკასიის იმამთან. მანამდე კი ასეთი გაუგონარი საქმის ჩადენის გამო გადაწყვიტა მოღალატე მდივანი დაესაჯა. როგორც აღმოსავლელ კაცს და თან ყურანის მიმდევარს შეეფერე-

ბოდა, მან სამაგალითოთ შეძლო თავის შეკავება. სულთანმა ბრძანა სასწრაფო წვეულება გაემართათ და თავისი ყველა წარჩინებული ქვეშევრდომი მოიწვია. ასეთ წვეულებებს ყველა შეჩვეული იყო, რადგანაც ელისუს სულთანს უყვარდა ლხინი. ყველა მოვიდა, მათ შორის მდივანიც. სტუმრები მხიარულად ატარებდნენ დროს, არავინ იცოდა, თუ რა უნდა მომხდარიყო ცოტა ხნის შემდეგ — უეცრად სულთანი წამოდგა განრისხებული სახით და ხმამაღლა იყვირა „ჩვენს შორის მოღალატეა, რომლის დასჯა ჩემი ვალია. ვინც მიყვარდა და ვისაც პატივს ვცემდი, სწორედ იმან მიღალატა. საკუთარ მკერდზე გამომიზრდია გველი. აი წერილი, საიდანაც შევიტყვე ამ საზიზღარი ღალატის შესახებ. ეს შენი ხელია, მოღალატე!“ — შესძახა ბატონმა თავის მდივანს, რომელსაც შიშისაგან ხმა ჩაუვარდა. ამ დროს ჯალათიც შემოვიდა. ისევ აიღო სულთანმა სიტყვა: „ხელი, რომელმაც გამყიდა, მოკვეთილ იქნას“ — ასეც მოხდა. „თვალი, რომელიც ასე ხშირად მატყუებდა— ამოეთხაროს; ენა, რომელიც ასე ხშირად ცრუობდა, მოეჭრას“. მეტისმეტად ზუსტად სრულდებოდა მკაცრი ბატონის ბრძანებები. „რაც იქნება იქნება, ჩემო მეგობრებო“ — თქვა მან, — „საშინელება უკვე მოხდა. დღეიდან ქრისტიანების მტერი ვარ და მივდივარ მასთან, ვინც ჩვენი წმინდა რელიგია ისევ პატივით შემოსა. მას მოვახმარ ჩემ მარჯვენას, მასთან ერთად ვიბრძოლებ ნამდვილი სარწმუნოებისათვის; ვინც ჩემი აზრისაა, მოიხსნას რუსების უღელი, რომელიც აქამდის უტარებია. ვინც რწმენით ან სხვა გარემოებითაა დაკავშირებული გიაურებთან, აქედან წავიდეს; დღეიდან ჩვენ ერთმანეთის მტრები ვიქნებით“.

ამ სიტყვებით დაითხოვა მცირერიცხოვანი რუსები, რომლებიც მასთან იყვნენ წვეულებაზე, და ისიც, ვისაც არ უნდოდა გაჰყოლოდა მას. ამ უკანასკნელთა შორის მისი საკუთარი სიძეც ერია, ყარაბაღის მმართველის შვილი — ფათალიხანი. მისი კეთილშობილური საქციელი რუსებისათვის დიდი ბედნიერება იყო. ვიდრე დანიელ სულთანი ერთგულ ჯარის ნაწილებს აგროვებდა, ლტოლვილების მეშვეობით ამბავი უკვე გენერალ შვარცამდის და მახლობელ ნუხამდის მისულიყო.

მესამე დღეს სულთანი მცირე რაზმით თბილისსა და აღმოსავლეთს შორის მდებარე დიდ გზას დაადგა, ალაზნის ბორნებზე გუშაგების მოსახსნელად. გენერალი შვარცი მაშინვე მიხვდა, თუ რა საშიშროებას უქადდა მას ამ კავშირის გაწყვეტა და სასწრაფოდ თავი მოუყარა მთელ ძალებს. ზარბაზნების დახმარებით მან

ყველა გასასვლელი აიღო და აიძულა სულთანი (რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ მასთან ერთად, მის გვერდით იბრძოდა) კახისაკენ (დიდი სოფელია) დახეულიყო და იქ გამაგრებულიყო. რუსებმა ამასობაში კიდევ რამდენიმე ზარბაზანი წამოიღეს და სწრაფად მიიწევდნენ წინ, რათა დაესწროთ ვიდრე შამილი მოიჭრებოდა მაშველი ჯარებით. ელისუელების მამაცური თავდაცვის მიუხედავად, ქვემეხებმა თავისი სიტყვა თქვეს, და სულთანი იძულებული შეიქნა კლდეკარით დახეულიყო (რომელიც მისი სასახლისაკენ გადიოდა). ამასობაში პოლკოვნიკმა ბელგარდმა[145] გენერალ შვარცს შეაშველა საკმაოდ დიდი ჯარი. ახლა შვარცს უკვე შეეძლო თავის მტერს ვიწრო ხეობებშიც დასდევნებოდა. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, რომ ამბოხება რაც შეიძლება სწრაფად ჩაექროთ, ვინაიდან მაჰმადიანური პროვინციები რუსების პირველივე დამარცხებას უცდიდნენ მხოლოდ, რათა გადაეგდოთ საძულველი რუსული უღელი.

პირველი და მეორე შეტევის შემდეგ რუსები უკუიქცნენ. ჯარისკაცები უკვე უარს ამბობდნენ შეტევის განახლებაზე, როცა მამაცმა პოლკოვნიკმა ბელგარდმა დროშას წამოავლო ხელი და მოუწოდა ყველას, ვისაც გული გერჩით მომყევითო. მედგარი რაზმი, სიკვდილს რომ არაფრად აგდებდა, ერთ წუთს შედგა, შემდეგ გაშმაგებით გასწია წინ და ხეობაში შესასვლელი მშვიდობიანად გადალახა. ამასობაში ზარბაზნებიც კარგად განალაგეს, რამაც თავისი შედეგი გამოიღო. ლეკებმა უკან, ელისუს ძლიერი ციხესიმაგრისაკენ დაიხიეს.

რუსები მათ დაედევნენ და (შემთხვევით) ციხესიმაგრე მესამე დღეს ჩაიგდეს ხელში. პოლკოვნიკ ბეკოვს[146], ნუხის კომენდანტს, მის განკარგულებაში ძყოფი ყველა რაზმისათვის მოეყარა თავი და რაც შეიძლება სწრაფად მიიწევდა წინ გენერალ შვარცის დასახმარებლად. იგი ფიქრობდა, რომ ახლა არ შეიძლებოდა ერთი წუთის დაკარგვა, რადგანაც ცნობა მიეღო, სულთანი თავის ციხესიმაგრეში იმალებაო, და მთებით გასწია ელისუში. უცბად მთებზე გამოჩნდნენ რუსები ზარბაზნებით. დანიელ სულთანს ევონა არღუთინსკის[147] მთელი ჯარი მიახლოვდებაო და რადგანაც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ისეთ ძალას, რომელსაც საალყო იარაღიც გააჩნდა, დიდხანს ვერ გაუძლებდა, ღამით ოჯახით და მთელი ავლადიდებით (რისი წაღებაც შეძლო) თავი შეაფარა მაღალ მთებს. როგორც ამბობენ, პირველ ხანებში შამილი კარგად არ შეხვედრია მას.

ღილით მოულოდნელად რუსებმა უპატრონოდ დაგდებული ციხე დაინახეს; თავდაპირველად თვალებს არ დაუჯერეს; შემდეგ კი შევიდნენ შიგნით და აურაცხელი ნადავლი (განსაკუთრებით შამპანური) იგდეს ხელთ. ამით დამთავრდა ამბოხება, რომელიც სხვა შემთხვევაში რუსებისათვის შესაძლოა ძალიან საშიში გამხდარიყო. მას შემდეგ დანიელ სულთანი იმამის დაახლოებული პირი გახდა და მისი სრული ნდობით უნდა სარგებლობდეს. იგი, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთის ყველაზე საშიში მტერი არის, ვინაიდან მათ გეგმას შესანიშნავად იცნობს.

ამ საინტერესო ამბის შემდეგ დავუბრუნდეთ ჩემი მოგზაურობის აღწერას.

თავი IV

ლეკების ხაზი

ზაქათალა. — ჭარი.—სამურელი ლეკები.—ბელაქანი.—ჭადრები. გამაგრებული სახლები. — ბეჟანიანი. — ყვარელი. —:თავადი ჭავჭავაძე. — დიდოელები.— ნეკრესი. — ყარაულები. — მილიციელები. — შილდის ხეობა. — ნაქალაქევი. — თავაზიანი მიღება. — გრემი.

კახეთის დაბლობით ყარაღაჯიდან[148] ალაზნისაკენ მივემგზავრებოდით. ალაზანზე გადაგვიყვანეს და რამდენიმე საათის შემდეგ მშვიდობიანად ჩავედით ზაქათალაში, ნუხაში, რომელიც ლეკების თავდაცვით ხაზზე ყველაზე ძლიერი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი სიმაგრეა.

ჩემი ჩამოსვლით ძალიან გაკვირვებული დარჩნენ. ერთი მხრივ, იმიტომ, რომ მეყო გამბედაობა სწორედ ასეთ დროს ჩამოვსულიყავი, მეორე მხრივ კი, ასეთი მნიშვნელოვანი საბუთები რომ ეჭონდა თან. თუმცა, მოსალოდნელი საშიშროების გამო მიზანშეწონილად მიაჩნდათ ჩემი იმავე გზით უკან დაბრუნება. მე ვეწინააღმდეგებოდი ამ გადაწყვეტილებას. მართალია, აღმოსავლეთით მდებარე ელისუში არ გამიშვეს, მაგრამ ბოლოს მაინც მომცეს ნება ლეკების ხაზის გასწვრივ დასავლეთის მიმართულებით განმეგრძო გზა.

ზაქათალას ხელსაყრელი მდებარეობა აქვს და ამავე დროს ისეთი სიმტკიცისაა, რომ შამილის და მისი მომხრეების შემოტე-

ვას გაუძლებს. ევროპული საალყო იარაღებითაც კი არ შეიძლება მისი იოლად აღება. აქვე სულ ახლოს მდებარეობს ლამაზი და მდიდარი სოფელი ჭარი[149], რომლის მოსახლეობა უდიდესი სიძულვილით იტანს რუსების უღელს. იგი ზაქათალას მახლობლად, ვიწრო ხეობის გასასვლელთან მდებარეობს, რომელიც მაღლა მთებში სამურის[150] სათავეებამდე მიდის. იქაური ლეკები დროდადრო ცნობდნენ კახეთის მეფეების ხელისუფლებას, მაგრამ მეტისმეტად ღარიბები იყვნენ იმისათვის, რომ ხარკი ეხადათ და ზაფხულობით გარკვეული რაოდენობის ყინული მიეტანათ სამეფო კარზე. იმ პერიოდში, როდესაც კახეთის ტახტზე სუსტი მეფეები ისხდნენ, ლეკები ბარის მოსახლეობას ძარცვავდნენ და დამოუკიდებლები ხდებოდნენ. ბოლოს ალაზნამდის მოყოლებული, ლეკებმა ყველა სოფელი დაიპყრეს და ხარკი დაადეს. ამით ღარიბი ლეკები (სამურის რაიონიდან) გაჭირვების გამო გაყაჩაღდნენ. ამ გზით გამდიდრდნენ და მერე მთლად გათამამდნენ. ერთმა ნაწილმა მიატოვა მთები და ხუთი დიდი მნიშვნელობის მქონე ხეობის შესასვლელში გადმოსახლდა. ისინი აქ გამაგრდნენ, ერთმანეთში თავდაცვითი და თავდასხმითი კავშირები დაამყარეს და ერთგვარი რესპუბლიკა შექმნეს, რომელმაც ჩარშენის[151] სახელწოდება მიიღო და ახალ დრომდე შეინარჩუნა თავისი სამფლობელოები. თუ სადმე რამე იყო გასატაცებელი, იქ ხუთთა კავშირის წევრებიც მსწრაფლ გაჩნდებოდნენ. ისინი ხან ავართა ხანის ამალაში იყვნენ, ხან კი, პირიქით, კახეთის მეფეს ემსახურებოდნენ, ანდა სპარსეთის შაჰს— აღა-მაჰმად-ხანს[152], როცა ამ უკანასკნელმა წინა საუკუნის ბოლოს საქართველო დაიპყრო.

საქართველო რუსეთის ხელში რომ გადავიდა, ჩარშედები[153] იყო ის ხალხი, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში დიდ სიძნელეებს უქმნიდა რუსებს. ბოლოს, მათ ვეღარ შეძლეს წინააღმდეგობის გაწევა და დამორჩილდნენ; მაგრამ როგორც კი რუსის ჯარი გავიდა, ისევ აჯანყდნენ. ამის გამო ყოველთვის თავიდან უხდებოდათ რუსებს მათი დამორჩილება. როგორც კი რუსეთი დაიწყებდა ომს სპარსეთთან ან თურქეთთან, ჭარელებს იმედი ეძლეოდათ, რომ კვლავ შეძლებდნენ უღლის ჩამოშორებას, მაგრამ ძლიერი ძალა მათ ისევ იმორჩილებდა. უკანასკნელად ისინი 1830 წელს აჯანყდნენ. ამ დროიდან მოყოლებული მათ წაართვეს ძლიერი ციხესიმაგრეები, ხეობების შესასვლელებთან, რათა კიდევ უფრო გაემაგრებიათ ისინი და თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინათ.

გულ დამწყდა, რომ არ შემეძლო ავყოლოდი ორივე ხეობას, რომლებიც, როგორც უკვე ვთქვი, დიდსა და ლამაზ სოფელ ჭარის მახლობლად ერთდებოდნენ. ტყვედ ჩავარდნის საშიშროება დიდი იყო. მართლაც, არ იქნებოდა მაინცდამაინც სასიამოვნო ჩემი ისედაც ხიფათიანი მოგზაურობის დასასრულს ტყვედ რომ ჩავვარდნილიყავი და ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ გამეცნო შამილი. გორაკები ნაწილობრივ ბუჩქნარებით, ნაწილობრივ კი ერთგვარი დაბალი ტყით იყო დაფარული. ორივე ყაჩაღი მოსახლეობის ბუნებრივ სამალავს წარმოადგენდა. დასანანია ასეთი ნაყოფიერი მიწა რომ დაუმუშავებელია. ძველად კი, როდესაც კახეთში მეფეებს დროდადრო შაგარი სადავეებით ეჭირათ ხელში მმართველობა, აქ დიდი რაოდენობის ჰური მოყავდათ, ხოლო ალაზნის მეორე მხარეს (განსაკუთრებით ცივის განაპირა ფერდობებზე) ვენახს აშენებდნენ.

მეორე დილით ექვსი კაზაკის თანხლებით დავტოვეთ ზაქათალა და გავუყევით გზას კავკასიის მთავარი ქედის ძირის გაყოლებით, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით. აქა-იქ მაღალ გორაკებზე გადავდიოდით. ყველგან საგუშაგოები იყო, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ უმალ ეცნობებინათ თავისიანებისათვის, იქ სადაც ლეკთა გამოჩენა იყო მოსალოდნელი საგუშაგოებზე სიფრთხილისათვის ფიჩხის გროვა, ჩალისა და თივის ზვინები იდგა. როგორც კი საფრთხე გამოჩნდებოდა, მათ ცეცხლს უკიდებდნენ. ლეკების ხაზზეც ისეთივე ნაგებობები გვხვდებოდა, როგორც დიდი ხნის წინათ კავკასიის ჩრდილოეთში, ჩერქეზეთსა და ჩაჩნეთში.

რამდენიმე საათის შემდეგ ბელაქანში[154] (რუსულად ბელოკანი) ხეობის შესასვლელთან მდებარე ძლიერ ციხესიმაგრეში მოვხვდით. მისი შესანიშნავი ადგილმდებარეობა ძველი დროიდანვე იყო ცნობილი, ვინაიდან კახეთის მეფეებს აქ ჰქონდათ აშენებული ციხესიმაგრე მაკაბელი[155]. ეს ადგილი ლეკთა გაერთიანებების მთავარი სამყოფელიც იყო. ამის შემდეგ გზა განვაგრძეთ იმავე მიმართულებით, უმნიშვნელო გორაკებსა, პატარა მდინარეებსა და ნაკადულებზე. წყლის ასეთ სიუხვეს ამ მიდამოების ნაყოფიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აქ, ისევე როგორც შუა გერმანიაში, სხვადასხვა პატარა ზომის ხეებით და ბუჩქნარებით გარშემორტყმული წყლები მეტად ალამაზებენ მიდამოს. უმთავრესად თუთის ხეები, კედარი, ნეკერჩხალი, კავკასიური თხილი (Pteroearya cau-

casica) და ჭადრები გვხვდებოდა. თუმცა ეს უკანასკნელი აქ მხოლოდ ბუჩქნარის სახით იზრდება და უფრო პატარა, ხელის ფორმის დაყოფილი სამკუთხა ფოთლები აქვს. ვილდენოვს[156] ეს ჭადრები დამოუკიდებელ ჯიშად მიაჩნია და Platanus euneata-ს უწოდებს. თუმც იგი კარგი ჯიშისაა, ბოტანიკოსების უმრავლესობა მას მაინც ნაირსახეობად მიიჩნევს. კახეთი, კავკასიის სამხრეთი ფერდობები მათ სამშობლოდ უნდა ჩაითვალოს. როგორც წაბლის ხე დღემდე ველურად ნაზარდი არსად უნახავთ (საეჭვოა, რომ ტიბეტი მისი სამშობლო იყოს), ასევე არც ჩვენი ჭადრები უნახავს ვინმეს ველურად გაზრდილი. რაც აღმოსავლეთში ხეები შემხვედრია, თავდაპირველად ყველა საგანგებოდ დარგული ყოფილა. სასურველია, რომ მოგზაურებმა ასეთ მომენტებს მეტი ყურადღება მიაქციონ და ნაკლებად დატვირთონ თავი სხვადასხვა მოსაზრებებით და მსჯელობით, რაც შინაც შეუძლიათ გააკეთონ.

ბელაქნიდან კავკასიონის ქედი კიდევ უფრო დიდებული მეჩვენა. უფრო ხშირად მოჩანდა სალი ციცაბო კლდეები; ხშირად ალპური მდელოებიც გვხვდებოდა, რომელსაც ბუჩქნარი და დაბალი ტყე ცვლიდა. მართალია, ნიადაგი აქაც ნაყოფიერია, მაგრამ სოფლების რაოდენობა მაინც თანდათან კლებულობს; ხშირად დიდ მანძილზე ვერცერთ შენობას ვერ დაინახავთ. სამაგიეროდ ყველგან შეხვდებით ძველი კულტურის ნაკვალევს. გუშაგები აქ უფრო მჭიდროდ იდგნენ. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ლეკები აქ უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ მთებიდან და მახლობლად მდებარე სოფლებს უფრო მეტად ემუქრებოდნენ.

მივედით ერთ პატარა მდინარესთან, რომლის მარცხენა ნაპირზე, ხეობის გასასვლელთან, ციხესიმაგრე კართუბანი[157] ანუ ქართუბანი მდებარეობდა. აქაა ეგრეთწოდებული ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის საზღვარი. აქედან იწყება ისევ ის მიწა-წყალი, რომელიც ყოველთვის კახთა მეფეებს ეკუთვნოდათ. იგი გაღმა მხარის[158] სახელწოდებით დამოუკიდებელ ერთეულს ქმნიდა და თავისი საკუთარი ერისთავი ანუ მმართველი ჰყავდა.

სახლები აქ ყველგან თავდასხმებისათვისაა მოწყობილი. სარდაფებს მხოლოდ მეურნეობისათვის იყენებენ, ზოგჯერ კი საქონლისათვის. პირველ სართულში ოჯახი ცხოვრობს: მას ხის აივანი აკრავს; კიბეს, რომელიც სწრაფად შეიძლება ჩაიკეტოს ზემოდან ჩამოსაშვები კარებით, ავყევართ მაღლა. ეს აივნები, რომლებიც უფრო ხშირად ლამაზი ჩუქურთმებითაა მორთული, სახლს ლამაზ ელფერს აძლევს, რაც ქართველების მიწურებს არა აქვს. საერ-

თოდ, აქაური სოფლები უფრო მიმზიდველი მეჩვენა და არა ისეთი უსუფთაო და ჭუჭყიანი, როგორც ქართლში. ლამაზი ბაღები, რომლებიც სოფლებს გარს აკრავს, მაღალი მესერის მსგავსი ღობეებით არის შემოვლებული. მასში მთელი რიგი ხეხილის ხეები იყო, უმთავრესად გარგარის, ატმის, ვაშლის, კაკლის და თუთის. ისინი ახლა მწიფე ნაყოფით იყო დახუნძლული.

საღამოხანს ციხესიმაგრე ბეჟანიანს[159] მივადექით, რომელიც აგრეთვე ერთ-ერთი ხეობის შესასვლელს დარაჯობს. აქ ოდესღაც ეკლესია და მონასტერი იდგა, ორივე წმინდა სტეფანეს[160] სახელობისა. თუმცა უკვე ბინდდებოდა, მაინც განვაგრძეთ გზა, რომ იქვე ახლოს მდებარე უვარელში ჩავსულიყავით, სადაც ჩემი ყოფილი ნაცნობი, თავადი ჭავჭავაძე ცხოვრობდა. მოხუცი მამა უკვე გარდაცვლილიყო. მისი ვაჟი — მელქისედეკი, რომელმაც მამის მემკვიდრეობა მიიღო, გულითადად შემხვდა. იგი ისეთივე მხიარული კაცი იყო. მაშინვე ღვინის ამოტანა ბრძანა ჩვენი შეხვედრის აღსანიშნავად. დაღონდა, როდესაც, როგორც თვითონ თქვა, გაიგო, რომ ამ 7 წლის განმავლობაში ღვინის სმა ვერ ვისწავლე. თავადი ძალიან კარგი მსმელი იყო, როგორც ჩანდა, აღნაგობაც ხელს უწყობდა და სმას კარგად იტანდა. ერთი თუნგის შემდეგ (იგი 5 ლიტრს იტევს) იწყებდა სმას, თან ხუმრობით დასძენდა, ეს მხოლოდ წყურვილს კლავსო. მას კიდევ სჭირდებოდა ღვინო, რომელსაც წყურვილის მოკვლის შემდეგ ნება-ნება სვამდა.

დიდი ხნის მონატრებული ისევ რბილ საწოლში ვიწექი. მზე უკვე მაღლა იყო ცაზე ამოწვერილი, მეორე დილით დასვენებულს რომ გამომეღვიძა, თავადს კარგი საუზმისათვის ეზრუნა, ჩაიც საკმაოდ კარგი მოემზადებინა. პირობა ჩამომართვა, რომ დღევანდელ დღეს მაინც გავატარებდი მასთან, სამაგიეროდ დამპირდა, სადაც მოვისურვებდი, ყველგან გამომყვებოდა.

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს მიდამოები ყაჩაღობისათვის შესანიშნავ პირობებს ქმნის. ახლოს მდებარე მთებში იმდენი სამალავი და თავშესაფარია, რომ შეუძლებელი ხდება ლეკებს გამოედევნო. დიდი შემოსევებისა (რომელსაც შამილი ან მისი რომელიმე ნაიბი ხელმძღვანელობს) აქ ნაკლებად ეშინიათ, რადგან რუსები, ჩვეულებრივ, ამის შესახებ დროულად იღებენ ცნობებს და საჭირო ზომებსაც დროულად მიმართავენ. გასულ საბედისწერო ზაფხულს შამილის შეიარაღებულმა ჯარმა ღია ველზე ზარბაზნების წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო და იძულებული იყო უშედეგოდ დაბრუნებულიყო უკან. უფრო საშიშია ჩვეულებრივი

ყაჩაღობა, რომელსაც საკუთარი რისკით და შამილთან კავშირის გარეშე ეწევიან; ესენია უმთავრესად ლეკების ტომი — დიდო[161], რომლებიც მეზობელ მთებში ბინადრობენ. დიდოელები კავკასიის ყველაზე ღარიბი ტომია. ყოისუს სათავეების მიდამოებში, მაღალ ხეობებში, სადაც ისინი ცხოვრობენ, 6 თვის განმავლობაში მეფობს ზამთარი. ხეობა არაჩვეულებრივად კლდოვანი და ქვიანია, რის გამოც იქაურ მცხოვრებლებს ცხვრის მცირე ფარას შენახვაც არ შეუძლიათ. ამიტომ იძულებული არიან დროდადრო მდიდარ კახეთს შეესიონ. მე არაერთხელ მქონია საშუალება დიდოელების ნახვისა და უნდა ვაღიარო, რომ არსად შემხვედრია ადამიანები, რომლებსაც ჩემზე ასეთი უსიამოვნო შთაბეჭდილება მოეხდინოს: დაბალი და ჯმუხი ტანი, უსიამოვნო პირისახე, შავი ჭუჭყისაგან გაბურძგნული თმა, ძონძებით დაფარული სხეული.

შუადღეზე ხეობას ავყევით მაღლა ყაზარმისაკენ რომელიც სოფლის დასაცავად, ხეობის ხელსაყრელ ადგილას აეგოთ (აქ რამდენიმე ასეული ჯარისკაცი იმყოფება). რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით ძველი ქალაქის, ნეკრესის[162] ნანგრევებისაკენ გავემართეთ. ხეობა თანდათან ფართოვდებოდა. სამწუხაროდ, ძველი დროის ნაშთები ცოტა ვნახეთ, რადგან ძირითადი ეკლესიის გარდა, ვერაფერი რიგიანად ვერ გავარჩიეთ. ნეკრესი ძალიან ძველი ქალაქია; ის ჯერ კიდევ ქრისტეს წელთაღრიცხვამდე იყო მნიშვნელოვანი და ძვ. წ. ა. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს აგებული მეფე ფარნაჯ(ომ)[163]-ის მიერ. ქრისტიანთა პირველმა მეფემ აქ მონასტერი ააგო, რომელშიაც ერთ-ერთი 13 მოციქულთა განი — აბიბო[1] მოღვაწეობდა ეპისკოპოსად და რომელიც მთის, განსაკუთრებით დიდოელთა მოციქულად ითვლებოდა. თქმულების მიხედვით, აბიბო მოგვიანებით სპარსელებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

გამყოლებმა ნება არ მომცეს უახლოეს გორაკზე ავსულიყავი, რათა ცოტა მაინც შემესწავლა იქაური მცენარეულობა; ამიტომ იმ მცირეოდენით უნდა დავკმაყოფილებულიყავი, რასაც ხეობა და დაბლობი მთავაზობდა. მთის ძირი იურის პერიოდის კირქვისაგან შედგებოდა, როგორც დიდი კავკასიონის ორივე მხარე, და გაქვავებულ მცენარეულობას შეიცავდა.

მეორე დღეს გვიან განვაგრძე გზა, რადგან გულუხვმა მასპინძელმა მანამდის არ გამიშვა, სანამ რამდენიმე თუნგი ღვინო არ

---

[1] აბიბო ნეკრესელი.

შეისვა. ქვეყანა, მიუხედავად განუწყვეტელი საფრთხისა, რომელიც აქ ყოველწამს არის მოსალოდნელი, უფრო გაშენებულია, ვიდრე რომელიმე სხვა მხარე ამიერკავკასიაში. სოფელი ისეა ერთმანეთზე გადაბმული, რომ ვერ გაიგებდი სად თავდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. მთელი მიდამო, განსაკუთრებით შილდიდან[164], ერთ გაბმულ ვენახს წააგავდა. ამიტომ ადვილი მისახვედრია, რომ ნადავლის წყურვილით შეპყრობილი ლეკები განსაკუთრებულ ადგილებს ირჩევდნენ თავიანთი მტაცებლური სურვილების დასაკმაყოფილებლად. საგუშაგოები აქ ერთიერთმანეთთან ახლოა განლაგებული. გარშემო ჩალით შემოხვეული ბოძების ნაცვლად, როგორც წესი, ამავე სახით შემოხვეული ხის ღეროები აქვთ, რომელსაც საშიშროების დროს სწრაფად უკიდებენ ცეცხლს. მთელი მიდამოს უკეთ დასანახავად ერთგვარი ამაღლებული ბაქნები ,(რუსულად — „ვიშკები") და სამტრედეები აქვთ მოწყობილი, როგორც ჩვენში (ზოგიერთის მამულში).

ჩვენი ჯგუფი საკმაოდ ჭრელი იყო. ჩემი კოლონისტის და ორი დონელი კაზაკის გარდა, კიდევ ორი, თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული ქართველი წარჩინებული შავ ანაფორაში გამოწყობილი აღმოსავლური ეკლესიის მღვდელი, ერთი ხანში შესული და ერთი ახალგაზრდა ქალი გვახლდა. ისინი მთლიანად თეთრ მოსასხამში, ე. წ. ჩადრში იყვნენ გახვეულები. შემდეგ კიდევ რამდენიმე ე. წ. მილიციელი შემოგვიერთდა[165]. ისინი ლანდშტურმანებს[166] მომაგონებდნენ, რომლებიც საშიშროების დროს (მაგალითად, როგორც ელისუს სულთნის ამბოხება იყო) მაშინვე მზადყოფნაში არიან და იქითკენ მიისწრაფიან, სადაც საჭიროება მოითხოვს.

როდესაც იმ ადგილს მივუახლოვდით, სადაც შილდის ხეობა თავდება, უცნაურმა გრძნობამ შეგვიპყრო; უსიტყვოდ მივუახლოვდით ერთმანეთს და დაჟინებით დავცქეროდით იმ ადგილს, საიდანაც ჩვეულებრივ ველური ლეკების ბრბო ესხმოდა და ხშირად გაძარცვის გარდა სხვა უბედურებასაც დაატეხდა ხოლმე თავს მგზავრებს. გასულ გაზაფხულზე შილდის ხეობით თვითონ შამილი ჩამოსულიყო მაღალი მთებიდან[167] და რამდენიმე დღით დაეკავებინა მდიდარი სოფლები. რუსებმა წინასწარ იცოდნენ მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მაგრამ შამილის განდევნისათვის მათ ჯერ რაზმები უნდა შეეკრიბათ და ზარბაზნებით შეიარაღებულიყვნენ. თავისუფლად ,ამოვისუნთქეთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ,მშვიდობიანად გავცილდით ამ საშიშ ადგილს.

ცოტა ხნის შემდეგ შემოგვეგება თავაზიანი მამაკაცი, რამდენიმე ქართველის თანხლებით და ღამის გასათევად სახლში მიმიპატიჟა. ეს კავკასიელების ნამდვილი სტუმართმოყვარეობის კიდევ ერთი მაგალითი იყო, რომელიც სამწუხაროდ, წლითი-წლობით თანდათანობით ქრება. სიამოვნებით მივიღე მისი მიპატიჟება, ვინაიდან ნანგრევებით დაფარული ეს მიდამოები საქართველოს კლასიკურ მიწა-წყალს წარმოადგენდა. მე იმედი მქონდა, რომ ჩემი თავაზიანი თანამგზავრისაგან ბევრ საინტერესო ცნობას შევიტყობდი საქართველოს ისტორიის შესახებ. ჩემი მასპინძელი იყო მამასახლისი ერთ-ერთი იმ ხუთი სოფლისა, რომლებიც ერთმანეთს ებჯინებიან და ჰქვიათ: ნაქალაქევი[168], გრემი[169], ენისელი[170], შილდა და საბუე[171]. ძველად აქ დიდი ქალაქი იყო გაშენებული, რომლის შესახებ ქვემოთ უფრო მეტს გიამბობთ.

საქართველოში სტუმრები, ჩვეულებრივ, მარანში მიჰყავთ. ეს ის საპატიო ადგილია, სადაც ხშირად იმართება ლხინი. გარდა იმისა, რომ აქ იწურება და მზადდება ღვინო, ღვინის ჭურებიც ანუ „კუევშინებიც“ მარანში ინახება, რომლის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა, რომ ლხინის დროს იოლად შეიძლება სასმელის ამოღება. ჩემი ბინა ძალიან გრილი იყო. სახურავი ჰქონდა, მაგრამ კედლების ნაცვლად წნული ღობე ეკრა. ოთახის შუაგულში ნაკადული მოჩუხჩუხებდა და ჩახუთულ ჰაერს აგრილებდა.

ღვინოს აქაც, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში, არომატი აქვს, მაგრამ ძალიან მაგარია. აქ, ჩვეულებრივად, მხოლოდ წითელ ღვინოს შეხვდებით, რომელსაც ანწლს (Sambueus Ebulos) უმატებენ სიწითლის, სისქის და სიმაგრის მისაცემად. ჩემთვის ამოცანად იყო ქცეული, მიუხედავად ღვინის დამზადების პრიმიტიული წესისა, მაინც ასეთი კარგი როგორ გამოდიოდა სასმელი. ყურძენს აქ, ჩვეულებრივ, სრულ დამწიფებამდე კრეფენ, რომ შემდეგ საქონელს დაუყარონ მწვანე ფოთლები და ლერწის ღეროები. ძლიერი სიცხეების გამო, განსაკუთრებით ზაფხულის ბოლოს, დაბლობში ბალახი ადრე ჭკნება. მთებში სავსეა ალპური მდელოები, რომლებიც კარგ საძოვრებს წარმოადგენენ, მაგრამ ვერავინ ბედავს თავისი ფარა აიყვანოს იქ, ვინაიდან მოთარეშე ლეკებისა ეშინიათ.

მეორე დილით უფრო საგულდაგულოდ დავათვალიერე მეტად საინტერესო მიდამოები, რომელიც ჯერ არცერთ მოგზაურს არ აღუწერია. ადგილი, სადაც ვცხოვრობდი, როგორც ეტყობოდა, ცენტრი უნდა ყოფილიყო. მას ნაქალაქევი ერქვა. სახელწოდება, რომელიც საქართველოში ხშირად გვხვდება და რომელიც

ნანგრევებად ქცეულ ქალაქს ნიშნავს. აქ უნდა ვეძებოთ ძველი ქალაქი გრემი, რომელიც მეხუთე მეფის ლეონის[172] მიერ ყოფილა აგებული და ძვ. წ. აღრიცხვით პირველ საუკუნეში დაემხო. ამ პერიოდში კახეთის მეფეებს აქ საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდათ. პირველი მნიშვნელოვანი ნგრევა მან სპარსეთის შაჰის, აბას დიდის დროს განიცადა. ამ დროიდან მოყოლებული ქალაქი თუმცა ხელმეორედ იქნა აშენებული, მაინც ვერ აღდგა, ვინაიდან მას ნადირ შაჰის ახალი აოხრება მოჰყვა. ახლომახლო მდებარე სოფლები რომ ლეკების ყაჩაღურ თავდასხმებს განიცდიან, ამის შესახებ უკვე ზემოთ მოგახსენეთ, ყველაზე დიდი საშინელებანი ამ გაზაფხულზე მოხდა, როდესაც ელისუს სულთნის ამბოხებამ დიდოელები და სხვა ლეკები შეაგულიანა, მასიურად დასხმოდნენ თავს დაბლობის მდიდარ სოფლებს. ავაზაკთა ყაჩაღური ბრბო ღამით უეცრად დაეცა თავს უბედურ სოფელ გრემს (რომელიც ნაქალაქევიდან ნახევარი საათის სავალზე მდებარეობს) და ბოლიანად გადაწვა სახლები. ვინც მოასწრო, თავისი ავლადიდება დატოვა და გაიქცა. 12 კაცი მხეცურად გამოასალმეს წუთისოფელს; სხვები შეტ-ნაკლებად დაასახიჩრეს. ზოგს ენა მოჭრეს და ხეებზე გააკრეს. 12 უბედური ქალი, გოგონა და სამი ვაჟი გაიტაცეს მთებში. ვიდრე მაშველი ძალა მოასწრებდა მოსვლას, ისეთი საშინელება დაატრიალეს, რომ ყველა მგრძნობიარე ადამიანს შეზარავდა მისი მოსმენა.

საბუხაროდ, ამ კლასიკურ მიწა-წყალზე მხოლოდ მცირე ხანს მომიხდა ყოფნა. ამიტომ, როგორც ბუნებისმეტყველმა, უმთავრესად ბოტანიკოსმა, ნანახის მხოლოდ ზერელე სურათი შემიძლია დაგიხატოთ. ნანგრევების უმრავლესობა პატარა მდინარის დასავლეთ ნაპირზე იმყოფება, ნაქალაქევისა და გრემის შიგნითაც და ირგვლივაც. ჩემი ყურადღება მიიპყრო უმთავრესად კარგად შემონახულმა პატარა ეკლესიამ[173] და დანარჩენმა ნაგებობებმა, რომლებიც ფიქალიანი კირის მასისაგან შემდგარ 150 ფუტის სიმაღლის კლდეზე იყო აშენებული. ეკლესია 45 ფუტის სიგრძისა და 35 ფუტის სიგანისა იყო. ნავი ორ მაგარ სვეტს და განიერ კედელს ეყრდნობოდა, რომელიც მთავარ საკურთხეველს გამოყოფდა და კოშკური გუმბათით თავდებოდა. კედელი წმინდანთა უკარგისი ფრესკებით იყო მოხატული, თან დამახინჯებული იყვნენ ბოროტმომქმედ ლეკების მიერ. ექვსი-რვა ნაბიჯის მოშორებით მოპირდაპირე მიმართულებით უკვე სხვა ეკლესიის ნანგრევები შეგვხვდა. აქ, ალბათ, ოდესღაც ბაზილიკა უნდა მდგარიყო. მის გვერდით

იდგა სამსართულიანი სამრეკლო. სულ მაღლა ახლაც ეკიდა ორი პატარა ზარი. ქვედა სართულები რამდენიმე პატარა ოთახისაგან შედგებოდა. ამოშენებულ საკმაოდ ფართო გვირაბს მივყავდით პატარა მდინარისაკენ, რომლითაც ეკლესია საჭირო წყლით მარაგდებოდა.

ეს კლდე დაკავშირებული იყო მაღლობთან, რომელიც მთის ქედს წარმოადგენდა და რომელზედაც საკმაოდ კარგად შემონახული კოშკი იდგა. კლდის ძირში ციხის ღირსშესანიშნავი ნანგრევები იყო, მაგრამ მათი გარჩევა უკვე აღარ ხერხდება. ისინი ნაწილობრივ ბუჩქებმა დაფარა. ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებოდა სამხრეთით მდებარე (საკმაოდ პატარა, მაგრამ შედარებით კარგად შემონახული) ეკლესიაც. დასავლეთით მეოთხე, ცუდად შემონახული ეკლესია ჩანდა, რომელიც მოგრძო ჯვრის ფორმისა იყო და შუაში კოშკურა გუმბათი ჰქონდა; კიდევ უფრო მოშორებით, ვაკეზე, დიდი მოცულობის კედლის ნაშთები დავინახე, რომელსაც საკმაოდ დიდი ფართობი ეკავა. აქ კარგად შემონახული ორი ეკლესია იდგა. წინათ აქ სასახლეც მდგარა, რომელშიც თურმე პირველი ქრისტიანი მეფე მირიანი[174] ცხოვრობდა. ამის შესახებ დანამდვილებით ვერაფერი გავიგე. ამას ზოგიერთი ნაშთი ადასტურებდა, განსაკუთრებით რამდენიმე მიწისქვეშა თაღიანი ოთახი.

მდინარეს მაღლა ავყევი და გაჩანაგებულ სოფელ გრემში ჩავედი, რომელსაც ჯერ კიდევ კარგად აჩნდა ზემოაღწერილი განადგურების კვალი. გრემის მახლობლად ნანგრევები არ ყოფილა. პატარა მდინარის მეორე ნაპირზე ჩემმა თავაზიანმა მასპინძელმა ორი ეკლესია[175] მაჩვენა, რომლებსაც სიძველის ელფერი დაჰკრავდა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იყვნენ შემონახული. ერთი მათგანი მომქმედიც კი გახლდათ.

თავი V

ალაზნის და იორის სათავეებთან

ლალისყური. — ალავერდი. — თქმულება. — ალბანეთის ველი. — თუშები. მეფე ლეონი. — მატანი.:— თავადი ჩოლოყაშვილი. — მოსავლის დღესასწაული. — ლეკური საავაზაკო გზა. — თიანეთი. — ფშაველები და ხევსურები. — იორის ვიწრო ხეობა. — ერწოს მხარე. — თავაზიანი მწყემსი. — ყაჩაღი ლეკები. — მუხრანი. — თბილისი.

მეორე დილით, ჩინებული საუზმის შემდეგ, რომელიც ნაცვალმა თავისი წესის მიხედვით მოამზადებინა, ისევ განვაგრძეთ გზა. მიმართულება არ შემიცვალია. გზაში მერეც მხვდებოდა ასეთივე ნაყოფიერი და კარგად დამუშავებული მიწები. მცხოვრებლების მთავარ საქმიანობას აქაც მევენახეობა შეადგენდა. ამას გარდა, ბევრი ფეტვიც მოყავდათ. ფეტვი ის იყო მწიფდებოდა, ე. ი. გვიან დაეთესათ. მოგვიანებით ცოცხის სორგო (Sorghum halepense) შემხვდა როგორც მოშენებული, ასევე გარეული. ქართველები ამ უკანასკნელს ფედეს[176] უწოდებენ, თათრები კი დარუს[177]. რამდენიმე ერთად შეკრულ სორგოს ცოცხად იყენებენ, აგრეთვე ტანსაცმლის ჯაგრისადაც. ნედლ ჩალას და მარცვლებს კი ცხენები სიამოვნებით შეექცევიან.

კვირა დღე იყო და გზაში კაციშვილი არ შეგვხვედრია. ძალიან დაცხა. ჩემი თერმომეტრი რეომიურით 26 გრადუსზე ნაკლებს არ უჩვენებდა. ეს დიდი სიცხეა ისეთი მაღალი ადგილისათვის, სადაც ვიმყოფებოდით. გადავლახეთ ლეპოტა[178] — ალაზნის ერთ-ერთი შენაკადი და ნაფარეულში, დიდ და მდიდარ სოფელში შევედით. აქ მცირეოდენი ყურძენი გეახელით. ამასობაში შევიტყვე, რომ ერთი საათის სავალზე, სოფელ ლალისყურთან[179] ნანგრევები ყოფილა, მაგრამ ადგილზე მისვლისას პატარა, ძალიან ლამაზი და კოხტა ეკლესია ვნახე, რომელიც საკმაოდ ძველი უნდა ყოფილიყო. უფრო მომეწონა მეორე, შედარებით ახალი ეკლესია[180]. სიცხე არ კლებულობდა, ამიტომ იქვე ახლომდებარე დიდ სოფელში ფშაველში, გადავედით, სადაც რამდენიმე საათს შევისვენეთ.

საღამო ჟამს სამხრეთისაკენ გავეშურეთ, ალაზნის გაღმა მდებარე განთქმული ალავერდის ტაძრისაკენ[181]. ის, როგორც ყველა ამ ტიპის გრანდიოზული ნაგებობა, მაღალი და მაგარი გალავნით გარშემორტყმულ ადგილზე დგას და ადვილად შეუძლია

ლეკების მოსალოდნელი თავდასხმებისაგან თავის დაცვა. ყველა-სხვა შენობა, რომელიც აქ ვნახე, ნანგრევებად იყო ქცეული და აზიის დიდებულ და მშენიერ ძეგლთა აღსასრულის სევდიან სურათს წარმოადგენდა. ყველაზე მეტად შემონახული იყო სამხრეთისაკენ მდებარე შენობა, რომელიც ან მთავარეპისკოპოსის ან ალბათ კახეთის უკანასკნელ მეფეთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ეს, ოდესღაც ჭეშმარიტად დიდებული ნაგებობა, გალავნამდეა გადაჭიმული და მიშენებულია მასზე. შენობის ერთი ნაწილი თავის დროზე, ალბათ, თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა. სამწუხაროდ. ზემო სართულები ამჟამად ჩანგრეულია და მხოლოდ ქვედა ორი სართულია დარჩენილი. პირველს მაგარი კედლები აქვს და გარედან დაახლოებით ორი ფუტის სიგანის ხვრელებს შეიცავს, რომლებიც უფრო სათოფურების როლს ასრულებდნენ, ვიდრე სარკმლისას. პირველი სართული იყოფა მთელ რიგ დიდ და პატარა სათავსოებად, რომლებიც უთუოდ ნაწილობრივ საჯალაბოს, ნაწილობრივ სამეურნეო ოთახებს წარმოადგენდნენ. თავის დროზე ზემო სართულზე ასვლა შეიძლებოდა ეზოდან საკმაოდ მოხერხებული და კარგად ნაგები ფართო კიბით; შედიხართ დარბაზის ტიპის დიდ ოთახში, რომელიც მარცხნივ ერთ, ხოლო მარჯვნივ ორ მომიჯნავე ოთახთან ქმნის ოთხკუთხედს და თავისი სიზუსტითა და პროპორციით სრულიად არ გავს აზიურ ნაგებობას. შენობას ამშვენებს მაღალი ლამაზი სარკმელები, რომლის მსგავსი აზიაში არსად მინახავს. დერეფანი აერთიანებს ზემო სართულზე მოთავსებულ ყველა ოთახს და გამოდის ეზოში.

ეკლესია ამჟამადაც ძალიან კარგად არის შემონახული და მოქმედია. იგი ნამდვილად ყველაზე დიდია იმ ეკლესიის შემდეგ, რომელიც მე, სამწუხაროდ, დანგრეული ვნახე ქუთაისის ციხესიმაგრეში, იმერეთში. სიგრძით იგი 165 ფუტს აღწევს. ალავერდი საფუძვლიანად განსხვავდება ქართული და სომხური ამ სახის ეკლესიებისაგან იმით, რომ მოგრძო ოთხკუთხა ნაგებობას წარმოადგენს, მაგრამ ჯვაროვანი კამარა ამსგავსებს მას ადგილობრივ ეკლესიებს. კარიბჭით, რომელიც გვიან მიაშენეს (დასავლეთის მხრიდან) შედიხართ მთავარ შესასვლელში, საიდანაც ბოლოს ეკლესიის შიგნით მოხვდებით. შუა ნაწილი კამაროვანია, რომლიდანაც შევდივართ გუმბათის მაღალ სივრცეში. აქედან, მთავარი საკურთხეველი იწყება, რომელსაც 100 ფუტის სიგრძის ნავის მესამედი უჭირავს. მის ორივე მხარეზე საეკლესიო სამოსის საცავია მოთავსებული, სადაც გუმბათის სათავსოს კარიდან შედიან და რომელიც ჯერ წინა ოთახში გადის.

81 ფუტის სიგანის გუმბათის სათავსოს ერთ მხარეზე ეკლესიის ამშენებლის აკლდამაა; ერთ-ერთი იმ ე. წ. 13 წმინდანთაგანისა, რომელსაც იოსები ერქვა. ნავის დანარჩენი ნაწილი გვერდებზე ორი სქელი კედლით გამოიყოფა გუმბათის სათავსოსაგან. დანარჩენი ორი კედელი, რომლებიც ორივე მხარეს თაღოვან შუანაწილამდის აღწევს, ორ ერთნაირ სათავსოს ყოფს ერომანეთისაგან. ამ კედლებზე, მარჯვნივ და მარცხნივ განცალკევებული სათავსოებია, რომლებიც შეერთებულია დერეფნით და ადრეც და ამჟამადაც განსაკუთრებულ ეკლესიებად გამოიყენება.

მთავარი ეკლესია მაცხოვრის სახელწოდებას ატარებს. ორი მაღლა მდებარე ეკლესიიდან, ერთ-ერთი დღესაც მოქმედი ეკლესიაა და წმინდა გიორგის სახელობისაა. კედლები ამჟამად თეთრადაა შეღებილი, საერთოდ კი, უხეირო ფრესკებით იყო მოხატული — ქრისტეს და ქართველ წმინდანთა ცხოვრებიდან. რუსებმა მთავარი საკურთხეველი ფრესკებით მოხატეს, რომლებიც წაშლილ ფრესკებზე უკეთესი არ არის.

ეკლესიის აგების შესახებ გავრცელებული ლეგენდა ერთმა მღვდელმა მიამბო. ერთხელ აქ ბერი ჩამოსულიყო ხალხში სახარების საქადაგებლად. მას დიდხანს არ ჰქონია წარმატება. დიდ დევნასაც განიცდიდა თურმე. ერთ დღეს ზეცას შესოხოვა დასტურის რაიმე ნიშანი მომეციო. უეცრად მაღლიდან თეთრი მტრედი ჩამოფრინდა და ზედ მის გვერდით დაჯდა. ერთმა მცხოვრებმა ხმალს წამოავლო ხელი წმინდა სულის სიმბოლოს მოსასპობად, მაგრამ შეჩერდა. მაშინ მეორემ იშიშვლა თავისი ხმალი, მაგრამ იმ დროს, როდესაც მტრედისათვის სასიკვდილო ლახვარი უნდა ჩაეცა, სამუდამოდ გაუშეშდა ცოდვილი მარჯვენა. ამ სასწაულის გამო უამრავი ხალხი შეიკრიბა და მოინათლა. იმ ადგილას, სადაც მტრედი დაჯდა, შემდგომში ეკლესია ააშენეს და ამის გამო ალავერდი დაარქვეს, რაც თურქულად „ღმერთმა მოგვცა“-ს ნიშნავს.

დროთა განმავლობაში მეფეებმა და კეთილმორწმუნეებმა ზოგი რამ შესწირეს ეკლესიას, ისე რომ ამჟამად მას წლიურად 10 ათასი მანეთის შემოსავალი აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ფულს უმთავრესად სხვა საეკლესიო საჭიროებისათვის იყენებენ და ხელს არ ჰკიდებენ ეკლესიის შესაკეთებლად მეტად საჭირო სამუშაოებს. ერთ ღამეს იგი შეიძლება უეცრად ჩამოინგრეს კიდეც. აქაური მღვდელი წლიურად 80 მანეთს გასამრჯელოს ღებულობს (დაახლოებით 86 ტალერს).

მეორე დილით ისევ გადავლახე ალაზანი, რომ ალბანეთის ვე-

ლი[182] მენახა. ჯერ მარტო სახელი იყო ჩემთვის საკმაოდ საინტერესო; მხოლოდ ამისთვის ღირდა ამ მხარის ნახვა. ისმის კითხვა, სად გაქრა ეს მამაცი ხალხი და რატომ შერჩა მათი სახელი მაინც-დამაინც ამ პატარა სივრცეს? მაგრამ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ამ ქვეყნის ისტორიაში უფრო ჩახედულ ხალხს ვანდობ.

ალბანეთის ველზე ახლა მთის ერთ-ერთი ტომი — თუშები ატარებენ საძოვარზე გაზაფხულსა და ზამთარში თავის ფარეხს. გამეხარდა, რომ შესაძლებლობა მომეცა ამ გმირი მცირერიცხოვანი ხალხის ნაწილი მაინც გამეცნო. ლეკებს მათი განსაკუთრებით ეშინიათ. რამდენიმე წლის წინათ თუშებმა შამილის და მათი მომხრეების თავდასხმები დიდი წარმატებით მოიგერიეს და მათი ბელადი მოჰამედ ახტიც[183] მოკლეს. ლეკები გასულ წელს ისევ გამოჩნდენ შურის საძიებლად, გარს შემოერტყნენ სოფელს, მაგრამ თუშებმა კვლავ უკუაგდეს. ადვილი საფიქრებელია, რომ ასეთ მდგომარეობაში თუშები რუსებისათვის დიდ შენაძენს წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, რუსები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო მოიგონ მათი გული. თუშები 1000 ოჯახისაგან შედგებიან, რომლებიც ოთხ ძმობაში არიან გაერთიანებულნი. ზაფხულში, თუშები ყოისუს და ალაზნის სათავეებთან ბინადრობენ. ისინი ალაზანს ალბანეთის ველამდის ჩამოყვებიან.

თუშები (თუშელები) საშუალო ტანის, მაგრამ ძალიან მაგარი აგებულებისა არიან. მათ მკვეთრი, მაგრამ სწორი სახის ნაკვთები აქვთ. ამერელთა[1] მსგავსად, უმეტესად კეხიანი ცხვირი აქვთ და მრგვალი, მომცრო თვალები გამჭოლი მზერით.

თქმულების მიხედვით, აქ მეფე ლეონი ცხოვრობდა. უმნიშვნელო ნანგრევების მთელი წყება იმდროინდელი უნდა იყოს. მაჩვენეს ის ადგილი, სადაც რაინდი მეფე ხან საომრად უყრიდა თავს ჯარს, ხან კი კრებას იწვევდა ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. მეფის სასახლის ნანგრევების საფუძველზე არაფრის დადგენა აღარ შეიძლება. უფრო კარგად არის შემონახული ზოგიერთი შორი-შორს მდგარი პატარა ეკლესიები: ყველა ნამდვილ ქართულ სტილშია აგებული, ე. ი. თანაბარმკლავიანი ჯვრის ფორმისაა. ეკლესიების ირგვლივ თავისუფალი ადგილები თუშებს სასაფლაოდ გამოუყენებიათ. საფლავებზე სქელი ხის ნაჭრები დაედოთ, რომლისთვისაც კუბოს ფორმა მიეცათ.

ჩრდილოეთით ვაკე ალბანეთის ველით თავდებოდა, სადაც

---

[1] უნდა იგულისხმებოდეს კავკასიონის სამხრეთით მცხოვრები ხალხი.

მთის ტოტი მდინარის ნაპირამდის აღწევდა. ამ მთაზე რამდენიმე ძველი ციხესიმაგრე და ღარიბი სოფელი ბახტრიონი მოჩანდა. მის უკან ტაფობი ადგილი იყო, რომელიც თითქმის ყოველი მხრიდან მაღალი მთებით იყო გარშემორტყმული და კარგ სანახაობას წარმოადგენდა. ალაზნის ერთ მხარეზე სოფელი ხორბალო მდებარეობდა, სადაც ქისტების (უძველესი კავკასიური ტომი) ოცი რჯახი ცხოვრობდა. მე ისევ ალაზნის მეორე მხარეზე გადავედი და მატანისაკენ გავეშურე, სადაც მხარის მმართველი და მთის სამივე ტომის: თუშების, ფშავების და ხევსურების გუბერნატორმა, თავადმა ჩოლოყაშვილმა[184], რომელიც ეხლა რუსიფიცირებულ გვარს ჩოლოკაევს ატარებს, ძალიან კარგად მიმიღო. მისი მეშვეობით ვაპირებდი მთებში ღრმად შესვლას.

სამწუხაროდ, ჩემი სურვილი არ განხორციელდა. თავადი კი დამპირდა ყველაფრის გაკეთებას თავისი მხრით, მაგრამ თავიდანვე გამაფრთხილა, რომ დიდი საშიშროება მომელოდა. მან მოიხმო რამდენიმე წარჩინებული ფშავი და თუში და დაავალა წავეყვანე მთებში, მაგრამ იმ პირობით, რომ უვნებლად ჩამომიყვანდნენ უკან. ის კეთილი ადამიანები, რომლებისთვისაც, როგორც ექიმი, სასურველი სტუმარი ვიყავი, დამპირდნენ, რომ ჩემს დასაცავად არაფერს დაიშურებდნენ. მაგრამ ასეთ საშიშ დროს ძნელი იყო ყველა ხიფათის თავიდან აცდენა. თავადმა მხრები აიჩეჩა და მირჩია ჩემს განზრახვაზე ხელი ამეღო. „თქვენთვის ისიც დიდი ვაჟკაცობაა აქამდის რომ მოაღწიეთო“ — დასძინა მან.

მოსავლის აღების დროს იყო. დაახლოებით ასორმოცამდე ადამიანს მოეყარა თავი (მათ შორის ქალებსაც და ბავშვებსაც) ბატონისათვის პურის ყანის მოსამკელად, ძნის შესაკრავად და დასაბინავებლად. ეს იყო ბეგარა, რომელიც ჩვენთან რამდენიმე წლის წინათ ჩვეულებრივი მოვლენა იყო და დღესაც არ არის მთლიანად აღმოფხვრილი. თავადის ოჯახი თავისი იქ ყოფნით მუშაობის ხალისს მატებდა ხალხს. ეს ყოველივე დღესასწაულს უფრო წააგავდა ან წარმოდგენას, რომელშიაც რამდენიმე ასეული კაცი ღებულობდა მონაწილეობას. სამუშაო, როგორც ეტყობოდა, კარგად იყო განაწილებული და სწრაფად მიმდინარეობდა, მაგრამ ჩვენთან რომ არის, ისეთ წესრიგზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩვეულებრივ, ერთ რიგს ორი ადამიანი მკიდა. ისინი, ვინც ახალ რიგს იწყებდა, შუა ყანაში შედიოდა და გვერდებზე ნამჯას თელავდა. ესეც რომ არ იყოს, ადგილი მოუმკელი რჩებოდა ან აღებისა და შეკვ-

რის დროს იფანტებოდა. ისე რომ, მკის დროს მოსავლის ერთი მეათედი ან ერთი მერვედი მაინც იკარგებოდა.

საითკენაც არ გაიხედავდით, ყველგან მხიარულება სუფევდა, რომელსაც კიდევ უფრო ზრდიდა ხმაურიანი მუსიკა, განსაკუთრებით სტვირი. თითოეული მათგანი მთელი გულით და სულით მღეროდა, უფრო გაჰკიოდა და არ აქცევდა ყურადღებას მეზობელს. ყანის საჭრელად ნამგლებს ხმარობდნენ, რომელიც თურქული ხმალივით მოღუნული იყო და რომელსაც თითქმის საათში ერთხელ ლესავდნენ; თან დროის ამ მონაკვეთს იყენებდნენ წყლის სასმელად. მეტი ნამჯა რომ აეღოთ, ხელზე სათითურები ჰქონდათ წამოცმული.

სამხარი მართლაც დღესასწაულს მოგაგონებდათ, რამაც ნამდვილად დიდად გამახარა და მასიამოვნა. ასეთ ბეგარას არ ახლდა ის სიძულვილი, რომელსაც აქა-იქ ადგილი ჰქონდა ჩვენში, გერმანიაში ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში. ყველანი ჩრდილიან ხეებს ქვეშ მოკალათებულიყვნენ. თითოეულ მუშაკს ხორცით, შემწვარი ყველით და პურით სავსე ჯამს აწვდიდნენ. განუწყვეტლივ უსხამდნენ დიდი რაოდენობით ღვინოს.

თავადის ოჯახიც გარეთ მიირთმევდა სამხარს. უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილში დიდი ჭრელი სუფრა გაეშალათ. ყველა ფეხმორთხმული მიუჯდა გარს და მიიღო თეფშები — აქამდისაც მოეღწია კულტურას. სადილი ჩინებული ნასვრეტებიანი ყველით დაიწყო, რომელსაც ახალი კიტრები მოჰყვა. შემდეგ რიგრიგობით მოჰქონდათ ჩახოხბილი, ცხვრის ხორცი, თევზი, და ბოლოს სხვადასხვა შემწვარი კერძი. შიგადაშიგ მადის შესანარჩუნებლად სურნელოვან მწვანილს შეექცეოდნენ, როგორიცაა პრასი, ხახვი, ნიახური, ქონდარი, რეჰანი და პიტნა. შოთი პური აქ ისეთი თხელი არ იყო, როგორც საერთოდ ამიერკავკასიაში, რომლის გამოცხობის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ივი 4-დან 6 დიუმის სიგანის და ორი ფუტის სიგრძისა იყო. ერთი ბოლო უფრო სქელი ჰქონდა და მეორე ბოლოსკენ თხელდებოდა.

ღვინო რომ არ დააკლდებოდათ, ეს თავისთავად ცხადი იყო. მას ოდნავ ბრტყელი და გრძელტარიანი ვერცხლის ჯაზარფეშით აწვდიდნენ ერთმანეთს, რომელიც ჩვენ ჩამჩებს წააგავს. ამას გარდა, ჯიხვის რქებიც ჰქონდათ (ყანწი). მათი უმრავლესობა ჩინებულად დამუშავებული და მოვერცხლილი იყო. კარგი მსმელისათვის კვერცხის მოყვანილობის ან მრგვალი ხის ჭურჭელიც ჰქონდათ, რომელსაც, საკმაოდ ვიწრო მილი ჰქონდა, ერთბაშად

ბევრი რომ არ დაელიათ. ამ ჭურჭელს კულას უწოდებენ. ამ სიტ-ყვიდან რუსებმა და გერმანელებმა მთელ საქართველოში გავრცე-ლებული გამოთქმა „გულაი“ ე. ი. მოქეიფე და ბედოვლათი შექ-მნეს.

ჩემი თავაზიანი მასპინძელი ძველი ქართული საგვარეულოს შთამომავალი იყო. მისი საგვარეულო ნუსხა 800 წელს აღწევდა. ისინი ყოველთვის ამ ადგილას სახლობდნენ და თავის მეზობელ მთის ტომებში მუდამ პირველი ადგილი ეკავათ. ახლანდელი თა-ვადის პაპა ქსნისა და არაგვის ერისთავებს შორის წარმოებულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში პირველს მიემხრო და უკანასკნელის განდევნაში დიდი როლი ითამაშა[185]. ამისათვის მან ადგილ-მამუ-ლებიც მიიღო. მან დუშეთში, დღევანდელ დიდ სამხედრო გზაზე ააგო ციხესიმაგრეები. მისი აგებულია აგრეთვე გამაგრებული რე-ზიდენცია მატანში[186]. ეს უკანასკნელი მოხერხებულად იყო გაწ-ყობილი და ნაწილობრივ ჩვენი ძველი რაინდების სახლებს მოგ-ვაგონებდა (იმ განსხვავებით, რომ იგი ვაკეზე იდგა და არც თუ ისეთი მაგარი გალავანი ეკრა გარს). უკეთეს მდებარეობას ვერც ინატრებდა კაცი. იგი ნაწილობრივ მწვანით იყო დაფარული და კლდეებით იყო გარშემორტყმული. მათს უკან კი აღმართულიყვ-ნენ მუდმივი ყინულითა და თოვლით დაფარული მწვერვალები.

თუმცა ყოისუს სათავეების მიდამოების ნახვა არსებული მდგო-მარეობის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა, კახის მთა ანუ გომბო-რი მაინც გადავლახე იორის ზემო დინების გასაცნობად. ჩემმა თავაზიანმა მასპინძელმა საკმაო რაოდენობის საიმედო ხალხი გა-მაყოლა თიანეთში წასასვლელად. აღნიშნული მთა, რომელიც მდინარე ალაზანსა და იორს შორის სამხრეთ-აღმოსავლეთის მი-მართულებით არის გადაჭიმული (შემდეგ ის მთლად დაბლდე-ბა), ცივის სახელითაა ცნობილი და სამხრეთით ჰყოფს კახეთს. იგი იურული წარმოშობის კირქვიან ქანებისაგან შედგება და უმ-თავრესად ფოთლოვანი ტყითაა დაფარული. აღნიშნული მთა მრა-ვალ ხეობას და ძნელად მისადგომ ადგილებს შეიცავს. ამის გა-მო და კიდევ იმიტომაც, რომ ქედის განტოტებანი თბილისის მი-დამოებს აღწევენ, ძველ დროში ყაჩაღმა ლეკებმა და ქისტებმა ეს გზა აირჩიეს (ერთი მხრივ, უფრო ქვემოთ, ორივე მხარეზე მდება-რე ნაყოფიერ დაბლობზე და მინდვრებზე თავდასხმებისათვის, მე-ორე მხრივ, კი, მონების, ე. ი. სხვადასხვა ადგილებიდან გატაცებუ-ლი მამაკაცების, ქალებისა და გოგონების მტკვრით — მონების დიდ ბაზარზე — ახალციხისაკენ წასაყვანად). ამ მნიშვნელოვანი ქალა-

ქის განთავისუფლების შემდეგ ადამიანებით ვაჭრობა რომ შეწყდა (ამ მხარეში მაინც), ამის შესახებ ზემოთ უკვე მოგახსენეთ. მაგრამ ყაჩაღობა ახალ დრომდისაც გრძელდება. მე ძალიან ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, რომ აღმოსავლეთში მოგზაურობის დასასრულს ჩემი ავლა-დიდება არ დამეკარგა.

სადილობის შემდეგ გავემგზავრეთ. მალე ხეებით დაფარულ მთას ავუყევით; უმთავრესად წითელი წიფელი გვხვდებოდა. წვეული სიცხის შემდეგ მაგრილებელი ჩრდილი გამოუთქმელ სიამოვნებას გვანიჭებდა. თავდაპირველად ილტოს მივყვებოდით (ნაკადულს, რომელიც ალაზანს უერთდებოდა), ვიდრე წყალგამყოფ ქედამდის არ მივაღწიეთ. ყელგან გუშაგები იდგნენ. მათ ლეკების გამოჩენა უნდა ეცნობებიათ, იმ შემთხვევაში, თუ ლეკები თავიანთი მაღალი მთებიდან ამ ტყით დააპირებდნენ შემოპარვას, მათ შეუფერხებლად შემოუშვებდნენ, მაგრამ უკანდასახევ გზას კი მოუჭრიდნენ. აქ სულ რამდენიმე ბილიკია, რომლითაც მთებში დაბრუნება შეიძლება. ამ გზებს აქაური მცხოვრებნი ისევე კარგად იცნობენ, როგორც თვითონ ლეკები და მაშინვე იქით გაემართებიან ხოლმე, რომ ყაჩაღებს საიმედო ადგილებში ჩაუსაფრდნენ. ისინი ხშირად რამდენიმე დღის განმავლობაში იცდიან, ვიდრე ხელში არ ჩაიგდებენ ნადავლით დატვირთულ ლეკებს, რომლებიც გულდამშვიდებით სახლებში მიიჩქარიან. ასე ყოველწლიურად ბევრ ყაჩაღს იჭერენ.

საღამოხანს მივადექით ლამაზ, ოდნავ ჭაობიან ტაფობს და ცოტახნის შემდეგ ძველ ციხესიმაგრეში — თიანეთში შევედით. ციხესიმაგრის ერთი ოთახი მე დამითმეს. აქ მხარის მმართველი ცხოვრობდა, რომელმაც მატანის ციხეში დარჩენა ამჯობინა, ხოლო თავისი საქმეები მდივანს გადააბარა, რომელიც წარმოშობით რუსი იყო. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ მხარეში, სადაც არ არის შემოღებული საკანცელარიო გაუთავებლად საწერი სამუშაოები და საქმისწარმოება უმთავრესად სიტყვიერად ხერხდება.

თიანეთს მიმზიდველი მდებარეობა აქვს. იგი ტიურინგიის ტყეების ზოგიერთ ადგილს მაგონებდა (განსაკუთრებით რაინპარდსბრუნის ტაფობსა და ვილჰელმტალის ხეობას) იმ განსხვავებით, რომ აქ ყველაფერი უფრო დიდებულ სანახაობას წარმოადგენს. იორის მიდამოების მაღალ მდებარეობაზე რომ წარმოდგენა შეგექმნათ, საკმარისი იქნება გაცნობოთ, რომ ქერი, რომელიც აქ დაეთესათ, ჯერ კიდევ მწვანეა და ეს-ესაა ჰყვავის. გარნიზონში მყოფი ჯარისკაცების აზრით, აქ ზამთარი ისეთივე მკაცრია, როგორც

მათთან, ჩრდილოეთში. ტყის მინდვრებზე, სადაც დაქსაქსული იორი მიედინება, თავისი კრისტალურად სუფთა წყლით, ხასხასა მწვანე ბალახი ამოსულიყო, რომელიც გაცილებით უფრო სასიამოვნო სანახავია, ვიდრე კახეთის უკვე დამჭკნარი და მწირი მცენარეებით დაფარული ველ-მინდვრები (მოგზაურობის დასაწყისში რომ ვნახე). მთები, რომლებიც გარსშემორტყმოდნენ დაახლოებით საათნახევრის სავალის სიგანის ტაფობს, ახლოს არ ჩანდნენ ძალიან მაღალნი, ჩრდილოეთით კი, პირიქით, დიდებულ სანახაობას ქმნიდნენ. იქ მდიდრული ალპური მდელოები გადაშლილიყო, საიდანაც ამობურცული მთების მწვერვალები და უზარმაზარი კლდეები ამოწვდილიყვნენ. ამ უკანასკნელებს აქა-იქ თოვლის ზოლები აჩნდა.

მთებში, არაგვის და თერგის სათავეებში ეგრეთწოდებული ფშავები და ხევსურები ცხოვრობენ; უფრო აღმოსავლეთით კი ზემოთ ხსენებული თუშები. ახალ დროში დიდი სამხედრო გზის ნაწილი, რომელიც კავკასიონის მთავარ ქედზე გადის, პირველად ხსენებულ ტომებში, ფშაველთა ხეობაში გაიყვანეს. ფშავები და ხევსურები ისეთი კარგი რეპუტაციით არ სარგებლობდნენ, როგორც თუშები, რომლებსაც ისინი სიმამაცითა და კეთილშობილებით ჩამოუვარდებიან. როგორც ჩანს, ისინი ოსების და ქისტების ნარევი უნდა იყვნენ და უფრო პირველებს უახლოვდებიან, ხოლო თუშები შთამომავლობით ქართველები არიან და ქრისტიანულ რელიგიასაც სცნობენ. ფშავებსა და ხევსურებს, ისევე როგორც ოსებს, სულ არ გააჩნიათ რელიგია. ამის გამო ძალიან უჭირთ როგორც ერთის, ისე მეორეთა მონათვლა მართლმადიდებელ ქრისტიანებად. ისინი მღვდლებს, რომლებსაც მათ უგზავნიდნენ, ყოველთვის უკან აგდებდნენ. მათთან ეხლაც ყოველწლიურად ჩადის მხარის უფროსი მღვდლის თანხლებით. ასეთ დროს, ჩვეულებრივ, უამრავ ღვინოს და არაყს არიგებენ, მაგრამ რელიგიის სასარგებლოდ ამით ძალიან ცოტა კეთდება. მღვდელი, რომელიც მე გავიცანი, სრულიად არ იწვევდა ჩემში პატივისცემის გრძნობას, მისი ჭუჭყიანი სამოსის გამო. სამწუხაროდ, მასთან ერთად მომიხდა პურის ჭამა და შევამჩნიე, რომ ყველაზე მეტად ღვინის სახაპს ეტანებოდა.

მეორე დილით იორის გაყოლებით სამხრეთის მიმართულებით გავემგზავრე, რომ ბოლოს ისევ თბილისის გზას დავდგომოდი. მალე ხშირ ტყეში ამოვყავით თავი. გზა ძნელად სავალი იყო, მაგრამ ლამაზი. იგი მობუტბუტე იორს მიუყვებოდა. მშვენიერი ცის-

ფერი ცა ღრუბლებით დაფარულიყო, მზე კი დროდადრო თავის ცეცხლოვან ყვითლად მოციმციმე სხივებს ჰფენდა წიფლისა და თხმელას მოყავისფრო მუქ-მწვანე, მსუბუქად მოშრიალე ფოთლებს.

მალე ხეობა ისე დავიწროვდა, რომ გზის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. ამიტომ გორაკზე გადავედით და იქიდან მშვენიერ პატარა ხეობაში მოვხვდით ისიც ტაფობი იყო. ეს უკვე ერწოს[187] მხარე გახლდათ. ტყის ნაპირიდან ბევრი სოფელი მოჩანდა. ნაკადულის გარშემო, რომელიც მალე იორს შეუერთდა, ლამაზი მინდვრები და ყანები გადაშლილიყო.

ცხენების გამოსაცვლელად ერთ ლამაზ სოფელში შევჩერდით, სოფელს საყდრიონი[188] ერქვა. ისევ ერწოს ხეობაში განვაგრძეთ გზა და მოპირდაპირე მხარეზე მდებარე მთას ავუყევით. აქაც შეუძლებელი იყო იორის აყოლებით სვლა. ამიტომ ჩამოვქვეითდით, და კი არ ავედით, პირდაპირ ავცოცდით მთაზე. ყველგან სვეტებივით მაღლა აღმართული ლამაზი წიფელი გვხვდებოდა. მხოლოდ ალაგ-ალაგ, უმთავრესად ბაძგი და იელი. სულ უფრო მაღლა მივიწევდით. თანდათან უფრო დაბალი ხეები გვხვდებოდა; ბოლოს ხეები სულ გაქრა და მათი ადგილი შესანიშნავმა ალპურმა საძოვრებმა დაიკავა.

აქ მწყემსები შემოგვხვდნენ თავიანთი ცხვრის ფარებით და შემოგვთავაზეს ღამე მათთან გაგვეთია, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თქმით, შუა ტყეში დაგვიღამდებოდა. ჩვენ მივიღეთ ეს თავაზიანი მიწვევა და ბედნიერად ვიგრძენით თავი, როცა ეახშმად და დილით ახლად მოწველილი რძე მოგვართვეს. ამ სიმაღლეზე ყოფნამ შვეიცარია გამახსენა, სადაც ხშირად გამითენებია ღამე მწყემსებთან მაღალ მთებში. აქ მწყემსები მთელი თავიანთი ოჯახით იყვნენ წამოსულები და პატარა წიფლის ტოტებით დაფარულ ქოხებში ცხოვრობდნენ. ქოფაკების მთელი ხროვა ღამით ადამიანებსა და საქონელს დარაჯობდა.

მეორე დღეს დაღმართით დავეშვით. აქაც იძულებული გავხდით უფრო მეტად ფეხით გვევლო. ბოლოს მშვენიერი ალპური საძოვრები გადავიარეთ და ხელმეორედ მოვხვდით იორის ხეობაში, რომელიც აქ უფრო გაფართოებულიყო. მდინარის გაღმა სალ, მაგრამ განიერ კლდეზე, ბოჭორმის ციხესიმაგრე[189] იდგა, რომლისგანაც მხოლოდ გალავნის კედლები და ქვებიღა დარჩენილიყო. მისი მშენებლობის ისტორია შორეულ წარსულს განეკუთვნება. ლეგენდის მიხედვით, ეს ციხე საქართველოს პირველი მე-

ფის — ქართლოსის ვაჟიშვილის კახოსის შეუღლეს აუგია. აქ იყო კახეთის ძველი საზღვარი, რომელიც მხოლოდ ზემო ივრის ხეობისაგან შედგებოდა. უფრო სამხრეთით ქართველთა მეფეების მამამთავრის, ქართლოსის მეორე ვაჟის, სახელდობრ კუხოსის, სამფლობელო იყო; მხარემ მისი სახელი მიიღო — „კუხეთი“.

ხეობაში ტანწერწეტა წიფლის ნაცვლად სხვადასხვა ბუჩქნარი იზრდებოდა, რამაც საშინლად გაგვიძნელა გზა. უეცრად გამყოლები შეჩერდნენ, ვინაიდან გაღმა ეკლესიის ნანგრევების მახლობლად შეიარაღებულ ხალხს მოჰკრეს თვალი, რომლებსაც ლეკური ტანსაცმელი ეცვათ. როგორც ჩანს, ვერ შეგვამჩნიეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემ ბარგს დიდი ხანი გამომშვიდობებული ვიქნებოდი. უხმაუროდ მივიმალეთ ხშირ ბუჩქებში და მოვიფიქრეთ რა უნდა მოგვემოქმედა. უკან დაბრუნება ისეთივე უიმედო იყო, როგორც მგზავრობის გაგრძელება. მოვიმარჯვეთ თოფები ევროპული ტანსაცმლის დასამალავად. დერბენდში ნაყიდი ლეკური ქუდი ამოვიღე და კავკასიური ნაბადი, ე. წ. „ბურკა“ წამოვისხი. ასე განვაგრძეთ გზა. საბედნიეროდ, ტყის გათავებამდის ცოტა დაგვრჩენოდა და ძალიან გახარებული ვიყავი იქამდის უვნებლად რომ მივედით. რუსების სამხედრო კოლონია — მუხრანი აქედან ახლოს მდებარეობდა. კოლონია აქ განგებ აეგოთ, რომ ლეკები განრიდებოდნენ ამ ადგილებს.

როგორც ვიყავი, პირდაპირ ისე გავემართე პოლკოვნიკ ნოლტეს ბინისაკენ და ამ სასიამოვნო ოჯახში, რომელიც ჩემი მოგზაურობის დროს გავიცანი, კიდევ რამდენიმე დღე დავყავი. აქ შევიტყვე ახალი ამბები დიდი ბრძოლის შესახებ. მიუხედავად მთელი მონდომებისა, ვერ მოახერხეს შამილისათვის ავარეთის წართმევა. შემდგომაც, როგორც თავში მოგახსენეთ, ყოველწლიურად წარმოებდა ბრძოლები დამხმარე ძალების მოშველიებით, მაგრამ ერთი ნაბიჯითაც ვერ შეძლეს წინ წაწევა.

ბრძოლის ველზე ჩემი, თუმცა მოკლე, მაგრამ არანაკლებად დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ სასიამოვნო საზოგადოებაში დავისვენე და გავემართე უკან მახლობლად მდებარე თბილისისაკენ. თითქმის 3 კვირის განშორების შემდეგ, ჩემი მეგობრების სასიხარულოდ, ისევ თბილისში ჩავედით.

კომენტარები

ედ. სპენსერი — „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროზე“

1. **უუბანი** — ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე, რომელიც სათავეს იღებს დიდი კავკასიონის მთის ფერდობებიდან ზღვის დონიდან 2970 მეტრზე იალბუზის მახლობლად მდებარე მყინვარ ულუკამიდან.

2. **ანაპა** — მნიშვნელოვანი ნავსადგური შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე; მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთისათვის. 1784 წელს თურქებმა აქ ძლიერი ციხესიმაგრე გააშენეს. რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში ანაპა არაერთხელ აიღეს რუსებმა (1791, 1807 და 1809 წწ.), მაგრამ შემდეგ ისევ თურქებმა დაიბრუნეს. საბოლოოდ ანაპა რუსებმა დაისაკუთრეს 1828 წელს (იხ. В. Мелихов, Описание действий с Турцией в 1828—1829 гг., Спб., 1850; А. В. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958, 253—255).

3. **კიზილ-კაია** — (თურქ.) მთა ჩერქეზეთში, რომლის ძირას არის გაშენებული ანაპა.

4. **ჩერნომორცები** (ასე უწოდებენ შავ ზღვაზე და მდინარე უუბანზე მობინადრე კაზაკებს) ზაპოროჟელი, დონელი, გრებნელი, ჩერნომორელი და სხვა კაზაკები სახლობდნენ ძირითადად მდ. თერგის, დონისა და უუბანის აუზებში. 1775 წელს „ზაპოროჟიეს სეჩის“ საბოლოო დაშლის შემდეგ დარჩენილმა ჯარმა „ერთგული კაზაკების არმიის სახელწოდებით“ სამსახური დაიწყო რუსეთის ჯარში და დიდი დახმარება გაუწია მას 1787—1791 წწ. თურქეთთან ომის დროს. რუსეთის მთავრობამ დაასახლა ისინი შავი ზღვის სანაპიროზე დნესტრსა და ბუგს შუა. 1820 წელს ისინი ჩაირიცხნენ ჩერნომორიეს და პოლტავის გუბერნიის ჯარში. 40-იან წლებში ჯარი განაწილდა ეკატერინოდარის, ტამანისა და ეისის ოლქებში. ამ სახით ჩერნომორიეს ჯარმა იარსება 1861 წლამდე. 1832 წელს ჩერნომორიეს ჯარს შეუერთდა 6 ბრიგადა კავკასიის ხაზის არმიიდან და ჩერნომორიეს კაზაკთა არმიას ეწოდა უუბანის არმია (იხ. Щербина Ф. А., История кубанского казачьего войска, т. 1—2, Екатеринодар, 1910—1913 гг.).

5. **შეგაკები** — ჩერქეზთა ანუ ადიღეელთა მცირერიცხოვანი ტომი, ცხოვრობდა ანაპის მიდამოებში, ნატუხაელების მეზობლად. XIX საუკუნის დასაწყისში შეგაკების რიცხვი საგრძნობლად შემცირდა და ისინი თანდათანობით შეერიენენ ნატუხაელებს (იხ. Очерки истории Адыгеи, т. I, Майкоп, 1957, 149—150).

6. **მეჰმედ გირეი ასლანი** — შეგაკების უკანასკნელი მთავარი (იხ. ტექსტი).

7. **ეკატერინე II** (1729—1796 წწ.) — რუსეთის იმპერატორი 1762 წლიდან. მისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა ბრძოლა

შავი ზღვის სანაპიროზე გასვლისათვის. ამ მხრივ ეკატერინე II მეფობის პერიოდში რუსეთმა დიდ წარმატებებს მიაღწია (ყირიმის სახანოს შემოერთება (1783 წ.) და რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად (1768—1774, 1787—1791 წწ.) შავი ზღვის სანაპიროზე განმტკიცება).

8. ზაპოროჟელები — „ზაპოროჟიეს სეჩის" სახელწოდებით ცნობილი დნეპრის კაზაკთა გაერთიანება, შეიქმნა XVI საუკუნის I ნახევრის დასასრულს. ამ გაერთიანებას ჰქონდა საკუთარი ფლოტი და არტილერია; იგი დიდ სამხედრო ძალას წარმოადგენდა თურქული აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. „სეჩი" გაუქმდა პეტრე I დროს 1709 წელს. 1734 წელს შეიქმნა ახალი „სეჩი" — „ნოვაია სეჩის" სახელწოდებით. რუსეთის მთავრობა მასაც იყენებდა თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად. სწორედ ამ დნეპრის კაზაკთა შთამომავლობაზეა აქ ლაპარაკი. იხ. კომ. № 4.

9. ბიბიკოვი დიმიტრი სერგის ძე — რუსი გენერალ-ლეიტენანტი, კავკასიის კორპუსის მეთაური. 1790 წელს გენერალი ბიბიკოვი მეთაურობდა ყუბანის არმიას; მან გაილაშქრა ყუბანის წინააღმდეგ, გააცამტვერა მთელი მხარე, მაგრამ ანაპა მაინც ვერ აიღო. ამ მარცხის გამო იგი გადააყენეს თანამდებობიდან და გადასცეს სამხედრო სასამართლოს (იხ. А. Н. Петров, Вторая турецкая война в царствование императрицы Екатерины II, 1787—1791 гг., т. II, СПБ., 1880, 118—120). Очерк истории Карачаево-Черкесии. Ставрополь, 1967, 267.

10. გუდოვიჩი ივანე ვასილის ძე (1741—1820 წწ.) — რუსი გენერალ-ფელდმარშალი, რუსეთ-თურქეთის ომების მონაწილე. 1791 წელს იგი დაინიშნა კავკასიის ხაზის მეთაურად. სწორედ ამ წელს აიღო გუდოვიჩმა ანაპა, რომელიც 1791 წლის იანვის ზავის თანახმად, კვლავ თურქეთს დაუბრუნდა.

11. აქ სპენსერი ცდება. თურქებმა რუსების მიერ 1791 წელს აღებული ანაპა ხელახლა კი არ აიღეს, როგორც ე. სპენსერი წერს, არამედ ბუქარესტის ზავის მიხედვით, 1812 წელს იგი კვლავ თურქებს დაუბრუნდა. ამის სანაცვლოდ თურქებს მოუხდათ უარის თქმა დასავლეთ საქართველოზე.

12. გოვოროვი — რუსი გენერალი, ანაპის დაპყრობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე.

13. მენშიკოვი ალექსანდრე სერგის ძე (1787—1869 წწ.) — რუსეთის სამხედრო და დიპლომატიური მოღვაწე, ადმირალი, გენერალ-ლეიტენანტი. ხელმძღვანელობდა ანაპის ალყას 1828 წელს.

14. აქ სპენსერი გულისხმობს ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 356—323 წწ.) ე. წ. „ლაშქრობას" კავკასიაში. ქართველი ისტორიკოსები ამ აზრს არ იზიარებენ (იხ. მ. ალექსიშვილი, ალექსანდრე მაკედონელი, თბ., 1950, 169—187).

15. მითრიდატე VI, ევპატორი (ძვ. წ. 132—63 წწ.), იგივე მითრიდატე პონტოელი, პონტოს მეფე; რომის შეურიგებელი მტერი, ებრძოდა მას 40 წლის განმავლობაში. ბოლოს პომპეუსმა დაამარცხა მითრიდატე და მან ბოსფორში ლტოლვილმა მოიკლა თავი (იხ. აპიანე, მითრიდატეს ომების ისტორია, თბ., 1959; Т. Моммзен, История Рима, III, 1941; ლ. სანიკიძე, პონტოს სამეფო, თბ., 1956).

16. გვერილიასი — (ესპ. Guerrillas) ნიშნავს პარტიზანს. ესპანელი პარტიზანები (გვერილიასები) 1808—1814 წლებში იბრძოდნენ ნაპოლეონის წინააღმდეგ. აქ: სპენსერისავე განმარტებით, შეიარაღებული გლეხებისა და მწყემსების რაზმი.

17. **სუჯუკ-კალე** — მცირე ციხესიმაგრე ახლანდელი ნოვოროსიისკის ახლოს, ანაპიდან 30 კმ-ით დაშორებული. ძველად მნიშვნელოვანი ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე.

18. **გელენჯიკი** — ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე, ნოვოროსიისკიდან 43 კმ-ზე. ძველად იგი ერთ-ერთი სამხედრო და სავაჭრო მნიშვნელობის პუნქტი იყო ჩერქეზეთის სანაპიროზე. როგორც რუსეთის ციხესიმაგრეს, მას საფუძველი ჩაეყარა 1831 წელს. მთიელებმა იგი დაანგრიეს რუსების სხვა ფორტებთან ერთად 1853 წელს. 1857 წელს რუსებმა კვლავ დაიპყრეს გელენჯიკი და დაიწყეს მისი დასახლება. დღეს იგი არის გელენჯიკის რაიონის ცენტრი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზღვისპირა კურორტი.

19. **გირეი კოემიტი** — ჩერქეზების მთავარი (იხ. ტექსტი).

20. **ჰერცოგი რიშელიე** — ფრანგი არისტოკრატი, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ განდევნეს სამშობლოდან. 1803 წელს დაინიშნა ოდესის ქალაქის თავად, ხოლო 1805—1814 წწ. განაგებდა მთელი ნოვოროსიის მხარეს. ბურჟუაზიული ისტორიკოსები დიდ შეფასებას აძლევენ რიშელიეს საქმიანობას ოდესაში. იგი მონაწილეობას იღებდა რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წწ. ომში (იხ. А. Петров, Война России с Турцией 1806—1812 гг., т. I, СПБ., 1885, 325..., т. II, 531—537).

21. ბუქარესტის ზავი დაიდო 1812 წლის 16 მაისს, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, რუსეთს ხელი უნდა აეღო ანაპასა და სუჯუკ-კალეზე.

22. **ველიამინოვი ივანე ალექსანდრეს ძე** (1771—1837) ინფანტერიის გენერალი. მონაწილეობდა ფინეთის ომში. 1818 წელს იგი ინიშნება საქართველოში დივიზიის უფროსად. მისი ხელმძღვანელობით გაშენდა კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ხაზი.

23. **ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე** (1782—1856 წწ.), გამოჩენილი რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 1823—1844 წლებში იგი იყო ნოვოროსიის გენერალ-გუბერნატორი და ბესარაბიის მეფის ნაცვალი, ხოლო 1844—1854 წწ. კავკასიის მეფისნაცვალი.

24. **სემესი//ცემესი** — პატარა მდინარე, რომელიც სუჯუკ-კალეს ახლოს და ძველ უბანს ჰყოფს ერთმანეთისაგან.

25. **შაფსუღები** — მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ადიღელთა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი ტომი. ამ ტომს საკმარისად ვრცელი ტერიტორია ეკავა კავკასიონის ქედის ჩრდილო ფერდობზე მდ. ყუბანსა, სუფსასა და ადაგუმეს შორის; შავი ზღვის სანაპიროზე კი — ვრცელი მონაკვეთი მდ. ფშადიდან შახემდე. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო. ეს ტომი იყოფა ორ ჯგუფად: დიდ და მცირე შაფსუღებად. შაფსუღთა ტერიტორია მაღალმთიანი იყო და ტყეებით შეფენილი, რის გამოც — ნაკლებ გამოსადეგი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის (იხ. В. К. Гарданов, Общественный строй адыгских народов, М., 1967, 24; Очерки истории Адыген. Майкоп, 1957, I, 148—151).

26. **თემირგოელები** — ადიღელთა ერთ-ერთი უძლიერესი ტომი დასახლებული მდ. ბელაიასა და ლაბას შორის. ისინიც ძირითადად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ და თავის მეზობელთა შორის გამოირჩეოდნენ სიმდიდრითა და შეძლებით (იხ. В. К. Гарданов, Общественный строй..., 24; Очерки истории Адыген, Майкоп, 1957, I, 148—151).

27. **ნატუხაელები** — ადიღელთა ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი ტომი, რომელიც დასახლებული იყო ყუბანსა და ჯუბღას შორის. ეს ტომი შავ ზღვას ესაზ-

ღვრებოდა დასავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთით — დიდ შაფსუღებს, ხოლო სამხრეთით — მცირეს. სხვა ტომების მსგავსად ისინიც უმთავრესად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ (იხ. В. К. Гарданов..., 24; Очерки... 148—151).

28. **კაბარდინსკი** — დღევანდელი კაბარდინკა; რუსული ციხე-სიმაგრე სუჯუკ კალესთან, ნავსადგურის სამხრეთ ნაწილში.

29. **ვიქსენი** — ინგლისელი საზღვაო კაპიტანი, რომელიც ამ დროს ჩამოდის ჩერქეზეთში (იხ. ტექსტი).

30. **ნოვოროსიისკი** — ახალი რუსული ციხესიმაგრე ჩერქეზეთის სანაპიროზე, ცემესის უყურეში. იხ. სუჯუკ-კალე. კომენტ. 17.

31. **ნიკოლაევი//ნიკოლაევსკი** — სამხედრო მნიშვნელობის რუსული ციხესიმაგრე კავკასიის სანაპირო ხაზზე ოდესის მახლობლად, რომელიც აშენდა 1836 წელს ველიამინოვის ხელმძღვანელობით.

32. **რაევსკი** — რუსული ციხესიმაგრე ნიკოლაევის მახლობლად, ჩერქეზეთის ზღვის სანაპიროზე.

33. **ივულისხმება** გენუელების კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროზე (იხ. Е. С. Зевакин и Н. А. Печко; Очерки по истории генуезских колоний на Западном Кавказе в XIII и XV вв., Исторические записки, 3, 1938, 72—129).

34. **პორტო-სუაკო** — გენუელი ვაჭრების მიერ დაარსებული თავისუფალი ვაჭრობის ქალაქი, ზოგიერთის აზრით, ძველი სინდიკა.

35. **სინდიკა** — მდებარეობდა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. დაარსებულია V საუკუნის II ნახევარში ჩვენს წელთაღრიცხვამდე; სინდიკის დედაქალაქი იყო გორგიპია, რომელიც დღევანდელი ანაპის ადგილას მდებარეობდა. „ჰიერონის ნავსადგურიდან ანუ ნიკაკსიიდან ვიდრე სინდიკამდე (ანუ სინდიკის ნავსადგურამდე, რომელსაც ამჟამად ევდუსია ეწოდება) არის 290 სტადიონი“ (იხ. გეორგიკა, II, 21). ცდება სპენსერი, როცა იმოწმებს სინდიკას და არა თანამედროვე ანაპას.

36. **დობა** — სუჯუკ-კალესგან 15 კმ დაშორებით მდებარე აულის სახელწოდება.

37. **არკადია** — მთის რაიონი ძველი პელოპონესის ცენტრში; ახლა იგი შედის საბერძნეთში. როგორც მისი მცირე ადმინისტრაციული ერთეული. არკადია არის ძველი ბერძნული კულტურის სამშობლო. ძველად მისი მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობას მისდევდა. არკადიის ბუნების სურათები ანტიკური ლიტერატურისათვის ჩვეულებრივ ფონს ქმნიდნენ მესაქონლეობისა და მწყემსების ცხოვრებიდან იდილიური სცენების დასახატავად.

38. **ინგლისური მილი** — სიგრძის საზომი ერთეული. საზღვაო მილი უდრის 1852 მეტრს. იმ ქვეყნებში, სადაც მეტრულმა სისტემამ გავრცელება ვერ ჰპოვა, დღესაც მილი იხმარება სიგრძის საზომ ერთეულად. ინგლისური მილი ლონდონისა უდრის 5000 ფუტს, 1,504 კმ. ჩვეულებრივი კი: 5280 ფუტს, 1,6098 კმ.

39. **ფშადი** — ნავსადგური ჩერქეზეთის სანაპიროზე; რუსებმა მას უწოდეს ნოვოტროიცკი, როდესაც იგი დაანგრიეს და ახალი ციხესიმაგრე ააგეს ფშადის ადგილას.

40. **ადრიანოპოლის ზავი** დაიდო 1829 წლის 2 სექტემბერს, რომელმაც ბოლო მოუღო რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წწ. ომს. ამ ზავის მიხედვით რუსეთმა მიიღო შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო, უუბანის შესართავთან წმ. ნიკოლოზის ციხემდე, აგრეთვე ახალციხის საფაშო ახალციხის და ახალქალაქის ციხეებითურთ; ბოსფორი და დარდანელი გამოცხადდა ღია სრუტეებად და

ა. შ. ამ ხელშეკრულებამ განამტკიცა რუსეთის პოზიციები ბალკანეთში და საზღვარი დაუდო თურქეთის ექსპანსიას კავკასიაში.

41. იგულისხმება სულთან მაჰმუდ II (1785—1839), რომლის დროს დაიდო ბუქარესტისა და ადრიანოპოლის ზავი.

42. **წმ. ნიკოლოზის სიმაგრე** — ანუ შეკვეთილი, მდინარე ნატანების შესართავთან. იგი რტიშჩევის დავალებით ააგო გურიელმა.

43. **ნოვოტროიცკი** — ფშადის ადგილას გაშენებული ახალი რუსული ციხესიმაგრის სახელწოდება. იხ. კომენტარი 39. იგი გაშენდა ველიამინოვის ხელმძღვანელობით.

44. **აბაზური** — იგივე აფხაზური.

45. **შუოკი** — ფშადიდან 20 მილით დაშორებული პატარა ყურეში მდებარე ქალაქი.

46. **მამაი** — ნავსადგური სოჭის რაიონში, მდინარე ფსახეს შესართავში; აქვე მდებარეობდა ციხესიმაგრე მამაიც, მამაის ციხე. ძველად იგი ძნიშვნელოვანი ცენტრი იყო (იხ. ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, 162).

47. **არდტლერი** — უნდა იყოს დღევანდელი ადლერი, ქალაქის ტიპის დასახლება, ადლერის რაიონის ცენტრი კრასნოდარის მხარეში, შავი ზღვის ნავსადგური, კურორტი.

48. **ვარდანი** — ნავსადგური შავი ზღვის ჩერქეზეთის სანაპიროზე. კრებულის შემდგენელი და მთარგმნელი კ. კოხი შენიშნავს, რომ სპენსერი კლება და ვარდანს გაგრაში ურევს. შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე გამაგრების მიზნის რუსეთის მთავრობამ მთელი რიგი სიმაგრეები ააგო სანაპიროზე (ბამბორში, ბიჭვინტაში და გაგრაში გაჩნდა ციხესიმაგრეები). 1834—1835 წწ. რუსეთის მთავრობამ სამხედრო გზა გაიყვანა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, რომელიც აერთებდა სანაპირო სიმაგრეებს. 1837—1839 წწ. აშენდა ახალი რუსული ციხესიმაგრეები სოხუმსა და ანაპას შორის, რომელთაც შექმნეს ე. წ. შავი ზღვის სანაპირო ხაზი. ამ ხაზს უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა რუსებისათვის. ამას გულისხმობს კ. კოხი, როდესაც თავის შენიშვნაში (გვ. 149) რუსული ციხესიმაგრეების აშენების ამბავს ეხება (იხ. Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, 140—141).

49. **პითუსი** — Pitius, Pitiunta — ამ ფორმითაა დაცული ბერძენ და რომაელ ავტორებთან ბიჭვინტის ქართული სახელწოდება. Pitius ბერძნულად ნიშნავს ფიჭვს, Pitiunta კი წარმოადგენს ფორმანაცვალსახელობას ქართული ბოლოკიდურის დაცვით (ბიჭვინთა — ფიჭვინთა); ძველი ავტორები (არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი) ბიჭვინთას „დიდ პიტიუსს" უწოდებდნენ, რაღგანაც იგი ითვლებოდა დიდ საკაპრო პუნქტად და უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა შავი ზღვის სანაპიროს ბერძნულ კოლონიებს შორის. ძველ ავტორებთან ერთად (პლინიუს უფროსი, არიანე) მას მოიხსენიებენ აგრეთვე ადრე საშუალო საუკუნეების ავტორებიც (ამიანე მარცელინი, თეოდორიტე კვირელი, პროკოპი კესარიელი და სხვ.). ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ბიჭვინთა ხელთ იგდეს რომაელებმა, ხოლო 256 წელს ისინი საბოლოოდ აფხაზთა ტომებმა განდევნეს. სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოებს დავა იმის შესახებ, იყო თუ არა ბიჭვინთა ბერძნული ახალშენი (იხ. ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962, 34; ზ. ანჩაბაძე, История и культура древней Абхазии, М., 1964, 148—149, 198—199; გ. ორგიკა, II, 26—27).

50. იგულისხმება X—XI სს. ცნობილი ბიკვინთის ეკლესია; სპენსერი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ მის მიერ ნანახი ბიკვინთის ეკლესია მიაჩნია იუსტინიანეს დროს ნაგებად. სინამდვილეში ბიკვინთის ეკლესია წარმოადგენს მე-10 საუკუნის ტაძარს, რესტავრირებულს მე-19 საუკუნეში.

51. **ბამბორი** — ზღვისპირა სოფელი ლიხნის მახლობლად. В. Пачулия, По древней, по вечно молодой Абхазии, Сухуми, 1969, 144—195.

52. იგულისხმება აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე (საფარ ბეგ შარვაშიძე), რომელმაც 1809 წელს ოფიციალურად მოაწერა ხელი სიგელს, რომლის მიხედვით, აფხაზეთი აღიარებდა რუსეთის უზენაეს ხელისუფლებას. 1810 წელს გ. შარვაშიძემ დაიფიცა რუსეთის ერთგულებაზე. დადიანისა და გურიელის მსგავსად, ამიერიდან გ. შარვაშიძეც „რუსეთის მთავრობის ხელდებული და მისი პოლიტიკის გამტარებელი" ხდებოდა; ის მხოლოდ საშინაო თვითმართველობას ინარჩუნებდა (Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, 138; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 873).

53. **აბასები** — იგივე აბაზები // აბაზგები (გეორგიკა, II, 28). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტომის წარმოშობის საკითხი ინტენსიური კვლევის ობიექტია. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, აბასები ქართველი ტომია. არსებობს საწინააღმდეგო მოსაზრებაც (იხ. З. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, 176—179). Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960).

54. იგულისხმება X—XI სს. ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, ტაძარი ფრესკებით და ქართული წარწერით (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 156).

55. **ფანდრა** — მდინარე ბიკვინტის მიდამოებში (ხიფსთა); ფანდრას ველი მდინარის სახელწოდებას ატარებს.

56. **ლეპნა** — იგივე ლიხნი, ლუხუნი ანუ ბამბორი (იხ. კომ. № 51).

57. იგულისხმებიან ხევსურები.

58. **შეიხ-მანსური** — უშურმა ელიას მანსურად წოდებული, თურქეთის ემისარი, რომელმაც 1785 წელს მოაწყო ჩეჩნებისა და ინგუშების აჯანყება; შეიხ-მანსურმა თავი გამოაცხადა ჩეჩნების იმამად და ხალხს „ჰაზავათისაკენ" — რუსების წინააღმდეგ საომრად ბრძოლისაკენ მოუწოდა. მას არ გააჩნდა მყარი საბრძოლო პროგრამა და ვერ მოახერხა ცალკეული კავკასიური ტომების გაერთიანება. მისი ბრძოლა ისლამის რელიგიური ლოზუნგით წარმოებდა. ამ აბბოხების პირველ ეტაპზე მკვეთრად იგრძნობოდა ანტიფეოდალური და ანტიკოლონიური ტენდენცია, მაგრამ ამ ტენდენციამ ველარ ჰპოვა შემდგომი განვითარება. „უშურმა" დამარცხდა. იგი გარდაიცვალა შლისელბურგის ციხეში 1794 წელს (იხ Советская историческая энциклопедия, т. 14, столб 923, Очерки истории Чечено-Ингушской АССР, т. I, Грозно, 1967, с. 87).

59. იგულისხმება მიხეილ გიორგის ძე შერვაშიძე (შარვაშიძე), იგივე ჰამუთბეგი, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. მიხეილი მთავრად იყო 1823—1864 წლებში, აფხაზეთის სამთავროს გაუქმებამდე. მიხეილს ჰქონდა გენერალ-ადიუტანტის წოდება; 1845 წელს მას უბოძეს გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი. იგი დიდი გავლენით სარგებლობდა ჩრდილო კავკასიის იმ ტომებში, რომლებიც ებრძოდნენ ცარიზმს. მიხეილი გაზრდილი იყო უბიხთა ტომის ბელადის ჰაჯი-დაგუმოყვა ბერზეგიას მიერ და თავისი დროისათვის კარგი განათლება მიუღია. რუსულს იგი ფლობდა თავისუფლად, ყოველგვარი აქცენტის გარეშე. მიხეილსა და რუსეთის

მთავრობას შორის მოჩვენებითი თანხმობა სუფევდა. აფხაზეთში ჩაყენებული იყო რუსული გარნიზონები და ამით კავკასიის მთავარმმართველობა ერთგვარად აკონტროლებდა მთავარს. რუსეთის მთავრობა ეძებდა საბაბს გაეუქმებინა აფხაზეთის სამთავრო. რუსეთის მომავალ გეგმებს დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავროს არსებობა დაბრკოლებას უქმნიდა: რუსეთს განზრახული ჰქონდა შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპირზე რუსების ჩასახლება. 1864 წელს დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემ, მეფის ნაცვალმა კავკასიაში, აღძრა საკითხი აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შესახებ. მთავრობამ მოისურვა, რომ მიხეილს ეტვირთა რუსების უხერხული მდგომარეობიდან გამოყვანა და თავად ეთხოვა თავისი უფლებებისაგან „განთავისუფლება". მიხეილი შეეცადა წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ამაოდ. იგი მალე მიხვდა, რომ ყოველივე უშედეგოა. მან მოითხოვა სათანადო საზღაური და აფხაზეთში ცხოვრების ნებართვა, რადგან განსაკუთრებით აშინებდა რუსეთში გადასახლება. 1864 წელს სამთავრო გაუქმდა და შემოიღეს „დროებითი სახალხო მმართველობა". მიხეილი გადაასახლეს („სახელმწიფო ღალატი" დასწამეს, რაც თურქეთთან ე. წ. „კავშირში" გამოიხატა) ჯერ სტავროპოლში, ხოლო შემდეგ ვორონეჟში, სადაც 1865 წელს გარდაიცვალა კიდეც (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, ტ. V; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველოს XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957; ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, სოხუმი, 1946; Очерки истории Абхазской АССР. ч. I, Сухуми, 1960).

60. იგულისხმება აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შერვაშიძის მეუღლე ალექსანდრა, გიორგი ნიკოლოზის ძე დადიანის ასული. ეს ის ნიკოლოზია, რომელიც „დიდი ნიკოს" სახელით არის ცნობილი. დიმიტრი ყიფიანის დახასიათებით, ალექსანდრა ყოფილა „მშვენიერი, ჭკვიანი, ღვთისმოსაები და მოყვარული ადამიანი", „ქართულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად. დიდი სიყვარული ჰქონდათ აფხაზებს მისდამი, რომელიც მან მოიპოვა მაშინ, როდესაც ბზიფის ოლქს განაგებდა მიხეილის იქ არყოფნის დროს. საოცარი ზნეობრივი სიმტკიცეც გამოიჩინა მან, 5 შვილის დედამ, აფხაზეთიდან გადასახლების დროს (იხ. ს. ჯანაშია, გიორგი შერვაშიძე, სოხუმი, 1946).

61. იგულისხმება ლიხნი ანუ ძველი ზუკსუ.

62. **სოუკსუ** — (ცივი წყარო) აფხაზთა მთავრების რეზიდენცია, ალბათ ზუფუ. ლიხნი წყაროებში ზუფუს სახელით მოიხსენიება. „როგორც ირკვევა ალექსანდრე იმერთა მეფის 1738 წლის რეკიდან, ზუფუ რქმევია ლიხნის თემის სამხრეთ უბანს (სადაც გაშენებული იყო მთავრის სასახლე). მდინარეს, რომელიც ამ თემის ტერიტორიაზე მოედინებოდა, ზუფუს მდინარე ერქვა" (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 152). ვახუშტის მიხედვით, „... ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამკრეთ, მიერთვის ჩრდილოდამ ზღვას. არს ზუფუ მცირე ქალაქისებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელიც ჰპყრობელობს, არავის მორჩილებასა შინა მყოფი" (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, 171; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957, 264).

63. **ისმაილ-ბეი ატაუკინი** (XVIII ს. 60-იანი წლები — 1812) — გამოჩენილი ყაბარდოელი მოღვაწე, რუსეთის ორიენტაციისა. იგი დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა რუსეთში; თურქეთის წინააღმდეგ ბრძოლების მონაწილე, პოდპოლკოვნიკი. 1790 წ. მან მონაწილეობა მიიღო სუვოროვის მიერ წარმოებულ იზმაი-

ლის შტურმში, რის გამოც დააჯილდოვეს გიორგის IV ხარისხის ორდენით. 1794 წ. დედოფალ ეკატერინეს ბრძანებით სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიიღო. აქ იგი გამოიყენეს ჩრდილო კავკასიის საქმეების მოსაგვარებლად. მალე ნათელი გახდა, რომ ისმაილ-ბეი არ იზიარებდა რუსეთის ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას, იგი აშკარად მთიელების მხარეზე იყო, რისთვისაც ყაბარდოდან უკან გაიწვიეს. მხოლოდ 1804 წელს მიიღო სამშობლოში კვლავ დაბრუნების უფლება. ისმაილი დიდად განათლებული პიროვნება იყო, იცოდა რუსული და ფრანგული ენები. მისი მსოფლმხედველობა კარგად ჩანს მისივე წერილებიდან, ჩანაწერებიდან და ზეპირი გამოსვლებიდან. ისმაილს კარგად ესმოდა, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით ჩრდილო კავკასიის ხალხებს აწყობდა რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ, მისი აზრით, ეს ურთიერთობა დაფუძნებული უნდა ყოფილიყო არა სამხედრო ძალდატანებით მეთოდზე, არამედ ნებაყოფლობით კავშირზე. იგი სასტიკად ილაშქრებდა პროთურქული ორიენტაციის წინააღმდეგ. მუსლიმანურმა სამღვდელოებამ არ აპატია მისი საქმიანობა. იგი მოღალატურად იქნა მოკლული (იხ. История Кабардино-балкарской АССР, т. I. М., 1967, 239—241)

64. ბულატ ატაუუკინი — ისმაილის ძმა, ჩერქეზთა მეთაური, სამხედრო პირი, რუსეთის დაუძინებელი მტერი.

65. იგულისხმება რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I პავლეს ძე (1777—1825). გამეფდა 1801 წელს. მის დროს მოხდა საქართველოს შეერთება რუსეთთან.

66. დანიელ-ბეი — დანიელ-ბეგი, ელისუს სულთანი დანიელი, რუსეთის გენერალი, შემდგომში შამილის ერთ-ერთი ნაიბი; 1844 წლამდე იგი რუსეთის მთავრობის სამსახურში იყო, მართავდა ელისუს და იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. 1844 წელს დანიელ-ბეგს უთანხმოება მოუვიდა ჭარ-ბელაქანის მმართველ გენერალ შვარცთან, უღალატა რუსებს და გაიქცა შამილთან, რომელმაც იგი უფროს ნაიბად დანიშნა. დანიელ-ბეგის რეზიდენცია იყო აული ირიბი. შამილთან ერთად იგი 15 წლის განმავლობაში იბრძოდა. შამილის ვაჟმა ყაზი-მაჰმადმა ცოლად შეირთო დანიელ-ბეგის ასული კარიმატა. ამ ნათესაური კავშირის მიუხედავად, შამილი მაინც ბოლომდე არ ენდობოდა დანიელს. მართლაც, 1859 წელს გუნიბის ალყის დროს, დანიელ-ბეგმა უღალატა შამილს; იგი გამოცხადდა კავკასიის მთავარ სარდლის ა. ბარიატინსკის ბანაკში. 1869 წელს დანიელ სულთანი ოსმალეთში გადასახლდა და იქვე გარდაიცვალა 1870 წელს (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, 250, 269).

67. ინდარ-ოღლი — მაჰმად ინდარ-ოღლი ჩერქეზეთის ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი თავადი, ფშადის მფლობელი; იგი დიდად დაინტერესებული იყო რუსეთთან სავაჭრო კავშირით და ყოველნაირად უწყობდა ხელს რუსეთის კომერციულ საქმიანობას ჩრდილო კავკასიაში. XIX საუკუნის უცხო მოგზაურები (ტებუ დე მარინი, რაფაელ სკასი, ლონგვორტი, კარლ კოხი და სხვ.) ადასტურებენ ამ ფაქტს. ავტორის განცხადება, რომ სავაჭრო ურთიერთობა ჩერქეზებთან რუსი მოხელეებისა და ფშადის თავადის ინდაროღლის სისასტიკისა და უხეშობის შედეგად შეწყდა, სიმართლეს არ შეეფერება. საქმე ისაა, რომ XIX საუკუნის I ნახევარში რუსეთის კომერციას ჩრდილო კავკასიის მთიელებთან და კავკასიის შავიზღვისპირეთის მოსახლეობასთან სათანადო პირობები არა ჰქონდა განვითარებისათვის, არა მარტო რუსეთის კაპიტალის სისუსტის გამო, არამედ

ომ „ცივი ომის“ პოლიტიკის წყალობითაც, რომელსაც თურქეთის სულთანი აწარმოებდა რუსეთის წინააღმდეგ. ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის 20—30-იან წლებში ფშადში მოწყობილმა საავჭრო ფაქტორიამ სრული კრახი განიცადა (იხ. А. В. Фадеев, Россия и Восточный кризис 20-х годов XIX века, М., 1958, 32—33). Адыги. балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII—XIX вв., Нальчик, 1974.

68. იგულისხმება მშვენიერი ელენე, რომლის გატაცებაც გახდა აქაელთა და ტროელთა შორის გაუთავებელი ომების მიზეზი.

69. იგულისხმება აფხაზების პროტესტი ინდარ-ოღლის მიერ რუსეთთან საავჭრო კავშირის დამყარების გამო. რუსეთის კომერციასთან ბრძოლა ამავე დროს იყო პროტესტი მეფის რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგაც.

70. **კონაკი** — (თურქ.) სასტუმრო, „სასტუმრო სახლი“. „სასტუმრო სახლი“ შენდებოდა განსაკუთრებულად მოხერხებულ ადგილას. სიტყვა „კონაკი“ ნიშნავს „მეგობარს, მოყვასს“. კუნაკობა ადიღეში ერთ-ერთი წმიდათაწმიდა ჩვეულებაა. კუნაკი იცავდა თავის მეურვეობის ქვეშ აყვანილ ადამიანს ყოველგვარი განსაცდელისა და ხიფათისაგან, რაც შეიძლებოდა შეხვედროდა უცხოს მის ქვეყანაში. ამ უცხოთათვის შენდებოდა სწორედ ეს „საკუნაკო“-ები ანუ „სასტუმრო სახლები“ (თუმცა თვით ადიღელები სასტუმრო სახლს არ უწოდებდნენ საკუნაკოს; ამის შესახებ მითითებული აქვს ხან გირეის თავის „წერილებში ჩერქეზეთზე“ (იხ. В. К. Гарданов, общественный строй адыгских народов, М., 1967, 291—292).

71. **სელამლუკი** — (თურქ.) სელამლიქი, სტუმრის მისაღები ოთახი.

72. **დიანა** — (ლათ. Diana) — ნადირობის ქალღმერთის არტემიდას. რომაული სახელწოდება. ანტიკურ ხანაში არტემიდა-დიანა, ჩვეულებრივ, გამოსახული იყო ახალგაზრდა ქალის სახით ხშირად ირემთან ერთად. ჩვენ ავტორთან დიანა ძაღლთან ერთად არის გამოსახული.

73. **სუხუმ-კალე** — 1578 წელს თურქებმა რომაელების მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნეში აგებული სოხუმის ციხე სამარ ბაზად აქციეს და სოხუმ-კალე უწოდეს მას (კალე, ყალა — თურქ. ციხეს ნიშნავს). ძველი ქართული წყაროებით — ცხუმი ესაა ძველი დიოსკურია (სებასტოპოლისი), ძველბერძნული ქალაქი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მნიშვნელოვანი საავჭრო პუნქტი, მილეთელთა მიერ დაარსებული. მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ რომაელებმა დაიპყრეს დიოსკურია და გაშენეს იქ ციხე სებასტოპოლისი, რომლის სახელიც ეწოდა შემდეგ დიოსკურიას. რუსებმა სოხუმი აიღეს 1810 წელს. დამარცხებული ასლან-ბეგი აფხაზეთის მთებში გაიხიზნა, ხოლო გიორგი შერვაშიძემ რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა და გაფორმებული „სათხოვარი პუნქტები“ ძალაში შევიდა (მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, თბ., 1957, 222).

74. **კელასური** — სოფელი სოხუმის მახლობლად (2 კმ-ის დაშორებით). დღეს კელასური შედის ქ. სოხუმის ფარგლებში.

75. **კოდორი** — მდ. კოდორის დელტაში მდებარე დაბა. ვახუშტის მიხედვით, „მოიგო სახელი დაბისა კოდორისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით ამ წყალზედ მთაში“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 169). ზოგის აზრით, თავდაპირველად კოდორი დაბის სახელწოდება ყოფილა. დაბა კოდორი მოიხსენიება აგრეთვე

საშუალო საუკუნეთა ქართულსა და ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 156). თავდაპირველი სახელი ამ მდინარისა ყოფილა ჰენის-წყალი; ანტიკური ხანის ავტორები მას იხსენიებენ როგორც ჰიპპოს, ე. ი. ცხენს (იხ. პ. ინგოროყვა, იქვე, 178).

70. ილორი — აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით ოჩამჩირეს მახლობლად; ცნობილია წმ. გიორგი ეკლესიით, რომელიც აგებულია XI ს. I ნახევარში. „ხოლო ზღვის კიდეზედ, ამ წყლის (ეგრისისწყალი — ლ. მ.) დასავლეთის კიდეზედ არს ილორს ეკლესია წმიდისა გიორგისა“ (ვახუშტი, 168).

77. ანაკლია — ძველი ჰერაკლია, პონტოს ზღვისპირა ქალაქი, მნიშვნელოვანი ნავსადგური და სავაჭრო პუნქტი შავი ზღვის სანაპიროზე; „ჰერაკლეას“ სახელწოდებით იგი მოხსენიებულია სხვა ავტორებთანაც (შარდენი, ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ, 215), ლუი გრანჟიესთან (მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 140). (იხ. გეორგიკა, II, 121).

78. ინგური — ენგური, მდინარე, აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის ბუნებრივი საზღვარი.

79. აფიზი — შესაძლოა ეს არის პატარა მდინარე, რომელიც ერთვის შავ ზღვას აფხაზეთის მხრიდან.

80. ჰერაკლია — იხ. კომენტარი 77.

81. რედუტ-ქალე — ასე ერქვა XIX საუკუნის დასაწყისში ნავსადგურს, რომელსაც წინათ ყულევს უწოდებდნენ; რედუტ-ქალე მდებარეობდა მდ. ხობის შესართავთან. 1804 წელს იგი რუსის ჯარმა დაიკავა. რედუტ-ქალეს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით (იხ. З. В.Анчабадзе, Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века, 1966; მ. პაჭკორია, რედუტ-ქალე, თბ., 1968).

82. ციანესი — ჭანის-წყალი, „გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლით, და მიერთვის ზღვას ხოფს“ (ვახუშტი, 167).

83. ხოფი — მდინარე ხობს ძველი მწერლები ჭარიენტად იხსენიებენ. ა. ლამბერტი წერს, რომ „ხობის შემდეგ რომ მდინარეა, მკვიდრნი უწოდებენ მას ჭანის წყალს და რუკებზე კი იწერება Cianeo. ეს მდინარე შეერთვის ხოფს და ამასთან ერთად შეერთვის ზღვას“ (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, 175). ე. ი. ხობი არაა ძველი ჭიანეოსი, ხოლო ჭარიენტი კი უნდა იყოს სწორედ ხობი (ნ. კეკელიძის შენიშვნა, გვ. 69, ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961). ფსევდო სკილაკსის არიოსი პალეოგრაფიულ ნიადაგზე წარმოშობილი ნაირსახეობა უნდა იყოს ჭარიენტისა, რაც ნასესხებია არიენასთან. ჭარიენტი და, მაშასადამე, არიოსიც, გაიგივებულია მდ. ხობთან. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მდ. ხობის ნაპირას დღესაც არის სოფელი, რომელსაც ეწოდება ჭარიატა“ (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1967, 37).

84. პონტინი — ჭაობიანი ადგილი იტალიაში (იტალ. Paludi Pontine) რომიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ძველად რომის რესპუბლიკაში ველეტრის მხარეში 33 ქალაქი იყო გაშენებული. აქ გავრცელებული იყო საშინელი მალარია. პირველი ცდა ამოეშრო ჭაობი აპიუს კლავდიუს (ძვ. წ. 312 წ.) ეკუთვნის. ამ მიზნით მან სამხედრო გზა გაიყვანა ჭაობებზე, რომელსაც შეერქვა შემდგომ მისი სახელი („აპიუსის გზა“); მას რომის სხვა იმპერატორებმაც მიბაძეს (კეისარმა, ავგუსტუსმა, ტრაიანემ და სხვ.), მაგრამ ყოველი მათი ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

85. ტრაპეზუნდი — მცირე აზიის ქ. ტრაპიზონი.

86. ზიბა — ბზიფის წყალი, აფხაზეთის მთავარი მდინარე, რომელიც ბზიბის ხეობაზე მოედინება (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 148—149).

87. იგულისხმება სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი (1804—1846).

88. იგულისხმება ალექსანდრე I, რუსეთის იმპერატორი (1801—25).

88ა ქართლის, იმერეთისა და სამეგრელოს მთიანი რაიონების მოსახლეობის რუსეთის დაუძინებელ მტრებად მიჩნევა აშკარად ტენდენციური და ყალბია. პირიქით, მათ უაღრესად ფართო მხარდაჭერა აღმოუჩინეს რუსეთის მხედრობას თურქეთის, სპარსეთის და შამილის წინააღმდეგ ბრძოლაში. საერთოდ აბტირუსული გამოხდომები წითელ ზოლად გასდევს სპენსერის მთელ თხზულებას.

89. ყაზი-მოლა — ღაზი მუჰამედი 1795—1832 წწ., დაღესტნის პირველი იმამი. მოკლეს 1832 წელს გენერალ როზენის მიერ მოწყობილი საომარი ექსპედიციის დროს, გიმრის ციხეში. ღაზი-მუჰამედმა მოახერხა მთიელების (მიურიდების) მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება მიურიდიზმის დროშის ქვეშ 1830—1832 წლებში და განახორციელა სერიოზული საომარი ოპერაციები რუსების წინააღმდეგ. (იხ. Фадеев, А. В. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960).

90. შამილ-ბეი — შამილი, დაღესტნისა და ჩაჩნეთის მესამე იმამი (1801—1802—1871); 25 წლის განმავლობაში მართავდა დაღესტანს. იმამად აირჩიეს 1834 წელს. წარმოშობით იგი იყო ავარელი; ავარელი უზდენის დენგაუ მაჰმადისა და ავარელი ბეგის ასულის ბახუ მესედას ვაჟი. შამილმა თავის დროზე კარგი განათლება მიიღო; იგი ბრწყინვალედ ფლობდა არაბულ ენას; მისი მასწავლებლები იყვნენ ჯემალ ედ-დინ ყაზიყუმუხელი და დაღესტნის პირველი იმამი ყაზი-მოლა, რომელიც ამავე დროს მისი სიყრმის მეგობარიც იყო. 1830—1832 წლებში შამილი იბრძოდა მიურიდიზნის პირველ ხელმძღვანელთან, ყაზი-მოლასთან ერთად; მასთან ერთად იცავდა გიმრს. ყაზი-მოლა მოკლეს, ხოლო თვით შამილი კი მძიმედ დაიჭრა. შამილი ყველაზე თვალსაჩინო მმართველი იყო დაღესტნის იმამთა შორის; მამაცი, ნიჭიერი სამხედრო მოღვაწე, კანონმდებელი და რეფორმატორი. 1859 წელს კავკასიის ჯარების სარდალმა ბარიატინსკიმ აიღო ციხე გუნიბი, რომელშიც შამილი აფარებდა თავს. იგი დანებდა რუსებს. 1870 წლამდე იყო კალუგაში. ბოლოს მას ნება დართეს წასულიყო მექაში სამოგზაუროდ, სადაც გარდაიცვალა 1871 წელს. (История СССР, т. II, М., 1940, 276—286; გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I—II).

90ა. მოგზაურის განცხადება ოსების მიერ მაჰმადიანობის მიღების შესახებ ყაზი-მოლასა და შამილის გავლენით გაზეიადებულია, ხოლო ლეკების მოკაუშირეებად მათი გახდომის შესახებ კი აშკარად მცდარი.

91. ლაზები — ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მიეკუთვნება ქართველურ ტომთა დასავლურ (მეგრულ-ჭანურ) შტოს. ლაზები დასახლებული იყვნენ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. IV საუკუნის დასასრულისათვის ლაზების (ეგრისის) სამეფო განსაკუთრებით გაძლიერდა; ამ პერიოდისათვის ლაზების ტერიტორია საგრძნობლად გაფართოვდა. ლაზთა სამეფოს დაწინაურებაზე მიუთითებენ ძველი ავტორები არიანე, პროკოპი კესარიელი და სხვ. 388—395 წწ. ლაზთა მეფემ დაიმორჩილა სვანეთი და ფლობდა მას 459—474 წლებამდე (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959; З. В. Анчабадзе, История и культура древней Абхазии,

205—208; გეორგიკა, I—II; ს. ჯანაშია, შრომები, ტ. II, თბ., 1952, 307—321; ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 135, 163; გეორგიკა, II, 313).

92. იგულისხმება ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VI ს.). ჩვენამდე მოღწეულია პროკოპის სამი თხზულება. როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, იგი თავის თხზულებებში იუსტინიანეს ხაზს ატარებს. პროკოპი კესარიელის შრომები ძვირფას მასალას შეიცავს საქართველოს ისტორიისათვის, ურომლისოდაც გაჭირდებოდა საქართველოს VI საუკუნის ისტორიის დაწერა (იხ. გეორგიკა, II, 38—43).

93. **დალი** — ნადირობის ქალღმერთია სვანეთში.

94. **რაინეგსი** — ქრისტიან-რუდოლფ ერიხი (1744—1793 წწ.), გერმანელი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი. 1776 წელს იგი მიემგზავრება აღმოსავლეთში. 1779 წელს მან ინახულა საქართველო, სადაც იყო მეფე ერეკლე II კარზე. სამედიცინო საქმიანობასთან ერთად იგი დიდი ინტერესით სწავლობდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეს, ამუშავებდა ადმინისტრაციული რეფორმების პროექტებს და მისთ. იგი ტიპიური ავანტიურისტი იყო. პოტიომკინმა სცადა მისი გამოყენება და დაავალა მას „კომისიონერის“ მოვალეობის აღსრულება ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II და იმერეთის მეფის სოლომონ I კარზე. რაინეგსმა ეს დავალება ვერ შეასრულა და 1783 წელს იგი უკან გაიწვიეს რუსეთში. იგი ცოტა ხანს ცხოვრობდა ასტრახანში, შემდეგ დამკვიდრდა პეტერბურგში, თავი დაანება დიპლომატიურ კარიერას და ექიმობას მიჰყო ხელი. მისი ნაშრომი შეიცავს საინტერესო ცნობებს კავკასიის გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ეკონომიკისა და ენათმეცნიერების შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოა რაინეგსის ცნობები საქართველოს სამთო საქმის შესახებ (იხ. М. А Полиевктов, Европейские путешественники XIII—XVIII вв. по Кавказу; Тб., 1935, 165—168).

95. **არიანე** — ფლავიუს არიანე (დაახლ. 95—180 წწ.) რომაელი ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, ავტორი მრავალი საისტორიო და გეოგრაფიული თხზულებისა. მისი „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ ეძღვნება შავი ზღვის სანაპიროების აღწერას და ამდენად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროების ისტორიის შესასწავლად. (იხ. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეკელიძისა, თბ., 1961).

96. **სტრაბონი** — (ძვ. წ. 64 წ.—ახ. წ. 23 წ.) ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი, ავტორი ცნობილი ნაშრომისა „გეოგრაფია“ (17 წიგნად); სტრაბონის „გეოგრაფიის“ XI წიგნი შეიცავს მნიშვნელოვან ცნობებს კავკასიის შესახებ (იხ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957).

97. **ალექსანდრე მაკედონელი** — იხ. კომ. № 14.

98. **ნიკოლოზ I** — (1796—1855), რუსეთის იმპერატორი 1825—1855 წლებში.

99. **ციხი** — (ჯიქები) ჩრდილო კავკასიის ტომები, რომელთაც I საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე განდევნეს კერკეტები და დაიკავეს მათი ტერიტორია; ზიგები კერკეტებისა და მეოტების მსგავსად ადიღელთა ტომების წინაპრებად ითვლებიან. ბერძნული წყაროებიდან მოყოლებული ვიდრე XVII საუკუნემდე ადიღელთა ტომებს „ზიგებად“ მოიხსენიებდნენ. ამ ტერმინმა თანდათანობით ხმარებიდან განდევნა „ჩერქეზები“ და სხვა სახელწოდებები (იხ. Очерки

истории Адыгеи, т. I, Майкоп, 1957, 61—62). ქართულ წყაროებში უკანასკნელ დრომდე იყო შემორჩენილი ზიგების სახელწოდება „ჯიქების“ ფორმით გავრცელებული და აღნიშნავდა აბაზებსა და დასავლეთის ჩერქეზ ტომებს (იხ. Очерки истории Кабардино-Черкесии, т. I, Ставрополь, 1967, 124; გეორგიკა, II, 10—20; 135; З. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, 175—176).

100. იგულისხმება გენუელთა კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროზე (XIII—XV სს.). XIII საუკუნის II ნახევარში გენუელები შემოიჭრნენ შავი ზღვის ჩრდილო და აღმოსავლეთ სანაპიროზე და ბატონობდნენ აქ XV საუკუნის ბოლომდე, ვიდრე თურქებმა არ იგდეს ხელთ მათი კოლონიები. 1475 წელს თურქები დაეუფლნენ გენუელების სავაჭრო-ეკონომიური ბატონობის ცენტრს — შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონში — კაფას, (ყირიმი) თანამედროვე ფეოდოსია, აგრეთვე დონის შესართავსა და აზოვს. XV საუკუნის ბოლოს ჩერქეზეთის სანაპიროზე თურქებმა ააგეს ტამანის (გენუელების ყოფილი კოლონია მატრეგა) ციხესიმაგრე“ (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 92).

101. ჩერქეზები თავის თავს მართლაც ადიღებს უწოდებენ. ეტიმოლოგია არაა დადგენილი. არის მოსაზრება, რომ ადიღე ნიშნავს ორ ზღვას შორის მობინადრეს. Сами черкесы называют себя адыге, что означает «благородные» (იხ. Д. Семенов, Отечествоведение, Россия по рассказам путешественников и ученым исследованиям, т. III, Кавказ и Урал, СПБ., 1871, 35). სემიონოვის მიხედვით, «Что касается до слова черкес, то оно должно быть новейшего происхождения, а именно турецкого или персидского и значит перерезывающий дорогу, а также разбойник (35). ტებუ დე მარნი წერს თავის «Путешествие в Черкесию»: «Мы в Европе знали эти народы под общим именем Circassiens. Русские называют их черкесы; некоторые предполагают, что это имя татарское, поскольку Scher — означает «Дорога» а Kes — «отрезоть», что даст имени черкесов значение «отрезающие путь» (Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII—XIX вв., Нальчик, 292). «Кабардинцы считают себя по происхождению арабами; может быть это остатки тех войск, которые халифы когда-то посылали на Кавказ. Другие же ведут их происхождение от мамелюков (იქვე, 216); ადიღეს უკავშირებენ აგრეთვე „მზეს“ — „მზის ხალხს“, ქართულ დღეს — „დღე“. იხ. აგრეთვე, Паллас, Заметки о путешествиях в южные наместничества Российского государства в 1793 и 1794 гг.). შესაძლოა სპენსერს ეს მოსაზრებები აქვს მხედველობაში, როდესაც მსჯელობს ჩერქეზთა წარმოშობაზე კ. კოხის შენიშვნა, რომ სპენსერი ცდება, მართებულია, თუმცა ამ შეცდომისათვის საფუძველი არსებობდა.

102. ალანები — ოსები. ინდოევროპულ-სკვითურ-სარმატული წარმოშობის ტომი, რომელიც ძველ და ახალ წელთაღრიცხვის მიჯნაზე გამოჩნდა ჩრდილო კავკასიის ასპარეზზე. VI ს. ბიზანტიის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი აღნიშნავს: „აქ (კავკასიაში — ლ. მ.) ბევრი სხვადასხვა ტომი ცხოვრობს. მათ შორის ალანებიც და აბაზგებიც, რომლებიც ქრისტიანები არიან და ძველთაგანვე რომაელთა მეგობრები...“ (გეორგიკა, II, 100). Гаглойти Ю. С., Этногенез осетинского народа, Тб., 1965, с. 56).

103. ადიღეური ენა ეკუთვნის იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს.

104. კასაქები — კასოგი (კასოგი, კაზახი, კაშაკი) — ადიღელთა სახელწო-

დება, რომელიც გვხვდება საშუალო საუკუნეების წერილობით წყაროებში „კასოგი“, „კოსოგი“, „კაზახი“ და „კაშაკი“-ს ფორმით. საფიქრებელია, რომ ეს სახელები წარმოადგენს ერთიდაიგივე სახელწოდების ნაირსახეობებს. ადიღელებს შუა საუკუნეებში გავრცელებული სახელწოდება „კასოგი“, „კაზახი“ შემორჩა XIX საუკუნემდე. ოსები ყაბარდოს ქასაგს, ყაბარდოელს კი ქასგონს უწოდებდნენ, ხოლო მეგრელები ჩერქეზებს — კაზახმეფეს. ამ ეთნიკური ტერმინის მნიშვნელობა გაურკვეველია. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტერმინი „კაზახი“ თურქულენოვანია („კაზახ“, „კაზალ“-ი ნიშნავს „მარტოს“). თურქულ ტომებს, რომლებიც ადიღელების მეზობლად ცხოვრობდნენ, შეეძლო შეერქვათ მათთვის ეს სახელი (იხ. Очерки истории Кабардино-Черкесии, т. I, Ставрополь, 1967, 127). სახელწოდება კასოგები გვხვდება ბერ ეპიფანესთან (VIII—IX სს.), კონსტანტინე პორფიროგენეტთან, მასუდი ყველა ადიღეს „კაშეკ“-ს ან „კაშკ“-ს უწოდებს (იხ. Г. А. Меликишвили, К вопросу об этнической принадлежности кашков, М. (О.), т. III, 1953 (на груз. яз.); З. Анчабадзе, История и культура древней Абхазии, 175.

105. კერკეტები — შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მცხოვრები ტომი, რომელთაც შემდეგდროინდელ ჩერქეზებთან აიგივებენ. კერკეტები ხშირად იხსენიებიან ძველ ავტორებთან (სტრაბონი, არიანე, ამიანე, მარცელიანე და სხვ. (იხ. გეორგიკა, II, 13, 28).

106. ჭუჩუკ-კაინარჯის ზავის მიხედვით, რომელიც 1774 წ. დაიდო რუსეთსა და თურქეთს შორის, ყაბარდო გამოცხადდა დამოუკიდებლად.

107. იგულისხმება ერეკლე II (1720—1798). 1744 წელს იგი გამეფდა კახეთში, ხოლო 1762 წლიდან ქართლ-კახეთის, ე. ი. მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მეფეა. 1783 წ. ერეკლემ ხელი მოაწერა გეორგიევსკში დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო შევიდა რუსეთის მფარველობის ქვეშ.

108. იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ I (1735—1784). მეფობდა 1752—1784 წწ. სოლომონის ინიციატივით აიკრძალა ტყვეთ გაყიდვა; მან მოახერხა ურჩი ფეოდალების დამორჩილება და თავისი გავლენის გავრცელება გურიასა და სამეგრელოზე. 1784 წელს სოლომონ I რუსეთის მთავრობას თხოვა იმერეთიც მიეღო თავისი მფარველობის ქვეშ.

109. იგულისხმება სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი (1788—1804).

110. ავტორი ცდება, როდესაც წერს, რომ ერეკლე პრეტენზიებს აცხადებდა იმერეთის ტერიტორიაზე. როგორც ცნობილია, ერეკლესა და სოლომონს შორის (აქ, ვფიქრობთ, მოგზაური სოლომონ I გულისხმობს) „საშინელი ომი“ არასოდეს ყოფილა. მართალია, მათ შორის არსებობდა უთანხმოება და უკმაყოფილება, მაგრამ ისინი ძირითადად მაინც ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის პოლიტიკას ადგნენ. 1753 წელს (ზოგი წყაროს მიხედვით 1758 წ.) იმერეთის მეფე სოლომონ I და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II შორის სამხედრო კავშირიც კი დაიდო. „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველოთო“. ეს კავშირი 1770 წლამდე არ დარღვეულა; 1773 წელს აღდგა მათ შორის კავშირი. ის ფაქტი, რომ სოლომონ I თავის მემკვიდრედ ერეკლეს შვილიშვილი დავით არჩილის ძე აღიარა, მათ შორის კეთილგანწყობილებაზე მიუთითებს. XVIII საუკუნის 70-იან წლებში, როდესაც ირანსა და ოსმალეთს შორის ურთიერთობა გამწვავდა და ორივე სახელმწიფომ მოკავშირეობა თხოვა ერეკლეს, მან ოსმალეთის მხარე დაიჭირა, რითაც იმერეთის მეფის უკმაყოფი-

ლება გამოიწვია. ამავე პერიოდში იმერეთში გამოჩნდა ქართლის ტახტის მაძიებელი ალექსანდრე ბატონიშვილი, ბაქარის ძე. ეს უთანხმოება დროებითი ხასიათისა იყო და მას დამოკიდებულება ამ ორ მეფეს შორის არ გაუმწვაესებია. მით უფრო საქმე „საშინელ ომამდე" არ მისულა, რაც, ე. სპენსერის თქმით, „დიდხანს გრძელდებოდა". არც ის არის სწორი, რომ „ქართლის მეფემ თავისი სახელმწიფო რუსეთს უანდერძა, ხოლო იმერეთის მეფე გაძევესო" — როგორც ამას ე. სპენსერი წერს. შესაძლებელია ამ უკანასკნელ შემთხვევაში ავტორი სოლომონ II გულისხმობდეს, რომლის დროსაც, მართლაც, გაუქმდა იმერეთის სამეფო. სოლომონ II (დავით არჩილის ძე), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერეკლეს შვილიშვილი იყო და ერეკლეს სიკვდილამდე მისი ერთგული. აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ მისი გაძეფების დროს ერეკლეს ჰკონდა შესაძლებლობა შემოეერთებინა იმერეთის სამეფო, მაგრამ ერეკლემ თვითონ არ ისურვა ეს (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965).

111. ვლადიკავკავი — ახლანდელი ორჯონიკიძე, მდებარეობს დარიალის ხეობის შესასვლელში. 1863 წელს იგი გადაიქცა საოლქო ქალაქად. ვლადიკავკავი დიდი მნიშვნელობის სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო მნიშვნელობის ცენტრი იყო.

112. იგულისხმება დიდი და მცირე ყაბარდო. XVI საუკუნეში ყაბარდოელებით დასახლებულ ტერიტორიაზე ფეოდალურ დაჯგუფებათა შედეგად წარმოიქმნა ორი ყაბარდო: დიდი და მცირე. დიდი ყაბარდო მოიცავდა ტერიტორიას მდ. თერგის დასავლეთით, მცირე კი — თერგსა და სუნჯას შორის. ბელგრადის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე 1739 წ. ყაბარდო „სუვერენულ" და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა. იგი გადაიქცა რუსეთსა და თურქეთს შორის ბარიერად; ყაბარდოს ნეიტრალიტეტის დაცვა ეევალებოდა, ხოლო, თავის მხრივ, რუსეთი და თურქეთი არ უნდა ჩარეულიყვნენ ყაბარდოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში. ყაბარდოს ნეიტრალიტეტი არ შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს. ყაბარდო ფაქტიურად კელკ თურქეთისა და ყირიმის სახანოს აგრესიის ობიექტი დარჩა. რუსეთისათვის მიუღებელი იყო მის მეზობლად დამოუკიდებელი და ერთიანი ყაბარდოს არსებობა. ამან განაპირობა რუსეთის პოლიტიკა, ბელგრადის ხელშეკრულების გაუქმება და ყაბარდოს შემოერთება. ქეჩუკ-კაინარჯის ზავის შედეგად ყაბარდოს საკითხი საბოლოოდ გადაწყდა რუსების სასარგებლოდ. (იხ. История Кабардино-Балкарской АССР, т. I, М., 1967, 167—171; თ. ბოცვაძე, საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1963, 100).

113. ნოღაელები — თურქული მოდგმის ხალხი, ბინადრობენ ჩრდილო კავკასიაში, ყირიმსა და სამხრეთ უკრაინაში.

114. სულთან ჯელალ-ედ-დინი — ელიას მანსურის მოგონილი ნინაპარი.

115. ჩინგის-ხანი — მონღოლთა იმპერიის დამაარსებელი (1155—1227 წწ.).

116. ახულგო — ციხესიმაგრე მთიან დაღესტანში. 30-იანი წლების დამდეგს შამილი თავისი ჯარით გამაგრდა ამ ციხესიმაგრეში. მთიელებმა ივი აეღებელ და მიუდგომელ ციხესიმაგრედ აქციეს. რუსის ჯარებმა არაერთხელ სცადეს მისი აღება, მაგრამ ცდას დიდხანს შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს, 1839 წელს ახულგოს ასაღებად გაიგზავნა დიდი ჯარი და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ახულგო ხელთ იგდეს რუსებმა. შამილმა ამჯერადაც (როგორც გიმრის ალყის დროს) მოახერხა ხელიდან გასხლტომოდა მტერს და გადასულიყო ჩეჩნეთში. მისი საუნულებრა-

ვი ვადარჩენა დაედო საფუძვლად იმ ლეგენდებს, რომლებიც არსებობს შამილის გმირობათა შესახებ.

117. გიმრი — (ყოისუბუ), აული დაღესტანში, სადაც დაიბადა ღაზიმოჰამედი და შამილი. იგი ითვლება მიურიდიზმის სამშობლოდ. გიმრი მდებარეობს ონოკოქოლოდან 4 კმ-ის დაშორებით, ავარიის ყოისუს მარჯვენა ნაპირას, ღრმა ხეობაში.

118. ჯელალ-ედ-დინი — ჯელალ-ედ-დინ ყაზი-ყუმუხელი, მიურიდიზმის ერთ-ერთი ცნობილი მამამთავარი, შამილის მასწავლებელი, მისი უახლოესი მრჩეველი და ნათესავი (ჯელალ-ედ-დინის ასული ზაიდათი შამილის ერთ-ერთი ცოლი იყო). ჯელალ-ედ-დინი დიდად განსწავლული პიროვნება იყო. მას ეკუთვნის შრომა ტარიკათის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა რუსულად კრებულში «Сведения о Кавказских горцах», 1869, II, 1—22 (იხ. გრ. ორბელიანი, წერილები, I, 259).

119. ალი და ომარი — პირველი მართლმორწმუნე ხალიფები. ალი იყო მუჰამადის სიძე, უკანასკნელი მართლმორწმუნე ხალიფა (656—66), ხოლო ომარი რიგით მეორე ხალიფა (634—644).

120. მიურიდი — მიურიდიზმის მიმდევარი. მიურიდიზმი იყო რელიგიური მოძღვრება, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა მთის კავკასიურ ხალხებში XIX საუკუნის 20-იან წლებში. იგი მოედო მთელს ჩრდილო კავკასიას და შეერწყა „ჰაზავათს“ — „საღმრთო ბრძოლას“, რომელიც მიმართული იყო შეფის რუსეთის წინააღმდეგ. მიურიდი აღმოსავლური სიტყვაა და ნიშნავს „ჭეშმარიტების მაძიებელს“. მიურიდიზმი, როგორც რელიგიური და ნაციონალური მოძრაობა, გაბატონებული იყო დაღესტანსა და ჩეჩნეთში შამილის დატყვევებამდე. მიურიდიზმის მიმდევრებს ხელმძღვანელობდნენ ყაზი-მოლა, ჰამზად-ბეგი და შამილი.

121. მურთაზიტები — ანუ ჰაჯირითები, მუსლიმანური სარწმუნოებისათვის თავდადებული მეომრები.

122. იგულისხმება შამილის მიერ იმამათის საერო და სასულიერო ხელისუფლების გაერთიანების მიზნით ჩატარებული რეფორმები.

123. სარაცინი — (ლათ. Saracini) ასე უწოდებენ ძველი ავტორები არაბეთის სამხრეთ-დასავლეთის მოსახლეობას. პირველად ამ სახელწოდებას ვხვდებით პტოლემაიოსთან (II ს.). ადრე შუა საუკუნეებში ეს სახელწოდება გავრცელდა მთელი არაბეთის მოსახლეობაზე, ხოლო ჯვაროსანთა ლაშქრობის დროს ეს ტერმინი გავრცელდა ისლამის აღმსარებელ ყველა ხალხზე

124. როზენი — ბარონი, გენერალ-ადიუტანტი (1788—1841); 1831—1837 წლებში იგი იყო კავკასიის მთავარმართებელი. 1832 წელს მან აიღო გიმრის ციხე; 1837 წელს გადააყენეს თანამდებობიდან მთიელებთან ომში წარუმატებლობის გამო.

125. აქ ახულგოს ნაცვლად უნდა იყოს გიმრი. თვითონ ე. სპენსერი წერს, რომ რუსებმა ალყა შემოარტყეს ციხესიმაგრე გიმრს. ოდნავ ქვევით კი იგი შეცვლილია ახულგოთი. ათიოდე გვერდის წინ ე. სპენსერი ყაზი-მოლას სიკვდილთან დაკავშირებით შეცდომით ასახელებს ახულგოს. სინამდვილეში ეს მოხდა გიმრის ალყის დროს.

126. ყოისუ — მდინარე დაღესტანში. ანდიის ყოისუ ორი შტოსაგან შედგება. პირველი სათავეს იღებს ბორბალას მთიდან (თუშეთი), მეორე დიდოეთიდან.

127. ჰამზად-ბეი — ჰამზად-ბეგ გოცატლელი, დაღესტნის და ჩეჩნეთის მეო-

რე იმამი. იმამად იგი აირჩიეს ყაზი-მოლას სიკვდილის შემდეგ. იგი შამილის ერთგული მეგობარი და თანამებრძოლი იყო. ჰამზად-ბეგი მოკლეს 1834 წელს ხუნძახელმა ძმებმა ჰაჯი-მურადმა და ოსმანმა, ხუნძახის მეჩეთში ღვთისმსახურების შესრულების დროს. ძმებმა ამით შური იძიეს თავის დროზე ჰამზად-ბეგის მიერ ხუნძახის აღებისა და მისი ხანების ამოწყვეტისათვის.

128. ავარეთი — ავარიის ხუნძეთის სახანო (სანუცალო) დაღესტნის ფეოდალურ გაერთიანებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. იგი მოიცავდა დაღესტნის ცენტრალურ ნაწილს (ცენტრი ტანუსი). „XV—XVI საუკუნეების მიჯნაზე დაღესტანში ყველაზე უფრო მსხვილი ფეოდალური გაერთიანებები იყო ავარიის სახანო და ყაზიყუმუხის საშამხალო“ (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 88).

129. პასკევიჩი ივანე თევდორეს ძე (1782—1856 წწ.), ინფანტერიის გენერალი, კავკასიის ჯარების კორპუსის სარდლად დაინიშნა 1826 წელს გენერალ ერმოლოვის შემდეგ.

130. ე. სპენსერი ცდება, შამილი იმერეთამდე და სამეგრელომდე არასოდეს მისულა. სავსებით სწორია კ. კოხის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ შამილი დაღესტნის, ლეზგისტანის გარკვეული ნაწილის და სამხრეთ ჩეჩნეთის ერთპიროვნული მმართველი იყო მხოლოდ.

131. კენტავრი — მითოლოგიური არსება, ნახევრად ადამიანი და ნახევრად ცხენი. ე. სპენსერი აქ გარკვეული აზრით ატარებს ანალოგიას „გვერილიასებს“ (პარტიზანებსა) და კენტავრს შორის. ცხენის მუცელზე მიწებებულმა მხედარმა, რომელიც ამ საშუალებით იცავდა თავს მტრის ტყვეისაგან, კენტავრის ასოციაცია გამოიწვია ავტორში.

კ. კ ო ხ ი I — მოგზაურობა რედუტ-კალედან ტრაპეზუნამდე (კოლხეთი და ლაზების ქვეყანა)
II — საომარ მოქმედებათა ასპარეზზე გამგზავრება

1. ერზერუმი — არზრუმი.

2. ფაშ-კალე — (თურქ.) ფოთი.

3. ფოთი რუსებმა საბოლოოდ აიღეს 1828 წლის 15 ივლისს (მანამდე იგი ოსმალეთის ხელში იყო).

4. რიონსკი — მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირას მდებარე ახალი რუსული ციხესიმაგრე.

5. დიოგენე — (ძვ. წ. 404—323 წწ.) ბერძენი ფილოსოფოსი, ცინიკოსთა სკოლის დამაარსებელი.

6. ესკულაპე — ასკლეპიოსი, აპოლონის და კოროდინის ვაჟი, მკურნალობის ღმერთი; მკურნალობა ისწავლა კენტავრ ხირონისაგან. გადატანითი მნიშვნელობით ექიმებსა და ექთნებს უწოდებენ.

7. ტროადის ომი — ძვ. XIII—XII სს. წარმოებული ომი ბერძნებსა და ტროელებს შორის.

8. არგონავტები — ხომალდ „არგოთი“ კოლხეთში ოქროს საწმისისათვის ჩატარებული ლაშქრობის მონაწილე გმირების სახელწოდება.

9. იასონი — არგონავტების შესახებ ძველი ბერძნული მითის მთავარი გმირი, ლაშქრობის ხელმძღვანელი, იოლკოსის მეფის ესონისა და პოლიმედეს ვაჟი.

10. აია, ეა — წმინდა კოლხური ძველი ქალაქი, სადაც იდგა იასონის ტაძარი (იხ. მ. ბერძნიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969).

11. ფრიქსოსი — ფრიქსე, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ათამანტისა და ღრუბელთა ღმერთქალის ნეფელეს ვაჟი. მითის მიხედვით, ათამანტმა რომ მეორე ცოლი შეირთო, დედინაცვალმა შეიძულა გერები და ფრიქსოსი და ჰელე ღმერთებს შესწირა მსხვერპლად. ნეფელემ შვილების გადასარჩენად ღრუბლები შემოახვია მათ, ოქროს ვერძზე შესვა და კოლხეთში გაგზავნა აიეტ მეფესთან.

12. ჰერაკლე — (ჰერკულესი) საბერძნეთის ყველაზე პოპულარული სახალხო გმირი, ზევსისა და ალკმენეს ვაჟი; ჰერაკლეს მიეწერება 12 გმირობა. მითის მიხედვით იგი არგონავტების ლაშქრობის მონაწილეა.

13. თეზევსი — ათენის მეფის ეგეოსის (ზოგიერთი მითის მიხედვით პოსეიდონის) და ეთრას ვაჟი. ძველად იგი ისტორიულ პიროვნებად მიიჩნდათ. არსებობს მისი ბიოგრაფია შედგენილი პლუტარქეს მიერ. არგონავტების ლაშქრობის მონაწილე (იხ. პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, თბ., 1975).

14. არგო — ხომალდი „არგო" ააშენა ორესტორის ვაჟმა არგოსმა; თვით ქალღმერთი ათინა ეხმარებოდა მას ხომალდის მშენებლობაში. „არგო" იყო ათნიჩპიანი ხომალდი, მსუბუქი, და სწრაფი. ამ ხომალდის სახელის მიხედვით ეწოდა ლაშქრობის მონაწილეებს არგონავტები.

15. ფაზისი — მდინარე რიონის ძველი სახელწოდება. (გეორგიკა, I, გვ. 2, 4, 23—24, 33, 102 და სხვ.).

16. იგულისხმება პელიასი, იოლკოსის მეფე, იასონის ბიძა, პოსეიდონისა და ტიროს ვაჟი.

17. იგულისხმება მედეა, კოლხეთის მეფის აიეტის ასული; არგონავტების შესახებ ძველი ბერძნული მითის გმირი, გრძნეული.

18. ჰეროდოტე — ძველი ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფოსი, დაიბადა 484 წ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე და გარდაიცვალა დაახლოებით 426 წელს. „ისტორიის მამა" (ციცერონი); აქვს საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ. ავტორი აქ გულისხმობს ჰეროდოტეს ცნობას იმის შესახებ, რომ რესოსტროსმა ილაშქრა აზიაში, დაიპყრო რუსეთი, სკვითები და მდინარე ფაზისთან დატოვა თავისი ლაშქრის ნაწილი, საიდანაც წარმოიშვნენ კოლხები (იხ. ა. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, 152; თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტე, ისტორია, ტ. I, 1975, 28, 155—156).

19. ფაზისი — მდინარე ფაზისზე გაშენებული ამავე სახელწოდების ქალაქი, დღევანდელი ფოთის ძველი ბერძნული სახელწოდება. ძველი ფაზისის ადგილმდებარეობას ახლანდელი ფოთის ოდნავ აღმოსავლეთით ვარაუდობენ (იქ, სადაც „ნაჯიხური" ციხის ნაშთია). იგი დააარსეს მილეთელმა კოლონისტებმა ძვ. წ. VI საუკუნის I ნახევარში (იხ. Н. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды, ВДИ, 1957, № 4; მ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფაზისის ისტორიისათვის, 1969; გეორგიკა, ტ. I, 112, 154; ტ. II, 4).

20. ლინე — (Carolus Linneus 1707—1778), კარლ ლინეი, ცნობილი შვედი ბუნებისმეტყველი და ნატურალისტი. 1762 წლიდან Carl Linné-დ იწოდება, ისე რომ კოხის დაწერილობა ლინე — შეცდომა არაა. ლინემ მსოფლიო აღიარება მოიპოვა მის მიერ შექმნილი ცხოველური და მცენარეული სამყაროს კლასიფიკაციით.

21. გიორგი XIII ანუ XII — ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (1798—

1800 წწ.). 1801 წლის 12 სექტემბერს გამოცხადდა მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის შესახებ.

22. კონსტანტინე პორფიროგენეტი — X საუკუნის I ნახევრის ბიზანტიელი ისტორიკოსი, ბიზანტიის იმპერატორი; მოეპოვება საინტერესო ცნობები ბაგრატიონთა დინასტიისა და მათი გენეალოგიის შესახებ (იხ. გეორგიკა, VI, ნაკ. I, თბ., 1941, 224—300).

23. იგულისხმება ბიბლიური დავითი.

24. მონტგომერები — ძველი ფრანგული სამეფო საგვარეულო.

25. მსხის მთა — იგულისხმება მესხეთის ქედი.

26. ადრანუცინი — არტანუჯი. „არს არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურაპალატმან და აღაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პაველსა. მოკლეს მას შინვე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯის ეკლესია გუმბათიანი, კეთილ-დიდშვენიერთაგანი. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი... არს არტანუჯი ვენახიანი, ხილიანი, მარცვლიანი, ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირე-ველოვანი" (ვახუშტი, 137).

27. იგულისხმება იმერეთის მეფე სოლომონ II (1789—1810). 1810 წელს რუსების მთავრობამ მოტყუებით შეძლო მისი დატყვევება და მოისტაცა მისი პეტერბურგში გადასახლება, მაგრამ სოლომონ II ტყვეობიდან გაიქცა და ოსმალთა ხელში მყოფ ახალციხეში ჩავიდა. 1810 წ. მეფის რუსეთმა იმერეთი დაიპყრო და იქ რუსული მმართველობა დააწესა.

28. სამეგრელოს მთავარი ლევან V დადიანი (1804—1846).

29. კოხი აქ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ აფხაზეთის მთავარს გიორგი (საფარ-ბეგ) შარვაშიძეს ცოლად ჰყავდა სამეგრელოს დროებითი მთავრის ასული ნინო დადიანი.

30. დიუბუა დე მონპრე — ფრედერიკ დიუბუა დე მონპრე (1798—1850 წწ.) ცნობილი ფრანგი მეცნიერი, გეოლოგი, არქეოლოგი; იმოგზაურა კავკასიაში 1833 წელს (ყირიმში, კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოში). მისი თხზულება, რომელიც დღიურების სახით არის ჩაწერილი, წარმოადგენს მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომს, რომელშიც მოგზაური დეტალურად აღწერს კავკასიის ისტორიას, ეკონომიკას, ფლორას, ფაუნას და სხვ. (იხ. В. Гарданов, Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII—XIX вв., Нальчик, 1974, 435—458).

31. პიჩორა — მდ. ფიჩორა, ფოთის მახლობლად, ერთეის პალიასტომის ტბას.

32. პალიასტომი — ტბა საქართველოში; იგი შავ ზღვას უერთდება მდ. კაპარჭინათი. ბერძნულად პალიასტომი ნიშნავს ძველ ღრუს, ძველ შესართავს (იხ. მ. ბერძნიშვილი, ჭალაქ ფაზისის ისტორიისათვის, 1969, 166—167).

33. როგენერი — იმერეთის მეფის მებაღე. მანამდე მუშაობდა ოდესის ბოტანიკურ ბაღში (იხ. ტექსტი).

34. შარდენი — ჟან შარდენი (1643—1713), XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური, რომლის თხზულებაში „მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში" დაცულია მეტად მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს შესახებ (იხ. „ჟ. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსაელეთის სხვა ქვეყ-

ნებში". ცნობები საქართველოს შესახებ, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1975).

35. იგულისხმება მამია გურიელი, გურიის მთავარი, რომელიც გარდაიცვალა 1826 წელს. მისი მემკვიდრე იყო დავითი, ამ დროს მცირეწლოვანი. არსად არ ჩანს, რომ იგი პეტერბურგში ყოფილიყო. სამთავროს ხელისუფლება გადაეცა მის მეუღლეს სოფიო გურიელს, რომლის უფლებები ძალზე შეზღუდეს რუსებმა. სოფიო, იმისათვის, რომ სამთავროს არსებობა შეენარჩუნებინა, იძულებული გახდა ოსმალეთს დაკავშირებოდა და აჭარაში წასულიყო. 1828 წელს რუსეთის მთავრობამ ფაქტიურად გაუქმა გურიის სამთავრო. იქ რუსეთმა „დროებითი მმართველობა" შემოიღო და რუსი მოხელე ჩაუყენა მას სათავეში. მამია გურიელს, დავითს გარდა, ჰყავდა ასული ეკატერინე. 1829 წელს სოფიო გარდაიცვალა. მთავრის მემკვიდრე დავითი და ასული ეკატერინე ოსმალეთის სულტნის კარზე აღმოჩნდნენ. 1832 წელს რუსეთის ელჩის შუამდგომლობით ეკატერინე და მისი ძმა დავითი სამშობლოში დაბრუნდნენ. არსაიდან არ ჩანს, რომ დავითი რუსეთის მეფის კარზე ზიარებოდა ევროპულ კულტურას (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1957 წ.).

36.— იგულისხმება დავითი, მამია გურიელის ვაჟი.

37. სუფსა — მდინარე დასავლეთ საქართველოში.

38. ფუტი — სიგრძის ერთეული, რომელიც იხმარებოდა რუსეთში მეტრული სისტემის შემოღებამდე. ინგლისური ფუტი უდრის $^1/_7$ საჟენს.

39. ოზურგეთი — ახლანდელი მახარაძე, რომელიც იწოდებოდა ოზურგეთად 1934 წლამდე. „შემოქმედის ქვეით, არის ო ზ უ რ გ ე თ ი, სასახლე დიდშენი, კეთილ-პალატოვანი, გურიელისა" (იხ. ვახუშტი... 175).

40. წმინდა ნიკოლაი — იხ. სანქტ-ნიკოლაი.

41. სანქტ-ნიკოლაი — წმინდა ნიკოლოზის ციხესიმაგრე (იხ. სპენსერი, კომენტარი 42).

42. ჩურუქ-სუ — (თურქ.) ჩურუკ-სუ, ნიშნავს „დამპალ წყალს", თურქული სახელწოდებაა ქობულეთისა.

43. თუღი — იგივე ბუნჩუკი, გრძელ ტარზე წამოგებული ოქროს ან ოქროფერილი ბურთი, რომელსაც თავზე აქვს ნახევარმთვარე. ბურთის ქვემოთ დაშაგრებულია ცხენის ძუის კონა; დიდ მოხელის ღირსებისა და ჩინის მაჩვენებელი (არსებობს ერთ, ორ და სამ თუღიანი პირები: ერთთუღიანი არის სანჯაყბეგი, ორთუღიანი — ბეგლარ-ბეგი, სამთუღიანი კი — ვეზირი. თურქეთის სულთანს ჰქონდა 6 თუღი).

44. კოლოვადაღი — (თურქ.) კოლა-დაღი ანუ კოლას მთა, რომელიც აღმოსავლეთ ნაწილში თურქეთს პყოფს რუსეთისაგან და წარმოადგენს ბუნებრივ საზღვარს მათ შორის.

45. კინტრიში — ახლანდელი ქობულეთი.

46. ციხისჯვარი — კ. კოხი ცდება, აქ უნდა იყოს ციხისძირი.

47. პეტრა — ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე. „ბიზანტიური წყაროების ციხე-ქალაქი პეტრა ხანგრძლივი დავა-მსჯელობის შემდეგ გაიგივებულ იქნა აჭარის ციხისძირთან..." (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, 208).

48. აჭარ-სუ — (თურქ.) აჭარის წყალი.

49. აბდულ-ფაშა — ტრაპიზონის ფაშა.

50. იგულისხმება თურქეთის სულთანი მაჰმუდ II (1788—1804).

51. ლაზები — ანუ ზანები, კოლხეთის ტომი. IV საუკუნეში ლაზების მთავარმა გააფართოვა თავისი სამფლობელო, შემოიერთა მეზობელი ტომები და წარმოიშვა ახალი სამეფო, რომელსაც რომაელები ლაზიკას ეძახდნენ, ქართულ წყაროებში კი ეგრისად იწოდებოდა (იხ. სპენსერი კომ. 91).

52. VI საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება დიდი და ხანგრძლივი ომები ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ლაზეთში პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის. ეს ომები ლაზეთის ტერიტორიაზე წარმოებდა და ლაზეთის სამეფო საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გაელენის სფეროში მოხვდა (იხ. ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, 190).

53. „ათიათასიანი ლაშქარი" — იგულისხმება ათიათასი ბერძენი მოქირავნის ლაშქრობა კიროსის მეთაურობით სპარსეთის მეფის არტარქსერქს II წინააღმდეგ ძვ. წ. 401 წელს. ბაბილონთან დამარცხებული ბერძენი მოქირავნეები იძულებული იყვნენ გზა გაეკაფათ შავი ზღვით ელადისაკენ. გზად მათ მოუხდათ ქართველი ტომებით დასახლებული ადგილების გავლაც. ეს ლაშქრობა აღწერა მისმა მონაწილემ ქსენოფონტმა თავის „ანაბასისში" (იხ. Ксенофонт, Анабасис, М. И. Максимова, М-Л., 1951; თ. მიქელაძე, ქსენოფონტის „ანაბასისი", თბ., 1967).

54. მითრიდატე დიდი — იგივე მითრიდატე VI ევპატორი, პონტოს მეფე, კოლხიდის დამპყრობი (იხ. სპენსერი, კომ. № 15).

55. პომპეუსი — გნეუს პომპეუსი (ძვ. წ. 106—48 წწ.), რომის მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

56. ყარსი — ყარსის ოლქის მთავარი ქალაქი.

57. გენერალმა პასკევიჩმა 1828 წლის რუსეთ-თურქეთის ომის დროს დიდ წარმატებას მიაღწია. 23 იელისს მან აიღო ციხე-ქალაქი ყარსი, ხოლო არზრუმი — 1829 წლის 27 იენისს. ყარსის აღებისას ემინ-ფაშა რუსებს ტყვედ ჩაეგარდა მთელი თავისი შტაბით (იხ. ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკ., თბ., 1954, 126; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 882—83).

58. კახაბერ-ოვა — კახაბერის დაბლობი.

59. აქისქა — (თურქ.) „ახისხა", ახალციხის თურქული ფორმა. თურქები ქალაქსაც და პროვინციასაც ახისხას უწოდებენ. ოსმალური წყაროების მიხედვით, მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიპყრეს. სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიები, ახალციხის, არტაანისა და ჰოროხის ყელზე მდებარე ტერიტორია გაერთიანდა და შეიქმნა ახალი საბეგლარბეგო ჩილდირის ვილაიეთის სახელწოდებით; ქართულ წყაროებში აღნიშნული საბეგლარბეგო ახალციხის საფაშოდ იწოდებოდა (იხ. ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თბ., 1958, წ. III, 42—50; მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს. თბ., 1971, 131—133).

60. ახალციხე რუსეთის ჯარებმა დაიკავეს 1828 წლის 16 აგვისტოს.

61. ანალოგიური მოსაზრებებს გამოთქვამს არაერთი უცხოელი მოგზაური (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიის მონად გაყიდული ქალების შესახებ). XVI საუკუნის ფრანგი მოგზაური დე ლა მოტრე ჩერქეზეთში ყოფნის დროს გაოცებული იყო, როგორ თავაზობდნენ მას ტყვე ქალების ყიდვას არა მარტო წარჩინებულები, არამედ მდაბიო წრის წარმომადგენლებიც. მოგზაური განცვიფრებული ჰყვება, როგორი სიხარულით ტოვებდნენ გაყიდული ქალები საკუთარ კუთხეს და დიდ იმედებს ამყარებდნენ, რომ ბედნიერებას ეზიარებოდნენ სულთნების პარამხანაში. ტებუ დე მარინი (XIX საუკუნის I ნახევარი) იგივეს იმეო-

რებს და დასძენს, რომ კავკასიის ტყვე ქალები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდნენ თურქეთის სულთნების კარზე. ისიც მსგავსად კ. კოხისა (უ. წ. ალბათ, კოხი იმეორებს ტებუ დე მარინის ცნობას) ანალოგიას ატარებს ტყვედ ნასყიდი ქალების მდგომარეობასა და თანამედროვე ზანგების მდგომარეობას შორის (იხ. აგრ. თვ., Торнау, Воспоминания кавказского офицера, ч. J, M., 1964).

62. ჰამერ პურგშტალი — იოსებ ჰამერი, ავსტრიელი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე, ავტორი „ოსმალეთის იმპერიის ისტორიისა" (I. Hammer, Histoire de L'Empire Ottoman, Paris, 1834—1849,

63. იგულისხმება სულთან მაჰმუდის სამხედრო და სამოქალაქო რეფორმები. ცენტრალიზებული ფეოდალურ-აბსოლუტური იმპერიის შექმნის მიზნით სულთან მაჰმუდ II ჩაატარა რიგი სამხედრო და სამოქალაქო რეფორმებისა. 1826 წელს მან გამოსცა ბრძანებულება რეგულარული ჯარის შესაქმნელად. 1834 წელს მან შემოიღო ახალი ადმინისტრაციული დაყოფა და შეცვალა სამხედრო ლენური სისტემა; ევროპულ ყაიდაზე შექმნა შინაგან და საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროები; სასტიკად გაილაშქრა ფეოდალურ-სეპარატული ტენდენციების წინააღმდეგ და ჩაახშო ნაციონალურ-განმათავისუფლებელი აჯანყებები. 1838 წელს სულთანმა ხელი მოაწერა სავაჭრო კონვენციას ინგლისთან.

64. ართვინი — პატარა პროვინციული ქალაქი 10 000 მცხოვრებით, მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე. „და ამ ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ა რ თ ვ ა ნ ი, ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან ვაჭარნი" (ვახუშტი, 136).

65. გონიო — ძველი ციხესიმაგრე შავი ზღვის სანაპიროზე ბათუმის მახლობლად. „ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამკრეთის კიდეზე, არს გ ო ნ ი ა, მცირე ქალაქი და ციხე. უპყრავთ ოსმალთა, რომელი აღაშენეს ქრისტესსა ჩფმზ, ქართულსა სლ" (ვახუშტი, 176).

66. დერებაი — ხევის ბეგი, ხევისბერი.

67. ხოფა//ხოფი — პატარა ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე 6 000 მცხოვრებით. მდებარეობს მდ. ხოფას შესართავთან, ხოფის უბეში. ძველად ციხე ხუფათი (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 204).

68. მაკრიჰი — უნდა იყოს მაკრიალი, ხოფის რაიონში.

69. ჰელიმ-ბეი — გენერალ-მაიორი, ლაზისტანის გუბერნატორი, ლაზისტანის ფაშა.

70. ავტორი აქ გულისხმობს შავი ზღვის ევქსინის პონტოს სახელწოდებას, რაც ნიშნავს სტუმართმოყვარეს (ძველი ავტორები შავ ზღვას ევქსინის პონტოს უწოდებდნენ ანუ „არასტუმართმოყვარეს"). შემდეგში იგი იქცა ევქსინის პონტოდ, ე. ი. „სტუმართმოყვარედ".

71. ათინა — მცირე ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე; ამ ადგილს დღეს ფაზარი ეწოდება (არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, 6, 101 და სხვ.). „არიანეს შემდეგი შესასვენებელი პუნქტი არის პონტოს ქალაქი ათინი. აქ არიანე მეტად ვრცლად მსჯელობს ქალღმერთ ათინას ტაძარზე, ციხე-სიმაგრეზე, ჰავაზე და ადგილის, როგორც ნავსადგურის თვისებებზე. ეს ადგილი დღესაც არ გამქრალა და სახელით „ფაზარი" განაგრძობს არსებობას" (არიანე, მოგზაურობა..., ნ. კეკელიძის შესავალი, გვ. 6; იხ. აგრეთვე, პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 206 და სხვ.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, 160; გეორგიკა, II, 17, 18, 29).

72. **ბათვისი** — ბათუმი (იხ. გეორგიკა, II, 22—23; ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. X, 1950—51 წ., გვ. 17—23). მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროს ვიწრო დაბლობზე.

73. **რიზე** — ძველი ციზა (იხ. ტექსტი).

74. **არხაბისი** — ძველი არხავეჯი, ახლანდელი არქაბე.

75. **არხავეჯი** — არხაბისი, არქაბე, ქალაქი ევქსინის პონტოს ნაპირას ათინას მახლობლად (იხ. გეორგიკა, II, 123).

76. **რიცუსი** — რიზე ერთ-ერთი სამხარეო ერთეული იყო სამხრეთ კოლხეთისა (ჭანეთის ანუ ჭანეთ-ლაზეთის). ადრეული საშუალო საუკუნეებიდან რიზეს მხარეს ეწოდა ზღვისპირა კლარჯეთი, ხოლო შემდეგ ეწოდა ლაზია. რიზეს მხარე მოიცავდა ტერიტორიას ჭოროხის სექტორიდან ოფი-სურმენეს სექტორამდე (იხ. ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 202—203..., იქვე, 205).

77. **ოფისი** — ახლანდელი ოფი, ნავსადგური შავი ზღვის სანაპიროზე.

78. **სუსურმენა** — ძველი სუსურმენე (სურმენე). „ტრაპეზუნტიელთა საზღვრები ვრცელდება დაბა სუსურმენემდე და ეგრეთწოდებულ რიზემდე" (გეორგიკა, II, 27, 121; ბ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 225). სუსურმენე იხსენიება აგრეთვე ერთ ქართულ თარგმნით ძეგლშიც, საბელდობრ „ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტვილობაში": „და მიიცურცვეს რა არა ფრიად შორეულად ქალაქით (scief ტრაპეზუნტით), განვიდეს ადგილს სუსურმენად წოდებულად" (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, ტ. IV, 319, 300).

79. **კონაკი** — იხ. სპენსერი, კომ. № 70.

80. **სუხადერეჯი** — იგივე მდინარე ზიგატი, ათინას მახლობლად; ფიქრობენ, რომ ეს არის ახლანდელი Suche Dere (იხ. გეორგიკა, II, 29).

81. **ჭაჭარ-დაღი** — (თურქ) გმირთა მთა; პონტოს სისტემის უმაღლესი მწვერვალი 3 973 მეტრზე ზღვის დონიდან. იგივე ვარსამბეკდაღი, ანუ ვერშემბეკი, სომხურად ჰამამაშენი.

82. **ბრუტსაბძელი**—მთა სამხრეთ ოსეთში; ქართველები იალბუზს უწოდებენ.

83. **სბერი** — ისპირი, პატარა ქალაქი მდინარე ჭოროხის შუა წელის მარჯვენა ნაპირზე. „ხოლო ისპირის ქეობის მდინარე გამოსდის, ბაიბურდის ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდამ ჭოროხამდე, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, ჭევსა კლდიანსა და ქვიანსა შინა. და ამ ისპირის წყლისა და ჭოროხის მდინარის შესართავს ფრიად ზეით, ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამკრიდამ თორთომის ქეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა..." (ვახუშტი, 139).

84. **ხემშინი** — მაჰმადიან სომეხთა სოფელი. 64 ჭანური სოფლიდან ნ. მარი ასახელებს ხემშინთან 5 სოფელს (იხ. Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан: II, Известия АН, 1910, 608).

85. **ჯიმილი** — პატარა სოფელი ჭანეთში ჯიმილის მთის ძირას.

86. **კუმპუსაროვა-აღა** — ჯიმილის მთავარი (იხ. ტექსტი).

87. **ზოროასტრი** — (სპ. ზარდუშტ) ძველი სპარსული დუალისტური მოძღვრების შემქმნელი (1000—500 წლებს შორის).

88. იგულისხმება თამარ მეფე.

89. **ჩინგის-ხანი** — თემუჩინი (1115—1227) მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის დამაარსებელი.

90. იგულისხმება თემურ-ლენგი (1336—1405), ტამერლანი, შუააზიელი დამპყრობელი; ექვსჯერ შემოესია საქართველოს.

91. ნადირ-შაჰი — შაჰ-თამაასპ-ყული ხანი, ირანის შაჰი (1688—1747).

92. პეტრე დიდი — პეტრე პირველი (1672—1725), რუსეთის მეფე.

93. იგულისხმება თურქეთი.

94. გიორგი მეცამეტე — იგივე გიორგი XII.

95. იგულისხმება ბრძოლა ტახტის მემკვიდრეთა შორის (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 802; ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 19—20).

96. იგულისხმება მარიამ დედოფალი, გიორგი XII ქვრივი.

97. ლაპარაკია გიორგი XII ქვრივზე მარიამ დედოფალზე. 1801 წლის პავლე 1 მანიფესტის თანახმად, რომლის მიხედვით ქართლ-კახეთი რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა, რუსეთის მთავრობამ მოითხოვა საქართველოს სამეფო სახლის ყველა წევრის პეტერბურგში გაწვევა. 1803 წელს გენერალი ციციანოვი თბილისში ჩამოსვლისთანავე შეუდგა ბატონიშვილებისა და დედოფლების — დარეჯანისა და მარიამის — რუსეთში გაგზავნაზე ზრუნვას. მარიამი მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე; მას არ სურდა საქართველოს დატოვება. ციციანოვის დაპირებებმა ვერ შეარყიეს დედოფლის გადაწყვეტილება. მაშინ გენერალმა ციციანოვმა გადაწყვიტა ძალის გამოყენება და 1803 წელს მისი დავალებით გენერალმა ლაზარევმა კაზაკთა რაზმით ალყა შემოარტყა დედოფლის სასახლეს და ძალით მოინდომა მისი გასახლება. მარიამ დედოფალმა გენერალი ლაზარევი ხანჯლით მოკლა. არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის მიხედვით დედოფალს თვითონ არ მოუკლავს ლაზარევი. კ. კოხის მიხედვით ლაზარევი ქართველი თავადი გამოდის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. იგი ალბათ ციციანოვს გულისხმობდა, როდესაც ქართველ თავადზე წერდა, ან არასწორი ინფორმაცია ჰქონდა ლაზარევზე. როგორც არ უნდა იყოს, ლაზარევი მოკლეს და დედოფალი კი ამის შემდეგ ეორონეჟში გადაასახლეს. 8 წლის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრე I ნება დართო მარიამ დედოფალს მოსკოვში გადასახლებულიყო, სადაც ის გარდაიცვალა კიდეც ღრმად მოხუცებული (იხ. Н. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, IУ, 73; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, 838; ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, 46 და სხვ.).

98. ალექსანდრე — ალექსანდრე ბატონიშვილი, ერეკლე II ვაჟიშვილი, რომელიც ირანში გაიქცა და ირანის შაჰის მეშვეობით ცდილობდა სამეფო ტახტის რესტავრაციას. ირანი, რომელსაც არ აწყობდა რუსული მმართველობის დამკვიდრება ქართლ-კახეთში, მოწყალებას არ აკლებდა ტახტისათვის მებრძოლ ბატონიშვილებს.

99. მუხრანი — მუხრანბატონთა მამული, ბაგრატიონთა სამეფო გვარის საცხოვრებელი ადგილი; სამუხრანბატონო შეიქმნა 1512 წელს.

100. იგულისხმება ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანსკი (მუხრან-ბატონი), გენერალ-ლეიტენანტი; მონაწილეობას იღებდა მთიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში 1832—1850 წლებში.

101. იგულისხმება გერმანელთა კოლონია.

102. ფრიდრიხ დიდი — ფრიდრიხ II, პრუსიის მეფე (1712—1786).

103. კუკია — სოფელი მტკვრის მარცხენა ნაპირზე გარეთუბნის პირდაპირ. 1824 წელს თბილისს მოეწერა სოფლები კუკია და ჩუღურეთი. ახალი კუკია აღწევს თითქმის ახლანდელი რკინიგზის სადგურამდე და ამგვარად მთლიანად

შეერწყა გერმანელების კოლონიას (იხ. ვ. ბერიძე, ქ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801—1917 წლებში, თბ., 1960, 22, 25).

104. ქსენოფონტე — ძველი ბერძენი ისტორიკოსი (ძვ. წ. 439—355 წწ.), „ანაბაზისის“ ავტორი. თხზულებაში ისტორიკოსი საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოსა და სომხეთის შესახებ. იხ. კომ. № 53.

105. გარეთუბანი — თბილისის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი იყო და ეჭირა სოლოლაკი და ჩრდილოეთით ტერიტორია ქაშვეთის ეკლესიამდე და დღევანდელი კომუნარების ბაღამდე. „ზღუდის გარეთ უკმობენ აწ. გ ა რ ე თ-უ ბ ა ნ ს, სადაც არს ასპარეზი“... (ვახუშტი, 53—54; აგრეთვე ე. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება, 20).

106. ათას ერთი ღამე — შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურული ძეგლი, ზღაპართა კრებული.

107. ერმოლოვი ალექსი პეტრეს ძე (1772—1861), საქართველოს მთავარმართებელი და კავკასიის კორპუსის მეთაური; 1827 წელს იგი შეცვალა მთავარმართებლის პოსტზე გენ. პასკევიჩმა.

108. თბილისის გიმნაზია — გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი 1-ლი საშუალო სკოლა რუსთაველის პროსპექტზე). 1804 წელს გაიხსნა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელი, რომელიც 1830 წ. გადაკეთდა გიმნაზიად (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, V, 812—813).

109. თბილისის უძველესი ნაწილი აბანოები, ვახუშტისეული სეიდ-აბადი ანუ 1800 წლის რუკის თანახმად აბანოები, ე. ი. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე; მისი უდიდესი ნაწილი ბაღებს ეკავა.

110. გაუგებარია ვის გულისხმობს აქ ავტორი.

111. ვახტანგ გორგასალი — მირდატის ძე, ქართლის მეფე (გრდ. 502).

112. დაჩი — ვახტანგ გორგასალის ვაჟი. „ფარსმან დაუწესა მას (ე. ი. სპარსთა მეფეს — ლ. მ.) მორჩილება და მსახურება და წარვიდა სპარსთა მეფე. მიერითგან განიყენეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმსახურებდეს სპარსთა, შვილნი მირდატისანი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 206—27; გეორგიკა, II, 163); „მეფის ვარაზბაკურის ყამსა შინა აღაშენა შ უ რ ი ს ციხე მცხეთისათჳს ერისთავმან სპარსთაგან... შემდგომად შემცირებასა მცხეთისასა და აოკრობისა მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატოვანთა“ (ვახუშტი. 52).

113. ბარონ ნაიდჰარტი ალექსანდრე ივანეს ძე (1784—1844), გენერალ-ადიუტანტი. 1842—1844 წლებში ინფანტერიის გენერალი და კავკასიის ჯარების კორპუსის სარდალი. 1842 წელს მან შეცვალა კავკასიაში მთავარმართებელი გოლოვინი. 1844 წ. იგი იყო დაღესტანში და უშუალოდ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს.

114. იგულისხმება შამილის თავდასხმები კახეთის სოფლებზე 1854 წელს. 1854 წლის ივლისში შამილი ცეცხლითა და მახვილით შემოესია საინგილოს, ზაქათალას და ბელაქანს, ამოქლიტა მშვიდობიანი მოსახლეობა და ბევრი ტყვედ წაასხა დაღესტანში. ამ დროს გადაწვეს ნინანდალი და ტყვედ გაიტაცეს ჭავჭავაძეები და ორბელიანები. რაც შეეხება თბილისს, შესაძლოა, შამილი ემუქრებოდა კიდეც თბილისს, მაგრამ აქამდე არასოდეს მისულა იგი. კ. კოხის ცნობა იმას გულისხმობს, რომ შამილი მოადგა თბილისს, მაგრამ ეარ მოახერხა მისი აღება. ეს კი არ შეეფერება სინამდვილეს

115. ურკვარტი — დავით ურკარტი (1805—1877), ინგლისელი პუბლიცის-

ტი, წარმოშობით შოტლანდიელი. მის კალამს ეკუთვნის მრავალრიცხოვანი შრომები აღმოსავლეთის ისტორიის, კერძოდ, თურქეთისა და ადიღეა შესახებ. ეს იყო ყველაზე აგრესიული და რუსთმოძულე ინგლისელი პუბლიცისტი, რომელიც ოცნებობდა ინგლისის განუყოფელ ბატონობაზე აღმოსავლეთში და რუსეთის განდევნაზე შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროებიდან. იმ დროს, როდესაც საბერძნეთი იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, დავით ურკარტი თურქეთში მიავლინეს როგორც ინგლისელი მზვერავი. ინგლისში დაბრუნებისას მან გამოაქვეყნა თავისი „შენიშვნები ევროპული თურქეთის შესახებ" (1831 წ.), სადაც ეხებოდა თურქეთის უძლიერეს შინაგან პოტენციალურ ძალას. 1833 წელს იგი ახალი საიდუმლო მისიით გაიგზავნა თურქეთში და კვლავ გამოსცა წიგნი „თურქეთი და მისი რესურსები", რომელმაც საკმაოდ დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისში. ურკარტის ძირითადი ეკონომიური იდეა იყო ის, რომ თურქეთი გადაექცია ინგლისის ნედლეულის ბაზად. ხოლო მისი ძირითადი პოლიტიკური მოთხოვნა კი იყო — არ დაეშვა რუსეთის რეჟიმის განმტკიცება შავი ზღვის სრუტეებში. 1834 წ. კაპიტან ლაიონსთან ერთად დავით ურკარტი ჩავიდა ადიღეში, სადაც პირადად მოინახულა ბევრი სოფელი და აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩერკეზებთან რუსეთის წინააღმდეგ ომის წარმოების თაობაზე. 1836 წ. იგი დაინიშნა ინგლისის საელჩოს მდივნად კონსტანტინეპოლში და ამავე წელს კვლავ წარიგზავნა ადიღეში, რათა იქ გაეშალა ფართო ანტირუსული მოღვაწეობა; ურკარტი აქტიურად მოუწოდებდა ხალხს დარაზმულიყო საერთო „რუსული საფრთხის" წინააღმდეგ. ადიღეში ურკარტი ცნობილი იყო დაკით-ბეის სახელით (დაუდ-Ὰეი). (იხ. Очерки истории Адыгеи. т. I, Майкоп, 1957, 312—313; С. К. Бушуев, Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20—70—годы XIX века), М., 1955, 28—29).

116. **ბესტუჟევი** — ბესტუჟევ-მარლინსკი (1797—1837), რუსი მწერალი-დეკაბრისტი, ლიტერატურული ფსევდონიმი — მარლინსკი. მონაწილეობდა დაღესტნის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიღუპა ადლერთან.

117. ვორონცოვის 1845 წლის ექსპედიცია დარგოში (უთუოდ ამ ექსპედიციას გულისხმობს ავტორი) მარცხით არ დამთავრებულა. 1845 წ. ვორონცოვის ხელმძღვანელობით მოეწყო ექსპედიცია შამილის რეზიდენციის დარგოს წინააღმდეგ, მისი ხელში ჩასაგდებად. დარგო აიღეს, თუმცა რუსის ჯარმა დიდი დანაკლისი განიცადა და თვით თავადი ვორონცოვიც უკან დახევისას ტყვედ ჩავარდნას ძლივს გადაურჩა.

118. **გენერალი ზასი გრიგოლ ქრისტეფორეს ძე** (1797—1883), კავალერიის გენერალი; 1834 წ. იყო ყუბანის ხაზის უფროსი, მოღვაწეობდა ყაბარდოში. 1840 წ. კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგის უფროსია. 1842 წ. დატოვა კავკასიის ჯარი და კავალერიაში გადავიდა. 1842 წ. იგი უკვე თადარიგის გენერალია. ნახევარი წლის შემდეგ კვლავ დაიწყო სამხედრო სამსახური. იგი იბრძოდა ავსტრიის წინააღმდეგ. 1850 წელს ისევ თადარიგშია. ალექსანდრე II 1864 წელს გენერალი ზასი გაიწვია სამხედრო სამსახურში.

119. **დერბენდი** — დერბენტი, ქალაქი დაღესტანში, დერბენტის რაიონის ცენტრი.

120. **კუბა** — ქალაქი დაღესტანში.

121. **ზაქათალა** — ზაქათალას რაიონის ცენტრი, იგივე ჰარ-ბელაქანი.

122. **ბელი** — ინგლისელი პოლიტიკური აგენტი, ვაჭარი. ბელი იყო ინგლი-

ᲡᲔᲚ ᲔᲕᲐᲭᲐᲗᲐ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲘ ᲢᲠᲐᲞᲘᲖᲝᲜᲨᲘ. 1837—1839 ᲬᲬ. ᲘᲒᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲓᲘᲦᲔᲨᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲔᲑᲝ ᲛᲘᲡᲘᲘᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲘᲗᲐᲝᲡ ᲨᲔᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲮᲐᲮᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲨᲔᲐᲡᲣᲡᲢᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ. 1836 ᲬᲔᲚᲡ ᲘᲒᲘ ᲩᲐᲛᲝᲦᲘᲡ ᲡᲣᲯᲣᲜ-ᲙᲐᲚᲔᲨᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲑᲐᲜᲓᲣᲚᲘ ᲡᲐᲭᲝᲜᲚᲘᲗ ᲓᲐᲢᲕᲘᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲔᲛᲘᲗ vixen-ᲘᲗ, ᲛᲐᲡ ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲗᲨᲘ ᲛᲝᲰᲧᲝᲜᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲭᲝᲜᲚᲘᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲓ. „ᲕᲘᲥᲡᲔᲜᲘ“ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲦᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲐᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲑᲚᲝᲙᲐᲓᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ, ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲒᲔᲛᲔᲑᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲐᲜᲐᲞᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲓᲣᲢ-ᲙᲐᲚᲔ. ᲑᲔᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲣᲙᲠᲔᲡ ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝ�პᲝᲚᲘᲡᲨᲘ. ᲐᲛ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲑᲔᲚᲘ ᲝᲓᲔᲡᲘᲓᲐᲜ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲑᲝᲚᲨᲘ ᲛᲘᲣᲨᲕᲠᲔᲑᲐ. ᲛᲘᲡᲛᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲛᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲛᲐ ᲪᲮᲐᲓᲘ ᲒᲐᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲛᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲑᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲘᲧᲣᲐᲜᲐ ᲩᲠᲩᲔᲖᲗᲨᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲘᲜᲢᲠᲔᲡᲔᲑᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲑᲝᲚᲨᲘ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲠᲙᲐᲠᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲣᲠᲙᲕᲐᲠᲢᲡ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲓᲜᲔᲜ. 1837 Წ. ᲯᲔᲛᲘᲡ ᲑᲔᲚᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ ᲩᲠᲩᲔᲖᲗᲨᲘ. ᲐᲥ ᲛᲐᲜ ᲡᲣᲚ 3 ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐᲰᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲓᲘᲓ ᲓᲐᲘᲠᲘᲗᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲦᲗᲥᲕᲐᲛᲓᲐ ᲩᲠᲩᲔᲖᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲔᲜᲓᲝᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲐᲡ. ᲑᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲢᲝᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲨᲘᲪ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝ�გᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲩᲠᲩᲔᲖᲗᲨᲘ 1837—39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ (Iournal of the rezidance in Cirkassia during the years 1837—38. ᲬᲬ. ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲘᲪᲐᲕᲡ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲩᲠᲩᲔᲖᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲜ (ᲘᲮ. Акты VIII—IX, Мартинс. Россия и Англия, Адыги, балкарцы и карачаевцы в известиях европейских авторов XIII—XIX, вв., 458—531; С. К. Бушуев, Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России, М., 1955, 42—43).

123. ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲐ — ᲛᲗᲐ ᲗᲣᲨᲔᲗᲨᲘ.

124. ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲤᲔᲚᲓᲘ — ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ ᲘᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲖᲔ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲮᲚᲓᲜᲔᲜ 1817—1818 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ. ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘᲡ. ᲛᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ 500 ᲕᲘᲣᲠᲢᲔᲛᲑᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ. ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲛ ᲛᲐᲗ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ ᲒᲐᲘᲪᲝ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘ (ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲮ. Никифоров, Экономический быт немецких колонистов в Закавказье, Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края, I; Ა. ᲤᲐᲓᲔᲔᲕᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐᲠᲗᲔᲑᲔᲚᲘ Ა. Ჯ. ᲔᲠᲛᲝᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ, ᲟᲣᲠᲜ. «Русский архив», 1891, № 9 (ᲐᲚ. ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ), ᲐᲕᲠᲔᲗᲔᲕ Ა. ᲤᲠᲝᲜᲔᲚᲘ, „ᲘᲔᲠᲘᲐ“, 1891, 19 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, № 199, ᲒᲒ. 2—3; ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ, V, 1970, 123; Ა. ᲙᲘᲙᲕᲘᲫᲔ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, XIX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ, ᲗᲑ., 1954, 232—233 ᲓᲐ ᲡᲮᲕ.).

125. ᲛᲣᲦᲐᲜᲚᲘᲡᲘ — ᲛᲣᲦᲐᲜᲚᲣ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡ (ᲛᲓᲠ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, Ტ. II, 522).

126. ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲗᲐ, ᲪᲘᲕ-ᲒᲝᲛᲑᲝᲠᲘ.

127. ᲜᲣᲙᲠᲘᲐ — ᲜᲣᲙᲠᲘᲐᲜᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ.

128. ᲞᲔᲢᲔᲠᲡᲓᲝᲠᲤᲘ — ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲘᲔᲜᲤᲔᲚᲓᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ (ᲘᲮ. ᲙᲝᲛ. 124).

129. ᲞᲔᲠᲔᲗᲘ — ᲘᲒᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲓ VIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ-

სასრულისათვის ჩამოყალიბდა. „ჰერები ქართლის სამეფოს მოსაზღვრე ძველი ალბანეთის მიწა-წყალზე განსახლებული ერთ-ერთი ტომი იყო, რომლის შერწყმა ქართულ ტომებთან ჩვენ წელთაღრიცხვამდე დაიწყო“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, 402; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III; თ. პაპუაშვილი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1970).

130. ნოე — ბიბლიური პერსონაჟი, „ადამს აქეთ ათას ორას ორმოც წელს უკან იშვა ნოე შემდგომად იყო წყლით რღუნა“, „ყოველი სისხლი ნოეს რღუნითა განიწმიდა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 3,164).

131. თარგამოსი — ნოეს შვილთაშვილი, „დაბადებით“ კავკასიის ხალხების ეთნარქი. „სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიანთა — ამათ თვსთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძმისწული იაფეთისი, ძისა ნოესი. და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენეს ბაბილონს გოდოლი, და განეყენეს მუნ ენანი და განიბნეს მუნით ყოველსა ქვეყანასა და წამოვიდა ესე თარგამოს ნათესავითურთ მისით და დაემკვდრა ორთა მთათა შუა კაცშეუვალთა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვ“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 3—4).

132. ჰეროსი — თარგამოსის მეექვსე ძე. „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკვრისა ჩრდილოთ“ (იხ. ქართლის ცხოვრება, I, 4,9).

133. გრიგოლი — იგულისხმება კახთა მთავარი გრიგოლი (737—828). მისი მმართველობის წლები ემთხვევა სწორედ იმ თარიღს, რომელსაც გვთავაზობს კოხი (787 წ.). მაგრამ ერთი შეუსაბამობა მაინც შეიმჩნევა კოხთან. მისი თქმით, გრიგოლი გამოეყო საქართველოში იმ დროს გამეფებულ სასანიდებს და შექმნა დამოუკიდებელი სამეფო. გრიგოლი რომ ამ წლებში მეფობდა კახეთში, ეს ცნობილია, მაგრამ საინტერესოა საიდან გაჩნდნენ კოხის ტექსტში სასანიდები, საქართველოში ამ დროს ხომ არაბობაა? მ. ლორთქიფანიძე, საქართველოს გაერთიანება...

134. სასანიდები — ყველაზე დიდი და თვალსაჩინო სპარსული დინასტია. მისი დამაარსებელია არდაშირ I პაპაკანი (226—241). სასანიდების დინასტია მართავდა ირანს 226—241 წლებში. 624 წელს ამ დინასტიამ შეწყვიტა არსებობა.

134ა. — კახეთის სამეფო არსებობდა 1104—05 წლებამდე.

135. დავით აღმაშენებელის შვილიშვილი იყო გიორგი III. თამარ მეფის მამა. მაგრამ ავტორი ცდება, როცა მას მიაწერს კახეთის სამეფოს აღდგენას. კახეთის სამეფო შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის შედეგად, XV ს-ში.

136. თეიმურაზ II (1700—1762), ერეკლეს II მამა. კახეთის მეფე 1733—44 წწ., 1744—62 წწ. მეფობს ქართლში.

137. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ (1762 წ.) ერეკლე II-მ ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ გააერთიანა.

138. აბას დიდი — შაჰ აბას I (1557—1628), ირანის შაჰი, სეფევიდების დინასტიის წარმომადგენელი.

139. ყუმუხი — ლაკების სოფელი დაღესტანში.

140. ელისონი — იგივე ელისუ, მდებარეობს ყოფილ ზაქათალას ოლქში.

ელისუს სახანო მოიცავდა ტერიტორიას კავკასიის ქედიდან (წასურის მიდამოები), ვიდრე ალაზნის ნაპირებამდე.

141. ახტი — სოფელი დაღესტანში, ყოფილ სამურის ოლქში.

142. რუტული — სოფელი დაღესტანში, ყოფილ სამურის ოლქში.

143. შვარცი — გ. ფ. შვარცი, გენერალ-ლეიტენანტი (1790—?). 1842 წელს იგი დაინიშნა ჯარების სარდლად და სამოქალაქო ნაწილის მმართველად ჭარ-ბელაქნისა და ლეკეთის ხაზზე. მან დაიპყრო ელისუს სულთნის დანიელ-ბეგის რეზიდენცია — ელისუ. შვარცმა დააშოშმინა აჯანყებული სოფლები და უკუაგდო დანიელ-ბეგის ჯარები.

144. ჭარის რესპუბლიკა — ჩარშენი? იხ. კომენტ. 149, 151.

145. ბელგარდი — კარლ ბელგარდი, პოლკოვნიკი (1842 წ.). 1843 წელს იგი დაინიშნა ერევნის კარაბინერთა პოლკის უფროსად, 1848 წელს უკვე გენერალია. ბელგარდმა მონაწილეობა მიიღო დაღესტნის ექსპედიციაში, ხოლო 1844 წელს ელისუს აღებაში (იხ. Акты, IX, Рапорт ген. Шварца ген. Найдгарту 1844 г. № 586, შვარცი აუწყებს გენერალ ნაიდგარტს, რომ დიდი სისხლისღვრის შემდეგ აიღეს ელისუ. «Авангард под начальством командира Эриванского карабинерного полка полковника Бельгарда»).

146. პოლკოვნიკი ბეკოვი — ნუხის კომენდანტი (იხ. Акты, т. VII, II вып., 635).

147. არღუთინსკი მოსე ზაქარიას ძე, გენერალ-ადიუტანტი; სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამხედრო სამსახური დაიწყო 1817 წელს კავკასიის ჯარში. 1842 წელს იგი გენერალ-მაიორია, 1844 წელს სამხრეთ დაღესტნის ჯარების უფროსი კუბის და დერბენტის უეზდებში. 1845 წელს გენერალ-ლეიტენანტის ჩინს იღებს. 1847 წელს დერბენტის სამხედრო გუბერნატორია, იმავე წელს კასპიისპირა ჯარების უფროსად ნიშნავენ. 1848 წელს იღებს გენერალ-ადიუტანტობას. იგი მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის და რუსეთ-ირანის (1827—1828 წწ. და 1828—1829 წწ.) ომებში. განსაკუთრებით დიდია მისი დამსახურება შამილის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

148. ყარაღაჯი — მნიშვნელოვანი ქალაქი იყო კახეთში (XV—XVI სს.). XVII საუკუნეში იგი კახეთის ყიზილბაში ხანების რეზიდენციას წარმოადგენდა; აქ ციხე სპარსელებს უნდა აეგოთ XVII ს-ში. XIX საუკუნის დასაწყისიდან ყარაღაჯს იდგა რუსეთის ჯარი. „ხოლო ტაშირს, აბოესა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მ თ ა ი რ ჯ ა ნ ი ს ა და ა წ ყ ა რ ა ღ ა ჯ ა დ წოღებული. და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი. მდებარეობს სამკრიდამ ჩრდილოთ კერძ. აქა ითხრების თეთრი ქვა, მზგავსი მარმარილოსი“ (ვახუშტი, 38). „ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყ ა რ ა ღ ა ჯ ი, სასახლე, რომელი ყველს ხანთა, ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ ქამთა პყვეს ციხე, და ან ჯერეთ ოკერ არს კვალად ყარაღაჯის სამკრით, ალაზნის კიდერთა ზედა...“ (იქვე, 97).

149. ჭარი — ჭარ-ბელაქანი. ჭარ-ბელაქანის დამოუკიდებელი თემები XIX საუკუნის დამდეგიდან დიდ საშიშროებას უქმნიდა რუსეთის ბატონობას აღმოსავლეთ საქართველოში. ისინი განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს კახეთის სოფლებს. 1803 წელს რუსეთის ჯარი გენერალ გულიაკოვის სარდლობით ჭარ-ბელაქანში შეიჭრა და საქართველოს დაკარგული ეს ისტორიული ტერიტორიები საქართველოს შეუერთდა. მაგრამ შემდეგშიც ჭარელი ფეოდალები დაღესტნე-

ლებთან არ წყვეტდნენ კავშირს, არ იხდიდნენ ხარკს, აწიოკებდნენ კახეთის სოფლებს და არ ემორჩილებოდნენ რუსეთის მთავრობას. 1830 წელს ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ჭარ-ბელაქანი საბოლოოდ დაიპყრეს და იქ რუსული მმართველობა დაწესდა. იმავე წელს ჭარ-ბელაქნის უკმაყოფილო ფეოდალები აჯანყდნენ, დაუკავშირდნენ დაღესტნის მიურიდების მოძრაობას, მაგრამ აჯანყება ჩახშულ იქნა (იხ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, 842, 887—888). „ხოლო მთის ძირს არს ფ ი ფ ი ნ ე თ ი, სად დასხნა ე მეფემან ლევან ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიიდამ ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭ ა რ ი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა. (ვახუშტი, 96; И. Петрушевский, Джаро-Белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тб., 1934).

150. **სამური** — დაღესტნის ოლქის უკიდურესი სამხრეთ ნაწილი. იგი ჰყოფს სამურის ოლქს ზაქათალას მაზრისაგან. საერთოდ, სამური გამოირჩევა თავისი მთაგორიანი მდებარეობით. ყველაზე დაბალი პუნქტია სოფ. ახტი.

151. **ჩარშენი** — იხ. კომენტარი № 144, ჩარშელები — იგივე ჭარელები. კახეთის ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა ჭარ-ბელაქანის ახალი პოლიტიკური ერთეული (ე. წ. „უბატონო“ თემები) — ესაა სწორედ კახის „ჩარშენის რესპუბლიკა“ (იხ. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1968, 105; მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953; И. Петрушевский, Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия, Тб., 1934).

152. **აღა-მაჰმად-ხანი** — ირანის შაჰი (1742—97) 1786—97 წლებში ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი ირანში. 1795 წელს შემოესია თბილისს და ააოხრა იგი.

153. **ჩარშედები** — იხ. ჩარშენი, კომ. № 151.

154. **ბელაქანი** — „ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ, მთის კალთას, არს ც ი ხ ე მ ა კ ა ბ ე ლ ი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა ჰირველ ნ ო ხ პ ა ტ ო. აქ აღაშენა მდ. მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო, და არს აწცა“ (ვახუშტი, 96).

155. **მაკაბელი** — ციხესიმაგრე, „ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, აქ, მთის კალთას, არს ც ი ხ ე მ ა კ ა ბ ე ლ ი და სასახლე მეფეთა“ (ვახუშტი, 96).

156. **ვილდენოვი** — კარლ ლუდვიგი, გერმანელი ბოტანიკოსი (1765—1812).

157. **კართუბანი** — დიდი ციხესიმაგრე კახეთში. „ხოლო ნეინის — წყლის ზეით, ჩრდილოთ კერძ, ველსა ზედა, არს ც ი ხ ე კ ა რ თ უ ბ ნ ი ს ა და აწ ცალიერი“ (ვახუშტი, 98).

158. **გაღმა-მხარი** — მისი საზღვრებია: „აღმოსავლით კავკასი-ლეკეთისა, დიდოეთისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენ — ანცა გზანი მათ შინა გაღმა-მკრიდამ; სამხრეთ ელისენის საზღვარი; დასავლით ალაზნის მდინარე; ჩრდილოთ მთა კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა (თუშეთ, და საზღვარი პანკისისა. და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა და, უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი, მდინარითა, ტყითა ეელითა...“ (ვახუშტი, 103).

159. 1677 წელს ირანის შაჰის მიერ კახეთის მმართველად დანიშნულმა ბე-

ჟანხანმა „ყარაღაჯს აღაშენა სასახლე სპარსთა რიგისა“ (ვახუშტი, აღწერა..., ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 605). ყარაღაჯი ალაზნის სათავის მიდამოებში მდებარეობდა. „ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყარაღაჯი, სასახლე, რომელი ჰყვეს ხანთა ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომთა ოსმალთა ჰყვეს ციხე, და აწ ჯერეთ ოვერ არს“ (იქვე, გვ. 541). 1729 წელს ყარაღაჯს მოვიდა ოსმალთა სარდალი უსუფ-ფაშა და მიიწვია კახეთის მეფე კონსტანტინე (მახმადუულიხანი). კონსტანტინემ „შემოიკრიბნა სპანი და მივიდა უსუფ-ფაშას თანა ბეჟანბაღს“. აქ კონსტანტინე თურქებმა ღალატით მოკლეს (იქვე, გვ. 624). როგორც ჩანს ბეჟანბაღად იწოდებოდა ყარაღაჯში ბეჟანხანის აშენებული სასახლე. კოხის მიერ დასახელებული ბეჟანიანი გეოგრაფიულად სწორედ აღნიშნულ არემარეში თავსდება და ვახუშტის ბეჟანბაღს უნდა შეესაბამებოდეს, რომელიც. ალბათ, შემდგომში აქ გაშენებული სოფლის სახელად იწცა.

160. წმინდა სტეფანეს ეკლესია — „ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბ ე დ ი-ყ რ ი ს წ ყ ა ლ ი... ამაზედ არს სტ ე ფ ა ნ-წ მ ი დ ა, მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღშენებული. ხოლო ამ წყლის შესართავის ალაზნის დასავლით, ცივის მთის ძირს, არს ვეჯინი“ (ვახუშტი, 98—99).

161. დიდო — დაღესტნური ტომი. ცხოვრობდა კავკასიის ქედის გადაღმა, ჭარ-ბელაქნის ჩრდილოეთით.

162. ნეკრესი — „ამ წყალზედ, ყვარელს ზეით მთასა შინა, არს ნ ე კ რ ე ს ი. და მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, იგი მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გაღმა-მკრისა დიდოთურთ. ამან მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი; ესევე ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი, და დაფლული არს სამთავროს. და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი“ (ვახუშტი, 99). „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება... და იწყო შენებად კახეთს ქალაქსა ნელქარისს, რომელ არს ნეკრესი“ (ქართლის ცხოვრება, I, 29). ქალაქ ნეკრესს მოიხსენიებენ როგორც მნიშვნელოვან ცენტრს (ლეონტი მროველი, ჯუანშერი...). VI საუკუნის შუა წლებიდან ნეკრესის მონასტერი ისტორიაში მოიხსენიება როგორც საეპისკოპოსო კათედრა და ცენტრი ერთ-ერთ ასურელ მამათა მოღვაწეობისა (აბიბოსი). აბიბოს ნეკრესელი „ათასამეტ ასურელ მამათაგან“ ერთ-ერთი მოღვაწეა (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, 20—40). ნეკრესის მონასტერი დგას ფერდობზე, შილდიდან 6—9 კილომეტრის დაშორებით; შედგება ძველი ტაძრისაგან და ძალზე დაზიანებული ბაზილიკის ეკლესიისაგან (იხ. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959, 37—44; იხ. აგრეთვე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, 49).

163. ფარნაჯომ — მირიან მეფის ძე, ქართლის მეფე. ძველი წელთაღრიცხვის II საუკუნის I ნახევარში ფარნაჯომმა დაიწყო ნეკრესის შენება, რომელიც გადმოცემით მეფე არშაკმა დაასრულა. ტრადიცია ციხე ზადენის მშენებლობასაც ფარნაჯომს მიაწერს „ამან ფარნაჯომ მეფემან უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენობა და ამან აღაშენა ციხე ზადენი და შექმნა კერპი სახელით ზადენ და ამართა ზადენს და იწყო შენებად კახეთ ქალაქსა ნელქარისსა, რომელ არს ნეკრესი“ (ქართლ. ცხ., 1, 28, 21, IV, 535, 10). თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში ფარნაჯომს უღალატნია ქართული ეროვნული ღმერთებისათვის და შემოუ-

ღია „სჯული დედული“ ანუ სპარსთა ცეცხლისმსახურება (საქ. ისტ. ნარკვევები, ტ. 1, 464—65).

164. შილდის ხეობა — „ხოლო დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა-ყვარელის და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩრდილოთ კერძოსა შინა“ (ვახუშტი, 103).

165. მილიცია — რუსეთის მთავრობის მიერ ქართველ მეომართაგან შემდგარი სპეციალური სახალხო ლაშქარი, რომელსაც ძირითადად ევალებოდა კახეთის საზღვრების დაცვა ლეკთა თავდასხმებისაგან.

166. ლანდშტურმანი — (გერმ. Landsturman) — სამხედრო ვალდებულებით გაწვეულები (გერმანიაში და ავსტრია-უნგრეთში), რომლებიც რეზერვში არიან (ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მათ უვარგისად თვლიან სამხედრო სამსახურისათვის). ისინი შეიქმნენ XIX საუკუნის დასაწყისში.

167. იგულისხმება უთუოდ შამილის 1853 წლის ზაფხულის შემოსევა საქართველოში (საინგილოში). ქართველთა და რუსთა შეერთებული ძალებით გენერალ გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით მტერი უკუაგდეს.

168. ნაქალაქევი — სოფელი გრემის მახლობლად.

169. გრემი — კახეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი. ერთ დროს იგი კახეთის მეფეთა რეზიდენცია. „ამ წყალზედ (გრემის წყალი — ლ. მ.) არს გ რ ე მ ი, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუენ, და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდენ მუნ. აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოკრა შაბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, მთავარ-ანგელოზთა, და არს ე მეფე ლევან დაფლული მას შინა“ (ვახუშტი, 99—100). (იხ. პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962; 101—103; Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб., 1959; პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, 42—44).

170. ენისელი — სოფელი კახეთში გრემის მახლობლად.

171. საბუე — „ხოლო კვალად ჩელთის წყალს ზეით ალაზანს ერთვის ს ა ბ უ ე — გ რ ე მ ი ს-წ ყ ა ლ ი, გამომდინარე დიდოეთსა და ამას შორის კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარენი“ (ვახუშტი, 99).

172. ლეონი — ლევან კახთა მეფე (1520—1574 წწ.). მის მიერ არის აგებული ნაქალაქარის აღმოსავლეთით ქედზე მდებარე მთავარანგელოზთა ეკლესიის ანსამბლი. ლევანის დროს მეფეთა რეზიდენცია გადაიტანეს გრემში. შაჰ-აბაზის მრავალგზისმა შემოსევებმა გაანადგურა ქართლ-კახეთი; განსაკუთრებით დაზარალდა გრემი 1617 წელს.

173. ნაქალაქევის ეკლესია — „აქ აღაშენა ეკლესია გუნბათიანი, შეენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კონსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ მირიან მეფისათანა, და დაასვენეს მას შინა საპსკვალი ქრისტეს უფლისა... აწცა არს ეკლესია დაურღეველი, არამედ ცალიერი“ (ვახუშტი, 132).

174. მირიანი — პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე, რომლის დროსაც გაქრისტიანდა ქართლი. მეფობდა IV ს. პირველ ნახევარში.

175. გრემის ეკლესია — „აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოკრა შაბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, მთავარ-ანგელოზთა, და არს ე მეფე ლევან დაფლული მას შინა“ (ვახუშტი, 100).

176. ფედე — ფეტვი.

177. დარუ — (აღმ.), ფეტვის სახელწოდება.

178. ლეპოტა—ლოპოტი — ალაზნის წყლის ერთ-ერთი შენაკადი. „ამას ზეით ერთვის ალაზანს ლ ო პ ო ტ ი ს — კ ე ვ ი ს წყალი, გამოსდის თუშეთსა და მას შორის კავკასსა, მოდის აღმოსაღლიდამ დასავლით. ამ კევზედ მთაში არს ლ ო პ ო ტ ი, კლდე დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაკარი და შეუალი მტრისაგან, რომელი დადგა მოსვლასა ყრუსასა. აქ მოერთვის კევი, დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე... ამ ორთა კევთ შორის არს ლოპოტი (ვახუშტი, 100).

179. ლალისყური — ლალის-ყური, მნიშვნელოვანი ადგილი კახეთში (თელავის რაიონში). ერეკლეს დროს აქ აშენდა ციხე. ჩოლოყაშვილების ციხე (XVIII საუკუნე) შედგება საკუთრივ ციხის, ეკლესიისა და სამრეკლოსაგან. ლალისყურის მიდამოებში (წყაროს თავზე) არის ეკლესია წმინდა გიორგის საეკლესიოსა, რომელიც ეკუთვნის განვითარებულ შუა საუკუნეებს. არის აგრეთვე ეკლესია „დედაღვთისა“ — ადრე შუასაუკუნეების (იხ. საქართველოს სსრ კულტურის ძეგლები, აყვანილი სახელმწიფო დაცვაზე, თბ., 1959, 66—67, პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962, 115—121), „ თ ო რ ღ ი ს ც ი ხ ე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი, სად მიერთვის ეს კევი ალაზანს, მუნ არს ლ ა ლ ი ს ყ უ რ ი ც ი ხ ე (ვგონებ ნახევნად)“... (ვახუშტი, 101—102).

180. ლალისყურის ეკლესია — იხ. კომ. № 179.

181. ალავერდი — ალავერდის ეკლესია წმინდა გიორგის სახელობისაა და XI საუკუნეს ეკუთვნის. ეკლესიის გალავანი კი XVII—XVIII საუკუნეებისაა. ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია წმინდა ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშს წარმოადგენს (იხ. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, 369; პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, 95—101).

„ამ შტორის — კევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ა ლ ა ვ ე რ დ ი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდე პალატებიანი, გუნბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალონის გამო, რომელ არს ალონ-გვერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი. აღაშენა იგ მამათაგანმან წმიდამან იოსებ და იყო მონასტერი წმიდის გიორგისა, და დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე, ქრისტესსა ჩუენ, და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურიოს — კევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად. დაიქცა ძვრით, როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესსა ჩენსა ძვრითვე“ (ვახუშტი, 101).

182. ალბანეთის ველი — ასე უწოდებს მოგზაური დღ. ალვანს (ახმეტის რაიონი).

183. მოჰამედ ახტი — ლეკთა ბელადი.

184. ჩოლოყაშვილი — იგულისხმება ჩოლოყაშვილთა სათავადოს ერთ-ერთი წარმომადგენელი, მატანის, ლალისყურის და სხვა ციხეთა მეპატრონე, (იხ. П. Иоселиани, Род князей Чолокаевых, Тифлис, 1866, 26).

185. იგულისხმება ჯიმშერ ჩოლოყაშვილი, მაგრამ არაგვის საერისთავოს გაუქმება ქსნის ერისთაველებთან მათი ბრძოლის შედეგი კი არ იყო, არამედ საერისთავოში მოწყობილი აჯანყებისა 1743 წელს, რომლითაც ისარგებლა თეიმუ-

რაზ II-მ და გააუქმა საერისთავო. მის გამგებლად ერთხანს ჯიმშერ ჩოლოყაშვილი იყო დანიშნული.

186. მატანი — ყველაზე დიდი ციხე ახმეტის რაიონში მატანის ციხის ამშენებლები და მისი მეპატრონეები იყვნენ ჩოლოყაშვილები (იხ. პ. ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962, 69—80, მისივე, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, 126—131).

187. ერწო — „ხოლო ჟალუთს ზეით მოვიწროვდების იორი ხერკის მთიდამ წარმოსულის მცირეს მთით, და ამას ქვეით ბოკორმამდე. არს ე რ წ ო და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, იალონიდამ წამოსული უჯარმამდე; ჩრდილოთ მთა მცირე, თიანეთსა და მას შორისი, ხერკის მთიდამ წარმოსული; დასავლით მთა ხერკისა“ (ვახუშტი, 91).

188. საყდრიონი — სოფელი ერწოს ხეობაში, იორის ნაპირას.

189. ბოკორმა — ციხესიმაგრე ბოკორმა წარმოადგენდა შუა საუკუნეების კახეთის ერთ-ერთ უდიდეს ციხეს. იგი მდებარეობს გომბორის უღელტეხილზე, შიდა კახეთიდან მომავალ გზაზე. ამ ოდესღაც დიდებული ციხის ნანგრევები დღეს ხშირი, ასწლოვანი ხეებითაა დაფარული. ბოკორმის ციხის წარმოშობის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველი რჩება. პირველად იგი, როგორც სიმაგრე, X საუკუნის დასაწყისში იხსენიება“... (იხ. პ. ზაქარაია, საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973, 70—75). „უჯარმა ზეით, ჩრდილო და იორის აღმოსავლით არს ბ ო კ ო რ მ ა ც ი ხ ე. და ბოკორმიდამ უჯარმამდე არს კეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი, ძველად შენობიან-ეკლესიანი. ხოლო ბოკორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დ ე დ ა-ც ი ხ ე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი [ესე არს, რომელი წილად ხვდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს, და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კახოსს]. შემდგომად უწოდეს ვეკორმა, ესე იგი არს: „ვეკ, ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“. მერმე უწოდეს ბოკორმა“ (ვახუშტი, 90—91). ბოკორმის აშენების შესახებ კ. კოხი ზუსტად იმ ცნობებს გვაწვდის, რომელიც დაცულია ვახუშტისთან.

СВЕДЕНИЯ К. КОХА И О. СПЕНСЕРА О ГРУЗИИ И КАВКАЗЕ

Резюме

Среди иностранных источников, содержащих интересные сведения о политической, экономической и культурной жизни Грузии первой половины XIX века, определенное место занимают «Путешествие от Редут-кале до Трапезунта (страна Колхов и Лазов)», «Путешествие по театру военных действий» К. Коха и «Путешествие в Черкессию, Абхазию и Мегрелию» О. Спенсера.

Названные авторы описывают тот период истории Грузии, когда страна фактически утратила независимость и находилась в тисках царского самодержавия.

Вхождение Грузии и определенной части восточных провинций (Азербайджана и Армении) в состав Российской империи сопровождалось войнами с Турцией и Ираном (1804—1813 гг.; 1806—1812 гг.), стремившихся при поддержке Англии и Франции вытеснить Россию с Кавказа и самим занять ее место.

Остальные провинции Кавказа продолжали свое независимое существование, и царской России ничего больше не оставалось, как позаботиться о присоединении Черкесии, Кабарды и Дагестана. По мнению К. Коха и О. Спенсера, царское правительство могло удержать за собой Закавказье только при условии полного овладения северным Кавказом. Этим, в сущности, и определялась экспансивная политика царизма на Северном Кавказе. Такая политика не могла не повлечь за собой возникновения движения горцев против царской России, что нашло свое отражение в «Путешествиях» наших авторов.

Маршрут путешествия К. Коха начинался с Владикавказа и был направлен к северу. Как ученый ботаник он глав-

ной целью своего путешествия по Кавказу считает изучение и описание флоры Кавказа.

Маршрут и план путешествии О. Спенсера, являвшегося английским резидентом, сами за себя говорят. Объездив всю черноморскую береговую линию от Анапы до Редут-кале, включительно, он с особым интересом изучал все черноморские военные укрепления и их стратегическое значение.

Автор письма агрессивно настроен против экспансивной политики царской России. Его недовольство вызвано главным образом усилением влияния России на Кавказе. Критикуя политику царской России, он возмущается, что она попирает всякие стремления народов Кавказа к свободе и независимости. К. Кох же, указывая на отдельные отрицательные стороны политики царского правительства на Кавказе, факт присоединения к России, считает для Закавказья прогрессивным явлением.

Оба автора особо заинтересованы созданной на Кавказе политической обстановкой. Европейские путешественники оказались очевидцами военных действий, разыгравшихся тогда на Кавказе, а иногда были даже непосредственными участниками описанных ими событий. Потому они смогли подробно описать и изучить ряд событий, имевших место на Кавказе 1836—1837 гг., проанализировать политическую ситуацию и уяснить себе интересы и цели участвовавших в этих войнах стран. О. Спенсеру хорошо были знакомы интересы России и Турции на Черноморском побережье. Недвусмысленно молчит он о политических чаяниях Англии и старается показать Англию бескорыстной покровительницей борющихся за свою независимость свободолюбивых горских народов.

Для укрепления своих позиций царское правительство приступило к строительству многочисленных военных фортов и укреплений на Черноморской береговой линии. «Цель учреждения Черноморской береговой линии состояла в том, чтобы ускорить присоединение северо-западного Кавказа к России, блокировать побережье и пресечь военные связи с иностранными государствами, главным образом с Турцией и Англией»[1].

Для полного господства на Черном море царское правительство, по сведениям наших авторов, приступило к строительству дорог (от Анапы до пограничного укрепления Св. Николая и от Владикавказа до Тифлиса).

---

[1] С. К. Бушуев. Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России, М., 1955, с. 39.

О. Спенсер как очевидец описывает те тяжелые условия, в которых русским солдатам приходилось строить дорогу, автор не скрывает своего удивления при виде настойчивости, выносливости и дисциплинированности русского солдата. По мнению обоих путешественников русский солдат — блестящий воин, Э. Спенсер и К. Кох отрицают мнение тех путешественников, которые считают, что царская Россия будто бы по вине трусливости своих солдат не смогла достичь успеха в войне с кавказскими горцами. Они приводят истинные причины, препятствующие успеху русских войск на Кавказе. Главной из них по мнению О. Спенсера, являлось направленное против царского правительства движение горцев, принявшее весьма серьезный и упрожающий характер. Одной из причин безуспешности военных действий были тяжелые географические условия, некачественная пища и т. д.

Специально обсуждает К. Кох вопрос о грубых политических ошибках, допущенных царским правительством на Кавказе. По его мнению, царизм не должен был вводить в новоприсоединенных провинциях те формы правления, которые были приемлемы в русской действительности и никак не могли привиться к местному населению, следующему вековым традициям Кавказа. Частая смена военных и административных должностных лиц также препятствовала успеху царской политики на Кавказе.

Для ликвидации движения горцев и утверждения колониальной политики на Кавказе царское правительство, втянутое в длительную и изнурительную войну решило, по мнению О. Спенсера, наряду с военными действиями против горцев: применить также и политические средства борьбы. Пользуясь частыми раздорами среди кавказских феодальных правителей, царизм всячески старался еще больше разжечь вражду между ними; обман, подкуп, разные обещания, назначение пенсий, подстрекательство к измене и прочее — все это было характерным для кавказской политики царизма.

Несколько иную позицию занимает в оценке этой политики К. Кох, который всегда старается оправдать проводимую царской Россией колониальную политику на Кавказе.

Много места уделяют авторы в своих сочинениях описанию той борьбы, которую вели кавказские горцы за свою независимость. Много сведений можно почерпнуть в «Путешествиях» наших авторов о той помощи, которую Англия и Турция черкесам и дагестанцам непрестанно поставляя им порох, оружие и другие контрабандные товары.

Особую симпатию О. Спенсера вызывает личность Шамиля и его борьба против царской колониальной политики.

К. Кох также много пишет о движении горцев и их предводителе, но в этой борьбе его больше интересуют военные действия, направленные против Шамиля, проводимые генералами Шварцем, Аргутинским, Найдгартом и др. Не забывает он также и султана Даниеля, по его мнению, одного из самых значительных фигур после Шамиля.

В «Путешествиях» К. Коха и О. Спенсера сравнительно мало материала для характеристики экономической жизни Грузии и всего Кавказа.

Экономическая жизнь Грузии после присоединения ее к России, по мнению К. Коха, значительно оживилась, особо выделяет он Кахети. Хорошее впечатление произвели на автора немецкие колонии, подробно описанные им в своем сочинении.

Довольно детально рассказывает он в развитии торговли на Кавказе. Ко времени прибытия наших путешественников на Кавказ, введенный царским правительством льготный тариф был уже аннулирован и торговля главным образом носила меновой характер, следовательно, ее значение было лишь локальным. Автор подробно описывает торговую жизнь городов Редут-кале, Батуми, Артвина и других, отмечая особенности местной торговли.

Здесь же касается К. Кох причин, препятствовавших развитию торговых отношений. Главную причину этого он усматривает в отсутствии хороших дорог и нужного транспорта; развитию торговли, по его мнению, мешал также низкий уровень торгово-денежных отношений.

Из больших городов Грузии самое сильное впечатление на путешественника произвел г. Тбилиси, он особенно пространно пишет о красоте города, о его культурной и экономической жизни, о истории Тбилиси, о его достопримечательностях и с особым интересом описывает знаменитые серные бани города.

Европейские путешественники достаточно осведомлены о культурном прошлом и истории Грузии, знакомят европейских читателей и с памятниками материальной культуры страны. К. Кох подробно рассказывает читателям о генеалогии царской династии Багратионов и дает краткую историю Грузии с древнейших времен до ее присоединения к России. Детально и с большим интересом описывая знаменитый Алавердский монастырь и характеризуя архитектуру и настенную живопись памятника, он тут же рассказывает легенду о строительстве монастыря. О. Спенсером же в «Путешествии» подробно описана Пицундская церковь, постро-

енная, по его словам, в византийском стиле, он повествует и об известной легенде построения этого памятника.

В своих сочинениях оба автора с большим интересом описывают внешний облик и характерные черты кавказских племен, их повседневную и праздничную одежду, труд и отдых местных жителей. Весьма занимательно рассказывает К. Кох об обычае сбора урожая, о трудовой деятельности населения. Автор с большим удовольствием отмечает, что каждый трудовой процесс заканчивается обильным и веселым столом в сопровождении музыки и специально останавливается на описании грузинских национальных песен и танцев.

О. Спенсер дает интересные сведения о религиозных верованиях и этнографии кавказских племен и народов, о религиозном синкретизме кавказских народов. Его удивляет наличие языческих элементов в религии христианских народов Кавказа. Особый интерес автора вызвал вопрос о генезисе хевсуров, которые, по верному замечанию К. Коха, равно как и грузины, являются христианами.

С еще большим интересом относится О. Спенсер к быту и нраву черкесов. Внимание путешественника привлекают вопросы права и судопроизводства черкесов.

Характерно, что при описании природы Грузии К. Кох всегда проявляет профессиональный интерес к флоре страны. О. Спенсер, хотя и далек от ботаники, но тем не менее он обращает внимание на обилие в Грузии дубовых деревьев. Его интерес к ним, в отличие от К. Коха, вызван не научными целями, а чистейшим практицизмом. «Тут столько дубовых деревьев, — пишет он, — что они смело могли бы надолго снабдить всю Европу материалом для строительства судов».

Таковы в основном те вопросы, которых касаются наши авторы в своих «Путешествиях».

В исследовании мы постарались несколько сузить круг вопросов и выделить главным образом те, которые показались нам основными для характеристики политической, экономической и культурной жизни Грузии и Кавказа 1-й половины XIX столетия.

Вполне понятно, что сведения, данные нашими авторами, не все полноценные и что не все они соответствуют исторической действительности; есть среди них сведения неточные, порой даже и неверные, но в целом они могут оказать специалистам большую услугу и вызвать их интерес. В нашем исследовании дана попытка критического анализа этих сведений.

საძიებლები

პირთა საძიებელი

აბას-დიდი — 233, 246
აბდულა-ფაშა — 184, 185, 187...
აბიბოს (ნეკრესელი) — 243
ალექსანდრე ბატონიშვილი — 210, 212
ალექსანდრე დიდი (მაკედონელი) —108, 148
ალექსანდრე I — 125, 143
ალი სულთანი — 233
არიანე — 148, 200
არლუთინსკი — 237
აღა-მაჰმად-ხანი —239

ბაგრატიონი პეტრე — 193
ბეკოვი — 237
ბელგარდი — 229, 237
ბელი — 222, 228
ბესტუჟევი (მარლინსკი) — 225
ბაბიკოვი — 108
ბულატ ატაქუკინი — 125

გიორგი XII — 171, 211

გირეი კოემიტი — 109
გოვოროვი — 108
გრიგოლ (კახთა მთავარი) — 232
გუდოვიჩი — 108, 109
გურიელი (მამია) — 176

დადიანი (გრიგოლ) — 152
დადიანი (ლევან V) — 143, 165, 176
დავით ალმაშენებელი — 232
დავითი (ბიბლიური) — 172
დანიელ ბეი, დანიელ სულთანი — 126, 156, 229
დაჩი — 219
დიოგენე — 169
დიუბუა დე მონპერე — 172, 184

ეკატერინე II—107, 145
ელიას მანსური — 153, 154, 157
ერეკლე II — 218
ერმოლოვი — 218
ესკულაპე — 169

ვახვახიშვილი — იხ. ალი სულთანი
ვახტანგ გორგასალი — 219
ველიამინოვი — 106, 109, 110
ვილდენოვი — 241
ვიქსენი — 111
ვორონცოვი — 110, 114, 120

ზალცმანი — 210, 212
ზასი — 222, 226
ზოროასტრი — 210

თამარ (თამარ მეფე) — 200
თარგამოსი — 232
თეზევსი — 170
თეიმურაზ II—232
თემური (თემურ ლენგი) — 210

იაზონი — 170
ინდარ-ოღლი — 126
ისმაილ ატაქუკინი — 125
იუსტინიანე — 120

კარლ ქოხი — 106, 116, 172...
კახოსი — 258
კლაპროტი — 150
კომნენი — 209

კონსტანტინე პორფიროგენეტი — 172
კოცებუ — 215
კუმპუსაროვ-აღა — 206
კუხოსი — 258

ლეონი (ლევან, კახთა მეფე) — 246, 248, 251
ლინე, ლინეი — 170

მანსურ-ბეი — 153, 154, 158
მელიქის ედეკ (ჭავჭავაძე) — 242
მენშიკოვი — 108
მეჰმედ გირეი ასლანი — 107
მითრიდატე, დიდი — 108, 186
მირიან მეფე — 247
მოჰამედ ახტი — 251
მუხრანსკი ივანე — 210

ნადირ შაჰი — 210, 231
ნაიდჰარტი — 222
ნაპოლეონი — 213
ნიკოლოზ I—148
ნოე — 232
ნოლტე — 258

ომარი — 155

პასკევიჩი — 161
პეტრე დიდი, I—151, 210
პომპეუსი — 186, 209
პროკოპი კესარიელი — 145

ჟან პოლი — 210, 213, 214

რაინეგსი — 146, 147
როგნერი — 174
როზენი — 158

სოლომონ (იმერეთის მეფე სოლომონ I) — 152
სპენსერი — 106
სტრაბონი — 148, 150, 172...

ურკვარტი — 222, 227

ფარნაჯომ — 243
ფილიპე მაკედონელი — 137
ფრიდრიხ დიდი — 213
ფრიქსოსი — 170

ქართლოსი — 258
ქსენოფონტე — 206, 216

ყაზი-მოლა — 145, 154, 158

ჩინგიზ-ხანი — 154, 210
ჩოლოყაშვილი — 248, 252

შამილი — 126, 145, 155...
შარდენი — 175, 178
შეიხ-მანსური — 123, 161
შერვაშიძე (გიორგი) — 121
შერვაშიძე მიხეილ — 125
შვარცი — 229, 234, 235...

ჭავჭავაძე (?) — 238, 242

ჭელალ ედ-დინი — 154, 155

ჰამერ პურგშტალი — 189
ჰამზად ბეგი — 159
ჰელიმ ბეი — 197
ჰეროდოტე — 170
ჰერცოგი-რიშელიე — 109, 126

გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები

აბაზგები, აბაზები — 121, 140
აბასები — 121
ადიღები — 149, 151
ადრანუცინი — 172
ადრიანოპოლი — 113, 114, 131
ავარეთი — 159,
ავარები — 239
ავარია — 160
ავსტრია — 209
ავსტრო-უნგრეთი — 209
აზია — 139, 149, 166...
აზიელი — 218
ათენი, ათინე, ათინა — 199, 200, 201
აია — 170
ალავერდი — 248, 249
ალაზანი — (მდ.) — 229, 230, 231...

ალანები — 150
ალაზონიუსი — 232
ალბანეთი — 232, 248, 250...
ალპები — 136, 137, 139...
ალეირი — 174
ამიერკავკასია — 152, 244, 245...
ანაკლია — 134, 137
ანაპა — 106, 107, 108...
არაბები — 124, 150
არაბეთი — 157
არდტლერი (ადლერი) — 118
არზრუმი — 165, 185
არზრუმი — 165, 185
ართვინი — 193, 194
არკადია — 113, 160
არტანუჯი — 172, 192
არხაბისი — 200
არხავეჰი — 200
აფიზი — (მდ.) — 137
აფხაზეთი — 106
აქისქა — 187
აქარელი — 184, 185
აქარ სუ, აქარის წყალი — 184
ახალციხე — 184, 187, 188...
ახტი — 234
ახულგო — 154, 158, 159

ბათისი — 200
ბათუმი — 138, 184, 187...
ბალტიის ზღვა — 115
ბამბორი — 113, 120, 121
ბაქო — 210
ბახტრიონი — 252
ბელაქანი — 238, 240, 241...
ბეჟანიანი — 238, 242
ბერძენი — 148, 150, 185...
ბიზანტია — 123
ბიზანტიელები — 121, 183
ბიჭვინთა — 113, 118, 149...
ბორბალო (მთა) — 230
ბოჭორმა — 257
ბოჰემია — 219
ბუქარესტი — 109

გაგრა, გაგრი — 117, 118
გალმამხარი — 241
გელენჯიკი — 106, 109, 110
გენუელები — 112, 149
გერმანია — 212, 216
გერმანელები — 150, 213, 215...
გიმრი — 155
გონიო — 193, 194
გრემი — 238, 245, 246...
გურია — 121

დარგო — 226
დაღესტანი — 141, 144, 154
დაღესტნელები — 142
დერბენდი — 227
დიდო-, დიდოელები — 243, 238
დობა — 112

ებრაელები — 140
ეგვიპტე — 170
ევროპა — 109, 121, 149...
ევროპელი — 123, 166, 210...
ელისენი — 233
ელისუ, ელისუი — 230, 233, 235, ...
ელისუელები — 237
ენისელი — 233, 245
ერზერუმი — იხ. არზრუმი
ერწო — 248, 257
ესპანეთი — 173

ვანი — 176
ვარდანი — 117, 118
ვარშამბეკ-დაღი — 206
ვენეციელი — 111, 117, 118...
ვილჰელმტალის ხეობა — 255
ვლადიკავკაზი — 153

ზაპოროელი — 107
ზაქათალა — 227, 235, 238....
ზიბა — 139
ზიხები — 151
ზუკსუ — 265

თათრები — 140, 150, 248...
თბილისი — 141, 144, 153...
თელავი — 231, 232
თემირგოელები — 110
თიანეთი — 248, 254
თურქეთი — 108, 114

თურქესტანი — 211
თურქმენები — 140
თურქ-მონღოლები — 216
თუშები — 230, 248, 251...

იალბუზი — 120, 122, 123...
იელისუი — 229, 230
იერუსალიმი — 215
ილორი — 137
ილტო (მდ.) — 255
იმერეთი — 121, 137, 231...
იმერლები — 140, 141, 142...
ინგლისელი — 222, 223, 228...
ინგლისი — 216
ინგური, ენგური (მდ.) — 137, 147
ინგუშები 145, 146
ინდოეთი — 170
ინდო-გერმანელი — 123
ირი (მდ.) — 230, 231, 248...
ირანი — 170
ირლანდია — 174
იტალია — 173
იტალიელები — 150, 174, 209

კაბარდინსკი — 111
კავკასია — 109, 114, 188...
კავკასიელი — 116, 191, 227...
კავკასიონი — 120, 232, 243...
კაზაკები — 106, 107, 150...
კაირო — 188
კალატაბოსი — 206
კამჩატკა — 115
კანარის კუნძულები — 174
კართუბანი (ქორთუბანი) — 241
კასაქები — 190
კასპიის ზღვა — 160, 162, 210...
კახეთი — 178, 224, 232...
კახი — იხ. კახეთი
კახი (სოფ.) — 237
კახაბეროვა — 184, 187
კელასური — 137
კერაზუსი — 200
კერასუნი — 200
კერკეტები — 150
კიზილ-კაია — 106
კინტრიში — 182
კლდეკარი — 237
კოდორი — 137
კოლოვადაღი — 182
კოლხები — 185, 186
კოლხეთი — 178
კონსტანტინეპოლი — 188, 197, 206...
კუბა — 227

ლალისყური — 248
ლაზები — 145, 184, 185...
ლაზისტანი — 171, 185, 196...
ლეკები — 144, 145, 152...
ლეკეთი — 161
ლეპოტა (მდ.) — 248
ლეჰნა — 122

მაკაბელი — 240
მაკრიჰი — 196
მამაი — 117
მარიენფელდი — 229, 230, 231...
მატანი — 248, 252, 254...
მეგრელები — 140, 141, 142...
მეციპი — 113
მიდიელები — 150
მსხის, მესხეთის ქედი — 172
მტკვარი — 230
მუღანლისი — 231
მუხრანი — 248, 258
მცირე აზია — 121, 171, 202...
მცირე აზიელი — 216
მცხეთა — 219

ნატუხაელები — 110
ნაფარეული — 248
ნაქალაქევი — 238, 245
ნევა (მდ.) — 115
ნეკრესი — 238, 243
ნიკოლაი — იხ. სანქტ. ნიკოლაი
ნიკოლაევი — 111
ნოვოროსიისკი — 111
ნოვოტროიცკი — 116, 118
ნოღაელები — 153
ნუკრიანი — 231
ნუხა — 237, 238

ოზურგეთი — 180, 184
ოსები — 123, 145

ოფი — 200, 202, 205
ოფისი — 200
პალიასტომი — 165, 173
პეტერბურგი — 125, 176, 211...
პეტერსდორფი — 231
პეტრა — 176, 183, 184...
პითუსი — 119, 120
პიჩორა (მდ.) — 173
პოლონელები — 153, 154, 228
პონტო — 138
პონტინი — 138
პორტო-სუაკო — 112, 184
პროვანსალელი — 199

რაევსკი — 111
რაიჰარდსბრუნი — 255
რედუტ-კალე — 135, 137, 165...
რიზა, რიზე — 200, 204
რიონი — 165, 169, 170
რიონი (მდ.) — 173
რიონსკი — 169
რიცუსი — 200
რომაელები — 148, 232
რომი — 108, 152
რუსეთი — 106, 107, 109...
რუსები — 106, 108, 109...
რუტული —234

საბერძნეთი — 148, 166
საბუე — 245
სათათრეთი — 211
სამეგრელო — 106, 121, 135...
სამური — 239
სამური (მდ.) — 239
სამურელი — 238
სანქტ-ნიკოლაი — 176, 180, 181...
სანქტ-პეტერბურგი — 114
სასანელი — 232
საფრანგეთი — 216, 219
საქართველო — 152, 219, 245...
საყდრიონი — 257
სელჯუკები — 186
სემესი — 110, 111
სვანები — 140, 145
სვანეთი — 135, 146
სილეზიელი — 174
სილეზია — 216
სინდიკა — 112
სინოპი, სინუპი — 187
სიღნაღი — 229, 231
სომხები — 140, 141, 166...
სომხეთი — 116, 216
სოხუმ-კალე — 120, 123, 130...
სპარსელი — 108, 144, 150...
სპარსეთი — 200, 202, 208...
სასურმენე — 200
სუფსა (მდ.) — 176, 178
სუჯუკ-კალე — 106, 109, 110...

ტარაბაზონი, ტარაბასონი — 200 იხ. ტრაპეზუნდი
ტიბეტი — 241
ტირებოლუ — 200
ტიურინგია — 255
ტრაპეზუნდი — 138, 165, 184...
ტრაპეზუსი — 200
ტრიპოლისი — 200
ტროადა — 170

უნგრეთი — 173

ფაზისი — 139, 165, 170...
ფაზისი (მდ.) — 170
ფანდრია (მდ.) — 121, 124
ფაშ-კალე — 167, 169, 170...
ფოთი — 139, 165, 167...
ფრანგები — 150, 223
ფშადი — 113, 117, 126...
ფშაველები — 230, 248, 256...

ქართელი — 140
ქარიენტი — 268
ქაჩქარ-დაღი — 202, 206
ქისტები — 252
ქისტი — 254
ქუთაისი — 180
ქურთები — 215
ქუჩუკ-ყაინარჯი — 152

ყაბარდო — 152
ყაბარდოელი — 125
ყაზბეგი — 136, 146
ყარაღაჯი — 229, 232, 238
ყარსი — 186

ყვარელი — 238
ყირიმი — 149, 150, 199...
ყოისუ (მდ.) — 254
ყუბანი — 106, 107, 116...
ყუბანი (მდ.) — 107
ყუმუხი — 233

შავი ზღვა — 106, 109, 160...
შაფსუღები — 110, 116
შეგაკები — 106, 107
შვაბები — 212 213, 215 ...
შვეიცარია — 109, 257
შვეიცარიელები — 149
შილდა — 245
შილდის ხეობა — 224, 238, 244 ...
შოტლანდია — 174
შუოკი — 113, 117

ჩარშენი — 239
ჩარშედები — 239
ჩერნიგორია — 106
ჩერნომორცები — 107
ჩერქეზები — 106, 107, 140 ...
ჩერქეზეთი — 106, 108, 109 ...
ჩეჩნები — 144, 152, 153 ...
ჩეჩნეთი — 161, 182
ჩირკასირები — 150
ჩურუქ სუ, ჩურუქსუნი — 176, 182

ცემესი — 111, 112
ციანესი — 138
ცივი (მთა-გომბორი) — 231
ციზუ — 200
ციმბირი — 115
ციხი — 272
ციხისძირი — 176, 184
ციხისჯვარი — 183
ცხენისწყალი — 171

ჭარი — 235, 238, 239...
ჭარელები — 239
ჭარ-ბელაქანი — 241
ჭოროხი — 176, 184, 192...

ხემშინი — 206
ხევსურები — 123, 230, 248 ....
ხერვისურები — 122, 123
ხიფსთა (მდ.) — 121
ხობი (მდ.) — 139
ხორასანი — 231
ხოფა, ხოფი — 137, 138, 196...

ჯიმილი — 206
ჰერაკლეა — 137
ჰერეთი — 232
ჰეროსი — 232

СВЕДЕНИЯ К. КОХА И О. СПЕНСЕРА О ГРУЗИИ И КАВКАЗЕ

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

ИБ 1628

*

რეცენზენტები ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი,
გ. პ ა ი ჭ ა ძ ე, კ. კ უ ც ი ა

გამომცემლობის რედაქტორი დ. ლ ე ქ ა ვ ა
ტექრედაქტორი ნ. ო კ უ ჯ ა ვ ა
კორექტორი ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი
მხატვრები: ე. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე, ვ. ხ მ ა ლ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 18.12.1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.4.1981;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 19.0;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,9;
უე 07177; ტირაჟი 6000; შეკვეთა № 4172;

ფასი 2 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19